ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

# შრომები
# XV

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2021

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

# TRANSACTIONS
# XV

BATUMI-2021

UDC(უაკ) 902+93/94+81/82
შ-63

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების XIV ტომი ეძღვნება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს. ტომში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის საკითხები, რომლებიც ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგია. ტომში, ასევე შესულია ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი) და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები სხვადასხვა თემატიკაზე. ტომს ერთვის ილუსტრაციები და აბსტრაქტები უცხო ენაზე. იგი განკუთვნილია სამეცნიერო საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთათვის.

Volumes XIV of the works of Niko Berdzenishvili Institute is dedicated to Khelvachauri municipality. It is included the issues of history, archaeology, ethnology, folklore and dialectology of the municipality, which are the result of the scientific-research work of the institute. The volume includes evaluation of the educational process (sociological analysis) by the teachers of Batumi public schools and the works of young scientists on various topics. It includes illustrations and abstracts in a foreign language. It will be significant and productive for the academic community and those are interested.

**რედაქტორი:** **როინ მალაყმაძე** (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი)
**რედაქტორის მოადგილე: ოლეგ ჯიბაშვილი** (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

**Editor-in-Chief:** **Roin Malakmadze** (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)
**Deputy Editor:** **Oleg Jibashvili** (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

ISSN 1512-4991
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2021

**სარედაქციო კოლეგია:** როინ მეტრეველი (აკადემიკოსი, საქართველო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ნიკოლაი დურა (აკადემიკოსი, რუმინეთი, რუმინეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ჯემალ ვარშალომიძე (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი), მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველო, თსუ -ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), ნინო ინაიშვილი (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი), ემზარ მაკარაძე (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), როზეტა გუჯეჯიანი (ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), რადოსლავ კრასიევიჩ-სცზიპიორსკი (ისტორიის დოქტორი, პოლონეთი, ვარშავის უნივერსიტეტი), ჯემალ კარალიძე (ისტორიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რამაზ ხალვაში (ფილოლოგიის დოქტორი, საქართველო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სუდან ალთუნი (ფილოლოგიის დოქტორი, თურქეთი, კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი), კალიბექოვა მანანა (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ყაზახეთი, ვალიხანოვის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

**Editorial Board:** Roin Metreveli (Academician, Georgian National Academy of Sciences, Georgia), Nicolai Dura (Academician, Georgia, Romanian National Academy of Sciences, Romania), Jemal Varshalomidze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Merab Chukhua (PhD in Philology, Arnold Chikobava Institute of Linguistics of Tbilisi State University, Georgia) Nino Inaishvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Emzar Makaradze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Rozeta Gujejiani (PhD in History, History and Ethnology Institute of Tbilisi State University, Georgia), Radosław Karasiewicz-Szczypiorski (PhD in History, Warsaw University, Poland), Jemal Karalidze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Ramaz Khalvashi (PhD in Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Sudan Altun (PhD in Philology, Kars University, Turkey) Kalybekova Manana (PhD in History, Ch. Ch. Valikhanov Institute of History and Ethnology, Kazakhstan).

**რეცენზენტები:**

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველო, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
**ლელა სარალიძე** – (ისტორიის დოქტორი, საქართველო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

**Reviewers:**

**Avtandil Nikoleishvili** – (PhD in Philology, Akaki Tsereteli State University, Georgia)
**Lela Saralidze** – (PhD in History, Georgia, History and Ethnology Institute of Tbilisi State University, Georgia)

**კომპიუტერული უზრუნველყოფა** – ეთერ ხეცოიძე
**Computer software** – Eter Khetsoidze

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
რუსთაველის/ნინოშვილის ქ.№ 32/35
ტელ: +995(422) 29 46 46
ელ. ფოსტა: nbi@bsu.edu.ge
Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University
Rustaveli/Ninoshvili str. № 32/35
Phone: +995 (422) 27-17-86
E-Mail: info@bsu.edu.ge

## სარჩევი

### ისტორია და არქეოლოგია -History and Archaeology


**უჩა ოქროპირიძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიიდან 8
**Ucha Okropirdze** - From the History of Khelvachauri Municipality 8

**ოთარ თურმანიძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა 1921-1990 წლებში 24
**Otar Turmanidze** - Agriculture of Khelvachauri Municipality in 1921-1990 24

**ზურაბ ნაგერვაძე** - პირველი მსოფლიო ომი და მაჭახლის ხეობა 48
**Zurab Nagervadze** - I World War and Machakheli Gorge 48

**გიორგი თავამაიშვილი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ძეგლები (გონიოს ციხე) 60
**Giorgi Tavamaishvili** - Archaeological Monuments of Khelvachauri Municipality (Gonio Fortress) 60

**ირინე ვარშალომიძე** - მონეტები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან 79
**Irine Varshalomidze** - Coins from Khelvachauri Municipality 79

**მაია ჭიჭილეიშვილი** - საკულტო არქიტექტურული ძეგლები 85
**Maia Tchitchileishvili** - Monuments of Cultic Architecture 85


### ეთნოლოგია-Ethnology


**ნოდარ კახიძე** - მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 105
**Nodar Kakhidze** - Traditional branches and farming in Khelvachauri Municipality 105

**ნაილა ჩელებაძე** - განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 135
**Naila Chelebadze** - Education and Culture in Khelvachauri Municipality 135

**თამილა ლომთათიძე** - ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერი კულტურა 155
**Tamila Lomtatidze** - Spiritual Culture of the Population of Khelvachauri Municipality 155


### ფოლკლორი და დიალექტოლოგია -Folklore and Dialectology


**შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი 173

**Shushana Putkaradze, Elza Putkaradze** - Phonetic-Grammatical Features of Speech of Georgians Displaced as Muhajirs from Khelvachauri Municipality 173

**ნარგიზ ახვლედიანი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია 193
**Nargiz Akhvlediani** - Toponymy of the Khelvachauri Municipality 193

**ომარ მემიშიში** - სარფის მეტყველების ლინგვისტური ანალიზი 215
**Omar Memishishi** - Linguistic Analyses of Sarp Speech 215

**ნანული ნოღაიდელი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა ლექსიკის დახასიათებისათვის 245
**Nanuli Noghaideli** - Analyzing the Vocabulary of the Inhabitants of Khelvachauri Municipality 245

**ნაილე მიქელაძე, ფატი აბაშიძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თქმულება-გადმოცემები (ზოგადი მიმოხილვა) 260
**Naile Mikeladze, Pati Abashidze** - Khelvachauri District Legends-Narratives (General Overview) 260

**ციალა ნარაკიძე** - ლაზური ფოლკლორი 276
**Tsiala Narakidze** - Laz Folklore 276

**სოციოლოგია- Sociology**

**ნუგზარ ჩხაიძე** - ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი) 303
**Nugzar Chkhaidze** - Assessment of the Educational Process by Batumi Public Schools Teacher's Sociological Analysis 303

**ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო სტატიები-**
**Scientific Papers of Young Researchers**

**ანა ბაგრატიონი** - ხალხური მედიცინის ისტორიიდან აჭარაში 369
**Ana Bagrationi** - From the history of folk medicine in Adjara 369

**ინგა ზოიძე** - აღორძინების ხანის მწერლობა, მისი ძირითადი მიმართულება და დანიშნულება 376
**Inga Zoidze** - Revival Period Literature, its Main Direction and Appointment 376

**ცისნამი ბერიძე** - დანდალოს ხეობის ლექსიკა 383
**Tsisnami Beridze** - Vocabulary of Dandalo Gorge 383

**უჩა ოქროპირიძე**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
**Ucha Okropirdze**
*PhD in History, Principal Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli StateUniversity*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიიდან

# KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი -** სტატიაში მოკლედ არის წარმოდგენილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორია უძველესი დროიდან (ნეოლითის ხანა - ძვ. წ. VII-VI ათასწლეული) თანამედროვე პერიოდამდე. ასევე განხილულია მუნიციპალიტეტის ისტორია ენეოლითის ეპოქაში (ხალკოლითური ხანა, ძვ. წ. V-IV ათ.), ბრინჯაოს ხანის უწყვეტი ისტორიული ცხოვრება, რკინის ხანა, ამ პერიოდების ამსახველი უნიკალური ძეგლების მიმოხილვით. მუნიციპალიტეტის ცხოვრების აღწერა მოცემულია კოლხეთის (ძვ. წ. VIII-VI სს.) და ახალი კოლხური სამეფოს (ძვ. წ. VI საუკუნიდან) პერიოდშიც, როდესაც მიმოქცევაში შევიდა კოლხური ვერცხლის მონეტების სისტემა. ასევე განხილულია ლაზიკის სამეფო და მისი ისტორია.

ნაშრომში მოთხრობილია ისტორია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა, რომელიც ქართლის (იბერია) და შემდეგ პონტოს სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა (სტრაბონის, პლინიუსის, კლავდიუს პტოლემეოსის და სხვათა მიხედვით),მოგვიანებით კი - ქართლის, შემდგომ გურიისა და ლიხთიმერეთის ქართულ სამეფოში. საუბარია ბათუმის ირგვლივ არსებულ მნიშვნელოვან დასახლებებზეც - მატიუმზე, ციხისძირზე, აფსარუსზე (გონიო), ფიჭვნარზე. ყურადღება გამახვილებულია ქრისტეს მოციქულების აჭარაში მოგზაურობაზე და ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ნაშრომში განხილულია რეგიონის რუსეთთან გაერთიანება (1878), მისი რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა შემადგენლობაში ყოფნის პერიოდიც. ასევე გად-

მოცემულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ეროვნული მოძრაობის ისტორიის მოკლე შინაარსი და საუბარია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიის უახლეს პერიოდზეც.

**საკვანძო სიტყვები:** ბრინჯაოს ხანა, გონიო-აფსაროსი, ლაზიკა, ეროვნული მოძრაობა, სამშვიდობო მისიები.

**Abstract -** The article briefly presents history of Khelvachauri municipality from ancient times (Neolithic era - VII-VI millennium BC) to the modern period. It also discusses the history of the municipality Eneolithic (Chalcolithic Age, V-IV BC), the continuous historical life of the Bronze Age, Iron Age on the example of a unique monuments reflecting these periods Makhvilauri and others. The description of the life of the municipality is given in the period of Colchis (VIII-VI centuries BC) and the new Colchian kingdom (from the VI century BC), when in the latter period the Colchian silver coin system came into circulation and gained notoriety. It then appears in Lazika kingdom.

There is the history of Khelvachauri municipality as a part of Kartli (Iberia) and then Pontus kingdoms (according to Strabo, Pliny, Claudius Ptolemy and others). It discuss too about the important settlements around Batumi - Matium, Tsikhisdziri, Apsarus (Gonio), Pichvnari. The focus is on the journey of the Apostles of Christ in Ajara and the historical significance of this fact. Then, about it's presence in the Kingdom of Kartli, and then in the Georgian Kingdom of Guria and Likhtimereti. The narrative in the paper discuses to the unification of the region with Russia (1878), then including the period of the Russian Empire and its Soviet period. A brief summary of the history of the national movement in Khelvachauri municipality is also presented, including the restoration of the jurisdiction of the independent state of Georgia. The recent contribution of the Khelvachauri Municipality to the security of the country is discussed as well.

**Key Words:** Bronze Age, Gonio-Apsarus, Lazika, National movement, Peacekeeping missions.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანი ძველი დროიდანვე დასახლებულა. მახვილაურის ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია აჭარის ტერიტორიაზე, რომელიც კავშირშია, როგორც ადრე, ისე განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებთან. იგი მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში მახვილაურის ბორცვზე და განეკუთვნება ძვ. წ.აღ-ის VII-

VI ათასწლეულებს. მისი ნამოსახლარები შეიცავს მასალას განვითარებული ნეოლითიდან უგვიანეს – ფეოდალურ ხანამდე მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე შეინიშნება მეთევზეობის განვითარების მაღალი დონე, მდინარისეული სიმდიდრის გამოყენებასთან ერთად დაწყებულია ზღვის ათვისება, თევზჭერაში კი ბრტყელძირიანი ნავის გამოყენება. მისთვის დამახასიათებელია მეთუნეობის გაჩენა და მოხარშული საკვების დამზადება, კერამიკული ნაწარმი. მახვილაურის ნამოსახლარი გვიჩვენებს, რომ ამ დროს აქ ნეოლითური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ასულა... მახვილაურში მეთევზეობა უკვე მეურნეობის დარგადაა გადაქცეული და გამოყენებულია მანამდე უცნობი სახეობის საწაფები, სხვადასხვა სახის ბადეები და სხვა. აქვეა ხის დასამუშავებელი მრავალფეროვანი იარაღები (გაპრიალებული ცულები, სათლელები, დანები, საფხეკები, სატეხ–სათლელები და სხვა), რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იყო ნავების გაკეთება.

სპილენძ-ქვის ხანაში (ენეოლითი) ძვ. წ.აღ-ის V-IV ათასწლეულებში ამ რეგიონის მოსახლეობას ლითონის დამუშავება-გამოყენების შემდგომი დაწინაურების კარგი საფუძველი მოუმზადებია. ამ ხანაში ადამიანმა ჯერ თვითნაბადი ლითონის გამოყენება დაიწყო, შემდეგ კი მადნისაგან ლითონის დამზადების მარტივ წესს მიაგნო. ენეოლითური კერამიკა აღმოჩნდა მახვილაურის ნეოლითური ბორცვის კულტურულ ფენაში.

ძვ.წ. აღ-ის IV ათასწლეულის II ნახევრიდან აქ ბრინჯაოს ხანა დაიწყო, რომელიც დაახლოებით 2 ათას წელს გაგრძელდა. აჭარის ზღვისპირეთის მოსახლეობა ამ დროს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოებაა, რომელიც ხელოსნობის სხვადასხვა დარგთან ერთად (მეთუნეობა, ხითხუროობა, რთვა და ქსოვა), დახელოვნებულია ბრინჯაოს მეტალურგიაში.

ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არე-ალში შედის და მისი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს თვით ამ კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებაში (კოლხური ცულების პროტოტიპები სოფ. ხელვაჩაურიდან და კირნათიდან).

ბრინჯაოს ხანის, განსაკუთრებით შუა და გვიანბრინჯაოს ე. წ. „მდნობელთა განძები" აღმოჩენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ბარცხანა, მახინჯაური, ყარადერე, სალიბაური, ერგე, მახო, ჭოროხი, ხელვაჩაური ).

შუა ბრინჯაოს ხანის ყველაზე არქაულად მიჩნეული ორფერდა ყუამილიანი ცული, რომელიც ძვ.წ. აღ–ის II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება, აღმოჩენილია სოფ. ხელვაჩაურში (რამიშვილი, 1974: 41-42). შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საინტერესო განძი აღმოჩნდა სოფ. კირნათში (7 ცული). კირნათში აღმოჩენილი ცულების სავარაუდო თარიღია ძვ.წ.აღის XVI-XV საუკუნეები, უფრო XVI საუკუნე. ამავე ხანას განეკუთვნება თხილნარის განძიც.

აჭარის დაბლობზე არსებულ ბრინჯაოს წარმოების ორი ლოკალური რაიონიდან ერთი კახაბერ-ჭოროხის და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქედან ვრცელდებოდა ბრინჯაოს ნაწარმი აჭარის შიდამთიან რაიონებში (მახუნცეთი, ჭვანა, ვერნები).

აღნიშნული პერიოდი იყო თავისებური „ხევების“ წარმოქმნის ხანა. დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასეთი უნდა ყოფილიყო ყოროლისწყლის აუზი, ცენტრით „თამარის ციხე“, კახაბრის ველი – ცენტრით ერგე, ჭოროხის მარცხენა სანაპირო – ცენტრით მახო და გონიო; ასეთი ხევების გაერთიანებით შეიძლება ჩამოყალიბდა „ხევი აჭარისა“, რომელსაც ემეზობლებოდა ძვ. წ. აღ-ის IX-VIII საუკუნეების ნახევრის ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „ქვეყანა შეშეთის“ (შავშეთი), „ქვეყანა ზაბახასი“ (ჯავახეთი) და რომლებიც, თავის მხრივ, „ქვეყანა დიაუხის“ (ტაო) მოკავშირენი იყვნენ და ამ გაერთიანებაში შედიოდნენ.

ძვ.წ. აღ-ის X-VIII საუკუნეები რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრებისა და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, საგრძნობლად დაწინაურდა ლითონის (რკინა, სპილენძი) მოპოვება-დამუშავება. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი რკინის მომპოვებელი ცენტრი იყო ჭარნალში, სადაც ასევე კარგად განვითარებული ჩანს მიწათმოქმედება, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, მეცხოველეობა და მისი პროდუქტების დამზადება, შენახვა და ტრანსპორტირება, საბოლოოდ გაფორმდა ქართული წარმართული პანთეონი. ბარის ზონაში გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებანი სახელოსნო უბნებით და საკუთარი სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით.

უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების დიაოხისა და კოლხის გარდა ძვ.წ. აღ-ის პირველ ათასწლეულში საქართველოს სამხრეთში ჩამოყალიბდა მესხების ჰეგემონობით შექმნილი „მოსხების ქვეყანა“, რომელსაც ბერძნები „მოსხიკეს“ ან სპერს უწოდებდნენ. იგი მოიცავდა ფეოდალური ხანის საქართველოს გეოგრაფიულ არეალს კოლა-არტაანს, კლარჯეთს, შავშეთს, ამიერ და იმიერ ტაოს, ჯავახეთს, სამცხეს, აჭარას, სპერს ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. საფიქრებელია, მასში შედიოდა დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც.

ძვ.წ.აღ-ის VIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტითურთ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ანტიკურ ხანაში კოლხას ჩრდილოეთი რეგიონები VI საუკუნეში ახალ კოლხურ სამეფოში გაერთიანდა, რომელსაც ჰქონდა საკუთარი სამონეტო სისტემა (კოლხური თეთრი).

ძვ.წ.აღ-ის IV საუკუნეში არისტოტელე მოიხსენიებს ევქსინის პონტის (შავი ზღვა – უ. ო.) სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გეოგრაფიულ პუნქტს βαθύς (ბათის) (ყაუხჩიშვილი, 1987: 109-117), რომელიც აკად თ. ყაუხჩიშვილმა რამდენადმე მოგვიანო წყაროების ბათუსს გაუიგივა. ძვ. წ. აღ-ის IV საუკუნეში ფსევდო სკილიქს კარიანდელი ასახელებს მდ. აფსაროსს და მისგან ჩრდილოეთით „ყაჩაღთა მდინარეს“, რომელიც იმავე მეცნიერის ლოკალიზაცით მდ. კინტრიშია.

ელინისტურ ხანაში აჭარის ზღვისპირეთი მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის რეგიონია, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მევენახეობა-მეღვინეობას უჭირავს, რომელიც აქ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს დასასრულიდან აღწევს მნიშვნელოვან დაწინაურებას. ამაზე მიუთითებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახვილაურში და ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი კოლხური ქვევრები, ამფორები და სხვა. განვითარებულია „ყავისფერთიხიანი“ ამფორების წარმოება ბათუმის ციხეზე, გონიო-აფსაროსსა და მახვილაურში, ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი მონაპოვარია სოფ. აგარის ორნამენტირებული სადგამი (ძვ.წ. III-II სს.), რკინის ცული, ქუსლიანი ჯამი და სხვ. როგორც ჩანს, აქ იყო მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა.

ბათუმის გორანამოსახლარზე მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი ძვ. წ.აღ-ის VIII-VII საუკუნიდან მოკიდებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით. აქვე ნაპოვნია ელინისტური ხანის ნივთების – კოლხური დერგების, ჯამების, ადგილობრივი და სინოპური ამფორების და კრამიტის ფრაგმენტები, რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული პირამიდისებური საწაფები და კვირისტავები და სხვა. ბათუმის სამოსახლო ამ პერიოდში ამ მხარის ეკონომიკური, პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბერძნულ სამყაროსთან.

ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნის დასასრულიდან ზღვისპირა აჭარა ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაშია, რომლის ფარგლებშიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. აღ-ის II საუკუნემდე დარჩა, ხოლო ძვ.წ. აღ-ის II საუკუნეში იგი მთლიანად კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას“ წარმოადგენს.

დაახლოებით ძვ. წ. აღ-ის I საუკუნის 90-იან წლებიდან მითრიდატე VI პონტოელმა თავის სამფლობელოს შეუერთა კოლხეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც. პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ (ძვ. წ.აღ-ის 63 წელი) კოლხეთის სამეფო რომის გავლენის ქვეშ მოექცა და მას ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომაელი მოხელენი განაგებდნენ. მაგრამ, ქართლის სამეფოს კვლავ გააქტიურების შემდეგ, ახ. წ.აღ-ის I საუკუნეში, ფარსმან I-ის (36-66 წ.წ.) დროს აჭარის შავიზღვისპირა ზოლი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციად შეიძლება ვიგულისხმოთ, ხოლო 131 წლისათვის იგი უცილობლად მის შემადგენლობაშია, როგორც ოძრხეს საერისთავოს ნაწილი.

სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ.24) თავის „გეოგრაფია“-ში ასახელებს ბიძერების ტომს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც აჭარელთა წინაპარი. პლინიუსი პირველად ახსენებს ციხე-ქალაქ აფსაროსს (გონიო) და ქალაქ მატიუმს რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ბათუმთან აიგივებს, ხოლო ფლავიუს არიანე საქართველოს შავი ზღვის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე ახსენებს მდინარეებს აფსაროსს, აკამფსისს და ბათისს, აგრეთვე ციხე-ქალაქ აფსაროსსაც, სადაც მისი მოგზაურობის დროს (ახ.წ. 131 წელი) 5 რომაული კოჰორტა მდგარა. არიანე მიუთითებს, რომ აფსაროსი ძველი პუნქტია, სადაც კოლხეთის მეფე აიეტის ვაჟი აფსირტე დაიღუპა და აქვე აჩვენებს მის საფლავს. მისივე ცნობის მიხედვით, ზღვისპირა აჭარა ლაზეთის სამთავროს ნაწილს შეადგენდა, რომლის გამგებელს მასალას სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან მიუღია.

ახ. წ.აღ-ის II საუკუნის მეორე ნახევრის გეოგრაფოსისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით, აფსაროსი და მდ. აფსაროსის შესართავი კაპადოკიის პონტოს შემადგენლობაშია.

უძველესი პერიოდიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლებიც ქართლის სამეფოს გარესამყაროსა და შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. ერთერთი ასეთი გზა იწყებოდა სოფ. ხერთვისიდან, გაივლიდა ერგეს, ბათუმს (მატიუმი), თამარის ციხეს, სებასტოპოლისს (ციხისძირი) და აფსარუნტს (გონიო). ერთ-ერთი ასეთი სავარაუდო გზა აღნიშნულია კასტორიუსის (IV ს.) რუკაზე. აღსანიშნავია პეტრაზე გამავალი გზა, რომელიც ჭოროხის შესართავის ახლოს ორად იყოფოდა: ერთი ჭოროხს ზემოთ მიჰყვებოდა, ხოლო მეორე ზღვის ნაპირს სამხრეთით ტრაპეზუნტამდე, ჩრდილოეთით კი, ასევე სანაპიროთი პეტრას გავლით სებასტოპოლისამდე მიდიოდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც იბერია-კოლხეთის, ისე რომისათვის. აჭარაზე გადიოდა ე. წ. „აბრეშუმის გზაც“, რომელიც აჭარისწყლის ხეობით მდ. ჭოროხის შესართავამდე, იქედან კი უკვე ჭოროხის სანაპიროთი ბათუმამდე მოდიოდა.

რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან სიახლოვემ და ხშირმა სამიმოსვლო გზებმა განაპირობა ის, რომ პირველად საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ აჭარაში, შემოსულან ქრისტეს მოციქულები ახ.წ. აღ-ის I საუკუნეშივე და უქადაგიათ ქრისტიანობა. ჯერ კიდევ მოციქულთა ხანაში მოსულან აქ ქრისტეს მოციქულთაგან ოთხი – ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, მატათა და ფილიპე. ამ დროს ქართლის მეფე იყო ფარსმან I (დაახლ. 36-66 წ.წ.).

უძველესი ცნობები ანდრია მოციქულის აჭარაში მოღვაწეობის შესახებ მიეწერება III-VI საუკუნეების რომაელ ავტორებს – დოროთეოს ტვირელს, ეპიფანე კვიპრელს და სოფრონის. არსებობს ცნობაც, რომ ანდრია პირველწოდებულთან

ერთად კოლხეთში შემოსული მატათა მოციქული აქვე გარდაიცვალა, „სადაც არის აფსარის ციხე, იქადაგა რა იქ სახარება და იქვეა დაკრძალული“. გონიოს (აფსაროსის) ციხეში დღესაც აღმართულია ჯვარი მატათა მოციქულის სიმბოლური საფლავის აღსანიშნავად. ანდრია მოციქულის აფსაროსში მოღვაწეობას ადასტურებს 630-იანი წლებში შედგენილი „პასქალური ქრონიკაც“, სადაც ნათქვამია, რომ ანდრია ქადაგებდა „დიდ ქალაქში, სადაც არის ციხე აფსაროსი და მდ. ფასისი“ ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მდ. ფასისი ამ შემთხვევაში მდ. ჭოროხია. ხოლო „დიდი ქალაქი“ (მეგალე პოლისი) ბათუმი.

„ქართლის ცხოვრების“ მეორე ჩანართის მიხედვით, რომელიც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთ“ გაუკეთებიათ, ანდრიასთან ერთად იხსენებიან სიმონ კანანელი და მატათა მოციქულები, როგორც ჭოროხის ხეობაში ქრისტიანობის გამავრცელებლები.

ზოგიერთ მკვლევართა აზრით მოციქულები აჭარაში 40 წელს მოსულან, ხოლო ზოგიერთები ფიქრობენ, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 50 და 54 წლების მახლობლად. ყველა შემთხვევაში, მოციქულთა აჭარაში, კერძოდ მის ზღვისპირეთში (აფსაროსი) მოღვაწეობა ეჭვსგარეშეა, რასაც ამ რეგიონში ქრისტიანობის გავრცელება ახ. წ.აღ-ის პირველსავე საუკუნეშივე უნდა მოყოლოდა. ხოლო III-IV საუკუნეთა მიჯნაზე რომის იმპერატორების დიოკლიტიანეს და მაქსიმეს ზეობაში აფსაროსში გარდაცვლილან ქრისტიანობისთვის წამებული ორენტიოსის ექვსთაგან ორი ძმა (ბერძნული სვინაქსარის ცნობა).

II საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული VI საუკუნის 10-იან წლებამდე დღევანდელი აჭარა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ ქართლის სამეფოს ოძრხეს საერისთავოს ნაწილია, რომელსაც ამ სამეფოს ერთ-ერთი ერისთავთაგანი მართავს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, VIII საუკუნის ბოლოდან აჭარის ზღვისპირა დაბლობი, ქობულეთ-ბათუმის მხარე ჭოროხამდის, გეოგრაფიულად აჭარის ნაწილი, პოლიტიკურად უმთავრესად გურიის სამთავროში შედიოდა.

XII ს-ის პირველ ნახევარში აჭარა საერისთავოა, ასეა უფრო გვიანაც. XIII საუკუნის პირველ ნახევარში კი იგი დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ ლიხთამერი საქართველოს შემადგენლობაშია, XIII ს-ის II ნახევრიდან სამცხის სპასალარების (ათაბაგების) სამფლობელოშია, ერთი საუკუნის შემდეგ, კერძოდ 1372 წლისათვის, აჭარის ზღვისპირა დაბლობი გურიელის მფლობელობაშია. XVI საუკუნის ერთი ოსმალური წყაროს მიხედვით, გურიის სამთავრო უშუალოდ ტრაპიზონს ესაზღვრებოდა.

XVI საუკუნის 40-იან წლების ბოლოს ოსმალები ჭანეთს იპყრობენ და გონიოს ციხეს იკავებენ, ამავე საუკუნის 60-70-იან წლებში კი შიდამთიან აჭარასაც. 1609 წ.

„შემოკრიბა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოწყვიტა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა“. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება. 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერაში შიდამთიანი აჭარის სანჯაყი უკვე ჩილდირის, ანუ ახალციხის ეიალეთშია შეტანილი, ხოლო ბათუმისა – ტრაპიზონის ეიალეთში. მასში შედიოდა ჩვენთვის საინტერესო დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც.

ახალციხის საფაშოს გაუქმების შემდეგ, XIX ს-ის 50-იანი წლებიდან, აჭარა ოსმალებმა ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში შეიყვანეს და დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოთხ კაზაში (მაზრა) განაწილდა: ბათუმის კაზაში შედიოდა 2 ნაჰიე (ოლქი) – ბათუმისა და ქობულეთის (ჩურუქ-სუ), ლივანას კაზაში – მაჭახელი, ხოფას კაზაში – გონიო და აჭარის კაზაში – ქვემო და ზემო აჭარა. როგორც ვხედავთ დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია განაწილებულა ბათუმის, ლივანასა და ხოფას კაზებში.

1878 წელს რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, შეიქმნა ბათუმის ოლქი და გეოგრაფიული აჭარის ტერიტორია ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“ დაიყო. პირველი შედგებოდა კინტრიშის, ბათუმისა და გონიოს უბნებისაგან, მეორე – მაჭახელის, ქვემო და ზემო აჭარის უბნებისაგან. აქაც, როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუნიციპალიტეტის ტერიტორია ორივე „ოკრუგის“ შემადგენლობაშია განაწილებული, რომელთაგან პირველში შედის ბათუმისა და გონიოს საპოლიციო უბნები, მეორეში კი – მაჭახელის. 1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და იგი ორ „ოკრუგად“ (ბათუმისა და ართვინის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წელს ეს „ოკრუგები“ კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ შეაერთეს „ბათუმის ოლქად“. აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფა გაგრძელდა 1917 წლამდე.

1917 წლის მაისში გააუქმეს ბათუმისა და ართვინის ადმინისტრაციული ოკრუგები.

შემდგომ პერიოდში აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ ინგლისელები ბატონობდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს დაამყარა აქ თავისი იურისდიქცია. 1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და იგი საქართველოსთან ერთად რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას შეუერთეს.

1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში გაუქმდა საპოლიციო უბნები და შეიქმნა მაზრები და სასოფლო თემები – 5 მაზრითა და 12 თემით; 1923 წელს სასოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ამ პერიოდში შედიოდა ჭოროხის, მისი ნაწილი კი, აჭარისწყლის მაზრაში. 1930 წელს მაზრები

შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები – სასოფლო საბჭოებით. 1940 წლისთვის აჭარაში შედიოდა 4 რაიონი და 1 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბათუმი, მათ შორის ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონი ცენტრით ბათუმში. ასეთივე მდგომარეობაა 1950-იანსა და 60-იანი წლების დასაწყისში. 1962 წელს ბათუმის, ქობულეთის და შუახევის რაიონები გააუქმეს და შუახევი ხულოს შეუერთეს, (რომლისგანაც ის გამოყვეს 1952 წელს), ხოლო ბათუმისა და ქობულეთის რაიონები გააერთიანეს და შექმნეს ჩაქვის რაიონი ცენტრით დაბა ჩაქვში, რომელიც 1964 წელს გააუქმეს და კვლავ აღდგა ადრინდელი მდგომარეობა. მაგრამ 1970 წელს ბათუმის რაიონის ნაცვლად მას ეწოდა ხელვაჩაურის რაიონი, ცენტრით დაბა ხელვაჩაურში. ამის შესახებ საქართველოს კპ ხელვაჩაურის რაიკომის და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო გაზეთი "ოქტომბრის გზით" ქრონიკის რუბრიკის ქვეშ იტყობინება: "საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის ბრძანებულებით დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება ბათუმის რაიონის ცენტრის ქალაქ ბათუმიდან დაბა ხელვაჩაურში გადატანისა და ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის რაიონად გადარქმევის შესახებ" ("ოქტომბრის გზით", №91 (2709), 1970). მდგომარეობა არ შეცვლილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე. 2006 წლიდან ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონს ეწოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი. 2009-2011 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქ ბათუმის საზღვრების გაფართოების გამო. ბათუმს გადაეცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ათამდე სოფელი, დაბა მახინჯაური და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ხელვაჩაური, ამიტომ მუნიციპალიტეტის მმართველობა ქალაქ ბათუმშია განთავსებული.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკური ცხოვრების საბჭოთა პერიოდი არაფრით განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირში საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპული ცხოვრების რიტმისაგან. 1970 წლის დასაწყისში აქაც დიდი ენთუზიაზმით იზიარებენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის", რომელშიც ნათქვამია, რომ „ლენინის უკვდავი იდეები, მისი ცხოვრების დიადი გმირობა შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის" („ოქტომბრის გზა", №2 (2620), 1970).

რაც შეეხება საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი მაშინდელი ხელვაჩაურის რაიონში გამომჟღავნებულ პოზიციას, აქაც ადრევე დაიწყო ეროვნული მრწამსის

პიროვნებათა თავმოყრა, ძირითადად ძმების – ბესარიონ და ივერი ბიბინეიშვილების გარშემო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული უმძიმესი ტრაგედიისადმი ხელვაჩაურის რაიონის ოფიციოზის დამოკიდებულება ისევე ყალბი, დემაგოგიური და სტერეოტიპულია, როგორც მაშინდელი საქართველოს ოფიციალური ხელისუფლებისა.

ამ მოვლენას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ხელვაჩაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოში, გაზეთ „ოქტომბრის გზაში“ მიეძღვნა ორი წერილი - 1) „საქართველოს პარტიული აქტივის კრება“ და 2) „გვმართებს გონიერება“. პირველი მათგანი ეხება იმ ავბედით 1989 წლის 8 აპრილს გამართულ აქტივის კრებას, რომელზედაც გადაწყდა თბილისში მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა დარბევა და რომელშიც აშკარად სჭარბობს სახელისუფლებო არხებიდან მომდინარე მოვლენათა პროკომუნისტური შეფასებანი. მასში ნათქვამია, რომ მომიტინგე-მანიფესტანტები „... მიმართავდნენ აშკარა პროვოკაციულ მოქმედებას, ცდილობენ, საბოტაჟი გაუწიონ სასწავლებლებისა და სამრეწველო საწარმოების მუშაობას, ხელი შეუშალონ სამოქალაქო ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას... საჭიროა ყველა პატიოსანმა მოქალაქემ, ყოველმა კომუნისტმა და უპარტიომ მკაფიოდ განსაზღვროს თავისი ადგილი ამ სიტუაციაში, დაუპირისპიროს დემაგოგიას პრინციპულობა და მტკიცე რწმენა...“ - აღნიშნავს გაზეთი. ხოლო წერილი - „გვმართებს გონიერება“ წარმოადგენს ჩვეულებრივ საინფორმაციო კომუნიკეს რეჟიმისათვის დამახასიათებელი კომუნისტური ფრაზეოლოგიით, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებენ „... არ აჰყვნენ ექსტრემისტთა შესაძლო პროვოკაციებს. თავი შეიკავონ ყოველგვარი კანონ საწინააღმდეგო ქმედებისაგან, რომელთაც შეიძლება კიდევ უფრო შეუქცევადი გახადონ მოვლენათა ტრაგიკული განვითარება“, კომუნისტებისათვის დამახასიათებელ სტილში აცხადებს გაზეთი („ოქტომბრის გზით“, №44 (6020), 1989). აქ ექსტრემისტებად, რა თქმა უნდა, ეროვნული მოძრაობის ძალებია ნაგულისხმევი და მათდამი გაისმის შეფარული მუქარაც.

მაგრამ, როგორც ცნობილია, თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბებს მოყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის არნახული გაძლიერება სრულიად საქართველოში და მან თავისი გამოძახილი ჰპოვა ხელვაჩაურის რაიონშიც. ბათუმის სახალხო ფრონტის ორგანოს - გაზეთ „კარიბჭეს“ 1989 წლის მე-4 ნომერში ვკითხულობთ: „ხელვაჩაურის რაიონში შეიქმნა თანამოაზრეთა კლუბი „ხორუმი“, რომელიც გახდა საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი; ბათუმის სახალხო ფრონტი მიესალმება კლუბ „ხორუმის“ შექმნას და სთავაზობს ყოველმხვრივ თანადგომას ქართველი ერის მომავლისათვის ბრძოლაში“ („კარიბჭე“, №4, 1989). აქვე 1990 წლის მაისიდან გამოდიოდა ხელვაჩაურის სახალხო ფრონტის გაზეთი

“მაჭახელა”, სულ გამოვიდა მისი 36 ნომერი, (ბათუმის აკაკი წერეთლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამდენია დაცული, მათგან – 6 – 1990 წლისაა, 11 – 1991-სა და 19 კი – 1992 წლისა).

მეტად საინტერესოა გაზეთ “მაჭახელას” პოლიტიკური ჰაბიტუსისათვის თვალის გაყოლება; მისი გამოცემის დასაწყისიდან ზოგადქართულ ეროვნულ პრობლემებზე მოქადაგე ორგანოდან იგი თანდათანობით, განსაკუთრებით საქართველოში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, გადაიქცა პუტჩისტთა ერთ-ერთ მთავარ ტრიბუნად აჭარაში. მისი ამგვარი პოზიციის დამადასტურებელია 1992 წლის იანვრის აღნიშნული გაზეთის პირველ ნომერში გაზეთის მესვეურთა მიერ საქართველოს მიმდინარე სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისადმი გამოხატული დამოკიდებულება წერილში სათაურით, „ნუ განიკითხავ”; ამასთან აქვე მოთავსებულია აჭარის ა. რ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: “რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა... მოითხოვს უზენაესი საბჭოს სესიის მიერ ვითარების დროულად შეფასებას, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების განსაზღვრას...”. მოითხოვდნენ უახლოეს პერიოდში აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის დანიშვნას და მისი დღის წესრიგში – “საქართველოში მომხდარი მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას, საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ” საკითხის შეტანას (“მაჭახელა”, №1 (17), 1992). მაგრამ ამ მოვლენათა შეფასება სესიის მიერ, მათი აზრით, აუცილებლად დადებითი უნდა ყოფილიყო. აქვე მოცემულია მიმართვა “საქართველოს სახალხო ფრონტისაგან”, რომელშიც იგი ცდილობს, მოიხსნას პასუხისმგებლობა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და იქვე გაკეთებულია ცილისმწამებლური განცხადებანი კანონიერ ხელისუფლების დამცველთა მიმართ და სხვა (ოქროპირიძე, 2009: 143-146).

ხელვაჩაურის რაიონიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში კენჭს იყრიდნენ დეპუტატობის კანდიდატები: ზურაბ თანდილავა და ბესარიონ ბიბინეიშვილი (ორივე ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“), ევგენი თავდგირიძე (საქართველოს სახალხო ფრონტი), გოჩა მიქელაძე (საქართველოს რესპუბლიკური პარტია), მურად ჩავლეიშვილი (კომუნისტური პარტია) და სხვ. (“ჭოროხი”, №125, 1990). მათგან ბესარიონ ბიბინეიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად ბლოკ “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პროპორციული სიით. მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. იგივე პიროვნება გახდა ხელვაჩაურის რაიონის პირველი პრეფექტი.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მშვიდობიანი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესი საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა და 1991 წლის 22 დეკემბრის დილას თბილისში დაიწყო შეიარაღებული პუტჩი, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტურის გაზეთში "კახაბერი" ასე აისახა. წერილში "ვეცადოთ ყოველმა ქართველმა ირგვლივ მშვიდობა დაამყაროს" პუტჩის ორგანიზატორებად დასახელებულია საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე თ. სიგუა და ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი თ. კიტოვანი. იქვე ნათქვამია, რომ "ოპოზიცია მოითხოვს დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტისა და კანონიერი მთავრობის გადადგომას". ამასთანავე მოცემულია აღნიშნული მოვლენის ასლან აბაშიძისეული შეფასებაც, სადაც ნათქვამია: "... ეს ძალები ავტომატებითა და ქვემეხებით იბრძვიან ხელისუფლების დასამხობად. ისინი ვერ მოგვიტანებენ სიკეთეს... მე იძულებული ვიქნები პირველი შემთხვევისთანავე მივმართო მოსახლეობას ატაროს იარაღი, რომ საფრთხის ჟამს დაუცველი არ დარჩეს..." („კახაბერი", 1991)

აღნიშნული მოვლენების შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ისევე როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა, ჩართული აღმოჩნდა იმ პროცესებში, რომლებიც საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად განვითარდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ხელმძვანელობასთან ერთად, შესძლო აჭარაზე პუტჩისტთა შემოტევების მოგერიება. რეგიონში ასლან აბაშიძის მართველობის დრომდე, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის უკანონო რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ხელისუფლება დამყარდა, რომელმაც ძალაუფლება 2004 წლის 6 მაისამდე შეინარჩუნა.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში მომხდარი მორიგი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განვითარებული მოვლენების შედეგად, 2004 წლის 6 მაისს, ასლან აბაშიძე გაძევებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებიდან და აქ მოხდა მის მიერ შექმნილი სახელისუფლებო სტრუქტურების თითქმის სრული დემონტაჟი, მათ ადგილზე კი ახლის ჩამოყალიბება.

დღეისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 1926 წლიდან 1999 წლამდე 3,9-ჯერ გაიზარდა და 25,4 ათასიდან 92,9 ათასამდე მიაღწია. მის შემადგენლობაში შედიოდა 2 დაბა, 12 სასოფლო თემი და 74 სოფელი. 2009-2011 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქ ბათუმის საზღვრების გაფართოების გამო. ბათუმს გადაეცა ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტის ათამდე სოფელი, დაბა მახინჯაური და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ხელვაჩაური. ამიტომ მუნიციპალიტეტის მმართველობა ამჟამად ქ. ბათუმშია განთავსებული. უშუალოდ მუნიციპალიტეტის მმართველობაში მყოფ დასახლებებში 2014 წლის მონაცემებით ცხოვრობდა 51 189 კაცი (სული), 2016 წლის მონაცემთა მიხედვით – 62 828 მცხოვრები, ხოლო უახლესი, 2018 წლის მონაცემებით - 52 100. მისი ეროვნული შემადგენლობა ასე გამოიყურება - ქართველი 99. 3 %, სომხები -0.2 %, რუსები - 0.2%, აფხაზები -0.1%, ხოლო სარწმუნოებრივად: მუსლიმები - 56.3 %, მართლმადიდებელი ქრისტიანები - 36.4 %.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი ნაწილი მთაგორიანია და ხასიათდება მცირემიწიანობით. მუნიციპალიტეტი სპეციფიკურია თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჰავა, ისევე როგორც შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლისა, წარმოადგენს ნოტიო-სუბტროპიკული ჰავის სახესხვაობას და იგი ჩვეულებრივ გამოირჩევა ტემპერატურის უმნიშვნელო რყევადობით.

მუნიციპალიტეტში, ძირითადად, სოფლის მეურნეობაა წამყვანი დარგი (ციტრუსები, ჩაი, მეცხოველეობა). ფუნქციონირებს მცირე ბიზნესის საწარმოები. მოქმედებს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური: „ხელვაჩაური 1“, მაჭახელჰესი, კირნათიჰესი და სხვ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ცხემლარის უნიკალური თაღოვანი ხიდი, გვარას, ჩხუტუნეთის ციხეები და სხვა; ფუნქციონირებს ეთნოგრაფიული მუზეუმი კახაბერში და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მაჭახლის ხეობაში. მოქმედებს ეკლესიები და მამათა მონასტერი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთავრდება საერთაშორისო გზატკეცილები ბათუმი-ახალციხე და ბათუმი-სამტრედია-სოჭი. ეს უკანასკნელი სამხრეთით თურქეთის საზღვრამდე სოფელ სარფამდე ვრცელდება. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზაა აჭარისწყალი-კირნათი. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 187,850 კმ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სამუსლიმანო საქართველოს ისეთი გამოჩენილი პიროვნებანი, როგორებიც იყვნენ მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, პირველი ქართველი გენერალი სამუსლიმანო საქართველოდან ასლან აბაშიძე, ყედირ შერვაშიძე, ქემალ ქიქავა და სხვები.

**ქვეყნის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი.** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, როგორც მასალა გვიჩვენებს, ყველა იმ თავდაცვით ომებსა და სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ყოფილი საბჭოთა

კავშირში, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო აწარმოებდა, მონაწილეობდა. აქედან დღეისათვის II მსოფლიო ომის მონაწილე ინვალიდთაგან აჭარის ა. რ. ვეტერანთა საბჭოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზე დარჩენილია მხოლოდ 3 (სამი) ამ ომის მონაწილე ვეტერანი პიროვნება, ავღანეთი-საბჭოთა კავშირის საომარ ოპერაციებში მონაწილეობა მიუღია 79 კაცს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში იბრძოდა 142 მებრძოლი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში კი, მონაწილეობდა 190 მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაწვეული ჯარისკაცი.

რუსეთ-საქართველოს ამ ბოლო ომის მონაწილეა ირაკლი აბიბიკო, რომელიც საბრძოლო ოპერაციის დროს ნაღმზე აფეთქდა, თუმცა გადარჩა და დღეს ცხოვრობს ქალაქ ბათუმში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარიდან იყო მოტომსროლელთა ოცმეთაური მინდია აბაშიძე, რომელიც გმირულად დაიღუპა კუვეიტში 2012 წლის 11 ოქტომბერს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის დროს. მინდია აბაშიძის სახელი მინიჭებული აქვს მისი მშობლიური სოფლის, თხილნარის საჯარო სკოლას. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ტარდება მინდია აბაშიძის სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში, რომლის ფინალიც ყოველწლიურად იმართება 27 ოქტომბერს. ტურნირის მსვლელობისას და განსაკუთრებით ფინალურ მატჩზე იწვევენ იმ სამხედრო ნაწილის ოფიცრებსა და ხელმძღვანელობას, სადაც მინდია აბაშიძე მსახურობდა, ამასთან მას ესწრებიან მინდიას ოჯახის წევრები.

როგორც ვხედავთ, დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების კვალი ათასწლეულებში იკარგება, ხოლო ნეოლითის ხანიდან, კერძოდ, ძვ წ.აღ-ის VIII-VII ათასწლეულებიდან, მის ტეროტორიაზე, თანამედროვეობამდე ადამიანის აქტიური მოქმედების უწყვეტი ჯაჭვია მოცემული. აქ დაფიქსირებულია ენეოლითის, ბრინჯაოსა თუ რკინის ხანის ყველა პერიოდის ძეგლები და უწყვეტი განვითარება თანამედროვე პერიოდამდე მოდის.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები


**აჭარის ავტონომიური.., 2011:** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტარეტეგია, 2011.

**სამხრეთ-დასავლეთ.., 2007**: - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.I, თბ., 2007.

**სამხრეთ-დასავლეთ.., ტ. II, 2008:** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, ბათ., 2008.

**სამხრეთ-დასავლეთ..., ტ. III, 2008:** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, ტ. III, ბათ., 2008.

**ხახუტაიშვილი, 1995: -** ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის „ქვეყანა“, ბათ., 1995.

**ქორიძე, 1965:** - ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

**რამიშვილი, 1974: -** რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974.

**ქართლის..., 1955:** - ქართლის ცხოვრება, I, 1955.

**ბერიძე, 1975:** - ბერიძე კ., მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივა აჭარაში, ბათ., 1975.

**კახიძე ა., მამულაძე, 2000:** კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათ., 2000.

**ხაზარაძე, 1984:** ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო 2011 პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984.

**კომახიძე, 2003:** - კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ. I, ბათ., 2003.

**გოგიტიძე, 2002:** - გოგიტიძე ს., აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათ., 2002.

**გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ... 2002:** - გოგიტიძე ს., სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ. XII-IV ს.ს.) ბათ., 2002.

**ბერძენი... 1983:** - ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983.

**ფლავიუს... 1961:** - ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.

**ლომოური, 1955:** - ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემაიოსი „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები, მსკი (მასალები საქართველოს კულტურის ისტორიიდან), 32, თბ., 1955.

**ლომოური, 1958:** - ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, თბ., 1958.

**ყაუხჩიშვილი, 1950-1951:** - ყაუხჩიშვილი ს., ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,X, 1950–1951.

**ყაუხჩიშვილი, 1941: -** ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941.

**ჯანაშვილი, 1884:** - ჯანაშვილი მ., საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1884.

**გორგაძე, 1915:** - გორგაძე ს., საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1915.

**ბერძენიშვილი, 1971:** - ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1971.

**მიქაელ..., 1960:** - მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, თარგმნა და გამოსცა ალ. გამყრელიძემ, მსკი, ნაკვეთი 33, თბ., 1960.

**აბულაძე, 1983**: - აბულაძე ც., თურქული წყაროები XVI საუკუნის პირველი მეოთხედის სამცხე–საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983.

**სვანიძე, 1960:** - სვანიძე მ., საქართველო–თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან XVIII საუკუნის დამდეგს, ამშ, IV, ბათ., 1960.

**სვანიძე, გიორგი ...1960:** სვანიძე მ., გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის წარსულზე– „გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათ., 1960.

**ცინცაძე, 1980:** - ცინცაძე ზ., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ–ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სდსძ, IX, თბ., 1980.

**თურმანიძე, 2005:** - თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში (1878–1928 წ.წ.), ბათ., 2005.

**ფუტკარაძე, 2001:** - ფუტკარაძე მ., აჭარა, ბათ., 2001.

**ოქროპირიძე, 2011:** ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი, 2011.

**Василевский, 1909:** - Василевский В., хождение Апостольяя Андрея в стране мирмидонян, Труды, вып. I, 1909.

**Эсадзе, 1913:** - Эсадзе Б., Летопись Грузии, 1913.

**Пятый..., 1882:** - Пятый Археологический съезд в Тифлисе-Протоколы подготовительного комитета, Москва, 1882.

**„ოქტომბრის გზით“, №91(2706), 1970:** - გაზ. „ოქტომბრის გზით“, №91(2706), 1970. 6. 08.

**“ოქტომბრის გზით”, №2 (2620), 1970:** - გაზ. “ოქტომბრის გზით”, №2 (2620), 1970. 6. 01.

**“ოქტომბრის გზა”, №44 (6020), 1989:** - გაზ. “ოქტომბრის გზა”, №44 (6020), 1989. 12. 04.

**“კარიბჭე”, 1989**: – გაზ. “კარიბჭე”, №4, 1989. 10. 09.

**“ჭოროხი”, №125, 1990:** - გაზ. “ჭოროხი”, №125, 1990. 23. 10.

**„კახაბერი“, 1991:** – გაზეთი “კახაბერი” (ხელვაჩაურის პრეფექტურის ორგანო), 1991 წ., დეკემბერი, №126.

**“მაჭახელა”, №1 (17), 1992:** - გაზ. “მაჭახელა”, №1 (17), 1992, აპნისი (იანვარი).

**ოქროპირიძე, 2009:** - ოქროპირიძე უ., საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე პერიოდი და აჭარა (1988. X. -1994. 1. III), გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

**http://www.ajara.gov.ge/geo/?page=khelvachaui**

**http://wwwhp.ru/adjara.htm**

**https://ka. Wikipedia.org/wiki/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.**

**Communal@gtz.de**

**www.gtz.de**

**ოთარ თურმანიძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის*
*განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
**Otar Turmanidze**
*Doctor of Historical Sciences, Principal Researcher,*
*Department of History and Archaeology,*
*Niko Berdzenishvili Institute,*
*Batumi Shota Rustaveli State University*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა 1921-1990 წლებში

# AGRICULTURE OF KHELVACHAURI MUNICIPALITY IN 1921-1990 YEARS

**აბსტრაქტი:** სტატიაში განხილულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, წარმოების და მართვის ფორმები. აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია ბუნებრივ-კლიმატური პირობებით არაერთგვაროვანია, რის გამოც სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. ზღვისპირა ზოლში წამყვანი დარგი იყო ჩაის კულტურა და ციტრუსები. მთისწინა და მთიან ზონაში - მეთამბაქოება, მევენახეობა და მეხილეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფორმები იყო სახელმწიფო მეურნეობა, კოლმეურნეობა, სამეურნეობათაშორისი ორგანიზაციები.

სტატიაში დახასიათებულია სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური, წარმოებისა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გაანალიზებულია ცვლილებები, რაც 1921-1990 წლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის მიმართულებით. ნაჩვენებია ამ ცვლილებათა შედეგები. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მართვის ფორმები ისტორიის კუთვნილება გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** ჩაის კულტურა, ციტრუსოვნები, მეთამბაქოება, ეკონომიკა, კოლმეურნეობა.

**Abstract** - The article discusses the natural and human-made resources of Khelvachauri municipality. It is noted that during the Soviet time the name of the structure and administrative-territorial bound aries were changed several times. As a result, both natural and human-made resources have undergone changes.

There are studied some economic cases of history of Khelvachauri municipality such as: Tea farming,Citrus farming, Tobacco farming,fruit growing, animal husband and so on. The socio-economic condition of state (Soviet) farming and peasant farming is discussed as well. The article also discusses industry and construction. At the end of the article it is summarizest hemain results of the study.

**Key words:** Tea culture, Citrus, tobacco cultivation, Economics, Collective farm.

## 1. აგრარული რეფორმა და ახალი ტიპის საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი

სოფლის მეურნეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოების საბჭოური წესის ჩამოყალიბება და ახალი ტიპის საწარმოთა მშენებლობა გასაბჭოებიდანვე დაიწყო. ამასთან, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შედეგად იცვლებოდა ეკონომიკის განვითარების რესურსები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი 1922 წელს შეიქმნა ჭოროხის მაზრის სახელწოდებით. თავდაპირველად მისი ტერიტორია 200 კვ. კმ.-ს შეადგენდა (ასსცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 35, ფურც. 2). 1925 წელს ჭოროხის მაზრა ქალაქ ბათუმთან გაერთიანდა და ეწოდა „ქალაქი ბათუმი და მისი მაზრა.“ 1927 წელს მასთან აჭარისწყლის მაზრა გაერთიანდა. 1930 წელს ბათუმის რაიონი გამოეყო ქალაქს და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა. 1971 წელს ბათუმის რაიონს ეწოდა ხელვაჩაურის რაიონი.

ტერიტორიული ცვლილებების შედეგად გაიზარდა ბუნებრივი და შრომითი რესურსები. ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორია 1959 წელს 416 კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 42870 სულს შეადგენდა (საოწ, 1961:9-10). ამრიგად, 1923 წლის მაჩვენებელს ტერიტორიის მოცულობით 2-ჯერ, ხოლო მოსახლეობის ოდენობით 4-ჯერ და მეტად აღემატებოდა. მაგრამ მიწის სავარგულებით რეგიონი ღარიბია. მაგალითად, 1923 წელს ჭოროხის მაზრის მიწის სავარგულების საერთო ფართობი 7402 დესეტინას შეადგენდა, ხოლო თითო სულზე - 0.5 დესეტინა მოდიოდა. 1953 წელს მიწის საერთო სავარგულები 11,3 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო თითო სულზე 0,26 ჰექტარი მოდიოდა (საოწ, 1961: 10, 43). 1923 წლისათვის

გამოსადეგი მიწების დიდ ნაწილს ფეოდალები (აღა-ბეგები) და უცხოელი კოლონისტები ფლობდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პროგრამის საფუძველზე გასაბჭოების პირველ წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც საერთოდ საქართველოში, განხორციელდა მიწების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია. კონფისკირებული მიწების დიდი ნაწილი გადასცეს უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს. მეორე ნაწილზე სახელმწიფო მეურნეობები მოეწყო. თავდაპირველად ოთხი სახელმწიფო მეურნეობა შეიქმნა (ფერიის, სოუქსუს, თამარისა და ბარცხანის დასახლებაში). საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებდა სოფლად ახალი ტიპის საწარმოების - სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობის შექმნას. სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობებისათვის გამოიყენებოდა როგორც მოახალშენეთა კონფისკირებული მამულები, ისე დაუსახლებელი მიწები. მიუხედავად იმისა, რომ ხელვეჩაურის მუნიციპალიტეტი მცირემიწიანია, სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობებისათვის შესაბამისი ტერიტორია გამოიძებნა, ამის შედეგად დაიწყო ახალი ტიპის საწარმოების - სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა. ცხადია, ეს იყო დადებითი ღონისძიება.

საქართველოს მთავრობის 1929 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით მოეწყო მახინჯაურის, გონიოს, ახალშენის, მახვილაურის, თხილნარის სახელმწიფო მეურნეობები. მეჩაიეობის სპეციალური სახელმწიფო მეურნეობა იყო სალიბაურში, რომელიც 1930 წლიდან „საქჩაის“ დაქვემდებარებაში შედიოდა. დანარჩენი სახელმწიფო მეურნეობების მაპროფილებელი დარგი იყო ციტრუსოვანი კულტურები. ისინი შედიოდნენ აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დაქვემდებარებაში. 1930 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ურეხისა და კახაბრის სოფლად შეიქმნა მებოსტნეობის სახელმწიფო მეურნეობები, მაგრამ დაბალი რენტაბელობის გამო მოკლე დროის მანძილზე ფუნქციონირებდა. ამის შემდეგ მებოსტნეობის წარმოება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო მეურნეობებს დაეკისრათ. XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 7 სახელმწიფო მეურნეობა ითვლებოდა. მათგან ერთი იყო მეჩაიეობის (სალიბაურის), ხოლო დანარჩენებში მაპროფირებელი დარგი იყო ციტრუსები.

ფართო მასშტაბის აგრარული რეფორმა იყო გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც მთლიანად საქართველოში, იგი დაიწყო საკავშირო კომპარტიის XV ყრილობის შემდეგ (1927 წ. დეკემბერი).

XX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლად კოლექტივიზაციის ძირითადი ფორმა იყო მიწის საზიარო

დამმუშავებელი ამხანაგობა. 1935 წლის დასაწყისში 40 კოლმეურნეობიდან სასოფლო სამეურნეო არტელი იყო მხოლოდ 9. დანარჩენი 31 კოლმეურნეობა მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობას წარმოადგენდა. პირველი კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით შეიქმნა. მაგალითად, მეჩაიეობის, მეთამბაქოების, მეცხოველეობის და ა. შ.

კოლმეურნეობებში უფრო მეტად მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები შედიოდნენ, რადგან მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. საშუალო გლეხი მერყეობდა, ხოლო შეძლებული გლეხები კოლმეურნეობების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. მაგალითად, 1930 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 858 კაცი, მათ შორის მოჯამაგირე იყო 102, ღარიბი - 598, საშუალო გლეხი - 199, დანარჩენი წევრი იყო 39 კაცი (ბსმსრდ, 1986:412). ამრიგად, მოჯამაგირეები და ღარიბები კოლმეურნეობათა საერთო წევრები 77%-ს შეადგენდნენ.

XX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც საერთოდ აჭარაში, სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადასვლა არ იგეგმებოდა. კოლექტივიზაციის ძირითად ფორმად რჩებოდა მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად გამოიყენებოდა ეკონომიკური ღონისძიებები. კულაკი დაბეგრილი იყო მაღალი გადასახადებით, ჩამორთმეული ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან არსებითად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფორმების და კულაკების მიმართ. იძულებით დაიწყო გლეხური მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადაყვანა და კულაკების ლიკვიდაცია. სასოფლო სამეურნეო არტელზე გლეხური მეურნეობის გადაყვანა ოფიციალურად ნებაყოფლობითი იყო. სინამდვილეში იძულების მეთოდებს იყენებდნენ, მათ შორის პოლიციურ ძალებსაც. 1937 წლიდან გაიზარდა კულაკების დაპატიმრება-გადასახლებები, დახვრეტები.

1941 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 38 სასოფლო-სამეურნეო არტელი ითვლებოდა. მათში გაერთიანებული იყო 4664 მეურნე. კოლექტივიზაციის მაჩვენებელმა 92,9% უდრიდა. მთლიანად აჭარაში კოლექტივიზაციის მაჩვნებელი 97,2%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის აჭარაში 471 კერძო მეურნე ითვლებოდა. მათი დიდი ნაწილი (354) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე მოდიოდა (ბსმსრდა, 1986:232). ამრიგად, აგრარული რეფორმის მეორე ეტაპზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ძირითადად დასრულდა გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. კერძო მეურნეები,

რომელთა ფარდობითი მახასიათებლები 1940 წლის ბოლოს 7,1%-ს უდრიდა, 1945 წლისათვის აღარ არსებობდნენ. გლეხობა მთლიანად გაერთიანებული იყო კოლმეურნეობებში.

აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად ხელვაჩაურის სოფლის მეურნეობაში არსებობდა წარმოების სამი ფორმა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები. სახელმწიფო მეურნეობებს ხელისუფლება აფინანსებდა და განსაზღვრავდა წარმოების გეგმებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს, სახელფასო განაკვეთებს. კოლმეურნეობები კოოპერაციულ საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ სახელმწიფო ერეოდა მათ საქმიანობაში. ფაქტობრივად სახელმწიფო ადგენდა კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებს, პროდუქციის სახელმწიფოს შესყიდვის ფასებს, მართვისა და შრომის ორგანიზაციის ფორმებს. შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმად დაადგინეს ბრიგადა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც მთლიანად აჭარაში, გლეხებს ინდივიდუალურ საკუთრებაში ეძლეოდათ 0.75 ჰექტრამდე სავარგული. ოფიციალურად ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა დამხმარედ ითვლებოდა. სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული რეფორმის ძირითადი შედეგი იყო ახალი ტიპის საწარმოების - სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ჩამოყალიბება. მაგრამ მათი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო. საწარმოებს არ გააჩნდათ სამიწათმოქმედო ტექნიკა, არასაკმარისი იყო ფინანსები წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. მრავალწლიანი ნარგავები, შემოსავალს მრავალი წლის შემდეგ იძლეოდა. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვანი არ ყოფილა. მაგალითად, 1940 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 106610 რუბლს შეადგენდა. მაშინ საკოლმეურნეო სექტორში 4680 კომლი და 7477 წევრი ითვლებოდა (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 1423, ფურც. 72-87).

ჩვენი გაანგარიშებით საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 123 კომლი, 197 წევრი და 2805 რუბლი ფულადი შემოსავალი. ერთ შრომადღეზე გაიცა 0,55 კაპიკი (ასსცსა, ფ. რ-84, ან.1, ს. 1423, ფურც. 7-87). კოლმეურნის შრომის სავალდებულო მინიმუმი 80 შრომადღე იყო. ამის მიხედვით ერთი კოლმეურნის წლიური ფულადი შემოსავალი 40 რუბლს უდრიდა. ცხადია, კოლმეურნეობებში გლეხის შრომა ნამდვილ ბეგარას განასახიერებდა. 1941-1945 წლების ომის პირობებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაუფასურდა ფულის კურსი, თითქმის შეწყდა დახმარება

სახელმწიფოს მხრიდან კოლმეურნეობებისადმი. შემცირდა შრომისუნარიანი მუშახელის რაოდენობა (7477-დან 5773 კაცამდე). მართალია, 1945 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 203850 რუბლამდე, ხოლო შრომის ანაზღაურება 6,6 რუბლამდე გაიზარდა, მაგრამ ფულის კურსი იმდენად იყო გაუფასურებული, რომ ეს შემოსავალი არარაობას წარმოადგენდა (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 1620, ფურც. 70).

სახელმწიფო მეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. მართალია, ისინი საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში და 1941-1945 წლებში სიძნელეებს განიცდიდნენ, მაგრამ სახელმწიფო დაფინანსებაზე იმყოფებოდნენ და ზარალის შემთხვევაში მთავრობა დოტაციას აძლევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობებში მძიმე ფიზიკური სამუშაოები გლეხების მასობრივი მობილიზაციის შედეგად ანაზღაურების გარეშე სრულებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პროგრამა. ძირითადი ამოცანები მოცემულია საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში და მეოთხე ხუთწლიან გეგმაში (1946-1950). ამ ამოცანების შესრულებისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. მეოთხე ხუთწლედში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაარსდა ჭარნალის ციტრუსების სახელმწიფო მეურნეობა, რომელიც მოგვიანებით თხილნარის სახელმწიფო მეურნეობასთან გაერთიანდა. ამასთან, 1950-1951 წლებში მოხდა კოლმეურნეობების გამსხვილება. ამ ღონისძიებას საფუძვლად ედო საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1950-1951 წლების დადგენილებები. გამსხვილების შედეგად აჭარაში კოლმეურნეობები 187-დან 127-მდე შემცირდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემცირდა 39-დან 23-მდე. ამის შედეგად დაიზოგა მნიშვნელოვანი ფულადი თანხები, შემცირდა შტატები და შრომადღეები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებები განხორციელდა XX საუკუნის 50-70- იან წლებში. 1962 წელს დაარსდა ბათუმის მერძეობის სახელმწიფო მეურნეობა და მეფრინველეობის ფაბრიკა. ამის შედეგად კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება სამრეწველო საწყისებზე მოეწყო. 1980 წელს მწყობრში ჩადგა ბათუმის უხეში საკვების ჰიდრობაროთერმული მეთოდით გადამმუშავებელი საწარმო, რომელსაც შეეძლო წლიურად 40-45 ათასი ტონა ნამჯის გადამუშავება (თურმანიძე, 2005:212).

მნიშვნელოვანი სიახლე იყო საკოლმეურნეობათაშორისო, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, აგროფირმებისა და აგროკომპინანტების შექმნა. საერთო შეფასებით ეს ღონისძიებები იყო ექსპერიმენტები, რომლებიც საკავშირო მასშტაბით ტარდებოდა. ამ ექსპერიმენტების მიზანი იყო საკოლმეურნეო - კოოპერაციული საკუთრების დაახლოება სახელმწიფო საკუთრებასთან და ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან, მაგრამ მათ სათანადო შედეგები არ მოჰყოლია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო საკოლმეურნეობა-თაშორისო საწარმოების შექმნა. პირველი ასეთი საწარმოები იყო ჰიდროელექტროსადგურები. 1947-1950 წლებში ოთხი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური დაარსდა. 1957 წელს ექსპლოატაციაში შევიდა მაჭახლის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური. მისი წილობრივი მონაწილე იყო მუნიციპალიტეტი 17 კოლმეურნეობა. 1957 წელს ახალსოფელში დაარსდა მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა. 1960 წელს შეიქმნა ციხისძირის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომლის მონაწილე იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის 28 და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 12 კოლმეურნეობა. ფერმაში დასაქმებული იყო 50 კაცი. 60-იან წლებში შეიქმნა მეცხოველეობის უხეში საკვების დამზადების საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომლის მონაწილე იყო 44 კოლმეურნეობა (ქობულეთის მუნიციპალიტეტის - 26 და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის - 18 კოლმეურნეობა).

XX საუკუნის 70-იან წლებში საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები სამეურნეობათაშორისო გაერთიანებად გარდაიქმნა, რამდენადაც მათი წილობრივი მონაწილე გახდა სახელმწიფო საწარმოებიც. 1976 წელს ხელვაჩაურის რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წილობრივი მონაწილობებით შეიქმნა სამეურნეობათაშორისო გაერთიანება „ცხოველმრეწვი“. გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშრისო გაერთიანებანი ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა წარმოების აღმავლობისათვის. 1985 წელს რესპუბლიკური გაერთიანება „ცხოველმრეწვი“ გაუქმდა, რამდენადაც წამგებიანი აღმოჩნდა. XX საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოებისა და გადამმუშავებელი საწარმოების გაერთიანება. ამის შედეგად შეიქმნა აგროკომბინატები და აგროფირმები. მაგალითად, 1986 წელს შეიქმნა სალიბაურის აგროკომბინატი, რომელშიც შევიდა სახელმწიფო მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა. სოფელ მახოს კოლმეურნეობა აგროფირმად გარდაიქმნა, რამდენადაც მასთან გაერთიანდა ჩაის მიკროფაბრიკა.

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის საწარმოთა მართვის ფორმებს არსებითი ცვლილება არ განუცდია. სახელმწიფო მეურნეობებში დირექტორი ერთმმართველი იყო. წარმოების სტრუქტურაში შედიოდა განყოფილებები და

ბრიგადები. კოლმეურნეობებში წარმოების ძირითადი რგოლი იყო ბრიგადა. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო მართვის ვერტიკალურ რგოლებს. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა აგროსამრეწველო გაერთიანება. მასში გაერთიანდა, სოფლის მეურნეობის საწარმოებთან ერთად, კვების მრეწველობის, ტრანსპორტის, სამშენებლო საწარმოები.

ომისშემდგომ წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აგრარულ სფეროში მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ერთ-ერთი იყო ბუნებრივი რესურსების გამოძებნა წარმოების გაფართოებისათვის. მართალია, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიწის რესურსები შეზღუდულია, მაგრამ შესაძლებელი გახდა მიწის ახალი სავარგულების გამოვლენა. მდინარე ჭოროხის სანაპიროების გამაგრების შედეგად სოფლის მეურნეობას ახალი სავარგულები შეემატა. ამასთან, გაფართოვდა მუშაობა ჭაობების დაშრობისათვის. 1953 წლისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჭაობების დაშრობის შედეგად სოფლის მეურნეობამ მიიღო 1143 ჰექტარი სავარგული. ამ კატეგორიის მიწები 1960 წელს 1553 ჰექტრამდე გაიზარდა (საოწ, 1961:55). ჭაობებისაგან გამოთავისუფლებულ მიწებზე ბაღები გაშენდა 965 ჰექტარზე, სახნავად და სათიბად გამოყენებული იყო 300-მდე ჰექტარი (ასსცსა, ფ. რ-178 ან. 1, ს. 1597, ფურც. 34). ანალოგიური მუშაობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა მძიმე მდგომარეობაში იყო. 1930 წლის იანვრის ცნობით მთლიანად აჭარაში 3 ცალი ტრაქტორი, 83 გუთანი და 12 რკინის ფარცხი ითვლებოდა. გლეხობის ნაწილს სამიწათმოქმედო ტექნიკის შეძენის საშუალება არ ჰქონდა. ქვეყანაში საკმარისად ვერ აწარმოებდნენ საჭირო რაოდენობის სამიწათმოქმედო ტექნიკას. ამიტომ ტექნიკის გამოყენების მიზნით მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები შეიქმნა. ასეთი პუნქტი ხელვაჩაურის რაიონშიც შეიქმნა (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 617, ფურც. 79).

საბჭოთა ხელისუფლება სამიწათმოქმედო ტექნიკით პირველ რიგში სახელმწიფო მეურნეობებს ამარაგებდა. 1940 წლისათვის სატვირთო ავტომობილი ჰქონდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყველა სახელმწიფო მეურნეობას. სატრაქტორო მომსახურებას ბათუმის მანქანა-ტრაქტორთა სადგური უწევდა. რაც შეეხება კოლმეურნეობებს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 1940 წელს მხოლოდ 26 სატვირთო ავტომობილი ითვლებოდა. ამ რაოდენობის სატვირთო ავტომობილები არასაკმარისი იყო წარმოების ნორმალური მუშაობისათვის. კოლმეურნეობებს ტრაქტორები საერთოდ არ ჰქონდათ. გამონაკლისი იყო კახაბრის კოლმეურნეობა, რომელსაც გააჩნდა სტალინგრადის ქარხნის მიერ გამოშვებული

ერთი ცალი ტრაქტორი. ამჟამად იგი აჭარის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო ღია სივრცეშია განთავსებული. მუნიციპალიტეტის 38 კოლმეურნეობას 129 გუთანი, 23 რკინის ფარცხი და 32 რკინის ფოცხი ჰქონდა. ეს ტექნიკა 4680 საკოლმეურნეო კომლზე ნაწილდებოდა (ასსცსა, ფ. რ-84, ან. ს. 1423 ფურც. 72-87). ცხადია, ასეთ პირობებში ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღი ისევ ხის კავი და თოხი იყო.

ომისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში (1941-1950) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორი კვლავ განიცდიდა სამიწათმოქმედო ტექნიკის ნაკლებობას. პირველ რიგში არასაკმარისი იყო ტრაქტორები და სატვირთო ავტომობილები. ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა 60-80-იან წლებში. თუ 1950 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში 35 სატვირთო ავტომობილი, 5 ტრაქტორი, 6 ცალი სილოსის საჭრელი ითვლებოდა, 1965 წლისათვის სატვირთო ავტომობილები 109-მდე (სამჯერ), ტრაქტორები-66 ცალამდე (11-ჯერ და მეტად) გაიზარდა. მაშინ ხელვაჩაურის რაიონში 25 კოლმეურნეობა აღირიცხა. საშუალოდ თითო კოლმეურნეობაზე 4 სატვირთო ავტომობილი და 2,5-ზე, მეტი ტრაქტორი მოდიოდა (სცსსა, ფ. 288, ან. 17, ს. 15011, ფურც. 44-97; ასსცსა, ფ. რ-178, ან. 1, სს. 1594, 1607).

XX საუკუნის 80-იან წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორი უზრუნველყოფილი იყო სატვირთო ავტომობილებითა და ტრაქტორებით. 1985 წელს კოლმეურნეობებს გააჩნდათ 145 ტრაქტორი და 229 სატვირთო ავტომობილი. მაშინ მუნიციპალიტეტში 17 კოლმეურნეობა ითვლებოდა. თითოეულ მათგანზე მოდიოდა 8 თუ 9 ტრაქტორი, 13-14 სატვირთო ავტომობილი. 1989 წელს სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა 403 სატვირთო ავტომობილი, 334 ტრაქტორი, 46 სატრაქტორო გუთანი, ამდენივე კულტივატორი (ასსცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 3545, ფურც. 2). ამ რაოდენობის ტექნიკა აკმაყოფილებდა ეკონომიკის აგრარული სექტორის მოთხოვნებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 1965 წელს 7 საბჭოთა მეურნეობა და ერთი მეფრინველეობის ფაბრიკა არსებობდა. ხუთი საბჭოთა მეურნეობა სპეციალიზებული იყო ციტრუსოვანი კულტურის წარმოებაზე, ერთი-მეჩაიეობაზე (სალიბაური), ერთიც- მერძევეობა მებოსტნეობაზე (ბათუმის). 1981 წელს ახალსოფელში შეიქმნა მებოცვერეობის სახელმწიფო ფერმა, რომელიც არარენტაბელური გამოდგა და მალე დაიხურა. სახელმწიფო მეურნეობების დაარსება და განვითარება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, ჩამოყალიბდა ინტელიგენციის აგრარული ჯგუფი, ამასთან ქვეყნის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები შედიოდა.

მთლიანობაში აღებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1965 წელს 1709 კაციდან 1985 წელს 1989-მდე გაიზარდა (ასსცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს 3314, ფურც. 41-46).

ხელვაჩაურის კოლმეურნეობებს განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები ჰქონდათ. ბარის ზონაში, სადაც ჩაი და სუბტროპიკული კულტურები ხარობდა, კოლმეურნეობები მაღალი რენტაბელობით გამოირჩეოდნენ. მაგრამ მთისწინა სოფლებში კოლმეურნეობები დაბალრენტაბელური და ზარალიანი იყვნენ. ამ კატეგორიის კოლმეურნეობები არსებობდნენ აჭარისწყლის, მაჭახლის და ლიგანის ხეობებში.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საკავშირო და საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარეს ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელური კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისათვის. მათ ჩამოწერეს სახელმწიფო ვალები, შემცირდა დებიტორული დავალიანებები, გაათავისუფლეს საშემოსავლო გადასახადისაგან. ეს ღონისძიებებიც ნაკლებეფექტური აღმოჩნდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის დადგენილებით „მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მომუშავე კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობების ნაწილს დოტაცია ეძლეოდა ძლიერი კოლმეურნეობების შემოსავლების ხარჯზე (წლიური შემოსავლის 2%-ის გადარიცხვით). ამ წესით ხელვაჩაურის რაიონის ზარალიანმა და ნაკლებად რენტაბელურმა კოლმეურნეობებმა 1970 წელს 20000 რუბლი დოტაცია მიიღეს. მომდევნო წლებში დოტაციის ოდენობა გაიზარდა (თურმანიძე, 2005:254-255). მაგრამ აღნიშნული ღონისძიება სოციალურ-ეკონომიკურად არასწორი იყო, რადგან იგი სხვის კმაყოფაზე არსებობის ინსტიქტს წარმოშობდა.

ომამდე და ომისშემდგომ აღდგენით წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში სპეციალისტების დიდი ნაკლებობა იყო. მაგრამ 60-80-იან წლებში ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილი გახდა სპეციალისტებით. მაგალითად, 1980 წლის ბოლოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 17-ვე კოლმეურნეობას ემსახურებოდა 47 აგრონომი, 9 ზოოტექნიკოსი, ამდენივე ვეტექიმი, 6 ინჟინერ-ტექნიკოსი. ამ რიცხვში არ შედის მთავარი აგრონომი და მთავარი ვეტექიმი (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 117).

მთისწინა მთაგორიანი სოფლების კოლმეურნეობების დაბალშემოსავლიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობების საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც მოწმობს 1-ლი ცხრილის მაჩვენებლები (ასსცსა, ფ. ე-84, ან. 1, ს. 1878, ფურც. 18; ასსდ-ის მონაცემები).

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | 1950 წ. | 1955 წ. | 1960 წ. | 1965 წ. | 1970 წ. | 1975 წ. | 1980 წ. | 1985 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი შემოსავალი (ათასი რუბლი) | 6119 | 5419 | 6296 | 5328 | 8107 | 12689 | 17904 | 19126 |
| შრომის დღიური ანაზღაურება (რუბლი) | 1,28 | 1,75 | 1,84 | 3,14 | 4,14 | 5,21 | 6,48 | 7,94 |

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყარო იყო მემცენარეობა, პირველ რიგში ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები, ვენახი და თამბაქო. მაგალითად, 1980 წელს კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავლის 95,3% მემცენარეობაზე მოდიოდა (ასსცსა, ფ. რ- 84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 111). 1950-1965 წლებში კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავალი 3,1-ჯერ გაიზარდა. მაღალი ფულადი შემოსავალი ჰქონდათ ახალშენის, ორთაბათუმის, ახალსოფლის, მახოს, ხელვაჩაურის და სხვა კოლმეურნეობებს.

მართალია, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 1950-1960 წლებში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მაგრამ 1965 წლიდან ზრდის ტემპი შედარებით მაღალი იყო, რაც დაკავშირებულია ხელისუფლების ახალ აგრარულ პოლიტიკასთან, რომელიც საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შედეგად განხორციელდა. 1985 წლისათვის კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 1950 წელთან შედარებით 6,2-ჯერ გაიზარდა. მაგრამ ეს ზრდა არ იყო ის ნიშნული რასაც გლეხი მიიღებდა კერძო საკუთრების პირობებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიშალა საკავშირო ერთიანი ეკონომიკური ბაზარი და კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობებთან ერთად, დაიშალა.

## 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად, განვითარდა ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები, მეთამბაქოება, მევენახეობა და მეხილეობა. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან მეტ-ნაკლებად თავის მდგომარეობას ინარჩუნებდა მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურების

ფართობი და მოსავალი თანდათანობით მცირდებოდა, რამდენადაც მიწის სავარგულების დიდი ნაწილი ტექნიკურმა და სუბტროპიკულმა კულტურებმა დაიკავეს. მარცვლეულ კულტურებს ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე მისდევდნენ.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო მეჩაიეობა. იგი სათავეს იღებს XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1921 წლისათვის ჩაის კულტურის საერთო ფართობი 419 ჰექტარს, მოსავალი 355 ტონას, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავალი 275 კგ-ს შეადგენდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მეჩაიეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა. 1931 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი 1245 ჰექტრამდე გაიზარდა, რაც 1921 წლის მაჩვენებელს თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩაის კულტურის გაშენება დაიწყო კოლმეურნეობებშიც. 1940 წლისათვის ხელვაჩაურის რაიონში ჩაის კულტურას ეკავა 1595 ჰექტარი სადაც 1905 ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავალი 1952 კგ-ს შეადგენდა (სასწ, 1981:77). აღნიშნული მაჩვენებლები 1932 წლისას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. 1941-1945 წლებში მეჩაიეობა საგრძნობლად დაზიანდა. მართალია, მისი ფართობი არ შემცირებულა, მაგრამ საერთო მოსავალი 1117 ტონამდე, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავალი 828 კგ-მდე, ე. ი. 4-ჯერ და მეტად შემცირდა.

მეჩაიეობას მისდევდნენ სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და კერძო მეურნეები. XX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში პირველობდნენ სახელმწიფო მეურნეობები, მეორე ნახევარში დაწინაურდნენ კოლმეურნეობები. საკარმიდამო გლეხურ მეურნეობაში ჩაის კულტურის ფართობსა და მოსავალს მცირე მასშტაბი ჰქონდა. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ახალი ამოცანები დასახა მეჩაიეობის განვითარებისათვის. 1952 წლიდან დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში, მაჭახლისა და ლიგანის ხეობებში ჩაის მცენარის გაშენება. 50-80-იან წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეჩაიეობის განვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-2 ცხრილი (სასწ, 1981:77; ასსცსა, ფ. რ- 84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 20).

ცხრილი 2

| წლები | ფართობი ჰექტრობით | მოსავალი ტონობით | საშუალო საჰექტარო მოსავალი კგ-ით |
|---|---|---|---|
| 1950 | 1408 | 3758 | 293 |
| 1960 | 1930 | 6667 | 4380 |
| 1970 | 2547 | 11191 | 5339 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1980 | 2662 | 20563 | 8532 |
| 1989 | 2662 | 17590 | – |

1951-1960 წლებში ჩაის კულტურის ფართობი 522 ჰექტრით, მომდევნო ათწლეულში - 617, 1971-1980 წლებში 115 ჰექტრით გადიდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის ამოიწურა მეჩაიეობის განვითარების ექსტენსიური რეზერვები. რაც შეეხება მოსავლიანობას, 1951-1960 წლებში - 1,8-ჯერ, 1961-1970 წლებში - 2,9-ჯერ გაიზარდა. საშუალო საჰექტარო მოსავალი კი 2,3-ჯერ გადიდა. 1986-1990 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მეჩაიეობის განვითარებაზეც იქონია უარყოფითი გავლენა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც ზევით აღინიშნა, მეჩაიეობის წარმოება შეწყდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგია მეციტრუსეობა. ამ დარგში საგრძნობი მიღწევები იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1923 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ციტრუსოვანი კულტურების ნარგავები 232 ჰექტარს შეადგენდა. სახელმწიფო ხელისუფლებამ ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მეციტრუსეობის განვითარებისათვის. მოეწყო სანერგეები, შეიქმნა მეციტრუსეობის სახელმწიფო მეურნეობები. უკვე 1932 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 578 ჰექტრამდე გაიზარდა, რაც 1923 წლის მაჩვენებელს, თითქმის 2,5-ჯერ აღემატებოდა. 1932 წელს მოიწიეს 832 ტონა ციტრუსების ნაყოფი. მაშინ ციტრუსებს მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობები აწარმოებდნენ (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 382, ფურც. 34; საოწ, 1961:58).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკოლმეურნეო სექტორში ციტრუსების კულტურების გაშენება იწყება კოლმეურნეობების ჩამოყალიბების შემდეგ. საკავშირო მასშტაბით დიდი მოთხოვნილების გამო ციტრუსები გააშენეს საკარმიდამო მეურნეობებშიც. უკვე 1940 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 3310 ჰექტრამდე გაიზარდა. თუ 1937 წელს მეციტრუსეობის ფართობის მიხედვით პირველობდა სახელმწიფო მეურნეობები, 1940 წლისათვის პირველ ადგილზე გადაინაცვლა კოლმეურნეობებმა, ხოლო მეორე ადგილი დაიკავა საკარმიდამო მეურნეობებმა.

1941-1945 წლებში, ომის სიძნელეებთან დაკავშირებით, მოსახლეობამ ციტრუსოვანთა ნარგავების ნაწილი აჩეხა და სიმინდი გააშენა. სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სუბტროპიკულ კულტურებს მოვლა მოაკლდა. ამის გამო იყო, რომ 1945 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, როგორც საერთოდ აჭარაში, ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი 3278 ჰექტრამდე, ხოლო

მოსავალი 5722 ტონამდე შემცირდა (საოწ, 1961: 58; ასმს მონაცემები). ომის დამთავრების შემდეგ საკავშირო ხელისუფლებამ ციტრუსოვანთა კულტურების განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებები განახორციელა. ამ მიმართებით ამოცანები მოცემულია საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 15 თებერვლის დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ამოცანების მიხედვით მეოთხე ხუთწლედში საქართველოში ციტრუსები გაშენდებოდა 11ათას ჰექტარზე და 1950 წლისათვის მთლიანი ფართობი მიაღწევდა 29 ათას ჰექტარს (საბჭოთა აჭარა, 1948, 28 მაისი; 1949, 4 თებერვალი). აჭარაში 1946-1950 წლებში ციტრუსოვანი კულტურები გაშენდებოდა 1570 ჰექტარზე. გათვალისწინებული იყო ქარსაფარი ზოლების გაფართოება, ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ნარგავების გამოყვანა (ასსცსა, ფ. პ-1, ან. 10, ს. 6, ფურც. 7). აჭარაში ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. უკვე 1948 წელს მოიწიეს 12954 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც ომამდელ მაჩვენებელს 5938 ტონით (1,9-ჯერ) აღემატებოდა (ასმს მონაცემები). ყინვიანი ზამთრების შედეგად, რომელიც პერიოდულად მეორდებოდა, დიდი რაოდენობით ციტრუსების ნარგავები იღუპებოდა. ზარალი გაცილებით მეტი იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. თითქმის მთლიანად განადგურდა ციტრუსოვანთა ნარგავები კახაბრის დაბლობში, ორთაბათუმში და სხვა სოფლებში. ყველაზე მეტად განადგურდა ლიმონის კულტურა.

XX საუკუნის 50-იან წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ციტრუსოვანი კულტურების აღდგენა-განვითარებისათვის. 60-80-იან წლებში ამ მიმართებით მუშაობა გიზარდა. ამასთან, 70-იან წლებში ციტრუსოვანთა ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის ფასები საგრძნობლად გადიდდა, რის შედეგად მეწარმეთა დაინტერესება შესამჩნევად ამაღლდა. გასული საუკუნის 50-80 წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეციტრუსეობის განვითარების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მე-3 ცხრილის მიხედვით (ასმს, ასსდ მონაცემები).

ცხრილი 3

| წლები | ფართობი ჰექტრობით | მოსავალი ტონობით |
|---|---|---|
| 1950 | 1950 | 6603 |
| 1960 | 2417 | 2896 |
| 1970 | 2689 | 29145 |
| 1980 | 2810 | 23251 |
| 1986 | 2810 | 48867 |

მართალია, ციტრუსების მოსავალი ყოველთვის ცვალებადი იყო, რამდენადაც დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ამის გათვალისწინებით მაღალი მოსავალი მოიწიეს 1970, 1974-1976 წლებში. ომისშემდგომ წლებში დიდი რაოდენობით გააშენეს ლიმონის ნარგავები, მაგრამ ამ მცენარემ ვერ გაუძლო აქაურ კლიმატურ პირობებს და მასობრივად განადგურდა. შედარებით გამძლე აღმოჩნდა ფორთოხლის მცენარე, მაგრამ ეს კულტურაც ყინვიანი ზამთრების შედეგად მნიშვნელოვნად განადგურდა. მანდარინის კულტურა შედარებით უკეთ იტანდა ყინვიან ზამთრებს. ამიტომ ციტრუსოვანი კულტურების საერთო ფართობსა და მოსავალში მანდარინმა პირველი ადგილი დაიკავა. ამ კულტურაზე მოდიოდა ციტრუსოვანი კულტურების საერთო ფართობისა და მოსავლის 90%-ზე მეტი.

ციტრუსოვანი კულტურების მოსავალი გაცილებით მაღალი იყო საკარმიდამო მეურნეობებში. მაგალითად, 1970 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს: საბჭოთა მეურნეობებში - 10,8 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, კოლმეურნეობებში - 6,6 ტონა, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებზე - 28,8 ტონა. ანალოგიური ვითარება იყო სხვა წლებშიც (ასმსმ).

ციტრუსების ნაყოფის რეალიზაცია სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენდა. სახელმწიფოს მიერ აკრძალული იყო, გეგმის შესრულებანდე აგრარულ ბაზარზე მისი გაყიდვა. XX საუკუნის 30-40-იან წლებში საკავშირო მასშტაბით იმდენად მნიშვნელოვანი იყო ციტრუსოვანთა ნაყოფი, რომ სახელმწიფო მას ცალობით ყიდულობდა. 1949 წლიდან დაიწყეს ციტრუსოვანთა ნაყოფის კილოგრამობით დამზადება-შესყიდვა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-შესყიდვას ოთხი ორგანიზაცია ეწეოდა: „საქჩაი“ ყიდულობდა მეჩაიეობის სახელმწიფო მეურნეობების ციტრუსებს, „ლიმანტრესტი“-მეციტრუსეობის სახელმწიფო მეურნეობების, „აჭარციტურუსდამზადება“-კოლმეურნეობების, ხოლო სამომხმარებლო კოოპერატივის კავშირი-საკარმიდამო მეურნეობებში მოწეულს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გააშენეს კეთილშობილური დაფნა და ტუნგი. მაგრამ ამ კულტურებმა სათანადოდ ვერ განვითარდა. 1960 წელს დაფნის კულტურა 70, 1965 წელს-110 ჰექტარი, ხოლო 1975 წელს-153 ჰექტარი ეკავა. მოსავალი უმნიშვნელო იყო. 1960-1980 წლებში მოიწიეს 11-დან 86 ტონამდე დაფნის ფოთოლი. ასე იყო მომდევნო წლებშიც. რაც შეეხება ტუნგის კულტურას, მისი ფართობი 500-დან 528 ჰექტრამდე, ხოლო მოსავალი - 219-1375 ტონას შორის მერყეობდა. (ასმსმ).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები იყო მეთამბაქოება და მევენახეობა. მეთამბაქოება განვითარდა აჭარის-წყლის სასოფლო საბჭოში, მაჭახლისა და ლიგანის ხეობების კოლმეურნეობებში. მართალია, აღნიშნული ტერიტორიები მცირემიწიანია, მაგრამ არსებული სავარგულები მაქსიმალურად იყო გამოყენებული. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეთამბაქოების განვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-4 ცხრილი.

ცხრილი 4

| წლები | ფართობი ჰექტრობით | მოსავალი ტონობით | საშუალო საჰექტარო მოსავალი კგ-ით |
|---|---|---|---|
| 1930 | 127 | 104 | 12,7 |
| 1940 | 100 | 88 | 8,8 |
| 1945 | 100 | 107 | 10,7 |
| 1950 | 100 | 151 | 15,0 |
| 1960 | 100 | 167 | 15,2 |
| 1970 | 43 | 59 | 11,7 |
| 1980 | 43 | 69 | 14,3 |
| 1985 | 43 | 85 | 14,6 |

როგორც ვხედავთ, მეთამბაქოების ფართობი და მოსავალი ცვალებადი იყო. 1930 წელს თამბაქოს კულტურა გაშენებული იყო მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე. კოლექტივიზაციის შედეგად კოლმეურნეობებმაც გააშენეს. 1940 წლიდან აიკრძალა საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს გაშენება. მხოლოდ კოლმეურნეობები აწარმოებდნენ. 1940-1960 წლებში თამბაქოს ფართობი სტაბილური იყო. შემცირება დაიწყო 60-იანი წლებიდან, რამდენადაც თამბაქოსათვის განკუთვნილი სავარგულები ვენახმა დაიკავა. საშუალო საჰექტარო მოსავალი ასევე არასტაბილური იყო, რადგან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთისწინა სოფლები, სადაც თამბაქოს აშენებდნენ, გვალვებით გამოირჩეოდა. ამის შედეგად პლანტაციები ზიანდებოდა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სახელმწიფომ გლეხობას საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს მცენარის გაშენების ნებართვა დართო. მაგალითად, 1980 წელს გლეხებმა საკარმიდამო ნაკვეთებზე აწარმოეს 7 ტონა თამბაქოს ფოთოლი. მეთამბაქოე კოლმეურნეობებში თამბაქოდან მიღებული ფულადი შემოსავალი ძირითადი იყო.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მევენახეობა ტრადიციული დარგია. ამას მოწმობს რაიონის მთისწინა სოფლებში დღემდე შემორჩენილი მარნები და საწნახელები. მაგრამ ოსმალთა ბატონობის დროს დაბლარი ვენახი განადგურდა. მისი აღორძინება დაიწყო გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1940 წელს დაბლარი ვენახის ფართობი 5,5 ჰექტარს, ხოლო ყურძნის მოსავალი 17 ტონას შეადგენდა. 1950 წელს დაბლარი ვენახის ფართობი 15 ჰექტარს, ხოლო ყურძნის მოსავალი 62 ტონას უდრიდა. დაბლარი ვენახის გაშენება 50-60-იან წლებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ არასაკმარისი მოვლა-პატრონობის გამო მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. მაგალითად, თუ 1955 წელს დაბლარ ვენახს 29 ჰექტარი, 1960 წელს-60, ხოლო 1965 წელს 51 ეკავა, 1960 წლისათვის 45 ჰექტრამდე, მომდევნო-წელს 32,5 ჰექტრამდე შემცირდა. მეტნაკლებად ასეთი ვითარება იყო სხვა წლებშიც.

ყურძნის მოსავალი არასტაბილური იყო. კოლმეურნეობებს 50-80-იან წლებში საშუალოდ მოჰყავდათ 16-დან 80 ტონამდე ყურძენი. მართალია, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მევენახეობა არ იყო რენტაბელური დარგი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მოსახლეობა თანდათანობით შეეჩვია ღვინის მოხმარებას, რაც ოსმალთა ბატონობის დროს აკრძალული იყო.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშნველოვანი ადგილი ეკავა მეხილეობას. რაიონის ტერიტორიაზე მრავალი ჯიშის ხეხილი ხარობს. 1934 წლის აღწერით ხეხილს ეკავა 1026 ჰექტარი. დიდი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდიოდა (968 ჰექტარი). ფართობის მიხედვით პირველი ადგილი ეკავა კაკალს (296 ჰექტარი), მეორე - ვაშლს (269 ჰექტარი), მესამე - მსხალს (153 ჰექტარი), მეოთხე - თხილს (50 ჰექტარი) (ასსცსა, ფ. რ-84 ან. 1, ს. 689, ფურც. 4). ხეხილის ნარგავები, საკარმიდამო ნაკვეთების გარდა, გაშენებული იყო სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. 1970 წელს ხელვაჩაურის რაიონში ხეხილის საერთო ფართობი 1466 ჰექტარს შეადგენდა, რაც ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი ფართობის 1%-ს უდრიდა. კვლავ პირველი ადგილი ეკავა ინდივიდუალურ მეურნეობებს (1038 ჰექტარი), მეორე - კოლმეურნეობებს (489 ჰექტარი), მესამე - სახელმწიფო მეურნეობებს (34 ჰექტარი). მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა (ასმ, 1977:144).

ხილის მოსავალი ასევე ცვალებადი იყო. იგი ძირითადად აგრარულ ბაზარზე იყიდებოდა. 30-40-იან წლებში სახელმწიფოს მიერ ხილის შესყიდვა მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ხილის სახელმწიფოს მიერ შესყიდვა გაიზარდა 70-80-იან წლებში. მაგალითად, თუ 1965 წელს სახელმწიფომ შეისყიდა 314 ტონა ხილი, ამ მაჩვენებელმა 1970 წელს 1003 ტონა, 1975 წელს - 3631 ტონა, ხოლო 1989 წელს - 3936

ტონა შეადგინა. აბსოლუტურად დიდი ნაწილი საკარმიდამო მეურნეობებზე მოდიოდა (2546 ტონა). სასოფლო საბჭოებსა და მსხვილ სოფლებში ხილის დამამზადებელი პუნქტები გაიხსნა და მოსახლეობას შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდა (ასმ, 1977:136; ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 616, ფურც. 17).

მარცვლეული კულტურები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრადიციული დარგია. მოსახელეობას მოჰყავდა სიმინდი, ხორბლეული, ლობიო, ბრინჯი, სოიო. განსაკუთრებული ყურადღება სიმინდის კულტურას ექცეოდა, რადგან იგი მარცვლეულ კულტურებს შორის ყველაზე მაღალ მოსავალს იძლეოდა. 1930 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშისიმინდის კულტურის ფართობი 5148 ჰექტარს შეადგენდა. აქედან გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 5100 ჰექტარი, ხოლო მოსავალი 4762 ტონას უდრიდა. მაშინ კოლმეურნეობები ახლად ყალიბდებოდა და მათ 48 ჰექტარზე 50 ტონა სიმინდი მოიწიეს (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 627, ფურც. 4, 34).

1940 წელს მუნიციპალიტეტის ყველა კატეგორიის მეურნეობაში სიმინდის ფართობი 2800 ჰექტრამდე შემცირდა. მართალია, ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1941-1950) შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ მომდევნო პერიოდში კვლავ შემცირდა. მაგალითად, 1955 წელს სიმინდის კულტურის ფართობი 2400, ხოლო 1960 წელს- 1600 ჰექტარს შეადგენდა (საოწ, 1961:49). 60-80-იან წლებში სიმინდი ძირითადად საკარმიდამო მეურნეობებში მოჰყავდათ.

მუნიციპალიტეტში კარტოფილის კულტურას და მებოსტნეობასაც ეწეოდნენ, მაგრამ წარმოების რესურსი მცირე იყო. ყველა კატეგორიის მეურნეობებში კარტოფილის კულტურას 1930 წელს 63 ჰექტარი, 1932 წელს 100 ჰექტარი ეკავა. შესაბამისად მოიწიეს 202 და 397 ტონა კარტოფილი (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 382, ფურც. 34). ზოგიერთ წლებში კარტოფილს საერთოდ არ აწარმოებდნენ. 1970 წელს 13 ჰექტარზე 554 ტონა კარტოფილი მოიწიეს, 1975 წელს 43 ჰექტარზე - მხოლოდ 81 ტონა (ასმ, 1977:136). ბოსტნეულის კულტურებიც ასევე განუვითარებელი იყო. 1940-1960 წლებში ყველა კატეგორიის მეურნეობებში ბოსტნეულ კულტურებს 200 ჰექტარი ეკავა. 70-იან წლებში ბოსტნეულის წარმოების სასათბურე მეურნეობაც მოაწყვეს. 1975 წლისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყველა კატეგორიის მეურნეობაში ბოსტნეული კულტურების ფართობი 347 ჰექტრამდე გაიზარდა. მოსავალი 1965 წელს 58 ტონიდან 1975 წელს 1106, 1985 წლისათვის 1340 ტონამდე გაიზარდა (ასმ, 1977:136; ასსდ მონაცემები). შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. კოლმეურნეობები ბოსტნეული წარმოების სახელმწიფო გეგმებს დამახინჯებული მეთოდებით ასრულებდნენ, რაც საზოგადოებაზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა.

სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობას მისდევდნენ ინდივიდუალური მეურნეობები, კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები. ისიც უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობის განვითარების ბუნებრივი პირობები შეზღუდულია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, ბუნებრივი სათიბები. ამიტომ დანახარჯები გაცილებით მეტი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საკავშირო ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებები განახორციელა მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამ დარგის სახელმწიფოებრივი მართვის გაუმჯობესების მიზნით 1947 წელს შეიქმნა მეცხოველეობის სამინისტრო, რომელიც 1953 წლამდე ფუნქციონირებდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში XX საუკუნის 30-80-იან წლებში მეცხოველეობის სულადობრივი შემადგენლობისა და სახეების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მე-5 ცხრილი (ასსცსა, ფ. რ- 178, ან. 1, სს. 48, 336, 718, 793, 1021, 1089, 1851, 2597, 3314, 3315; ფ. რ-4, ან. 1, ს. 591, ფურც. 1-2).

ცხრილი 5

| წლები | მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | | | | ცხვარი | თხა | ღორი | ცხენი | სახედარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | ფური | კამეჩი | მუშა ხარი | | | | | |
| 1923 | 8552 | 2830 | 377 | 1206 | 1669 | 2971 | 167 | 434 | 4 |
| 1936 | 16513 | 5507 | 1523 | 1701 | 23603 | 11078 | 90 | 1121 | 132 |
| 1941 | 11887 | 5482 | 1016 | 800 | 28499 | 7735 | 349 | 874 | 71 |
| 1946 | 9770 | 4097 | 498 | 477 | 14783 | 6026 | 50 | 286 | 268 |
| 1951 | 10846 | 4002 | 530 | 514 | 12411 | 6091 | 104 | 410 | 89 |
| 1960 | 12765 | 6107 | 195 | 218 | 2527 | 3495 | 1342 | 377 | 67 |
| 1971 | 14566 | 7825 | 6 | 75 | 813 | 889 | 378 | 65 | 9 |
| 1981 | 19015 | 9560 | 20 | 82 | 270 | 788 | 340 | 13 | 8 |
| 1988 | 21288 | 10535 | - | 160 | 708 | 1026 | 2772 | 13 | 1 |

გასაბჭოებიდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მომდევნო წლებში საკავშირო მთავრობის დადგენილებით მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის რაოდენობაზე ნორმები დაწესდა. ეს ნორმები ზღუდავდა სა-

კარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის საერთო რაოდენობას. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ნორმაზე მეტ პირუტყვს პოლიციური ძალებით, უსასყიდლოდ ართმევდნენ მოსახლეობას და კოლმეურნეობებს აძლევდნენ.

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში საკავშირო ხელისუფლებამ ახალი დადგენილება მიიღო, რითაც კიდევ მეტად შემცირდა საკარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის რაოდენობის ნორმები. უპირატესობა ენიჭებოდა სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, რაც სერიოზულ შეცდომას წარმოადგენდა. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებით შეზღუდვები მოიხსნა და მეცხოველეობის განვითარებაში წარმატებები საგრძნობი იყო. 1988 წლისათვის 1946 წელთან შედარებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა 2,2-ჯერ და მეტად გაიზარდა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფურსა და ფურ-კამეჩს. ამიტომ მათზე მოდიოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 45-50%. მუშა ხარის რაოდენობა მნიშვნელოვანი იყო 1921-1960 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში სოფლის მეურნეობაში ტრაქტორებს, სატრაქტორო გუთანსა და სატვირთო ავტომობილებს იყენებდნენ, მუშა ხარს თავისი მნიშვნელობა კიდევ გააჩნდა. ასევე ითქმის ცხენის შესახებაც. ცხენმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა 60-იან წლებში. ამავე წლებიდან სახედარი საერთოდ აღარ ჰყავდათ, რადგან არ იყო ამის საჭიროება.

კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების მშენებლობა 30-იანი წლების მეორე ნახევარში იწყება. 1936 წელს ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმა ორ თუ სამ კოლმეურნეობაში იყო. 1941 წლისათვის კი მუნიციპალიტეტის ყველა კოლმეურნეობაში მოწყობილი იყო მეცხოველეობის ფერმები, სადაც ითვლებოდა 1596 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის: 295 ძროხა, 368 სული კამეჩი, 567 სული მუშა ხარი, 103 ცხენი, 3354 ცხვარი, 1501 თხა და სხვა (ასსცსა, ფ. რ- 178, ან. 1, ს. 718, ფურც. 40-45).

მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმით (1949-1951) კოლმეურნეობებში საგანგებო ღონისძიებები ტარდებოდა. საკავშირო ხელისუფლებების დადგენილებით კოლმეურნეობებში იქმნებოდა სამი სახის ფერმა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, წვრილფეხა რქიანი პირუტყვის და მეფრინველეობის. არაერთი ღონისძიება განხორციელდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა პირუტყვის 95% ჯიშიანი იყო. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში მეცხოველეობის საერთო მდგომარეობის შესახებ შეიძლება მსჯელობა მე-6 ცხრილის მიხედვით:

ცხრილი 6

| წლები | კოლმეურნეობები და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები | | | | | სახელმწიფო მეურნეობები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | მათ შორის ფური | ღორი | ცხვარი | თხა | მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | მათ შორის ფური | ღორი |
| 1946 | 1809 | 342 | 4 | 12608 | 3415 | - | - | - |
| 1952 | 2727 | 782 | 5 | 8836 | 3023 | - | - | - |
| 1960 | 2392 | 846 | 1218 | 1037 | 905 | - | - | - |
| 1971 | 2542 | 998 | 145 | - | 440 | 629 | 352 | 181 |
| 1981 | 3691 | 1564 | 1380 | - | - | 981 | 458 | 1398 |
| 1986 | 4262 | 1182 | 1707 | - | - | 1149 | 448 | 590 |
| 1988 | 4175 | 1171 | 950 | - | - | 1181 | 512 | 1564 |

საკოლმეურნეო და სახელმწიფო მეურნეობებში პირუტყვის სულადობრივი რაოდენობით პირველობდა კოლმეურნეობები. 1946-1988 წლებში კოლმეურნეობებში მსხვილფეხა პირუტვის სულადობა 2,3-ჯერ, ხოლო ფურისა - 3,5-ჯერ გაიზარდა. 1953 წელს კოლმეურნეობებს მოუხსნეს წვრილფეხა რქიანი პირუტყვის გეგმები და 1960 წლის შემდეგ ამ სახის პირუტყვი თითქმის აღარ ჰყავდათ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების შექმნა მცდარი გადაწყვეტილება იყო, რადგან აქ არ იყო საამისო ბუნებრივი პირობები. ბათუმის მეცხოველეობა-მებოსტნეობის მეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა 1960-1988 წლებში 629 სულიდან 1181-მდე გაიზარდა. მებოცვერეობისს ფერმაში 1981 წელს 1530 ბოცვერი ჰყავდათ (ასსცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 1851, ფურც. 12). მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც. რენტაბელური საწარმო იყო ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკა, სადაც ფრინველის რაოდენობა 1971 წელს 46741 ფრთიდან 1981 წელს 107 ათასს, ხოლო 1988 წელს 294417 ფრთამდე გაიზარდა (ასსცსა, ფ. რ- 178, სს. 1951, 3315).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და სახელმწიფო მეურნეობებში პირუტყვი ბაგურ კვებაზე იყო. პირუტყვის საკვები რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ, რისთვისაც დიდძალი თანხები იხარჯებოდა. ამიტომ, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში მეცხოველეობა წამგებიანი დარგი იყო. მაგალითად, 1980 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობების ზარალი მეცხოველეობიდან 231 ათასს რუბლს შეადგენდა (ასსცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 3154

ფურც. 111). ასევე ზარალიანი იყო მეცხოველეობის სამეურნობათაშორისო გაერთიანება („ცხოველმრეწვი“) და მებოცვერეობის ფერმა. მომდევნო წელს ისინი, როგორც არარენტაბელური საწარმოები, გაუქმდა.

არასწორად დაიგეგმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოლმეურნეობებში მეცხვარეობის განვითარება. კოლმეურნეობებს ზამთრობით ცხვრის ფარა დასავლეთ საქართველოს საზამთრო საძოვრებზე გადაჰყავდათ და ამისათვის მნიშვნელოვან თანხას იხდიდნენ. სწორედ ამ მიზეზით 50-იანი წლების ბოლოს კოლმეურნეობებს მოუხსნეს წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეფრინველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სათანადოდ ვერ განვითარდა მეფუტკრეობა, თუმცა რაიონში ამ დარგის განვითარების პირობები არსებობს. კოლმეურნეობებში მხოლოდ 662-708 ფუტკრის ოჯახი ითვლებოდა. სადაც, 1967-1968 წლებში აწარმოეს 2384 კილოგრამიდან 4030 კილოგრამამდე თაფლი.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ისტორია, პირობითად, ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი მოიცავს ომამდელ წლებს. ამ ეტაპზე განხორციელდა აგრარული რეფორმა, შეიქმნა ახალი ტიპის საწარმოები - სახელმწიფო მეურნეობები და კოლმეურნეობები. მეორე ეტაპზე (1941-1990 წლები) მიმდინარეობდა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო - ეკონომიკური და მატერიალურ - ტექნიკური განმტკიცება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ კერძო საკუთრების ყოვლისმომცველი ლიკვიდაცია და გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია ხელსაყრელი არ იყო მოსახლეობისათვის. გლეხი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან დაკარგა მიწა და თავისუფლება. სწორედ ამ მდგომარეობამ რამდენადმე განაპირობა საბჭოური მეურნეობების დემონტაჟი.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


**სსცსა, ფ. 288, ან. 17, ს. 15011** - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 288, ანაწერი 17, საქმე 15011.

**ასსცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 591** - აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-4, ანაწერი 1, საქმე №591. გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე არქივის რ-84 ფონდის საქმეები: №№382, 616, 617, 627, 689, 1423, 1620, 1878, 3154; რ-178 ფონდის საქმეები: №№35, 48, 336, 718, 793, 1021, 189, 1597, 1607, 1851, 1951, 2597, 3314, 3315.

**ასსცსა, ფ. პ-1, ან. 10, ს. 6** - აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პოლიტიკური-1, ანაწერი 10, საქმე №6.

**ასმსმ -** აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები.

**ასსდმ** - აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

**საოწ** - საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961.

**ასმ** - აჭარის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1977.

**სასწ** - საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1981.

**ბსმსრდა** - ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, მასალებისა და დოკუმენტების კრებული (1933-1941 წწ.). ბათუმი, 1986.

**თურმანიძე, 2005:** - ოთარ თურმანიძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946- 1990წწ.). ბათუმი, 2005.


No active Legend.
რაიონების საზღვრები
Limites des districts
Mekhindjauri
ბათუმი
BATOUMI
5. Village

**ზურაბ ნაგერვაძე**
*ისტორიის დოქტორი*
**Zurab Nagervadze**
*PhD in History*

# I მსოფლიო ომი და მაჭახლის ხეობა

# I WORLD WAR AND MACHAKHELI GORGE

**აბსტრაქტი** - პირველმა მსოფლიო ომმა უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური რესურსი შთანთქა; ევროპის ქვეყნების მრავალი ქალაქი და დასახლება განადგურდა. ამ სისხლისმღვრელ ომს ვერც საქართველო გადაურჩა, წინამდებარე ნაშრომი თვალნათლივ ასახავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ხეობის - მაჭახლის ხეობის ტრაგიკულ ბედსა და ხვედრს პირველი მსოფლიო ომის დროს.

**საკვანძო სიტყვები** - ომი, საქართველო, აჭარა, რუსეთი, თურქეთი, ბათუმი, მაჭახლის ხეობა, ოსმალო ჩეთნიკები, კაზაკი პლასტუნები, მუჰაჯირობა.

**Abstract** - As started above, on the example of one valley, clearly illustrates those difficulties, which led to a bloody war in the life of humans, such as World War I. Adding to all this difficulty was the tragedy of the Ottoman "Chetniks" and the Russian "Cossack-Plastunians", who brutally dispersed and looted the local population, burned villages, and ostracized a large part of the population in the Ottoman Empire. The native population as Muhajirs dealt a severe blow to the Machakheli Valley. The valley lost much of its productive natives and villages have emptied. The wealth accumulated for years by the villagers was looted and destroyed. It took quite a long time for Machakheli Valley to heal from this pain and get back on its feet.

**Key words** - War, Georgia, Adjara, Russia, Turkey, Batumi, Machakheli Gorge, Ottoman Chetniks, Cossack Plastuns, Muhajirism.

პირველი მსოფლიო ომი ისტორიაში უდიდესი შეიარაღებული კონფლიქტი იყო, რომელიც მსვლელობის პერიოდით, სახელმწიფოთა ჩართულობითა და მასშტაბებით მანამდე არსებულ ომებთან შედარებით რადიკალურად განსხვავდებოდა. აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი სხვადასხვა ინტერესის მქონე სახელმწიფოთა კოალიციური გაერთიანება.

გერმანიისთვის, რომელიც ლიდერი სახელმწიფო იყო და ამავდროულად – ომის გამჩაღებელი, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას კავკასიის ხელში ჩაგდება და აქედან რუსეთის განდევნა წარმოადგენდა. ზუსტად ამ საკითხმა განაპირობა გერმანიისა და ოსმალეთის დაახლოება, რადგანაც მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ოსმალთა მიზანი იყო კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოექცია აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები, რომლებიც მან დაკარგა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად.

ოსმალეთი ცდილობდა, თავისი ემისრები გამოეგზავნა აჭარაში და აქაური მოსახლეობა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ აჭარლები ასეთ პროვოკაციას არ წამოეგნენ, თუმცა, შემდეგ, შეთითხნილი „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით და მძარცველობით განთქმული კაზაკ-პლასტუნების მოქმედებით საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ადგილობრივი მოსახლეობა (კახიძე, 2017:34).

ომის დაწყებისთანავე გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ კავკასიის ფრონტზე ერზრუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. აქვე ფრონტის გასაძლიერებლად გადმოისროლეს თვითმფრინავები, რომლებსაც გამოცდილი გერმანელი პილოტები მართავდნენ. ოსმალთა მხრიდან იქმნებოდა სპეციალური, არალეგალური „ჩეთეს“ რაზმები, რომელთა ორგანიზებაშიც მონაწილეობდნენ გერმანელი ოფიცრები. რუსეთის საზღვრისპირა პორტებში შეიტანეს სამხედრო აღჭურვილობა, მაგრამ რთული ვითარება შეიქმნა სურსათის მომარაგების მხრივ, რადგანაც ოსმალეთის ხელისუფლებას არ გააჩნდა სტრატეგიული მარაგი. ამიტომაც გაიცა უმაღლესი ბრძანება სურსათ-სანოვაგისა და საჭაპანო ტრანსპორტის რეკვიზიციის შესახებ.

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ იზრუნა ბათუმის შეტევის გეგმის შენიღბვისთვის. მათ რუსეთის კონტრდაზვერვას შეაპარეს დეზინფორმაცია, თითქოსდა, ოსმალეთი არ გეგმავდა ბათუმის მიმართულებით ფართომასშტაბიან ოპერაციას და ძირითადად „ჩეთეს“ რაზმებით შემოიფარგლებოდა, რითაც რუსეთის ყურადღება მოადუნეს. რუსეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილები გაიყვანა ბათუმიდან და ბათუმი მხოლოდ 6 ბატალიონის, 1 მესანგრეთა ასეულისა და 8 ქვემეხის ანაბარა დატოვა. გერმანია-ოსმალეთის სარდლობას კი ბათუმზე შეტევისთვის მზად ჰყავდა 14 ბატალიონი და ორი ოსმალური პოლკი გამოცდილი გერმანელი პოდპოლკოვნიკის – შტანკეს მეთაურობით. შტანკეს რაზმთან ერთად ბათუმის მიმართულებით უნდა ემოქმედა 6 ათასამდე ჩეთნიკს. საომარი მოქმედების დაწყების წინ ოსმალებმა ამიერკავკასიაში შემოაგზავნეს სადივერსიო ჯგუფები, რომელთაც მწყობრიდან უნდა გამოეყვანათ რკინიგზისა და ტელეგრაფის ხაზები (სდსინ, 2008:361).

თავდაპირველად, ოსმალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ ხოფის მხრიდან და მურღულის ხეობებით შემოუტიეს და უკან დაახევინეს რუსულ ნაწილებს. ართვინის ოკრუგში მყოფი რუსული ძალები გენ. ელშინის მეთაურობით იძულებულნი გახდნენ საგრძნობლად დაეხიათ უკან და ბათუმის შემოგარენში გამაგრებულიყვნენ. 1914 წლის 27 ნოემბერს გერმანულმა კრეისერმა „გებენმა“ ორი სამხედრო გემის თანხლებით ყუმბარები დაუშინა ბათუმსა და მის სიმაგრეებს. სანაპირო არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლის გამო, მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ 15 ჭურვის გასროლა მოასწრეს და მიიმალნენ. დაბომბვის შედეგად ქალაქში დაინგრა ორიოდე შენობა, დაიჭრა ხუთი და გარდაიცვალა ერთი მოქალაქე. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ცნობით: „დაბომბვა 15-20 წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მოსახლეობაზე მოახდინა დამრთგუნველი შთაბეჭდილება“. გერმანია-ოსმალეთის ფლოტმა შემდგომშიც სცადა ბათუმზე თავდასხმა: 1914 წ. 11 დეკემბერს ღამით ქალაქს მოადგა კრეისერი „ჰამიდიე“, მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვის გამო მან მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო (სდსინ, 2008:363).

1914 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ოსმალებმა შეძლეს თითქმის უბრძოლველად ხელთ ეგდოთ ქედისა და ხულოს სამაზრო ცენტრები. წარმატებული ბრძოლების შედეგად ოსმალებმა დაიკავეს გონიო და ზღვასთან მდინარე ჭოროხის შესართავს მიადგნენ. ზემო აჭარაში ფეხის შემოდგმისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს ჩაწერილიყვნენ „ჩეთეში“ და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა ამას მნიშვნელოვანი წარმატება არ მოყოლია.

გერმანია-ოსმალეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ სცადა ფრონტზე მოპოვებული წარმატებების გამოყენება ამიერკავკასიის სიღრმეში შეტევისთვის, მესამე არმიის სარდლობა და კორპუსთა მეთაურები პესიმისტურად შეხვდნენ ამ ამბავს. ისინი თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ჯარის დასვენება და დანაკლისის შევსება. ამას მესამე არმიაში მოყვა რეორგანიზაცია და სარდლობის ცვლილება, არმიის სარდლობა თავად თავდაცვის მინისტრმა, ენვერ ფაშამ, აიღო თავის თავზე, არმიის შტაბი და საარტილერიო ბატარეები კი გერმანელი ოფიცრებით დაკომპლექტდა. ახლა ოსმალეთის მესამე არმიის უახლოეს ამოცანად დაისახა სარიყამიშის რაიონში განლაგებული რუსეთის ჯარების განადგურება და ბათუმისა და ყარსის აღება (Пипиа, 1978:55).

სარიყამიშის ოპერაცია დაიწყო 1914 წ. 22 დეკემბერს. თავიდან ბრძოლა ოსმალთა წარმატებით მიმდინარეობდა, შტანკეს რაზმმა რამდენიმე მარცხი აგემა გენ. გენიკის რაზმს და არტაანიც კი დაატოვებინა. გენიკის დასახმარებლად გაიგზავნა გენერლების გაბაშვილისა და ისტომინის მსროლელთა ბრიგადები, აგრეთვე ციმბირელ კაზაკთა ბრიგადა გენ. კალიტინის მეთაურობით. ამ რაზმებმა ჯერ

შეაჩერეს, შემდეგ კი გაანადგურეს შტანკეს რაზმი. დაატყვევეს 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარს რუსთა ჯარმა ბრძოლით დაიბრუნა ქ. არტაანი, შემდეგ – ოლთისი. შტანკემ ართვინისაკენ დაიხია.

რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც. ასე რომ, სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა: მათ ამ ბრძოლაში 90 ათასი ჯარისკაციდან დაკარდეს 70 ათასი, აქედან 30 ათასი მოყინულთა სახით, რუსთა დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო - 20 ათასი კაცი (სდსინ, 2008:364).

ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე გამარჯვების მოპოვებაში. ისინი ღირსეულად იბრძოდნენ რუსული სამხერდო ნაწილების მხარდამხარ და ამავდროულად, უნდა ითქვას, რომ მათ ბრძოლისუნარიანობას აათმაგებდა იმისი განცდა, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს, თავიანთ მიწა-წყალს იცავდნენ უცხოელ დამპყრობთაგან. 2,3 მილიონი მოსახლეობის საქართველოდან ომში 300 ათასზე მეტი კაცი იქნა მობილიზებული. საქართველომ მსოფლიო ომში გაგზავნა ბრწყინვალე ოფიცრობა და გენერალიტეტი, საარაკო გმირობისა და შეუპოვრობის მაგალითები უჩვენა არაერთმა მებრძოლმა. მათგან გამორჩეულია ტარასი ვაშაკიძე („შაითან კაპიტანი“), რომელმაც ერთი ასეულით სარიყამიშთან უმსხვერპლოდ დაატყვევა ათასი ასკერი, ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის სარდლობა ისხან-ფაშას მეთაურობით.

სარიყამიშთა მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსებს მიეცათ საშუალება, საბრძოლო ოპერაციები უშუალოდ ოსმალთა ტერიტორიაზე გადაეტანათ. სამწლიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ბათუმის ოლქი და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ოსმალთა ნაწილებისგან გაიწმინდა.

უკან დახევის დროს ოსმალებმა თან გაიყოლეს ადგილობრივი მოსახლეობა. იმდროინდელი ქართული პრესა იუწყებოდა: „...ყველაზე მეტად განადგურებულია გონიის „უჩასტკა“. შავი ზღვისპირათ მცხოვრებნი და მდ. ჭოროხის პირათ მდებარე სოფლები აჭარის წყლიდან ართვინამდი. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან - ვინც არ მოკლეს, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“.

მაჭახლის ხეობაში ომისა და საბრძოლო ოპერაციების წარმოების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „საქართველოს“ 1915-1916 წლების ნომრებში დაბეჭდილი სტატიები, სადაც ცხადად არის წარმოდგენილი ის დიდი უბედურება, რაც ომის ქარცეცხლმა მოუტანა მაჭახლის ხეობას. სტატიებში ნათლად არის წარმოდგენილი კაზაკ-პლასტუნების მხეცური ქმედება, რასაც შეეწირა მაჭახლის ხეობის სოფლები, ხანძარმა შთანთქა და ნაცრად აქცია წლობით ნაკაკლი ქონება (წულაძე, 2017:42-44). მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული გახდა კვლავ მუჰაჯირად ქცეულიყო და თავშესაფარი ოსმალეთში ეძებნა. მართალია, ნაწილი

მოგვიანებით დაუბრუნდა თავის ნასახლარს, მაგრამ დიდი უმრავლესობა ოსმალეთში დარჩა საცხოვრებლად.

ზემოთ მოყვანილ მოვლენებთან დაკავშირებით გვაქვს ნარატიული წყაროც დარჩენილი სოფელ აჭარისაღმართის მაცხოვრებელთა ხსოვნაში, რომელიც გარკვეული დასკვნების გამოტანას საჭიროებს და არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მასში გარკვეულწილად, ეჭვის შეტანა გაგვიჭირდება: „ერთ ზოფუნოღლის უთქვამს თავისი ვაჟებისათვის, - რას მიმჯდარხართ ოჯახთან (ბუხართან - ზ.ნ.), ღაზობა და სეიდობა კალოზე მოგდგომიათ, ედით თავრანგელოს (მთავარანგელოზის მთა, სადაც რუსის ჯარი იყო დაბანაკებული - ზ.ნ.) ერთი-ორი გიაური (ურჯულო - ზ.ნ.) გაცვითეთ და ღაზი (ისლამურ სამყაროში მოხალისე მეომარი, რომელიც სარწმუნოების, სიმართლისა და სამართლიანობის დასაცავად იბრძვის - ზ.ნ.) გახდებითო. - როგორც ჩანს, ერთი ძმა წასულა, მოსვლია შეტაკება რუსის ჯართან და დაღუპულა, თოვლის აშრობის მერე უნახიათ მოკლული. ეტყობა შეტაკებაში მასაც მოუკლავს რუსები, რის გამოც განრისხებულმა რუსებმა გადაწვეს ჩვენი ხეობაო“ (ნაგერვაძე ჯ.).

***ამ მონათხრობიდან ირკვევა, რომ, გარკვეულწილად, რელიგიური ფაქტორი თავის როლს თამაშობდა. არაა გამორიცხული ამ ყოველივეს ხეობაში თავისი მიმდევრები ყოლოდა, ამას ემატებოდა სხვა ბევრი პრობლემაც; ბევრს არ მოსწონდა რუსული ხელისუფლება, ბევრისთვის მიუღებელი იყო ის რეფორმები, რაც ახალმა ხელისუფლებამ მოიტანა გადასახადების, მიწა-მამულთა, თუ ტყეთა კონტროლი. თავის როლს თამაშობდა ოსმალთა მხრიდან გამოგზავნილი აგენტები და პროვოკატორები, ხოჯები და მოლები, რომლებიც მოსახლეობაში გარკვეულ დეზინფორმაციას ავრცელებდნენ და უნდობლობას ნერგავდნენ. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებაც, გარკვეულწილად, იძულებულს ხდიდა მოსახლეობას დაეტოვებინა სახლკარი და გადახვეწილიყო ოსმალეთში, სამაგიეროდ, ამ დაცარიელებულ ადგილას მზად ჰყავდა თავისი სასურველი ეროვნების ახალმოსახლე დასასახლებლად ამაზე მოგვითხრობს სწორედ გაზეთ „საქართველოს“ ერთი სტატია: - „...ეს მიტოვებული ადგილები ეხლავე ბევრს მადას უხსნის აქ დასახლებისას და შესაფერ თხოვნასაც გზავნიან სადაც ჯერ-არს“ („საქართველო“, 1915:3).***

1916 წლის საგაზეთო სტატია გვაწვდის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მაჭახლის სოფლების შესახებ:

(ხერთვისის საზოგადოება, ქვემო აჭარა, მოხსენება 1915 წლის 10 ივლისის თარიღით).

„ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში (ბათუმის ოლქი) შედის შემდეგი სოფლები: სკურდიდი, ცხემლალა, მილისი, უჩხეთი, ნამლისევი, ჩალახმელა, მაკლაკონი, ქვედა ხერთვისი, ქედ-ქედი, ჩანივრი, აჭარის აღმართი, კიბე, კაპნისთავი.

**სოფ. სკურდიდი**

ომის დაწყებამდე ამ სოფელში იყო და ეხლაც არის 18 კომლი, სულ – 145 სული, 106 – დიდი, 39 – მცირეწლოვანი. თითო ოჯახში ყოფილა 5-21 სული. ამათი სახლები მთლად გადაბუგულია, მთელი დოვლათი მონაგარი, სარჩო და სახლის ავეჯი-მოწყობილობა გაუტაციათ, გაურეკიათ 153 ცხენი, ჯორი ხარი და ძროხა, 116 ცხვარი, 461 თხა, წაუღიათ 689 ძირი ფუტკარი. აწიოკების შემდეგ მთელს სოფელში გადარჩენილა 1 ბეხრეკი ცხენი, 17 ხბო თუ ძროხა, 2 ცხვარი, 35 თხა, 3 ძირი ფუტკარი.

მთელს ამოდენა ხალხს საკვებად შერჩენია მხოლოდ 50 ფუთამდე სიმინდი. დახმარება არსაიდან მიუღიათ, მეზობლებს შეხიზნებიან.

**სოფ. ცხემლალა**

ამ სოფელში 15 კომლია, სულ 91 სული, 78 – წლოვანი, 13 – მცირეწლოვანი. ამათი კარ-მიდამო მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილობა, ავეჯეულობა, ჭურჭელი, იარაღი - ყველაფერი დაუტაციათ. გაურეკიათ: 45 ცხენი თუ ძროხა, 71 ცხვარი, 65 თხა; წაუღიათ 312 სკა-ფუტკარი, მთელი სანოვაგე, საკვები და მონაგარი. აწიოკების მერე სოფელში გადარჩენილა: 27 ცხენი, ხარი-ხბო, 8 ცხვარი, 25 თხა, მცხოვრებნი ყოვლად უმწეოდ დარჩენილან საკვების მხრივ. დახმარება არავისგან არ მიუღიათ, მეზობლებს შეჰხიზნებიან.

**სოფ. მილისი**

ომამდე ამ სოფელში ყოფილა 27 კომლი. დარჩენილა – 11. კარ-მიდამო დაჰბუგვიათ, საქონელი გაურეკიათ, ჭირნახული და სხვა ოჯახის დოვლათი მთლად გაუტაციათ.

**სოფ. უჩხითი**

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 52 კომლი. აწიოკების მერე დარჩენილა 8 კომლი, სულ 26 სული, 18 – წლოვანი, 8 – მცირეწლოვანი. ამათი კარ-მიდამოც მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილობის ნაწილი გადაურჩენიათ. 30 ცხენი, ძროხა-ხბო და მთელი დოვლათი დაჰკარგვიათ. არავითარი საკვები არ დარჩენიათ. ამათგანი ზოგი მეზობლებს შეჰხიზნებია, ზოგი რკინის გზაზე მუშაობს. დახმარება არავისაგან არავითარი არ მიუღიათ.

**სოფ. ნამლისევი**

ამ სოფელში ომამდე 19 კომლი ყოფილა. აწიოკების შემდეგ 7 კომლიღა არის, სულ 16 სული, 9 – წლოვანი, 7 – მცირეწლოვანი. ამ 7 კომლიდან 2 ოჯახი ნივთიერად მთლად გაუნადგურებიათ, დაუწვავთ მათი კარ-მიდამო. წაუყვანიათ მათი 1 ცხენი, 15 ცხვარი, 15 თხა და ყოველივე სარჩო-საბადებელი. დანარჩენი ხუთი კომლიც დაზარალებულია, შედარებით ნაკლებად. გაურეკიათ ნაწილი მათი საქონლისა, დაუტაციათ სახლის მოწყობილობა და სარჩო-საბადებელი.

**სოფ. ჭალახმელა**

ამ სოფელში ომიანობამდე ყოფილა 20 კომლი, აწიოკების მერე 4 კომლიღა დარჩენილა, სულ არის 10 სული, 5 – წლოვანი, 5 – მცირეწლოვანი. მათი სახლები და კარ-მიდამო გადაბუგულია, ოჯახის ავლადიდება გაძარცული და გატაცებუ-ლია. ამ ოთხ კომლს არაფრისაგან არაფერი შერჩენიათ აწიოკების შემდეგ არც სულადი, არც საქონელი. მათთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ.

**სოფ. მაღლაკონი**

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 15 კომლი, აწიოკების დროს დარჩენილა 5 კომლი, სულ 7 სული. ამათგან 5 წლოვანია, 2 – მცირეწლოვანი. მათი კარ-მიდამო მთლად გადაუბუგავთ, სახლის მოწყობილობა ყველაფერი დაუტაციათ, სულა-დი, ჭირნახული, სანოვაგე თუ რაიმე საკვები და საქონელი მთლად მოუსპიათ. არავითარი დახმარება მათთვის არავის არ აღმოუჩენია.

**სოფ. ქვემო-ხერთვისი**

ამ სოფელში 18 კომლი ყოფილა ომიანობამდე. აწიოკების შემდეგ 4 კომლიღა დარჩენილა. ესენი ეხლა სეხიზნულნი არიან სოფ. კაპნისთავში, რადგანაც ქვემო-ხერთვისში ბინადრობა აკრძალულია. აქ სულ 16 სულია, 1 – მცირეწლოვანი, 15 – წლოვანი. მათი სახლები მთლად გადამწვარია. სახლის მოწყობილობის მცირე რამ ნაწილი გადაურჩენიათ. წლის სარჩო მთლად დაუტაციათ, 2 ცხენი და 2 ძრო-ხა გაურეკიათ. არც სულადი და არც რაიმე ოთხფეხი საქონელი არ შეურჩენიათ. დახმარება მათთვის არავის გაუწევია.

**სოფ. ჭანივრი**

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 18 კომლი, ეხლა არის 8 კომლი. სულ 32 სულია, 29 – წლოვანი, 3 – მცირეწლოვანი. მათი სახლი და კარ-მიდამო გადაბუგულია, ქონება, ავლადიდება - წლის სარჩო მთლად დატაცებული. გაურეკიათ მათი 48 ცხენ-ხარი თუ ძროხა, 23 ცხვარი, 6 თხა; წაუღიათ 110 ძირი ფუტკარი, არც სანო-ვაგე, არც რაიმე სარჩო, არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის არავითარი დახმარება არავის გაუწევია.

**სოფ. აჭარის აღმართი**

ამ სოფელში ომის დაწყებამდე 43 კომლი ყოფილა. ეხლა კი მხოლოდ 10 კომლია, სულ 30 სული. მათი სახლები გადაბუგულია, ავლადიდება მთლად განიავებული, წლის სარჩოს ნატამალი არაფერი გააჩნიათ, გაურეკიათ მათი 36 ცხენ-ძროხა, 55 ცხვარი, 235 თხა; წაუღიათ 125 ძირი ფუტკარი. სოფელში აღარაფ-რისგან არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის დახმარება არავის აღმოუჩენია.

**სოფ. კიბე**

ამ სოფელში ომიანობამდე 58 კომლი მცხოვრები ყოფილა, ეხლა არი 24 კომ-ლი. მათი სახლები მთლად აკლებულია, ყავარი აყრილია, კარ-ფანჯრები გამოღე-

ბული, იატაკი აყრილი. ერთი სიტყვით, გაპარტახებულია ეს სოფელი, დარჩენილია შავი კედლები და სახურავი. მთელი ავლადიდება, წლის სარჩო, სახლის ავეჯი თუ ჭურჭელი, ყოველგვარი მოწყობილობა გაუტაციათ. გაურეკიათ მათი 23 ცხენი თუ ჯორი, 34 ძროხა, 9 ცხვარი, 1 თხა; 30 ძირი ფუტკარი. აწიოკებას გადარჩენია 2 ცხენი, 5 ძროხა, 10 თხა, მხოლოდ ის შერჩენიათ, რაც ზედ სცმიათ.

მათთვის კომიტეტს სულ 4 ფუთი სათესლე და თითო ფუთი საკვებად დაურიგებიათ (საუბარია ალბათ სიმინდზე, – ზ.ნ.).

**სოფ. კაპნისთავი**

ეს სოფელი სხვებთან შედარებით ნაკლებად დაზარალებულია. გადარჩენილა სახლები და ნაწილი შინაური საქონლისაც. თუმცა ბლომად წაუღიათ წლის სარჩო და საქონელიც ბლომად გაურეკიათ. ეს სოფელი, კომიტეტის აზრით, 2-3 თვით უზრუნველყოფილია საკვების მხრივ“ („საქართველო“, 1916:2-3).

გაზეთ „საქართველოს“ შემდგომ სტატიაში თავადი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ზემოთ მოყვანილი სოფლების მდგომარეობა, აღნიშნავდა, რომ ეს სოფლები, სადაც რამდენიმე კომლიღაა დარჩენილი, სასწრაფოდ საჭიროებს დახმარებას, თორემ შესაძლებელია, საერთოდ დაიცალოს მოსახლეობისაგან. მას სოფლების მიხედვით დეტალურად ჰქონდა გაწერილი პირველადი დახმარების პროდუქტების რაოდენობა („საქართველო“, 1916:3).

ომის პერიოდში აჭარაში სხვა მოულოდნელმა პრობლემებმაც იჩინა თავი. ლტოლვილთა პირველი ტალღა ბათუმს ომის დაწყებისთანავე მოაწყდა. ესენი ოსმალეთიდან გამოქცეული ბერძნები და სომხები იყვნენ. მათი შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც რთულ სოციალურ პირობებში ჩავარდნილ ქალაქს. თავის მხრივ, ბათუმი და მისი ოლქი სანახევროდ დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ოსმალთა დროებითი წარმატებით შეშინებულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი, ხოლო მეორე, მკვიდრი ნაწილი მოწინააღმდეგემ 1915 წ. თებერვალ-მარტში უკანდახევის დროს იძულებით წაიყვანა ოსმალეთში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრონტისპირა რაიონები: გონიოს უბანი, ლაზეთი, ართვინ-არტანუჯის მხარე, მაჭახლის ხეობა და აჭარისწყლის ქვემო წელის სოფლები. ამის თვითმხილველი მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალათ აქაური სოფლები, შემდეგ კი გადაიარა რუსის ჯარმა - ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავისი მხეცობით, შეუბრალებლობით და მძარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები... არავითარი ჭაჭანება ადამიანისა, ეგერ-აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ყმუილი, საზარელი, გულისმომკვლელი“ (კლდიაშვილი, 1981: 311-312).

მოსახლეობის ნაწილი თვითონ გაერიდა საომარი მოქმედების ასპარეზს და რუსეთის ჯარისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად მიატოვა სახლ-კარი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო თემი), საიდანაც 7 ათასამდე სული გადაიხვეწა. მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ საომარი მოქმედების შედეგად, ხოლო შემდეგ რუსთა ჯარებისაგან. უკანასკნელებმა სოფ. აჭარისაღმართში 41 კომლიდან გადაწვეს ყველა, სოფ. ქედქედში - 20 კომლიდან 2, სოფ. მაღლაკონში - 10-დან 8, სოფ. უჩხითში - 50-დან 9, სოფ. კირნათში - 47-დან 7 და ა.შ. სულ ხერთვისის თემში ომამდე ითვლებოდა 786 კომლი. მათგან გადაწვეს 196; გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი (ა.ქ.ს.ს., 1916:8).

ბათუმის ოლქის სოფლები მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ამარა იყო დარჩენილი. ამას ემატებოდა საომარი მოქმედებებით გლეხური მეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი, სახლ-კარისა და სურსათის გადაწვა-განადგურება, აგრეთვე, გადარჩენილი სურსათ-სანოვაგისა და გამწევი პირუტყვის რეკვიზიცია. ახალ სამეურნეო წელს ამას დაერთო მოუსავლიანობაც. მართალია, 1916 წ. დასაწყისიდან ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მამრობითი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შეუდგა კიდეც გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მაგრამ გარედან დახმარების გარეშე ცხოვრების ხელახლა მოწყობა რთული იყო. „საშიში სურათია, - წერდა კორესპონდენტი აჭარიდან, - გამხდრები, თმა-წვერ მოშვებულები, ტიტვლები, მათი ნახვა უფრო გულშემზარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველი...“ („თანამდეროვე აზრი“, 1915).

ასეთი განსაცდელის დროს დიდი თანადგომა და დახმარება აღმოუჩინეს ომის ქარცეცხლით დაზარალებულ აჭარის მოსახლეობას თანამოძმეებმა. მთელი საქართველოდან ჩაერთო მოსახლეობა მათ დასახმარებლად. ზოგი – ფულით, ზოგი ჩასაცმელითა თუ სურსათის გაღებით ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა აჭარის მკვიდრთა დასახმარებლად.

აჭარისა და ლაზეთის დახმარების ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება (თავმჯდომარე მიხ. მაჩაბელი). 1916 წ. მოსახლეობას დაურიგდა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათას რუბლამდე ფულად. ლაზეთში მარტო ჰაიდარ აბაშიძემ უხელმძღვანელა 700 ფუთი სიმინდის ჩატანას და განაწილებას. მართალია, ეს დახმარება არ იყო საკმარისი, მას უფრო მორალური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ძველი კორესპონდენტი სოფ. ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზ. „თანამედროვე აზრს“ წერდა: ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლკარი არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღ-

ებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი მალამოა“ (წულაძე, 1991:110), ამასთან, ეს დახმარება „არსებითად იყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მაშინ სული მოათქმევინა ხალხს“ (სურგულაძე, 1994:34).

ომის ქარცეცხლსა და სოციალ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს აჭარაში თან სდევდა სხვა პრობლემები, ერთ-ერთი იყო სახელმწიფო ღალატის ბრალდება, რასაც მოყვა აჭარაში კაზაკ პლასტუნების მხრიდან მოსახლეობის აწიოკება. არა-და, ბრალდება ყოვლად უსაფუძვლო იყო. ბრალდების საფუძველს რუსეთის ხელისუფლება იმაში ხედავდა, რომ ომის წინა პერიოდში ოსმალეთისა და გერმანიის სპეცსამსახურებმა ამ რეგიონში ჩაატარეს ფართო ანტირუსული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის მომზადება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისთვის, რაც კავკასიის ფრონტის გახსნისთანავე უნდა გაჩაღებულიყო. როგორც ხდება ხოლმე ომის დროს, ამ ცდებს მცირე შედეგი ჰქონდა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავიდანვე ჩაერთო რუსეთის სამხედრო ნაწილების მხარდამხარ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჭარა და მთელი სამაჰმადიანო საქართველო მოღალატედ შერაცხეს (სდსინ, 2008:383).

„სახელმწიფო ღალატის“ ინსპირირებულ საქმეს აჭარის ოსმალთაგან გაწმენდისთანავე შეეწირა სამი ქართველი, რომლებსაც დაბრალდათ „ჩეთნიკებში“ გარევა. ისინი სათანადო გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სოფ. ხიჭაურში ჩამოახრჩო კაზაკ-პლასტუნთა მეთაურმა გენერალმა გუბსკიმ. გუბერნატორ ლიახოვის ბრძანებით 1915 წლის იანვარში სოფ. ჩანჩხალოში გაიგზავნა პლასტუნთა ეგზეკუცია, რომელმაც იავარჰყო იქაურობა (ასსცსა, ფ. 3, ან. 1, ს. 16, ფურც. 5). ასევე გაავერანეს ზოგიერთი სხვა სოფელიც. ხულოს სკოლის მასწავლებელი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე) შენიშნავდა: - კახაბრიდან ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ჰყივის. სოფლები გადამწვარია და გავერანებული, შენობები გაძარცვული („თანამედროვე აზრი“, 1915).

გენერალი ლიახოვი მზად იყო სისხლით მოერწყო „მოღალატე“ აჭარის სხვა სოფლებიც, მაგრამ, როგორც თავად შენიშნავდა გენერალ მოკულსკისადმი 1915 წლის 11 იანვრის ტელეგრამაში, - ვიდრე ართვინის მხარე ოსმალებს ეპყრათ, საჭირო იყო რეპრესიებისგან თავის შეკავება, რათა თავიდან აეცილებინათ ქართველ მაჰმადიანთა აჯანყება (სდსინ, 2008:384).

რუსეთის სარდლობის არასამართლებრივი ქმედებანი აღიკვეთა, როგორც კი 1915 წ. იანვრის თვეში აქ ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. მისი ღვაწლი ამ საქმეში განუზომელია. მან შეიტყო თუ არა თავის ამომრჩეველთა უბედურება, მაშინვე აქეთკენ მოაშურა. პირადად რამდენჯერმე

შემოიარა ბათუმი, ქედა, ხულო, მურღული, ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, იმერხევი, არტაანი და ყარსი. 1916 წ. 11 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში მან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა აჭარელთა დასაცავად.

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვის აგრეთვე, გენერალ ბესარიონ ჩიქოვანს, თავად არჩილ აბასიძეს, სათათბიროს დეპუტატ კარლო ჩხეიძეს და ზოგადად მთელ ქართულ ინტელიგენციასა და პრესას, სადაც მრავალი სტატია გამოქვეყნდა აჭარელთა დასაცავად.

ქართველი საზოგადოებრიობისა და IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატთა პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად 1915 წლის დასაწყისში პეტროგრადიდან გამოგზავნა გენერალ-ლეიტენანტი პოროშინი, იმავე წლის დეკემბერში - გენერალი ნიროდი, ხოლო შემდეგ - სენატორი გოლიცინი. მათი დასკვნები ერთსახოვანი იყო, რომ „ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი“.

ბათუმის ოლქის გუბერნატორ ბ. რომანოვსკის შეფასებითაც კი მოსახლეობა არასდროს არ ავლენდა ორგულობას მეფის ხელისუფლების მიმართ და ყოველთვის ასრულებდა მის მოთხოვნებს. „მოსახლეობა სრულებით არ თანაუგრძნობდა ოსმალთა შემოჭრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა და ადმინისტრაციამ ეს მხარე მიატოვა, ხალხს არ ჰქონდა არავითარი საშუალება, წინ აღდგომოდა მტერს, ხოლო ოსმალთა შემოჭრის შემდეგ მათი მომარაგება და მეგზურობა იყო იძულებითი“ - დაასკვნის გუბერნატორი (სდსინ, 2008:388).

თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ თავის 1915 წ. 2 მარტის ტელეგრამაში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობისათვის თავსდატეხილი განსაცდელი შეაფასა არა „ღალატად“, არამედ „უბედურებად“(სდსინ, 2008:388-389).

უზენაესი მთავრობის ასეთი პოზიციის შემდეგ ბათუმისა და ყარსის ოლქებში შეწყდა სამხედრო ეგზეკუციები და სადამსჯელო ოპერაციები, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა ცალკეული საქმეების განხილვა და პირთა დასჯა. საბოლოოდ „მოღალატე“ მაჰმადიანთა შესახებ კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ამავე მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარს, აკაკი ჩხენკელს. ამ დადგენილების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დააბრუნეს „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით 1915-1916 წლებში მსჯავრდებული 120-მდე კაცი ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან (სდსინ, 2008:391).

I მსოფლიო ომმა დიდი უბედურება მოუტანა მაჭახლის ხეობას. გადაიწვა სოფლები, ნაცრად იქცა გათლილი წაბლის ხით ნაგები ორ-სამსართულიანი სახლები, საყოფაცხოვრებო ნაგებობები; განადგურდა როგორც ოსმალომდელი, ასევე ოსმალური პერიოდის კულტურის ნიმუშები: მეჩეთები, მედრესეები, ჯამეები. მოსახლეობა იძულებული გახდა, კვლავ მუჰაჯირად ქცეულიყო, დაეტოვებინა მამაპაპისეული ადგილ-მამულები და ოსმალეთში ეძებნა თავშესაფარი. ნაწილი გადახვეწილი მოსახლეობისა უკან აღარ დაბრუნებულა. ომმა ხეობას დიდი დანაკარგი მოუტანა როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე ადამიანური რესურსების სახითაც. ხეობამ დაკარგა შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


**ა.ქ.ს.ს. 1916:** - ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წ., თბილისი.

**ასსცსა, ფ. 3, ან. 1, ს. 16** - აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, ანაწერი 1, საქმე №6.

**„თანამედროვე აზრი“ 1915:** - გაზეთი „თანამედროვე აზრი“, №36-39.

**„თანამედროვე აზრი“ 1915:** - გაზეთი „თანამედროვე აზრი“, №195.

**კახიძე, 2017:** - კახიძე ნ., აჭარა მაჭახელი პირველი მსოფლიო ომის წლებში, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „მაჭახელი“ №8.

**კლდიაშვილი, 1981:** - კლდიაშვილი დ., მემუარები, თხზ. ტ. 2, თბილისი.

**ნაგერვაძე ჯ,** - მთხრობელი ჯემალ ნაგერვაძე, გარდაიცვალა 2012 წელს 80 წლის ასაკში, სოფ. აჭარისაღმართი.

**„საქართველო“, 1915**: - გაზეთი „საქართველო“, №38.

**„საქართველო“, 1916**: - გაზეთი „საქართველო“, №6.

**„საქართველო“, 1916**: - გაზეთი „საქართველო“, №7.

**„საქართველო“, 1916**: - გაზეთი „საქართველო“, №8.

**სდსინ, 2008:** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. III, ბათუმი.

**სურგულაძე, 1994:** - სურგულაძე ა., ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათუმი.

**წულაძე, 1991:** - წულაძე აპ., „მმური სიტყვა“, ბათუმი.

**Пипиа, 1978: -** Пипиа Г.В., Германский империализм в Закавказье 1910-1918 гг., Москва.

**გიორგი თავამაიშვილი**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
**Giorgi Tavamaishvili**
*PhD in History, Principal Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli StateUniversity*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ძეგლები (გონიოს ციხე)

# ARCHAEOLOGICAL MONUMENTS OF KHELVACHAURI MUNICIPALITY (GONIO FORTRESS)

**აბსტრაქტი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გამორჩეული მნიშვნელობის ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს გონიოს ციხე. გონიო იდენტიფიცირებულია ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ აფსაროს-აფსარუნტთან. გონიოს ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი არქეოლოგიური მასალა ადრერკინის ხანით თარიღდება. აფსაროსის შემოგარენში ფუნქციონირებდა სამთო-მეტალურგიული ცენტრი, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს თარიღდება. უახლესი აღმოჩენებით დადასტურდა, რომ ეს ტერიტორია კლასიკურ ხანაშიც ყოფილა დასახლებული. ელინისტური ხანიდან სამეურნეო-კულტურული ცხოვრება აღმავალი გზით მიდის.

აფსაროსი, როგორც ციხესიმაგრე, პირველად ახ.წ. 77 წლით დათარიღებულ ნაშრომშია მოხსენიებული. არ არის გამორიცხული, რომ რომაელებს აფსაროსში თავდაპირველად ხის დროებითი სიმაგრე აეგოთ. ქვის გალავნის მშენებლობა I-II საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს დაწყებული. ახ.წ. II-III სს. თარიღდება აბანო, წყალსადენი სისტემა და კოლექტორი და პრინციპიის ნაშთები.

ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ პერიოდიდან აფსაროსი სასაზღვრო ბანაკად გადაიქცა. აფსაროსის ციხეს ახ. წ. IV საუკუნისთვის დროებით შეუწყვეტია ფუნქციონირება. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ახ.წ. IV საუკუნის შუახანებიდან ახ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ციხე ფაქტიურად მიტოვებულია. ახ.წ. VIII საუკუნის შემდეგ წერილობით წყაროებში „აფსარი“ არ იხსენიება. ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში მის ადგილს იკავებს სახელწოდება „გონია“.

თამარის ეპოქაში, ტრაპიზონის იმპერიის შექმნის შემდეგ, გონია ამ იმპერიის შემადგენლობაშია. XIII ს.90-იან წლებში ტრაპიზონის იმპერიას გამოეყო რიზე-გონიის პროვინცია და შეუერთდა ფეოდალურ საქართველოს.1547 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი და მასთან ერთად „მცირე ქალაქი გონია“. ოსმალებმა გონიოს ციხე გადააქციეს ავანპოსტად დაპყრობილ მიწებზე ბატონობის გასამტკიცებლად და დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, სხვა ტერიტორიებთან ერთად, გონიო საქართველოს დაუბრუნდა.

**საკვანძო სიტყვები:** ხელვაჩაური, გონიოს ციხე, აფსაროსი, ბიზანტია, ოსმალეთის იმპერია.

**Abstract** - Gonio Fortress is a historical, architectural and archeological monument of special importance in Khelvachauri Municipality, its past is reflected in Greek-Latin-Georgian manuscript sources and in epigraphic monuments. Gonio Fortress is still the object of intensive archeological research.

Gonio is identified with the Apsaros-Apsarunt mentioned in ancient and Byzantine sources. It is clear from the archaeological date that the settlement existed here long before the construction of the fortifications. The oldest archeological material found in the Gonio area dates back to the Early Iron Age. A mining and metallurgical center was functioning in the surroundings of Apsaros, which is dated with VIII-VII centuries B.C. Recent discoveries confirm that this territory was inhabited even in the Classical antiquity. The tombs of the locals of 5th century B.C turned out at the south gate of the castle. Economic-cultural life has been on the rise since the Hellenistic period. Evidence of this is the ceramic and numismatic material found in the Fortress and the surrounding area.

Apsaros, as a fortress was first referred in the work dated 77 A.D. It is not excluded that the Romans built a temporary wooden fortress in Apsaros. The construction of the stone fence seems to have begun at the turn of the I-II centuries. The bath, water supply system and collector, barracks ruins at the south of the gate, agro technical areas, in the south-west part of the castle, the remains of the principality in the central part are dated II-III centuries A.D.

Apsaros was transformed into a boarder camp from the second half of the III century A.D. Apsaros fortress temporarily ceased to function by the 4th century A.D. In the central and outside parts of the fortress for the end of the layer of I-III centuries A.D trace of destruction is confirmed. At the north gate, burnt layers are exposed. At this level are tracked stone shells, cores and stones of envy. Archaeological material reveals

that from the middle of the 4th century A.D. including the first half of the 6th century A.D. the castle was actually abandoned.

After the 8th century A.D Apsar is not mentioned in written sources. In the era of the strength of feudal Georgia, the name "Gonia" takes its place. A study of the fortress districts did not reveal a developed medieval cultural layer, and it indicates that Gonio fortress had lost its former significance and the territory of the fortress was less used.

In the Era of Tamar, after the creation of Trabzon Empire, Gonia was part of the Empire. In the 90s of XIII of Century the province of Rize-Gonia separated from Trabzon Empire and joined feudal Georgia. In 1547, the Ottomans conquered Chaneti and later the "small town of Gonia". They repaired a fortress, built curbs on the walls, renewed the water supply system, built a bathhouse in the thermal baths and built a chapel in the middle of the fortress. The Ottomans turned Gonio Fortress into an outpost to control the conquered lands and annex West Georgia. After the Russo-Turkish War of 1877-78, according to a document of the Congress of Berlin of 1878, Gonio returned to Georgia with other territories.

**Key words:** Khelachauri, Gonio Fortress, Apsaros, Byzantium, Ottoman Empire.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია მნიშვნელოვანი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები: გვარას, ჩხუტუნეთის და ყოროლისთავის ციხეები, მახოს, ცხემლარას, ქოქოლეთის, ორთაბათუმის, ჩხერის, ზვარიას და მირვეთის თაღოვანი ხიდები, ფერისცვალების და სამების ეკლესიები. მაგრამ გამორჩეული მნიშვნელობის ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს გონიოს ციხე, რომლის წარსული ასახულია ბერძნულ-ლათინურ-ქართულ წერილობით წყაროებში და ეპიგრაფიკულ ძეგლებში. გონიოს ციხე დღესაც ინტენსიური არქეოლოგიური კვლევის ობიექტია. ის რომაული საფორტიფიკაციო არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშად არის აღიარებული (Леквинадзе, 1961: 225-252).

გონიო დიდი ხანია, იდენტიფიცირებულია ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებულ აფსაროს - აფსარუნტთან. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ აქ დასახლება საფორტიფიკაციო ნაგებობის აგებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. თუ ურარტულ წყაროებს დავეყრდნობით, სწორედ აქ, ჭოროხის აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაოს ხანაში საფუძველი ჩაეყარა უძველესი სახელმწიფოებრივი ერთეულების - დიაოხისა (ძვ.წ. XIII ს) და კოლხას (ძვ.წ. XII ს) ფორმირებას (სინ, 1970:

358-392). ანტიკური ტრადიცია აფსაროსის, როგორც დასახლებული პუნქტის, წარმოშობას, არგონავტების ლაშქრობას (ძვ.წ. XIII ს) უკავშირებს. სტეფანე ბიზანტიელის, არტემიდორე ეფესელის, არიანეს და პროკოპი კესარიელის ცნობით, აფსაროსის დასახლება გაჩნდა იმ ადგილის გარშემო, სადაც იაზონს დადევნებული და ვერაგულად მოკლული კოლხეთის მეფის - აიეტის ვაჟი, აფსირტე, იყო დასაფლავებული (ლორთქიფანიძე, 1966: 22-23; გორდეზიანი, 1999: 22-27).

ჰომეროსიდან მოყოლებული არგონავტების შესახებ ბერძნული მითი პოპულარული იყო არა მარტო ანტიკურ პერიოდში, არამედ მომდევნო ეპოქებშიც. ალბათ, ამიტომ, თავის დროზე, კოლხეთის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური შესწავლის სურვილი ბევრ ცნობილ პიროვნებას გაუჩნდა. მათ შორის ჰაინრიხ შლიმანს, რომელიც საკუთარი სახსრებით აპირებდა ისტორიული კოლხეთის ზღვისპირა ზოლში გათხრების ჩატარებას, მაგრამ, რუსეთის საიმპერატორო აკადემიისაგან უარი მიიღო (Быч, 1947:183-185). 1904 წელს აკადემიკოსმა ნიკო მარმა ითხოვა რუსეთის არქეოლოგიური კომისიისაგან ბათუმის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის უფლება, მაგრამ ამ მცდელობას პრაქტიკული გაგრძელება არ მოჰყოლია. უშედეგოდ დამთავრდა ცნობილი ბიზანტიოლოგის აკადემიკოს თ. უსპენსკის ცდა გონიოსა და მიმდებარე ტერიტორიების არქეოლოგიური შესწავლისა. მან სპეციალური მოხსენებაც კი წარუდგინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, სადაც დაასაბუთა ძველი აფსაროსის შესწავლის მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისთვის. თ. უსპენსკის გათხრებისთვის „ღია ფურცელიც“ კი მიუღია, მაგრამ გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური სამუშაოები მასაც ვერ განუხორციელებია (Дело археологической коммиссии, 1917).

გონიოს ტერიტორიაზე სისტემატური და გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გონიო-აფსაროსის კვლევაში ახალი ეტაპი იწყება 1994 წლიდან, როდესაც შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია.

გონიოს ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი არქეოლოგიური მასალა ადრერკინის ხანით თარიღდება. ამ ეპოქას წინ უძღვის დრო, როდესაც კულხა ურარტული წყაროების მიხედვით, რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. კულხას დაცემის შემდეგ (ძვ.წ. VIII ს ბოლო) კოლხური კულტურის ცენტრმა რიონისპირეთში გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, ტრადიციული სამეურნეო ცხოვრება ჭოროხის რეგიონში გრძელდება. აფსაროსის შემოგარენში ფუნქციონირებდა მსხვილი სამთო-მეტალურგიული ცენტრი (გონიო, ავგია, ჭარნალი, ხოფჩო, ახალი სოფელი), რომელიც ძვ.წ. VIII-VII

სს თარიღდება (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964; Хахутаишвили, 1987; ხახუტაიშვილი, 2009:90-96). უძველეს რკინის მეტალურგიის წარმოებას უკავშირდება ციხის და მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი დიუნური სადგომების ნაშთები, დამახასიათებელი აბაზანისმაგვარი ჭურჭლებით და საკულტო კომპლექსებით.[1]

მომდევნო პერიოდის, კერძოდ, დიდი ბერძნული კოლონიზაციისა და ახალი კოლხური სახელმწიფოს ფორმირების პირველი ეტაპის მასალა, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე ადრე არ იყო მიკვლეული. უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურდა, რომ აფსაროსში კოლხური დასახლება ძვ.წ.V ს. ჩნდება (მამულაძე და სხვ., 2002: 30). 1997 წელს ციხის ტერიტორიაზე პირველად დაფიქსირდა ძვ.წ. V ს. კოლხური კერამიკის ნიმუშები, 2000 წელს კი ციხის სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. ადგილობრივი კოლხი მოსახლეობის სამარხები. გაირკვა, რომ ეს ტერიტორია კლასიკურ ხანაშიც ყოფილა დასახლებული (პლონტკე-ლუნინგი და სხვ., 2002). ამ აღმოჩენებით შეივსო ის წყვეტილი, რომელიც არსებობდა წინაანტიკური და ელინისტური ხანის მასალებს შორის.[2]

აფსაროსში სამეურნეო-კულტურული ცხოვრება ელინისტური ხანიდან აღმავლობის გზით მიდის (მამულაძე და სხვ., 2009:112), რისი მოწმობაა ამ პერიოდის სამაროვნის მრავალფეროვანი ინვენტარი, ასევე ციხის და მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფ. ჭარნალი, სოფ. შარაბიძეები, მახვილაური) მიკვლეული კერამიკული (ადრეელინისტური ხანის კოლხური ამფორა, კოლხური ხელადა, სინოპური ამფორის ძირები) (კახიძე, მამულაძე, 2004) და ნუმიზმატიკური მასალა (ვარშალომიძე, 1999: 128-129). სახეზეა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი მასალა. როგორც ჩანს, აფსაროსი აღნიშნულ პერიოდში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან დასახლებას. ძვ.წ. II საუკუნის მწერლის არტემიდორე ეფესელის მიერ ქალაქისა და კუნძულის აფსირტოს მოხსენიება, უფრო აფსაროსის ლეგენდარული ისტორიის ამსახველი ჩანს, ვიდრე მწერლის ეპოქის რეალიების გამომხატველი (მამულაძე და სხვ., 2005: 39).

ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარში კოლხეთი მცირეაზიელი მოკავშირეებისა და მითრიდატე პონტოელის მემკვიდრეების ბრძოლის ასპარეზად იქცა (ამას დაემატა მთიელთა შემოსევები). შედეგად, დაშლილი ქვეყანა რომაელებმა ახალი და

[1] დიუნური სადგომების ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებითაა განსაზღვრული, ხოლო სადგომების ხასიათი ზღვის სანაპიროზე დალექილი მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-დამუშავებასთან არის დაკავშირებული (თავამაიშვილი, 2012).

[2] გონიო-აფსაროსში ადგილობრივი მოსახლეობა სამაროვნისთვის იყენებდა ტერიტორიას ციხის სამხრეთით, სადაც ამჟამად თანამედროვე სასაფლაოა გამართული (კახიძე და სხვ., 2002: 49).

ძველი წელთაღრიცხვის მიჯნაზე პოლემონის პონტოს გადასცეს.[3] ახ.წ. 63 წელს იმპერატორ ნერონის ბრძანებით გაუქმდა პოლემონების პონტოს სამეფო და პონტო კოლხეთთან ერთად გალატიის პროვინციაში შევიდა. რომაელების ხელში დაპყრობილი ქვეყნების სამხედრო ფლოტი გადავიდა, რასაც ხომალდებისთვის აუცილებელი ნავსადგურების მშენებლობა მოყვა. რომაელები დაპყრობილ ტერიტორიაზე ქალაქური ცხოვრების განვითარების მიზნით ახალ პუნქტებსაც აარსებენ და ძველბერძნულ დასახლებებთან ციხესიმაგრეებს აგებენ. რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ვერ ვხდებით ცნობას, თუ ვინ ააშენა აფსაროსის ციხე (Успенский, 1917), მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ციხეების შესახებ მითითებულია, რომ ისინი რომაელების აშენებული თუ გამაგრებულია. ეს გარემოება მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ რომაელებმა გამოიყენეს აქ არსებული ძველი ციხე, რის საფუძველზე ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობა გამართეს (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1960:761-767). ნ. ლომოური თვლიდა, რომ კოლხეთის ზოგიერთ პუნქტში რომაული გარნიზონი ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო, თ. უსპენსკი კი აფსაროსის ციხის აშენებას პომპეუსის (ძვ.წ. 106-48) სახელს უკავშირებს (Успенский, 1917).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ ააგეს რომაელებმა ციხე აფსაროსში და რა სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას?

უპირველეს ყოვლისა, აფსაროსი ითვლებოდა რომის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილად, სადაც შეიძლებოდა ზღვით მისვლა. ციხე იცავდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობის შემოსასვლელებსაც, სტრატეგიული თვალსაზრისით, მთის ზოლით შემოსაზღვრულობა ასევე საგულისხმო ფაქტორი იყო, ხოლო ერთადერთი გზა ადვილად კონტროლდებოდა მეციხოვნეების მიერ. აფსაროსის ციხის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებული იბერიის ტერიტორიიდან და, ნაწილობრივ, ჭანთა ტომების დამორჩილებაც (Меликишвили, 1959: 376-377). გარდა ამისა, აფსაროსის გარნიზონის ფუნქციებში შედიოდა ადგილობრივი „სკეპტუხების“ თუ „მეფეების“ მეშვეობით გადასახადების აკრეფა და რომაულ დამხმარე ჯარის ნაწილებში მკვიდრი მოსახლეობის გაწვევის ორგანიზება (ფიფია, 2009). თავისი ადგილმდებარეობის გამო აფსაროსი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლურ და მიკენურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საქმეში.

[3] ვ. ლექვინაძე თვლის, რომ რომაელებს ახ.წ. I საუკუნის შუა წლებამდე არ უნდა ჰქონოდათ სამხედრო ბაზები სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებოდათ იმის აუცილებლობა, რომ დაპყრობილ კოლხეთზე უშუალო ძალაუფლება გადაეცათ ვასალისთვის - პოლემონის პონტოს მეფისთვის (Леквинадзе, 1961: 226).

აფსაროსი, როგორც ციხესიმაგრე, პირველად პლინიუს სეკუნდუსის ახ.წ. 77 წლით დათარიღებულ ნაშრომშია მოხსენიებული.[4] რადგან რომაელები ხანგრძლივი დროისთვის გამიზნული ციხესიმაგრეების მშენებლობამდე აგებდნენ ხის დროებით საფორტიფიკაციო ნაგებობებს (ე.წ. „ila Muralia“), მკვლევრები არ გამორიცხავენ, რომ რომაელებს აფსაროსშიც თავდაპირველად ხის ისეთივე დროებითი სასამაგრო ნაგებობა აეგოთ, როგორსაც ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წწ) იხსენიებს ფასისში.[5]

აფსაროსის ციხეს (ე.წ „კასტელუმს“), საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას მიაკუთვნებენ. ციხე თავისი კონფიგურაციით სახმელეთო ჯარების ბაზისა და სამხედრო ნავსადგურის კომბინირებულ ვარიანტს წარმოადგენს (კახიძე, 2002: 9). ციხე გეგმაში სწორკუთხედია (სიგრძე - 222 მ, სიგანე - 195მ, ფართობი 4,75 ჰა, სიგრძე პერიმეტრზე - 900 მ, კედლების სიმაღლე - 5 მ, იქ, სადაც კოშკებია აღმართული - 7 მ). კედლების ქვედა ნაწილი (I-II იარუსი) დიდი ზომის კვადრებითაა შედგენილი, ზედა ნაწილი კი (დაახლოებით 1,5 მ სიმაღლის) შედარებით პატარა ქვებითაა ამოყვანილი. ციხის კედლებს ეტყობა პერიოდული შეკეთების კვალი (Леквинадзе, 1961: 225-252). ციხე გამაგრებული იყო 22 კოშკით, რომელთაგან დღეს 18-ია შემორჩენილი. ციხეს 4 შემოსასვლელი ჰქონდა, დღეს 3 მათგანი ამოქოლილია. ციხის შიდა სივრცე რომაული კასტელუმებისთვის დამახასიათებელი ორი ურთიერთგადამკვეთი ქუჩით იყო გაყოფილი, რაც სამხედრო ბანაკში მიმდინარე სტანდარტული პროცესების უზრუნველყოფით (სავარჯიშო სივრცე, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო უბნები და ა.შ.) იყო განპირობებული.

არიანე, რომელიც ინსპექციის მიზნით ჩამოვიდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში, იმპერატორ ადრიანესთვის გაგზავნილ ანგარიშში აღნიშნავს, რომ „აფსარში დგას 5 კოჰორტა“. 5 კოჰორტაში 30 ცენტურია (ასეული) ერთიანდებოდა, ე.ი. ციხეში 1800-3000 ჯარისკაცი იდგა (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1980: 5). ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება, რომ აფსაროსში განლაგებული სამხედრო კონტინგენტი დამხმარე რაზმებს წარმოადგენდა და მაქსიმუმ 1000-1400 ჯარისკაცს მიითვლიდა (კახიძე, 2002:11; ასლანიშვილი, 2009: 5). იტალიაში, აბელაში აღმოჩენილ წარწერაში მოხსენიებულია მარკუს პრეტორიუს კელერი, რომელიც პონტოს აფსარში (Numeri tendentes in Porto Absaro) და-

[4] „ტრაპეზუნდიდან 140000 ნაბიჯით დაშორებულია მდინარე აბსარუსი, რომლის შესართავთანაა იმავე სახელის სიმაგრე (Castellum). მდინარე აფსაროსს (Ἄψαρος) კოლხეთში იხსენიებს ძვ.წ. IV საუკუნის პერიპლუსი, რომელსაც სკილაქს კარიანდელს მიაწერენ.

[5] არიანე წერს ფაზისის გალავანზე, მაგრამ აფსაროსის კედლებზე არაფერს ამბობს (Латышев, 1948: 269).

ბანაკებული რომაელთა სანაპირო დამხმარე (Numerorum) ჯარების ერთ-ერთი მეთაური (Praepositus) იყო (Эльницкий, 1938: 319). ეგვიპტეში, ფაიუმში აღმოჩენილ პაპირუსი, რომელიც ვეტერან მარციალის მიერაა დაწერილი, ადასტურებს აფსაროსში COHORS II CLAUDIANA დგომის ფაქტს. აფსაროსის ციხეში აღმოჩენილ აგურებსა და კრამიტებზე დატანილი წარწერებით დგინდება, რომ აფსაროსში იდგა მოისართა (Sagittarius) და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა (ნონეშვილი, 1997:122). აფსაროსში მარკუს ავრელიუსის სახელობის კოჰორტის დგომის მიმანიშნებელი, ასევე, უნდა იყოს, შიდაციხეში პრინციპიის ტერიტორიაზე ნაპოვნ ბრინჯაოს კანდელიაბრზე ამოტვიფრული წარწერაც (გეიერი, 2002: 7).

ი. ვარშალომიძე, გონიო-აფსაროსში იუდეური და სირიული მონეტების მიკვლევის ფაქტზე დაყრდნობით, არ გამორიცხავს, რომ რომაელებს ანტიოქიაში, სირიასა და კაპადოკიაში განთავსებული XII და XV ლეგიონის ვექსილაციები აფსაროსშიც გადმოეყვანათ. ამდენად, ის შესაძლებლად მიიჩნევს აფსაროსში არა დამხმარე, არამედ ლეგიონური ჯარის ნაწილის დგომას (ვარშალომიძე, 2001: 12).

მკვლევართა აზრით, გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე მიკვლეულ არქეოლოგიურ მასალაში ახ.წ. I ს. დათარიღებული ნიმუშების სიმცირე, შესაძლოა, მიუთითებდეს კონკრეტულ ეტაპზე, როგორც ახლად დაარსებული ფორტის მომარაგების მოუწესრიგებლობაზე, ასევე ჯარისკაცთა თუ მეციხოვნეთა სიმცირეზე (ებრალიძე, 2009: 165).

განსხვავებული რეალობა ფიქსირდება ახ.წ. II-III საუკუნეებში. ჩანს, რომ ციხის მომარაგების პრობლემა გვარდება, ასევე იზრდება ჯარისკაცთა რაოდენობა (ებრალიძე, 2009:165; შალიკაძე, ებრალიძე, 2009: 172). ქვის გალავნის მშენებლობაც I-II საუკუნეების მიჯნაზე ჩანს დაწყებული. ახ.წ. II-III სს–ით თარიღდება აბანო, წყალსადენი სისტემა და კოლექტორი, სამხრეთ კარიბჭესთან - ყაზარმის ნანგრევები, ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - სამეურნეო-სახელოსნო უბნები, ცენტრალურ ნაწილში - პრინციპიის ნაშთები.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ აფსაროსში რომაელთა გარნიზონი ახ.წ. I ს. ბოლოდან ახ.წ. II ს. დამდეგამდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან და რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილებიდან მარაგდებოდა. აქ წარმოდგენილია ახ.წ. I საუკუნის იტალიკურ და კოსურ ნაწარმად მიჩნეული ამფორები, წითელლაკიანი ჯამები, მინის ბალზამარიები (კახიძე, ხალვაში, 1998:27; შალიკაძე, 2004:6-11). ნუმიზმატიკურ მასალაში სჭარბობს ახ. წ. I ს. მეორე ნახევარსა და ახ. წ. II ს. დასაწყისში ანტიოქიაში მოჭრილი მონეტები.

ახ.წ. II ს მეორე ნახევრიდან მდგომარეობა იცვლება. წამყვან ადგილს იკავებს ამისოს, ჰერაკლეას და ტრაპეზუნტის ნაწარმი. მატულობს ადგილზე დამზადებ-

ული კერამიკის (ამფორები) რიცხვი. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ყავისფერკეციანი ამფორების დამამზადებელი ქურა-სახელოსნო, რომელიც ახ.წ. II ს და ახ.წ. III ს. პირველ ნახევარში ფუნქციონირებდა (ხალვაში, 2002). რადგან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონები კაპადოკიის სარდლობას ექვემდებარება, ამიტომ კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში კესარიული მონეტები გამორჩეულ ადგილს იკავებს. ახ.წ. პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებსაც. აფსაროსში აღმოჩენილია კომოდუსის (ახ.წ. 180-192 წწ.), სეპტიმიუს სევერუსის და ტრანკულიანას (ახ.წ. 238-244 წწ.) საფასეები (ვარშალომიძე, 2001:13). ტრაპეზუნტი ასევე დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული გარნიზონების მომარაგების საქმეში.[6]

1974 წელს სოფ. გონიოს ქედზე აღმოჩნდა ლითონის ჭურჭელში ჩალაგებული ოქროს ნივთები[7], რომელიც „გონიოს განძის“ სახელითაა ცნობილი (ლორთქიფანიძე და სხვ., 1980). განძის დიდი ნაწილი მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ერთგვაროვანია და სხვა (არმაზისხევის, კლდეეთის, თაგილონის, ურეკის, მახოს) კომპლექსებთან ერთად განეკუთვნება საიუველირო ხელოვნების ერთ წრეს, რომელიც საქართველოში ახ.წ. პირველ საუკუნეებში ჩამოყალიბდა. გონიოს განძის ნივთების მხატვრულ-სტილისტური ერთგვაროვნება არმაზისხევისა და კლდეეთის მდიდრულ სამარხეულ ინვენტართან, მკვლევართ აფიქრებინებს, რომ გონიოს განძი ეკუთვნოდა ახ.წ. პირველი საუკუნეების მმართველ წრეს, რომელიც განაგებდა ქვეყანას, ცენტრით ციხე-ქალაქ აფსაროსში.[8]

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გოთების გააქტიურების გამო ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან რომმა გააძლიერა განაპირა რაიონებში განლაგებული

---

[6] სპილენძის მონეტები კოლხეთის სანაპირო ქალაქებში და იმ პუნქტებში იყო გავრცელებული, სადაც რომაული გარნიზონები იდგა, ქვეყნის სიღრმეში კი, ძირითადად, ვერცხლის მონეტები მიმოიქცეოდა (სდსინ, 2007:344).

[7] განძში წარმოდგენილი იყო ჭაბუკის (დიოსკური) ოქროს ქანდაკება, ოქროს ფიალა, სამაჯურები, გარსაკრავები, საკიდები, ბალთები, ღილები, ძეწკვები და ფირფიტები.

[8] წერილობითი წყაროები მიუთითებენ, რომ აფსაროსში იყო ამფითეატრი, იპოდრომი. აფსაროსში სპორტული შეჯიბრებების ჩატარების ტრადიციაზე უნდა მიუნიშნებდეს აქვე აღმოჩენილი მინის ჭურჭელი,

რომელსაც პრიზის (საჩუქრის) დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ამ ჭურჭლებზე ამოტვიფრულია შემდეგი შინაარსის წარწერები: „გაიმარჯვე“, „ჯანმრთელი იყავი და გაიხარე“ (შალიკაძე, 2004: 7).

პუნქტები, რომლებსაც მომთაბარე ტომების შეჩერება ეკისრებოდათ. ამ პერიოდიდან აფსაროსი სასაზღვრო ბანაკად (parembole) გადაიქცა.[9] რომაელებმა ლაზების საშუალებით გოთებიც კი შეაჩერეს, მაგრამ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს (ახ.წ. 284-305) სარმატები შეესიენ ლაზეთს და მდ. ჰალისამდე მიაღწიეს. მკვლევრები არ გამორიცხავენ, რომ აფსაროსის ციხე ახ.წ. III საუკუნეში გოთების თავდასხმის შედეგადაც დაზარალებულიყო, მაგრამ ახ.წ. III საუკუნის ბოლოს თუ ახ.წ. IV ს. დასაწყისისათვის კვლავ აღდგენილი ჩანს (ლორთქიფანიძე, 1991: 52).[10]

აფსაროსის ციხეს ახ. წ. IV საუკუნისთვის დროებით შეუწყვეტია ფუნქციონირება. ციხის ცენტრალურ ნაწილში და გარეთაც, ახ.წ. I-III საუკუნეების ფენის დასასრულს ნგრევის კვალი დასტურდება. ციხის ჩრდილოეთ კარიბჭესთან, სადაც ციხესთან დაკავშირებული დასახლების არსებობა ივარაუდება, გამოკვეთილია ნახანძრალი ჰორიზონტალური შრეები (ხალვაში, კახიძე, 2004:147). ამ დონეზეა მიკვლეულია ქვის ჭურვები, ბირთვები და შურდულის ქვები (ასლანიშვილი, 2009: 177).[11] ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში ვითარება რეგიონში რადიკალურად შეიცვალა, გაძლიერდა ლაზიკის სამეფო, ხოლო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში შიდაომები დაიწყო. ლაზიკა გამოვიდა რომის დაქვემდებარებიდან და მის ძირითად ვალდებულებას ჩრდილოეთის საზღვრის დაცვა შეადგენდა. ბიზანტიელები, გართულებული საგარეო ვითარების გამო იძულებული არიან, შეურიგდნენ ლაზეთის გაძლიერებას, რადგან აღმოსავლეთში მას ვასალურ სახელმწიფოზე უფრო მეტად მოკავშირე ესაჭიროებოდა სომხეთში და ქართლში დამკვიდრებული ირანელებისა და თვით იბერიის, ასევე გოთებისა და ჰუნების ტომების წინააღმდეგ, რათა ისინი მის ტერიტორიაზე გავლით რომის სამფლობელოში არ შემოჭრილიყვნენ (ლომოური, 1968: 74-75). ამ მოსაზრებით, ბიზანტია ხელს უწყობდა ლაზიკის განვითარებას (მუსხელიშვილი, 1977:82). ამიტომ, ახ.წ. IV საუკუნიდან ლაზიკის ზღვისპირა სიმაგრეებში არ

[9] პარემბოლედ აფსაროსი მოიხსენიებულია ახ.წ. III საუკუნის ავტორ იპოლიტე რომაელთან (გეორგიკა, 1961:20) ევსევი კესარიელთან (გეორგიკა, 1961: 32) და ბერძნულ სვინაქსარში (გეორგიკა, 1952: 415).

[10] ამ პერიოდის (იმპერატორების დიოკლიტიანესა და მაქსიმილიანეს ეპოქა - ახ.წ. III-IV საუკუნეების მიჯნა) რეალიებს უნდა ასახავდეს აფსაროსის მოხსენიება ბერძნულ სვინაქსარში, სადაც საუბარია ქრისტიანობისთვის წამებულ ორენტიოსსა და მის ექვს ძმაზე, რომლებიც ქვეყნიდან გააძევეს და რომელთაგან ორი, გადასახლების დროს, გარდაიცვალა აფსაროსში (Леквинадзе, 1961: 227).

[11] კონკრეტულ წყაროებში აფსარის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის დროს (ახ.წ. 284-305) ბოსფორის მეფე სავრომატი პონტოსპირეთში და მეოტიდაში მობინადრე ტომებზე დაყრდნობით ახ.წ. 291 წელს თავს დაესხა რომის სამფლობელოებს და მათ შორის დალაშქრა ლაზიკაც (ლომოური, 1968: 42-45).

დგანან რომაული გარნიზონები. ის არც აღმოსავლეთის კასტელუმების ჩამონათვალშიც აღარ გვხვდება. სახელწოდება „აბსარი“ დატანილია რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ ახ.წ. IV ს შედგენილ საგზაო რუკაზე (“Tabula Peutingeriana”). შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ აღნიშნულია პუნქტი „აფსარო“, რაც მის გარკვეულ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს (ლომოური, 1958: 101; Леквинадзе, 1961:226).[12] მეორე მხრივ, სხვა წერილობით წყაროებში ახ.წ. IV-V სს. აფსაროსი იმდენად უმნიშვნელო დასახლებაა, რომ ანტიკური ავტორები ხშირად საჭიროდ არ თვლიან მის მოხსენიებას.[13] ახ.წ. IV საუკუნის ანონიმი ავტორი ფსევდო არიანე მას სოფლად მოიხსენიებს.[14] მკვლევართა აზრით, აფსაროსის დაცლა ბიზანტიელთა სტრატეგიული ინტერესების ციხისძირისკენ გადანაცვლებით უნდა აიხსნას.[15]

ახ.წ. IV საუკუნისათვის დასრულდა ლაზთა (ეგრისის) სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. რომის იმპერიის დაქვემდებარებიდან გამოსვლით, ზღვისპირა ციხე-ქალაქებმა, მათ შორის აფსაროსმა, დაკარგეს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. არქეოლოგიური მასალა აჩვენებს, რომ ახ.წ.

---

[12] გამოთქმულია მოსაზრება, რომ კასტორიუსის რუკა წინა საუკუნეების რეალობას უნდა ასახავდეს, რადგან სხვა წყაროების მიხედვით (ამიანე მარცელინე, ფსევდო არიანე, პროკოპი კესარიელი, იუსტინიანეს ნოველები, სტეფანე ბიზანტიელი) აფსაროსის სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებენ (ხალვაში, კახიძე, 2004:148). ვ. ლექვინაძეც, კასტორიუსის რუკაზე ფაზისისა და პიტიუნტის რომაული ციხეების არდატანას ავტორის მიერ წინა პერიოდის ინფორმაციით სარგებლობით ხსნის (Леквинадзе, 1969: 77).

[13] ახ.წ. IV საუკუნის ავტორი ამიანე მარცელინე შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას ასახელებს ფაზისს, დიოსკურიას, მაგრამ არაფერს ამბობს აფსაროსზე (გეორგიკა 1961: 89). ეს არ გამორიცხავს აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მართებულობას, რომ სენატორმა ათანასემ გუბაზ მეფის მკვლელები (იოანე და რუსტიკე) ქალაქ აფსაროსში გაგზავნა და იქაურ სატუსაღოში დააწყვდევინა (გეორგიკა, 1936: 82-83). Notitia dignitatum-ში, სადაც ჩამოთვლილია ახ.წ. IV-V საუკუნეების რომაული ციხეები, აფსარისა და ფაზისის ციხე არ არის მოხსენიებული. ნ. ადონცის აზრით, ციხეთა ჩამონათვალში მითითებული ვალენტინის ციხე შესაძლოა, ახალი სახელი ყოფილიყო ძველი არარომაული სახელის მქონე ციხისა (Адонц, 1908:101). ვ.ლექვინაძე აღნიშნული ციხისათვის სახელის გარდაქმნის დროს ვალენტინის (ახ.წ. 364-375) მმართველობის ხანას უკავშირებს და თვლის, რომ ეს ვალენტინის ციხე აფსაროსის ციხე უნდა ყოფილიყო. სახელის გადარქმევას მკვლევარი ციხეში აღდგენითი სამუშაოების დასრულებას და ფუნქციონირების გაგრძელებას უკავშირებს (Леквинадзе, 1969: 82). ამ მოსაზრებას არ იზიარებს გ. გრიგოლია (გრიგოლია, 1994: 120-121).

[14] წერილობითი წყაროების მიხედვით, არც ერთი დასახლებული პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც ახ.წ. I-V საუკუნეებში რომაელების მიერ იყო ოკუპირებული, არ წარმოადგენდნენ ქალაქებს, ისინი ან რომაული ციხესიმაგრეები იყო, ან რომაული ციხე-სიმაგრეები კანაბეთი, სადაც ცხოვრობდნენ ვაჭრები, ხელოსნები და სხვა პროფესიის ხალხი (Меликишвили, 1959: 376).

[15] ახ.წ. III საუკუნის ბოლოს და ახ.წ. IV პირველ ნახევარში ბიზანტიელები ციხისძირში კასტელუმს აშენებენ, რასაც ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან დასახლების წარმოშობა მოყვა (ინაიშვილი, 1993: 100-104).

IV საუკუნის შუახანებიდან ახ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ციხე ფაქტიურად მიტოვებულია. აფსაროსში მიკვლეულ წითელლაკიანი კერამიკული ნიმუშებზე არ შეინიშნება დეკორი (გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტი), რომლითაც შემკულია ახ.წ. IV საუკუნის, განსაკუთრებით ახ.წ. V საუკუნის ნიმუშები. არ ფიქსირდება ლურჯხალიანი მინის ნიმუშები, რომელიც ჩნდება ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან და ხმარებაშია ახ.წ. V საუკუნის დასაწყისამდე. ნუმიზმატიკური მასალიდანაც არ გვხვდება მონეტები, რომლებიც თარიღდება ახ.წ. IV-V საუკუნეებით და ახ. წ. VI პირველი მეოთხედით, მაშინ როდესაც ისინი მიკვლეულია ბიჭვინთასა და ციხისძირში (ლორთქიფანიძე, 1991:104, ინაიშვილი, 1993 :107-109). აფსაროსში არ ჩანს კონუსისებრტანიანი სინოპური ამფორები, რომლებიც მრავლადაა მოპოვებული ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ ახ.წ. IV-V საუკუნეებში მზადდებოდა (ხალვაში, კახიძე, 2004: 148). ამავე დროს, ციხის ცენტრალურ ნაწილში ახ.წ. I-III და ახ.წ. VI საუკუნის კულტურულ ფენებს შორის გამოიყოფა 20-30 სმ სისქის სტერილური შრე, რომელიც სწორედ ახ.წ. IV-V საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი.

ახ.წ. IV საუკუნიდან ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ქრისტიანობის გავრცელებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ლაზიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან, ამდენად, ქრისტიანობამ ადრე მოიკიდა აქ ფეხი (კახიძე, 2005:40-41). ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით საგულისხმოა გადმოცემა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის და მატათას მიერ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ.[16] წმ. ეპიფანე კვიპრელის ცნობით, მატათა მოციქულმა, რომელმაც სახარება იქადაგა მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), აფსაროსში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. მატათას დაკრძალვის ადგილად აფსაროსი მითითებულია „ქართლის ცხოვრებაშიც“.

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად დასავლეთ საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობისა, ბიზანტია მაინც ინარჩუნებდა ლაზიკის ძირითად ნაწილზე თავისი გავლენის ბერკეტებს და ახ.წ. VI საუკუნიდან, როდესაც ჩამოყალიბდა უფრო სტაბილური საშინაო და საგარეო პირობები, კიდევ უფრო გააძლიერა თავისი ექსპანსიური პოლიტიკა (ხალვაში, 2005: 39), ააგო და შეაკეთა ზღვისპირა ზოლში განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები თუ ქალაქები. ლაზეთში დაბრუნებულ ბიზანტიელებს აფსაროსი გაპარტახებული დახვდათ.[17] როგორც

[16] ლიტერატურაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგების კვალი პირველად „აბოს წამებაში“ დასტურდება: “ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი აფსარეაჲსა, ნაფსაჲს ნავთსადგური“ (ხალვაში, 2009: 198).

[17] უახლესი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ ციხის აღდგენა და ბიზანტიელთა სასაზღვრო ბანაკად (Παρεμολε) გადაქცევა ფაქტიურად ახ.წ. VI საუკუნის 40-ანი წლებიდან უნდა მომხდარიყო (კახიძე, ხალვაში, 2004:49). პროკოფი კესარიელი მკაფიოდ გვამცნობს, რომ

ჩანს, არც ლაზიკის მმართველი წრეები იყვნენ დაინტერესებული საზღვაო კომუნიკაციებით (კახიძე, ხალვაში, 1998: 27), რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ახ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ფაქტიურად, მიტოვებული იყო.[18]

ახ.წ. VIII საუკუნის შემდეგ წერილობით წყაროებში „აფსარი“ არ იხსენიება. ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში მის ადგილს იკავებს სახელწოდება „გონია“. პირველად ამ სახელით მას იხსენიებს მწერალი ხაჯი კალფა. მისი სიტყვებით, გონია ზღვისპირას საქართველოს საზღვარზე ციხე-სიმაგრეცაა, მცირე ქალაქიც და ოლქიც.

გონიო-აფსაროსის კოშკებსა თუ ციხის სხვა უბნების შესწავლისას, არ გამოვლენილა განვითარებული შუასაუკუნეების კულტურული ფენა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდში ქვეყანაში ახალი პოლიტიკურ - ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრების წარმოშობამ გონიოს ციხეს დააკარგვინა უწინდელი მნიშვნელობა, შესაბამისად, ციხის ტერიტორია ნაკლებად იყო გამოყენებული (მამულაძე, მინდორაშვილი, 2009: 28).

თამარის ეპოქაში, გონია ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. XIII ს. 90-ან წლებში ტრაპიზონის იმპერიას გამოეყო რიზე-გონიის პროვინცია და შეუერთდა ფეოდალურ საქართველოს. ათწლეულების მანძილზე ჭანეთი ხან გურიელის გამგებლობაში შედიოდა, ხან მესხეთის ათაბაგის. ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ კი დაიწყო ოსმალთა აქტიური თავდასხმები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1547 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი და მასთან ერთად „მცირე ქალაქი გონია“. ოსმალებმა ციხე შეაკეთეს, კედლებს ქონგურები დააშენეს. ამ მოვლენის აღწერისას ვახუშტი უზუსტობას უშვებს და მიუთითებს, რომ თითქოს გონიას ციხე ოსმალების აშენებული იყოს: „ბათომის პირისპირს ჭოროხის სამხრეთ კიდეზე არის გონია, მცირე ქალაქი და ციხე, უპყრავთ ოსმალთა, რომელიც აღაშენეს ქორონიკონსა ჩფმზ (1547 წ) ქართულსა სლე“. უზუსტობაა გაპარული მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებასა და მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიაში" (იაშვილი, 1955).

ოსმალებმა გონიოს ციხე გადააქციეს ავანპოსტად დაპყრობილ მიწებზე ბატონობის გასამტკიცებლად და დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად.

---

„ამჟამად აქედან სხვა არაფერი დარჩენილა გარდა შენობათა საძირკვლისა“ (გეორგიკა, 1961: 124). იუსტინიანეს ნოველებში (ახ.წ. 534 -565 წწ), სადაც ჩამოთვლილია ბიზანტიური ბაზები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აფსაროსი საერთოდ არ არის მოხსენიებული (გეორგიკა, 1952: 190-192).

[18] სტეფანე ბიზანტიელი (ახ.წ. VI ს.) მიუთითებს, რომ „...არის ევქსინოს პონტოზე ერთი ადგილი, რომელსაც წინათ აფსაროსი ერქვა“ (გეორგიკა, 1936: 227).

ევლია ჩელების ცნობით, 1647 წელს გონიოს ციხე კაზაკებმა აიღეს. გონიო მაშინ ტრაპეზუნდის ვილაეთში შედიოდა. თორთუმის სანჯაყის გამგებელმა სეიდ ახმედ-ფაშამ, რომელმაც ციხის განთავისუფლება ითავა, თავი მოუყარა ათასკაციან მსუბუქად შეიარაღებულ ჯარს. მოგვიანებით მათ შეუერთდა არზრუმის ვილაეთის ჯარი, ბასიანის სანჯაყის მფლობელი ქენან-ფაშა, მანასკერტის ბეგი, ახალციხის გამგებელი საფარ-ფაშა და ადგილობრივი ლაზთა რაზმები. ზაპოროჟიელი კაზაკები, რომელთაც ოსმალთა კუთვნილი ტერიტორიების დალაშქვრით პოლონეთის ყურადღების მოდუნება და ყირიმისთვის სიძლიერის დამტკიცება სურდათ, სასტიკად დამარცხდნენ. ოსმალებმა ციხე კვლავ შეაკეთეს და შიგ ჯარის გაზრდილი შენაერთი ჩააყენეს (ტივაძე, 1977:76-83).[19] მათ წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა განაახლეს, თერმებზე აბანო დააშენეს, ციხის შუაგულში გარნიზონის სამლოცველო ააგეს და იქ მისასვლელი ბილიკი ქვებით მოკირწყლეს. შიდაციხის ტერიტორიაზე უხვადაა მიკვლეული თურქული მოჭიქული თუ სადა საყოფაცხოვრებო კერამიკა და ყოველდღიურად მოსახმარი ნივთები (ჩხაიძე, 1982).

XVIII საუკუნის გონიოს ციხეში განლაგებული იანიჩართა კორპუსის დაფინანსების არზებში მითითებულია, რომ გონიოს ციხეში 196-201 იანიჩარი მსახურობდა და თურქეთის სახელმწიფოს ეს ყოველწლიურად 19040 ახჩა უჯდებოდა.[20] უნდა აღინიშნოს, რომ გონიოს ციხეში განლაგებული ოსმალთა სამხედრო ძალები საკმაოდ თავნებად და უხეშად იქცეოდნენ და სხვებთან ერთად უცხოელ მოგზაურებსაც ავიწროვებდნენ.[21]

ოსმალთა ბატონობის პერიოდში გონიოს შესახებ ცნობას გვაწვდის კონსული პალგრევი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში გონიო კაზის ცენტრი იყო, პალგრევის სიტყვებით, გონიო „მცირე“ სოფელია (Отчет консула Пальгрева, 1883:62). გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ამავე პერიოდში აღწერა ოსმალეთის მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, გონიოს შესახებ წერდა: „სოფელი

[19] არ არის გამორიცხული, რომ კაზაკების ლაშქრობას უკავშირდებოდეს გონიო-აფსაროსში პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ს (1566-1632) ორტების მიკვლევის ფაქტი (ვარშალომიძე, 2002: 101).

[20] დღეში ხორცი 40 ოყა, 354 დღეში-14160 ოყა, ოყა ხუთჯერ 70800 ახჩა; თვეში ხორბალი - 1001/2-ქილა, წელიწადში 1206 ქილა, ქილა ორმოცჯერ - 48240 ახჩა. სულ ჯამი 119040 ახჩა (შენგელია, 1978: 130).

[21] გონიოს თურქი სამხედრო ადმინისტრაციის ძალმომრეობაზე წერს ჟან შარდენი, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ამ მხარეში. მას მხოლოდ დიდძალი თანხის გადახდის შემდეგ მისცეს საშუალება გზის გაგრძელების (შარდენი, 1935:42-49). გონიოს ბეგის ძალადობა თავის თავზე იგემა სულხან-საბა ორბელიანმა, ევროპიდან დაბრუნებისას სულხან-საბამ ჭანეთზე გამოიარა და იქ ძარცვისა და ძალადობის მსხვერპლი გახდა (ორბელიანი, 1940: 148-151).

გონიე, რომელიც მოთავსებულია ჭაობიან ადგილზე ჭოროხის შესართავთან, ამჟამად თითქმის სავსებით მიტოვებულია“ (ყაზბეგი 1995).

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1878 წლის ბერლინის კონგრესის მიერ შემუშავებული დოკუმენტის VIII მუხლის თანახმად, სხვა ტერიტორიებთან ერთად, გონიო საქართველოს დაუბრუნდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


**ასლანიშვილი, 2009:** – ასლანიშვილი ლ., შურდულის ქვები. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

**გეიერი, 2002:** – გეიერი ა. გერმანელი გამომცემლის შესავალი სიტყვა. გონიო-აფსაროსი, III, თბილისი.

**გეორგიკა, 1936:** – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. III, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი.

**გეორგიკა, 1952:** – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**გეორგიკა, 1961:** – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ.გამყრელიძემ და ს.ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**გეორგიკა, 1965:** – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

**გორდეზიანი, 1999:** – გორდეზიანი რ., არგონავტების ლაშქრობის თარიღისათვის. არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა. აკაკი ურუშაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებული. თბილისი.

**გრიგოლია, 1994:** – გრიგოლია გ., ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი.

**გძელიშვილი, ხახუტაიშვილი, 1964:** – გძელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., რკინის უძველესი მეტალურგიის კერები და არქეოლოგიური გათხრები გონიო-აფსაროსში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები I, თბილისი.

**ვარშალომიძე, 1999:** – ვარშალომიძე ი., მაკედონური და იუდეური მონეტები გონიო-აფსაროსიდან. ლიტერატურული აჭარა, 2, ბათუმი.

**ვარშალომიძე, 2001:** – ვარშალომიძე ი., სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე. ისტორიიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

**ვარშალომიძე, 2002:** – ვარშალომიძე ი., ევროპული მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი.

**ებრალიძე, 2009:** – ებრალიძე ტ., აფსაროსი ახ.წ. I საუკუნეში. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

**თავამაიშვილი, 2002:** – თავამაიშვილი გ., ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. თბილისი.

**იაშვილი, 1955:** – იაშვილი ვ., გონიოს ციხის ისტორიისათვის. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი.

**ინაიშვილი, 1993:** – ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI საუკუნის არქეოლოგიური ძეგლები, სდსძ, XXI, თბილისი.

**კახიძე და სხვ., 2002:** – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. გონიო-აფსაროსი, III, თბილისი.

**კახიძე, მამულაძე, 2004:** – კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ. წარმოებული გათხრების უმთავრესი შედეგები, გონიო-აფსაროსი, IV, ბათუმი.

**კახიძე, ხალვაში, 1998:** – კახიძე ე., ხალვაში მ., გონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (I-VI სს.) კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბილისი.

**კახიძე, ხალვაში, 2004:** – კახიძე ე., ხალვაში მ., აფსაროსი ახ.წ. IV-V საუკუნეებში. ძიებანი, 13-14, თბილისი.

**კახიძე, 2002:** – კახიძე ე., რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

**კახიძე, 2005:** – კახიძე ე., ისტორიული ჭანეთი გვიანანტიკურსა და ადრებიზანტიურ ხანაში. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი.

**ლომოური, 1968:** – ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი.

**ლომოური, 1958:** – ლომოური ნ., ძველი საქართველოს საგზაო გზების ისტორიისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, თბილისი.

**ლორთქიფანიძე და სხვ., 1980:** – ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი. თბილისი.

**ლორთქიფანიძე, 1966:** – ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი.

**ლორთქიფანიძე, 1986:** – ლორთქიფანიძე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი.

**ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1960:** – ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისთვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIV, 6, თბილისი.

**ლორთქიფანიძე, 1991:** – ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი.

**მამულაძე და სხვ., 2002:** – მამულაძე შ., ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. „ძიებანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. VIII. თბილისი.

**მამულაძე და სხვ., 2005:** – მამულაძე შ., ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში. აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის XI საერთაშორისო სიმპოზიუმის (ვანი. 2005 წლის 26-29 სექტემბერი) მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

**მამულაძე, მინდორაშვილი, 2009:** – მამულაძე შ., მინდორაშვილი დ., გონიო-აფსაროსის №10 კოშკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი.

**მამულაძე და სხვ., 2009:** – მამულაძე შ., კახიძე ე., ხალვაში მ., აფსაროსი ძვ.წ. I ათასწლეულში. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

**მამულაძე, 2002:** – მამულაძე შ., ქართველი გამომცემლის შესავალი სიტყვა. გონიო-აფსაროსი III, თბილისი.

**მუსხელიშვილი, 1977:** – მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი.

**ნონეშვილი, 1997:** – ნონეშვილი ა., რომაულ-კოლხური ურთიერთობანი ახ.წ. I-IV სს. კულტურის ისტორიის საკითხები, თბილისი.

**ორბელიანი, 1940:** – სულხან–საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბილისი.

**პლონტკე-ლუნინგი და სხვ., 2002:** – პლონტკე-ლუნინგი ა., ფელმუთი ნ., გაიერი ა., გონიო-აფსაროსის გერმანულ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია. გონიო-აფსაროსი, III, თბილისი.

**სინ, 1970:** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბილისი.

**სდსინ, 2007:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, აჭარა, ბათუმი.

**ტივაძე, 1977:** – ტივაძე თ., კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის შესახებ. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1, თბილისი.

**ფიფია, 2009:** – ფიფია კ., აფსაროსი პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვით სისტემაში (I-IV სს). ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XI, თბილისი.

**ყაზბეგი, 1995** – გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი.

**შალიკაძე, 2004:** – შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

**შალიკაძე, ებრალიძე, 2009:** – შალიკაძე თ., ებრალიძე ტ., დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპორტული ნაკეთობის ზოგიერთი სახეობა გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

**შარდენი, 1935:** – ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბილისი.

**შენგელია, 1978:** – შენგელია ნ., ოსმალური დოკუმენტური წყაროები აჭარის შესახებ. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 4, თბილისი.

**შპაიდელი, 1985:** – შპაიდელი მ., კავკასიის საზღვარი. II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, თბილისი.

**ჩხაიძე, 1983:** – ჩხაიძე ლ., გონიო-აფსაროსის ელინისტური ხანის მასალები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XII, თბილისი.

**ხალვაში, კახიძე, 2004:** – ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ახ.წ. IV-V საუკუნეებში. „ძიებანი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №13-14, თბილისი.

**ხალვაში, 2002:** – ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი, 2, ბათუმი.

**ხალვაში, 2008:** – ხალვაში მ., სინოპური ამფორები გონიო-აფსაროსიდან. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VII, ბათუმი.

**ხალვაში, 2009:** – ხალვაში რ., ანდრია პირველწოდებულის ქადაგება საქართველოში. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი, 2009:** – ხახუტაიშვილი ნ., ჭოროხის აუზის რკინის საწარმოო კერის კიდევ ერთი საწარმოო უბანი. გონიო-აფსაროსი VIII. ბათუმი.

**Адонц, 1908:** – Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана. Политическое состояние на основе нахарарского строя. С-Петербург.

**Быч, 1947:** – Быч О., Новые материалы о Г. Шлимане. Вестник древней истории, 2, Москва.

**Дело археологической комиссии, 1917:** – Дело археологической комиссии о выдаче акад. Ф.И.Успенскому открытого листа о праве раскопок, фотографирования и пр. в пределах Батумской области. Архив ЛОИИМК, 25.

**Латышев, 1948:** – Латышев В., Известия древных писателей о Скифии и Кавказе. ВДИ, Москва.

**Леквинадзе, 1961:** – Леквинадзе В.А., Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости. ВВ, XX, Москва.

**Леквинадзе, 1969:** – Леквинадзе В.А., «Понтииский Лимес», ВДИ, №2, с. 77, Москва.

**Меликишвили, 1959:** – Меликишвили, Г. А., К истории древней Грузии, Тбилиси.

**Отчет консула Пальгрева, 1883:** – Отчет консула Пальгрева, за лето 1872 года, о береге Лазистана. ИКрг. Т.7.

**Успенский, 1917:** – Успенский Ф. И., Древняя крепость у устья р. Чорохи. Известия Российской Академии Наук. №2, 1917.

**Хахутаишвили, 1987:** – Хахутаишвили Д., Производство железа в древней Колхиде. Тбилиси.

**Эльницкий, 1938:** – Эльницкий Л., Из исторической географии древней Колхиды. ВДИ, №2, Москва.

**შემოკლებათა განმარტება**

სდსინ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები

სინ – საქართველოს ისტორიის ნარკვევები

ВДИ – Вестник Древней Истории

ВВ – Византийский Временник

**ირინე ვარშალომიძე**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*
**Irine Varshalomidze**
*PhD in History, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*

# მონეტები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან

# COINS FROM KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი.** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიის კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ნუმიზმატიკური მონაპოვარი. აღნიშნული კუთხით დიდ ინტერესს იწვევს არაბული მონეტების განძი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 2004 წელს დაბა ხელვაჩაურში, მოქალაქე ზ. ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში. მონეტები იმავე წელს ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმმა შეისყიდა. განძი შედგება 150 ვერცხლის ფულისაგან, რომელიც VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.

ხელვაჩაურის განძის შესწავლამ დაადასტურა, რომ ჭოროხის ქვემო წელში ადრეშუასაუკუნეებში ფულადი მეურნეობა, აღებ-მიცემობა და სავაჭრო ურთიერთობები განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

**საკვანძო სიტყვები:** ხელვაჩაური, ნუმიზმატიკა, არაბული მონეტები, ზარაფხანა.

**Abstract** - Important information for exploring history of Khelvachauri Municipality is provided by findings of numismatics. In the said direction, big interest is caused by the treasure of Arabic coins, which was accidently discovered in urban-type settlement, in home territory of citizen Z. Zakharadze, in 2004 – the same year it was purchased by Archeological Museum. The treasure consists of 150 silver coins, which were produced in VIII-IX centuries.

In the middle of 12th century, the Arabs came to the Caucasus. They invaded eastern Georgia, and marched to the west several times. New political conjuncture caused changes in economic one. Arabic currency appeared on the Georgian markets. The most

popular ones were Kufic coins in our region. There were revealed 4 hoards of coins dated back to 8th-9th cc, which had invaluable worth from scientific point of view. The hoard proved the fact that Arabic coins had dominated throughout the south-western Georgia from early 9th century.

Exploring the treasure of Khelvachauri confirmed that production of money, inner and international trading was on high stage of developing in lower region of river Chorokhi.

**Key words:** Khelvachauri, Numismatica, Arabic Coins, Mint.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიის კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ნუმიზმატიკური მონაპოვარი. აღნიშნული კუთხით დიდ ინტერესს იწვევს არაბული მონეტების განძი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 2004 წელს დაბა ხელვაჩაურში, მოქალაქე ზ. ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში. მონეტები იმავე წელს ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმმა შეისყიდა. განძი მუზეუმის ფონდებში მთლიანი სახით შევიდა. გატარებულია VI: 04-39 ნომრით. იგი შედგება 149 მთლიანი მონეტისგან და 1 მონეტის ნატეხისგან. მონეტებთან ერთად განძში შედიოდა ვერცხლის ბეჭედი (დიამეტრი = 2.1 სმ) და ორი ვერცხლისავე საკიდი. განძი თიხის ქოთანში იყო მოთავსებული (ქოთნის სიმაღლე = 10 სმ, პირის დ. = 6 სმ, ტანის დ. = 12 სმ, ძირის დ. = 8.5 სმ, ხუფის დ. = 2.2 სმ). 149 მონეტა მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, 1 კი ნატეხს წარმოადგენს.

განძში შემავალი მონეტების განაწილება რეგიონებისა და ზარაფხანების მიხედვით შემდეგნაირია: სავადი (სამხრეთი ერაყი) (105 დირჰემი – საერთო რიცხვის 70.5%): ალ-ბასრა (4, 2.7%), ალ-ქუფა (4, 2.7%), მადინათ ასსალამი (97, 65.1%); ალ-ჯაზირა (ზემო მესოპოტამია) (2, 1.3%): არ-რაფიკა (2, 1.3%); ჯიბალი (სპარსეთის ერაყი) (26, 17.4%): ალ-მუჰამმადია (26, 17.4%); სეჯესთანი და ქირმანი (3, 2.0%): მადინათ ზარანჯი (1, 0.7%), ქირმანი (2, 1.3%); ხორასანი(9,6.0%): მადინათ ნისაბური (1,0.7%), მადინათ ბალხი (7,4.7%), მადინათ მარვი (1, 0.7%); მავერანნაჰრი (1, 0.7%): მადინათ სამარკანდი (1, 0.7%); არმინია (3, 2.0%): არრანი (№3, 2.0%). სახალიფოს სხვა რეგიონების ზარაფხანები განძში წარმოდგენილი არ არის. თვალში საცემია სავადში (ძირითადად, მადინათ ას-სალამში) მოჭრილი მონეტების სიჭარბე. განძში შემავალ პრაქტიკულად ყველა მონეტაზე (გადატეხილის ჩათვლით) (მოჭრის) თარიღი საკმაოდ სარწმუნოდ იკითხება; ყველაზე ადრეულია ჰ. 132 წლით დათარიღებული ქუფაში მოჭრილი დირჰემი, გვიანდელი – ჰ. 199 წლით დათარიღებული მადინათ ას-სალამის ორი დირჰემი. განძის ჩაფლობაც ჰ. 199 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს; სახეზეა ჰიჯრის 160-

იანი და 180-იანი წლებით დათარიღებული დირჰემების სიჭარბე. საფიქრებელია, რომ ამ წლებში სახალიფოს შესაბამისი ზარაფხანები უფრო ინტენსიურად მოქმედებდა; ანდა, აღნიშნულ ათწლეულებში ადგილობრივ ბაზარზე ქუფური დირჰემი უფრო აქტიურად შემოდიოდა (ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2014:85-96; ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2016:58).

VII საუკუნის შუა ხანებში კავკასიაში არაბები გამოჩნდნენ. მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთი კი რამდენჯერმე დალაშქრეს. პოლიტიკურ კონიუნქტურას თან მოყვა თავისი ეკონომიკური ურთიერთობებიც. საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში შემოდის არაბული საფასეები. ჩვენს რეგიონში გარდა ხელვაჩაურის განძისა, აღმოჩენილია ქუფური მონეტების სამი განძი:

1. 1907 წელს ლაზისტანში, არხავეს მახლობლად, მაშინდელი რუსეთ-თურქეთის საზღვართან აღმოჩნდა 300 მონეტა, რომელიც წარმოადგენდა ომაიანებისა და აბასიანების საფასეებს. მათგან 10 ცალი ოქროს იყო, დანარჩენი – ვერცხლის. მონეტები, ე. პოხომოვის განსაზღვრით, მოჭრილია შემდეგ ქალაქებში: მედინეთას-სელამი - 100; მუჰამმადია - 40; არმინია - 20; რამდენიმე კი კუფას, ბარსას, არრანის, მაადენ-ბაჯუნეისის, ბალხის, ჯეის, ვასითის, სიჯისტანის, ზარანჯის, აფრიკიას, ქაბუნის, ქარუნ-აბადის, რეის, ისტარხის, ქირმანიის ზარაფხანებშია მოჭრილი. მონეტების ემისიის წლებია ჰიჯრის 105-196 წწ. რომელიც შეესაბამება გრიგორიანული კალენდრის 723-811 წლებს (Похомов,1970:50-51; Похомов , 1926: 46. №80).

2. ჭოროხის განძი - აღმოჩნდა მდინარე ჭოროხზე 1959 წელს ბათუმის მახლობლად. განძი გაიფანტა, გადარჩა მხოლოდ ერთი მონეტა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

3. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში აღმოჩნდა არაბული მონეტების განძი, რომელიც VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. იგი დამარხული ყოფილა დიდი ქვის ქვეშ. ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შემოვიდა 12 ცალი და თიხის ჭურჭლის ძირი. მონეტები მოჭრილია სახალიფოს სხვადასხვა ქალაქში (ფაღავა, თურქია, ვარშალომიძე, 2013:60-69; ფაღავა, თურქია, ვარშალომიძე, 2016:11-16).

აღსანიშნავია, ოთხივე განძი საკმაოდ კომპაქტურ ტერიტორიაზეა ჩამალული _ არქაბის, ჭოროხისა და ხელვაჩაურის განძები ზღვისპირა (უშუალო ჰინტერლანდის ჩათვლით) ზონაშია განლაგებული, (არქაბიდან ხელვაჩაურამდე) სანაპიროს დაახლოებით 40 კმ-იანი ზოლის გაყოლებაზე; ხოლო გურიაში ნაპოვნი ზოტის განძი ქვეყნის სიღრმეშია (ხელვაჩაურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით), მაგრამ სანაპიროს 50 კმ-ზე მეტად მაინც არ არის დაშორებული. ხსენებული განძების, როგორც ერთობლიობის, განხილვას, მივყავართ საგუ-

ლისხმო დასკვნამდე - ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია, შემოვხაზოთ საქართველოს ტერიტორიაზე ქუფური საფასის აქტიური მიმოქცევის კიდევ ერთი რეგიონი - გურია-აჭარა-ლაზეთი. აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება აქამდე (ი. ჯალაღანიას მიერ) გამოთქმულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც, ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოში ქუფური საფასე, ძირითადად, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მიმოიქცეოდა, კერძოდ კი, 1) თბილისსა და მის შემოგარენში (თბილისის საამირო, საამიროს ტერიტორიული ბირთვი) და 2) ჰერეთში (დღევანდელი საინგილოს ტერიტორიის ჩათვლით). რაც შეეხება ქვეყნის დასავლეთ რეგიონებს, იქ ქუფური მონეტების მხოლოდ ცალკეული და, ი. ჯალაღანიას აზრით, შემთხვევითი აღმოჩენებია ცნობილი (ჯალაღანია, 1973: 70-71; Джалагания, 1979:48-49). არქაბისა (ლაზეთში, 200-ზე მეტი მონეტა) და ჭოროხის (აჭარა) განძების გადანახვის ფაქტებს კი მკვლევარი ნაკლებ ყურადღებას უთმობს, და თვლის, რომ ქუფური მონეტების საქართველოს შესაბამის რეგიონში მოხვედრა ტრაპიზონის გავლით ბიზანტია-სახალიფოს საგარეო ვაჭრობას უნდა უკავშირდებოდეს - ისინი ,,შესაძლოა, აქ სულ სხვა გზით მოხვდა“ (ჯალაღანია, 1973:75-76; Джалагания, 1979:55). ვთვლით, რომ აღნიშნული კონცეფცია უნდა გადახალისდეს. საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე ოთხი საკმაოდ მსხვილი (ოთხიდან სამი მაინც 150-200 დირჰემს შეიცავდა) განძის კონცენტრაცია, ეჭვს არ ტოვებს, რომ ქუფური საფასე საქართველოს დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებშიც მიმოიქცეოდა, კერძოდ, გურია-აჭარა-ლაზეთში. IX საუკუნის პირველი მესამედისთვის შესაძლებელია, ვივარაუდოთ ფულადი ურთიერთობების უკვე საკმაოდ მაღალი დონე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც. სახეზეა სახალიფოსა თუ ლიხს-აღმოსავლეთით მდებარე ქართულ რეგიონებთან გურია-აჭარა-ლაზეთის კავშირების ინტენსიურობის ნუმიზმატიკური დადასტურება.

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცულია 7 ქუფური მონეტა. მათგან 6 აბასიანთა (3 მოჭრილია მადინათ ას-სელამში, 1 ალ-მუჰამადიაში, 1 არმინიაში და 1 ტაბარისტანში) და 1 ომაიანების დირჰემია (მოჭრილი ვასითში) (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:303-309), რაც კიდევ ერთჯერ ადასტურებს აღნიშნულის მიმოქცევას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ჭოროხის აუზი, მისი ქვემო წელი, მსოფლიო ოიკუმენის მეტად საინტერესო რეგიონთა რიგს განეკუთვნება, იგი ითვლება უძველეს მეტალოგენურ კერად, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ანატოლიურ ცივილიზაციებთან. მომდევნო ეპოქებისთვის კი – ეგეოსურ სამყაროსთან. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ჭოროხის აუზი წარმოადგენდა დასავლურ-ქართული ტომობრივი კოლხური კულტურის აკვანს. აქვე წარმოიშვნენ ადრესახელ-

მწიფოებრივი გაერთიანებები დიაოხისა და კოლხას სახით. განსაკუთრებულია აქ მოსახლე კოლხური ტომების წვლილი რკინის მეტალურგიის განვითარების საქმეში. საკვლევმა ტერიტორიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხეთის სამეფოს ფორმირების პროცესში. ამ ადგილებში გადიოდა კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში ანტიკურ-ბერძნულ სამყაროსთან დამაკავშირებელი საზღვაო თუ სახმელეთო გზები. რომაული ხანისათვის იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს. გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეში გამაგრებული ყოფილან რომაული გარნიზონები. წინა ეპოქების მსგავსად ამდროისთვის ჭოროხის ქვემო წელი წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისა და რომის იმპერიასთან დაკავშირებული პროვინციების მნიშვნელოვან საკონტაქტო ზონას. უახლესი აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ მსოფლიო ისტორიულ პროცესებში აქტიურად არის ჩართული აფსაროსის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობაც. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სოფელ მახოს, კაპანდიბის, სატეხიის, ზანაქიძეების და მახვილაურის აღმოჩენები (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015). იგივე ითქმის მომდევნო ეპოქების, განსაკუთრებით კი ადრეშუასაუკუნეების მიმართ. ჭოროხის ქვემო წელი საქართველოს ზღვისპირეთის სხვა მეზობელი რაიონების მსგავსად ამ ეპოქებისათვის საერთაშორისო ომებისა თუ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ასპარეზად ქცეულა. ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპანდიბში აღმოჩენილი ქუფური მონეტების განძი (ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2016:59-60).

## გამოყენებული ლიტერატურა:


**ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:** - ვარშალომიძე ი., ძნელაძე ნ., ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, ბათუმი

**კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015:** - კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური, ბათუმი.

**ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2014:** - ფაღავა ი., თურქია ს., ვარშალომიძე ი., ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა), წინასწარი მონაცემები, იბერია – კოლხეთი, 10, თბილისი

**ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2016: -** ფაღავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., ქუფური საფასეების მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები VI, ბათუმი.

**ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2013:** - ფაღავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V.

**ჯალაღანია, 1976:** - ჯალაღანია ი. საქართველოს სამონეტო განძები, I. თბილისი: მეცნიერება.

**ჯალაღანია, 1973:** - ჯალაღანია ი., ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში, - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 4

**Джалагания, 1979:** - Джалагания И., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тбилиси.

**Похомов 1970:** - Похомов Е., Монеты Грузии, Тбилиси.

**Похомов 1926:** - Похомов Е., Монетные клады Азербайджана и Закавказья, Труды общества обследования и изучения Азербайджана, випуск 3. Баку.

## ხელვაჩაურის განძი:

1

2

3

4

1. არაბული დირჰემი
2. ვერცხლის ბეჭედი
3. თიხის ქოთანი
4. ვერცხლის საკიდები

**მაია ჭიჭილეიშვილი**
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო გერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; მათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი*
**Maia Tchitchileishvili**
*PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Rector of Batumi Art Teaching University*

# საკულტო არქიტექტურის ძეგლები

# MONUMENTS OF CULTIC ARCHITECTURE

**აბსტრაქტი** - ნაშრომში განხილულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკულტო არქიტექტურის ძეგლები. შუა საუკუნეების ქრისტიანული მემკვიდრეობის ნიმუშია IX-X საუკუნეებში აგებული სარფის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რომელიც წარმოადგენს მცირე ზომის ერთნავიან, დარბაზულ ეკლესიას აღმოსავლეთის შვერილი ნახევარწრიული აფსიდით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანია საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მემკვიდრეობა, რომლის საინტერესო ნიმუშია XX საუკუნის დასაწყისში აგებული სოფელ ახალშენის ფერიცვალების ეკლესია. ახალშენის ტაძრის არქიტექტურაში ვლინდება პონტოელ ბერძენთა ეკლესიების ტრადიციული ელემენტები: დიდი ზომები, ხალვათი შიდა სივრცე, განიერი სარკმლები.

მუსლიმანურ ძეგლებს შორის მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულია სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მეჩეთი, რომელშიც 1984 წლიდან მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია მოწყობილი. მისი შიდა სივრცე, გადახურვის სისტემა, ხეზე კვეთილი ორნამენტული ჩუქურთმები ავლენს ქართული ხითხუროობის ტრადიციებს და აჭარული მუსლიმანური მეჩეთების თავისებურებებს.

**საკვანძო სიტყვები:** ხელვაჩაური, ეკლესიები, მეჩეთი, კულტურული მემკვიდრეობა

**Abstract -** The paper deals with the monuments of cultic architecture in Khelvachauri Municipality. An example of a medieval Christian heritage is the Church of St. John the Theologian, built in the 9-10th centuries, which is a small single-nave, hall church with a sloping semicircular apse to the east.

Among the ecclesiastical architectural monuments of Khelvachauri Municipality, the heritage of the Pontic Greeks living in the Black Sea coast of Georgia is important, an interesting example of which is the church of the Transfiguration in the village of Akhalsheni, built in the early 20th century. The architecture of the Akhalsheni temple reveals the traditional elements of the Pontic Greek churches: large dimensions, spacious interior, wide windows.

Among the Muslim monuments, the mosque of the village Zeda Chkhutuneti stands out from the artistic point of view, in which the Machakheli Historical-Ethnographic Museum has been arranged since 1984. Its interior space, roofing system, ornamental carvings on wood reveal the traditions of Georgian woodwork and the peculiarities of Ajarian Muslim mosques.

**Key words:** Khelvachauri, Churches, Mosque, Cultural heritage

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აჭარის მაღალმთიან და ზღვისპირა ზოლთან შედარებით საკულტო ძეგლები მწირი რაოდენობით შემორჩა. მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით გამორჩეულია **სარფის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია**, რომელიც სოფელ სარფს აღმოსავლეთით 2 კმ-ითაა დაშორებული. XXI საუკუნის დასაწყისში რეკონსტრუირებულ სარფის დარბაზულ ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. სალოცავი მაღალი ბორცვის მოსწორებულ მოედანზეა აღმართული, საიდანაც ზღვისა და სოფლის ულამაზესი ხედები იშლება.

სარფის ეკლესია 2003 წელს (18.08.2003) მოინახულა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ. ამდროისთვის ნაგებობა ნანგრევების სახით იყო მოღწეული: ეკლესიას კამარა და გადახურვა ჩამოქცეოდა, თითქმის მთლიანად იყო მორღვეული ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე და საკურთხევლის აფსიდი, შედარებით უკეთ იყო მოღწეული სამხრეთი კედელი და აფსიდის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე.

თავდაპირველად, ეკლესია წარმოადგენდა ერთნავიანი ტიპის სალოცავს, ზომით 5x3მ. მის თავისებურებას წარმოადგენდა აღმოსავლეთის შვერილი ნახევარწრიული აფსიდი. დარბაზის კამარის გასამყარებლად გამოყენებული იყო წახნაგოვანი კაპიტელების მქონე ერთსაფეხურიან პილასტრებზე დამყარებული საბჯენი თაღი. სამხრეთის კედელზე, საკურთხეველთან ახლოს გაჭრილი იყო

სარკმელი. ნახევარწრიული საკურთხეველი ერთი საფეხურით გამოიყოფოდა დარბაზისგან. დასავლეთით გაჭრილი ერთადერთი კარის თავზე ინტერიერის მხრიდან არქიტრავის სქელი ქვაა გადადებული. დასავლეთი კედლის ზედა ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, რომლის წირთხლები ოდნავ განიერდება ინტერიერის მხარეს. სარკმლის თავიც არქიტრავის ქვითაა გამყარებული. დასავლეთი კედლის სარკმელი ფასადის ფრონტონის არეში ექცევა. ინტერიერის კედლების წყობაში - სამხრეთ-დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩართულია მცირე ზომის კერამიკული ქვევრები. ეკლესია მოხატული იყო, რასაც ადასტურებს ფრესკების კვალი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში. ფრესკები შესრულებული იყო კედლის დაუმუშავებელ ზედაპირზე დადებული ბათქაშის თხელ ფენაზე ოხრანარინჯისფერი, ღვინისფერი, ცისფერი, იისფერი ტონებით.

ეკლესია ნაგებია დუღაბის ფენაში ჩართული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვიშაქვის ფილებითა და დიდი ზომის რიყის ქვებით. კუთხეებში მოზრდილი ქვის ფილებია გამოყენებული. დასავლეთის კარის კიდეები ნაგებია სწორკუთხა ფორმის კარგად გათლილი ქვის კვადრებით. კედლების ქვედა ნაწილებში გამოყენებულია მაგარი ჯიშის სქელი ქვები. კედლების წყობაში, მეტ-ნაკლებად, დაცულია ჰორიზონტალური რიგები, კუთხეებში მყარი, მაგარი ქვის ფილებია. შედარებით წესიერი, ჰორიზონტალური წყობით ხასიათდება აფსიდის მხარე. აფსიდისა და კედლის გადაბმის ადგილებში წყობა ვერტიკალურია. არ შემორჩა ორნამენტული მორთულობის დეტალები, თუმცა, შესაძლოა, ქვაზე კვეთილი ჩუქურთმები არც გააჩნდა.

ამჟამად ეკლესია თითქმის თავიდან არის აშენებული. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ზომები, შვერილი აფსიდი, კედლის წყობის ძირითადი პრინციპი, სარკმლების განთავსების ხასიათი. ამ ეტაპზე ძეგლის თავდაპირველი აგების პერიოდის დადგენა რთულდება თანამედროვე რეკონსტრუქციის გამო. ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება - მცირე ზომები, შვერილი ნახევარწრიული აფსიდი, სხვადასხვა ფორმის, ზომისა და სახეობის ჯიშის ქვებით შედგენილი კედლების ირეგულარული წყობა, წახნაგოვანი კაპიტელების მქონე ერთსაფეხურიანი პილასტრები, სარკმლის ნაკლებად დამრეცი წირთხლები ეკლესიის აგების თარიღს IX-X საუკუნეებით განსაზღვრავს. მოგვიანებით, სავარაუდოდ, გვიან შუა საუკუნეებში, ეკლესია განუახლებიათ, შეუმკიათ ფრესკებითაც, რაზედსაც მიანიშნებს კედლის დაუმუშავებელ ზედაპირზე დატანილი ბათქაშის თხელი ფენა. სარფის ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს შვერილი აფსიდი, რაც, ძირითადად, შავი ზღვისპირეთის ეკლესიების დამახასიათებელი ნიშანია. აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლებიდან შვერილი აფსიდები აქვს პეტრას

ბაზილიკას (VI საუკუნე), პეტრას ციხის დარბაზულ ეკლესიას, ბობოყვათის დიდ და სასახლის კომპლექსში გამოვლენილ მცირე ეკლესიებს (V-VI სს), ბათუმის „სამების“ გუმბათოვანი ტაძრის ადგილას მდებარე თავდაპირველ ერთნავიან ეკლესიას, სხალთის ტაძარს (XIII ს). ამ თვალსაზრისით სარფის ეკლესია წარმოადგენს დასავლეთ საქართველოსა და აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციის გამოვლინების მაგალითს. სარფის ეკლესია მიეკუთვნება შუა საუკუნეების საქართველოში, კერძოდ, აჭარაში და მთიან ზოლში ფართოდ გავრცელებული დარბაზული ტიპის სალოცავს. ასეთი ტიპის ეკლესიები ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ყველა ეტაპზე გვხვდება. XI საუკუნიდან, როდესაც ქართულ არქიტექტურაში, უგუმბათო ეკლესიებიდან არსებობას წყვეტს სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპები, უპირატესობა სწორედ დარბაზულ ტაძრებს ენიჭება. ცალნავიანი ეკლესიების თემა, გეგმის სიმარტივის გამო, არ იძლევა ნაგებობათა სივრცული გადაწყვეტის ფართო შესაძლებლობებს. ძირითადად, აღნიშნული ტიპის ეკლესიების მხატვრულ გამომსახველობას განაპირობებს ნავისა და საკურთხევლის მოცულობათა თანაფარდობა, არქიტექტურულ ფორმათა დამუშავება, კედლის სიბრტყეთა დანაწევრება, ქვის წყობის ხასიათი, პროპორციები, მორთულობის სისტემა. სარფის ეკლესიის ავთენტური ნაწილები - ფასადების სისადავე, მხატვრული დეტალების მინიმალიზმი არ იძლევა სიღრმისეულ მასალას ეპოქის მხატვრული ამოცანების წარმოსაჩენად, თუმცა, თავისი ტრადიციული ფორმებით, სამშენებლო ტექნიკით მეტ-ნაკლებად ავლენს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში წარმოდგენილი საეკლესიო არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშნებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მემკვიდრეობას, რომლის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია მდინარე ბარცხანისწყლის ნაპირზე მდებარე სოფელ **ახალშენის ფერიცვალების ეკლესია.** პონტოელი ბერძნების საქართველოში თანაცხოვრების ისტორია ორ საუკუნეზე მეტხანს ითვლის და სათავეს 1770 წლებში იღებს, როდესაც ერეკლე მეორის გადაწყვეტილებით, არზრუმისა და ყარსის ოლქიდან, სამთამადნო მრეწველობის აღსადგენად, 800-მდე ბერძენი ოსტატი ოჯახებითურთ ჩამოსახლდა საქართველოში (ფაშაევა, 2008). აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა უმეტესობა XIX-XX საუკუნეებში თურქეთიდან, კერძოდ, ტრაპიზონის, ყარსისა და არგიროპოლისის მიდამოებიდან გამოერიდა შევიწროება-განადგურებას. დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონებში წარმოქმნილ ბერძენთა დასახლებების მსგავსად, საქართველოში მცხოვრები ბერძნებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივ ეკონომიკურ და სოციალურ-

კულტურულ ცხოვრებაში. მათ ახალ ადგილებში დაიწყეს საკუთარი მართლმადიდებლურ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული „კულტურული სივრცის“ შექმნა. საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი და ბერძნულენოვანი მოახალშენეებისთვის ეროვნული იდენტობის გამომხატველ და გამაერთიანებელ ფაქტორს სწორედ საერთო მართლმადიდებლური რწმენა და კულტურა წარმოადგენდა (ჭიჭინაძე, 2008:1). პონტოელი ბერძნები ინტენსიურად ახალშენისა და დაგვის ტერიტორიაზე 1880-1881 წლებში ჩამოსახლდნენ. პონტოელმა ბერძნებმა საქართველოში დამკვიდრებისთანავე დაიწყეს ეკლესიათა აგება-გამშვენიერება. მათი ეკლესიები ხშირად აგებული იყო ქართულ ნაეკლესიარებზე ძველი ტაძრების მასალებით. პონტოელთა ეკლესიები ტრადიციული ფორმებითა და სამშენებლო ოსტატობით გამოირჩევა. ისინი აგებდნენ ბერძნულ და ქართულ ეკლესიებს. ბერძენი ხელოსნები განთქმული იყვნენ ქვის დამუშავების ხელოვნებით, ხის მუშაკობით, ბუხრების მშენებლობით, შეღებვის, რჩილვის ოსტატობით.

ახალშენის ფერისცვალების ეკლესია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, მდინარე ბარცხანისწყლის სანაპიროზე მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ახალშენის ამჟამინდელი ეკლესიის ადგილას, თავდაპირველად, ხის მცირე სამლოცველო აუგიათ, რომელიც ხანძრის შედეგად განადგურდა. 1888 წელს დაიწყო ქვის ტაძრის მშენებლობა. ქუთაისის გუბერნატორმა გამოუყო მათ მიწა ტაძრის ასაგებად, მიწის ფართობის ნაწილი აქვე მცხოვრებმა მუსლიმანმა ქართველმა - შაინ-აღა კიკნაძემ უსასყიდლოდ გაიღო ეკლესიის ასაგებად. ტაძარი 1912 წელს აკურთხა სამეგრელო-გურიის ეპისკოპოსმა, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდე ოქროპირიძემ. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა ტაძარი და საწყობად აქცია. 1925-1937 წლებში აქ მოღვაწეობდა მღვდელი ხრისტოს სტავრიდისი, რომელიც, მგალობლებთან ერთად, სავარაუდოდ, რეპრესიებმა იმსხვერპლა. 1994 წლიდან სალოცავი კვლავ მოქმედ ეკლესიათა რიცხვში ჩადგა (პონტოელი ბერძნები აჭარაში, 2017:112-119; ლეკვეიშვილი, 2001). მიტოვებული ტაძარი წლების განმავლობაში დაზიანდა, 70-იან წლებში ჩამოიქცა გუმბათი, განადგურდა კარ-ფანჯარა, გაფუჭდა „მოზაიკური“ იატაკი. 1980-იან წლებში ადგილობრივი ბერძნების ინიციატივით დაიწყო ტაძრის აღდგენა, თუმცა გასული საუკუნის ბოლოს, ბერძენთა დიდი ნაწილის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გამო წამოწყებული საქმე სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, ამიტომ ტაძრის აღდგენითი სამუშაოები გააგრძელა და დაასრულა ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ.[22]

[22] მის აღდგენაში დიდი წვლილი მიუძღვის მეუფე დიმიტრის, ახალშენის მკვიდრთ, კერძოდ, ასლან თავდგირიძესა და გურამ დუმბაძეს.

ეკლესია აგებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში შერეული მასალით - რიყისა და თლილი ქვებით. შენობის სიგანე 11 მეტრია, სიგრძე საკურთხევლის ჩათვლით - 16 მეტრი, სიმაღლე გუმბათითურთ - 21მ. ტაძარი წაგრძელებული სწორკუთხა ფორმისაა. ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე აღმართულია თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი, გასული საუკუნის 90-იან წლებში აღდგენილი, ქართული ძეგლებისთვის დამახასიათებელი კონუსური გუმბათით. მაღალი და ვიწრო, წახნაგოვანი გუმბათის ყელი შემკულია წაგრძელებული ფორმის თაღოვანი სარკმლებით, ლილვოვანი პილასტრებითა და თაღოვანი თავსართებით. გლუვი სიბრტყეებითა და ნაძერწი დეკორით შემკული ვიწრო და მაღალი გუმბათის ყელი რიყისა და ნატეხი ქვებით ნაგებ ტაძრის კორპუსთან შედარებით მკვეთრ კონტრასტს ქმნის. დეკორის მიუხედავად, იგი მოკლებულია ტაძრის კორპუსის სიბრტყეთა დინამიკურობას, რაც ფასადების ქვის წყობის ცხოველხატული ფაქტურით არის განპირობებული. ტაძრის ავთენტურ ნაწილებთან რამდენადმე არაორგანული ელემენტია შუა საუკუნეების ქართული ძეგლებისათვის დამახასიათებელი, რეკონსტრუირებული გუმბათის მკვეთრად კონუსური ფორმა.

ტაძრის გარემასები სადა გადაწყვეტით ხასიათდება. ტაძრის დასავლეთი და აღმოსავლეთი ღერძი წაგრძელებულია, ჯვრის ფორმა მხოლოდ შენობის ზედა ნაწილში იკითხება. ოთხკუთხა გეგმის მქონე ტაძრის სწორკუთხა მაღალი კორპუსი დაგვირგვინებულია ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართული მაღალყელიანი გუმბათით. დასავლეთის მკლავი დამრეცი გადახურვის მქონე ფრონტონით სრულდება, აღმოსავლეთისა კი - შედარებით დაბალი, დამოუკიდებელი კონუსური გადახურვის მქონე სამი ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. ჩრდილოეთისა და სამხრეთი მკლავების ოდნავ მომაღლო ფრონტონები სივრცეში ჯვრის ფორმას უსვამს ხაზს. საკუთხევლის აფსიდი და პასტოფორიები ფასადის მხარეს თითო თაღოვანი სარკმლით იხსნება. ტაძარი ერთსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული. ფასადების მხატვრულ სახეს კირის დუღაბის ფენაში ჩართული სხვადასხვა ფორმის რიყისა და ფლეთილი ქვის ფაქტურის კედლები ქმნის, რომლის ზედაპირზე მკვეთრ აქცენტებად იკითხება საპირეებში ჩასმული მაღალი და განიერი თაღოვანი სარკმლები. ტაძრის კუთხეები ამოყვანილია მაგარი ჯიშის გათლილი ქვებით. შესასვლელები მოწყობილია სამხრეთისა და დასავლეთის მკლავებში. დასავლეთით ტაძარს კარიბჭე ეკვრის, თუმცა ფასადზე შემორჩენილი კრონშტეინი მოწმობს, რომ, თავდაპირველად, ამ მხარეს ტაძარს უფრო მაღალი მინაშენი ან სამრეკლო ერთვოდა.

განსხვავებულია გუმბათის ყელის შემკულობა, მისი დეკორის შემადგენელი ელემენტები მსგავსებას ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათის

მხატვრულ გადაწყვეტასთან იჩენს. 12 წახნაგისგან შედგენილი გუმბათის ყელის ქვედა განიერი სარტყელი შემკულია ღრმა სწორკუთხა სიბრტყეებით. გუმბათის ყელის წახნაგებს ამკობს კაპიტელებიანი სამმაგი ლილვები, ლილვოვანი თაღები და სხვა დეტალები. ექსტერიერის გადაწყვეტის მხატვრულ თავისებურებას განსაზღვრავს ტაძრის წაგრძელებული და მაღალ კორპუსი, მკლავების ფრონტონები, მაღალი და განიერი სარკმლები, შესასვლელების განთავსება დასავლეთით და განივი მკლავების დასავლეთ მონაკვეთში.

ტაძრის ინტერიერი წარმოადგენს დიდ დარბაზს, რომლის ცენტრში აღმართულია ოთხ მაღალ სვეტზე დამყარებული გუმბათი. მრგვალი ფორმის სვეტების ბაზისები და იმპოსტები სწორკუთხაა. მაღალ აზიდულ სვეტებზე გადადებულ თაღებს ეყრდნობა თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი. ტაძრის შიდა სივრცისთვის დამახასიათებელი ნიშანია მკლავებისა და მკლავთაშორისი სივრცეების თითქმის ერთნაირი სიმაღლე, რაც სივრცეს სამნავიან სტრუქტურას ანიჭებს. ამასთანავე, ნიშანდობლივია ის, რომ მკლავთაშორისი სივრცეების კამარები ჯვრის მკლავთა კამარების პერპენდიკულარულადაა გადაწყვეტილი. აზიდული პროპორციები, მსუბუქი ფორმები და კონსტრუქციები განსაზღვრავს ინტერიერის სიხალვათესა და გამომსახველობას. შიდა სივრცის მნიშვნელოვანი დეტალია მაღალი და განიერი სარკმლები, საიდანაც ტაძარში უხვად იღვრება შუქი და ხელს უწყობს განახლებული ფრესკების აღქმას. საკურთხევლის აფსიდი და პასტოფორიები, დარბაზის სიმაღლესთან შედარებით, დაბალია. სიმაღლეთა ამ სხვაობის გამო მკლავის კამარასა და ტრიუმფალურ თაღს შორის იქმნება მაღალი შუბლი, რომელშიც მრგვალი სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველი და პასტოფორიების აფსიდები თითო თაღოვანი სარკმლით ნათდება. ზოგიერთი სარკმლის წირთხლები პარალელურგვერდიანია, ზოგისა კი - მკვეთრად დახრილი, ეს, თითქოს უმნიშვნელო დეტალი, შუქის გასაძლიერებლადაა გამოყენებული. გეგმარებისა და სივრცის გადაწყვეტის ხასიათით ახალშენის ფერისცვალების ეკლესია მსგავსებას „ნეობიზანტიური სტილის“ ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძართან იჩენს. ბათუმის წმ.ნიკოლოზის ეკლესია 1865-1871 წლებში აიგო აქ მცხოვრები ბერძნების დაკვეთით, რომლებიც კომპაქტურად იყვნენ დასახლებული ქალაქის სწორედ ამ მონაკვეთში და ქუჩაც „ბერძნული ქუჩის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.[23] წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, ისევე, როგორც ახალშენის ფერისცვალების ტაძარი, წარმოადგენს სწორკუთხედში ჩაწერილ. ე.წ. „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის

[23] ცნობილია, რომ ბერძენმა მოსახლეობამ ეკლესიის ასაშენებლად დათმო მიწის ნაკვეთები. თურქთა ბატონობის პერიოდში ბერძენი მოსახლეობის მიერ, საკუთარი სახსრებით ტაძრის მშენებლობა მათი განსაკუთრებული სოციალური როლის გამოხატულება იყო და მოწმობდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმული რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში.

გუმბათოვან ნაგებობას, სამი შვერილი აფსიდით, დაგრძელებული დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძით, დასავლეთით გაჭრილი შესასვლელებით, ოთხ სვეტზე დამყარებული გუმბათით, სამნაწილიანი საკურთხევლით, დასავლეთით მიშენებული პატრონიკითა და სამრეკლოთი. ტაძრის გარემასები შვერილი ნახევარწრიული აფსიდებით, ცილინდრულ-წახნაგოვანი გუმბათის ყელითა და ნახევარსფეროსებრი გუმბათით, მსგავსებას ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებთან იჩენს. ტაძრის ე.წ. „ნეობიზანტიური“ იერი ბერძენ დამკვეთთა ამ სამყაროსთან ორგანული კავშირით იყო განპირობებული. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და ახალშენის ბერძნული ტაძარიც პოსტბიზანტიური, ახალბერძნული კულტურული ტრადიციების გამოვლინებაა. პონტოელ ბერძენთა საეკლესიო მშენებლობა საქართველოში, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებსა და XX საუკუნის დასაწყისს - 1840-1910 წლებს მოიცავს, ხასიათდება საერთო ტიპოლოგიური ნიშნებით. ისინი წარმოაჩენენ სხვადასხვა სამშენებლო ფორმის სინთეზს, რომელშიც ერთიანდება ბიზანტიური, ოტომანური, ქართული ხუროთმოძღვრული ელემენტები. ბერძენთა საეკლესიო ხელოვნება ერთი მხრივ ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური ტრადიციის გაგრძელებად, ხოლო მეორე მხრივ ხალხური ხელოვნების ცოცხალი იმპულსების აშკარა მატარებლად გვევლინება. ამგვარი ერთობა მათ საეკლესიო ნაგებობებს თავისებურ სახეს ანიჭებს. პონტოელთა ეკლესიები, როგორც წესი, რუხი ფოროვანი ქვით - უპირატესად, ტუფითაა აგებული. სუფთად გათლილი ქვის რეგულარული რიგები ეკლესიათა ფასადების დამახასიათებელი ნიშანია. პონტოელთა ეკლესიების უცვლელი ელემენტია შვერილი აფსიდი, რომელიც მკაფიოდ გამოიყოფა აღმოსავლეთ ფასადზე. გუმბათი ხშირ შემთხვევაში ქართულ ტრადიციას მიუყვება და მრავალწახნაგოვანი ყელი კონუსური გადახურვით მთავრდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გუმბათის ცილინდრული ფორმის ყელი ბიზანტიური ყაიდის მრგვალი, ნახევარსფერული გუმბათით გვირგვინდება (ჭიჭინაძე, 2008:1). აჭარის რეგიონში მდებარე ბერძნული საეკლესიო არქიტექტურაში სამშენებლო მასალად, სხვადასხვა ჯიშის გათლილ ქვასთან ერთად, დასტურდება რიყის ქვის გამოყენება, რაც ადგილობრივი ეკლესიების (ახალშენის ფერისცვალების ეკლესია, დაგვის ღვთისმშობლის ეკლესია) თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. ახალშენის ტაძრის არქიტექტურაში ვლინდება პონტოელ ბერძენთა ეკლესიების ტრადიციული ელემენტები: დიდი ზომები, ხალვათი შიდა სივრცე, სადა, მკაცრი ფასადები, შვერილი აფსიდები, პარალელურგვერდებიანი და მკვეთრად დახრილი ქვედა თაროს მქონე განიერი სარკმლები.

ბერძნების მიერ საქართველოში აგებული ტაძრების მხატვრობა, ძირითადად, განახლებულია ან პირველადაა მოხატული გასული საუკუნის 70-იანი

წლებიდან. 2011 წლამდე ახალშენის ეკლესიაც მხოლოდ ნაწილობრივ იყო მოხატული თავდაპირველად, XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, შემდეგ კი - XXI საუკუნის დასაწყისში.[24] 2012 წლიდან მიმდინარეობს ტაძრის ხელახალი მოხატვა ფართო იკონოგრაფიული პროგრამით. ახალი ფრესკული მხატვრობა ეფუძნება გვიანი შუა საუკუნეების ქართული ფერწერის ტრადიციებს.[25] ქართული იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად, გუმბათში გამოსახულია „ჯვრის ამაღლება“, გუმბათის ყელზე - წინასწარმეტყველები, წმინდანთანა ფიგურები. მკლავებში - ქრისტოლოგიური სცენები, ქართველი წმინდანები და მეფეები და სხვ. ახალშენის ტაძრის მოხატულობა თანამედროვე საეკლესიო მხატვრობის საინტერესო ნიმუშია.

ახალშენის ფერისცვალების ეკლესია წარმოადგენს XIX საუკუნის ბერძენ ემიგრანტთა კულტურის ძეგლს, რომელიც წარმოაჩენს ამ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძენი მოახალშენეების მიერ აგებული ეკლესიების თავისებურებებს.

ბერძენ მოახალშენეთა სახელს უკავშირდება **ორთაბათუმის (ყოროლისთავის) წმინდა პანტელეიმონის ეკლესიის აგებაც.** იგი აშენებულია XIX საუკუნის დასასრულს, ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მრევლის ძალისხმევით. ხალხური გადმოცემით, მისი მშენებლობა 1898-1900 წლებში მიმდინარეობდა (პონტოელი ბერძნები აჭარაში, 2017:119-124). ტაძრის გარეგნული სახე მოკლებულია ავთენტურობას და ყოველგვარ მხატვრულ ელემენტს. ეკლესია მთის საგანგებოდ მოსწორებულ ფერდობზეა აღმართული. იგი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა ფორნტონებით დასრულებული ჯვრის მკლავებით, ვიწრო მაღალყელიანი, კონუსური სახურავის მქონე გუმბათითა და შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. ზომები 13,30X7,25 მ. შიდა სივრცე წაგრძელებული დარბაზია ე.წ „შუბლის“ მქონე დაბალი საკურთხევლის აფსიდით, რომელშიც სარკმელია გაჭრილი. ეკლესიის მხატვრობა დასრულებული არ არის. გარედან ეკლესიის კედლები შელესილია. ორთაბათუმის ტაძარს გამოარჩევდა ბათუმის ბერნული ტაძრებისთვის დამახასიათებელი ნიშნები: გარემასების ჯვარ-გუმბათოვანი აბრისი, ტაძრის მაღალი კორპუსი, ვიწრო, მაღალ ყელზე აღმართული მომრგვალებული, ხახვისთავა გუმბათი, ფრონტონებით დასრულებული ჯვრის მკლავები, შვერილი აფსიდი, განიერი თაღოვანი სარკმლები, ხალვადი, ნათელი შიდა სივრცე, სხვადასხვა ზომის

[24] გუმბათში გამოსახული იყო ხატმწერ მერაბ დევაძის მიერ შესრულებული ქრისტე პანტოკრატორის ნახევარფიგურა. მოგვიანებით მოიხატა საკურთხეველი. მისი იკონოგრაფიული პროგრამა ეფუძნებოდა შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციებს.

[25] ფრესკულ მხატვრობას ასრულებს ხატმწერი იოანე ბაბილოძე, ირაკლი ბაბილოძესა და ბესიკ იაკობაძესთან ერთად. ფრესკები იხატება მეუფე დიმიტრის კურთხევით, მრევლის შემოწირულობით, დეკანოზ ბასილი ბერიძის წინამძღოლობით.

ქვებითა და დუღაბით ნაგები კედლები. ტაძარს XX საუკუნის დასასრულს ჩაუტარდა რესტავრაცია, სწორედ ამ დროს იქნა აღდგენილი ჩამოქცეული გუმბათი. ორთაბათუმის ეკლესია წარმოადგენს ბერძენ მოახალშენეთა კულტურის ნიმუშს, რომელსაც გამოარჩევს ნეობერძნული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

**მუსლიმანური სალოცავები** აჭარის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მათში, ღვთისმსახურების მოთხოვნებთან ერთად, წარმოჩენილია ქართული საერო, საცხოვრებელი არქიტექტურის ტრადიციები. ხითა და ქვით ნაგები მეჩეთები, თავიანთი მხატვრულად გამორჩეული შიდა დეკორატიული შემკულობით წარმოადგენენ ქართული ხალხური ხეზე კვეთილობის უნიკალურ ნიმუშებს.

მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულია სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მეჩეთი, რომელშიც 1984 წლიდან მაჭახლის ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია მოწყობილი. აქ გამოფენილი მულაჟები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა მინიმოდელები, ეთნოგრაფიული ნივთები აჭარული სოფლის მცხოვრებთა ყოფას ასახავს. ნაგებობა ქვის სართულზე აღმართული ტრადიციული „აჭარული“ ჯამეების მსგავსია. იგი წარმოადგენს სამსართულიან შენობას ქვით ნაგებ პირველ სართულზე დამყარებული ხის ორსართულიანი ნაწილით. სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვითა და დუღაბით ნაგებ კედლებს თაღოვანი ბუხარიც ამშვენებს, რაც, ზოგადად, მეჩეთებისთვის აუცილებელ ელემენტს არ წარმოდგენს. ბუხრის თაღი ამოყვანილია ირიბად ჩაწყობილი მომწვანო ქვიშაქვის გათლილი ფილებითა და საჭექი ქვით. მეორე სართულზე განთავსებულია სამლოცველო დარბაზი, რომელიც „აჭარული“ ჯამეებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სივრცული გადაწყვეტითა და მხატვრული ფორმებით გამოირჩევა. სამლოცველო დარბაზი წარმოადგენს სამი მხრიდან ანტრესოლით, აივნებით შემოსაზღვრულ კვადრატს, სამხრეთ კედელზე მდებარე მიჰრაბითა და მინბარით.

ზედა ჩხუტუნეთის მეჩეთში ტრადიციულად აქცენტირებულია სამლოცველოში შესასვლელი თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ორმაგი კარი ხეზე კვეთილი ჩუქურთმებით. მართალია, თეთრად შეღებილი ზედაპირი რამდენადმე უკარგავს კარის დეკორს ხის ფაქტურისა და ფერისთვის დამახასიათებელ გამომსახველობას, მაგრამ ლენტოვანი წნულის მოტივები (ჰიზონტალურ მოტივებში გატარებული ორღარიანი და სამღარიანი ლენტები) ჯამეების კარებისთვის ტრადიციულ გამომსახველობას ანიჭებს ამ დეტალს. აჭარული და, ზოგადად, ჭოროხის აუზის ხის მეჩეთებისთვის დამახასიათებელი კარის მცენარეული დეკორისგან განსხვავებით, აქ ჩუქურთმის ძირითად სახეს გეომეტრიული მოტივები ქმნის. მეჩეთის სივრცე აქცენტირებულია გუმბათით. ჭერის ძირითად კონსტ-

რუქციას შეადგენს ფიცრული ხის „კანტებით“ აღნიშნული კვადრატები, გუმბათის ფუძის ორნამენტული სარტყელი, და სხვენის სიღრმეში განვითარებული, ძელების წყობით მიღებული გუმბათი. გუმბათის ცენტრიდან დაშვებული კანტები სხივისებურად იშლება სფეროს ზედაპირზე და ფერადოვან გადაწყვეტასთან ერთად (თეთრი ფონი, ლურჯი ყვითელი კანტები, ნახევარმთვარისა და ვარსკვლავების მოტივები და სხვ) გამომსახველობას ანიჭებს კონსტრუქციას.

გუმბათი ჯამეების თავანის კვადრატის გადახურვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც აჭარის მეჩეთებში დეკორატიული გადაწყვეტის მრავალფეროვნებას გვიჩვენებს. ჩხუტუნეთის მეჩეთის გუმბათისა და ჭერის გადაწყვეტა ქართველი ხითხუროების მაღალ სადურგლო ოსტატობასა და მხატვრულ გემოვნებას მოწმობს. გუმბათოვანი გადახურვა აქვს აჭარაში - ქოსოფლის, ცხმორისის (1891-1892), უჩხითის (XIX ს-ის 20-იანი წლები), ზუნდაგას (XIX ს-ის II ნახევარი), ჭვანას (1894-1895), ნიგაზეულის (1922), დღვანის (1862), ფურტიოს (1894-1895),[2] რიყეთის (1918), დანისპარაულის (XX ს-ის დასაწყისი), პაქსაძეების (XIX ს), დაგვისთავის (1826), ზოტის (1905-1907) და სხვა მეჩეთების ცენტრალურ თავანებს (ჭიჭილეიშვილი, 2010:445-458; ჭიჭილეიშვილი, 2015:117-123; ჭიჭილეიშვილი, 2019:285-306). ხშირად გუმბათის წყობა მხოლოდ ფიცრულია, მაგრამ მაინც მაღალ სამშენებლო კულტურას მოწმობს. ინტერიერის მთავარ ნაწილს წარმოადგენს სალოცავი დარბაზი და სამხრეთი კედელი, რომლის ცენტრალურ ღერძზე დგას მიჰრაბი, გვერდით კუთხეებში მინბარი და ქურსი. სივრცის პლასტიკური ელემენტები - სამმხრივი ანტრესოლის მძლავრად შვერილი აივანი - „მაჰფილე“ და განათება ხელს უწყობს მექასკენ ორიენტირებული კვადრატული დარბაზისა და სამხრეთი კედლის დომინანტურ მნიშვნელობის ხაზგასმას. ზოგჯერ მიჰრაბის დეკორი მსგავსებას საცხოვრებელი სახლების ბუხრების გაფორმებასთან იჩენს (Гараканидзе, 1959, рис. 2, 44). მიჰრაბი, მაღალი, ოდნავ შეისრული ფორმის ნიშა, შემკულია მარტივი ძლიერ სტილიზებული ღეროების მოტივით. ნიშის თაღოვან არეს ამკობს შვეული ხვეულები, რაც შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშებზე განთავსებული რელიეფური სამყურების ფოთლების მოტივებთან იწვევს ასოციაციას. მიჰრაბის ზოგიერთ კომპოზიციაში, ამ ადგილას, წარწერა თავსდება. მიჰრაბსა და ბალიასინებიან მოაჯირს შორის 4 სხვადასხვა ზომის სარტყელია, რომელზეც გამოსახულია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული ლენტოვანი ხვეულებით შედგენილი მოტივები. მინბარის გვერდითი კედლები ტრადიციულად მორთულია ფოთლოვანი შროშანებისა და სურის, ხოლო წინა ნაწილი სიცოცხლის ხის სტილიზებული გამოსახულებებით. თავისი მხატვრული გადაწყვეტით, ზე-

და ჩხუტუნეთის ჯამე წარმოადგენს აჭარული ხის მეჩეთების ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს ქვედა მარადიდის ქვის მეჩეთს, რომელიც XX საუკუნის დასაწყისშია (1907-1914 წწ) აგებული. აქაც, ისევე როგორც ხის ჯამეებში, ინტერიერის მხატვრულ სახეს ხის გუმბათოვან-პანელური გადახურვა, ორნამენტული ჩუქურთმით უხვად დეკორირებული სარიტუალო დეტალები ქმნის. ზოგადად, აჭარული მეჩეთების მხატვრულ დეკორში დასტურდება ჩუქურთმის როგორც კვეთილი, ასევე პანელებზე ჭვირული წესით შესრულებული და განკუთვნილ არეზე დამაგრებული ორნამენტული მოტივები. თუმცა ორნამენტის ხარისხი ყოველთვის მაღალმხატვრული არ არის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯამეების განახლებული მხატვრული დეკორი მოტივთა ხასიათისა და შესრულების ოსტატობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ავთენტურ ფორმებს. მარადიდის მეჩეთის გარეგნულ სახეს განსაზღვრავს XIX-XX საუკუნეების მიჯნის რიგი შენობებისათვის დამახასიათებელი მომწვანო, მორუხო და მოვარდისფრო ქვების ჰორიზონტალური წყობა, კედლის პოლიქრომიულობა, ფანჯრის საპირეებით შემკობა და მოზრდილი ქვის წყობით შენობის კუთხეების აქცენტირება. ფასადების დეკორატიული გადაწყვეტის მიუხედავად, ნაგებობა ხასიათდება მკაცრი იერსახითა და ერთგვარი მონუმენტურობით.

ამდენად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი საკულტო არქიტექტურის ერთეული ნიმუშები მოწმობს საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების ერთიანობას. წარმოჩნდება აჭარის ზღვისპირა და მთიანი ზოლის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ტენდენციები, შავი ზღვის რეგიონებისთვის სახასიათო ტრადიციები, ნეობერძნული ურთიერთობების გამომხატველი კონტაქტები, ქრისტიანული და მუსლიმანური მემკვიდრეობის ნიმუშები, რომლებშიც ვლინდება როგორც ოტომანური საღვთისმსახურო მოთხოვნების თავისებურებები, ასევე - ქართული ქვის არქიტექტურისა და ხალხური ხითხუროობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


**ვარშალომიძე, 1979:** - ვარშალომიძე ჯ., „ორნამენტი ხეზე“, ბათუმი, 1979.

**ვარშალომიძე, 2010:** - ვარშალომიძე ჯ., „მუსლიმანური საკულტო ნაგებობების ტრადიციული დეკორი“, კრ.: „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი, 2010.

**გიორგაძე, მგელაძე, 2017:** - მ.გიორგაძე, ნ.მგელაძე, თ.ტუნაძე, ნ.ძნელაძე, მ.ლორია, თ.აბულაძე, ს.ჩხარტიშვილი, „პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“, (რედაქტორი მ. გიორგაძე), ბათუმი, 2017

**კვაჭაძე, 2021:** - კვაჭაძე ნ., „აჭარის ხის მეჩეთების არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი“, სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბილისი, 2021.

**ლეკვეიშვილი, 2001:** - ლეკვეიშვილი ს., „მოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები აჭარაში“, ბათუმი, 2001.

**ფაშაევა, 2008:** - ფაშაევა ლ., „ბერძნები“,კრ.: „ეთნოსები საქართველოში“, თბილისი, 2008.

**ჭიჭილეიშვილი,** 2010: - ჭიჭილეიშვილი მ., „მეჩეთების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებანი, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი, 2010.

**ჭიჭილეიშვილი,** 2019: - ჭიჭილეიშვილი მ., „ხალხური ხითხუროობის ტრადიციები აჭარაში“, კრ.: „საქართველოს სიძველენი“, 22, თბილისი, 2019.

**ჭიჭილეიშვილი,** 2015: - ჭიჭილეიშვილი მ., „ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები)“, კრ.: „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2015.

**ჭიჭინაძე, 2008:** - ჭიჭინაძე ნ., „საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა“, თბილისი, 2008.

**Гараканидзе, 1959**: - Гараканидзе М., „Грузинское деревянное зодчество“, Тбилиси, 1959.

1-2. სარფის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია რესტავრაციამდე

3. სარფის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია რესტავრაციის შემდეგ



4. ახალშენის ფერისცვალების ეკლესია . ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

5. ახალშენის ფერისცვალების ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.



6. ახალშენის ფერისცვალების ეკლესია. ინტერიერი.



7. ორთაბათუმის წმინდა პანტელეიმონის ეკლესია. 1960-იანი წლების ფოტო.



8. ორთაბათუმის წმინდა პანტელიმონის ეკლესის ხედი სამხრეთიდან.

9. მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ჩხუტუნეთის მეჩეთი)



10. მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ჩხუტუნეთის მეჩეთი)







11-13- მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
(ჩხუტუნეთის მეჩეთი. ინტერიერის დეტალები)

14-15. მარადიდის მეჩეთი

**ნოდარ კახიძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის*
*ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის*
*განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*

**Nodar Kakhidze**
*Doctor of Historical Sciences, Principal Researcher,*
*Department of Ethnology and Sociological*
*Research, Niko Berdzenishvili Institute,*
*Batumi Shota Rustaveli State University*

# მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

# TRADITIONAL BRANCHES AND FARMING IN KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი** - ნაშრომში, ეთნოგრაფიული საექსპედიციო მასალებისა და სხვადასხვა წერილობითი წყაროს მონაცემების საფუძველზე, შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამიწათმოქმედო ტრადიციები. კერძოდ, ტერიტორიაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურები (ფეტვი, ასლი, ღომი, ჭვავი, ქერი, პური), რომლებიც მოჰყავდათ სიმინდის კულტურის გაბატონებამდე (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) და სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ცოდნა-გამოცდილებანი. მაჭახლის ხეობაში ენდემური პურეულის - მახას გავრცელების მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხეობა უნდა ჩაითვალოს ამ ენდემური პურეულის ლოკალურ კერად, რაც დღემდე ცნობილი არ იყო.

სარფისა და გონიოს ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესწავლილია რეგიონში ბრინჯის მოყვანის ისტორია და ტრადიციები. დადასტურებულია, რომ ბრინჯი გარდა შიდამოხმარებისა, საგარეო ვაჭრობის საგანიც იყო.

ნაშრომი ეხება სიმინდის კულტურის დამკვიდრებას და მის გაბატონებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურად გადაქცევას (XIX საუკუნის II ნახევარი), ასევე

მებაღეობასა და თამბაქოს მოვლა-მოყვანას. აღნიშნულია, რომ თამბაქოს კულტურა განსაკუთრებით პოპულარული იყო კოლექტივიზაციის პერიოდში, როცა ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა.

ნაშრომში დახასიათებულია მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები, ვაზისა და ხეხილის ჯიშები, ყურძნისა და მეხილეობის პროდუქტების დამზადებისა და მოხმარების ტრადიციები, მარნები და მათი ადგილობრივი გავრცელების კერები (ზემო ჩხუტუნეთი, სინდიეთი, კირნათი, კაპნისთავი, ჯოჭო, ორთაბათუმი). მარნებში მხოლოდ მაღალი ყურძენი იწურებოდა და ინახებოდა. დაბლარი ვაზის ჯიშები მუნიციპალიტეტში ფართოდაა გავრცელებული 30-იანი წლების ბოლოდან და დღემდე წამყვანი ადგილი უკავია. ნაშრომში, აგრეთვე, შესწავლილია მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. მეურნეობის ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღები, წეს-ჩვეულებები, ტოპონიმიკური მონაცემები. ნაშრომს ერთვის საილუსტრაციო მასალა.

**საკვანძო სიტყვები:** სამეურნეო ყოფა, მეურნეობის დარგები, სამიწათმოქმედო ტრადიციები

**Abstract** - The paper studies and analyzes various written data and field ethnographic materials on traditions of farming spread over Khelvachauri municipality, which has an ancient history of origin and development. Specifically, the work describes the folk agro technical rules of cultivation (grain, millet, barley, rye, bread) existing before and after corn cultivation (2 nd half of the nineteenth century). The work focuses on endemic breads characterization such as (makhas) spread in the Machakheli valley, and it concludes that Adjara should be considered as one of the local endemic bread breeding site in western Georgia, that was not known earlier.

According to Sarpi and Gonio ethnographic data, these micro-regions have been distinguished for their care of dry (terrestrial) and wet (marsh) rice. In addition to domestic consumption, rice was also a subject of foreign trade.

The work deals with the establishment of the maize culture and its prevailing agricultural culture (2nd half of the nineteenth century), as well as the care and cultivation of horticulture and tobacco. It has been pointed out that the tobacco culture has been particularly popular during the period of collectivization and has become one of the main sources of family income. This branch was spread only in two villages of Adjara Minaret and Kirnati Sakrebulo. In other municipal councils, mainly gardening and citrus cultivation were followed.

The work also deals with viticulture and fruit growing. Vine and orchard varieties, viticulture and winemaking, wine cellars and their local distribution hubs (upper Chkhutuneti, Cindyeti, Kirnaiti, Kapnistavi, Jocho, Ortabatumi) are described. In the wine cellars only the high grapes were crushed and stored. Lowland vine varieties have been widespread in the municipality since the late 30's and are still extensively developed.

In the last part of the paper we study cattle breeding and beekeeping. It also discusses the structures, labor tools, forms of labor organization, and customs associated with the listed industries. Illustrative material is attached to the work.

**Key words:** Agricultural life, fields of agriculture, traditions of farming

**შესავალი** - ქართველი ხალხის მეურნეობრივი ყოფის საფუძველს ისტორიულად მრავალპროფილიანი ეკონომიკა შეადგენდა. ამასთან ერთად, საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებს მთლიანად და მის შიგნით მთურ და ბარულ დასახლებებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგების განვითარების სხვადასხვა დონე და მიმართულება ახასიათებდა.

თუ აჭარის მთიანი ზონის ანუ ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების მეურნეობრივ განვითარების მთავარ საფუძველს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა წარმოადგენდა. მათგან განსხვავებით ბარის ზონის რაიონებისთვის (ხელვაჩაური, ქობულეთი) წამყვანი მიწათმოქმედება-მემინდვრეობა იყო, მესაქონლეობა კი ზოგ შემთხვევაში დამხმარე ხასიათს ატარებდა, თუმცა, ორივე რაიონისათვის – ხელვაჩაურისა და ქობულეთის სინამდვილისთვის გამოიყოფა განსხვავებული, ლოკალური მთური ტიპის დასახლებები (ხელვაჩაურში – მაჭახლის ხეობა, ნაწილობრივ კირნათ-მარადიდის მხარე, ქობულეთში – ხინოს ხეობა, ნაწილობრივ ჩაქვისწყლის ხეობა), სადაც მეურნეობა სიმბიოზური ფორმით (მიწათმოქმედება-მესაქონლეობა) ვითარდებოდა. აქ მიწათმოქმედების გონივრული წარმართვა შეუძლებელი იყო მესაქონლეობის გარეშე და პირიქით– მესაქონლეობა-მიწათმოქმედების გარეშე. ასეთივე ვითარება იყო მთლიანად კოლხეთის დაბლობის სამეურნეო განვითარების ისტორიაში. აქ მეურნეობის ძირითად, წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, მესაქონლეობა კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან, თუმცა, დამოუკიდებელი მნიშვნელობა მას დაკარგული მაინც არ ჰქონდა. მთლიანად საქართველოს მთიანეთისთვის კი, როგორც სპეციალური გამოკვლევებით დადგინდა, ძირითადად, დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა. მეურნეობის განვითარების მთავარ საფუძველს კი აქ სიმინდის

კულტურამდელი მარცვლეული (ფეტვი,ღომი, ჭვავი, ქერი და სხვა) წარმოადგენდა, ხოლო მევენახეობა-მეღვინეობა დამხმარე ხასიათს ატარებდა. ზოგ შემთხვევაში მესაქონლეობას აქ წამყვანი ადგილი ეჭირა (რობაქიძე, 1960:12).

მეურნეობრივი განვითარების თავისებურებანი ანუ მეურნეობის დასახელებული ძირითადი დარგების (მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, მესაქონლეობა) თანაშეფარდება აჭარის მთიანი (ხულო, შუახევი, ქედა) და ბარის რაიონებისა (ხელვაჩაური, ქობულეთი) კარგად ჩანს სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვრების ფართობთა მაგალითზე. გასული საუკუნის პირველი ნახევრის მონაცემებით თუ აჭარის მთლიანი ფართობის 6,6% სახნავ-სათესებს (მებოსტნეობასთან ერთად) ეჭირა, სათიბ-საძოვრებზე მოდიოდა 13,4% (ნიჟარაძე, ჯიბუტი, 1957:153). აჭარის სათიბების საერთო ფართობიდან, რაც 9500 ჰექტარს შეადგენდა, 9344 ჰექტარი მოდიოდა ხულოსა (მაშინ შუახევის რაიონიც აქ შედიოდა) და ქედის რაიონებზე, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების სათიბ-საძოვრები 156 ჰექტარს არ აღემატებოდა (ნიჟარაძე, 1948:41), ე.ი. სახნავ-სათესებისა და სათიბ-საძოვრების თანაფარდობა პირველ შემთხვევაში ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში მიწათმოქმედება-მემინდვრეობის – სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ხულო-ქედის რაიონებში მესაქონლეობის განვითარების სასარგებლოდ მეტყველებდა.

სოფლის მეურნეობის ასეთი დარგობრივი სტრუქტურა, როგორც მთიან, ისე ზღვისპირა აჭარაში, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ერთ-ერთი პირველი არსებითი და მნიშვნელოვანი ცვლილება სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში დაკავშირებულია სიმინდის კულტურის შემოტანასა და გავრცელებასთან, რომელსაც შედეგად მოჰყვა წინანდელი მარცვლეული კულტურების (ფეტვი, ქერი, ღომი, ჭვავი, პური) ხვედრითი წილის თანდათანობითი შემცირება. თუ ჩამოთვლილი მარცვლეული კულტურები 1940-იან წლებამდე მთურ ზონაში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მნიშვნელობას, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ბარის ზონაში ეს მნიშვნელობა მას დაკარგული ჰქონდა. სიმინდი გაბატონებულ კულტურად დარჩა.

XVII საუკუნიდან ვრცელდება აჭარაში თამბაქოს კულტურა, რომელმაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართოდ მოიკიდა ფეხი. 1914 წელს თამბაქოს ნარგავებს აჭარაში 1108 ჰექტარი ეჭირა. პირველი მსოფლიო ომის წლებში, რომლის ერთ-ერთი ასპარეზიც აჭარა იყო, მისი წარმოება ეცემა, მაგრამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წლებში აღმავლობას განიცდიდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიდან თამბაქოს მოყვანას XX საუკუნის 90-იან წლებამდე მისდევდნენ აჭარისაღმართის, კირნათისა და აჭარისწყლის მაშინდელ სასოფლო საბჭოებში და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა (დევიძე, 1962:126).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მოყავთ კარტოფილი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი სასურსათო კულტურა გახდა. ასევე უნდა ითქვას მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის შესახებ, რომლის განვითარებაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. თუ ადრე მეჩაიეობა მუნიციპალიტეტის ბარის ზონის სოფლებში არსებობდა (ახალშენი, ჩაისუბანი, მახინჯაური, ანგისა, მეჯინისწყალი, გონიო, სარფი, ურეხი, მახვილაური, სალიბაური, ახალსოფელი, ჭარნალი), 1950-იანი წლებიდან მისი პლანტაციები გაჩნდა სხვა სოფლებშიც (აჭარისწყალი, კირნათ-მარადიდი, ქედქედი, აჭარისაღმართი, ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი).

აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებშია გავრცელებული ციტრუსოვანი კულტურები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა არსებობდა, სადაც დიდძალი მოსავალი მოჰყავდათ. ამჟამად ციტრუსების მოყვანას მისდევენ მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ხელვაჩაური, გონიო, სარფი, ჩაისუბანი, ურეხი, ახალშენი, მახინჯაური და სხვ. ბოლო წლებამდე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის როგორც ბარის, ასევე მაღალმთიან სოფლებში მოჰყავდათ კეთილშობილი დაფნის კულტურა.

ჩამოთვლილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. ამ ფონზე საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ როგორი იყო საკვლევი რეგიონის ტრადიციული მეურნეობის დარგები და რა როლს თამაშობდა იგი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში.

## მემინდვრეობის ტრადიციული დარგების დახასიათება

***მემინდვრეობის ადრინდელი მარცვლეული კულტურები.*** მემინდვრეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისე როგორც მთლიანად აჭარაში და მთელ საქართველოში, ახოს აღებისა და კორდი მიწების ათვისების ხარჯზე ვითარდებოდა. ახოობა მიჩნეულია მიწათმოქმედების ერთ-ერთ უძველეს სისტემად და თავისი ხასიათით მეტწილად მთისძირა და მთიანი ზოლის ტიპის მიწათმოქმედებისთვის იყო დამახასიათებელი. ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანის მიერ ახო განმარტებულია, როგორც „საყანური გაკაფული“ (საბა, 1949:47). ამავე დროს ახოობა წარმოადგენდა მეტად შრომატევად სამეურნეო-სამიწათმოქმედო პროცესს, რომელიც მოითხოვდა ტყე-ბუჩქნარის ამოკაფვას, მის დაწვასა და ნარჩენების გაწმენდას, რისთვისაც გამოიყენებოდა სპეციალური წვეტიანი იარაღები (თოხ-წერაქვი, ცულ-ქარჩი და სხვ.).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სალაპარაკო ლექსიკაში ტერმინი „ახო“ არ დასტურდება. იგი მხოლოდ ტოპონიმიკამ შემოგვინახა: ახოთი, ახოთი ვაკე, ახოთი ღელე, რომელიც მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში დასტურდება (კახიძე, 1967:39). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე ტერმინი „ახო“ აქაური მოსახლეობის სალაპარაკო ლექსიკაშიც უნდა არსებულიყო და შემდეგ დავიწყებას მიეცა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ახოს შესატყვისად დამკვიდრებული ჩანს კაფვა//გაკაფვა.

ასეთი კაფვა//გაკაფვის გზით ჩნდებოდა ახალი სათესი ადგილები, სადაც პირველად ღომი ითესებოდა რამდენიმე წელს, გამოფიტვის შემდეგ კი სხვა მარცვლეული კულტურები: ფეტვი, ჭვავი, ურწყავი ქერი, რომლებიც ძირითად სასურსათო კულტურებად ითვლებოდა, ღომის მარცვლისაგან შემზადებული კერძი ხალხური სამზარეულოს ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც ვერ შეცვლიდა ასევე უძველესი მარცვლეული კულტურისგან, კერძოდ, ფეტვისგან დამზადებული ფაფა თუ მჭადი (ფეტვის მჭადი). ეს ღომის მარცვლის ყუათიანობითაც შეიძლება აიხსნას, ამასთან, ღომი ერთ-ერთი უძველესი სასურსათო კულტურა იყო. ქობულეთ-ჩოლოქში ე.წ. ნამჭედურის ნამოსახლარის მეხუთე ფენაში ნაპოვნია ხანძრისგან დანახშირებული ღომის მარცვლები, რომლებიც ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება (ხახუტაიშვილი, 1995:54-55).

მაჭახლის ხეობის მონაცემებით, ძირითადად, ორი სახის ღომი ითესებოდა – წითელი და თეთრი. ბარაქიანობით კი თეთრი ღომი გამოირჩეოდა, მაგრამ ნაგვიანევ ჯიშს ეკუთვნოდა. წითელი ღომი ადრე შემოდიოდა, მაგრამ შედარებით პატარა თავთავებს იკეთებდა. სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ღომის მესამე ჯიშიც დადასტურდა, რომელსაც შოდრა ღომი ეწოდებოდა.

დიდი რაოდენობით მოყავდათ ღომი გონიოს მხარეში. აქაც ორი ჯიშის ღომი ითესებოდა. ერთ ჯიშს თავთავები დატოტვილი არ ჰქონდა, მაგრამ მსხვილი მარცვლებით გამოირჩეოდა, მეორე ჯიშის ღომი კი დატოტვილ თავთავებს იკეთებდა და მოსავლიანობითაც გამოირჩეოდა. პირველი ჯიშის ღომი ფერდობ ადგილებზე, ხოლო მეორე – შედარებით დაბლობ ადგილებზე ითესებოდა (ჩიჯავაძე, 1959). ღომთან დაკავშირებულ ადგილთა სახელებიც (ტოპონიმები) მრავლად შემორჩა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზედა ჩხუტუნეთში, ოღლაურში (კირნათის თემი), ზედა ახალშენში, მურვანეთში (მახო), კიბეში და ა.შ. (სიხარულიძე, 1959). ამგვარი ტოპონიმები წარსულში უფრო მრავლად შეიძლებოდა არსებულიყო და დროთა განმავლობაში ხალხის ხსოვნაში ისინი ცოტა შემორჩა.

ღომის შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, პირველ რიგში მის მთიან ზონაში მაინც, ფართოდ მისდევდნენ ჭვავისა და ქერის მოყვა-

ნას. ამ სასურსათო კულტურებს არც სიმინდის გავრცელების შემდეგ არ დაუკარგავს სამეურნეო მნიშვნელობა, რადგან პირველ ხანებში სიმინდიც ვერ აკმაყოფილებდა საოჯახო მოთხოვნილებას საკვებ პროდუქტებზე. ჭვავისა და ქერის მოყვანას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და მთლიანად აჭარის სინამდვილეში 1940-იან წლებამდეც მისდევდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, შორეულ თუ ახლო წარსულში ქერის კულტურას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფართოდ მისდევდნენ. ჭვავი და ქერი, ამ თვალსაზრისით, ყველაზე წამყვანი სასურსათო კულტურები იყო, რომელთა მოვლა-მოყვანა სიმინდის კულტურის გავრცელების შემდეგაც არ შეწყვეტილა გასული საუკუნის 40-იან წლებამდე. მთლიანად აჭარისა და მათ შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ისე როგორც საერთოდ საქართველოს მეტწილი კუთხეებისთვის, ქერი ერთ-ერთ ტიპურ მცენარედ ითვლებოდა და ბოტანიკური თვისებების გამოც კარგად ეგუებოდა საქართველოს როგორც ბარის, ასევე მთის პირობებს.

ქერის კულტურის გავრცელებასა და საოჯახო-სამეურნეო გამოყენების ტიპურ სურათს იძლევა მაჭახლის ხეობა. იგი მასობრივად მოყავდათ ხეობის შემდეგ სოფლებში: სინდიეთი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, სადაც, ძირითადად, გავრცელებული იყო ოთხმწკრივა ქერი, რომელიც საქართველოში გავრცელებული მრავალმწკრივა ქერის სახეობას ეკუთვნის. ეთნოგრაფიულად ისიც დადგენილია, რომ აჭარაში წარსულში მხოლოდ ოთხმწკრივა საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერი ითესებოდა, რომელსაც ადგილობრივად კეჟერა ქერი ეწოდებოდა (ჩიჯავაძე, 971:37).

ადრინდელი სხვა მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძალზე ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება. ხანდაზმულ მთხრობელთა მეხსიერებაში შემორჩენილი ცნობები მხოლოდ იმაზე მიგვითითებენ, რომ ჭვავისა და ქერის გარდა აქა-იქ ითესებოდა ასლი, დიკა, ფეტვი, პური. პირველმა სამმა, როგორც ირკვევა, ადრე დაკარგა სამეურნეო მნიშვნელობა, რადგან მათი ხვედრითი წილი საოჯახო ყოფაში მცირე იყო. ასლის შესახებ მაჭახლელ მთხრობელთა მეხსიერებაში დღესაც შემორჩენილია გამოთქმა: „პური ვჭამე ასლისაო, დრო მოვიდა წასვლისაო“, რაც ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა. ასე მღეროდნენ მაჭახლელი ქალები „ფერხულის“ შესრულებისას ქორწილის დამთავრების დროს ან სიმინდის თოხნის პერიოდში, როდესაც ერთი მომუშავე ჯგუფი მეორეს გადაუსწრებდა და ნაპირს გადაუჭრიდა. მასალა ჩაწერილია სოფელ ქედქედში (კახიძე, 1967:143). ასლის არსებობის კვალი მაჭახლის ხეობაში ტოპონიმიკამაც შემოგვინახა ნაასლევის სახელწოდებით (სოფლები: ქედქედი, ჩიქუნეთი) (კახიძე, 1967:143).

ასევე უნდა ითქვას, ფეტვის კულტურის შესახებ, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილისთვისაც ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო კულტურა იყო. მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაც ამ კულტურის შესახებ ცნობაც მაჭახლის ხეობის სოფელ საფუტკრეთში დაფიქსირდა ტოპონიმ ნაფეტვარას სახით. სოფელ ქედქედში ერთ-ერთ ოჯახში კი 1963-1964 წლებში ფეტვის თესლსაც მივაკვლიეთ.

ხორბლის კულტურის შესახებაც 1960–იან წლებში შედარებით ხელშესახები ცნობები ჩავიწერეთ მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, აჭარისაღმართში, ცხემლარაში, ქედქედში, ჩიქუნეთში.

ამ მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ მაჭახლის ხეობაში ძირითადად ორი სახის პური ითესებოდა: ხასი პური და ხარმანი პური. ორივე ჯიში სიმინდის ნათესებში ითესებოდა მეორე თოხნის დროს. ყოფილა შემთხვევები საშემოდგომო პურის თესვისაც. უპირატესობას პირველს აძლევდნენ ანუ – საგაზაფხულო თესვას სიმინდის ყანებში, რადგან ამ დროს დათესილი პური ზამთრამდე ამოსვლას და გაჯეჯილებას ასწრებდა; ზამთრის პერიოდში გადალპებოდა და ადრე გაზაფხულზე იმრავლებდა, უფრო გაჭედილ თავთავებს იკეთებდა და ბარაქიან მოსავალსაც იძლეოდა. პურისთვის მზისპირ ანუ მზიან ადგილებს არჩევდნენ, რადგან იგი კარგად მწიფდებოდა და მისი ფქვილიც ხარისხიანი იყო.

მთხრობელთა დახასიათებით გაირკვა, რომ ხასი პური, იგივე – მახა იყო, რომელიც ხარისხით ბევრად სჯობნიდა ხარმან პურს. ისიც დადასტურდა, რომ მახა პურის თავთავის საკრეფად, უმთავრესად, იყენებდნენ არტაშანს, რომელიც შნაკვის მსგავსი იარაღია. ამასთან, მახა პური კი არ ილეწებოდა, არამედ მისი თავთავი ქვის საცეხველებში ილეწებოდა. ხარმანი პური კი ტოკვეცით (კეცი) იფშვნებოდა.

ხასი ანუ მახა პურის არსებობის კვალი მაჭახლის ხეობაში მასთან დაკავშირებულმა ადგილის სახელმაც (ტოპონიმმაც) შემოგვინახა ნამახვარის სახელწოდებით (სოფელი ქედქედი). ამ ადგილის სახელად ნამოხვარიც დასახელდა. ნამოხვარი კი ლაზური სახელწოდება ჩანს (მაყაშვილი, 1961:48).

პურის მკა და მისი თავთავის კრეფა, ისე როგორც თავთავის ქვის საცეხველში ცეხვა, ძირითადად, ქალის საქმეს შეადგენდა.

მახა პურის არსებობა მაჭახლის ხეობაში კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რამდენადაც იგი საქართველოში ცნობილი ხორბლის ენდემურ სახეობას ეკუთვნის. ამდენად, მაჭახლის ხეობის სახით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია იმ ლოკალურ კერად შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც ქართული ენდემური პურეული მოჰყავდათ მახას სახელწოდებით.

***ბრინჯის კულტურა.*** საქართველოში ბრინჯის ორივე სახეობის (ხმელეთის ანუ მშრალი ბრინჯი, ჭაობის ანუ სველი ბრინჯი) მოყვანა დიდი ხნის წინ დაუწყიათ და მის გავრცელებასაც ინტენსიური ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიუღია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბრინჯის კულტურა საქართველოში საბერძნეთის გზით უნდა შემოსულიყო და რომის ან ბიზანტიის ხანაში უნდა გავრცელებულიყო. მკვლევარი ამ დასკვნამდე ბრინჯის მეგრული სახელწოდების „ორზას“ და ბერძნული „ორAძას“ ანუ იგივე „ორინდას“ ერთმანეთთან შედარებამ მიიყვანა (ჯავახიშვილი, 1934:360). ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ბრინჯის კულტურა პირველად შავი ზღვისპირა ზოლში, დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სარფი, გონიო) გავრცელებულიყო. ამის სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბრინჯაოს მოვლა-მოყვანის შესახებ ცნობები განსაკუთრებით გონიო-სარფის მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩა. თუ რა მასშტაბები გააჩნდა ბრინჯის მოვლა-მოყვანას გონიო-სარფის ტერიტორიაზე და საერთოდ ყოფილი ბათუმის ოლქის ზღვისპირა ზოლში, ამაზე მეტყველებს დიმიტრი ბაქრაძის ცნობა. იგი წერდა, რომ ბათუმიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად გასაყიდად გაჰქონდათ 18 ათასი ოყა ბრინჯი (ბაქრაძე, 1987:25). მაშინ დღევანდელ ქალაქ ბათუმის მიდამოებშიც ითესებოდა ჭაობის ანუ სველი ბრინჯი, მაგრამ ბათუმის ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ, როდესაც ქალაქის განაშენიანების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდებოდა, მისი მოყვანა აიკრძალა, რადგან ჭაობის ბრინჯის მოყვანა და საერთოდ დაჭაობებული ტერიტორია აბინძურებდა ქალაქს, ხელს უწყობდა მალარიის გამომწვევი კოღოს გამრავლებას. თუმცა, გონიო-სარფის ტერიტორიაზე მისი მოვლა-მოყვანა მაინც გრძელდებოდა. გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ცნობით (1896, #3), XIX საუკუნის ბოლოდან გასაქანი მიეცა ურწყავი ანუ მშრალი ბრინჯის მოყვანას. ამ სახის ბრინჯი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ სარფის მოსაზღვრე მაკრიალის ხეობაში, ცოტა რაოდენობით კი – გონიოსა და სარფში (Лиозен, 1905:158). მაკრიალის, გონიოსა და სარფის ბრინჯის პლანტაციათა მფლობელები ყოფილან მაჭახლის ხეობის, ქვედა და ზედა აჭარის, აგრეთვე – ბორჩხის აღა-ბეგები, რომლებიც სეზონურად აქ ცხოვრობდნენ და პლანტაციებს ადგილობრივ და მოსულ (დაქირავებულ) ღარიბ მოსახლეობას ამუშავებინებდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სარწყავი ბრინჯი მოჰყავდათ მაჭახლის ხეობის ზოგიერთ სოფელში (ზედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სინდიეთი) (კახიძე, 1967:170), მაგრამ აქაურ პლანტაციებს ძალზე მცირე ფართობები ეჭირა და აქ მოყვანილი ბრინჯიც მხოლოდ საოჯახო მოთხოვნილებას თუ აკმაყოფილებდა.

ბრინჯი იცეხვებოდა ქვის ჩამურში ანუ საცეხველებში. ასეთი საცეხველები ორი სახის არსებობდა: ფეხისა და წყლის. უფრო გავრცელებული ფეხის საცეხველები იყო. ბრინჯის, ისე როგორც ღომის, ცეხვა, უმთავრესად, ქალის ფუნქციას შეადგენდა.

შედარებით შრომატევადი იყო ჭაობის ბრინჯის მოყვანა, რომელიც ინტენსიურ ხასიათს ატარებდა გონიოში, კახაბერში, აგრეთვე ჩაქვისა და ჩოლოქის წყლის დაბლობ და ჭაობიან ადგილებში.

გონიოში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ერთ ოჯახს საშუალოდ 1000-1500 ოყა ბრინჯი მოჰყავდა, უფრო შეძლებულ ოჯახებს კი – 3000-4000 ათასი ოყა. ბრინჯის მოსავლის ნაწილი ბათუმის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად, ნაწილიც – ფოთში. არასრული მონაცემებით ოყა ბრინჯი XIX საუკუნის ბოლოს 15-20 კაპიკიდან ერთი აბაზი ღირდა. ბრინჯის მოსავლის ნაწილი საოჯახო მოხმარებაზე მოდიოდა. მისგან მზადდებოდა ფლავი, სუთლი (რძეში შემზადებული ფაფა), რომელიც სადღესასწაულო მენიუშიც შედიოდა და მეტად საპატიო ადგილსაც იჭერდა.

იმავე ეთნოგრაფიული მასალებით, ჭაობის ბრინჯის მოყვანა ადრე შეწყდა, რადგან ბათუმის ოლქის თურქეთის ბატონობისგან განთავისუფლებისა და საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ჭაობიანი ადგილების დაშრობა დაიწყო მალარიის გავრცელების აღმოფხვრის მიზნით. ამგვარ ღონისძიებათა განხორციელება ბათუმის მიდამოებიდან დაიწყო და შემდეგ სხვა კუთხეებიც მოიცვა, მათ შორის კახაბრის დაბლობი. ჟან მურიეს ცნობით, „რუსეთის მიერ ამ მხარის ოკუპაციის შემდეგ ბრინჯის მოყვანა აიკრძალა და დაიწყო ბათუმის მიდამოების ამოშრობა. 1879-1881 წლებში ამ ჭაობების ნაწილი უკვე ამოშრობილი იყო“ (მურიე, 1962:24–25).

***სიმინდის კულტურა.*** დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ანუ ხელვაჩაურის რაიონის ზღვისპირა ტერიტორია ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა ყოფილიყო, სადაც სიმინდის კულტურამ თანდათანობით მოიკიდა ფეხი და შემდეგ აჭარის მთის ზონაშიც გავრცელდა. დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის ცნობებით, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ზედა აჭარაში სიმინდი, ძირითადად, მარცვლეულად XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქცეულა და მოსახლეობის ძირითად საკვებად მჭადი გამხდარა (ყაზბეგი, 1962:85).

დღეისთვის უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სიმინდის კულტურა საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში უნდა შემოსულიყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიმინდის კულტურა პირველად სამეგრელოში უნდა შემოეტანათ XVII საუკუნის დამდეგს (ჯავახიშვილი, 1934:363). ლ.დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე კი თვლიდნენ, რომ საქართველოში სიმინდი XVII საუკუნის შუა ხანებში უნდა

გავრცელებულიყო (Декабрелевич, Менабде, 1929:220). ს.ჯიქია ამ თარიღად XVI საუკუნის მეორე ნახევარს ასახელებდა (ჯიქია, 1947:438).

ივ. ჯავახიშვილი საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის გზებზეც ამახვილებდა ყურადღებას და წერდა: „სიმინდი ჩვენს სამშობლოში შავი ზღვის გზით სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა შემოსულიყო“ (ჯავახიშვილი, 1934:363). ამ საქმეში მთავარი როლი, როგორც ს. ჯიქია ფიქრობდა, ლაზებს შეუსრულებიათ. ამიტომაც ლაზებში სიმინდი „ლაზუთის“ ანუ იგივე „ლაზური მცენარის“ სახელით მოიხსენიება (ჯიქია, 1940:231).

აქედან გამომდინარე, ვამბობთ, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, პირველ რიგში ქვედა აჭარა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა ზოლის სოფლები, ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა ყოფილიყო, სადაც სიმინდის კულტურა ლაზეთიდან გავრცელდა და აქედან მთის ზონაში გადაინაცვლა. ამას განაპირობებდა ის მჭიდრო შიდა სამეურნეო-კულტურული ურთიერთობა, რაც ამ კუთხეთა შორის ისტორიულად არსებობდა. არსებული მონაცემებით ისიც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა სიმინდის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. საინტერესოა იმ ფაქტის დაფიქსირებაც, რომ მაჭახლის ხეობისა და მთელი აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ლექსიკაში ტერმინთან „სიმინდი“ დამკვიდრებულია ტერმინი „ლაზუთი“ (ლაზური მცენარე) (კახიძე, 1967:173).

როდესაც მკვლევრები სიმინდის კულტურის საქართველოში შემოტანაზე საუბრობენ, იმაზეც მიუთითებენ, მისი შემომტანი, პირველ რიგში, ის ლაზი მეზღვაურები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ევროპაში მოგზაურობდნენ, აქ უნდა გასცნობოდნენ ისინი ახლად შემოსულ სიმინდის კულტურას და თავის სამშობლოში – საქართველოში შემოეტანათ. ამის დასტურად ითვლება სიმინდის ჯიშების არსებობა ირიზულას სახელწოდებით, რაც რიზედან შემოტანილს ნიშნავს (ჩიჯავაძე, 1971:27).

ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემების მიხედვით, არსებობდა სიმინდის ადრეული და მოგვიანო ჯიშები. მაჭახლის ხეობის მასალების მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში აქ სიმინდის შემდეგი ჯიშები მოჰყავდათ: შვიდკვირა, წვიტა, იერლი, შოდრა, გოდრა//გოდორა, ჯორიელა, ბროლა, წითელი ალთუნა, თეთრი ალთუნა. პირველი სამი სიმინდის ადრეულ ჯიშებს განეკუთვნება, ბოლო ორი კი – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გავრცელებულა. 1965 წელს ჩვენ მიერ სოფელ აჭარისაღმართში (ხატიჯე და ლუთბიე ჯიგანაძეების საკარმიდამო ნაკვეთი), დაფიქსირდა შვიდკვირა და წვიტა სიმინდის ჯიშები. შვიდკვირა შვიდ კვირაში მწიფდებოდა, წვიტა კი – ცოტათი გვიან. ეს ჯიშები მაღლობ ადგილებშიც ითესებოდა. გოდრა (იგივე გო-

დორა) ხელვაჩაურის რაიონის დაბლობ სოფლებშიც ითესებოდა ზემოთ დასახელებულ სხვა ჯიშებთან ერთად. დაბლობი ადგილების სიმინდის ჯიშებად სახელდება აგრეთვე ბოლოყურა, ჩხალურა, აბაშურა. სიმინდი ზღვის დონიდან 600-700 მეტრის სიმაღლემდე ვრცელდებოდა (ჩიჯავაძე, 1971:32).

სიმინდის კულტურის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია ბულგარეთიდან შემოტანილ სიმინდს. ეს ჭოროხის მხარეში და მათ შორის აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მომხდარა. ვ. ლისოვსკი (მან ჭოროხის მხარეში XIX საუკუნის 80-იან წლებში იმოგზაურა) წერდა, რომ ადრე ჭოროხის მხარეში მხოლოდ პატარა ჯიშის სიმინდი ითესებოდა. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინ ქვეყანაში გვალვისა და მოსავლის სიმცირის გამო, შიმშილმა დაისადგურა. მოსახლეობის ბედით შეშფოთებულმა თურქეთის ხელისუფლებამ მხარეში ბულგარეთიდან, სადაც მსხვილი სიმინდი მოჰყავდათ, შემოიტანეს სიმინდის ეს მარაგი და მოსახლეობას სესხად მისცეს. ზამთარში დაუხარჯავი სიმინდის ნაწილი მოსახლეობამ თესლად გამოიყენა, რამაც კარგი შედეგი მოიტანა. ამის შემდეგ მხარეში სიმინდის ეს ჯიში გავრცელდა. თუმცა, ამ ჯიშის სიმინდი მხოლოდ დაბლობ ადგილებში ითესებოდა, სადაც მაღალი სითბო და საკმარისი ტენიც არსებობდა (ლისოვსკი, 2015:113). ბულგარეთიდან შემოტანილი სიმინდი მაღალს იზრდებოდა და უხვ მოსავალსაც იძლეოდა. კახაბრის ვრცელ დაბლობზე სიმინდის ეს ჯიში ითესებოდა და ხელვაჩაურის ახლომახლო სოფლებიც აქაური სიმინდით იკვებებოდა.

ამის შესახებ საინტერესოა ცნობილი აგრონომისა და პუბლიცისტის აპოლონ წულაძის ცნობა. მან 1916 წელს იმოგზაურა და აღწერა აჭარლების მიერ იჯარით აღებულ კახაბრის ვრცელ მინდვრებზე სიმინდის მოყვანა. იგი წერდა: „აჭარლების უმთავრესი საზრდო სიმინდია. სიმინდი კი ხარობს ქვედა აჭარაში. შავი ზღვის პირას, ჭოროხის შავ ზღვასთან მდებარე კახაბრის მინდორი აჭარის ძუძუა-კახაბერი კვებავს აჭარას... კახაბრის სახნავ-სათეს მინდორში ბევრ აჭარელს აქვს ყანის მუშაობის დროს დროებით სამყოფი სახლი. ყანის მუშაობის დროს აჭარელს ჩამოაქვს 15-20 დღის საგზალი, ბინავდება ყანაში და როცა სამუშაოს მოათავებს, მერმედ ბრუნდება მთაში. აჭარელს ნალია-სასიმინდე იქვე აქვს ყანაში. მოწეულ სიმინდს მარტამდე იქვე ინახავს, მარტში გასტეხს და მარცვლად მიაქვს სახლში“ (წულაძე, 1915).

ივანე ჯაიანის ცნობით, XIX საუკუნის 90-იან წლებში კახაბრის სიმინდის ყანებში ასი ათას ფუტზე მეტი სიმინდი მოდიოდა, რომლის შემოსავალი ფულად მაშინ 50 ათას მანეთს შეადგენდა (ჯაიანი, 1991:71).

კახაბრის დაბლობი ოდესღაც გაუვალ ტყეებს ეჭირა, მაგრამ ადამიანის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო ზემოქმედების შედეგად აქ წარმოიქმნა კულტურული ლანდშაფტი, რომლის უმეტესი ნაწილი შემდეგ ციტრუსოვანი კულტურების მოყვანას დაეთმო. ადრე კი, როგორც ითქვა, სიმინდის ყანებს ეთმობოდა და აჭარაში სიმინდის მთავარ ბეღელს კახაბერი წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა აქ მოსახლეობა და ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ბაზად გადაიქცა. აქ მოყვანილი ბოსტნეული აქაური ოჯახების შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გადაიქცა. ყოფილი კახაბრის დაბლობის ტერიტორიაზე, რომელიც რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული, რამდენიმე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არსებობდა (კობახიძე, 1962:33–34).

1950-იანი წლების მონაცემებით ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე სიმინდის ყანებით გამოირჩეოდა აჭარისაღმართის, აჭარისწყლის, თხილნარის, ხელვაჩაურისა და კირნათის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლები. ასეთი ყანები ცოტა რაოდენობით ჰქონდათ მახინჯაურისა და სარფის სოფლებს (ჯიბლაძე, 1960:73).

არსებობს 1910-იანი წლების მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც გონიოს უბანში მაშინდელი ბათუმის რაიონის საერთო ნათესების 90%-ზე მეტი გონიოზე მოდიოდა (ჯიბლაძე, 1960:72), ხოლო 1950-იანი წლების მონაცემებით, ბათუმის რაიონზე მოდიოდა აჭარის რესპუბლიკის სიმინდის ყანების ერთი მეხუთედი (ჯიბლაძე, 1960:73).

***ბოსტნეული კულტურები.*** მარცვლეული კულტურების შემდეგ მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში ბოსტნეული კულტურების მოყვანას ძირითადი ადგილი ეჭირა. კარტოფილის გარდა, რომელიც საქართველოსა და აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა, უძველესი დროიდან მოჰყავდათ ლობიო, ფხალი, ჭარხალი, კვახი, ხახვი, პრასა, მაკიდო, ქინძი, ნიახური, ქონდარი, ზაფრანი და ა.შ.

ლობიო, ფხალი, ჭარხალი, კვახი ადრე ცალკე ნათესების სახით არ არსებობდა; იგი შერევით ითესებოდა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ახლო და შორ ყანებში. ლობიო და ფხალი მარცვლეული კულტურების შემდეგ ყველაზე გავრცელებული ბოსტნეული კულტურები იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისე როგორც, საერთოდ, ზემო დ ქვემო აჭარაში, მეზობელი ჭოროხის ხეობის სოფლებში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის ხეობის სოფლებში, კირნათ-მარადიდში, აჭარისწყლის საკრებულოს და სხვა სოფლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ორი სახის ლობიო მოჰყავდათ – ძირა და ხაშრის.

მაჭახლის ხეობის ზონაში ძირა და ხაშრის ლობიოს 20-ზე მეტი სახეობა დადგინდა (კახიძე, 1967:219–220).

ლობიოს გვერდით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა და იყენებს დღესაც კულტურული მხლის იმ სახეობას, რომელსაც ხალხური ტერმინოლოგიით კეჟერა ფხალი ეწოდება. მხლის ამ სახეობის მოვლა-მოყვანას წინ უსწრებდა ტყიური ანუ ველური მხლის ფართოდ გამოყენება. ეთნოგრაფიული მონაცემებით, დღესაც ვერ ნახავთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელს, სადაც კეჟერა მსხლის მოყვანას არ მისდევდნენ. თუ ადრე მხალი, ისე როგორც ლობიო, სიმინდის ყანებში ითესებოდა, დღეს მხლის მოყვანას ცალკე, დიდი თუ პატარა, ნაკვეთები ეთმობა და აქ მოყვანილი მოსავლის ნაწილიც გასაყიდად გააქვთ ბათუმის ბაზარზე.

სხვა ბოსტნეული კულტურებიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცოტა რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილი, რომელიც აჭარისთვის საერთოდ ახალი კულტურაა. თ. სახოკიას ცნობით, ზემო აჭარაში იგი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გაუცვნიათ (სახოკია, 1950:171). გ. ბადრიშვილის ცნობითაც, კარტოფილი აჭარაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ვრცელდება (ბადრიშვილი, 1963:59). მთხრობელთა ერთი ნაწილის გადმოცემით, ამ პერიოდში გამოუთესლებიათ კარტოფილი მაჭახლის ხეობისა და მეზობელი შავშეთის მოსახლეობას. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს აქ დაბანაკებულ რუსის ჯარს კარტოფილის ნათალა გადაუყრია და მიწაში ნაგერალად ამოსულა". მაგრამ ეს ყოფილა „პანტა, წვიტაი და ნაგერალა" კარტოფილი, რომელიც თურმე გაზაფხულზე „თავისით იზრდებოდა". შემდეგ კი დაურგავთ და ასე მოზრდილი კარტოფილი მიუღიათ. საინტერესოა მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი კარტოფილის აღმნიშვნელი ტერმინი „მიწიხაპაი" ანუ „მიწის ხაპი" (კახიძე, 1967:243). ასევე დასტურდება ჭანურშიც, სადაც კარტოფილი „დიხამარქვალის" სახელწოდებითაც მოიხსენიება (მაყაშვილი, 1961:37).

მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილი საკვლევი რეგიონის სინამდვილეში შედარებით ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, ადგილობრივმა მოსახლეობამ სათანადო ცოდნა-ჩვევები შეიძინა მისი მოვლა-მოყვანის საქმეში. შედარებით ფართოდ მისდევდნენ მეკარტოფილეობას მაჭახლის ხეობის სოფლებში, კირნათ-მარადიდში, აჭარისწყლისა და ერგეს საკრებულოთა სოფლებში და მცირედ – მუნიციპალიტეტის სხვა დაბალი ზონის სოფლებში. მუნიციპალიტეტის შედარებით მაღალი ზონის სოფლებში კარტოფილი მოჰყავდათ როგორც საკარმიდამო ნაკვეთებში, ასევე საკოლმეურნეო მასივებში. 2004-2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საერთოდ იწარმოე-

ბოდა: 2004 წელს 220 ტონა, 2005 წელს–335 ტონა, 2006 წელს–590 ტონა კარტოფილი (აჭარის პასპორტი, 2007:34).

1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საერთოდ მებოსტნეობა ყველაზე კარგად იყო განვითარებული ურეხში, ანგისაში, მეჯინისწყალში, ხელვაჩაურში (დევიძე, 1962:128). 1959 წლის მონაცემებით, ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს მუნიციპალიტეტში 218 ჰექტარი ეჭირა და სჭარბობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტსაც (198 ჰექტარი). შემდგომ წლებში ასეთი სოფლების რიგი გაიზარდა და მან მოიცვა ქალაქ ბათუმის მიმდებარე და უფრო შორეული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლები. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ საერთოდ ბოსტნეული კულტურების წარმოება მუნიციპალიტეტში საგრძნობლად გაიზარდა 2000-2004 წლებში და მან შეადგინა: 2000 წელს 575 ტონა, 2001 წელს - 610, 2002 წელს – 780, 2003 წელს – 820. 2004 წელს კი – 850 ტონა (სტატისტიკური წელიწდეული:33).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების შემოსავლის ზრდის ხელსაყრელი ფაქტორები გააჩნია. მისი განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ მზარდი ტურისტული ნაკადის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც.

***მეთამბაქოეობა.*** თამბაქო, ისე როგორც სიმინდის კულტურა საქართველოში და კერძოდ, აჭარაში, უცხოეთიდანაა შემოტანილი და გავრცელებული, მაგრამ მაინც მეურნეობის ტრადიციულ დარგად უნდა განვიხილოთ, რადგან იგი საუკუნეებს ითვლის. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, თამბაქო და სიმინდი შემოტანილი ის ტრადიციული კულტურებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების განვითარებაში.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ოსმალთა ბატონობის დროსაც და შემდეგ საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ მაჭახელში, რაზეც მოგზაური რუსი მკვლევრებიც მიუთითებდნენ (Веиденбаум, 1879; Исарлов, 1899:281). სოფელ გულების (ქედის რაიონი) მცხოვრებთ ზაქარია ჭიჭინაძისთვის ისიც კი განუცხადებიათ, რომ „თუთუნის თესვა აჭარაში მაჭახლიდან შემოვიდაო“ (ზ. ჭიჭინაძე აქ XIX საუკუნის ბოლოს მოგზაურობდა) (ჭიჭინაძე, 1913:116).

იმავე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კარგი ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ მაჭახლის ხეობის შემდეგ სოფლებში: სინდიეთში, ჩიქუნეთში, ნაწილობრივ გორგაძეთში, ჩხუტუნეთში, აჭარისაღმართში, რასაც აქაური ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებიც უწყობდა ხელს. აქაური თამბაქო ვაჭრობისა თუ გაცვლის საგანი ადრეც იყო. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მაჭახლიდან გასაცვლელად თამბაქო გაჰქონდათ, უმთავრესად, მეზობელ შავშეთში, სადაც თამბაქოს მოყვანას ისე არ მისდევდნენ, როგორც აჭარასა და მაჭახელში (ჭიჭინაძე, 1913:272). თამბაქო

იცვლებოდა რძის პროდუქტებზე (კარაქი, ყველი, დო), მატყლსა და ქალამნის ტყავზე, რითაც შავშეთის მხარე მდიდარი იყო.

თავდაპირველად, მაჭახლის სოფლებში, ძირითადად ორი ჯიშის თამბაქო მოჰყავდათ – „თემბექი“ (იგივე დიუბეკი) და „იელლი“//„იერლი“, რომელსაც მოსახლეობა ადგილობრივ ჯიშებად ასახელებს. შემდეგ გავრცელებულა „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშები, რომელთა შემომტანი სამსუნსა და ტრაპიზონში მცხოვრები მეთამბაქოე ლაზები ყოფილან. ისინი 1900-იანი წლებიდან სახლდებიან ჯერ აჭარასა და გურიაში, შემდეგ სოხუმის ოლქში და როგორც ცნობილი მეთამბაქოეები, იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს მოყვანას მისდევდნენ (გუგუშვილი, 1965:41–42). ლაზები სანახევროდ აშენებდნენ თამბაქოს პლანტაციებს, აგებდნენ თამბაქოს საშრობ ფარდულებს. პირველ მსოფლიო ომამდე ლაზები თამბაქოს საქმის მთავარ წამყვან სპეციალისტებად ითვლებოდნენ აჭარაში. მათგან შეითვისა ადგილობრივმა მოსახლეობამ თამბაქოს მოვლა-მოყვანის ტექნიკა და ჩვევები (დევიძე, 1962:126).

1914 წელს აჭარაში თამბაქო გაშენებული იყო 1108 ჰექტრამდე (გაზ. „ფუხარა“, 1928, #186). მაგრამ ამ წელს დაწყებული პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში თამბაქოს მოსავლიანობა დაეცა და მხოლოდ მოგვიანებით, 1920-იანი წლების ბოლოდან, დაიწყო ამ დარგის აღმავლობა. ეს დაკავშირებული იყო მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობების ანუ ტოზ-ების შექმნასთან ანუ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე გადასვლასთან. სოფლად იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო წრეები, რომელთა მიზანი იყო ღარიბ გლეხობაში თამბაქოს კულტურის აგროტექნიკური ცოდნის გავრცელება. 1928 წელს ერთ-ერთი ასეთი წრე არსებობდა აჭარისაღმართის თემის ცენტრში, რომელშიც თემის თითოეული სოფლიდან 2-3 წარმომადგენელი იყო გაერთიანებული. მათ ადგილზე მივლინებული მეთამბაქოეობის საქმის მცოდნე აგრონომებისგან უტარდებოდათ საუბრები თამბაქოს კულტურის მოყვანაზე ინდივიდუალურ მეურნეობებში. ეს საუბრები შეეხებოდა თამბაქოს ჩითილების გამოყვანას, დარგვას, თამბაქოს შეტეხვა-გახმობას და ა.შ. წრეებში საუბრები მეხილეობისა და მეფუტკრეობის განვითარების საკითხებზეც ტარდებოდა. მიღებულ ცოდნას წრის წევრები სოფელში დაბრუნებისთანავე მოსახლეობას უზიარებდნენ. ასეთი წრეები აჭარის ბევრ თემში არსებობდა, რომლებშიც 350-ზე მეტი გლეხი იყო გაერთიანებული (გაზ. „ფუხარა“, 1928, #186). გლეხობა ინტერესითა და ხალისით ეკიდებოდა, თამბაქოს მოყვანას ჯერ ინდივიდუალური მეურნეობები, ხოლო შემდეგ პირველი კოლექტიური გაერთიანებები („ტოზები“) კონტრაქტაციას დებდნენ თამბაქოს მიმღებ პუნქტებთან. კონტრაქტაციით დგინდებოდა, თუ რა რაოდენობის თამბაქოს ჩააბარებდა ინდივიდუალური მეურნე და რა ვადებში. მიმღები პუნქტი კი ავანსად

გასცემდა დასაქონლებას (ხორბალი, პურის ფქვილი, შაქარი, ქსოვილები (ჩითი, ნარმა), საპონი და სხვ.), რაც შემდეგ იფარებოდა კონტრაქტაციით დადგენილ თამბაქოს მოსავლის (კილოგრამებში) ჩაბარების დროს მისი ღირებულების დაკავებით.

კონტრაქტაციამ თამბაქოს მომყვანი ინდივიდუალური მეურნეობების ნდობა და დაინტერესება დაიმსახურა. იგი ღარიბ გლეხობას სტიმულს აძლევდა, გაედიდებინა თამბაქოს ფართობები და მოსავალი. რაც უფრო მეტ თამბაქოს მოიყვანდა გლეხი, მით უფრო მეტ დასაქონლებას მიიღებდა იგი. მეთამბაქოეობის განვითარებამ ოჯახის ნატურით და ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ საუკეთესო მიწები თამბაქოს მოყვანას ეთმობოდა. შემდეგაც, კოლექტიურ მეურნეობაზე (კოლმეურნეობებზე) გადასვლის დღიდან, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მიწებზე თამბაქოს მოყვანას უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა. მეთამბაქოეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ შემოსავლიან დარგად გადაიქცა.

აჭარის დღევანდელი ხუთი მუნიციპალიტეტიდან მეთამბაქოეობას ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტებში მისდევდნენ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში კი წამყვანი მეციტრუსეობა და ტექნიკური კულტურების მოყვანა იყო.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან თამბაქო მოჰყავდათ აჭარისაღმართში, ჩიქუნეთში, ზედა ჩხუტუნეთში, ქვედა ჩხუტუნეთში, საფუტკრეთში, გორგაძეთში, მარადიდსა და კირნათში, სადაც თამბაქოს პლანტაციებს ეჭირა 100 ჰექტარზე მეტი, რაც აჭარის თამბაქოს პლანტაციების ათ პროცენტს შეადგენდა (ჯიბლაძე, 1960:73).

1931 წელს სოფელ გონიოში მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობაც შეიქმნა, მაგრამ იგი მცირე ხანს არსებობდა (თურმანიძე, 2012:373).

***მევენახეობა-მეღვინეობა.*** დღეისთვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობისა და განვითარების ერთერთ პირველად კერას წარმოადგენდა. ამის საფუძველს იძლევა დღევანდელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ძინძეს ნასოფლარზე, რომელიც გოდერძის უღელტეხილთან ახლოს მდებარეობს, ველური ვაზის კვალის არსებობა ვულკანურ ქანებში ნაპოვნი გაქვავებული გიგანტური ვაზის ღეროს ნაშთის სახით. მისი ასაკი 10-15 მილიონი წლით განისაზღვრება. აქვე ნაპოვნია სუბტროპიკული ფლორის ელემენტებიც (ძველაია, 1987:69–70). აქაური გარემო ეჭვს გარეშე უნდა მივიჩნიოთ კულტურული ვაზის ფორმირების ერთერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერად. სპეციალისტების დასკვნითაც, კულტურული ვაზი იქ უნდა გაჩენილიყო, სადაც მისი წინამორბედი ველური ვაზი

არსებობდა. ასეთ არეალში ექცევა სწორედ სამცხე, მისი მეზობელი აჭარა (რომელსაც სამცხესთან უძველესი სამეურნეო-კულტურული კავშირები გააჩნდა) და მისი მეშვეობით ჯერ მთელი სამხრეთ–დასავლეთი საქართველო და შემდეგ საერთოდ საქართველო (კახიძე, 2007:312).

დასავლეთ საქართველოში, რომელშიც აჭარა, ჭოროხის მხარე, გურია-სამეგრელო შედიოდა, ძირითადად თუ არა, უმეტესად მაღლარი ვაზი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლარი ნაკლებად იქნებოდა გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოში კი პირიქით – მთავარი ასპარეზი დაბლარ მევენახეობას ექნებოდა და მაღლარს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა (ჯავახიშვილი, 1934:340). საკუთრივ აჭარის ტერიტორიაზე მაღლარი ჯიშები უფრო მრავლად იყო წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში (რამიშვილი, 1948:2; ქანთარია, რამიშვილი, 1951:34).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც ამის კონკრეტულ მაგალითს იძლევა. აქ მაღლარი ვენახის არსებობაზე და მისგან საუკეთესო ღვინის დაყენებაზე პირველი ცნობა ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა (XVIII საუკუნე). იგი ბათუმის, გონიოს და ერგეს დახასიათებისას წერდა, რომ ამ ადგილებში გავრცელებული იყო „ვენახი მაღლარნი“, რომლისგანაც მზადდებოდა „ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“ (ვახუშტი, 1941:176). აჭარას იგი საერთოდ „ვენახ-ხილიან“ მხარედ ახასიათებდა. მაღლარი ვენახის არსებობის მანიშნებლად მიგვაჩნია სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ჩაწერილი ადგილის სახელი (ტოპონიმი) დობირო, რომელიც სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს ტერმინ „დობილოს“, რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებშიც ამავე მნიშვნელობით იხმარება (ჯავახიშვილი, 1934:322).

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მაღლარი ვაზის სხვადასხვა ჯიშის არსებობა დასტურდება. მარტო სოფელ ზედა ჩხუტუნეთში 13-ზე მეტი ასეთი ჯიშის სახელი ჩავიწერეთ. ესენია: კოლოშა, დუდღო, ჩხავერი, ცხენიძუძუ ანუ ხათუნპარმაღი, მისკეთი, ბოსტნური, საკმიელი, ქვაბთური, ჩიტაყურძენა, ლივანური, კლარჯული, შავშური, ხარითვალა და სხვა, რომელთა სახელები მთხრობელებმა ვერ გაიხსენეს (კახიძე, 1967:262).

სოფელ აჭარისაღმართში ჩაწერილი მასალებით (მთხრობელი 97 წლის მუხამედ კოპლაძე) ჩხავერის და კოლოშას მოყვანას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა. ჩხავერი, რომლებიც, უმეტესად, ლეკის ხეებზე იყო მიშვებული. თანაც, ერთი მოზრდილი ლეკის ხეზე იმდენი ჩხავერი მოდიოდა, რომ ერთი-ორი კაცი ერთ-ორ დღეს ძლივს ახერხებდა მოკრეფას. ჩხავერის ჯიშის ყურძნის ღვინო მეღვინეობაში მნიშვნელოვანი ყოფილა. ამ ვაზის ჯიშმა თავისი კვალი ტოპო-

ნიმიკაშიც დატოვა ჩხავნარას (ქვედა ჩხუტუნეთი), კაპნისთავი (ცისკარაძეების უბანი), აგარა (ჩაისუბანი) სახელწოდებით (კახიძე, 1967:263; სიხარულიძე, 1959).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში დასტურდება მიწაში მრავლად ჩაფლული საღვინე ჭურები ან ქვაში ნაკვეთი, თუ ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიწაში მრავლად ჩამარხული ქვევრებისა და მარან-საწნახლების სიმრავლით მაჭახლის ხეობის სოფლები ზედა ჩხუტუნეთი და სინდიეთი გამოირჩევა. პირველში დღემდე ექვსი საწნახელის ნაშთია მოღწეული, ის ქვითკირითაა ნაშენი. მისი გავრცელების ადგილებია: მერე, საჭინკურია, ჯანავრა, ჭონჭყო. აქაური მიდამოები დღეს ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული. სოფლის ტერიტორიაზე კიდევ ორი საწნახელი აღმოჩნდა. ერთი მდ. მაჭახელას ახლოს, რომელსაც ბარი ეწოდება, მეორე სოფლის სკოლის ტერიტორიაზეა, რომელიც 1970 წლებში აღმოჩნდა ახალი სკოლის მშენებლობისას. ტრაქტორს იგი შუაზე გადაეჭრა. გადმოცემით ეს ტერიტორია 1850-იან წლებში მოსულ მეწყერს დაუფარავს. სოფელ სინდიეთში კი ათზე მეტი ასეთი საწნახელი დაფიქსირდა. ქვითკირით ნაშენი ერთი საწნახელია სოფელ კირნათში. ქვის დიდ ლოდში ამოკვეთილი საწნახელი დღესაც უცვლელადაა მოღწეული სოფელ ყოროლისთავში. ქვის საწნახლებისა და მიწაში ჩამარხული ქვევრების სიმრავლე წამოჭრის ვარაუდს, რომ წარსულში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისე როგორც მთლიანად აჭარაში, დახურული და ღია ტიპის მარნები უნდა არსებულიყო (კახიძე, 2009). ტიპური ღია ტიპის მარნის არსებობაზე მიუთითებს სოფელ კაპნისთავში (აჭარისწყლის საკრებულო) 2016 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ჯგუფურად მიწაში ჩამარხული ქვევრების ტერიტორია. ასეთივე მარანს შეიძლება მივაკუთვნოთ სოფელ ჯოჭოს ნასოფლარ სამოლეთის ტერიტორიაზე 1950-იანი წლების ბოლოს აღმოჩენილი ჯგუფურად ჩამარხული ქვევრების სივრცე. ზოგიერთი ქვევრი გამოანგარიშებით 80-100 ფუთის ღვინის ტევადობისა იყო (ჩიჯავაძე, 1969). აქვე ქვის საწნახელიც ყოფილა. ჯგუფურად ჩამარხული დიდი ზომის ქვევრები აღმოჩნდა ჩხუტუნეთის ციხის ტერიტორიაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მეციხოვნეთა ღვინოზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. დახურული ტიპის მარანის არსებობა ჯერჯერობით სოფელ ჩიქუნეთში (თავდიეთის დასახლებული უბანი) დაფიქსირდა.

ჩამოთვლილი მარან-საწნახელების, მიწაში ჩამარხული ქვევრების დროში დათარიღება დღემდე არავის უცდია. სავარაუდოდ, მათი ნაწილი ადრეულ თუ საშუალო საუკუნეებს განეკუთვნება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მარან-საწნახელები აჭარაში ოსმალთა გაბატონებამდეა მოწყობილი.

მარან-საწნახელებში მაღლარი ვაზის ღვინო იწურებოდა და ინახებოდა. მაჭახლის ხეობაში, აჭარაში და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობამდე. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჯერ იზღუდებოდა ღვინის დამზადება და მოხმარება, შემდეგ კი იკრძალებოდა ისლამის სარწმუნეობის ზეგავლენით. საკუთრივ მაჭახლის ხეობაში არც მისი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდგომ პერიოდში არ ყოფილა მცდელობები ღვინის დაყენებისა და მოხმარებისა. ეს ტრადიცია მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდიდან, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როდესაც დაბლარი ვენახის გაშენება დაიწყო (1930-იანი წლები). მართალია, მაღლარი ვენახის ზოგიერთი ძველი ჯიშები, მათ შორის ჩხავერი, კოლოში ამ დროსაც აქა-იქ შემორჩენილი იყო, მაგრამ ამ ყურძენს ახლა საღვინედ არ იყენებდნენ. ჩხავერი, ძირითადად, საჭმელად გამოიყენებოდა. მისგან აკიდოებს აასხამდნენ და ჩირს ამზადებდნენ, დიდხანს ინახავდა. სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ერთერთ საკარმიდამო ნაკვეთზე ცხემლის ხეზე მიშვებული მაღლარის თეთრი ჯიშიც არსებობდა, მაგრამ მისი სახელწოდება ვერ დადგინდა. შავი ადესას („იზაბელა“) სახელის მიბაძვით, თეთრი ჯიშის ყურძენს „თეთრი ადესას“ სახელით მოიხსენიებდნენ.

როგორც აღინიშნა, დაბლარი ვენახის გაშენება აჭარაში 1930-იანი წლებიდან დაიწყო. მანამდე აჭარაში მაღლარიდან მხოლოდ „ადესას“ („იზაბელას“) ეჭირა გაბატონებული მდგომარეობა და მისგან საუკეთესო ხარისხის ღვინოც მზადდებოდა. თუმცა მაღლარ „ჩხავერსაც“ მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონდა. დაბლარი ვენახის გაშენება აჭარაში, ძირითადად, 1934 წლიდან იწყება და მისი ნარგავებიც პირველად ქედის რაიონში გაჩნდა. 1935 წელს კი აქ მოეწყო მევენახეობის საცდელი ნაკვეთი და სანერგე მეურნეობა. 1937 წლისთვის დაბლარ ვენახს ქედაში 6 ჰექტარი ფართობი ეჭირა (დევიძე, 1962:123). ქედის რაიონში ჩაეყარა საფუძველი დაბლარი გაშენებას აჭარის მაღალმთიან რაიონებში (დღევანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტში და იგი მასიურად ვრცელდება 1938-1939 წლებში. მთავარი ადგილი ცოლოკაურსა და ალიგოტეს ჯიშს ეჭირა (ჩხაიძე, 1973:28).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაშინდელი სოფლებიდან დაბლარი ვენახის ნარგავები 1939 წლიდან ჩნდება. ამ წელს ვენახი გააშენეს ქედქედისა და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებში, შემდეგ, 1940-1941 წლებში – ზედა ჩხუტუნეთისა და ქვედა ჩხუტუნეთის კოლმეურნეობებში. 1946 წელს – აჭარისაღმართში, რომლის მოსახლეობა წარსულში მხოლოდ მაღლარის მოვლა-პატრონობას მისდევდა, ამიტომ დაბლარი ვენახის მოშენებისთვის სათანადო აგროტექნიკური გამოცდილება არ გააჩნდა, რის გამოც მისი გაშენების ცოდნა-გამოცდილებას ადგილზე

მოვლინებული სპეციალისტებისგან ღებულობდა. შემდეგ კი მათაც საკმარისი ცოდნა-გამოცდილება შეიძინეს და საუკეთესო დაბლარის ჯიშები გააშენეს. ყურძნის მოსავლის ნაწილს კოლმეურნეობები გასაყიდად აბარებდნენ, ნაწილისაგან კი ადგილზე მზადდებოდა ღვინო.

კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ დაბლარი ვენახის მოყვანა მოიშალა. მხოლოდ ცალკეული ოჯახები მისდევენ მის გაშენებას. თანამედროვე ეტაპზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არის მცდელობა – ვენახის ზოგიერთი ტრადიციული ჯიშების, პირველ რიგში, ჩხავერის, აღდგენისა და დაბლარი ცოლიკაურის, ყურძნის მოშენებისა. ამას კი შესაბამისი სამეურნეო ორგანოების მხრიდან დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება.

***მეხილეობა.*** მეურნეობის ეს უძველესი დარგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის უკლებლივ ყველა სოფელში იყო განვითარებული, მაგრამ ამ მხრივ უფრო მეტად მუნიციპალიტეტის შედარებით მაღალი ზონის სოფლები გამოირჩეოდა ჯიშთა სიმრავლითა და მოსავლიანობით, მეხილეობის პროდუქტების მოხმარებით. ეს სოფლებია: კირნათ-მარადიდი, აჭარისწყალი, მაჭახლის ხეობაში: სინდიეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი, გორგაძიეთი, საფუტკრეთი. დაბლარი ზონის სოფლებიდან უნდა გამოიყოს ერგე და ჯოჭო.

მოგზაური მკვლევრები მეხილეობის განვითარების თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ მაჭახლის ხეობას. ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც მაჭახლის ხეობაში XIX დამლევს იმოგზაურა წერდა, რომ მაჭახელში მსხლით, ვაშლით, კაკლით, თუთითა და ვაზით სავსე ტყეები არისო (ჭიჭინაძე, 1913:141, 158). ცნობილი ქართველი აგრონომი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე – აპოლონ წულაძე კი, რომელმაც აჭარა-მაჭახელში ზ. ჭიჭინაძის შემდეგ იმოგზაურა, შენიშნავდა: „მაჭახელი მართლაც, რომ იშვიათი სახეხილე ადგილია. აქ არ იცის ქარი, მოწვა, სითბოც მუდამ ზომიერია (წულაძე, 1916:#72). მაჭახელში ხილი მართლაც ბევრი მოდიოდა, რაზეც ეთნოგრაფიული მასალებიც სარწმუნო ცნობებს გვაძლევს. ხილის ნაწილი გასაყიდადაც გაჰქონდათ. ამ მასალების მიხედვით, მსხლის ჯიშებიდან მაჭახელში, კირნათ-მარადიდში და მუნიციპალიტეტის სხვა ჩამოთვლილ სოფლებში გავრცელებული იყო ხეჭეჭური, გონივრა, სხალქოთანა, სხალპაპა, ქვასხალი, სხალშაქარაი, სხალბატონა, სხალთაფლა, სასელა, ბოლდუჯა, ბასილა, თაგვავრა, ხორგა სხალი, საღავლა, ბათომურა, მარიობაი, ყურწკაპაი, წვიტამსხალი, სამანა, პანტამსხალი და ა.შ. ხოლო ვაშლის ჯიშებიდან: აჭავლა, თეთრი ვაშლი, დემირალმა, მურღულა, წითელი ვაშლი, ზიტრიკა, ყორვილა, ფქვილა ვაშლი, ჭალია ვაშლი, შაჰალმა (ანუ შაჰის ვაშლი), შექერლამა, ჭანივრა ვაშლი და ა.შ. (კახიძე, 1971:13).

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გავრცელებული იყო თეთრი, შავი და წითელი ბლის ჯიშები, ტყემალი, თუთა, ლეღვი, ატამი, წყავი, სხვადასხვა ჯიშის კაკალი, იშვიათად თხილი, ზღმარტლი, ხურმა.

მეტად ნიშანდობლივია ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII საუკუნე) ნათქვამი სიტყვები, რომლითაც ირკვევა, რომ მაშინაც აჭარა „ვენახ-ხილიანი“ მხარე იყო. აჭარა ისტორიულად მევენახეობითა და მეხილეობით განვითარებული რეგიონია. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში და შემდგომ წლებში კოლმეურნეობებში სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, ციტრუსოვნები) გვერდით ტრადიციული ხეხილის ჯიშების აღდგენა-განვითარებასაც ყურადღება ექცეოდა, რადგან მეხილეობის პროდუქტების გაყიდვით მიღებული ფულადი თანხა საკოლმეურნეო თუ საოჯახო მეურნეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. მოგვიანებით, 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონში ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 1720 ჰექტარს შეადგენდა. აქედან 13 ჰექტარი კოლექტიურ მეურნეობებზე მოდიოდა, დანარჩენი კოლმეურნეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე (ჯიბლაძე, 1960:75).

მეხილეობის ფართოდ განვითარება ამა თუ იმ რეგიონში მისი დიდი მნიშვნელობით აიხსნება ყოფაში. ხილს, პირდაპირი დანიშნულების გარდა, იყენებდნენ სხვადასხვა საკვები პროდუქტის დამზადებაში. წვნიანი მსხლისაგან (თავგვაგრა, ხეჭეჭური, სხალშაქარა და სხვ.) აგრეთვე ჟოლისაგან ანუ თუთასგან მზადდებოდა ბექმეზი და ლეჩერი (ბექმეზში ჩახარშული კვახი). ტყემლისაგან ტყემლის წვენი და ტყლაპი//ფესტილი, ყორაო (კოწახური), წოწოქა (ტყემალი სუნელში შეზავებული). ბექმეზის წვენის დასამზადებლად არსებობდა სპეციალური დეზგარი (დაზგა), მსხლისა და ვაშლისგან მზადდებოდა ჩირი. შემწვარ მსხალსა და ვაშლს მჭადთან და პურთან მიირთმევდნენ. მაჭახლის ხეობის მასალებით ხეჭეჭურა მსხალს ფხლის მჟავეშიც (მწნილი) ყრიდნენ და დამჟავებული სახით მიირთმევდნენ. 1930-იან წლებში სხვადასხვა ხილისგან, უმთავრესად ვაშლის, მსხლის, ტყემლისაგან არაყსაც ხდიდნენ, დღესაც მასობრივი ხასიათი აქვს ადესის ყურძნისგან არომატული ღვინის დამზადებას, ჭაჭისგან კი არაყის გამოხდას, რასაც „ჭაჭის არაყს“ ეძახიან (კახიძე, 1967:275–276, კახიძე, 2009).

**მესაქონლეობა.** დღევანდელი ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მესაქონლეობა ისეთი მასშტაბით არ იყო განვითარებული, როგორც ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში,ნაწილობრივ ქედის მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში. ამას განაპირობებდა ბუნებრივ-სამეურნეო პირობები (ძირითადად საქონლის განვითარებისთვის აუცილებელი სათიბ-საძოვრების ანუ სამეურნეო ბაზის უკმარისობა), ანუ სხვა სიტყვებით, რომ გამოვხატოთ, მესაქონ-

ლეობა ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სამეურნეო ცხოვრებაში ისეთ დიდ როლს არ თამაშობდა, როგორც ხულო-შუახევის მუნიციპალიტეტების სინამდვილეში.

ზოგადი სურათის დასადგენად საინტერესოა თედო სახოკიას შემდეგი ოფიციალური მონაცემები: 1894 წელს ზემო აჭარაში ითვლებოდა 17.309 სული მსხვილფეხა საქონელი (ძროხა–3537, ხარი–3964, კამეჩი–308), წვრილფეხა 4965 (ცხვარი–2849, თხა–2116). ქვემო აჭარაში კი 1895 წლის აღწერით ითვლებოდა 5623 მსხვილფეხა (ძროხა–2778, ხარი–2845). ამავე დროს ზემო აჭარის საზაფხულო საძოვრები შეადგენდა 8000 დესეტინამდე, ქვემო აჭარაში კი ამის ნახევარზე ნაკლები (სახოკია, 1950:173). დაახლოებით ასეთი სურათი უნდა წარმოვიდგინოთ აღნიშნულ პერიოდში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში. ამის დასტურია მოგვიანო, 1950-1960-იანი წლების მონაცემებიც. 1959 წლის სტატისტიკური ცნობებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში ითვლებოდა 13588 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მათ შორის: ძროხები და ფურკამეჩები 6630), წვრილფეხა (ცხვარი, თხა) 6023 სული. შუახევის რაიონში კი ამდროისთვის ითვლებოდა 24772 მსხვილფეხა და 7410 წვრილფეხა, ხულოს რაიონში 3053 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 12371 წვრილფეხა (დევიძე, 1960:131). შედარებისათვის აქვე მოვიტანთ 2006 წლის შესაბამის მონაცემებს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ამ წელს ითვლებოდა 15310 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 1540 წვრილფეხა (ცხვარი, თხა). შუახევის მუნიციპალიტეტში 27.278 სული მსხვილფეხა, 1544 წვრილფეხა, ხულოს მუნიციპალიტეტში–39600 მსხვილფეხა, 1525 წვრილფეხა (აჭარის პასპორტი, 2007:32–33).

მაჭახლის ხეობაში, კირნათ-მარადიდში, აჭარისწყლის, თემის სოფლებში, ჯოჭო-ერგეში, გონიო-სარფში ჩაწერილი ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემებითაც ირკვევა, რომ თითოეულ ოჯახს 5-6 სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არ ჰყავდა, რადგან მეტის ნორმალური გამოკვება წელიწადის ყველა დროში, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, შეუძლებელი იყო. ზოგ ოჯახს თითო, ზოგსაც ორი გამწევი ძალა თუ გააჩნდა. ცოტა რაოდენობით ცხვარს ზოგიერთი ოჯახი მხოლოდ მატყლისთვის აშენებდა. მხოლოდ ერთეულ შეძლებულ ოჯახებს ჰყავდათ დიდი რაოდენობით ცხვარი და თხა. მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ისიც კი დადასტურდა, რომ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში იმ ერთეულ ოჯახებს, ვისაც შედარებით მეტი თხა და ცხვარი ჰყავდა, ზამთრობით გამოსაკვებად ჯოჭოში ჩაჰყავდათ, რადგან მისი ნორმალური გამოკვება ადგილზე შეუძლებელი იყო. აქ მთავარი ფაქტორი საქონლის საკვების უკმარისობა იყო. მუნიციპალიტეტის ბათუმთან ახლო მდებარე სოფლებში

მსხვილფეხა საქონელი (ძროხა, ხარი) მთელი წლის მანძილზე ადგილობრივი საბალახოებით სარგებლობდა. ზამთრობით კი ბაგურ კვებაზე იმყოფებოდა.

მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიდან მხოლოდ მაჭახლის მოსახლეობა სარგებლობდა ალპური საზაფხულო საძოვრებით, რომლებიც კარჩხალის მთის ზონაში არსებობდა. ეს საძოვრები ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და ყველაზე საუკეთესო იყო აჭარის სხვა საძოვრებთან შედარებით (პალგრევი, 2012:96).

ეთნოგრაფიული მონაცემებით კარჩხალი ზონის საძოვრები ადრე შავშეთლების საკუთრება ყოფილა და მოგვიანებით მოუხერხებიათ მაჭახლელებს ამ საძოვრების ნაწილს დაჰპატრონებოდა. მაჭახლელებს ეს მოუხერხებიათ დავის შედეგად, რომელიც სოფელ ჩიქუნეთის შეძლებული პირის თანთო ახმედ-აღას და ჩხუტუნეთელი ალიაღა თელიოღლის სახელს უკავშირდება. მთხრობელთა გადმოცემებით, ეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა (ჩიჯავაძე, 1959; შამილაძე, 1969:104).

ამიერიდან კარჩხალის ზონის საძოვრები მაჭახლის სოფლებს შორის ასე გადანაწილებულა: სოფელ ეფრატის მთა-საძოვრები იყო ფუნდუღი, ზედვაკის, ქვაბითავის, ზედა ჩხუტუნეთის, ქვედა ჩხუტუნეთის და ცხემლარისა – ლეკობანი, გორგაძეთისა და საფუტკრეთისა – სახუნდარი, ჩიქუნეთისა – გორგითი და კავნარა. მაჭახლის ხეობის სხვა, შედარებით დაბალი ზონის სოფლები, ძირითადად, ადგილობრივი სოფლის საძოვრებით სარგებლობდა (კახიძე, 1973:32).

მესაქონლეთა სადგომები ანუ იაილები წარმოადგენდა ორსართულიან ჯარგვალურ ნაგებობას, რომლის პირველ სართულზე მსხვილფეხა საქონელი იმყოფებოდა, მეორეზე–მემთევრი ანუ საქონლის მომვლელი ოჯახებით. აქვე იყო სპეციალური განყოფილება – პატარა ზომის ოთახი, რომელსაც სარძიე ეწოდებოდა. აქ ხდებოდა რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა.

მაჭახლელი მესაქონლეები კარჩხალის ზონის საძოვრებით 1930-იან წლებამდე სარგებლობდნენ. 1921 წელს დაწესებული საზღვრებით მაჭახლის ხეობის ზედა ნაწილი 6 სოფლით (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ზედვაკე, ქვაბითავი, ეფრატი) თურქეთის თანამედროვე რესპუბლიკის საზღვრებში მოექცა, ხოლო ქვედა მაჭახელი, ასევე 6 ძირითადი სოფლით (ქედქედი, აჭარისაღმართი, ქვედა ჩხუტუნეთი (სოფელ ცხემლარით) ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი) თანამედროვე საქართველოს საზღვრებში (ყოფილი ბათუმის რაიონი ანუ დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). ზედა მაჭახლის სოფლები კვლავინდებურად კარჩხალის საძოვრებით სარგებლობდნენ, ქვედა მაჭახლის ჩამოთვლილი სოფლები 30-იან წლებამდე სპეციალური ნებართვით ახერხებდნენ კარჩხალის მთის საძოვრებით სარგებლობას.

ამის შემდეგ მაჭახლის მესაქონლეებს ჩირუხის ზონის საძოვრები მიუჩინეს, რომლებითაც ზოგიერთი მოსახლე ბოლო წლებამდე სარგებლობდა. 1980-იანი წლებიდან დღემდე მაჭახლის ხეობის ზოგიერთი სოფლის (ზედა ჩხუტუნეთი, ქედქედი) რამდენიმე ოჯახი ჯაზიგოლის (ადიგენის რაიონი) საძოვრებით სარგებლობს.

**მეფუტკრეობა.** სპეციალური ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ის დარგი და მიმართულებაა, რომელიც მთელ საქართველოში იმთავითვე იყო გავრცელებული. მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და კერძოდ, აჭარა, მეურნეობის ამ დარგშიც ისტორიულად ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონია.

საკუთრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიც ამ მხრივ გამორჩეულ რეგიონად უნდა ჩაითვალოს. ამის ხელშემწყობ ფაქტორად სახელდება შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უხვი თაფლოვანი მცენარეულობის არსებობა და ა.შ. მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში არსებითი როლი შეასრულა ისტორიულად მომდინარე ხალხურმა ცოდნა-გამოცდილებამ. მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში, სადაც მეფუტკრეობა განსაკუთრებით იყო დაწინაურებული, ეთნოგრაფიული მონაცემებით არსებობდნენ ცალკეული მეფუტკრეები, რომლებსაც კარგად ეხერხებოდათ ტყიური ფუტკრის დაძებნა, მისი შინ მოყვანა და მოვლა-პატრონობა.

ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემებით მეფუტკრეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მაჭახლის ხეობაში, კირნათ-მარადიდში, კაპნისთავში, ჯოჭოში, მახო-სიმონეთში, ორთაბათუმში, მახინჯაურში.

მაჭახლის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით კარგად ვლინდება მეფუტკრეობის ისტორიული განვითარების ის სამი ძირითადი ფორმა, რომელიც გულისხმობს ტყიური, ნახევრად ტყიური (ნახევრად შინაური) და შინაური ანუ ორგანიზებული მეფუტკრეობის არსებობა. მეფუტკრეობის ამ ფორმების და საერთოდ მეფუტკრეობის წარმოშობა და განვითარება დღეისთვის საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) მეცნიერებაში (როგაქიძე, 1960). აჭარაში მეფუტკრეობას ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში მცირე წვლილი ამ სტატიის ავტორსაც მიუძღვის.

წარსულში მეფუტკრეობას ხეობის თითქმის ყველა სოფელი მისდევდა, ზოგან – მცირე, ზოგან – კიდევ ფართო მასშტაბით, მაგრამ ამ საქმეში მაინც ზედა მაჭახლის სოფლები მინდიეთი და ეფრატი გამოირჩეოდა (ჭიჭინაძე, 1913:13), ქვედა მაჭახელში კი – საფუტკრეთი, ზედა ჩხუტუნეთი, სკურდიდი, ჩიქუნეთი (კახიძე,

1967:321). სოფლის სახელი საფუტკრეთი მეფუტკრეობის დარგის ფართო განვითარებაზე მიუთითებს. სოფლის ტყეებში მრავლად ყოფილა წიფლის, თელის, თხემლის ფუტუროიანი ხეები, სადაც ხეფუტკრა ბინადრობდა. ასეთ ხეებს თურმე თოვლის პერიოდში (მარტ-აპრილი) მოჭრიდნენ, ფუღუროიან ადგილს, რომელშიც ფუტკარი (ხეფუტკარა) ბინადრობდა, მოხერხავდნენ, შინ მოჰქონდათ და შინაურ საფუტკრეებში ათავსებდნენ. ასეთი ადგილები, სადაც ხეფუტკარა არსებობდა გეოგრაფიულ სახელებად („ხეფუტკარა“) დამკვიდრდა. განსაკუთრებით ბევრი ხეფუტკარა სოფელ საფუტკრეთის ტყეებში ყოფილა. ამ სახელწოდებით ტოპონიმები ზედა ჩხუტუნეთსა და ჩიქუნეთშიც გვხვდება (კახიძე, 1967:321).

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეფუტკრეობის იმ ფორმას, რომელიც ცარიელი სკების მაღალი წიფლის ხეებზე და დაცულ ადგილას კლდეებზე შემოწყობას გულისხმობდა.

მაჭახლის ხეობაში, ისე როგორც მთლიანად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში, სადაც მეფუტკრეობას მისდევდნენ, მხოლოდ ორი სახის სკა იყო გავრცელებული: ორ ნაწილედი და ცილინდრის ფორმის მაგვარი, რომელიც მზადდებოდა როგორც ფუღუროიანი, ისე გულამოღებული ხისაგან. სასკედ უპირატესობა ეძლეოდა ცაცხვის, თელის, შემდეგ კი – წაბლის, ბლის, თხემლის ხეს. 1970–1980-იანი წლებიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩარჩოიანი სკები მკვიდრდება და დღესაც ასეთებია გავრცელებული.

მეფუტკრეობის პროდუქტებს (თაფლი, სანთელი, დინდგელი) ყოფაში მრავალნაირი გამოყენება ჰქონდა. თაფლისგან, რომელიც პირდაპირ საჭმელადაც გამოიყენებოდა, აცხობდნენ სხვადასხვა ტკბილ ნამცხვარს (ძირითადად – ბაქლავას), ამზადებდნენ ტკბილ სასმელს – „შერბეთს“//შარბათს. როგორც ითქვა, თაფლი და სანთელი გასაყიდადაც გაჰქონდათ.

კოლექტივიზაციის პერიოდიდან მოკიდებული მეფუტკრეობა საზოგადოებრივ მეურნეობებშიც ვითარდებოდა. დღეს კი მეურნეობის ეს დარგი, ძირითადად, საკარმიდამო მეურნეობების ბაზაზე ვითარდება. 2004 წლის მონაცემებით, აჭარის ოჯახურ მეურნეობებში 12546 ფუტკრის ოჯახი არსებობდა (სტატისტიკური წელიწდეული, 2005:32).

მცირედ იყო განვითარებული მონადირეობა და მეთევზეობა. ამ უკანასკნელით განსაკუთრებით გონიო–სარფის ზონა გამოირჩეოდა.

ამრიგად, განხილული მონაცემები, რომელსაც სისრულის პრეტენზია არა აქვს, ნათლად გვიჩვენებს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ნაწილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ისტორიული სივრცისა, სადაც წარმოიშვა და განვითარდა ადრესამიწათმოქმედო კულტურა თავისი დამახასიათებელი დარგებით. ფეტვი, ღომი, ასლი, ქერი, ჭვავი, დიკა, პური – ის ძირითადი

მარცვლეული კულტურებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად განვითარებული იყო დღევანდელი მუნიციპალიტეტის როგორც ბარის (დაბლობის), ისე მთის (მთური დასახლების) ზონაში, თუმცა, მისი ინტენსიური გავრცელებით მაინც მუნიციპალიტეტის მთური დასახლების სოფლები (მაჭახლის ხეობა, კირნათ-მარადიდი) ხასიათდება.

აღნიშნული მონაცემებით ისიც ირკვევა, რომ თუ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალ მთურ დასახლებებში (მაგალითად მაჭახლის ხეობა), ისე როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხინოს ხეობაში, მიწათმოქმედების (მემინდვრეობის) განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მესაქონლეობის განვითარებასთან და სიმბიოზური ფორმით ხასიათდება, მუნიციპალიტეტის დაბალი ზონის სოფლებში კი ძირითადი წამყვანი იყო და მეურნეობის სხვა დარგები (მესაქონლეობა, მევენახეობა-მეხილეობა) დამხმარე ხასიათს ატარებდა.

ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) მასალებითა და სხვა მონაცემების მიხედვით ისიც დასტურდება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მემინდვრეობის ძირითად დარგად სიმინდის კულტურა იქცევა და მოსახლეობის ძირითად საკვებადაც იგი ითვლება. თუმცა, XX საუკუნის 40-50-იან წლებამდე ადრინდელ მარცვლეულ კულტურებს (პირველ რიგში ღომი, ქერი, ჭვავი, ნაწილობრივ პური) მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონია. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთური დასახლების ზონა, კერძოდ, მაჭახლის ხეობა, იმ არეალში ექცევა, სადაც ადგილი ჰქონდა ქართული ენდემური პურეულების ისეთი ჯიშის არსებობას როგორიცაა მახა, კოლხური ასლი. მახა, ისე როგორც სხვა ენდემური პურეულები (ზანდური, დიკა, დოლის პური და სხვა ჯიშები) სწორედ ის ხორბლეულია, რომელიც საქართველოს მთაში წარმოიშვა.

ასევე უნდა ითქვას სიმინდისა და თამბაქოს კულტურაზე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, პირველ რიგში მისი შავიზღვისპირა რაიონი, უნდა იყოს ერთ-ერთი პირველთაგანი, სადაც სიმინდი და თამბაქო იქნა შემოტანილი დასავლეთ საქართველოში გავრცელების მომენტიდან.

მუნიციპალიტეტის ორ სოფელში (გონიო და სარფი) დადასტურდა ბრინჯის კულტურის ადრეული გავრცელებისა და ყოფაში მისი მრავალმხრივი გამოყენება.

ნაშრომში მოტანილი შესაბამისი მასალები ეჭვს არ ბადებს, რომ შორეული წარსულიდან დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია განვიხილოთ მაღლარი მევენახეობის წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთ უძველეს ლოკალურ კერად. ამის დამადასტურებელია ქვის ლოდში ნაკვეთი (სოფელი ორთაბათუმი) და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები ზედა ჩხუტუნეთში, სინდიეთში (მაჭახლის ხეობა), კირნათში (ჭოროხის ხეობა), მაჭახლის

ხეობაში, კირნათ-მარადიდში, ხელვაჩაურში, კაპნისთავში, ჯოჭოში და სხვაგან მიწაში მრავლად ჩამარხული საღვინე ჭურები, მაღლარი ვაზის ჯიშების სიმრავლე და ა.შ.

ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) მასალების შესწავლით ისიც გაირკვა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მესაქონლეობის განვითარების მასშტაბები ჩამორჩებოდა აჭარის მთიანი ზონის მუნიციპალიტეტების მასშტაბებს. მაჭახლის ხეობის ზედა ზონის სოფლების გამოკლებით, ქვედა, მთის ზონის სოფლებში მესაქონლეობის (მსხვილფეხა, წვრილფეხა) რაოდენობა შეზღუდული იყო. ამავე ზონაში ასევე შეზღუდული ჩანს მეფუტკრეობა, გარდა მაჭახლის ყოროლისწყლისა და ერგე-ჯოჯოს წყლის ხეობისა, სადაც წარსულში ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა შედარებით განვითარებული იყო. თანამედროვე მონაცემებით ისიც გაირკვა, რომ შეიმჩნევა ტენდენცია ჩარჩოიანი სკების მომრავლებისა და შესაბამისად ამ ფორმით მეფუტკრეობის განვითარებისა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. პასპორტი. ბათუმი, 2007.
2. გ. ბადრიშვილი. კარტოფილის კულტურა საქართველოში. თბილისი, 1963.
3. დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.
4. გაზ. „ფუხარა“, 1928, #186.
5. გაზ. „კვირის პალიტრა“, 2014 წელი, 8-14 დეკემბერი, გვ. 20.
6. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ.IV, ნაწ. I, თბილისი, 1965.
7. ნ. დევიძე. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება. – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია. აჭარის ასსრ. თბილისი, 1962.
8. ეფრატი.–გაზ. „ივერია“, 1902, №140.
9. მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი. თბილისი, 1962.
10. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941.
11. ო. თურმანიძე. აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი, 2012.
12. ნ. კახიძე. საველე მუშაობის დღიური, 1964, №5.
13. ნ. კახიძე. აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა). საკანდიდატო დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი). თბილისი, 1967.
14. ნ. კახიძე. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში.–აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. თბილისი, 1971.
15. ნ. კახიძე. მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში.–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები.I. თბილისი. 1973.

16. ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1976.

17. ნ. კახიძე. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა აჭარაში.–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, II. ბათუმი, 2007.

18. ნ. კეცხოველი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. თბილისი, 1957.

19. ე. კობახიძე. აჭარის ასსრ ბუნებრივი პირობები და რესურსები. – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX. თბილისი, 1962.

20. ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე. ბათუმი, 2015.

21. ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 48.

22. ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი, 1962.

23. სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი, 1949.

24. ვ. პალგრევი. აჭარა და ლაზეთი. ბათუმი, 2012.

25. მ. რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1948.

26. ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში.–ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I. ბათუმი, 1960.

27. ალ. რობაქიძე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

28. საბჭოთა აჭარის 40 წლის სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961.

29. თ. სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბილისი, 1950.

30. ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II. ბათუმი, 1959.

31. ე. ქანთარია. მ. რამიშვილი. მევენახეობა. თბილისი, 1951.

32. გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში.–წიგნიდან „გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1962.

33. ვ. შამილაძე. 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

34. ვ. შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბილისი, 1969.

35. მ. ძველაია. ბ.კვირკველია. აჭარის არქეოლოგიური ისტორია. თბილისი, 1987.

36. ნ. ჩიჯავაძე. 1959 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური(ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საარქივო ფონდებში).

37. ნ. ჩიჯავაძე. 1961 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (სარფი) (ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივში).

38. ნ. ჩიჯავაძე. მევენახეობის ისტორიიდან აჭარაში, 1969 წელს შესრულებული ნაშრომი (მანქანაზე ნაბეჭდი). ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საარქივო ფონდში.

39. ნ. ჩიჯავაძე. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბილისი, 1971.

40. შ. ჩხაიძე. აჭარის მაღალმთიანი რაიონების მიწის ფონდების ეფექტურად გამოყენების ზოგიერთი საკითხი. ბათუმი, 1973.

41. ზ. ჭიჭინაძე. წერილი მაჭახლიდან. გაზ. „ივერია“, 1893, #158.

42. ზ. ჭიჭინაძე. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913.

43. ა. წულაძე. აჭარას მივხედოთ. - გაზ. „სამშობლო“, 1915, №24.

44. ა. წულაძე. წერილი აჭარიდან. – გაზ. „საქართველო“, 1916, №72.

45. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი I, თბილისი, 1934.

46. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე, ტფილისი, 1934.

47. ი. ჯაიანი. წერილები შავშეთიდან. თბილისი, 1991.

48. ი. ჯიბლაძე. ბათუმის რაიონი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება). ბათუმი, 1960.

49. ს. ჯიქია. შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ. – თსუ-ს შრომები, XXX-XXXI, 1947.

50. ს. ჯიქია. „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის. – საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.V, №2, თბილისი, 1940.

51. დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის ქვეყანა. I. ბათუმი, 1995.

52. Л.Л. Декабрелевич. В.Л. Менабде. К изучению полевых культур западной Грузии. I. Рача. 1929.

53. Е.Веиденбаум. От Батума до Артвина.- გაზ.«Кавказ», 1879; №7;

54. А. Исарлов. ТурецкаяГрузия.- წიგნში «Письмо о Грузии», Тифлис, 1899, с. 281.

55. Лиозен, Берег русского лазистана. -ИКОИРГО,т. XVIII, №, Тифлис, 1905.

**ნაილა ჩელებაძე**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*

**Naila Chelebadze**
*PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*

# განათლება და კულტურა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

# EDUCATION AND CULTURE IN KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი** - აჭარის ისტორიული წარსულის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და განათლების შესწავლას. აღნიშნული პრობლემატიკის კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა თავისი ისტორიითა და კულტურული ტრადიციების მრავალფეროვნებით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ოდითგანვე დიდი იყო ამ მხარის მიმართ დაინტერესება, რასაც, ცალკეულ ფაქტორთან ერთად, ხელი შეუწყო სპეციფიკურმა გეოგრაფიულმა პირობებმა, რომლის ძირითადი ნაწილი მთაგორიანია, ხოლო ნაწილი – შავი ზღვის სანაპირო ზოლს წარმოადგენს. პრობლემის შესწავლაში გათვალისწინებულია ის თავისებურებები, რაც ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერ კულტურაში სამი რელიგიის სინთეზიდან გამომდინარეობს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალების, წერილობითი წყაროების, საარქივო მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის ისტორია. ოსმალეთის ეპოქაში შეჩერებული ხელვაჩაურის კულტურული განვითარება მე-19 საუკუნეში ქართველი მოღვაწეების დიდი ძალისხმევით კვლავ აღორძინდა, შემდგომი განვითარება კი მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. ეს პერიოდი გამოირჩევა გაუნათლებლობის სრული ლიკვიდაციით, საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებით, კულტურული ქსელების ჩამოყალიბებით და ა.შ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი დღევანდელი და წარსული კულტურული ტრადიციების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელმაც კულტურისა და განათლების პრობლემების დაძლევაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ხელვაჩაურის რაიონში განათლებისა და კულტურის განვითარების საფუძველია მრავალი სკოლა, სკოლამდელი დაწესებულება, კლუბი, ბიბლიოთეკების ქსელი.

**საკვანძო სიტყვები** - კულტურული ტრადიციები, საგანმანათლებლო ქსელი, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები

**Abstract** - The study of the history, life, culture and education of the separate administrative unit occupies an important place in the historical-ethnographic study of Adjara. Khelvachauri municipality has made one of the important steps in the study of these problems, which is distinguished by the variety of present and past cultural traditions of the history.

Based on ethnographic materials, written sources, archival materials and special literature collected by the author, the history of education and culture of Khelvachauri municipality is studied. The prospect of cultural promotion of Khelvachauri, suspended in the Ottoman era, shows that the great efforts of Georgian figures in the 19th century are still reviving, with further development since the mid-20th century. This period is marked by the complete elimination of illiteracy, the expansion of the educational network, the establishment of cultural networks, and so on.

The study of the problem takes into account the peculiarities that must be explained by the synthesis of three religions in the spiritual culture of the Khelvachauri population.

Many schools, preschools, clubs, and a network of libraries are the basis of education and cultural development in the Khelvachauri district.

**Key words:** Cultural traditions, educational network, cultural and educational institutions

აჭარის ისტორიული წარსულის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და განათლების შესწავლას. აღნიშნული პრობლემატიკის კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა თავისი ისტორიითა და კულტურული ტრადიციების მრავალფეროვნებით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ოდითგანვე დიდი იყო ამ მხარის მიმართ დაინტერესება, რასაც, ცალკეულ ფაქტორთან ერთად, ხელი შეუწყო მისმა სპეციფი-

კურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა. მისი ძირითადი ნაწილი მთაგორიანი, ხოლო ნაწილი – შავი ზღვის სანაპირო ზოლია.

როგორც ცნობილია, ცალკეულ პერიოდში სხვადასხვა საზღვრებში მოქცეული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელწოდებაც შესაბამისად სხვადასხვა იყო (ბათუმის, ჭოროხის, აჭარისწყლის, ჩაქვის..). მუნიციპალიტეტის სახელწოდება ერთი ვერსიის მიხედვით ხელვაჩაძეების გვარიდან მომდინარეობს (http://khelvachauri.ge; დიასამიძე, 2017:5). დღეს იგი 11 ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს და აჭარის ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტი გამოირჩევოდა ეთნიკური უმცირესობების სიმრავლითაც (ქურთები, კერძოდ კახაბრის ქურთები, სომხები, თურქები, ჩერქეზები, რუსები) და კონფენსიური მრავალფეროვნებით (ლისოვსკი, 2015:80-83; სტატისტიკური., 2018:35-36).

ხელვაჩაური ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობის უძველესი რაიონია, სადაც დამოწმებულია არაერთი ნამოსახლარი, ნაქალაქარი, ციხე, ეკლესია, რკინის მეტალურგიის სახელოსნო და სხვა სახის მატერიალური კულტურის ძეგლი. აქ ქვის ხანის სადგომები თუ ნამოსახლარები, ძირითადად, გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ კულტურებს ქმნის (გოგიტიძე, 1988:3-4,22). აღნიშნული ტერიტორია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის ნაწილია, რომელიც უძველეს ხანაში დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა ძველაღმოსავლურ, ანატოლიურ და კავკასიურ კულტურათა წრეში (სდსინ, 2007:139). ყოველივე ამის შედეგად ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა აღნიშნული კულტურული წრეების შეღწევასა და განვითარებას, რაც კარგად აისახა მის დაწინაურებაში. ამის დასტურია წერილობითი წყაროები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, ანტიკური და შუასაუკუნეების პერიოდის შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალები (ლორთქიფანიძე, 1980: 26-27, 39; კახიძე ნ., 2013:122; ვარშალომიძე, 2009:3; 77). მეტად საინტერესოა აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ყუაკვერიანი კოლხური ცული ჩალეწილიდან (მდ. მაჭახლის მარჯვენა ფერდობზე), რომელსაც 3000 წლის ისტორია აქვს. ამ ტიპის ცულები ყველაზე დიდი რაოდენობით აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, კერძოდ, მარადიდ-ბაბლავეთში. საგულისხმოა, რომ მეცნიერთა აზრით, ყუაკვერიანი ცულების გენეზისი საქართველოს უკავშირდება (კახიძე ა., 2008:39-40).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე დასახლების ადრეული ეტაპი ჩანს ხელვაჩაურის ტერიტორიაზე. აქ ადრიდანვე განვითარდა მეურნეობის ტრადიციული დარგები - მეთუნეობა, ლითონის დამუშავება და რთვა - ქსოვა. მდიდარი ხელოსნური ტრადიციების დასტურია ჭარნა-

ლის რკინის სადნობი ქურების შემონახულობა (ლორთქიფანიძე ოთ., 1980; ნაგერვაძე, 2019:56-65). გარდა ამისა, გონიოს მახლობლად აღმოჩენილია ძველკოლხური რკინის მეტალურგიული ცენტრის ერთ-ერთი კერა, ხოლო ციხის შიგნით ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის დიუნური დასახლებაა დამოწმებული.

როგორც ცნობილია, აჭარის სანაპირო ზოლი აქტიურად იყო ჩართული ანტიკური სამყაროს წამყვან ცენტრებთან სავაჭრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში (ხახუტაიშვილი, 1986:12). I საუკუნეში აღნიშნული მხარე, როგორც კოლხეთის შემადგენელი ნაწილი, რომის მცირეაზიული პროვინციის შემადგენლობაშია, რომლის ცენტრს გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრე წარმოადგენდა. გონიოს განსაკუთრებულობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქრისტეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულთან ერთად გამოიარეს ეს გზა და სწორედ გონიოშია დაკრძალული მოციქული მატათა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებიდან ჩვენამდე მოღწეულია რელიეფური ქანდაკებისა თუ ჭედური ხელოვნების არაერთი ნიმუში. მათი ნაწილი უშუალოდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან. გონიოს განძის დიდი ნაწილი განეკუთვნება საიუველირო ხელოვნების იმ წრეს, რომელიც საქართველოში ახ. წ. პირველსავე საუკუნეებში ჩამოყალიბდა (ლორთქიფანიძე, 1980:26-27).

შუა საუკუნეების მანძილზე აჭარაში არაერთი საინტერესო ძეგლი აიგო, მაგრამ ჟამთსვლისა და ბედუკუღმართობის გამო, თითქმის განადგურდა ეკლესიები (დიასამიძე, 2017:12; სურმანიძე, 2013:37-40), ციხესიმაგრეები, ხიდები და ა.შ. მას შემდეგ კი, რაც, 1888 წელს, ბათუმს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, საფუძველი ჩაეყარა არაერთ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარს. ესენია: ახალშენის ფერისცვალების ეკლესია, ბათუმის სამების დედათა მონასტერი, ბათუმის კარის ღვთისმშობლის ეკლესია, სარფის მამათა მონასტერი, სარფის იოანე ღვთისმეტყველის დედათა მონასტერი, ქილისე. მათი ნაწილი დღეს ადმინისტრაციულად ქალაქ ბათუმის შემადგენლობაშია. ასევე სარფში არის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორიგინალური მონუმენტი.

საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია მარადიდის მეჩეთი, ჩხუტუნეთის ჯამე, განსაკუთრებით კი ტრადიციული ქართული ორნამენტებით დამშვენებული ჩიქუნეთის მეჩეთი, რომელიც განთავსებულია თბილისის ღია ცისქვეშა მუზეუმში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა უძველესი თაღოვანი ხიდების სიმრავლითაც. ესენია: მახოს, ცხემლარას, ქოქოლეთის, ორთაბათუმის, ჩხერის, ზვარიასა და მირვეთის ქვის თაღოვანი ხიდები.

კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი მასალები დაცულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო ფონდებში, კერძოდ, ჩხუტუნეთის

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და სარფის მუზეუმებში. 1994 წელს დაარსდა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. ასევე საინტერესოა ქემალ თურმანიძის მიერ დაარსებული ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“ (http://www.infobatumi.ge/). მუზეუმებში დაცულია მოსახლეობის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომელთა ძირითადი ნაწილია შრომის იარაღები, ნუმიზმატიკური მასალები, გეოლოგიური კოლექცია, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი, აჭარული ყოფისა და კულტურის ნიმუშები, მუნიციპალიტეტის ყოფა-ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური და ფოტომასალა.

საქართველოს ძველი ისტორიის მანძილზე ხელვაჩაური აჭარის საერისთავოს შემადგენლობაში იყო და მასთან ერთად წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს სამხრეთი ნაწილის თავდაცვით ზოლს. ამის დასტურია მუნიციპალიტეტში დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები: გონიო-აფსაროსი (ლორთქიფანიძე, 1980:3-20), გვარას ციხე, ჩხუტუნეთის ციხე, ყოროლისთავის ციხე. საყურადღებოა ჭანიძეების კუთვნილი ციხე-დარბაზული ნაგებობა, ასევე გურიელის სასახლე კახაბერში (კომახიძე, I, 2003:275); ჩელებაძე, 2018, დღიური №2) და ა.შ.

არქეოლოგიური მასალებით კარგად იკვეთება წარსულში სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ გონიოს ციხე-ქალაქი აფსაროსი ასევე წარმოადგენდა სახელოსნო ცენტრს, სადაც პროფესიონალური ხელოსნური ფენა არსებობდა. ამ მხრივ საინტერესოა იქ აღმოჩენილი გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის კერამიკული ტარა - ამფორები (ხალვაში, 2002:3, 10-14, 59-60). როგორც მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარი ტრადიციების მხარეში, ხელვაჩაურში დღემდე მრავლად მოიპოვება უძველესი ქვევრები და საკმაოდ დიდი ზომის ქვის საწნახლები, განსაკუთრებით კი – კლდეში ნაკვეთი საწნახელი (კახიძე, 1974:45; ჩელებაძე, 2016, დღიური №1). ქართული ტრადიციული ხელოსნობის კვალი კარგად ჩანს როგორც ქრისტიანულ ძეგლთა ნაშთების, ისე მუსლიმანური საკულტო ძეგლების მიხედვითაც.

ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ისევე როგორც საერთოდ აჭარა, აქტიურად ჩაერთო ქრისტიანული ცივილიზაციის ორბიტაში, რაც ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან და სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებთან სიახლოვემ განაპირობა. როგორც შენიშნულია, საკვლევი რეგიონი საუკუნეების განმავლობაში ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. ამის შესახებ გვაუწყებს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე: „ . . . აჭარა სოფელ დონდალოს ზევით შავშეთთან ერთად მტბევარის ანუ ტბეთის ეპისკოპოსის, რომელსაც შავშეთის ტბეთში ჰქონდა კათედრა, სამწყსოში

შედიოდა, დანდალოს ქვემოთ კი ქუთათელი ანუ ქუთაისის ეპისკოპოსი განაგებდა“ (ბაქრაძე, 1987:52; ქსე, 1986:52).

კულტურული ცხოვრების აღმავლობა აჭარის დედასამშობლოსგან ჩამოშორებამ ძლიერ შეაფერხა. მაშინდელი განათლება მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიური ხასიათისა იყო. მედრესეებში ხოჯები და მოლები ასწავლიდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც გვამცნობს ზ. ჭიჭინაძე, იქ ხოჯები მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ ქართული წერა-კითხვის სწავლებას და თავის მრევლსაც ასე ასწავლიდნენ (ჭიჭინაძე, 2013:195-197). მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში იყო მხოლოდ დაბალი ტიპის ორი სკოლა და ისიც ბერძნული და თურქული (სდსინ, 2008:531). არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ბერლინის ტრაქტატის შემდეგ, როდესაც დედასამშობლოსთან დაბრუნებულ ბათუმის ოლქში დაიწყო სკოლების გახსნა. ქალაქის საბჭო ბათუმის შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავდა სახალხო განათლების განვითარებისთვის (Месхи, 1906:615-617). ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს დაარსდა (სდსინ, 2008:530). ამის საფუძველზე მე-19 ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართული სახალხო სკოლების გახსნისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა. მალე ბათუმში გაიხსნა პირველი ვაჟთა გიმნაზია, სადაც ყველა კუთხიდან სასწავლებლად იმდენი ახალგაზრდა მოსულა, რომ 1898 წ. პარალელური ჯგუფები გაუხსნიათ (მესხი, 1906:603). სავარაუდოდ, ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეებს შორის დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობაც უნდა ყოფილიყო.

ხელვაჩაურში პირველი სკოლა 1885 წელს ახალშენში გაიხსნა, შემდეგ კი - 1894 წელს ბერძნებმა 9-წლიანი სკოლის ადგილას ააშენეს სამკლასიანი ბერძნული სკოლა, რომელიც შემდეგ 7-წლიან სკოლად გადაკეთდა. იქ ერთ-ერთი მასწავლებელი იყო ილია პიასტოპულო. 1938-1939 წწ. აღნიშნული სკოლა გადაკეთდა ქართულ შვიდწლედად, ხოლო 1940 წელს – საშუალო სკოლად (კომახიძე, II, 2003:110-111). 1886 წელს სკოლა გაიხსნა გონიოს უბნის სოფელ მარადიდში, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სკოლების განყოფილებამ დააარსა. ლივანის მარადიდში ცნობილი პიროვნების ახმედ-ეფენდის შვილს - არუნ-ეფენდი ხალვაშს სკოლაში ქართველი მასწავლებლები მიუწვევია, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობის გამო სასწავლებლად მხოლოდ მისი გვარის ყმაწვილები მისულან (ჭიჭინაძე, 2013:197). 1905 წელს სკოლა დაარსდა მაჭახლისპირში, იუსუფ წულუკიძის საცხოვრებელ სახლში. ეს სკოლა 1906 წელს გადაიტანეს აჭარისწყალზე, თემელ ზაქარაძის საცხოვრებელ სახლში. ამ სკოლაში მაშინ სწავლა ყოველდღიურად ქართულ ენაზე, ხოლო კვირაში 3-ჯერ თურქულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელსაც თავად თ. ზაქარაძე, ხოლო ქართულს 1907-1911 წწ. ანდრო დობორჯგინიძე,

ივანე ირემოვი და ახვლედიანი ასწავლიდნენ (კომახიძე, II, 2003:125-126). 1907 წელს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ინიციატივით ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა სოფელ ერგეში, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (კომახიძე, II, 2003:164). როგორც შენიშნულია, აჭარისაღმართის თემში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, გვიან დაიწყო.

მალე, 1900-1905 წლებში, მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობითა და ხალხის მოთხოვნით სკოლები გაიხსნა. საქმე მე-20 საუკუნის 10-იან წლებში პირველი მსოფლიო ომის გამო შეფერხდა და ზოგიერთი სკოლა მაშინ კიდეც დაიხურა (სდსინ, 2008:532; 535).

პირველ რიგში დაიწყო მშობლიურ, ქართულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, სოფლის კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა. 1915 წლიდან ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას გვერდით ამოუდგა ქართველთა შორის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების კავშირი გ. ყაზბეგის თაოსნობით (სდსინ, 2008:536). 1916 წ. ამ საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის, ადგილებზე პატრიოტ მამულიშვილთა დახმარებითა და განსაკუთრებით გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, თბილისის მიტროპოლიტ ლეონიდეს ღვაწლით (1898-1918 წწ.), ბათუმის ოლქში 6 დაწყებითი ქართული სკოლა გაიხსნა (კომახიძე, II, 2003:120). მათ შორის ორკომპლექტიანი იყო დაწყებითი სკოლა ყოროლისთავში, ხოლო ერთკომპლექტიანი სკოლა ჩხუტუნეთში (კახიძე, 1974:69; კახიძე ნ., 2008, №2 , გვ. 19-20; ბაბილოძე, 1975:30-34), სადაც ქართველ მამულიშვილთა ძალისხმევით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ყოროლისთავში ელენე ციცქიშვილი და პელაგია გელაშვილი, ჩხუტუნეთში კი ნიკოლოზ ქამუშაძე, 1917 წლიდან კი ეთერ რაზიკაშვილი, რომელიც ვაჟა ფშაველას ძმის, მწერალ თედო რაზიკაშვილის, ქალიშვილი გახლდათ (ბაბილოძე, 1975:36). 1918 წელს ეს სკოლა დაიხურა, სადაც სწავლა განახლდა 1927 წელს. იქ მოღვაწეობდნენ დავით ჟოჟიკაშვილი და ელენე ჩახვაძე, ასევე გრიგოლ კვაჭაძე მეუღლესთან ერთად, მოგვიანებით კი – თ. ნაჭყეპია, ვლ. კახიძე, მარო სიორდია და სხვ. 1935 წლამდე სკოლის დირექტორად მუშაობდა ელისე მექვაბიშვილი (კომახიძე, II, 2003:120). 1918 წელს 2-წლიანი დაწყებითი სკოლა გაიხსნა ქვედა ახალშენში, რომელიც 1937 წელს არასრულ საშუალო სკოლად, 1990 წელს კი საშუალო სკოლად გადაკეთდა. 1920 წელს, დაბრკოლების მიუხედავად, სკოლა გაიხსნა აჭარისწყალზე. საგულისხმოა, რომ 1914 წლის 1 ივლისის კანონი ყველა კერძო სკოლას ნებას რთავდა სწავლა-აღზრდის საქმე მშობლიურ ენაზე ეწარმოებინათ (ბაბილოძე, 1975:34). ამ სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის პარალელურად პედაგოგები კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ 1916 წლიდან უპატრონო ბავშვთა

რამდენიმე სკოლა-თავშესაფარი გაიხსნა. მათგან ბათუმის სკოლა-თავშესაფარს სათავეში ჩაუდგა მაჭახლელი ნაზი შაშიკოღლი, რომელსაც ბათუმის ქალთა გიმნაზიის მე-5 კლასი ჰქონდა დამთავრებული. ქართველი მუსლიმანი ქალის გამოჩენა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არენაზე იყო პირველი შემთხვევა აჭარის ისტორიის უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე (ბაბილოძე, 1975:55-56).

საბჭოთა ხელისუფლების ადრეულ ეტაპზევე დაიწყო პირველადი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება. შეიქმნა განათლების სახელმწიფო კომისარიატი და არაერთი ღონისძიება ჩატარდა, რითაც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააქტიურდა აჭარის მთიანეთში და, ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთის ზონის სოფლებშიც (კირნათი, მარადიდი, ჩხუტუნეთი). საბჭოთა პერიოდში სახალხო განათლების მოწყობას, ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებდა ბათომის აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება, ხოლო სარაიონო სკოლათა გამგეობები მაზრის რაიონებად დაყოფის შემდეგ სახალხო განათლების განყოფილების გამგეს დაექვემდებარა. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული პრობლემა იყო მატერიალური სიდუხჭირე, თუმცა უსახსრობის მიუხედავად, მასწავლებლები მთელს აჭარაში დიდი ენთუზიაზმით უფასოდ იღვწოდნენ. განათლების სფეროში დაწყებული აღმავლობის შედეგად 1923 წლისათვის ხელვაჩაურში, კერძოდ, აჭარისწყალზე, ფუნქციონირებდა 2 შრომის სკოლა, ხოლო 1924 წლისთვის კი ოთხწლიანი შრომითი სკოლა. გარდა ამისა, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები გაიხსნა აჭარისაღმართში და ჩიქუნეთში (კახიძე, 1974:69). მანამდე კი მთელ აჭარისწყლის მაზრაში მხოლოდ სამი სკოლა იყო – აჭარისწყალზე, მახუნცეთსა და ქვედა მარადიდში. აჭარისაღმართის შრომის სკოლას შეფობას უწევდა ბათუმის გიმნაზიის საშეფო კომისია (კახიძე, 1974:69-70).

1924 წლისთვის ხელვაჩაურის მაზრაში სულ იყო 4 საშუალო სკოლა და ერთი ბავშვთა სახლი (გამგე სოფია მეზერნიცკაია), 27 რვაწლიანი სკოლა და 52 დაწყებითი სასწავლებელი 8500 მოსწავლით (კომახიძე, II, 2003:51; 115; 139; Второй.., 1925:113). 1923-1928 წლებისთვის რეორგანიზაციის შედეგად სოფლის სკოლები პედაგოგიურ და სხვა სახის სკოლად გადაკეთდა (ცივაძე, 1942:48). აჭარისწყლის თემში 4 წლიანი სახელმწიფო პედსასწავლებელი დაარსდა, რომელსაც სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ: გოგი ქათამიძე, მირონის კუტუბიძე, ამირან მათითაიშვილი, ხასან ფაღავა, ხასან გორგოშაძე, ხოლო მასწავლებლები იყვნენ: ახმედ თავდგირიძე, კაკაბაძე, ზინა კონტრიძე, ლილი რუხაძე, მიხეილ ქერქაძე, თამარ აბრამიძე, მამუდ თურმანიძე, ჯანიკო მაღლაკელიძე, მერაბ (ვახტანგ) დია-

სამიძე, ცაცა ლეკვეიშვილი, კოკაია. აქვე ჭრა-კერვას დები მგალობლიშვილები ასწავლიდნენ. აჭარისწყლის სახელმწიფო პედსასწავლებელთან საბაზო დაწყებითი სკოლა არსებობდა, სადაც მოღვაწეობდნენ გალდავა, გერმანე ჩხარტიშვილი, ქამუშიძე (ჩელებაძე, 2019, დღიური №3). მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაარსებული დაწყებითი სკოლების დიდი ნაწილი ეტაპობრივად შვიდწლიან, შემდეგ რვაწლიან და საშუალო სკოლებად გადაკეთდა. XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში ხელვაჩაურში გაიხსნა რამდენიმე დაწყებითი სამსაფეხურიანი სკოლა - აჭარისწყალზე და ჭოროხის მაზრებში, სულ 27 სკოლა. საგულისხმოა, რომ სკოლების უმრავლესობა კერძო შენობებში იყო განთავსებული. შვიდწლიანი სკოლა იგივე შრომის სკოლა იყო, რომელიც ამზადებდა სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტებს. ასეთი სკოლა გაიხსნა ახალშენში.

ხელვაჩაურში სკოლების გახსნის დინამიკა XX ს-ის 20-30-იან წლებში შემდეგნაირია: 1921 წელს დაარსებულა გონიოს დაწყებითი სკოლა, სადაც პირველი გამგე-მასწავლებელი იყო მიხეილ ჭავჭანიძე. იგი 1937 წელს გადაკეთდა – არასრულ საშუალო, ხოლო 1942 წელს – საშუალო სკოლად. 1922 წ. დაარსდა მახინჯაურის სკოლა, სადაც გამგე-მასწავლებელი იყო ფოკა ცქვიტინიძე. 1923 წელს დაარსებულ ურეხის სკოლას სათავეში ედგა მასწავლებელი სიმონ ჯორბენაძე. 1924 წელს დაარსდა აგარის პირველი ქართული სკოლა, სადაც მასწავლებლებად იყვნენ მარო ბახტაძე და შურა მშვიდობაძე. ამავე წელს გაიხსნა ზედა წინსვლის დაწყებითი სკოლა ალიოშა ხუხუნაშვილის ხელმძღვანელობით. აქვე დაარსდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ორი ჯგუფით. 1927 წ. ზემო ჯოჭოს დაწყებითი სკოლა გაიხსნა, რომლის გამგე იყო ჟორა ავჯიშვილი. სკოლა 1939 წელს შვიდწლედად გადაკეთდა. 1922 წელს იუსუფ ვარშალომიძის საკუთარ საცხოვრებელ სახლში მისივე ინიციატივით გაიხსნა ხელვაჩაურის სკოლა, სადაც სწავლება თურქულ ენაზე მიმდინარეობდა. მანვე 1923 წელს დაიქირავა მასწავლებელი ქსენია მშვიდობაძე, რომელიც სკოლაში ქართულს ასწავლიდა. 1922 წელს გაიხსნა შარაბიძეების სკოლა ხასან ქიქავას ინიციატივით. სკოლას ხელმძღვანელობდა იბრაიმ ბიბინეიშვილი, რომლის მეუღლე იყო პედაგოგი თამარ თალაკვაძე. 1923 წელს სკოლა დაარსდა სოფელ ყარადერეში (ახლ. ს. განთიადი). 1924 წ. დაწყებითი სკოლა დაარსდა სოფელ ქედქედში, ოსმან მსხალაძის სახლში. აქ პირველი მასწავლებელი ყოფილა ვალიკო (ვალერიან) ჭიჭინაძე. სკოლა 1939 წელს გადაკეთდა არასრულ საშუალო სკოლად, 1985 წელს – კი საშუალო სკოლად. ამ სკოლაში გარკვეულ პერიოდში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი იური სიხარულიძე. 1924 წელს დაწყებითი სკოლა გაიხსნა თხილნარში, ხოლო 1927 წელს – ზედა თხილნარში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზესტაფონელი თამარ ქურიძე. 1925 წელს გაიხსნა

სარფის ქართული სკოლა, რომლის გამგე იყო პოლიკარპე ხაინდრავა, სადაც 1927 წლამდე ისწავლებოდა თურქული ენა (კომახიძე, II, 2003: 148; 150). მოგვიანებით ქვედა თხილნარის სკოლა გაიხსნა, რომელიც 1935 წელს შვიდწლედად, ხოლო 1965 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა. 1928 წელს დაარსდა სოფელ კაპრეშუმის დაწყებითი სკოლა. იგი 1947 წელს რვაწლედად გადაკეთდა. პირველი დაწყებითი სკოლა ზედა კირნათში 1928 წელს დაარსდა, ხოლო 1929 წ. კი ორწლიანი დაწყებითი სკოლა გაიხსნა ქვედა კირნათში. აქ ქართულთან ერთად ისწავლებოდა თურქული ენაც. სკოლა შვიდწლედად 1936 წელს, ხოლო საშუალო სკოლად 1957 წელს გადაკეთდა. აღსანიშნავია, რომ კირნათში 1959-1960 წლებში დაარსდა ინტერნატიც. 1929 წელს გაიხსნა ზედა განთიადის დაწყებითი სასწავლებელი ფოკა ცქვიტინიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მანამდე მახინჯაურში მოღვაწეობდა. იმავე წელს გაიხსნა სკოლა ადლიაში, რომელიც სოფლებს-ადლიას, მინდას და კახაბერს ემსახურებოდა. 1931 წელს ადლიის დაწყებითი სკოლა 4-წლიანად გადაკეთდა, 1944 წ. – შვიდწლედად, მოგვიანებით – 8-წლიან, ხოლო 1983 წელს – საშუალო სკოლად. 1930 წელს პირველი დაწყებითი სკოლა გაიხსნა თოდოგაურში, ქაჯაიას საცხოვრებელ სახლში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ მასწავლებლები: ლეო შენგელია, შემდეგ ვერა გურგენიძე და ზინა სირაძე. 1930-1931 წლებში ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა გაიხსნა ზედა ახალშენში (მასწავლებლები: სონია სიხარულიძე, ნ. ანდღულაძე). 1931 წელს სოფელ სარფში დაწყებითი სკოლა გაიხსნა. იგი 1940 წ. გადაკეთდა შვიდწლედად, 1949 წ. – რვაწლედად და მალევე – საშუალო სკოლად. 1930 წ. კი დაარსდა მახოს ორკლასიანი სკოლა. 1930 წელს სოფელ ჭარნალში მცხოვრებმა ქურთებმა და ხემშილებმა (სულ 35 კომლი), უარი განაცხადეს მედრესეში სწავლაზე და არჩევანი საერო სკოლაზე გააკეთეს. ამიტომ იქ, ისკანდერ ბერიძის საკუთარ ნაკვეთზე, 1930 წელს პირველი დაწყებითი სკოლა აშენდა, რომელიც 1933 წელს გადაკეთდა 7-წლიან სკოლად, ხოლო 1967 წელს საშუალო სკოლად (კომახიძე, II, 2003:171-172). 1931 წელს გაიხსნა მახვილაურის დაწყებითი სკოლა. იგი 1939 წელს გადაკეთდა შვიდწლიან, 1963 წელს – რვაწლიან, ხოლო 1984 წელს – საშუალო სკოლად. აჭარისაღმართის (მაჭახლის) თემში 1931/1932 სასწ. წლებში ყოფილა 4-კლასიანი სკოლები ჩიქუნეთში, ჩხუტუნეთში, გორგაძეებში, აჭარისაღმართის ცენტრში, ხოლო 2-კლასიანი – ცხემლარასა და სკურდიდში (კახიძე, 2012-2013:10). 1933 წელს გაიხსნა კახაბრის მეორე სკოლა, რომლის გამგე იყო დათიკო სიმონია. რაც შეეხება ახალსოფლის სკოლას, იქ 1928 წელს მედრესე იყო, სადაც მუშაობდა ნინო აფხაზავა. მოგვიანებით გაიხსნა დაწყებითი სკოლა (კომახიძე, II, 2003:104).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად და სწავლება დაიწყო მშობლიურ ენაზე, 20-იან წლებში ანგისაში გაიხსნა ქართულ-

აფხაზური სკოლა (ბაბილოძე, 1958:59-60). 1936-1937 წლებში გაიხსნა ქურთული და თურქული სკოლები – ახალსოფელში (დღევ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), გონიოში, ჭარნალში და მეჯინისწყალზე. ახალსოფელში დაწყებითი სკოლა იყო პირველი და მეორე კლასებით. იქ ყოფილა მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც უმეტესად ქურთები სწავლობდნენ (კახიძე, 2012-2013:7-13). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორად გაყოფილი ხეობის სასაზღვრო სოფელ ზედა ჩხუტუნეთში სკოლის დაარსებას, სადაც 1935 წ. არასრული სკოლა გაიხსნა, რომელსაც სათავეში გრიშა გურგენიძე ჩაუდგა. თავდაპირველად, აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ვენერა გურგენიძე, ნიკოლოზ ტუღუში და სხვ. მოგვიანებით კი ნორა ფოკას ას. ცქვიტინიძე, მარო ამბროლაძე, ვანო ჩხაიძე, შალიკო ბოლქვაძე და ახმედ ჭანიძე. ზედა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის პირველი დირექტორი იყო ჯალაღონია, შემდეგ კი – დობორჯგინიძე. სხვადასხვა პერიოდში სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ: მირიან სტამბოლიშვილი, ეკატერინე ზენაიშვილი, ელეონორა კუტუბიძე, ზერა შარაბიძე, ლამარა ხალვაში, ვლადიმერ კახიძე, რიზალი ცინცაძე, შეწირული, ქაზიმ ვერულიძე (დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე), ახმედ (ამელი) კახიძე, პოეტი ახმედ კვირიტიძე, შოთიძე, ასევე ცნობილი ეთნოლოგი ნოდარ კახიძე და სხვ. (ჩელებაძე, დღიური №3). რაც შეხება ქვედა ჩხუტუნეთის სკოლას, მას 50-იანი წლებიდან სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი პედაგოგი სულხან კახიძე (ხევისბერი, 1999:6-7).

1929 წ. აჭარის მთიანეთის შესახებ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები (სდსინ, 2012:504). აღნიშნულ პერიოდში წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების რაოდენობა ასეთი იყო:

| ქალაქი, რაიონი | წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები | | | წერა-კითხვის მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მსმენელთა რაოდენობა | მათ შორის ქალთა სულ | სულ | მსმენელთა რაოდენობა | მათ შორის ქალთა |
| ხელვაჩაური | 67 | 1000 | 483 | 30 | 500 | 100 |

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საგანმანათლებლო ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა. დაიგეგმა ქალებისთვის სამუშაო სახლისა და სახელოსნო წრის გახსნა (ასსა,ს.-77, 1922:76; 89).

სოფლის ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების მიზნით მე-20 ს-ის 20 - იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის ახალგაზრდებმა ქედაში გახსნილ მებაღეობის სკოლას მიაშურეს. ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი 1925 წელს ბათუმის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის გახსნამ, რომელიც 1994 წელს ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთდა. მალე მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის საგრძნობლად იმატა გოგონათა ხვედრითმა წილმა. 20-იან წლებში, როგორც მძიმე მატერიალური მდგომარეობის, ისე სხვა გარემოებათა გამო, განათლების სფეროში დაწყებული გარდაქმნების პერიოდში აჭარაში სკოლების დახურვისა და შიმშილობის გამო ადგილი ჰქონდა მასწავლებლებთან დაპირის-პირებასა და მათ დაპატიმრებებსაც (ასსა,s-14, 1922:31).

1928 წელს სოფლის სკოლების მასწავლებელთა დახელოვნებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით შეიქმნა საერთო სარაიონო საჩვენებელი სკოლები. ასეთი სამი სკოლა იყო აჭარისწყალზე (სდსინ, 2012:508). ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე 1926-1928 წლებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა სწავლა როგორც რუსულ, ისე გერმანულ და თურქულ ენებზეც (ასსა, ს.189, 1926-1928:132-133).

1930 წელს საბჭოთა კავშირის განათლების სისტემაში შემოღებული სოცშეჯიბრი ეწყობოდა ხელვაჩაურის სკოლებშიც, რომელიც 1944 წ. გაუქმდა. 1932-1933 წლებში აჭარაში შემოვიდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლება. 1934 წლიდან დაწყებული ცვლილებების შესაბამისად, ხელვაჩაურში დაწესდა სკოლის შემდეგი ტიპები: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა. ჯგუფებს კლასები ეწოდა. ამასთან, შემოიღეს კლასის ხელმძღვანელის საშტატო ერთეული შესაბამისი ანაზღაურებით.

1921-1940 წლებში გატარებული ღონისძიებების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინრობა. 1942-1943 სასწავლო წელს აჭარის სხვა კუთხეების მსგავსად, კვალიფიციური მასწავლებლების მომზადების მიზნით, აჭარისწყალზე გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებელი (ბაბილოძე, 1975:93).

როგორც ცნობილია, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, საკავშირო მასშტაბით არაერთი წამახალისებელი ღონისძიება გატარდა. 1944 წელს შემოიღეს მედალი, 1945 წელს კი ცოდნის შეფასების 5-ბალიანი სისტემა დაწესდა. 1954 წელს გაუქმდა 1943 წელს შემოღებული ცალკე არსებული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები. ომის შემდგომ, 1949-1950 წლებში, სკოლებში შვიდწლიან სწავლებაზე გადავიდნენ, რაც სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშაოებს დაუკავშირდა. აჭარაში 1943 წელს გახსნილ საღამოს სკოლებში, ძირითადად, მე-9 და მე-10 კლასები ფუნქციონირებდა. მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისთვის აჭა-

რაში არაერთი ინტერნატი გაიხსნა. 1959-1960 წლებში ინტერნატი დაარსდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათში (სდსინ, 2012:512).

1946-1947 წლებში შემოღებული 11-წლიანი სწავლება, 1955 წლიდან ათწლიანი სწავლებით შეიცვალა (სდსინ, 2012:511). მოგვიანებით, 1959-1960 წლებში, შემოღებულ იქნა სავალდებულო 8-წლიანი სწავლება (სდსინ, 2012:513).

აღსანიშნავია, რომ 1942 წელს ხელვაჩაურში გაიხსნა სამწლიანი სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც მალე ოთხწლიანად გადაკეთდა და 1954 წლამდე იარსება. ამის გამო 1955 წელს მისი მოსწავლეები ქედის ანალოგიურ სასწავლებლებში გადაიყვანეს. ამან ხელი შეუწყო დაწყებითი სკოლების პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს (კომახიძე, II, ბათ., 2003:219).

1961 წლიდან შეიქმნა პედაგოგიური საზოგადოება. მთლიანად აჭარაში 255 პირველადი ორგანიზაცია იყო, რომელშიც ყველა რაიონის პედაგოგები გაერთიანდნენ.

1968 წლიდან მე-9 და მე-10 კლასებში სამხედრო სწავლება, 1961 წლიდან კი – გახანგრძლივებული ჯგუფები იქნა შემოღებული. 1969 წლიდან სკოლებთან დაარსდა მოსამზადებელი კლასები 6 წლის ბავშვებისთვის.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში უმაღლესი განათლების მიღების მოსურნეთა შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან თავი ისახელეს შემდგომში დამსახურებულმა ექიმმა ნევრესტან შაშიკაშვილმა, აჭარის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ და საზოგადო მოღვაწემ ისმაილ ფუტკარაძემ და სხვ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის არაერთი მკვიდრი ჩადგა ქართული მეცნიერების სამსახურში. საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ადგილობრივმა მეცნიერებმა ამირან და ნოდარ კახიძეებმა, ზაზა შაშიკაძემ, როინ მალაყმაძემ, სიმონ გოგიტიძემ და სხვ. ისტორიის დოქტორი, ეთნოლოგი როინ მალაყმაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორია, ამირან კახიძე წლების მანძილზე სათავეში ედგა არქეოლოგიის მუზეუმს, ნოდარ კახიძე ათწლეულების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოლოგიური კვლევებისა და სოციოლოგიის განყოფილებას ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარის მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარ ალი მსხალაძის სამეცნიერო მოღვაწეობა. აჭარის სამუსიკო სასწავლებელს ხელმძღვანელობდა როსტომ კახიძე, ხოლო მისი მეუღლე, ნარი ცინცქილაძე, დღემდე აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში.

საქართველოს მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული პროზის, პოეზიის, საბავშვო მწერლობის, დრამა-

ტურგიის განვითარებაში. ამ სფეროში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანა პოეტმა მამია ვარშანიძემ, რომელმაც ქართულ პოეზიაში ადგილი უშუალობით, სისადავითა და გულწრფელობით გამორჩეული ლექსებით დაიმკვიდრა. პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსეა ლაზი პოეტის – იაშა თანდილავას პოეზია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ პოეტ იაშა თანდილავას ლექსი ქართული პოეზიის ანთოლოგიის საუკეთესო ასეულშია შეტანილი. აღსანიშნავია მაჭახლელი პოეტი ახმედ კვირიტიძე, ახალგაზრდა პოეტი მზია სალვარიძე და სხვ. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების პოპულარიზაციის საქმეს ახალი სტიმული მისცა ფოლკლორული ფესტივალის „მიმობნეული მარგალიტები“ ტრადიციის დამკვიდრებამ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის არაერთ მკვიდრს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეშიც (სდსინ, 2012:576). ამ სფეროს წარმატებები განაპირობა ხელვაჩაურის ცალკეულ სოფელში კულტურის სახლის დაარსებამ. 1920-იანი წლების დასაწყისში საკლუბო დაწესებულება ფუნქციონირებდა ხელვაჩაურში. 1924 წ. კლუბი გაიხსნა მახინჯაურში, 1929 წ. აჭარისწყალზე. 1951-1959 წლებში სოფლებში 45 კინოდანადგარი გაიხსნა. 1953-1964 წლებში კულტურის განყოფილება შეერწყა კინოფიკაციის განყოფილებას, რითაც კულტურული დაწესებულებების დაარსების საქმე მნიშვნელოვნად დაჩქარდა. კერძოდ, კულტურის სახლი გაიხსნა 1946 წელს ხელვაჩაურის ცენტრში, გონიოში, ჭარნალში, სარფში, თხილნარში, კირნათში და ურეხში, 1947 წელს – ახალშენში, კახაბერში, აჭარის აღმართზე, 1948 წ. კი – მეჯინისწყალსა და ზედა ჩხუტუნეთში. მაგალითად, სოფელ გორგაძეებში თვეში 2-3-ჯერ წარმოდგენებს მართავდნენ (კახიძე ნ., 2008:21). საგულისხმოა ის გარემოება, რომ კლუბი, როგორც მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, წარმოადგენდა პარტიულ-იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის მთავარ კერას (სდსინ, 2012:580-582).

ფასდაუდებელია ხელვაჩაურის მკვიდრთა ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიურ გუნდში. 1928 წელს შეიქმნა ქორეოგრაფიული ჯგუფი, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქორეოგრაფ ფატმან კობალაძეს. 1970 წ. ჩამოყალიბდა პირველი საესტრადო ანსამბლი, 1960 წ. დაარსდა ურეხის სამუსიკო სკოლა, 1978 წ. სამუსიკო სკოლა გაიხსნა ხელვაჩაურში, ხოლო 1990 წ. გონიოში. განსაკუთრებით გამორჩეულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის მკვიდრთა საშემსრულებლო ხელოვნება. მუნიციპალიტეტში დღემდეა შემორჩენილი უნიკალური ხალხური სიმღერები და ცეკვები. რაიონში 1972 წლიდან ამოქმედდა ახალშენის სახალხო თეატრი, 1990 წლიდან ხელვაჩაურის თოჯინების

მოყვარულთა თეატრი, რომელიც 1993 წ. თოჯინების სახალხო თეატრად გადაკეთდა. აღსანიშნავია მსახიობი ზურაბ შამიკაძე, რომელიც აზერბაიჯანში მოღვაწეობდა (ჩელებაძე, 2019:№3).

1925 წელს აჭარაში დაარსებული ბიბლიოთეკისა და ქალთა კლუბის საქმიანობამ მალე მოიცვა მთიანი აჭარის რაიონებიც. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა მაჭახლელმა ალთუნ-შამიკ-ოღლიმ (შამიკაიშვილი), რომელიც აჭარის ქალთა განყოფილების კლუბს ხელმძღვანელობდა (Второй.., 1925:424). ხელვაჩაურში პირველი ბიბლიოთეკა 1925 წელს დაარსდა. ეს იყო ახალშენის ქოხსამკითხველო (კომახიძე, 2003:352). ამჟამად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ცენტრში მოქმედებს რაიონული ბიბლიოთეკა, რამდენიმე ათეული სასოფლო და სასკოლო სამკითხველო.

| | 1935 წ. | 1940 წ. | 1945 წ. | 1950 წ. |
|---|---|---|---|---|
| საკლუბო დაწესებულებები | 38 | 69 | 72 | 132 |
| მასობრივი ბიბლიოთეკები | 42 | 72 | 79 | 129 |
| წიგნებისა და ჟურნალების რაოდენობა (ათასი ეგზემპლარი) | 38,4 | 93 | 144,6 | 876,8 |

კულტურული ცხოვრების აღმავლობაში და მხატვრული თვითშემოქმედების პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა საკლუბო დაწესებულებებთან და ბიბლიოთეკებთან მოქმედი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და წრეების შექმნამ. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად 1960 წელს ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობამ თავისი შემოქმედება კარგად წარმოაჩინა შემოქმედების საოლქო სახლში, სადაც მოეწყო რაიონის თვითმოქმედების გამოფენა.

მდიდარ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილმა მოსახლეობამ ქვეყანაში მშვიდობიანობის პერიოდში აქტიურად დაიწყო საკუთარი სახსრებით კულტურული ქსელების გაფართოება. 1946 წელს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურის დაწესებულებათა საქმეთა სამმართველოსთან ჩამოყალიბდა სალექციო ბიურო, რაიონულ განყოფილებასთან შეიქმნა ლექტორთა ჯგუფები, სასოფლო კლუბებთან და კულტურის სახლთან კი ლექტორიუმები.

1947 წელს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა. 1949 წელს ხელვაჩაურში ჩამოყალიბდა მისი რაიონული განყოფილება, ხოლო 1959 წელს სახალხო უნივერსიტეტის გახსნას მოჰყვა ამ ქსელის

გაფართოება ცალკეულ რაიონში და მათ შორის ხელვაჩაურშიც, რომელიც ემსახურებოდა მოსახლეობის ზოგადი განათლებისა და კულტურის ამაღლების საქმეს.

საბჭოთა პერიოდში ე.წ. „დახურულ“ ზონაში მოქცეული რაიონებისთვის, მათ შორის ხელვაჩაურისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასმედიას, საინფორმაციო საშუალებათა დროულ და ინტენსიურ საქმიანობას. 1932-33 წლებში გამოდიოდა რაიონული გაზეთები. 1941-1945 წლებში აჭარაში გამოდიოდა 2 საოლქო და 4 რაიონული გაზეთი, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული იყო (სდსინ, 2012:595). ბათუმის რაიონში გამოდიოდა გაზეთი „კოლმეურნეობის გზა“. მოგვიანებით 1962-1963 წლებში შეჩერდა რაიონული გაზეთების გამოცემა, მაგრამ 70-80-იან წლებში კვლავ აღდგა, ოღონდ სხვა სახელწოდებით. ამიერიდან ხელვაჩაურის გაზეთს ეწოდა „ოქტომბრის გზით“.

მოსახლეობაში კულტურულ-იდეოლოგიური მუშაობის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საინფორმაციო სამსახურებმა. ამ მიზნით აჭარაში 1932 წელს მუშაობდა 4 რადიოკვანძი, ზოგ სოფელში კი იყო სატრანსლაციო წერტები. 1959 წლიდან მთელს აჭარაში ამოქმედდა რადიოგადაცემები. თანდათან გაფართოვდა რადიოში მოქმედების არეალი. საზოგადოების აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტელევიზიას, რომელიც საქართველოში 1957 წლიდან, აჭარაში კი – 1965 წლიდან ამოქმედდა, როდესაც მწყობრში ჩადგა ტელესატრანსლაციო სადგური მწვანე კონცხზე. აჭარის მთიანეთში ხარისხი გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც 1974 წელს, შუახევში ამოქმედდა სატრანსლაციო სადგური. 1987 წლიდან კიდევ უფრო გაუმჯობესდა გადაცემის ხარისხი, რადგან ამოქმედდა აჭარის ტელევიზია (სდსინ, 2012:595).

თანამედროვე ეტაპზე გაფართოვდა ინტერნეტ-ქსელი, რომელიც თითქმის ყველა ასაკის ადამიანისთვის გახდა მისაწვდომი.

თანამედროვე პერიოდში რაიონში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ემსახურება ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან არსებული ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, საჯარო სკოლა და მიერთებული კლასები (1-4 მიერთებული კლასი). ეს არის ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული პარალელური კლასები რაიონისა და სხვა სოფლის საჯარო სკოლებზე. ზოგჯერ 1-4 კლასი სრულად არაა და შეიძლება ჩავარდეს რომელიმე მათგანი. ხელვაჩაურის რაიონში დღეს მოსწავლეთა რაოდენობაა 12979 (ოქროს მედალოსანთა რაოდენობა – 24, ვერცხლის მედალოსანთა რაოდენობა – 50; მასწავლებელთა რაოდენობა არის 1563; სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა კი 13 (http://adjara). სკოლაში რამდენიმე საფეხურიანი სწავლებაა:

| № № | საფეხური | კლასები საფეხურის მიხედვით | სკოლათა რაოდენობა | სკოლათა რაოდენობა ხელვაჩაურის რაიონში |
|---|---|---|---|---|
| | I | 1- 6 | 3 | ერთი საჯარო სკოლა, სადაც 450 მოსწავლეა. |
| | II | 7 – 9 | 8 | |
| | III | 10 - 12 | 18 | |

სკოლებში ისწავლება რუსული, გერმანული და ინგლისური უცხო ენები. სადღეისოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეების შემცირების ტენდენცია საკმაოდ დაბალია. ამის მიზეზად მიჩნეულია როგორც შიდამიგრაციული პროცესები, ისე დემოგრაფიული ფაქტორიც. თუმცა, უკანასკნელ წლებში აჭარის მთიანეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ხარჯზე ივსება სასკოლო კონტიგენტი. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აღწერის მიხედვით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 10 წლის უფროსი ასაკის 44224 კაცი დაფიქსირდა. მათგან 15,2 %-ს მიღებული აქვს უმაღლესი (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორის ხარისხი) განათლება (სტატისტიკური.., 2018:36). თანამედროვე პერიოდში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებების სტატისტიკა შემდეგნაირია: საჯარო სკოლების რაოდენობა – 46; კერძო სკოლების რაოდენობა – 2; პროფესიული სასწავლებლები – 1; არის რამდენიმე კერძო პროფესიული სასწავლებელი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნამდვილ ზეიმად იქცა სხვადასხვა ფესტივალისა და დღესასწაულების ჩატარება. 2005 წელს ხელვაჩაურის განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილებისა და კულტურის ცენტრის (დირექტორი ი. თავდგირიძე, მის სახელთანაა, აგრეთვე, დაკავშირებული ანსამბლ „ათძალის“ ჩამოყალიბება) ინიციატივით დაიწყო და დღემდე ტარდება ფოლკლორული ფესტივალი „მიმობნეული მარგალიტები“. სახალხო დღესასწაული „კოლხობა” თავდაპირველად ,,ქვაომხაზობის” სახელით გაიმართა. 1979 წლიდან კი დღესასწაული სარფის სანაპიროზე ,,კოლხობის” სახელით იმართება. „კოლხობა“ მეფე აიეტისა და მედეას მითთან არის დაკავშირებული. მასში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ფოლკლორული ჯგუფები (https://ka.wikipedia.org). 2007 წელს საფუძველი ჩაეყარა „მაჭახლობის“ დღესასწაულს. ამ ღონისძიებას სათავე დაუდეს ხეობის მკვიდრმა მეცნიერებმა, პროფესორებმა ნოდარ კახიძემ და როინ მალაყმაძემ. დღესასწაულმა დიდად შეუწყო ხელი

ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის მოსახლეობის დაახლოებას, მათი კულტურული ტრადიციების ურთიერთგაცვლას, ნათესაური კავშირების აღდგენას. სწორედ ეს დღესასწაული დაედო საფუძვლად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული მაჭახლის 6 სოფლის ანალოგიურ ტრადიციას. აღნიშნულმა დღესასწაულმა ხელი შეუწყო ხალხური მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეს. სადღესასწაულო ტრადიციად იქცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ღირსეული და წარმატებული ადამიანების დაჯილდოება. დღესასწაულის სახელწოდებიდან გამომდინარე ხეობის დასაწყისში დაიდგა თოფ „მაჭახელას“ ძეგლი, რომელზეც დავით წერეთლის სიტყვებია ამოტვიფრული: „პატარა მაჭახელი, არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი“. ძეგლის ავტორია მოქანდაკე კობა ხოფერია. მაჭახლობის სახალხო დღესასწაულს უკავშირდება პროფესორ როინ მალაყმაძის ინიციატივით დაარსებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი ხასიათის ჟურნალ „მაჭახელი-ს“ გამოცემაც. მისი პირველი ნომერი 2007 წელს გამოვიდა.

ამრიგად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსება და მათი საქმიანობა მნიშვნელოვანი წვლილია აჭარის და ზოგადად ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლაში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს, რომლის მოსახლეობამ როგორც ჩვენში, ისე საზღვრის გადაღმა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშიც გამორჩეულად შეძლო ქართული მენტალობის შენარჩუნება.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


1. აჭარის სახელმწიფო არქივის მასალები. 1922 წ., რ-4; აღწ.-1; საქ.-14.
2. აჭარის სახელმწიფო არქივის მასალები, 1922 წ., p-1; anaweri-1; saqme-77, yuTi - 3ª
3. აჭარის სახელმწიფო არქივის მასალები. 1926-1928 წ.წ., პ-4; აღწ.-1; საქ.-189.
4. ბაბილოძე, 1958-გრიგოლ ბაბილოძე. სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წწ.). ბათუმი.
5. ბაბილოძე, 1975-გრიგოლ ბაბილოძე. ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი. „საბჭოთა აჭარა“.
6. ბაქრაძე, 1987: - ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
7. გოგიტიძე, 1988: - სიმონ გოგიტიძე. მახვილაურის ნამოსახლარზე 1982-1983 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XVII, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1988.
8. დიასამიძე ბ., სამი ისტორიული მხარე ერთი თანამედროვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ბათუმი, 2017

9. ვარშალომიძე ირ., მონეტები გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი (შრომათა კრებული VII), ბათ. ბსუ, 2009.

10. კახიძე ამ., „ბრინჯაოს ცული ჩალეწილიდან“, ჟ. „მაჭახელი“, 2008, №2, გვ. 39-40

11. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1974, გამომც. „საბჭოთა აჭარა“.

12. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა 1921-1925 წლებში (კულტურული და სამეურნეო მშენებლობა), ჟ. „მაჭახელი“, 2008, №2

13. კახიძე ნ. „ჯაველიძე ვლ. „ორი წელი აჭარაში (ახალსოფელი, კირნათი, მაჭახელი), -ჟ. „მაჭახელი, 2012-2013, №6-7, გვ. 7-13

14. კახიძე ნ., ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, გამომც., „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013.

15. კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ.1, ბათ., 2003

16. კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ. 2, ბათ., 2003

17. ლისოვსკი ვალ., ჭოროხის მხარე, ბათ., ბსუ, 2015

18. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი. თბ., „მეცნიერება“, 1980.

19. ნაგერვაძე მ., ჭარნალის მურვანეთის მეტალურგიის უძველესი კერების საველე არქეოლოგიური კლევა-ძიების შედეგები. საქართველო-უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 25-28 ივნისი, 2018). თბ., 2019

20. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები // აჭარა, ტ. I, ბათ., 2007

21. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები // აჭარა, ტ. II, ბათ., 2009

22. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები // აჭარა, ტ. III, ბათ., 2008

23. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები // აჭარა, ტ. IV, ბათ., 2012

24. სტატისტიკური წელიწდეული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური), თბ., 2018

25. სურმანიძე რ., ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი, ბათუმი, 2013

26. ქსე, ტ.10. თბ., 1986.

27. ჩელებაძე ნ., 2016 წლის ხელვაჩაურის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, დღიური №1

28. ჩელებაძე ნ., 2018 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური №2

29. ჩელებაძე ნ., 2019 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური №3

30. ჩელებაძე ნ., მართლმადიდებლური საეკლესიო ცხოვრების ზოგიერთი საკითხი ბათუმის ოლქში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სულიერების ბალავარი“ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი XIX საუკუნის დასასრულს (საარქივო მასალების მიხედვით)

31. ცივაძე ეთ., ცივაძე, 1970-ეთერ ცივაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში. ბათუმი.

32. ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2013

33. ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი (შრომათა კრებული II), ბათ. „აჭარა“, 2002.

34. ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1986.

35. ხევისბერი (შემდგ. ნათელა კახიძე). გამომც. „ალიონი“, 1998 წ.

36. Второй Краеведческий сезд Черноморского побережья и Западного Кавказа (Постановление и Резолюции), Бат., 1925

37. Месхи, 1906: - Месхи И.С., Батум и его окрестности (Очерк деятельности по народному образованию). Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе. Батумь.

38. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - ინტერნეტ-რესურსი:
:http://khelvachauri.ge/ge/governance/governor

39. http://www.infobatumi.ge/places/etnografiuli-muzeumi-borjgalo/

40. ეთნოგრაფიული მუზეუმი - ინტერნეტ-რესურსი:
ttp://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=260&gid=6№.WJARkdIrKUk

41. მოციქული მატათა - ინტერნეტ-რესურსი:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98

42. „კოლხობა“ - ინტერნეტ-რესურსი:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

**თამილა ლომთათიძე**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*

**Tamila Lomtatidze**
*PhD in History, Senior Researcher, Head of the Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურა

# SPIRITUAL CULTURE OF THE POPULATION OF KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ერთ–ერთი გამორჩეული რეგიონია თავისი კულტურითა და ტრადიციებით. აქ დღემდეა მოღწეული ტრადიციული სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ტრადიციულ ყოფასთან.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ეთნიკური ტრადიციების სიღრმითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია რთული კომპლექსის სახით. მასში თანაარსებობს სხვადასხვა რელიგიისა და ეპოქის დანაშრევები. ზოგადად, სულიერი კულტურა ასახავს და ინახავს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერ კულტურაზეც აისახა ამ მხარის ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ყოფის ტრანსფორმაცია. წეს-ჩვეულებებს განსაკუთრებულ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებდა ის, რომ მათში საუკუნეების განმავლობაში, ახალი ჩვევების გაჩენასთან ერთად, წინა ეპოქების ტრადიციებიც შენარჩუნდა.

XVI საუკუნემდე ხელვაჩაური, ისევე როგორც მთელი აჭარა, იყო საქართველოს ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული მხარე, ერთიანი ქართული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო და ბუნებრივია, ისევე როგორც დანარჩენი საქართველო, ადგილობრივი მოსახლეობაც მტკიცედ იცავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამ რწმენის საფუძველზე ვითარდებოდა ამ მხარეში

მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური წლის დაგეგმვა, ოჯახური და სოციალური ცხოვრება, სულიერი კულტურა, მაგრამ ოსმალეთის სამსაუკუნოვანმა მმართველობამ (XVI ს. 60-იანი წწ. - 1878 წ.) თავისი კვალი დატოვა სულიერ კულტურაზეც. ამ ისტორიულმა პერიპეტიებმა განაპირობა ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერ კულტურაში სამი რელიგიის დანაშრევების (წინაქრისტიანული, ქრისტიანული და მაჰმადიანური) არსებობა. ამას ემატება ისიც, რომ მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებაც. აქ ცხოვრობენ ლაზები (სარფი), მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავლები და თურქებისგან დევნილი ბერძნები. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერი კულტურა სინკრეტული ფორმით ჩამოყალიბდა.

**საკვანძო სიტყვები:** არამატერიალური კულტურა, ტრადიციები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები, რელიგიური მრავალფეროვნება.

**Abstract** - Khelvachauri municipality is one of the distinctive regions with its culture and traditions. Here are found not only the elements of the ancient agricultural culture (agricultural tools, means of production, folk system of farming, etc.), but also the ancient folk agricultural calendar, many important elements of spiritual culture: beliefs, magical-religious rites. Which are closely related to the agrarian existence of the people.

Khelvachauri Municipality is characterized by the depth and diversity of ethnic traditions. Here the intangible cultural heritage is presented as a complex. It coexists with sects of different religions and eras, ranging from archaic times to modern-day innovations. The special vitality of the customs was that over the centuries, with the emergence of new habits, the traditions of previous eras were preserved.

Until the 16th century, Khelvachauri, as well as the whole of Adjara, was an economically and culturally advanced region of Georgia. It was an integral part of the united Georgian organism and, naturally, like the rest of Georgia, the local population stood for a strong Christian faith. Naturally, the planning of the economic year of the population living in this area, family and social life developed on the basis of this belief, but the three-century Ottoman rule (60s of the XVI century - 1878) left its mark on the mentality of the locals.

The vicissitudes of this history have led to the survival of three religions: pre-Christian, Christian and Muslim. Added to this is the fact that the population of the municipality is also characterized by ethnic diversity. Laz (Sarpi), Muhajir Abkhazians and their descendants and Greeks expelled from the Turks live here. All this led to the fact that the spiritual culture of the population of Khelvachauri was formed in a syncretic form.

**Key words:** Intangible culture, traditions, magical-religious rituals, religious diversity.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ერთ–ერთი გამორჩეული რეგიონია თავისი კულტურითა და ტრადიციებით. აქ დღემდეა მოღწეული ტრადიციული სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ტრადიციულ ყოფასთან.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ეთნიკური ტრადიციების სიღრმითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია რთული კომპლექსის სახით. მასში თანაარსებობს სხვადასხვა რელიგიისა და ეპოქის დანაშრევები. ზოგადად, სულიერი კულტურა ასახავს და ინახავს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. ხელვაჩაურის მოსახლეობის სულიერ კულტურაზეც აისახა ამ მხარის ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ყოფის ტრანსფორმაცია.

XVI საუკუნემდე ხელვაჩაური, ისე როგორც მთლიანი აჭარა, საქართველოს ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. იგი ერთიანი ქართული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, აქაური მოსახლეობაც ქრისტიანული რწმენის მიმდევარი იყო. მოსახლეობის სამეურნეო წელიწადის დაგეგმვა, საოჯახო და სოციალური ყოფაც ამ რწმენის საფუძველზე ვითარდებოდა, მაგრამ ოსმალთა სამსაუკუნოვანმა (XVI საუკუნის 60-იანი წლები – 1878) ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია აქაურთა მენტალობას. ისტორიულმა პერიპეტიებმა განაპირობა, რომ აქაურთა ყოფაში შემონახულია სამი რელიგიის: ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანაშრევები. ამას დაერთო ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ეთნიკური სიჭრელითაც ხასიათდება. აქ სახლობენ ლაზები (სარფი), მუჰაჯირი აფხაზების შთამომავლები და თურქთაგან დევნილი ბერძნები.

ამგვარად, ხელვაჩაური საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს. რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელემ და სინთეზმა განაპირობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურის ისტორიული, რელიგიური და სხვა ლოკალური თავისებურებები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა და საოჯახო ყოფა ასახულია სამიწათმოქმედო აგრარულ კალენდარში. ამავე დროს,

მასში აისახა როგორც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად გამომუშავებული მეურნეობის წარმოების რაციონალური ხერხები და მეთოდები, ასევე, ხალხური რელიგიური აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე ჩამოყალიბებული ირაციონალური წეს-ჩვეულებანი. ამიტომაც ხალხური აგრარული კალენდარი ასახავს როგორც მიწათმოქმედის შრომითი საქმიანობის ცალკეულ ეტაპსა და თანმიმდევრობას, ასევე, ბუნებაზე მრავალსაუკუნოვანი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებულ ემპირიულ ცოდნას, რელიგიურ მსოფმხედველობასა და მასზე დაფუძნებულ რიტუალების სისტემას. ხელვაჩაურის მოსახლეობის ყოფაში დღემდეა შემორჩენი ახალი წლის, საგაზაფხულო და საშემოდგომო ციკლის რიტუალები.

ახალი წლის რიტუალებიდან აქ შემორჩენილია „მეკვლის“ ინსტიტუტი, ”სიმბოლური თესვის” რიტუალი (ახალ წელს ოჯახის დიასახლისი საახალწლო ტაბლაზე მოაპნევდა ღომს - სიმრავლე და ბარაქა იყოსო, ან ამავე მიზნით, ოთახის კუთხეებში მოაპნევდა სიმინდს, ღომს, ბრინჯს), კერასთან ან ოთახის კუთხეებში წყლის მოპკურება, „საქონლის წყალზე გაყვანის” ჩვეულება და სხვ. საგაზაფხულო რიტუალების დანიშნულება ბუნების ძალების აღორძინება, სამეურნეო საქმიანობის იღბლიანობისა და მომავალი მოსავლის სიუხვის უზრუნველყოფა იყო. ეს მეურნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია და მის ყველა ეტაპს საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. სამუშაოები იწყებოდა „ნაცხრა-მარტევს“ (ძვ.სტილით 9 მარტის შემდეგ). მაჭახლის ხეობაში გავრცელებული რწმენით, «მუშაობის დაწყების ამბავი გუგულს მოჰქონდა თავისი «კაფე-თესეთი». ე.ი. გუგული ბუნების აღორძინების დასაწყისის მაუწყებლად გვევლინებოდა და, ხალხური გადმოცემით, ვინც ამ მომენტს მოუმზადებლი შეხვდებოდა - სიმბოლური ლუკმის პირში ჩადებას ვერ მოასწრებდა – “გუგულისგან დაძლეული” ე.ი. ხელმოცარული დარჩებოდა. როცა უიღბლო წელი დაუდგებოდათ, იტყოდნენ: «წელს გუგულმა მაჯობაო!» (ნ.კახიძე, 1967:192). ამგვარად, ხალხური რწმენის თანახმად, გუგული “მძლევარი” ფრინველია. სახელწოდება “მძლევარი” საქართველოში «დაძლევის» რწმენიდან უნდა მოდიოდეს. ხალხური რწმენით, ახლად მოფრენილ ფრინველს ადამიანის თუ პირუტყვის ძლევა შეეძლო, თუ მის ძახილს ადამიანი უჭმელი შეხვდებოდა. ამიტომაც ცდილობდნენ, სახლიდან უჭმელი (უნაჭრო, უხემსო) არ გასულიყვნენ. “დაძლევის“ უნარი მიეწერებოდა გაზაფხულზე მოფრენილ ყველა ფრინველს. ხელვაჩაურში ეს რწმენა თვალსაჩინოდ შემორჩა გუგულის მიმართ. ამიტომაც იყო, რომ განსაკუთრებით უფრთხოდნენ გუგულს. სწამდათ: «ვისაც გუგული აჯობებს, იმისი ყანა არ ივარგებს, გაწბილდებაო; ამიტომ მუშაკაცმა გუგულს უნდა დაასწროს დაძახება».

მაჭახლის ხეობაში დაცული გადმოცემებით გუგულები აღთქმული ქვეყნიდან, ქააბადან, მოფრინავენ. მათი მოკვლა აკრძალულია. რომელ სოფელშიც გუგულს მოკლავენ, იმ სოფელში გუგული მეორე წელს არ მოფრინდება და მოუსავლიანობით დასჯის. კარგ ნიშნადაა მიჩნეული, თუ გუგული ეზოში მდგარ ხეზე შემოჯდება და იქ დაიძახებს. განსაკუთრებული იღბლიანობა ელის იმას, ვინც გუგულს დაძახების პროცესში დაინახავს (ნ.კახიძე, 1967:192). გუგული გააზრებული იყო, როგორც ზოომორფული სიმბოლო, რომელიც თავის თავში მოიცავდა დროის ციკლურობას და, ამავე დროს, იყო აღორძინებული, განახლებული სამყაროს გამოხატულებაც. ეს არქაული მსოფლმხედველობა აისახა სწორედ "ფრინველის დაძლევის" რიტუალში, რომლის საკრალური დატვირთვაც, ამ აგრარული კულტის გულის მოგება და მოსავლიანობის, იღბლიანობის, ხვავისა და ბარაქის დაბევება იყო.

საგაზაფხულო ციკლის აგრარულ წეს-ჩვეულებებს შორის ყურადღებას იქცევს მაგიური საწესჩვეულებო ხვნა-თესვა, პირველი რიტუალური კვალის გატანა, რაც კანუღის//ყანუღის გაღების ან კვალის გაყვანის სახელით იყო ცნობილი. იგი შემდეგნაირად სრულდებოდა: „ყანის შესასვლელში თხრიან მიწას და თესავენ. ამბობენ, რამდენსაც ფეხს წინ წადგამ, იმდენი წინ დამხდური საქმე გაგიადვილდებაო." გადმოცემით, „კანუღს რომ გეიღებ, ყველა მარცვალი უნდა ჩაყარო, მაგრამ პირველად სიმინდი, რათა ტკბილად წევიდეს წელიო". მთხრობელთა გადმოცემით კანუღი//ყანუღი ორმოს, პირველად გავლებულ ხნულს ჰქვია. პირველი კვალის გავლება ხდებოდა სახლის ახლო მდებარე ნაკვეთზე (ნაფუძარზე), ან ყანაშიც და ეზოშიც (ნ.ჩიჯავაძე, 1969:50). ყოფილა ცალკე ბოსტნისა და ცალკე ყანა-ბაღჩის კანუღიც. თუმცა ხელვაჩაურში არ დასტურდება, რომ კანუღის გაღებისას აუცილებელი იყო ხარის შებმა. ამ დროს თუ თოვლი იყო, ერთ მონაკვეთს გაწმენდნენ ბაღჩაში, კვალს ხელით გაიყვანდნენ და ყოველგვარ თესლს მოაბნევდნენ სიმბოლურად. გადმოცემით, კანუღის გაღება უფრო ხშირად საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე, ე.ი. 9 მარტამდე (ძვ. სტილით) სრულდებოდა: „კანუღის გაღება კაი იყო სამშაბათს – თებერვალში" ან „იანვრის ძველ თვარეზე გევიყვანდით კაკალს, თოვლიც რომ ყოფილიყო, ხუთშაბათ დღეს."

ამ რიტუალის სრულყოფილი სახით აღდგენა ჭირს, მაგრამ რამდენიმე მომენტი კარგადაა შემონახული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეხსიერებაში: კანუღი//ყანუღი გაჰქონდათ სავსე მთვარეზე. ყანუღის გაღება ყანაში ოჯახის უფროსი მამაკაცის პრეროგატივას შეადგენდა, ხოლო ეზოში, ბაღჩაში იმავე წესს ქალი ასრულებდა. ე.ი. კანუღში//ყანუღში ყველანაირ მარცვლეულს ყრიდნენ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თესლეული არ უნდა ყო-

ფილიყო მწარენაყოფიანი მცენარის (წიწაკა, პრასი). ამასათან, ყველანაირი თესლიდან 7-7 მარცვალს იღებდნენ, სპილენძის სინზე დებდნენ და ისე გაჰქონდათ მინდორში. თესლეულში სცოდნიათ, აგრეთვე, კვერცხის და რკინეულის (ნალი, ლურსმანი) ჩადება. თესლის გატანისას პირველად კარის თავზე მარჯვენა ფეხი უნდა გადაედგათ და სათანადო ლოცვა-ვედრება შეესრულებინათ. იმ დღეს ოჯახიდან არაფერს გასცემდნენ, ბარაქა რომ არ გადაჰყოლოდა. კანუღის გაღებას არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა. ეს მომავალი დიდი ხვნა-თესვის იმიტაცია, მაგიური, საწესჩვეულებო ხასიათის სამუშაო უნდა იყოს და მას მიმართავდნენ მომავალი სამეურნეო საქმიანობის იღბლიანობის უზრუნველსაყოფად.

გარკვეული წეს-ჩვეულებები სრულდებოდა ხარის სამუშაოდ პირველად გაყვანის დროსაც. პირველი ჯილღის გატანა კვირაობით ხდებოდა. შეიძლებოდა ორშაბათს ან სამშაბათსაც, მაგრამ არა ჯუმას (პარასკევს). ხარებს უღელში წითელი ხის (ვაშლის, ტყემლის, ასკილის და სხვ.) ტაბიკებს შეუბამდნენ. ხარის პირველად შებმისას სხვა წესებსაც ასრულებდნენ: „ჯილღის გატანის პირველ დღეს, რომელიც კარგი ხარი იყო, თავზე კვერცხს მიატანებდნენ, კარგი მოსავალი მოვაო". მაჭახლის ხეობაში კვერცხს ამავე მიზნით დებდნენ დასათესად გამზადებულ მარცვლეულშიც (ნ.კახიძე, 1969:187).

საშემოდგომო ციკლის წეს-ჩვეულთაგან აღსანიშნავია დადეგი//დადეგობა. იგი აჭარაში 1 სექტემბერს (1 ენკენისთვეს) იმართებოდა. დადეგობა ღამეს ყანაში სიმინდს „შებეჭდენ" - სიმინდის ფურცლებს სანთლით ერთმანეთს მიაწებებდნენ, რომ ავ სულებს ჭირნახულის ბარაქა არ გამოელიათ. „ყანები შებეჭდე, ჯაზებმა (ავმა სულებმა) რამე არ აწყენიოსო" - იტყოდნენ. ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც ყურის ძირში სანთლის ჯვარს მიაწებებდა, რომ ეშმაკებს არ ევნოთ. 1 ენკენისთვეს (სექტემბერს) სახლშიც და ყანაშიც ოთხივე მხარეს შებეჭდავენ თაფლის სანთლის ჯვრით (სიმინდის ფოჩებს სანთლით გადააბამდნენ), ბავშვებსაც ყურის ძირში სანთლის ჯვარს მიაწებებდნენ: „ქაჯმა თმაი არ მოწყვიტოს, ნიშანი არ წეიღოსო". ხალხის რწმენით, თუ თუნდაც ერთ ბეწვს წაიღებდა, ბავშვი ავად გახდებოდა. „შებეჭდილ" სახლში ავი სულები - ქაჯები არ შევიდოდნენ (თ.ლომთათიძე, 2007:52).

შემოდგომა სამეურნეო წლის ბოლო ეტაპია. საშემოდგომო ციკლის წეს-ჩვეულებებში თავს იჩენს ტენდენცია, ერთი წელი გამოყონ მეორისაგან და, ამავე დროს, ეს წელი დააკავშირონ მომავალ სამეურნეო წელთან. უწყვეტობის ეს შეგრძნება წარმოშობს წეს-ჩვეულებებს, რომელთა დანიშნულებაცაა ძველი მოსავლიდან სათესლე მარცვლეულის რიტუალური შენახვა მომავალი წლისთვის. მოსავლის აღების დროს სპეციალურად არჩევდნენ სათესლე სიმინდს, რომელსაც

საძველოს ეძახდნენ. მას ცალკე, ქუნჩლებით ერთმანეთზე გადაბმულს ნალიაში ან აივანზე ინახავდნენ (სტ.მენთეშაშვილი, 1937:155). სათესლე სიმინდს რომ ფშვნიდნენ, ერიდებოდნენ თუნდაც ერთი მარცვლის დაკარგვას: „რა იცი, რომელ მარცვალშია ბერექეთიო!" სიმინდის გაფშვნის შემდეგ ტაროს და ქუნჩალს არ დაწვავდნენ - „სიმინდს გამოწვავსო!", თესლს გობზე არ დაყრიდნენ - სოკო გაა-ფუჭებსო და სხვ. (ნ.კახიძე, 1967:190). საქმეს იწყებდა და ამთავრებდა ოჯახის უფროსი კაცი. დამთავრების დროს 10-15 თოხის მოქნევის ტოლ ადგილს უტოვებდენ და ის დაამთავრებდა სამუშაოს - უფროსი, მოხუცებული კაცი მადლიანია და ოჯახს ბერექეთი ექნებაო (ბსკიეა, საქმე №19, 1958).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით საინტერესო ელემენტებია შემონახული მეღვინეობა-მევენახეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. როგორც ცნობილია, აჭარაში ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის პერიოდში დაქვეითდა მევენახეობა-მეღვინეობა, მაგრამ აჭარლებმა მაინც შემოინახეს მეურნეობის ამ დარგის ბევრი ძირძველი ტრადიცია. თუმცა მევენახეობის განვითარება ცალმხრივად წარიმართა: მევენახეობა დარჩა, მეღვინეობა გაქრა (ნ.კახიძე, 1974:97), მაგრამ ხელვაჩაურში სხვადასხვა დანიშნულებით ყურძენი მაინც გამოიყენებოდა.

ხელვაჩაურის მცხოვრებთა ყოფაში მრავლადაა შემონახული სამიწათმოქმედო საქმიანობასა, საოჯახო ყოფასა თუ ხელოსნობა-შინამრეწველობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, მაგრამ მათ უფრო მეტად განუცდიათ ტრანსფორმაცია და მხოლოდ ფრაგმენტების ან აკრძალვებისა და ბრძნილობების სახით გვხვდება, ძირითადად. აქ ფართოდ იყო გავრცელებული მოსავლის დასაცავად განკუთვნილი ე.წ. „ნაკრძალი დღეები". ღვარცოფისაგან მოსავლის დასაცავად განკუთვნილ „ნაკრძალ დღეებს" განეკუთვნება ჩურუგაი//კვირკობა, ელიობა, ბახურა. თუმცა ეს დღე აჭარის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებოდა, შინაარსობრივად იგი ერთნაირია. კვირკობა-ჩურუღაის ხელვაჩაურის უმეტეს სოფელში ბახურას ეძახიან. აქაურთა რწმენით ბახურა წყალში მცხოვრები სულია. ეს წყლის არსება წყლის სტიქიას განაგებს 1-18 (ძვ.სტ.14-27) ივლისს, მაგრამ არავინ იცის, კონკრეტულად რომელ დღეს, ამიტომაც ამ პერიოდში ყველა დღეს აკრძალული იყო წყალში ბანაობა, თორემ მთელი მოსავალი დალპებოდა. ამასთან საფრთხე ელოდა თვით წყალში მობანავესაც. თუ მას ბახურა შეეყრებოდა, ტანზე „დაპეპლავდა", ააჭრელებდა, დააყრიდა. ზოგიერთი თვალსაზრისით ბუხურა უნდა იყოს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი დღე და არაბულ ბუჰურ – საკმეველს უნდა უკავშირდებოდეს (შ.ფუტკარაძე, 1993:405), მაგრამ არც დღესასწაულის არსში და არც მის რიტუალურ მხარეში არ იკითხება, რომ იგი

მიცვალებულების მოხსენიებასთანაა დაკავშირებული. ეს უფრო წყლის სტიქიისგან მოსავლის დასაცავად განკუთვნილი უძველესი დღესასწაული უნდა იყოს, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულად, გარკვეული ტაბუს დაცვის, კერძოდ, მიწის სამუშაოების აკრძალვის სახითაა შემორჩენილი.

ჩურუგას აჭარაში დამპალ თვესაც უწოდებენ. ჩურუგაში არ შეიძლება წყალში ბანაობა, ბოსტანში შესვლა: დაღვარავს - მოსავალს წყალი წაიღებს. კალენდარულად იგი იმართებოდა 1-3 ივლისს (ძვ. სტ. 14-16 ივლისს). არ იციან, ამ სამ დღეში რომელი საათია საშიში და ამიტომ სამივე დღეს აკრძალულია მიწის სამუშაოები, „მიწის შეწუხება", ხის მოჭრა, ბოსტნიდან რაიმეს გადმოტანა და შიგ ჩასვლაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავალი დაიღუპება, დალპება. ამიტომაც დიასახლისებს წინასწარ გადმოჰქონდათ ბოსტნიდან, რაც ამ სამი დღის განმავლობაში დასჭირდებოდათ. „ბაღჩაში წინასწარ შევტეხდით, რამე თუ გვინდაო", - აღნიშნავენ ინფორმატორები. მართალია, ისევე, როგორც სხვა „ნაკრძალი დღეების" დროს, კვირკობა-ჩურუგაის დროსაც მიწის სამუშაოები აკრძალული იყო, მაგრამ ხალხური ყოფა გამონაკლისსაც უშვებდა. თუ ეს აუცილებელი იყო, მინდორში გაიტანდნენ სპილენძის ნაჭერს ან სხვა რკინეულობას და ამის შემდეგ მუშაობა ნებადართული იყო. ისევე, როგორც ქაშატობის დროს ნებადართული იყო მუშაობა, თუ უქმის გამტეხი საკლავის სახით შესაწირავს გაიღებდა (ნ.ჩიჯავაძე, 1971:48). რაც შეეხება უქმის გამტეხის მიერ დარ-ავდრისგან დასაცავად რკინის ან სპილენძის ნაჭრის გამოყენებას, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საინტერესო მოსაზრება, რომ რკინა წარმოადგენს საუკეთესო ელექტროგამტარ ნივთიერებას. რკინა რომ განმმუხტველ როლს თამაშობს, ჩანს ხალხურ მედიცინაშიც, სადაც რკინის ეს თვისება გამოყენებულია ზოგიერთი ავადმყოფობის, მაგ. უჟმურის სამკურნალოდ. სავარაუდოა, რომ რკინის ეს თვისება ემპირიული გზით იქნა შემჩნეული და სწორედ ამის გამო მიენიჭა მას აპოტროპიული მნიშვნელობა (ნ.ბრეგაძე, 1969:258-259). ქაშატობასა და ჩურუგა//კვირკობაშიც, შესაძლოა, რკინა იმიტომ გამოიყენება, რომ იგი თავის თავზე იღებს უარყოფით ენერგიას და ამით დამცავ როლს თამაშობს. აკრძალვისგან დასაცავად სპილენძის ნივთების გამოყენებას თავად ინფორმატორები იმით ხსნიან, რომ "სპილენძი ჭრის", იცავს ტაბუს დარღვევს. სპილენძის მაგიური ძალის რწმენა ჩანს ხელვაჩაურის სოფლებში კანუღის გაღების რიტუალშიც. ყველანაირი თესლიდან 7-7 მარცვალს იღებდნენ, სპილენძის სიწზე დებდნენ და ისე გაჰქონდათ მინდორში. თესლეულში სცოდნიათ, აგრეთვე, კვერცხისა და რკინეულის (ნალი, ლურსმანი) ჩადება.

მეურნეობის სხვა დარგებთან და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპთან იყო დაკავშირებული სხვადასხვაგვარი აკრძალვა. განსაკუთრებით მკაცრი ტაბუ მოქმედებდა მჭედლობაში, გრდემლთან დაკავშირებით. სასტიკად იკრძალებოდა

გრდემლზე ტყუილუბრალოდ ჩაქუჩის დარტყმა და დაჯდომა, რადგან გრდემლი ყოველგვარი სარჩო-საბადებლის წყაროდ ითვლებოდა და ასეთმა ქცევამ შეიძლება სამჭედლო მუშაობა უნაყოფო გახადოს და გრდემლი მწყობრიდან გამოიყვანოს (კახიძე, 1990:118).

„ავი თვალისგან“ დასაცავად სახლზე ცხენის თავს და გარშემო შემოვლებულ ეკალს (მომრგვალებულს) ჩამოკიდებდნენ. ინფორმატორები აღნიშნავენ, რომ „ეს მზადდებოდა სახლის მშენებლობის დროს და დამთავრებას ცოტა რომ აკლდა, სახურავს რომ გააკეთებდნენ, მერე ჩამოკიდებდნენ. ამ თვალსაჩინოს ამზადებდნენ იმიტომ, რომ დაიცვას ოჯახი და ადამიანი თვალის ცემისგან. ცხენის თავი იმიტომაა, რომ ცხენი ძალოვანი ცხოველია და თანაც გამწევი ძალაა. მას თვალი ადვილად ვერ მოერევა. მრგვალი იმიტომაა, რომ თვალი მრგვალია და თვალის ეკლით დაცულია ცხენის თავი. თვალსაჩინოს აკეთებდა უფროსი კაცი, დღე არ იყო გამოყოფილი, არც შელოცვა არ იყო წესად. მხოლოდ ჩამოკიდებდენ“ (საქმე #41, 1966). იცოდნენ მგლის პირის შეკვრაც: „თხების დაკარგვისას, თოკს გავსკნიდით - ჩავმარყუჟევდით და მერე როცა ვნახავდით, გავხსნიდით. ნახვის მერე რომ არ გაგვეხსნა, ცოდვა იყო“ (ადემ ქოქოლაძე, ჩიქუნეთი). პარასკევს (ჯუმას) ხარს არ შეაბამდნენ, ცოდვააო. თუ ვინმე შეაბამდა, სოფელი გაუბრაზდებოდა (ს.მარადიდი, იზეთ ჩერქეზიშვილი) (საქმე #41,1966).

ამგვარად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურა ინახავს ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების კვალს, ყველა შემდგომი რელიგიებისა და ეპოქების დანაშრევებს; ასახავს ქართველი ხალხის ეთნიკურ ტრადიციებს და მოიცავს ქართველთა სულიერი კულტურის თითქმის ყველა ელემენტს. აქ შენარჩუნებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები სცილდება ლოკალურ ფარგლებს, ავსებს ქართული აგრარული კალენდრის ერთიან სურათს და, ამდენად, იძენს ზოგადქართულ მნიშვნელობას.

გარდა ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი სულიერი კულტურის ელემენტებისა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემონახულია აქ მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა - ბერძნების, აფხაზების, ლაზების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებიც.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ბერძნებით დასახლებულ პუნქტს მიეკუთვნება ახალშენი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სოფელი, რომელმაც მიიღო ბერძენი მოსახლეობა XIX საუკუნის 70-იან წლებში. არ არსებობდა არც ენობრივი და არც სარწმუნოებრივი ბარიერი. დასახლების პირველ წლებშივე ააგეს ხის ეკლესია, ხოლო 1912 წელს იმავე ადგილას ქვის ეკლესია ააგეს (ლ.დემუროვა, 1983:36). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბერძენთა ეთნოგრაფიული ყოფა საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ სპეციფიკურ პირობებში ვითარდე-

ბოდა. თავიანთი ადრინდელი საცხოვრისიდან ბერძნებმა თან მოიტანეს ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და რიტუალები. ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა განავითარა და ადგილობრივ გარემოზეც გავლენა მოახდინა. ახალ ვითარებაში მათ ბევრი რამ შეითვისეს ქართულ მოსახლეობასთან მჭიდრო სამეურნეო-კულტურული ურთიერთობების პროცესში. თუმცა, ბოლო დრომდე ბერძენთა ყოფის ცალკეულ ასპექტებს ტრადიციული შეხედულებები განსაზღვრავდნენ. ისტორიული ავბედითობით გამოწვეული ეპიზოდური სიძნელეების დაძლევის შემდეგ აჭარაში მცხოვრებ ბერძნებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა მალე გაჯანსაღდა, დასრულდა ადაპტაციის პერიოდი. ბერძნებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადი კულტურა, ენა, სარწმუნოება. მაგრამ ისინი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ყოფითი კულტურის მრავალი ელემენტის თანაზიარნი გახდნენ. ეს კარგად ვლინდება საქორწინო წეს–ჩვეულებებში, ბავშვის დაბადების რიტუალებში და საოჯახო ურთიერთობის ცალკეულ ასპექტებში.

აღსანიშნავია, რომ არაერთმა ბერძენმა ნაყოფიერი შრომითა თუ შემოქმედებითი მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეიტანა აჭარის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების ფუნქციონირებაში, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეების გამო ბერძნების უმრავლესობა რეპატრირებული იქნენ. მაგალითად, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 1989 წელს აჭარაში მცხოვრები 7400 ბერძენიდან 2200 სული დარჩა. ბოლო პერიოდში, საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ადგილი ჰქონდა მათი მცირე ნაწილის უკან, საქართველოში დაბრუნების რამდენიმე ფაქტსაც. აჭარაში დარჩენილ და უკუმიგრირებულ ბერძნებს შორის აქტიური კავშირურთიერთობა გრძელდება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოვრობენ აფხაზები. განსხვავდება აფხაზეთსა და აჭარაში მცხოვრები აფხაზების წეს-ჩვეულებები. ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები აფხაზები აღნიშნავენ, რომ აჭარაში გადმოსახლებამდე ისინი ქრისტიანები იყვნენ და აჭარაში ჩამოსახლების შემდეგ მიიღეს ისლამი. ამიტომაც ისინი უფრო მეტად ისლამური ტრადიციების მიმდევრები გახდნენ და დაშორდნენ „სუფთა“ აფხაზურ ჩვეულებებს. თუმცა აქაურ აფხაზთა ყოფაში კარგადაა შემონახული არქაული რწმენა-წარმოდგენების უძველესი პლასტები. როცა აფხაზები დასახლებულან სოფ. ადლიაში, შეურჩევიათ მეზობლად ე.წ. „წმინდა ტყე“, სადაც ასრულებდნენ გარკვეულ საკრალურ რიტუალებს, იქ მიდიოდნენ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ავადმყოფობა, სახიფათო მოგზაურობა, ოჯახური პრობლემები...) და გარკვეულ წესებს ასრუ-

ლებდნენ ღვთაებების გულის მოსაგებად. ჩამბების საგვარეულო დღემდე ინახავს წინაპრებისგან დატოვებულ მჭედლის ინსტრუმენტებს, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ოჯახის წევრები. ამას საფუძვლად უნდა ედოს აფხაზებში გავრცელებული რწმენა სამჭედლო ინსტრუმენტებისა და გრდემლის სიწმინდის შესახებ. აქ გავრცელებული იყო თავის გასასამართლებლად სამჭედლოში დაფიცების ჩვეულება. ეს წესი იკრძალებოდა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის მიერ, მაგრამ აფხაზები საიდუმლოდ მაინც ასრულებდნენ ამ წესს. აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული განრიდების ჩვეულება, როცა რძალი ქმარს და ნათესავებს არ მიმართავს სახელით (აფხაზური ახიდჟარას - „მდუმარების“ ჩვეულება), ეკრძალება მამამთილსა და მაზლთან ერთად სუფრასთან დაჯდომა, რძალს სახელსაც კი უცვლიდნენ, იყო შემთხვევები, როცა მამამთილმა და მაზლმა არც კი იცოდა, როგორი ხმის ტემბრი ჰქონდა რძალს. ქორწინების ჩვეულებაც აქაურ აფხაზებს გასული საუკუნის 30-40-იან წლებამდე, ძირითადად, აფხაზური ჰქონდათ შენარჩუნებული. დაიწყეს ქორწილების გადახდა ქართული წესით (Т.Гванцеладзе, М.Табидзе, Т.Гитолендиа, С.Чаава, 2011).

აჭარის აფხაზებში ბოლო დრომდეა შემონახული სტუმართმოყვარეობისა და უფროსების პატივისცემის ტრადიცია. განსაკუთრებულად ემსახურებიან სტუმარს (ადრე დაბანდნენ ხელს, გაუსუფთავებდნენ დ მოუწესრიგებდნენ ტანსაცმელს....), თუ ის წყალს მოითხოვს, ფეხზე დამდგარი ელოდებიან, სანამ ჭიქას დაცლის, ფეხზე დგანან უფროსების შემოსვლისას, როცა უფროსი საუბრობს, დანარჩენები ჩუმად უსმენენ, თუ ქუჩაში ჩამოივლის ასაკოვანი აფხაზი, შეკრებილი ახალგაზრდები ფეხზე წამოუდგებიან და სხვ. (რ.სურმანიძე, 2010).

ამგვარად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზები გარკვეულწილად, ინარჩუნებენ აფხაზურ ტრადიციებს, მაგრამ ამავე დროს, ისინი აღიქვამენ თავს ქართული ყოფისა და კულტურის ნაწილად. ამის მიზეზად ასახელებენ ქართველებისა და აფხაზების საერთო გენეტიკას, ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს. ამ პროცესებს ხელი შეუწყო შერეულმა ქორწინებებმაც ქართველებსა და აფხაზებს შორის. ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა ვერ შეცვალა დამოკიდებულება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზებსა და ადგილობრივ მკვიდრებს შორის, რაც ქართული ტოლერანტული მენტალობის თვალსაჩინო მაგალითია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილია სარფში მცხოვრები ლაზების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც თითქმის აბსოლუტურად ემთხვევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ტრადიციებს. აჭარის დანარჩენი კუთხეებისგან განსხვავებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სამდინარო მეთევზეობასთან ერთად, საზღვაო მეთევ-

ზეობაც იყო განვითარებული. ამ საქმიანობით, ძირითადად, ლაზები იყვნენ დაკავებული. აქ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა მეთევზეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების სისტემა, რომელშიც მთავარი ადგილი წყლის სულს, წყლის არსების რწმენას უკავია. ამ არსებას ლაზები ასასას სახელით მოიხსენიებენ. იგი წყლის მეუფე, წყლის პატრონი, ხალხური რწმენით, წყალში ყველაფრის გამგებელია. იგი მეთევზეთა მფარველიცაა და უზრუნველყოფს იღბლიან თევზაობას. მეთევზეები მას ევედრებოდნენ: „ხელი მომიმართე, ბევრი თევზი დამაჭერინეო“ ან „შენ განდობ ჩემს სიცოცხლეს, კეთილად მამყოფეო“ ხოლო შემდეგ წყალში ჩადგებოდნენ და ფეხშიშველი, პეშვით წყალს აიღებდნენ და მორჩილების ნიშნად კეფაზე დაისხამდნენ. (ზ.თანდილავა, 1974:15). ლაზებში გავრცელებული ასასა ზღვის//წყლის ზოგადქართული ღვთაების - ლარსას ფონეტიკური სახეცვლილებაა. ასასას გულის მოსაგებად ლაზი მეთევზე, მის მიერ დაჭერილი ათი თევზიდან ერთს ისევ წყალში ჩააგდებდა ცოცხლად (ზ.თანდილავა,1996:133). ლაზებს სწამდათ, რომ „ადამიანი თევზიდანაა გაშენებული“ (ზ.თანდილავა, 1965:100). ამავე რწმენას უნდა ეფუძნებოდეს ლაზურ ყოფაში დაფიქსირებული შემდეგი ჩვეულება: „ბავშვი რომ ჯანმრთელი გამოვიდეს, ორმოც დღემდე დასვამენ სასწორის ცალ პინაზე, მეორე მხარეს კი დაჭერილ თევზებს დააწყობდნენ. მისი წონის თევზს მიწაში ჩამარხავდნენ, რომ ბავშვი დაზღვეული იყოს ავი სულებისაგან“ (მ.ვანილიში, ზ.თანდილავა, 1964:125).

გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე ასეთი წესი: ბავშვს წმინდანი (რახიტი) რომ შეეყრება (სუსტდება, მუცელი ეზრდება, ხელ-ფეხი უწვრილდება, ფეხზე ვეღარ დგება), აწონიდნენ და მისი წონის ახალდაჭერილ თევზებს მიწაში ჩაფლავდნენ. ეს იყო რიტუალური ჩანაცვლება: ბავშვის სიცოცხლის ნაცვლად თევზის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს მიწაში ჩამარხვა (ზ.თანდილავა, 1965:98).

ლაზეთში წყლის მითოლოგიურ არსებას ზღვის კაცის - „მზოღაშ კოჩის“ სახელით მოიხსენიებენ. წყლის მეუფეა ლაზურ ყოფაში ღვთაება მესეფიც, რომელსაც აქ, სამეგრელოსგან განსხვავებით, მხოლოდ წყლის განმგებლის ფუნქცია აკისრია, ხოლო ნადირთღვთაების ფუნქცია დაუკარგავს (ზ.თანდილავა, 1986:13). თუმცა, მონადირეობა ლაზებშიც ფართოდ გავრცელებული საქმიანობა იყო. ფრინველებზე მიმინოთი ნადირობდნენ, ცხოველებზე - თოფით. მიმინოთი ნადირობისთვის მზადებას აგვისტოს დასაწყისისთვის იწყებდნენ ლაზი ბაზიერები, მარყუჟისებურად შეკრულ 710 ცალ ცხენის ძუას მიამაგრებდნენ თხილის გაუთლელ ჯოხზე და მიწაში ჩაასობდნენ ნახევრად წაქცეულად, მისი საშუალებით იჭერდნენ “ღაჭოს” (ჩიტის ჯიში), მას თვალებს ტყავის ნაჭრით ისე აუკრავდნენ, რომ მხოლოდ ძირს იყურებოდა და ჰაერში მტაცებელს ვერ ხედავდა. ღაჭოს ჯოხზე დასვამდნენ, ჩასაფრებული მონადირე მიმინოს გამოჩენისთანავე

შეათამაშებდა ჯოხს, მტაცებელი დაეშვებოდა ღაჭოს დასაჭერად, მაგრამ წინასწარ გამზადებულ ხაფანგში ებმებოდა. ლაზებს სწამდათ, რომ ნადირობაში ყველაზე წარმატებული 7 აგვისტოს დაჭერილი მიმინო იქნებოდა. დაჭერის შემდეგ ფრინველს წვრთნიდნენ, ხოლო ნადირობის წინა დღეებში საერთოდ არ აჭმევდნენ. ლაზი მონადირე ნანადირევს ღამით უჩუმრად მოიტანდა სახლში, რომ თვალი არ სცემოდა არც მას და არც მის მიმინოს (მ.ვანილიში, ზ.თანდილავა, 1964:91).

ცხოველზე ნადირობისას, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ლაზეთშიც არსებობდა შეზღუდვები. მთხრობელის (იაშა თანდილავა) თქმით, შვილთან ერთად მყოფი შველის მოკვლა აკრძალული იყო, ქალს მოგალანდებს და გაგიჟდებიო. ამგვარად, ლაზებსაც ჰქონდათ ნადირთღვთაების გულისმოსაგებად განკუთვნილი რიტუალები, მაგრამ ეს ფუნქცია მესეფებს არ უკავშირდებოდა (ზ. თანდილავა, 1986).

წყლის მფარველი არსების რწმენა ხელვაჩაურის მცხოვრებთა რწმენა-წარმოდგენებშიც გვხვდება. გადმოცემით, ზღვაში ცხოვრობს წყლის სული „ზღვის ნენეი“ რომელიც ყოველ წელს 9 მარტს გამოდის ზღვიდან და თუ კარგი ამინდი დახვდა და გათბა, დაიღოცება და იმ წელს თბილი ამინდები და კარგი მოსავალი იქნება, თუ არა – დაიწყევლება და მოსავალიც არ ივარგებს.

სარფელი ლაზების ყოფაში ფართოდ იყო გავრცელებული ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია ამ რიტუალს “მზოღას ონჩვიუში დღა” (ზღვაში ბანაობის დღე) ეწოდებოდა და “მარაშინაშ შქვითში” (მარიამობის შვიდში) ანუ 20 აგვისტოს იმართებოდა. ნ.მარის მონაცემებით, რომელიც თავად შესწრებია ამ დღესასწაულს, იგი ზოგან 24 ივნისს, იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს იმართებოდა და ლიტროპ//მიტროპ-ის სახელით იყო ცნობილი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაშია მსგავსი რიტუალები დამოწმებული და იგი ყველგან უკავშირდება იოანე ნათლისმცემლის სახელს. მსგავსი რიტუალები ყველგან იმართება 24 ივნისს (7 ივლისს) – იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს. ამ დღეს წყალს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები მიეწერება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ლაზებიც ამ თარიღს უკავშირებენ წყალში მასიური ბანაობის ჩვეულებას, რაც წყლით ნათლისღების ხალხური პალალელი უნდა იყოს. რაც შეეხება სახელწოდება ლიტროპ//მიტროპ-ს, მკვლევარი ზ.თანდილავა მას ბერძნული ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მიიჩნევს. ეს დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების, ცოდვისაგან განწმენდის აღმნიშვნელი ტერმინია და უნდა უკავშირდებოდეს წყალში მასიურ განბანვას, როგორც წყლით განწმენდის, განათვლის სიმბოლურ გამოხატულებას. ამგვარად, ამ დღესასწაულმა შემოინახა ხალხური ქრისტიანობის ელემენტები.

სარფში გავრცელებული “მზოღას ონჩვიუში დღა” (ზღვაში ბანაობის დღე) 20 აგვისტოს იმართებოდა. ეს ფერისცვალების დღესასწაულის (6(19) აგვისტო) მეორე დღეა და თუმცა ამჟამად მივიწყებულია ჩვეულების კავშირი ამ ქრისტიანულ დღესასწაულთან, მის რიტუალურ მხარეში ნათლად იკვეთება ქრისტიანული სიმბოლიკა. ზღვაზე საბანაოდ მასიურად მიმავალ ქალებს თან მიჰქონდათ სხვადასხვაგვარი ხილი, ახალშემოსული ყურძენი, მოხარშული კვახი და ზღვის ნაპირთან მიირთმევდნენ. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიციით, ფერისცვალების დღესასწაულზე ტაძარში საკურთხებლად მიაქვთ ხილი. ამ ჩვეულებაშიც იკვეთება წყალში განბანის რიტუალის კავშირი ქრისტიანულ რწმენასთან.

რაც შეეხება ისლამს, მან ზოგადად აჭარაში ყოფით ჩვეულებებსა (საქორწინო, დაკრძალვის წესები, ნათლობა და სხვ.) და, საერთოდ, საოჯახო ყოფაში უფრო ადვილად შეიტანა კორექტივები, ვიდრე სამეურნეო წეს-ჩვეულებებში. ამიტომაც სამეურნეო წეს-ჩვეულებებზე მისი გავლენა მინიმალურია, მაგრამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში ყველაზე მეტად იგრძნობა ეს გავლენა ტოპონიმებში, საკულტო ლექსიკაში (დღესასწაულების სახელწოდება, შელოცვების ტექსტები, რიტუალის ტექსტუალური ნაწილი, სიტყვიერი ფორმულები), ზოგიერთი რიტუალის ფრაგმენტში, სამზარეულოზე. აქ ყველაზე უკეთ იკვეთება რელიგიური სინკრეტიზმით გამოწვეული ტრანსფორმაციები, განსაკუთრებით ბარის სოფლებში, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ მოსახლეობას ყველაზე მეტი შეხება ჰქონდა თურქულ ეთნოსთან.

თუმცა ეს გავლენა მინიმალურია მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფოლკლორზე, რომელმაც შეინარჩუნა თვითმყოფადობა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. აქ ყველაზე გავრცელებული კულტურა სიმინდია. მოსავლის აღებისა და დაბინავების პერიოდს აქ ხარმანობის სახელით მოიხსენიებენ. სიმინდის გარჩევა ძალზე შრომატევადი და საშური საქმეა. ამიტომ ხარმანობაში ხშირად ქალთა და მამაკაცთა ნადს იწვევდნენ ხოლმე. სიმინდის ხარმანის (ხვავის) გარჩევა ზოგჯერ მთელ ღამეს მიმდინარეობდა და ნადის წევრები სიმღერებითა და ცეკვებით ირთობდნენ თავს. ხარმანობა რომ მხოლოდ შრომის პროცესის ერთი ეტაპი კი არა, გარკვეული წეს-ჩვეულების გადმონაშთია, იქიდანაც ჩანს, რომ მის დროს ზოგჯერ ასრულებდნენ საწესო სიმღერებსა და ცეკვებს. ზოგ შემთხვევაში ცეკვები ბერიკაობის სახით სრულდებოდა (ნ.კახიძე, 1974:40). ზოგჯერ ეს იყო აჭარული ბერიკაობის ნაირსახეობა - მუსიკალურ მელოდიაზე შესრულებული ცეკვა ქალებისა და კაცების მონაწილეობით - „ფათიკო”//“ფადიკო”, საწესო ფერხული

„ოჰოი, ნანო” ან ე.წ. „ქალების ხორომი”, ქალთა საფერხულო სიმღერა „ნაი-ნაი, ნი-ნაინა” (ა.მსხალაძე, 1966:48).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფართოდ იყო გავრცელებული მიწის სამუშაოებთან დაკავშირებული ნადურები, რომელსაც აქ „ყანის სიმღერას“ ეძახდნენ. გარდა ამისა, მღეროდნენ „დიელას“, „თაგვის სიმღერას“, იცოდნენ გაშაირება ფანდურზე. ფანდურს აკეთებდნენ ცაცხვისგან. ინსტრუმენტებიდან ფართოდ იყო გავრცელებული ჭიბონი. ცნობილი მეჭიბონეები იყვნენ იაყუფ კოსოლიძე (ჩხუტუნეთიდან), ემინ ფოთელიძე - იუნუსოღლი (კირნათიდან), ხუსეინ გვიანიძე (ზედა ჩხუტუნეთიდან).

ხალხური ცეკვის ისტორიაში უნიკალური მოვლენაა „ლაზ მეთევზეთა ცეკვა”, რომელიც „მებადურთა” ცეკვის სახელითაცაა ცნობილი და დაკავშირებულია ლაზთა უძველეს შრომა-საქმიანობასთან. „ლაზურს” ადრე მამაკაცები ცეკვავდნენ სარფსა და მახოში. შემდგომ მასში ქალებიც გაერთიანდნენ. ლაზებმა ეს ცეკვა საუკუნეთა მანძილზე გამოატარეს და დღემდე შეინარჩუნეს. „ლაზური” სრულდებოდა სტვირის ანუ „ოსტვინადე”-ს, სალამურის ანუ „კაკალი”-ს და დასარტყმელი ინსტრუმენტებისა და სიმღერის თანხლებით. „ლაზურის”//„ლაზხორუმის” გარდა, სრულდებოდა: „ოთირთინანო”, „მენჯელიში”, „მხუჯიში” და ა.შ. (ლ.გვარამაძე, 1997:77). „ლაზხორუმი” აჭარის სხვა სოფლებშიც სრულდებოდა.

მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციები დღემდე კარგადაა შემონახული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტში მოღვაწეობს სამი ანსამბლი: უხუცესთა ანსამბლი „მაჭახელა“, ფოლკლორული ანსამბლი „ათძალი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხეთი“. გარდა აღნიშნული ანსამბლებისა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში ჩამოყალიბებულია ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები: „გორდა“, „ნაკადული“, „ახალი თაობა“, „ზღვის შვილები“, „ლაზეთი“ და სხვ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახალხო დღესასწაული. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლხობა და მაჭახლობა.

კოლხობა 1978 წლიდან ყოველწლიურად იმართება სოფელ სარფში. ეს უძველესი ლაზური დღესასწაულის „მზოღას ინჩგუში”-ს თანამედროვე ვარიანტია. სარფელმა ახალგაზრდებმა, ვისი ინიციატივითაც აღდგა ეს დღესასწაული, მას „ქვაომხაზობა” („ქვაომხაზი”) უწოდეს. ამ სახელითაა ცნობილი სარფის შესასვლელთან ზღვის სანაპიროზე არსებული ქვის დიდი ლოდი. ამ ქვის ირგვლივ ეწყობოდა შეჯიბრებები ზღვაში ხტომაში, ცურვასა და ყვინთვაში. ამიტომაც ეწოდა დღესასწაულს „ქვაომხაზობა” (რ.ბაქრაძე. გ.ვანილიში, 2004), მაგრამ მოგვიანებით მას უფრო ფართო შინაარსი მიეცა და საყოველთაო სახალხო ზეიმად იქცა. დღესასწაულის სახელწოდებაც შეიცვალა და კოლხობა ეწოდა.

პირველი კოლხობა 1978 წელს ჩატარდა.

მაჭახლის ხეობის თვალსაჩინო და განსაკუთრებული როლის წარმოჩენას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში ეძღვნება მაჭახლობის დღესასწაული. მაჭახლის ხეობა, აჭარასთან ერთად, სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. 1921 წელს, ხეობის ერთი ნაწილი (ზედა მაჭახელი) 6 სოფლით თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა, ხეობის მეორე ნაწილი (ქვედა მაჭახელი) კი – 6 სოფლით, საქართველოს ფარგლებში დარჩა. ხეობის ეს ნაწილი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, დღეს ხელვაჩაურის რაიონში შედის. იგი გამოირჩევა ქვის მარან-საწნახლებით, ქვის თაღიანი ხიდებით. ხეობა ცნობილია „მაჭახელად" წოდებული ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩა) და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. იგი გამოცხადებულია ბუნების დაცვის ზონად. მაჭახლის ხეობის ასეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის პატივის მისაგებად, ხეობის ინტელიგენციის ინიციატივით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და გადაწყვეტილებით, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დახმარებით დაწესდა სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა". პირველი მაჭახლობა 2007 წლის 25 სექტემბერს ჩატარდა (ჟურნ. „მაჭახელი", 2007). იქიდან მოყოლებული იგი უკვე ფართო მასშტაბით აღინიშნება. მასში მონაწილეობენ არა მარტო საკუთრივ მაჭახლის ხეობის, არამედ ხელვაჩაურისა და აჭარის სხვა რაიონების მხატვრული ჯგუფები; სტუმრად ჩამოდიან თურქეთში მცხოვრები მაჭახლელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემოქმედება, რომელსაც, აგრეთვე, „მაჭახელა" ეწოდება. დღესასწაულზე ხეობა თითქოს სულიერად ერთიანდება.

„მაჭახლობის" დღესასწაულს ეძღვნება ჟურნალი "მაჭახელი", რომელიც ყოველწლიურად, დღესასწაულის წინა დღეებში გამოდის. პირველი დღესასწაულის დღეს, 17 სექტემბერს, საზეიმოდ გაიხსნა თოფ "მაჭახელას" ძეგლი მდინარეების - ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან, საიდანაც მაჭახლის ხეობა იწყება. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართულ იარაღს ძეგლი აუგეს. პარალელურად, ახლომდებარე გვარას ციხიდან "მეციხოვნენი" შეკრებილთ კოცონების დანთებით და თოფის სროლით დღესასწაულის დაწყებას აუწყებენ. ამ დღეს ირჩევენ „საპატიო მაჭახლელებს" და სიგელებს გადასცემენ მათ. დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება "მაჭახლის კავშირი", მაჭახლის ხეობის მთელი მოსახლეობა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი", სადაც 88 ადამიანია დასაქმებული, კულტურის ცენტრი აერთიანებს სამ ანსამბლს. ცენტრი უზრუნველყოფს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებების მომსახურების სრულყოფას, ტრადიციული და ეროვნული დღესასწაულების, მასობრივი ღონისძიებების, საიუბილეო თარიღების, შეხვედრების, მხატვრული თვითშემოქმედების საღამოების, კონკურსების, კონცერტების ორგანიზებასა და რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღებას. „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან“ არსებობს თოჯინების სახალხო თეატრი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოდითგანვე მისთვის დამახასიათებელი სამეურნეო საქმიანობით და ხალხური მხატვრული ხელოსნობით გამოირჩეოდა. ამ უძველესი ტრადიციების გაცნობა-შესწავლამ ქემალ თურმანიძეს გადააწყვეტინა, შეექმნა ხალხური რეწვისა და ყოფის მუზეუმი, რომელიც განთავსებულია 3000 კვ.მ-ზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, გამწვანებითა და სავალი ბილიკებით. მასში წარმოდგენილია აგრარული მეურნეობა - მეფუტკრეობა, მეხილეობა, მიწათმოქმედება და მევენახეობა, ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგები: ფეიქრობა, მეთუნეობა, ლითონის, ქვისა და ხის დამუშავება. შრომითი პროცესი ასახულია დარგების შესაბამისად ჩაცმული მანეკენებით, სამუშაო გარემოთი, იარაღ-ინვენტარით. საცხოვრებელი, სამეურნეო და ნაგებობებია წარმოდგენილი როგორც მაკეტებით, ასევე რეალური სახით. აქვეა მის მიერვე შესრულებული ხეზე კვეთილობის ნაკეთებობები.

ამგვარად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურა ზოგადქართული კულტურის განუყოფელი და დინამიური ნაწილია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ეგუებოდა ახალ რეალობას, ამიტომაც იგი ინახავს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეძენილ ფასეულობებს. ამავე დროს, ეს რეგიონი ხასიათდება რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით, რადგან წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს, რის შედეგადაც მრავალი რიტუალი სინკრეტული ფორმით ჩამოყალიბდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. რ.ბაქრაძე, გ.ვანილიში, კოლხობა - სახალხო დღესასწაული. გაზ. „აჭარა“, 17.08.2004

2. ბსკიეა, საქმე №19, 1958.

3. ბსკიეა, საქმე №44, 1966.

4. ლ.გვარამაძე. ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ., 1997.

5. ლ.დემუროვა, ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში (ს.ახალშენის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, X, თბ., 1983.

6. მ.ვანილიში, ზ.თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964.

7. ზ.თანდილავა, მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ლაზური და აჭარული მასალის მიხედვით), აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965.

8. ზ.თანდილავა, თევზი ქართულ ჯადოსნურ ეპოსში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბ., 1974.

9. ზ.თანდილავა, ღვთაება მესეფის მითოლოგიური სახის გაგებისათვის; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბ., 1986.

10. ზ.თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი,1996.

11. ნ.კახიძე, საოჯახო მეურნეობის ისტორიიდან აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969.

12. ნ.კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.

13. ნ.კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, თბ., 1990.

14. თ.ლომთათიძე, ხალხური აგრარული კალენდარი და აჭარის მოსახლეობის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007

15. სტ.მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, ტ.II, თბ., 1937.

16. ა.მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზიის ზოგიერთი საკითხი, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1966.

17. რ.სურმანიძე, აფხაზები აჭარაში, ბათუმი, 2010.

18. შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

19. ნ.ჩიჯავაძე, მემინდვრეობა აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969.

20. ნ.ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971.

21. ჟურნ. „მაჭახელი“, №1, ბათუმი, 2007.

22. Т.Гванцеладзе, М.Табидзе, Т.Гитолендиа, С.Чаава, Основные аспекты идентности абхазов, живущих в Аджарии, Тб., 2011.

**შუშანა ფუტკარაძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი*
**ელზა ფუტკარაძე**
*ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის*
*ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის*
*და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების*
*ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
**Shushana Putkaradze**
*Doctor of Philological Sciences, Emeritus Professor,*
*Batumi Shota Rustaveli State University*
**Elza Putkaradze**
*PhD in Philology, Principal Researcher,*
*Head of Department of Folklore,*
*Dialectology and Emigrant Literature Research,*
*Niko Berdzenishvili Institute,*
*Batumi Shota Rustaveli State University*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ - გრამატიკული თავისებურებანი

# PHONETIC-GRAMMATICAL FEATURES OF SPEECH OF GEORGIANS DISPLACED AS MUHAJIRS FROM KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი.** ნაშრომში საუბარია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მაჭახლური არის დამოუკიდებელი კილო. იგი შედის კლარჯულ კილოთა ჯგუფში, განსხვავდება იმერხეულისა და ნიგალურისგან. შესაბამისად, წარმოდგენილია როგორც ისტორიულ მიწა-წყალზე დასახლებული მოსახლეობის, ისე ამ სოფლებიდან თურქეთის

შიდა რაიონებში გადასახლებული მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების მეტყველების ენობრივ-გრამატიკული თავისებურებები.

კვლევის პრობლემიდან გამომდინარე, ნაშრომში დეტალურად და სიღრმისეულადაა გაანალიზებული მუჰაჯირთა მეტყველებაში თავჩენილი ენობრივი თავისებურებანი. მსჯელობა, ძირითადად, ფონეტიკურ ნიუანსებსა და მეტყველების ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა. ნაშრომში განხილულია მაჭახლურისთვის დამახასიათებელი ბგერითი სისტემა, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, ასიმილაციის, დისიმილაციის ფონეტიკური თავისებურებანი. ასევე, გაანალიზებულია ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება. კერძოდ, სახელთა ბრუნებაში მომხდარი პროცესები და თანდებულის, ზმნიზედის, კავშირის, ნაწილაკის თავისებურებანი.

ნაშრომში მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, დასკვნის სახით, მოცემულია მსჯელობა იმ ენობრივი თავისებურებების შესახებ, რომლითაც მაჭახლური დანარჩენი კლარჯული დიალექტებისგან გამოირჩევა და დამოუკიდებელი კილოს შთაბეჭდილებას ქმნის.

ამდენად, მუჰაჯირი ქართველების ენამ დღემდე შეინარჩუნა თავისთავადობა, დამოუკიდებლობა. მათი მეტყველება საინტერესო ენობრივი ქსოვილია, რომელიც ცოცხლად წარმოგვიდგენს ამ ენის მატარებელი ქართველების საცხოვრებელი ადგილების მკვიდრთა ენობრივ სურათს. ამიტომ ლინგვისტური კვლევის საწარმოებლად მეტად ფასეულია მუჰაჯირი ქართველების მეტყველებაზე დაკვირვება და ზოგადენათმეცნიერული დასკვნების გამოტანა.

**საკვანძო სიტყვა: ქართული სალიტერატურო ენა, დიალექტი, მუჰაჯირი, ფონეტიკურ-გრამატიკული, მაჭახლური**

**Abstract.** The given work deals with phonetic-grammatical features of speech of Georgians displaced as Muhajirs from Khelvachauri municipality. We think Machakhela speech is an independent dialectical group. It belongs to the group of Klarjeti speech, differing from Imerkhevi and Nigali dialects. Accordingly, the linguistic and grammatical features of the speech within the descendants of the historical land settlers as well as the Muhajiri descendants of those exiled from these villages in the Turkish inland are presented.

Due to the problem of the research, the paper gives the detailed and deep analyses of the linguistic features of Muhajir speech.The reasoning is mainly about the phonetic nuances and the peculiarities of using the parts of speech.This work discusses the sound system characteristic forMachakhela speech, phonetic features of sound loss, sound emergence, assimilation and dissimilation.Also, some morphological features are analy-

zed.In particular, the processes that occur in the case of nouns and the properties of postposition, adverb, conjunction, and particle.

Based on the material presented in the work, as the conclusion,there is a discussion about the linguistic features that distinguish the Machakhela speech from the rest of the Klarjeti dialects and make an impression of an independent type of speech.

Thus, the language of Muhajir Georgians has maintained its uniqueness and independence to this day.Their speech is an interesting linguistic fabric that vividly portrays the linguistic picture of the Georgians inhabitants speaking in this language.Therefore, for the purpose of this linguistic research, it is very important to observe Muhajiri Georgian speeches and draw the common linguistic scientific conclusions.

**Key words: Georgian literary language, Dialect, Muhajir, Phonetic-Grammatical, Machakhela,**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ტერიტორია 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე შედიოდა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში, კერძოდ, ლაზისტანის სანჯაყში. ამავე ადმინისტრაციულ ერთეულში მოქცეული იყო მდინარე მაჭახლის ხეობაც, ზედა და ქვედა მაჭახელიც. 1878 წლის ბერლინის საზავო კონფერენციის დადგენილების თანახმად, ტაო-კლარჯეთის სხვა მხარეებთან ერთად, მაჭახლის ხეობაც (ისტორიული მიჭიხიანი, მაჭიხელი) გადავიდა რუსეთის იმპერიის საზღვრებში; ფაქტიურად, ეს ტერიტორია დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მაჭახლის ხეობა, ტაო-კლარჯეთის სხვა მხარეებთან ერთად, შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ყარსის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ტაო-კლარჯეთთან ერთად, ზედა მაჭახლის ექვსი სოფელი მოექცა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში; ქვედა მაჭახელი კი გაერთიანდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ეს მხარე ამჟამად შედის ხელვაჩაურის რაიონში.

დაბრუნებულ ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო, დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლდა, მუჰაჯირად წავიდა შიდა თურქეთში. მათ შორის იყვნენ მდინარე მაჭახლის ხეობის ქართველებიც - მაჭახლელებიც. ისინი ოსმალეთის მთავრობამ ჩაასახლა შიდა თურქეთის რეგიონებში - **ბურსის, დუზჯეს, სამსუნის, ორდუს, საქარიას...** მხარეების სოფლებში. მოსახლეობა გაიფანტა სხვადასხვა მხარეს. შედარებით კომპაქტურად ჩასახლება მოხდა ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის ერთ-ერთ ბერძნულ სოფელში,

რომელსაც, ბერძნების გადასახლების შემდეგ, იქ ჩასახლებულმა ქართველებმა უწოდეს **ჰაირიე**, რომელიღაც ხელმძღვანელი ფაშის საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად. კომპაქტურად არიან დასახლებული, აგრეთვე, ქალაქ იზმირის ერთერთ უბანში - **იეშილ იურთში,** სტამბოლის მოზრდილ უბანში - **ბახჩელ ევლერში** და ა.შ.

მუჰაჯირად გადასახლებულმა მაჭახლელმა ქართველებმა დღემდე კარგად შეინახეს ენაცა და ქართული ტრადიციებიც, ქართული ცნობიერება, თვითშეგნება.

1989 წლიდან დაიწყო პროფ. შ.ფუტკარაძემ მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებების შესწავლა. მაჭახლელ ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მაჭახლური ქართული არის დამოუკიდებელი კილო. იგი შედის კლარჯულ კილოთა ჯგუფში; საკმაო ენობრივი ნიშნებით განსხვავდება მოსაზღვრე დიალექტებისგან- იმერხეულისა და ნიგალურისგან.

კლარჯულ დიალექტთა შორის მაჭახლური ერთ–ერთი საყურადღებო კილოთაგანია. მისი სოფლები გაშლილია მდინარე მაჭახელას (და მისი შენაკადების) ხეობის პირას აღმართულ ფერდობებზე. ისტორიულად მაჭახელი ორად იყოფოდა – ზედა მაჭახელი და ქვედა მაჭახელი. საქართველო–თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ჩამოყალიბების შემდეგ, ზედა მაჭახელი მოექცა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ჩვენი დაკვირვების ობიექტი გახლდათ ზედა მაჭახელი, რომელშიც ექვსი სოფელი შედის: **ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბითავი** და **ეფრატი**. ვიმუშავეთ როგორც დასახლებულ სოფლებში, ე. ი. ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულ მოსახლეობაში, ისე ამ სოფლებიდან თურქეთის შიდა რაიონებში გადასახლებულ მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებთან (სოფელ ჰაირიეში, ბურსის ვილაეთში; სტამბოლში მცხოვრებ მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებთან, ქალაქ იზმირში ჩასახლებული მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებთან; ამ ქალაქში ერთი ქუჩა - **იეშილ იურთი** მთლიანად მაჭახლელებითაა დასახლებული).

ქვედა მაჭახელი მოქცეულია საქართველოს საზღვრებში. ეს ძირძველი ქართული მიწა-წყალი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთერთ საინტერესო მხარეს. შედის ხელვაჩაურის რაიონში. ქვედა მაჭახლის სოფლებია: აჭარისაღმართი, სინდიეთი, სკურდიდი, ქედქედი, ჭანივრი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, გორგაძეთი (ქავთარეთიით), საფუტკრეთი. „მაჭახლის უბანს მოგვიანებით მიაკუთვნეს მეზობელი ჭოროხის ხეობის ოთხი სოფელი (კირნათი, კობალეთი, გვარა, მაჭახლისპირი) და აჭარისწყლის ხეობის ქვემო ზოლის ექვსი სოფელი (ქვედა ხერვთისი, მაღლაკონი, ჭალახმელა, უჩხითი, ნამლისევი, მილისი). ამგვარად, მაჭახლის მხარე, როგორც

თურქეთის ბატონობის ბოლო წლებში, ასევე შემოერთების შემდეგ, 26 სოფელს აერთიანებდა“ (კახიძე, 1974:26). ქვედა მაჭახელი გამორჩეული კუთხეა თავისი მდიდარი ეთნოგრაფიით, მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ნიმუშებით, საინტერესო წარსულით, მიმზიდველი ბუნებით. ზედა და ქვედა მაჭახელი – თავისი მოსახლეობით, ყოფითა და კულტურით, ისტორიით – ერთი მთლიანი კუთხეა, თურქეთ–საქართველოს სახელმწიფო საზღვრით ერთმანეთისგან ხელოვნურად გაყოფილი.

მაჭახელი (მაჭიხელი, მიჭიხიანი) თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჭოროხის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული, თანამედროვე ეკონომიური და სოციალურ-კულტურული განვითარების სურათი ნათლადაა მოცემული ნ. კახიძის ნაშრომში „მაჭახლის ხეობა“ (კახიძე, 1974).

მაჭახელი ოდითგანვე ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. საუკუნეთა განმავლობაში იგი ტბეთის ეპარქიაში შედიოდა და კლარჯეთის ერთერთ დაწინაურებულ მხარედ ითვლებოდა, რაზედაც მეტყველებს ნაშთების სახით მოღწეული მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლები.

მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო – „**ტბეთის სულთა მატიანე**“ – რომელსაც 1874 წელს შავშეთის მხარის სოფელ ტბეთში მდებარე ტბეთის ტაძარში მიაკვლია გიორგი ყაზბეგმა, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მაჭახლის მოსახლეობის შესახებ. ეს სულთა მოსახსენებელი კრებული იქმნებოდა XII-XVII საუკუნეების მანძილზე. აქ მოხსენიებულია ის ადამიანები, ტბეთის ეპარქიის მრევლის წარმომადგენლები, რომლებმაც შეძლებისამებრ მზრუნველობა გამოიჩინეს ტბეთის ტაძრის მიმართ და უკვდავყვეს თავიანთი ხსოვნა. მათ შორის აღსანიშნავია ზედა მაჭახლის სოფლების წარმომადგენელთა ღვაწლი. მატიანეში მოხსენიებული სოფლებია: **აკრია, ზედვაკე, ეფრატი, ხერთვისი.**

მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედიდან მაჭახელი უკვე თურქეთის შემადგენლობაშია. თავდაპირველად იგი ცალკე სანჯაყი (ოლქი) იყო და შედიოდა ჩილდირის ვილაიეთში (ჩელები, 1971:299). მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან კი მაჭახელი ნაჰიეს (თემს) წარმოადგენდა და ტრაპიზონის ვილაიეთზე დაქვემდებარებულ ლაზისტანის სანჯაყის ლივანას ყაზაში (მაზრაში) შედიოდა. 1878 წლიდან მაჭახელი აჭარის ოკრუგის ცალკე უბანია (უჩასტკა) და შედის ბათუმის ოლქში. 1921 წლიდან, როცა საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო სახელმწიფო საზღვარი, მაჭახელი ორად გაიყო და ზედა მაჭახელი მოექცა თურქეთის ფარგლებში.

საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა მაჭახლური ქართული. იგი, ძირითადად, მონოლითური დიალექტია, მაგრამ ორი კილოკავური სხვაობა მაინც შეინიშნება. ზედა მაჭახლური სიახლოვეს ამჟღავნებს იმერხეულთან, ქვედა მაჭახლური კი როგორც ლივანურთან, ასევე ქვემო აჭარულთან. თქმის ფარგლებს არ სცილდება მაჭახლის ხეობიდან თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებულ მუჰაჯირ მაჭახლელთა შთამომავლების მეტყველება. მათი უმრავლესობა დასახლებულია ბურსის ვილაიეთის სოფელ ჰაირიეში. მათ დღემდე შენარჩუნებული აქვთ ქართული ადათ-წესები, ცეკვა-სიმღერები. ჰაირიეს ხალხური მუსიკის ნიმუშები ჩაიწერეს ამერიკის შეერთებული შტატების ინდიანას უნივერსიტეტის თანამშრომლებმა – **პეტერ გოლდმა** და **ფრანკ გილისმა** (Gold, Fronk, 1979). ჰაირიელთა ტრადიციებს, მიგრაციას და თანამედროვე ყოფას გამოკვლევა უძღვნა ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა **პაულ მაგნარელამ** (Magnarella, 1973).

1993 წელს გამოქვეყნდა შ. ფუტკარაძის მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“, ტომი I, სადაც მოცემულია 1989- 1992 წლებში მაჭახლიდან (როგორც ზედა, ისე ქვედა მაჭახლიდან) მუჰაჯირად გადასახლებული მაჭახლელების მეტყველების ნიმუშები.

1996 წლიდან შ. ფუტკარაძემ გააგრძელა მუშაობა მაჭახლიდან და აჭარის სხვა მხარეებიდან ოსმალეთში გადასახლებული მუჰაჯირი ქართველების წარმომადგენლებთან. ხალხური მეტყველების ნიმუშები შეკრიბა ბურსის, ორდუს, ფაცის, უნიეს, სამსუნის, იზმირის, იზნიქის, იზმითის რაიონების სოფლებში დღევანდელი ხელვაჩაურის ქართველების შთამომავლებისგან. 2014 წელს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციის დროსაც მოვახერხეთ ტექსტების ჩაწერა დაბა ბორჩხაში და სოფელ ხერთვისში.

ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით, მაჭახელი შედის ხელვაჩაურის რაიონში. სამწუხაროდ, ზედა მაჭახელი მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკაში, მაგრამ ენობრივად მაჭახლური მეტყველება ერთ კილოდ განიხილება, ამიტომაც ზედა და ქვედა მაჭახელი თურქეთის შიდა რაიონებში გადასახლებული მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველება ერთი კილოს ფარგლებში ექცევა; ენობრივი თავისებურებანი ძირითადად ერთგვარია.

## ფონეტიკური თავისებურებანი

### 1. ბგერითი სისტემა

მაჭახლურში ნაშთის სახით გვხვდება **ჴ**, ისიც უმთავრესად გეოგრაფიულ სახელებში. მაგ., **ჴევჴიდი** ადგილის სახელია, აქედან იწყება **ჴერთვისი**... **ჴ** ზოგჯერ დასტურდება ზედა მაჭახლის ყველაზე მაღალმთიანი სოფლის, ეფრატის, მოხუცთა მეტყველებაში, რაც აიხსნება იმერხევთან მეზობლობით, სადაც **ჴ** ჯერ

კიდევ მკვიდრია. მაგ., **ჴმა** გავარდა; წანწალაკი **ჰიდი** იყო; **ჰარი** ქიდან გამეიღებდა ფარასა...

გამოიყენება უმარცვლო უ (უბრჯგუ), მაგრამ, იმერხეულთან შედარებით, იშვიათად გვხვდება: **ჩუენ** ფეჲღამბერსა გამუუგზავნა; **თუალებზე** ფერდე ეგეფარება; **გულყანა** ადგილია (მრგუალი→გუალი); **თუელი** მოსულა; **ძულებში** მეჭედება (ძუალი); **კუარი** ნაძვსა ექნება; **ნანდუილათ** იმას ვეცდები; **თქუენ** გურჯიჯა გიდიგიქცევიან...

უმარცვლო უ მიიღება „**ოა**“, „**ოე**“ კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებითაც. მაგ., კიბილები **გამუაჩინა** (გამოაჩინა→გამუაჩინა→გამუაჩინა); **წამუეყვანა** დედეი; **ჩამუეყვანა** ჴერთვის...

**ჲ** (იოტა), კლარჯული დიალექტების მსგავსად, მაჭახლურშიც გამოიყენება თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში თურქული „y”-ს გადმოსაცემად: კაი **ჲერი** აქვან (yer–ადგილი, მიწა); სოფელსა **ჲანიდამ** ჩუუარს (yan – მხარე, კიდე, ნაპირი, გვერდი); **ჲაფრაღები** ამუუღია ჩიჩეგსა (ყვავილსა) (yaprak – ფოთოლი); **ჲარჲა** მივცემდი მიწასა (yarıya –სანახევროდ); **ამსოჲ** ყუმაში (ქსოვილი) ჰინდისტანიდამ მოქონდენ...

**2. ბგერათა დაკარგვა**

მაჭახლურისთვის ნიშანდობლივია ფუძიდან „**რაე**“-ს დაკარგვა. „**რაე**“ იკარგება ხშირად „**ო**“-სთან მეზობლობაში: გავაკეთავთ ქათმის **ჩოობასაც**; **ხოოცით** სარმას გავაკეთავთ; იმათი **ხოოცი** გემიელი არ არი; **ხოოცი** ბოლაი მუა... სახელის ფუძიდან „**რაეს**“ დაკარგვის შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება ამ „**ო**“ ხმოვნის გაძლიერებისა ისე, რომ ორი ხმოვანი ისმის, თითქოს „**რ**“ იცვლება „**ო**“-დ.

„**რ**“ იკარგება სიტყვის დასაწყისში: ჯილღის **კინა** სახნისია; მაჭახელს **ჯული** გვიან გამუუცლია; **ძალი** მეიყვანა; **ქაზე** (რქაზე) კუერცხებ დაატეხდენ **ჲაღსა**; **ბილათ** (რბილად) დარჩებოდა თივა ნამბულზე (ნამიან დილას)...

„**რ**“ იკარგება „ტრიალ“ ძირის მქონე სიტყვებში: კინა **ატიალებს** მიწას; ზედაი ქვა **ტიალობს**; მისათ **მოტიალდება**; გაღმითნა **შეტიალდე**; ძეს მაშინაში **დავატიალებთ**; ენა არ **გვიტიალდება** ლამაზათ; **დაატიალოსნა** ბორბალი...

„**რ**“ იკარგება, აგრეთვე, „ლაპარაკ“ ძირის მქონე სიტყვებშიც: კიდვენ **ვილაპაიკო**?; იქავრულა **ლაპაიკობდენ**; ბაღანა **ლაპაიკოფს**; გურჯიჯას **ვლაპაიკობთ**...

თანხმოვანთა შორის მოქცეული „**რაე**“, როგორც წესი, ყოველთვის იკარგება: პირზე რენგი არ **დაქჩა**; კაი შენი **ბძანება**!; **ფთხილი** მელაი ორნივე ფეხებით ჩავარდება; **ჩდილი** მოსაძეფნელი გახდა... შდრ. აჭარული (ნიჟარაძე, 1975: 67).

ხშირად იკარგება „ვ“ თანხმოვანიც, განსაკუთრებით თანხმოვანთა თავმოყრისას. მაგ., **ექსი** ყურშუმი მესროლა; **ექს** თვესაც იქა ვიყავ; **მიხდები** ვინ არი; ისინიც **ჩათლილია** ამაში; **შემხდები** მიწრო გზაში?!...

„მანი“ უმეტესად იკარგება სიტყვის დასაწყისში. მაგ., **თუარესავეთ** ამსილა ქალი; **თა** (მთა) არი ყელობა; ჩამოსულან **გელები**; **გზავრები** შემხდენ; **კლავი** გიდიმიწიე, აბა!; **სხალი** ჭახეა ჯერემთ...

„სწ“ კომპლექსის მქონე სიტყვა–ძირებში სანი ყოველთვის იკარგება; მალე **დეიწავლი**; კარქა **აწავლის**; **წორეს ამბობს**; ბრუდეთ დაჯექ, მაგრამ **წორე** დეილაპაიკე; **წორეთ** იარ და მიხვალ;; ინსანი კარქა **იწავლის** ერთ ენას; მე **მევეწარი**; ვეღარ **მოვაწროზ** თაზე წასლას...

შ. ნიჟარაძეს ანალოგიური ვითარება დადასტურებული აქვს მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირის მიმდებარე სოფლების (გონიო, სარფი, კირნათი, მარადიდი) მეტყველებაში. ამ ფაქტს იგი ხსნის როგორც დისიმილაციურ დაკარგვას. „წ“ აფრიკატი, რადგან „**ტ**“ ხშული თანხმოვნისა და ჰომორგანული სპირანტის – „ს“-ს ელემენტებს შეიცავს, „**სწ**“ კომპლექსში ფაქტიურად თავს იყრის ორი „**ს**“. როგორც ცნობილია, გ. ახვლედიანს მითითებული აქვს, რომ მძიმე აქცესიური კომპლექსების (მდ, ცთ, სწ...) სუპერაციისათვის ენა მიმართავს სხვადასხვა საშუალებას (ახვლედიანი, 1949:344). ამ დებულებაზე დაყრდნობით, შ. ნიჟარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „აჭარულმა ამ შემთხვევაში... აქცესიური კომპლექსის დაშლის (resp. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის) საშუალებას მიმართა (წავლა, წორი)... დეზაფრიკატიზაცია ისეთ მიმართულებას იღებს, რომ „სწ→წ“-ს, ე.ი. დეზაფრიტატიზაციის ნაცვლად ბგერის დაკარგვას ვიღებთ“ (ნიჟარაძე, 1975:105). მაშასადამე, ეს მოვლენა გამოკვეთილია აჭარულის მოსაზღვრე მაჭახლურშიც. ანალოგიური ნიმუშები დადასტურებულია ქართლურშიც (იმნაიშვილი, 1974: 117-118).

აჭარულისა და კლარჯული დიალექტების მსგავსად, მაჭახლურშიც იკარგება „**ვიდ**“ ზმნის ძირისეული „**ი**“ ხმოვანი: **მოვდა** ჩემთან; **მივდეს** ელჩი; **მოვდენ** ტყიდან...

3. **ბგერის გაჩენა**. შეინიშნება ლატერალი ნუნისმიერი ნარნარა „ლ“ ბგერის გაჩენის ერთეული შემთხვევები. მაგ., **ნამერჩხლი** გახმება (ნამეჩხრი); **ჭყინტლი** (ჭყინტი) მოვა ამ ყანაში...

კბილბაგისმიერი „**ვ**“ ხშირად ვითარდება ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: **თოკვით** შეიკვრება; **თოკვ** დავაბამთ; **მაჩუქვე** ყუსური; **აჩუქვა** ეს ადგილები...

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ხმოვან ბგერათა განვითარების მაგალითებიც: **კიბილები** გამუაჩინა; ასი **წიგინი** ჩამოვდა ციდან...

4. **სუბსტიტუცია**. კბილბაგისმიერ „**ვ**“-ს შეიძლება ჩაენაცვლოს ბაგისმიერი ლაბიალური „**ბ**“ თანხმოვანი. ამგვარი მონაცვლეობა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას ქმნის ზანურში. თანამედროვე ქართულ დიალექტებში ყველაზე

მეტად გავრცელებულია ინგილოურში (ქავთარაძე, 1964:208). იმერხეულის მსგავსად, მაჭახლურშიც დასტურდება ერთეული შემთხვევები: მალე **დამაბიწყდა**; მეტი მალე **დაგაბიწყდება**; ხალხი **გამბრავლდა**...

უფრო ხშირია „**ვ-მ**“-ს საურთიერთო მონაცვლეობის შემთხვევები: არ **ამიწყდება** იქავროობა; ყანაოზები **ამსილი** იყო შარაბით; **მასკლავი** ჩამუარდა ციდამ; აქავროობა **სამსეა** გურჯებით; ოცი წელიწადი **გამლილიყო**...

ზედა მაჭახლის მეტყველებაში შეინიშნება წინაენისმიერ „**ჟ-ჯ**“-ს საურთიერთო მონაცვლეობა. მაგ., ადრე კუჭულაში **იჟდა** („იჟდა“/იჯდა/ ნიშნავს „ცხოვრობდა); **შააჟდა** არაბაზე; **დააჟდუმლა ცხენზე**...

**ც→ძ→ზ**: იყო ხუთას **ორმოზდაათი** ოჯაღი (ორმოცდაათი→ორმოძდაათი→ორმოზდაათი – რეგრესული ასიმილაცია – ცდ→ძდ, აფრიკატის დაშლა)... ასეთი პროცესი გვაქვს აჭარულშიც.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს სუბსტიტუციის ისეთი შემთხვევები, რომელთაც საფუძვლად უდევს აფრიკატიზაცია. კერძოდ, **ჟ→ჯ**: **ჯავე** გააკეთეს; **პაიჯულოფს** ხისიმებსა; **ჯოლი** ზაფხულში მუა.

**ზ→ძ:** ჩამუუარს **სამძღვარი; სამძღვარი** დადვეს ყანაში...

**ს→წ: მარენწკი** ბულვარი იყო; **მარენწკი** სოხახში გაველით...

იშვიათად ერთმანეთს ენაცვლება უკანაენისმიერი ხშული ბგერები – **ჭ→ჯ**. მაგ., **აჯარის** ხალხისა იყო წინწინ; იქით **აჯარისკორდაი** თა არი.

გვაქვს წინაენისმიერთა მონაცვლეობის შემთხვევებიც. კერძოდ „**წ**“-ს ენაცვლება „**ც**“. მაგ., ხელი თუ მიგიცდება (მიგიწვდება→მიგიწდება→მიგიცდება); ძვილაი **მუუცდა** (მოუწვდა→მუუწდა→მუუცდა); გაღმა **გუუცდა**; დუნიას **გუდუუცდება**... „**წ**“-„**ც**“-ს მონაცვლეობის საფუძვლად ივ. ქავთარაძეს მიაჩნია „არაადექვატური აკუსტიკური შთაბეჭდილების შედეგი“ (ქავთარაძე, 1964:215).

იშვიათია ხმოვანთა სუბსტიტუცია კომპლექსებში. **ვე→ო**: **ვებგოვით** აქეთ–იქით (ვებგვევით→ვებგოვით); სიმინდ **დავაფქოვთ** (დავაფქვევთ)...

5. **ასიმილაცია. თანხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის** მაგალითები უფრო ჭარბად გვხვდება. **გწ→ქწ**: შენ **მოქწონდება** ... **გხ→ქხ**: ვინმე არ **შექხედავს**... **გტ→ქტ**: ფეხები **ქტკივა**... **გთ→ქთ**: გოგოს საიბი **მოქთხოვს** ...

**გჭ→ქჭ**: აქა **მოქჭიჭყვენ**... გვაქვს დისტანციურადაც, როცა ასიმილაციაში მონაწილე თანხმოვნებს თიშავს ობიექტის პირველი პირის ნიშნისეული „**ვ**“. **გვც→ქვც**: ძიგარას **მოქვცემდა**... **გვხ→ქვხ**: კარქა **დაქვხდენ**... ასიმილაცია ხდება უფრო შორეულ მეზობლობაშიც. მაგ., მაყარიც **დეიპანტვის** (ფტ→პტ)...

პროგრესული დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაციის ერთეული შემთხვევებია. მაგ., **ნაჭიშკრევი** თა არი; **ნანდვილათ** დეიჯერე; საჯენნეთო ხარ **ნანდვილი**...

**ხმოვანთა ასიმილაცია** ჭარბად გვხვდება ზმნურ ფუძეებში. ზმნისწინისეულ ხმოვნებთან ქცევისა და გვარის ნიშანთა შეხვედრისას წარმოიქმნება საფუძველი ასიმილაციისა. გვაქვს როგორც ნაწილობრივი, ისე სრული ასიმილაციის შემთხვევები: ჯილღა **გამეიბმება** უღელზე და **დეიწყებენ** მოხნას; საჭმელში ფქვილსა **ჩოურევთ**; ხარებსა ბაღანა **წუუძღვება**; ფეჲ ღამბერსა **გამუუგზავნა**.

6. **დისიმილაცია**. თანხმოვანთა დისიმილაცია უმთავრესად ხდება მაშინ, როცა სიტყვის ფუძეში თავს იყრის სონორები. მაგ., **ოროლიც** ტაპიკები აქ; **რვაჯელ** ჩაველით; **რამდენჯელ** გამკითხე?; **სუნთელი** დაქვხდება წინა (სულმთელი→სულთელი→სუნთელი. („მ“ იკარგება); **წრევლ** ჩამუალ ბათუმ (წლეულ→წრეულ)...

ხმოვანთა დისიმილაცია, უმთავრესად, გვხვდება ზმნებში, როცა ზმნისწინისეულ ხმოვანს განიმსგავსებს ფუძისეული ხმოვანი. მაგ., მუაყოლეფს სიმღერას; **მუახნევია** ხარებით; ეა→ია: **შივაბემდით** ეჟუანსა; **შიატანა** ქიჩინჩორში; **შიახტა** ცხენზე...

ხმოვანთა დისიმილაცია სახელებში იშვიათია. აა→აი: მაგ., **მაჭიხელიდან** მოსულა; ჰაირიე **მაჭიხლელია** (მაჭახელი→მაჭიხელი)... დისიმილაცია ხდება სიტყვაში „შეშა“ და გვაძლევს „შიშა“-ს. მაგ., ნიჩაბი **შიშისაა**; ჯილღას აკეთებენ **შიშით**; **შიშის** კოვზ გაატეხიავს; **შიშა** ტყიდან მოგ[აქ...

ხმოვანთა დისიმილაცია ზოგჯერ მოსდევს ასიმილაციას. აე→ეე→იე: ოდიები ამსილი იყო; **თიები** დევიარე; **ძმიები** არ ყოლია (ძმაები→ძმეები→ძმიები)...

დისიმილაცია უგამონაკლისოდ ხდება „ე“–ზე დაბოლოებული სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებში. ეე→იე: მაგ., **ქავთარაძიები** არიან; **ხიები** მიაქ წყალსა... მაშასადამე, მაჭახლური ემსგავსება იმერხეულსა და ლივანურს და განსხვავდება აჭარულისგან, სადაც „ე“ დიფთონგიზაციით გადაიქცევა „É“-დ.

**7. მეტათეზისი** მაჭახლურ ქართულში კლარჯული დიალექტების ანალოგიურია და ნაკლებად გავრცელებული. დასტურდება ერთეული მაგალითები: ხალხსა **გადაათვარიელებდა**; **დიგიბლენდეს** თ[ალები; დასახლებულან ჩიქუნეთის **მგზავს** ადგილზე (მსგავსი →მზგავსი→ მგზავსი. ასიმილაცია, მეტათეზისი); სარფის კარი **გეისხნა**, ჩემმა გულმაც **გეისხნა (ხს→სხ)**...

8. **ბგერათა დაყრუება** სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მაჭახლურშიც ისევეა ჭარბად გამოყენებული, როგორც საერთოდ ქართულ დიალექტებში. მაგ., **სანახავათ** წესულან; **ლამაზათ** აგნავს; რატომ **კითხულოფ**? ბარსამ **ვთემბელოფ** (ვზარმაცობ)...

მაჭახლურ ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს იმერხეულთან და ლივანურთან, ვიდრე აჭარულთან.

## მორფოლოგიური თავისებურებები

1. **სახელთა ბრუნება.** ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი არიან სრული ბრუნვის ნიშნით. ამ მხრივ მაჭახლური ემსგავსება კლარჯულის დანარჩენ დიალექტებსა და ქართლურს (თოფურია, 1925:139; იმნაიშვილი, 1974:192). მაგ., ორი **ციცაი** მყავს; **მუზიკაი** გამეიტანეს; ესა სელიმ **ძიაი** კირნათელია; კოტოხოღლი **დაუთაი, ასანჯანაი** იმღერებდენ; **ჯემალაი** მოვდა; **ერგუნაიც** მოვა; მევყვაი **შადიეი**; **გულთენაი** და **გულშენაი** დები იყვენ...

სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული, აგრეთვე, ზოგიერთი ვითარების გარემოება: ჩვენ **ქართულაი** ვაიზი გვიყავო (ქართულად); გეიარა **ფეხჩქარაი**; წყალი **სერთაი**, **ზარფაი** (ძლიერად) მიცეს; **ჩუმათალაი** დეინახე; იმათ **ერთაი** დაქპაიჯო; **თათრულაი** შევეხვეწოთ... სხვა დიალექტებში (ინგოლოური, აჭარული, იმერული, იმერხეული) ანალოგიურ ფორმებში ფუძის ბოლოკიდური „ა“ გაგებულია ვითარებითი ბრუნვის უძველეს ნიშნად (ჩიქობავა,1937:18; ნიჟარაძე, 1961:69; ძოწენიძე, 1973:21).

ზმნიზედის ფუნქციით გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა ვითარებითის ნაცვლად გვხვდება სახელობითში: ჩვენ ხალხ **მეტი** ყიმეთი (დაფასება, ფასი)აქ; ჩუენა **მეტი** გვიყვარს გურჯისტანი... მსგავსი ვითარებაა ზემოაჭარულსა და ლივანურში (ნიჟარაძე, 1961:70).

მიცემით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებს უმეტეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ეკარგებათ. ასეთი სახელები გვევლინგება დამატება-ობიექტისა და ადგილის გარემოების როლში: ხალხის **დერდ** შევწავლით; **სიმინდ** მევყვანთ... **მაჭიხელ** აჰმედ ჩავში იყო; ბევრი **ეფრატ** წასულან; **მინდიეთ** ჩამუა... ამავე ფუნქციით გამოყენებულ ხმოვანფუძიან სახელებს ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვთ: **ბურსას** წესულან; **ალმანიას** არიან; **ხოფას** ჩასული ვიყავით...

ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებას ხელს უწყობს სავრცობის დართვა: აყვა პირი **გემოსა;** არ ცილდება **სახლსა**... **ხოფასა, რიზესა, ბორჩხასა** სახელი ძველი აქ... მსგავსი ვითარებაა კლარჯულის დანარჩენ დიალექტებშიც.

ასევე შეიძლება ითქვას ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის („ს“-ს) შესახებაც. სავრცობის გარეშე ხშირად იკარგება; სავრცობიან ფორმებში კი შენარჩუნებულია: წინწინ **ხი** კომზები იყო (ხის); **ტყი** კაცივით არი... ნათქუამი მახსოვს შენ **ძალისა**; დეიწყო კბენა თითისა; უხდური (რძის პროდუქტი) გემრიელია თისა (მთისა)...

ფუძეუკვეცელ სახელებთან კი გვხვდება ემფატიკური „**ი**“ (თოფურია, 1956:234-238; ჩიქობავა, 1956: 71-77). მაგ., ლუთბიე **ბიბიასი** ციცაი დეინიშნეს; ქუმბათები დანგრევლა **ქილისესი**; იმ **დედესი** საფლავია ხოფას ...

ზედა მაჭახლურში რედუქცია სუსტად არის გამოხატული. სჭარბობს ურედუქციო ფორმები: **რაით** ელაპარიკები; **აჭარადან** წასულან; ვერც **წყალი** დასხმით ააყენეს; **ინაწმინდაიდან** ჩამუა; ძველებური **ჯილღაით** ვხნავთ; **ყურძენის, ლერწამის** წვენითაც ადუღებენ ბექმეზ...

კლარჯული დიალექტებისა და მუჰაჯირთა მეტყველების მსგავსად, მაჭახლურშიც უთანდებულო მოქმედებითით გადმოიცემა თანაობა, ერთადობა. მაგრამ ასეთი ფორმები აქ შედარებით იშვიათად გვხვდება. მათი არსებობა ზედა მაჭახლურში იმერხეულის გავლენით უნდა აიხსნას, ქვედა მაჭახლურში კი საერთოდ არ დასტურდება. მაგ., **იმათით** ვილაპარიკეთ (იმათთან ერთად); **გულაით** გავაკეთე სახლი; **ბაბაით** წეველით...**ბაბოით** წევკინტლევით...

„ე“-ზე დაბოლოებული სახელების ფუძეში „ებ“-იან მრავლობით რიცხვში არსებული ორი „ე“ ხმოვანი ერთად ვერ ძლებს და ხდება რეგრესული დისიმილაცია: **ღელიები** შეიყრება; სოკო არი **ტყიეფში**; **კირკიტაძიები** დასახლებულან; არიან **ცინცაძიები**; ქავთარეთში **ქავათრაძიები** არიან; **კორტიძიებიდამ** იმღერებდენ... მსგავსი ვითარებაა კლარჯულ დიალექტებსა და მესხურ–ჯავახურში, ხოლო აჭარულში დისიმილაცია ხშირად დიფთონგიზაციამდე ვითარდება (მარტიროსოვი,1984:53; ძიძიგური, 1970:143).

„ე“-ზე დაბოლოებული სახელების ანალოგიით, იგივე ხდება „ა“-ზე დაბოლოებული სახელების მრავლობით რიცხვშიაც. ოღონდ აქ დისიმილაცია ვითარდება ასიმილაციის ბაზაზე (**აე→ეე→იე**): ბეღელ **ოდიებში** ვამწყრევთ; იმაზე **ქოშიებ** დაადგამ (ქოშაებ→ქოშეებ→ქოშიებ); მოსულან **აღიები**; გარევლი თხა არი ტყეში, **ქიებიანი**; აქედანაც **რაცხიებ** წეიღებდა...

ზოგჯერ მსგავსი ფორმები დაცულია ფონეტიკური ცვლილების გარეშეც. მაგ. **სიმღერაებისა** რამე არ მახსოვს...

„ო“-ზე დაბოლოებულ სახელების ებ-იან მრავლობითში კი დისიმილაციური ცვლილება დიფთონგიზაციამდე მიდის (**ოე→ უე→ Íე**) და საბოლოოდ **Í→ვ**–ს: **კალვები** აქვან (კალოები→კალუები→კალÍები→კალვები); გოგვები მღერიდენ; წყარვებ ჩემევიარ... მსგავსი ვითარებაა მესხურში, აჭარულსა და კლარჯულ დიალექტებში (ძიძიგური,1970: 143; ნიჟარაძე,1961:62).

2. **ზედსართავი სახელი.** კლარჯული დიალექტების მსგავსად, ზედსართავი სახელების უფროობითი ხარისხის ფორმები იწარმოება აღწერითად. როგორც ქართული, ისე უცხო ენიდან შემოსულ ზედსართავებს დაერთვის თურქულ-არაბული წარმოშობის ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები: **ენ** (en), **ფენა** (fena), **დაჰა** (daha): **ენ ლამაზი** (ულამაზესი) სიტყვები უთხრა; **ფენა ცქვიტი** ლაპაიკი იცით; **დაჰა ცივი** წყალი ყიას გატკენს... ზედა მაჭახლურში „**ფენა**“ და „**დაჰა**“ იშვიათად გამოიყენება. აქ უმეტესად გაბატონებულია გაძლიერებითი ნაწილაკი „**ენ**“. ქვედა

მაჭახლურმა კი უფროობითი ხარისხის ამგვარი წარმოება არ იცის. ცხადია, ზედა მაჭახლური, უცხო ენობრივ გარემოშია მოქცეული და უფროობითი ხარისხის წარმოებაც არაქართული ბუნებისაა.

ზედა მაჭახლურში თურქული ენიდან შემოსულა ზედსართავები: **ესკი** (eski – ძველი); **აასლი** (არ. Asıl – ნამდვილი, ძირითადი), **აჲ რი** (ayrı – განსხვავებული, სხვანაირი), **აჲნი** (არ. aynı–იგივე), მ**ულაჲმი** (არ. Mülayım – რბილი, ნაზი, ალერსიანი)... ქუაბითავ ნახავ ესკი გურჯიჯასა; ეს **აასლი** თერძია; **აჲნი** ჩაისავენ სვამ; **აჴნი** სოფლიდამ ვარ; ბეღელიც **აჲრი** გაკეთდება; **მულაჲმი** ხალხი არიან; ჩჷენი ლაპაიკი ცოტა **აირია**, გადაქცევლა ჩუენი ენა...

„მთელი“ „**თელი**“ ფორმითაა წარმოდგენილი (მანმოკვეცილი): **თელი** დღეა ხარ უჭმელი; საჭმელი **თელი** არი; ჩჷენსა **თელი** მეჲვა (ხილი) ხარობს (თელი – მთლიანი, ყველა)...

შემონახულია არქაული ზედსართავები – **გონჯი** (Ёорцдарღвеული, – საბა) და **ოდოში** (უმწიფარი. საბა). „გონჯი“ გამოიყენება „ცუდის“ მნიშვნელობით: **გონჯი** ლაპაიკი იცოდა; ყანაში წრევლაი **ოდოში** სიმინდია...

3. **რიცხვითი სახელი**. ზედა მაჭახლურში თვლის სისტემას არქაული იერი დაჰკრავს. როგორც ცნობილია, „ძველი ქართულის თვლა ასს ზევით განსხვავდება თანამედროვე ქართულის თვლისგან. თანამედროვე ქართულში კავშირი „და“ მხოლოდ ოცეულებს ახლავს... თუ ოცეული არაა წარმოდგენილი, „და“-ც არსად არაა საჭირო: ას ერთი, ას რვა... ძველ ქართულში კი „და“ ჩვეულებრივ იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ: ათასეულიდან ასეულზე გადასვლისას (ოთხ ათას და ორას), ასეულიდან ათეულზე გადასვლისას შAდას და ოთხმეოც). „და“ იხმარებოდა, აგრეთვე, მაშინაც, როცა რომელიმე საფეხური (კლასი) გამოტოვებული იყო, ვთქვათ, ასეულიდან ერთეულზე გადასვლისას (ას და ორი) და სხვა. ესაა ძირითადი წესი, მაგრამ აქა-იქ, რასაკვირველია, დაწყებულია ამ „და“–ს გამოტოვება... მაშასადამე, რთული რიცხვითი სახელების გადმოცემისას, კავშირი „და“ ძველ ქართულში გაცილებით უფრო ხშირად იხმარებოდა, ვიდრე დღეს“ (იმნაიშვილი, 1957:471). ზედა მაჭახლის მეტყველებაში „და“–ს წარმოადგენენ არა მარტო ოცეულებთან (როგორც ეს დღევანდელ ქართულშია), არამედ ასის შემდეგაც, როგორც ეს ძველ ქართულში იყო. მაგ., **ასდაოცი** წელიწადის წინწინდელ ენას ლაპარიკობს; **ასდაექსი** წელიწადია აქ ვართ... მსგავსი ვითარებაა ტაოსა და მუჰაჯირთა მეტყველებაშიც.

„პირველის“ ნაცვლად გამოიყენება „მეერთედი“: **მეერთედი** გაფაჭვა ქვია...

„მეორეს“ ენაცვლება „მევრე“: **მევრეის** არ იქს ბალანი; **მევრიები** მუხას ებნევიან...

4. **ნაცვალსახელიც** წარმოაჩენს გარკვეულ ნიუანსებს. კერძოდ: პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ იშვიათად გვხვდება „მენა“ ფორმით. მაგ., **მენაც** დღეს ვუთხარ... როგორც ცნობილია, „მენა“ ნაცვალსახელში „ნ“ ისტორიულად ივარაუდება (შდრ. შენ, ჩვენ, თქვენ). ამ საკითხს ბევრი მკვლევარი შეეხო (ჯავახიშვილი, 1937:428; ჩიქობავა, 1936:72; ჟღენტი, 1956:243; მარტიროსოვი, 1964:84-85; გამყრელიძე, 1959,36-37). სხვა შემთხვევაში კი „**მენა**“ ფორმა მიღებულია „**მე**“ ნაცვალსახელისა და „**უნდა**“ ნაწილაკის შერწყმის შედეგად (მე უნდა→მენდა→მენა): **მენა** დაქპაიჯო მიერეთ; **მენა** დეველაპაიკო; **მენა** მოვდე... მსგავსი ფორმები დადასტურებულია იმერხეულშიც. გარდა ამისა, იმერხეულის მსგავსად, „მე“ ნაცვალსახელი, „ც“ ნაწილაკის დართვისას, ხშირად მოითხოვს სავრცობს: **მეაც** ასე წიმიყვანეს...

„თავისით“, „თავისთვის“ ფორმის მაგივრად გამოიყენება „მისათ“. მაგ., **მისათ** მოტიალდება; დუქანი აქ **მისათ**; **მისათ** ლაპაიკოფს.....

კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“ და „რა“ გვხვდება „ებ“-იან მრავლობით რიცხვში: **ვინებ** ცნობილოფ?; **რაები** ჭირია?; სოფლებ **რაები** ქვია?...

„ერთმანეთი“ შეცვლილია „ერთმანებ“-ით: **ერთმანების** ნათესავები ვართ...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები „**ვიცაღა**“ და „**რაღაცა**“ გვაძლევს „**ვინცხა**“, „**რაცხა**“ ფორმებს, როგორც ეს დასავლურ დიალექტებში გვაქვს. მაგ., **ვინცხაი** სამოთხეში მივა; **ვინცხას** ხელი ღია აქ; ისიც **რაცხას** ეტყვის...

„რამდენიმე“-ს ცვლის „რამეთიმე“: **რამეთიმე** ამხანაგს დუუფიშმანებიან; **რამეთიმე** წელს გემებზე უცხოვრიან...

5. **უდეტრები**. ა) თანდებულთან დაკავშირებით გვხვდება შემდეგი ნიუანსები: „**ვით**“ თანდებული წარმოდგენილია „**ვეთ**“ ფორმით: **ბორბალსავეთ** ყველებ აკეთებდა; **ჯინჭ'ელასავეთ** ვართ; ობობას **მოქსოვნილსავეთ** არი... „**ვით**“ თანდებულის „**ვეთ**“ ვარიანტიც უცხო არ არის ქართული დიალექტებისთვის. მასზე ყურადღებაა გამახვილებული არაერთ გამოკვლევაში (შანიძე,1981:71; მარტიროსოვი, 1946: 227; ძოწენიძე,1973:81).

„**თვის**“ თანდებული წარმოაჩენს „**თვინ**“, „**თინ**“ ვარიანტებს. მაგ., კილდესა **წყლითვინ** ტეხენ; დედეს **სულისთვინ** მასვი წყალი!; **საქმისთვინ** რატომ არ გედერდება; **იმითვინ** აჩუქვა; **რაისთვინ** ირბინა... **კაცისთინ** ვთქვით; ავაწყობთ **გახმობისთინ**; მე **შენთინ** ჩამო'ელი... „**თვინ**“ მიჩნეულია „**თვის**“ თანდებულის უძველეს ფორმად (თოფურია, 1941:192).

იშვიათად გვხვდება არქაული „**შიგან**“ თანდებული, რომელიც, ძველი ქართულის მსგავსად (მარტიროსოვი,1946:218), მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას. მაგ., სიმღერაში **ბანის შიგან** ლექსებია...

„**კენ**“ თანდებული, იმერხეულის მსგავსად, ხშირად წარმოდგენილია შეკვეცილი „**კე**“ ფორმით. მაგ., **სახლისკე** იყურებოდა; **თისკე** მივდოდა; **ბორჩხისკე** იტყვიან ასე...

„**კენ**“ დაერთვის ნაცვალსახელების ფუძეს: ერთი მეჰელე **ჩვენკენაა**, ერთი **იმკენაა**; ერთი **ჩემკენ** დეილაპარიკე, ერთი **შენკენ**...

თანდებულის ფუნქციით წარმოდგება ზმნიზედა „**უკან**“, რომელიც უმეტესად მიცემითის ფორმებთანაა გამოყენებული და აღნიშნავს შემდგომობას, „შემდეგ“ სიტყვის ფუნქციას ასრულებს. მაგ., ერთ **თვეს უკან** მივა ელჩი; ათ **დღეს უკან** ასკ დუუსობთ; **სადილობა უკან** დეიპანტვის; ერთ **თვე უკან** დავფაჭავთ... ასევეა იმერხეულშიცა და მუჰაჯირების მეტყველებაშიც.

„**გან**“ თანდებული ფონეტიკურ ნიადაგზე ხშირად „**კან**“ ფორმით წარმოდგება. მაგ., **საქმისკან** დაგვავიწყდა ჭამა; **სიმწარისკან** თვალებიდამ წინწკლებ ყრიდა; **სიხარულისკან** დეიბნიდა... მსგავსი ფორმები დასტურდება ზემოაჭარულში და მუჰაჯირი ქართველების მეტყველებაში.

საკმაოდ ხშირად შეგვხვდება თანდებული „**დამ**“, თუმცა „**დან**“ ფორმაც არ არის უცხო. „**დამ**“ თანდებული უმთავრესად გვხვდება იმერხევთან ახლოს მდებარე სოფლების მეტყველებაში, ზემო მაჭახლურში, რაც იმერხეულის გავლენას უნდა მიეწეროს. ქვედა მაჭახლურში კი გაბატონებულია „დან“. მაგ., **რენგიდამ** გამეიცნობ; ნაძვის **ხიდამ** გეიხდება; **საქმიდამ** გამოიდა; **ეფრატიდამ** ვარ; წყალი მოსულია **არღიდამ**; **კორტიძიებიდამ** იყო... კაცსა **თვალებიდან** გამეიცნობ; მარილსა **ბათუმიდამ** ამეიტანდა დედეი; **ღელიდან** გადმუუშვა წყალი...

„**მდე//მდის**“ თანდებული, სხვა ქართული დიალექტების მსგავსად (იმნაიშვილი,1974:203; ცოცანიძე,1976:105), გვხვდება „**მდი**“, „**მდინ**“ სახით: ოქულების **გამოსლამდინ** სუფთა გურჯულ ვლაპარიკობდით; თივა **გამოსულამდინ** გვეყო; სიტყვის **დამთავრებმდი** მენა მიგიყვანო; კაი არი **ხუთწლამდი**...

იმერხეულის გავლენით, ზედა მაჭახლურში აქა-იქ გამოჩნდება ხოლმე რთული ბრუნვის ფორმები. მაგ., იქა **აგზედამ** ჩეხვალ...

ბ) ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ზმნიზედებიც.

ყურადღებას იქცევს „დამ“ თანდებულიანი ადგილის ზმნიზედები: მერეთის **წინედამა** კაი ტყე არი; **ზეიდამ** ეწერ წამოვდებთ; ღურნეს **ქუეშედამ** გახრეტილი აქ...

კითხვითი ზმნიზედა „სად“ ზოგჯერ „ჰად“, „ჰა“ ფორმითაც გვხვდება (ს→ჰ): **ჰა** წემიხველ გუშინაო; **ჰად** დეიმალვის?... **ჰად** წევდოთ და **ჰად** დევკარქოთ?...

დროის ზმნიზედა „**მერმე**“ (საბა, მერმე – აწის შემდგომად) მეტათეზისის შედეგად გვაძლევს „**მემრე**“-ს: იმას **მემრე** დათესავ; **მემრე** გაწევ ქირიშებ... შეგვხვდა ნარდართული ფორმაც: **მემრენ** ამანეთათ გვიტევენ; **მემრენ** გავფაჭავთ...

„**კიდევ**“ გვხვდება „**კიდვენ**“ ფორმით: **კიდვენ** დეეკარქვიან საქონელიო (კიდევ→ კიდვენ. მეტათეზისი, ნარის დართვა); **კიდვენ** ვილაპაიკო... „კიდვენ“ გვაძლევს „**კიდენ**“, „**კიდონ**“ ვარიანტებს. მაგ., ერთი **კიდენ** გავფაჭავთ; ტყის გზა არი კიდენ; **კიდენ** ამდგარიყვნენ; **კიდონ** ამოვდონ აქა...

„**დღეით**“ დროის ზმნიზედაა. მაგ., **დღეით** დრო არ გუაქ; **დღეით** ძილი იცის...

„**შუადღიპირა**“ ნიშნავს „შუა დღის დასაწყისში“: **შუადღიპირა** ჩამოდით...

„**მარობაში**“ ნაცვალსახელური წარმოშობის ზმნიზედაა. იგი ცვლის „მასობაში“, „ამასობაში“ ფორმებს: **მარობაში** გემეღვიძა; **მარობაში** თაზე ავაწიეთ (ავაღწიეთ)...

თურქული გაძლიერებითი ნაწილაკის -**ენ** (en) მონაწილეობითაა მიღებული დროის ზმნიზედა „**ენწინ**“, რაც ნიშნავს „უპირველესად“, „უწინარესად“: **ენწინ** კეცსა შკერის ფურცელ დაახურევდენ; მოხრაკული **ენწინ** მუა; **ენწინ** სამშაბათ ჯობია...

კითხვითი ზმნიზედა „როდის“ გვხვდება „**როის**“ ფორმით: **როის** უნდა წეიყვანონ გელინი? **როის** ბრუნდებით ბათუმ?...

კლარჯული დიალექტებისა და მუჰაჯირთა მეტყველების მსგავსად, მაჭახლურშიც დასტურდება „**აქში**“, „**აგზე**“, „**იქში**“, „**იგზე**“ ფორმები, რომლებიც მიღებულია „**აქ**“, „**იქ**“ ზმნიზედებზე „**ზე**“ და „**ში**“ თანდებულების დართვით (ვრცლად იხ. იმერხეული). მაგ., **იქში** გამუაცხობდენ; **იქში** დავდგებოდით, ხანში; **აგზე** ერთათ ვართ; **აგზე** ხეს მოჭრიდენ; **აგზე** დაჯექ, **აგზე**! ჩემთან ახლოს...

ვითარების ზმნიზედებს შორის ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი ფორმა. კერძოდ: „ლამაზად“ გვხვდება „**ლამუზათ** ფორმით. მაგ., კუერცხ მოხარშავ **ლამუზათ**; შორვას ჭამ **ლამუზათ**... „მთლად“ წარმოდგენილია „**თლათ**“ ფორმით („მ“ იკარგება, „დ“ ყრუვდება): **თლათ** შუუჭამიან ბოსტანი; თლათ **გედეიქცენ** გურჯები...

„უფრო“ გვაძლევს „**იმფო**“ ფორმას: ახლა **იმფო** გავტეხე ენა; **იმფო** ისაქმებენ; **იმფო** დიდი პური სხუას გავატაი...

„მეტად“ შეცვლილია „ნამეტურათ“ სიტყვით: ორი სახლი მოვლილი მაქ **ნამეტურათ**; **ნამეტურათ** დუუხურავს თავზე...

„ძლივს“ ვითარების ზმნიზედას ცვლის „**ძვილ**“, „**ძვილაი**“: **ძვილ** შევსვი ი შარაბი; **ძვილაი** დეიჭირა; **ძვილაი** გევგონე ლამაზი გურჯიჯა...

„როგორ“ კითხვითი ზმნიზედა შეცვლილია „რავარ“, „რავაი“ ფორმით: **რავარ** არიან თქვენებურები?“ **რავაი** ხართ?...

„რისთვის“ მაგივრად გვხვდება „რათვინ“: **რათვინ** ასე მალე მომითავე ჩემი დუნია; **რათვინ** ვეტყვი...

ზედა მაჭახლურში დამკვიდრებულა თურქულიდან შემოსული ზმნიზედები. დავასახელებთ აქტიური ლექსიკის ნიმუშებს: **ბითთუმდა** ისამო, რომე მოქვეს ნამსხმანი (bütüm – ყოველთვის, მუდამ); **ემედენი** ამ΄ელით (emedeni – უცბად, მოულოდნელად); **ბოშუნა** არ ვთქვი (boşuna – ტყუილად, ტყუილუბრალოდ, ამაოდ, ფუჭად); **ებედი** არ გიგვიტეხია კEერცხი (არ. Ebed – მუდამ, მარად, ყოველთვის); წეეკიდა **თექმილ**; შუუყვარდენ **თექმილ** (თექმილ – მთლიანად, სრულად←არ. tekmil – მთლიანი, სრული); ამ დუნიაზე ხომ არ ვჩებით (ვრჩებით) **ყედიმ** (მუდამ. არ. kadimen)...

ქართულ ენობრივ ჩარჩოში ჩასმული თურქული სიტყვა–ძირების გამოყენებითაა ნაწარმოები ზოგიერთი ზმნიზედა. კერძოდ: **ბოლათ** გადააყრი ლობიოს; ხოოცი **ბოლათ** მუა (ბოლათ–უხვად. ←bol – ფართო, თავისუფალი, გულუხვი, მსუქანი); ჯერ **გენიშათ** დეიწყებ (გენიშათ–ფართოდ, დიდად, ხალვათად. ←geniş – ფართო, დიდი, ხალვათი)...

გ) **კავშირი**"რომ" წარმოდგება „**რომენ**", „**რომენე**", „**რომე**" ვარიანტებით. „რომ" კავშირის გენეზისისა და დიალექტური ვარიანტების შესახებ მსჯელობა მოცემული გვაქვს იმერხეულთან დაკავშირებით, ამიტომ ამჯერად მაგალითებს მოვიტანთ მხოლოდ: **რომენ** მოკდება, ბრევლ იტირებენ; კდარი გეიგნეფსო, ყიამეთი **რომენ** მოვა...; გამჩენელმა **რომენ** მოქცა ჭკუა, ცნობა და იზანი; რაცხას **რომენ** გევეცდებით, სუნთელი დაქვხდება წინა... წორე თქვით, **რომენე** ჩუენც დევწავლოთ ხასი გურჯული; იმდენი იტირა, **რომენე**?!...; **რომენე** გადმოხვალ, დიმიწიე ტელეფონი; დიდვანებმა დაგვაწავლონ, **რომენე** გენჯებმა ვიცოდეთ... სარფის კარი **რომე** გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა; ერთია, **რომე** მე თუ მომწონდება; ერთათ **რომე** ვიქნებით, მაგრათ ვიქნებით; ვინცხაი **რომე** იმღერეფს, იმა ევეკრებით; რაცხას **რომე** დოვლაპარიკებთ, მიხდებიან... „**რომენ**" მიმართებითი ნაცვალსახელი დადასტურებულია ხევსურულში (ჭინჭარაული,1960:61).

მაქვემდებარებელი „**რომ**" კავშირის ფუნქციით ხშირად გვევლინება თურქულიდან შემოსული, წარმოშობით სპარსული, კავშირი „ქი" (ki), რომელსაც მრავალგვარი ნიუანსი ახლავს (ki – რომ, რომელი, რათა, რადგანაც, ვინაიდან...). მაგ., უთხარ, **ქი** იმასაც ვაწავლიო; ელჩმა უთხრას, **ქი**...; დადე, **ქი** ახლავს, ისიც მეითხოვს; უთქმიან, **ქი** აქ დავჯდეთო...

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში მაჯგუფებელკავშირიანი წინადადებების გამოყენების სფერო იზრდება. მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობას იძენს ზოგი ზმნიზედა თუ დამხმარე სიტყვა. მათ შორის გზას იკაფავს „კიდეც–კიდეც" და „თან–თან". მაჭახლურში, მსგავსად იმერხეულისა, ამ დანიშნულებით ენას გამოუყენებია თურქულის გზით შემოსული სპარსული სიტყვა „ჰემ"

(სპ.hem-თან, აგრეთვე, კიდეც). მაგ., **ჰემ** ენით, **ჰემ** გულით გელაპაიკებით; **ჰემ** მაჭამეთ, **ჰემ** მასამეთ; ციცასა **ჰემ** ეფერება, მეგომ (თურმე), **ჰემ** ემუქრება...

მაცალკევებელი კავშირი „**ან-ან**“, „**ან-ანდა**“ აქაც აღარ იხმარება. იგი შეუცვლია თურქულიდან შემოსულ „**ჲა**“ (ya) კავშირს. მაგ., **ჲა** ტურა შეჭამს, **ჲა** მელაი; **ჲა** კვირა საღამო, **ჲადა** ჯუმა ღამე იქნება...

თურქულში „mı“ ზოგჯერ კითხვითი ნაწილაკია, ზოგჯერ კი დროულობის კავშირის ფუნქცია აქვს. იმერხეულის მსგავსად, ზედა მაჭახლურში სწორედ ამ დანიშნულებით დამკვიდრებულა. მისი შინაარსი უახლოვდება ქართულ „**როცა**“, „**თუ არა**“, „**რაწამს**“, „**როგორც კი**“ დროულობის გამომხატველ კავშირებს. მაგ., სიმინდი **დამწიფდება მი**, მოვტეხავთ; **გათენდება მი,** ავდგებით ფეხზე; კარებთან **მივალთ მი,** დუუზარეთ (დავურეკავთ)...

დ) თურქულიდან შემოსული ნაწილაკებია „**მეგერ**“, „**ბილე**“, „**ჰიჩ**“, „**აზდაჰა**“... მაგ., ერთ ჯამეში იყრებიან **მეგერ** (სპ. Meğer – თურმე, მხოლოდ); ქათამ **ბილე** მოქვცემდა (bile – ნაწ. „ც“, „კიდეც“); **ჰიჩ** არ დევწყებთ (სპ. hiç – უარყ. ნაწილაკი. იძლევა „მთლიანად“, „სავსებით“, „სრულიად“, „აბსოლუტურად“ სიტყვების გაგებას); ხუთშაფათ **ჰიჩ** არ მოვლენ; **აზდაჰა** მეიტეხა კისერი (azdaha – კინაღამ); აზდაჰა ჩავარდა ღელეში...

„უნდა“ პირიანი ზმნაა წარმოშობით, მაგრამ ზოგიერთი ქართული დიალექტის მსგავსად (ნიჟარაძე,1975:134; მარტიროსოვი,1984:67), მაჭახლურშიც, ისევე როგორც კლარჯულ დიალექტებში საერთოდ, ნაწილაკად არის ქცეული და შეხორცებულია ფუძესთან. უმთავრესად გვაძლევს „**ნა**“-ს, იშვიათად კი „**და**“-ს. მაგ., **გამოჭრასნა** შიანაი; **ბათუმნა** წეიყვანოს; **თეიფშიანა** ამღეროს; **ბანთშიდა** ეიღოს; **ბანჲოშიდა** შევდეს (**თეიფი** –მაგნიტოფონი, **ბანთი** – **ფოტოლენტა**, **ბანიო** – აბანო).....

ე) თურქულიდან შემოსულა შორისდებული „be“ – „**ბე**“ (ჰა, ჰე – შორისდებულების ბადალია)... იგი ერთნაირად დამკვიდრებულა თურქულენოვან გარემოში მოქცეულ ქართულ მეტყველებაში საერთოდ, მათ შორის ზედა მაჭახლურშიც. მაგ., არა, **ბე**, იქ რანდა გევდეთ?!; გეიქე, **ბე**, ბელქი წამეეწევი?!; რა გათქმევიებს მაგას, **ბე**!?...

მაჭახლური ზმნურ ფორმათა წარმოებისა და სინტაქსური თავისებურებების საინტერესო სურათს იძლევა, რომლის შესახებ ცალკე ნაშრომში გვექნება მსჯელობა.

ამრიგად, მაჭახლური კილო არის სხვადასხვა ენობრივი მოვლენებით მდიდარი დამოუკიდებელი დიალექტური ერთეული. მისი საფუძვლიანი შესწავლა ბევრ სახასიათო ენობრივ ფორმას წარმოაჩენს და იძლევა შედარება-შეპირისპირების საშუალებას სხვა დიალექტისა და სალიტერატურო ენის მონაცემებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **ახვლედიანი** - გიორგი ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.

2. **გამყრელიძე** - თამაზ გამყრელიძე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგადი საკითხები. თბილისი, 1959.

3. **თოფურია** - ვარლამ თოფურია. ქართლური. თბილისი, 1925.

4. **თოფურია** - ვარლამ თოფურია. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი. კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, II, თბილისი, 1956.

5. **თოფურია** - ვარლამ თოფურია. ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. მოამბე, ტ. 2, №1-2, თბილისი, 1941.

6. **იმნაიშვილი** - გრიგოლ იმნაიშვილი. ქართლური დიალექტი. I, თბილისი, 1974.

7. იმნაიშვილი - ივანე იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957.

8. **კახიძე** - ნოდარ კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974.

9. **მარტიროსოვი** - არამ მარტიროსოვი. ქართული ენის ჯავახური დიალექტი. თბილისი, 1984.

10. **მარტიროსოვი** - არამ მარტიროსოვი. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბილისი, 1964.

11. **მარტიროსოვი** - არამ მარტიროსოვი. თანდებული ქართულში. იკე, I, თბილისი, 1946.

12. **ნიჟარაძე** - შოთა ნიჟარაძე. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. ბათუმი, 1961.

13. **ნიჟარაძე** - შოთა ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათუმი, 1975.

14. **ჟღენტი** - სერგი ჟღენტი. ქართული ენის ფონეტიკა. თბილისი, 1956.

15. **ქავთარაძე** - ივანე ქავთარაძე. ქართული ენის ისტორიისათვის. I, თბილისი, 1964.

16. **შანიძე** - აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, თბილისი, 1973.

17. **ჩიქობავა** - ჩიქობავა არნოლდ. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. ენიმკის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937.

18. **ჩიქობავა** - ჩიქობავა არნოლდ. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: 1. ფუმეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის. კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956.

19. **ჩიქობავა** - ჩიქობავა არნოლდ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936.

20. **ჩელები** ევლია, მოგზაურობის წიგნი. თბილისი, 1971.

21. **ცოცანიძე** - გიორგი ცოცანიძე. პრევერბების „შე“ და „შა“ დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემდგომადობის საკითხი. მაცნე, I, თბილისი, 1976.

22. **ძიძიგური** - შოთა ძიძიგური. ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1970.

23. **ძოწენიძე** - ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი. თბილისი, 1973.

24. **ჭინჭარაული** - ალექსანდრე ჭინჭარაული. ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1960.

25. **ჯავახიშვილი** - ივანე ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი, 1937.

26. **Gold** Peters, Frank Gillis. Georgian Folk music from Turkey. USA, 1979.

27. **Magnarella** Paul. The peasant venture,USA, 1973.

**ნარგიზ ახვლედიანი**
*ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
**Nargiz Akhvlediani**
*PhD in Philology, Principal Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია

# TOPONYMY OF THE KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი.** წინამდებარე ნაშრომი ჩვენ მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოპოვებული ტოპონიმების შესწავლა-გამოვლენის მიზნით ჩატარებულ კვლევას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით შევეხებით ხელვაჩაურის რაიონის კონკრეტული ტოპონიმების სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს. ტოპონიმი მრავალშრიანი ფენომენია. მას განსხვავებულად სწავლობენ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, გეოგრაფები, ეთნოგრაფები და სხვა სამეცნიერო მიმართულების მკვლევრები. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია მათი შესაძლო ახსნის მცდელობა სხვადასხვა სახის მონაცემებზე დაყრდნობით, კერძოდ: ანთროპონიმური, ბოტანიკური, ბუნებრივ-კლიმატური, ჰიდრონიმული, რელიგიური, ნიადაგის თავისებურებებისა თუ სხვა შეხედულებების გათვალისწინებით. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ტოპონიმების ლინგვისტური შესწავლის ორი განსხვავებული ასპექტი: ა) სისტემური და სტრუქტურული მახასიათებლები; ბ) წარმოშობის (ანუ ეტიმოლოგიის) ახსნა. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესია ხელვაჩაურის რაიონის ტოპონიმების სტრუქტურული ანალიზის წარმოდგენა და გარკვევა, სადაც მარტივი გეოგრაფიული სახელები საკმაოდ შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი.ისინი უმეტესად წარმოადგენენ გარკვეული მდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას. მაგალითად: „ცარა“, „ჭონჭყო“ და ა.შ. შედარებით უკეთაა წარმოადგენილი - „ო“ პრეფიქსით წარმოებული გეოგრაფიული სახელები. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ : „ოროკი“, „ოჭიკარტი“, „ოჯინჯი", „ოხტომი“ და სხვ. ნაშრომში გვხვდება „ათ/ეთ“ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები.ასე მაგალითად: „სინდიეთი“, „ჩხუტუნეთი“, „გოშპარეთი“, „ქოქოლეთი“, „გვიანეთი“, „ხინკილეთი“, „კახიეთი“, „ბასი-

ლეთი“ და სხვ. გამოვლინდა - „ურ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: „კვა-დაური“, „მახვილაური“, „მახინჯაური“, „ხელვაჩაური"და ა.შ. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ სხვა ტოპონიმებსაც, რომლებიც ნაწარმოებია: „თი“, „იშ//ში სუფიქსებით. ამის ილუსტრაციაა შემდეგი ტოპონიმები: „კვარიათი“, „ჭურიათი“, „კერკეტაში“, „ტიბაში“, „ქვაბიში“. დასკვნისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ასეთია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოპოვებული ტოპონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის ჩვენეული ახსნის ზოგადი სურათი.

**საკვანძო სიტყვა: ტოპონიმიკა, ანთროპონიმია, ეტიმოლოგია, ლინგვისტიკა.**

**Abstract.** Conducted study directed toward the revealing of the old toponyms of Khelvachauri municipality. In terms of understanding of this viewpoint, we will touch the specific structural-semantic analyze of toponyms of Khelvachauri district.Toponym is a multi-layer phenomenon. It is differently studied by linguistics, historians, archaeologists, geographers, ethnographers and other scholarly directions.

In addition, there will be an attempt of their possible explanation based on different kind data, like an anthroponomical,botanical, naturallandscape-climatic,settlementareas, religious believes, farming activity, hydroniums, and soil peculiarities. With times, two different aspects of the linguistic study of the toponyms have been formed: a) systemic and structural characteristics; b) explaining the origin (or etymology).

Our special interest is to represent and elucidate the structural analyze of toponyms of the Khelvachauri region. In toponymy of khelvachauri municipality, the simple titles are quite a limited amount and among the represented ones mostly represents physical-geographical characterization of the certain location. For example, “Tsara”, “Chonchqo” and etc. Relatively better represented geographical names with “o/“ო“prefix. As an examples of the last can be given geographical names “Oroki”, “Ochikarti”, Ojinji”, “Okhtomi” and etc.

From the point of the suffix “at/ეთ” in arise an interest following toponyms: “Sindieti”, “Chkhutuneti”, “Goshpareti”, “Kokoleti”, “Gvianeti”, “Khinkileti”, “Kakhieti”, “Basileti” and etc. Also, there were revealed toponyms with the “ur/ურ“ suffix, like “Kvadauri”, “Khelvachauri”, “Makhvilauri”, “Makhinjauri” and etc.

In presented article we consider another toponyms using with “ti/თი“,“ish//shi /იშ//ში“suffixes. Illustration for this is the toponyms “Kvariati”, “Churiati”, “Kerketashi”, “Tibashi”, “Kbabishi”. Finally it can be noted that such is a general picture of structural-semantic analyze of toponyms of the Khelvachaurimynicipality.

**Key words: Toponymy, Anthroponym, Etymology, Linguistics.**

გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს ქმნის ხალხი და მათ საკუთარი მოთხოვნილებისამებრ მოიხმარს კიდეც, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა შეიძლება, ძველ ადგილ-საცხოვრისს იცვლიდეს ან დამპყრობლური ომების შედეგად გადაშენდეს, სხვა ენობრივ კოლექტივში გაითქვიფოს. ახლად მოსულ ხალხს, ბუნებრივია, ადგილზე ხვდებოდა გეოგრაფიულ სახელწოდებათა მთელი სისტემა, რომელიც მას ჩვეულებრივ სამსახურს ვერ გაუწევდა. ამიტომ იწყებოდა როგორც ახალი სახელწოდებების შექმნა, ისევე, უკვე არსებულის თარგმნა-კალკირება. ასე ქრებოდა თანდათან ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურა, ხოლო მის სანაცვლოდ იქმნებოდა სახელწოდებათა ახალი ნარევი ფენა, რომლის შემადგენლობაშიც ხშირად გვხვდება ჰიბრიდული ანუ ორენოვანი ტოპონიმები.

სწორედ ისტორიული ქარტეხილებისა თუ ხალხთა დიდი და მცირე მიგრაციების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ „სუფთა“ ენას, რომლის ტოპონიმიაც სხვადასხვადროინდელ და სხვადასხვა ქონებრივ პლასტებს, დანაშრევებს არ შეიცავდეს. გამონაკლისს, ბუნებრივია, არც ქართული ენა წარმოადგენს. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი შემთხვევა, როცა ტოპონიმში ამოსავალი ფუძე ერთი ენის კუთვნილებაა, საწარმოებელი (სადერივაციო) ელემენტები (სუფიქსები)კი–მეორე ენისა.

სახელწოდებათა ეტიმოლოგიური კვლევა სპეციალისტებისთვის (თუნდაც არასპეციალისტებისთვის) თვითმიზნად არასოდეს არ უნდა იქცეს. შეუძლებელია (და, ალბათ, არცაა საჭირო) გავარკვიოთ ყველა ტოპონიმის წარმომავლობა მასში ჩადებული შინაარსი. მთავარია, ვიკვლიოთ ენა, როგორც მთლიანი სისტემა, როგორც განვითარებადი და ამდენად, ცვლადი ფენომენი.

ტოპონიმთა „მუდმივ ნათლიებს“ – რიგით ადამიანებს კი ყოველთვის აინტერესებდათ და აინტერესებთ არა სახელწოდებათა გრამატიკული მხარე (შედგენილობა, ძირი, ფუძე, საწარმოქმნო ფორმანტები, კუმშვა-კვეცის შედეგები და ა.შ.), არამედ ამ სახელწოდებებში ჩადებული შინაარსი, მნიშვნელობა, აზრი. სწორედ ხალხის ამ საყოველთაო ინტერესმა და სწრაფვამ დაუდო სათავე ე.წ. ხალხურ ანუ არამეცნიერულ ეტიმოლოგიას.

ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, ონომასტიკა.

ცალკეული კუთხეების, ხეობების შესწავლის გარეშე შეუძლებელია საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საქართველოს თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებები გააჩნია.

მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია და ეს არამარტო მეცნიერული ცნობის-მოყვარეობის თვალსაზრისით... ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისთვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისთვის“ (ბერძენიშვილი, 1964:175).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შედის მაჭახლის ხეობაც, რომლის წარსულიც მჭიდროდაა დაკავშირებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების ისტორიასთან (კახიძე, 1974:8). ხეობის წარსულზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ერთ-ერთი უძველესი, უნიკალური ქართული ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია „მაჭახლის სულთა მატიანეს“ სახელწოდებით. ხელნაწერი გ. ყაზბეგს აღმოუჩენია შავშეთის სოფელ ტბეთში 1874 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს. მას ხელნაწერი შემდეგ დ. ბაქრაძისთვის გადაუცია, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება და მოკლედ აღწერა. ხელნაწერი, როგორც სულთა მატიანე, ე.წ. მოსახსენებელი ნუსხა, შესრულებულია ეტრატის (ტყავის) გრაგნილზე ნუსხა-ხუცურით ( ბაქრაძე, 1878:197).

„მაჭახლის ხეობის სულთა მატიანე“, ძირითადად, გვამცნობს მაშინდელ გვარ-სახელთა, ქალთა და მამაკაცთა სახელებს, აგრეთვე ადგილთა სახელებს ანუ ტოპონიმებს. მატიანისეული გვარსახელები წარმოდგენილია „ეთ“, „ძე“, „შვილი“, – „ურ“, „ულ“ და სხვა აფიქსებით.

„ეთ“ სუფიქსიანი გვარსახელებია: აბესლამეთ, ალვეთ, ბეჩიეთ, ბრევაეთ, ბუწწელეთ, გაზიეთ, გათენიეთ, გიორგაეთ, გლიჯაეთ, გოგაბერეთ, გოგლაეთ, გორგაძიეთ, გუიანეთ, დავლაეთ, დოლიეთ, დურჯანეთ, ეგნატეთ, ვარდანეთ, ვაშანეთ, ვაცაეთ, ზარქიეთ, თევთიეთ, იაბედაეთ, კაკალაეთ, კანჯარეთ, კეჯერეთ, კორტიეთ, კუთხაეთ, მეფუტკრიეთ, მორჩიეთ,მწითურეფოვსიეთ, როსტომეთ, სამოელეთ, სიკალაეთ, სამურტანეთ, სკინეჯეთ, სისოეთ, ტიბორეთ, ტომარაეთ, ტურეთ, ფარაჯეთ, ფხიკაეთ, ქუაბელეთ, ჩავლეთ, ცანდაეთ, ცხადაეთ, წითელაეთ, წკირმონეთ, ჯარდენეთ და სხვ. ( კახიძე, 1974:10).

მატიანეში ბევრია „ელ“ ფორმატიანი სახელები: „აკრიელი“ ნანა, „ჯილნათელი“ თათანასძე მიქელი, ბასილ მორთულასძის „კიბელი“ მეუღლე, „ერგიელი“ გაბრასძე დავითი, „ჯოჯრელი“ ჭანისძე გრიგოლი, „ზენდიდელი“ გიორგისძე, „სმადელი“ ნიკოლოზ ვაცასძე, ვინმე „ხებელი“ და სხვ.

მატიანეს მიხედვით ჩანს, რომ იმდროისთვის გავრცელებული იყო „ძე“– სუფიქსიანი გვარები: ახალასძე, ბაგრატისძე, ბალასძე, ბასილასძე, ბერასძე, ბერიასძე, ბუწწელისძე, გაბლაშისძე, გაბრუშისძე, გათენასძე, გამრეკელისძე, გიორგასძე, გოგაბერისძე, გოგლასძე, გოგოსძე, გოგსისძე, გოვინასძე, გორგასძე, გორგოშასძე, გუნდარისძე, გუჯარისძე, დათვითისძე, დავლასძე, დოლისძე, ვაშანის-

ძე, ვაცასძე, ვერძასძე, ზარქისძე, ზურაბისძე, თავდიდისძე, თევთისძე, ვერსელისძე, თოთოსძე, იაკობასძე, ივანასძე, იობისძე, კაკალასძე, კანჯარისძე, კახაბერისძე, კიბელისძე, კირკიტისძე, კობისძე, კომისძე, კორტანელისძე, კოპლასძე, კუბრასძე, კუირიკასძე, ლაკაშისძე, ლომთათისძე, ლომდერისძე, ლომიერისძე, ლურჯასძე, მახარასძე, მახაჭასძე, მგელასძე, მელასძე, მეფუტკრისძე, მიმინოსძე, მიქელასძე, მორთულასძე, მოფნინასძე, მჭედლისძე, მხეცისძე, ნადირასძე, ნიკოლასძე, ნუკრასძე, ოსანასძე, პილპილასძე, რასტაგანისძე, რაჯახელისძე, როსტომისძე, სამოელისძე, სანადირასძე, საქუნთელასძე, ტბელისძე, ტრაპიზისძე, უთლელისძე, ულგრდასძე, ფარაჯისძე, ფიბოტისძე, ფოთელისძე, ფხიკასძე, ქობულისძე, ქადაგისძე, ქოქოლისძე, ქუაბოლოსძე, ღაღანისძე, შავჩიტისძე, შალვასძე, შამანასძე, შტრიკისძე, შუბანისძე, შუშანასძე, ჩახუასძე, ცალმოგვისძე, ცანდასძე, ცივნარისძე, წინწკელასძე, წიქარისძე, ჭანისძე, ჭაღუმელისძე, ჭუმბასძე, ნალკიასძე, ხინკილასძე, ხუცისძე, ჯავახისძე, ჯარდენისძე, ჯაფარისძე, ჯეჯელისძე, ჯიგნისძე, ჰარაბისძე (არაბიძე?) და ა.შ.

„შვილი“ სუფიქსიანი გვარსახელებიდან მატიანეში გვხვდება: აღსართანასშვილი, გივისშვილი, გორკენისშვილი, დავითისშვილი, დემეტრასშვილი, კილისურისშვილი, კოკოპინასშვილი, მათისაშვილი, მელეყმასშვილი, მეტეხელისშვილი, მიქასშვილი, მურვანისშვილი, პეტრასშვილი, სასანასშვილი, სუმბატისშვილი, დიბოტისშვილი, ფხიკისშვილი, გავთარასშვილი, ქლუტისშვილი, შალთარასშვილი, ჩიტასშვილი, წანგრისშვილი.

მატიანეში გვხვდება „ურ“ და „ულ“ სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებიც მაჭახლისა და აჭარის სხვა ხეობათა სინამდვილეში დღეს აღარ გვხვდება: აბესლამური, გუიანური, თევთიური, კულუმბური, ქოქოლური, ქუაბელური, ფოთელური. ხინკილაური, გაბრიჩიული, გორგაული, ვერძაული... შდრ.:აღ. საქ-ში: ოჩიაური, ინაური, არაბული, ბურდული, თეთრაული და სხვ. (კახიძე, 1974: 11).

ძალიან საინტერესოა ქალთა და მამაკაცთა მატიანესდროინდელი სახელებიც. ქალებს რქმევიათ: ბათუთა, ბორენა, ბურია (?), ყურდუხანი, გვანცა, დიოფალა, დუდა, თამარი, თინა, თინათინი, თუთა, მარგალიტი, მარიამი, მართა, მარინე, ნათელა, ნათია, პარასკევა, რუსუდანი, სანათა, ჩხუტუნია, ცაცა, ცინცხალა, ხუარაშანი, ხუაშაქი და ა.შ. მამაკაცებს ერქვათ აბაშა, ათანასე, ანდრონიკე, არსენი, არსლანი, ბასილი, ბეშქენი, ბიბილა, გიგლა, გიორგი, გივი, გრიგოლი, დავითი, დანიელი, დემეტრე, ესაია, ვარდან, ზაქარია, ზებიდა, ზვიადი, თევდორე, თომა, იაკობი, იესე, ივანე, ილარიონი, იონა, იორდანე, კაკა, კვირიკე, კოზმნი, კონა, ლაზარე, ლომა, მამია, მანჩხა, მარკოზი, მარუშინ, მახარა, მახარემლ, მგელა, მინა, მიქელ, მშუიდა, ნადირა, ნიკოლოზ, ოთარი, ონოფრე, ოქრო, ოქროპირი, პავლე,

პეტრე, რომანოზი, საბა, საგია, საღირა, სეხნია, სიხარული, სილომონი, სტეფანე, სუნბატი, ქავთარი და სხვ.

ხელვაჩაურის რაიონის ტოპონიმიაში მარტივი სახელები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც, რაც წარმოდგენილია, გამოხატავს ადგილმდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას. ასე მაგ. **ცარა** – ადგილი (ხელვაჩაურის რ-ნი), **ჭონჭყ** – სასვენი ადგილი კობალეთში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ჭენჭეხი** – სათესი ჭანივრში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ოჯინჯი** – ადგილია (დაბა მახინჯაურში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ოროკ** – ჩაის პლანტაცია (სოფ. ევგენიძეები, ხელვაჩაურის რ-ნი), **ოჭიკარტი** – სოფელია ჩაისუბანში (ხელვაჩაურის რ-ნი)... შედარებით მეტადაა წარმოდგენილი დანიშნულების ო-პრეფიქსი. სუფიქსური წარმოებიდან სჭარბობს – „ეთ“ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები.

ასე მაგალითად, სინდიეთი, ჩხუტუნეთი, ჩუქუნეთი, გოშპარეთი, ქოქოლეთი, ხინკილეთი, დავითეთი, გვიანეთი, გორეთი, სიკალეთი, ტოხიეთი, კოსტანეთი, კინტურეთი (ხელვაჩაურის რაიონის სოფლებია). გვხვდება – „ურ“ – სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც: **ჯიხური** ადგილია მახინჯაურში (ხელვაჩაურის რ-ნი), **კვადაური** – ფერდობი (სოფ. ქედქედი, ხელვაჩაურის რ-ნი), **მახვილაური** – სოფელია (ხელვაჩაურის რ-ნში), **მახინჯაური** – დაბა (ხელვაჩაურის რ-ნი), **ხელვაჩაური** (სოფელი და (სასოფლო საბჭო ხელვაჩაურის რ-ნი), გვხვდება „თი“ და „იშ//ში“ – სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმებიც. ასე მაგალითად, **ჭურიათი** – სოფლის უბანი, **ფერდობი** (სოფ. ერგე, ხელვაჩაურის რ-ნი), **კვარიათი** – მდინარე და სოფელი (სოფ. გონიოში ხელვაჩაურის რ-ნი), **ქვაბიში** – საძოვარი ადგილია ფანჩვეთში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ღრემში** – მთა და მდინარე (ხელვაჩაურის რ-ნი), **კერკეტაში** – სოფლის უბანი (ს. სარფი, ხელვაჩაურის რ-ნი), **ტიბაში** – ღელე სარფში (ხელვაჩაურის რ-ნი).

გავრცელებულია ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. იგი კვლავ ქონების, თვისების, დანიშნულების, წინა ვითარების გამომხატველია. მაგ. **ოჭვაბურა** – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. კირნათი, ხელვაჩაურის რ-ნი), **ოხვამე** – ადგილი სიმონეთში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ონტოფო** – ღელე (ხელვაჩაურის რ-ნი), **ნაუჩვარი** – სოფელია კირნათში (ხელვაჩაურის რ-ნი), **ნაჯარგვალევი** – ადგილი სოფელ კიბეში, ხელვაჩაურის რ-ნი).

ხელვაჩაურის ტოპონიმიაში სიტყვათშეერთების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ:

1. არსებითი სახელი+არსებითი სახელი

მსაზღვრელ-საზღვრული ორივე სახელობით ბრუნვაშია:

კაპანდიბი – სოფელია ხელვაჩაურის რაიონში

2. არსებითი სახელი+ზედსართავი სახელი

სახელობით ბრუნვაში დასმული საზღვრული და ასევე ნომინატიური მსაზღვრელი მხ.რ.-ში წყობა პრეპოზიციურია:

ხელვაჩაური – დაბა (ხელვაჩაურის რაიონში)

3. არსებითი სახელი+ზედსართავი სახელი

სახელობით ბრუნვაში დასმული საზღვრული და მსაზღვრელი:

სკურქუბა – ღელეა თამარის დასახლებაში.

ტოპონიმთა სემანტიკური კლასიფიკაციისას ანგარიში უნდა გაეწიოს სწორედ ტოპონიმის მნიშვნელობას, რას აღნიშნავს ტოპონიმი? ტოპონიმის მნიშვნელობა ობიექტურ სინამდვილეში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტზე მითითებაში მდგომარეობს. უმეტეს შემთხვევაში იმის ჩვენება, თუ რას აღნიშნავს ტოპონიმი, ნათელყოფს მოტივს, რომელმაც შეაპირობა ამა თუ იმ ტოპონიმის არჩევანი.

წინამდებარე თავში ჩვენ წარმოვადგენთ ძირითად სემანტიკურ ჯგუფებს, მიმოვიხილავთ გეოგრაფიულ სახელებს. მათში წარმოდგენილი ლექსიკური მასალის თვალსაზრისით ვიძლევით ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგიას.

სემანტიკური ანალიზისას, ბუნებრივია, მხოლოდ ისეთ ტოპონიმებს მიმოვიხილავთ, რომელთა სემანტიკა დღეისთვის გამჭირვალეა და რომელნიც სხვა მსგავს გეოგრაფიულ სახელებთან ერთად გარკვეულ შინაარსობრივ ჯგუფებს ქმნიან. ესენია:

ა) ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები. ცნობილია, რომ ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი გენეტურად ანთროპონიმებთან არის დაკავშირებული (თავის, მხრივ, ანთროპონიმთა გვარები, სახელები და მეტსახელები განსაკუთრებით ხშირია დასახლებული პუნქტებისა და მიკროობიექტების სახელწოდებაში.

ქვემოთ წარმოვადგენთ ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს.

**ბუძგის მეჰელე** – „ბუძგ“, როგორც ჩანს, წარმოადგენს „ბარძგ“ ძირის მეგრულ ვარიანტს (ქართ. ბარძგ. მეგრ. ბორძგ, ბურძგ), რომელიც გურულში და აჭარულშიც ზანიზმი უნდა იყოს. ბუძგი – ბუსუსი, გინგლი (ჯაგარი – თმა) (ყიფშიძე, 1994:204), „ბაძგი“ (გურ) – ეკლიანი მცენარე. შქერის მსგავსი ეკლისფოთლებიანი ხე (აჭარ.). „ბარძგ“ – (იმერ) ეკლიანი მცენარე (ღლონტი, 1984:60). ბუძგი –„პატარა ზღარბი“ (საბა) და „ბუძგურ“ – ეკლით დაბარდული (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:46). რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიოლოგიას, იგი ანთროპონიმულ ტოპონიმად გვესახება და ვინმე „ბუძგი“-ს კუთვნილი ტერიტორია, უბანი შეიძლება ყოფილიყო. შესაძლოა, „ბუძგი“ გადატანითი მნიშვნელობით, ვინმე ჯაგარ (ზღარ-

ბისმაგვარ) თმიანი პიროვნების მეტსახელი იყოს, ხოლო ტოპონიმის მეორე ნაწილი (მეჰელე) – უბანს ნიშნავს (აქვს სოფლის მნიშვნელობაც). ლაზურში „მეჰელე“ – თურქულიდან შემოსული ჩანს. თუმცა არც ისაა, გამორიცხული ეს (ადგილი) ტოპონიმი მცენარესთან დაკავშირებული ყოფილიყოს (შდრ.: მწვანე კონცხი – შქერნალი კონცხი). ტერიტორიას, რომელიც ბაძგის მაგვარი (ეკალ-ბარდიანი) მცენარით იყო დაფარული, შესაძლოა ეწოდა კიდევაც მცენარესთან დაკავშირებული სახელი.

**კერკეტაში** – სოფლის უბანი (ს. სარფი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). „კერკეტი“ – მაგარი, მეტისმეტად მკვრივი საგანი, მაგარნაჭუჭიანი ნიგოზი“, „ბოლო ხან კერკეტი კაკალი მეტი გამოვიდა, მის გარჩევაში სული აგძრება კაცს“. კერკეტს, გადატანითი მნიშვნელობით, უტეხ, ჯიუტ ადამიანზე იტყვიან (ალავიძე, 1938:148): „ნამეტანი კერკეტიაო“. „კერკეტავლი“ – სახნავი (ქამადაძე, 1992:109). კერკეტავლი→კერკეტაული.

კერკეტი ამავე მნიშვნელობით გვხვდება გურულში, იმერულსა და ლეჩხუმურში (ჟღენტი, 1936:228). შდრ. საბა: „კერკეტონი“ – კაცნი ღამის ბოროტ მავალთა შემპყრობელნი“. ძველ ქართულში „კერკეტი“ არ ჩანს არც ილია აბულაძის ძველ ქართულ ლექსიკონში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბასეულ „კერკეტონ“-ს.

ლაზურად „კერკეტა“ იგივეა, რაც აჭარულსა და სხვა დიალექტებში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „კერკეტი“ იმერულ-ლეჩხუმური დიალექტის კუთვნილებაა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალები და დიალექტოლოგიური ლექსიკონები გვიჩვენებენ, რომ „კერკეტი“ იხმარება აჭარულსა და გურულ დიალექტებშიც. მხოლოდ დასავლურ დიალექტში არსებობა მიგვანიშნებს, რომ „კერკეტი“ ზანური წარმომავლობისაა, ხოლო რაც შეეხება ტოპონიმების – „კერკეტაში“ და „კერკეტავლი“-ს ეტიოლოგიას, საფიქრებელია, რომ იგი ვინმე „კერკეტი“-ს (პიროვნების ზედმეტსახელი) კუთვნილ ტერიტორიას აღნიშნავდა.

**კვადაური** – ფერდობი (სოფ. ქედიქედი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). კვადაცი – ქაცვი (ჭარაია, 1997:77; მაყაშვილი, 1991:148). ქაცვი – ქართული კატაფშატა. ახ. ეშმაკის ფეხა, ხევს. ეშმაკის ფეხა, ხევს. იუდის ჯაგი, გურ. ყვავ-ტყემალი, ჭნ. სკიფინდარი, კვადაცი – მცენარე (облепиха) (ყიფშიძე, 1994:254). კვადაცერა ადგილია, სადაც ბლომად ხარობს კვადაცა (ცხადაია, 1985:78). კვადაური ფორმაში „ურ“ კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია, გადატანითი მნიშვნელობით „კვადა“ შესაძლოა, ადამიანის მეტსახელიც იყოს (შდრ.: ქაცი – ზედმეტსახელი). ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ადგილი ვინმე „კვადა“-ს კუთვნილი ტერიტორია ყოფილიყო.

**კვარიათი** – ესაა მდინარე და სოფელი (ს. გონიო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). ადგილობრივი ინფორმატორის ალი ხორავას ცნობით, ამ ადგილას თოვლი დიდხანს არ დნება: „აქ თოვლის საწოლია, არ დგება თოფლი“ კვარაში (კუჩხა), სათოვლია. სათოვლია – Colehi cum umbrosum – თოვლის ყვავილი; იმერ; (შდრ.: გურ. კვარაკუნჩხა) (მაყაშვილი, 1991:61, 148). მეკგრ. პაპისყვერა, კოჩივარდა, ქორჩიოტა, კვარაკუნჩხა, ტკვარჩელა, ტყუტუცია (ჭარაია, 1997:129). ქართული ყოჩივარდა. იგი თოვლის მახარობელი ყვავილია, რაც შეეხება „კვარიათი“-ს ეტიოლოგიას, მდინარის პირას დღესაც მრავლად ხარობს ყოჩივარდა. შესაძლოა, კვარიათი დაერქვა მდინარისპირა ადგილს, სადაც კვარაშ კუჩხა ხარობდა, და შემდეგ ეს სახელწოდება გადავიდა მდინარეზე და სოფელზე კონვერსიის გზით). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზანური მაწარმოებლით გაფორმებული ზანურფუძიან ტოპონიმთან. თუმცა შესაძლოა,. „კვარიათი“ „ბაჯგათი“-ს მსგავსად ანთროპონიმი იყოს და ვინმე „კვარია“-ს ოჯახობას, შთამომავლებს დაერქვა.

**მახინჯაური** – დაბა (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). დ. ბაქრაძე თავის მოგზაურობის წიგნში, რომელიც 1878 წ. გამოიცა ერთგან მოიხსენიებს ციხისძირსა და მახენჯურს (махенджури), (Бакрадзе, 1878:13) ი. სიხარულიძეს „მახინჯაური“ ზანური წარმოშობის ტოპონიმად მიაჩნია და იქვე ასაბუთებს თავის აზრს: თუ მას მა-ურ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელად ვიცნობთ, მაშინ ფუძედ დაგვრჩებოდა „ხინჯ“-ი. „ხინჯ“-ი კი ქართული „ხიდ“-ის სახენაცვალი ფორმაა. ხიდი საერთო კუთვნილების სიტყვაა ქართულსა და ზანურში, ამ უკანასკნელში „ხინჯი“ მივიღეთ შემდეგნაირად: ჯერ „ხიდ“-ის „დ“-ს შეენაცვლა „ჯ“, ხოლო შემდეგ მის წინ ნ განვითარდა. მეგრულში ამგვარი ფორმა მხოლოდ ზუგდიდურს დაუცავს. სენაკურში კი „ხიდ“-ე გვაქვს. ეს გარემოება, ქართულის გავლენის შედეგია. ხიდი-ხინჯი და ამათგან ნაწარმოები სახელები ხშირია საქართველოს ტოპონიმიკაში (სიხარულიძე, 1958:4). ამავე აზრს ავითარებს გ. ბედოშვილი, რომელიც შენიშნავს, რომ ტოპონიმი „მახინჯაური“ წარმომდგარი ჩანს „ხინჯ“ მეგრული სიტყვისაგან, რაც ქართულად „ხიდს“, „ბოგას“ ნიშნავს. ამ „ხინჯ“ სიტყვას ვხედავთ ტოპონიმებში: „ხინჯიკარი“ და „ჭუმბურხინჯი“. პირველი სოფელი იყო სენაკის მაზრაში (ყიფშიძე, 1914:404), ხოლო მეორე ამჟამად სოფლისავე სახელად დასტურდება გალის რაიონში (საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, 197:133). „ხინჯიკარი“ ხიდისკარს ნიშნავს, „ჭუბურხინჯი“ კი – წაბლის ხიდს (ბედოშვილი, 1998, №3 (43). შეიძლება უფრო მართებული იყოს ამ სახელწოდების სუფიქსური წარმოების სახელად მიჩნევა და მისი ზანურივე „მახინჯ“-თან დაკავშირება-განაგრძობს ი. სიხარულიძე. ზანური „მახინჯ“-ი ქართულად „ქურდ“-ს ნიშნავს. ქურდისგან ნაწარმოები სახელები იშვიათად არ გვხვდება ტოპონიმიკაში. ქურდი გამოიყოფა მაგალითად, სოფლების სახელებში: ქურდ-ულ-ი“ (ხულოს რ-ნი), ნა-ქურდ-ევ-ი“ (ადიგენის რ-ნი) და სხვა.

გ. ბედოშვილი წერს: „ხინჯ“ სიტყვას დართული უჩანს მიმღეობის მაწარმოებელი თავსართი „მა“ და „ა“ სუფიქსი „მახინჯ“-ა, რაც ქართულად ხელობა-მოსაქმეობის (პროფესიის) აღმნიშვნელ ტერმინად უნდა ვცნოთ. „მა-ხინჯ-ა“ მიმღეობურ ფორმას ნიშნავს („მე-ხიდ-ე“, „ბოგების ოსტატი“, „მებოგე“) მეტსახელად ქცეულს, მიურთავს კუთვნილების აღმნიშვნელი-ურ სუფიქსი და შედეგად მახინჯაური მიგვიღია. მაშასადამე (მა-ხინჯ-ა-ურ-ი) უნდა განიმარტოს ასე: „ადგილი, რომელიც ვინმე მეხიდე (მებოგე) კაცს ეკუთვნოდა“, „ხიდის ოსტატობით ცნობილი პიროვნების კუთვნილი ადგილი“ (ბედოშვილი, 1998: №3 (43) ჟურნალი „სალიტერატურო გაზეთი“).

ა. ახვლედიანს ი. სიხარულიძის მიერ „ხინჯ“-ს (ხიდი) ამოკითხვა დამაჯერებლად არ მიაჩნია. ისიც უნდა ითქვას, რომ ჭანურ-მეგრული „ხინჯი“ ქართულად „ხიდ“-ს ნიშნავს, მაგრამ, ვფიქრობთ, „მახინჯაურ“-ის ეტიმოლოგიის ასახსნელად ეს სიტყვა არ გამოდგება, იმიტომ, რომ აქ საკუთრივ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისიც წარსულში, რაიმე ხიდის არსებობაზე ლაპარიკიც კი ზედმეტია (ახვლედიანი, 1961:4). ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ვიფიქროთ, „მახინჯაური“ მახას და მეგრულ-ჭანური ჯირის (ჯურის შეერთებით წარმოსდგა (შდრ. ჯიხანჯური). მახა, საბას განმარტებით, მცენარეა, ყანაა, ასლსა ჰგავს (ორბელიანი, 1991:451). „მახინჯაურში მცენარეთა აღმნიშვნელი ტოპონიმები უხვად გვხვდება (ომბალური, ნაპურვალი, ნაჭ(ვ)ავარი და სხვა, თუმცა ახლა ტოპონიმი მახა არ გვხვდება ცალკე, მაგრამ საფიქრებელია, იგი ადრე არსებობდა და შემდეგ მასთან ჯურის (ჯირი, ძირი) შეერთებით მივიღეთ სოფლის სახელწოდება მახა-ნ-ჯური, რაც შეეხება „ნ“-ს იგი „ჯ“-ს წინ ფონეტიკურად არის განვითარებული (ჟღენტი, 1953:86-96), რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ჭანურ-მეგრულისათვის.

ა. ახვლედიანი ასეთ აზრსაც გვთავაზობს: თუ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... და აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“ (ჯანაშია, 1959:122), მაშინ შესაძლოა, „მახინჯაურ“-შიც ამ ენათა „ოდინდელი ნაკვალევი“ ამოვიკითხოთ. არსებობს სხვა მოსაზრებაც, კოლხური ხინჯი აღნიშნავს, როგორც ხიდს, ასევე წყლის მონატან ნალექს, ღორღს, ქვაყრილს. ზღვისპირა პუნქტის დარქმევის მოტივად ასეთი შინაარსიც გამოსარიცხი არაა (დანელია, ცანავა, 1991:625).

ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმში უნდა გამოიყოს „ხინჯა“, რაც ნიშნავს რკინეულობის წიდას, რიოშს (ჭარაია, 1997:180). სარიოში წყლის დიდი ჯამია, წიდათ გასარეცხელი წყლის ჯამი წიდათ სასარცხო სარიოში სირჩაა, რომელშიც ორმოცი თუხტი ჩავიდეს (ორბელიანი, 1993:51).

აჭარა მინერალური რესურსებით მდიდარია. აქ გვხვდება როგორც მადნეული, ისე არამადნეული წიაღისეული. შავი ლითონებიდან აღსანიშნავია მაგნეტიტური ქვიშები, რომელიც გვხვდება ქობულეთ-ჩოლოქის ზღვის სანაპირო ზოლში. მადნის ვერტიკალური გავრცელება რამდენიმე სანტიმეტრია (ფუტკარაძე, 2001:10-12).

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ საველე ექსპედიციების დროს წლების მანძილზე შეგროვებულ მასალაში დაფიქსირებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათში მურღულის ხეობიდან მდ. ჭოროხის გავლით მადნეულის (შავი და ფერად ლითონის) გამოტანა, შემდეგ ადგილზე ხელვაჩაურის რაიონში მიმდინარეობდა მადნეულის წარმოება. კერძოდ, მე-19 საუკუნეში სოფ. ერგეში (ხელვაჩაურის რაიონი) ფუნქციონირებდა რკინის სადნობი საამქრო, დღეს მისი მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. 2000 წლის ივლის-აგვისტოში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგების მიერ (ისტ. მეცნ. კანდიდატები ნ. ხახუტაიშვილი, გ. თავამაიშვილი) დაბა ჩაქვში აღმოჩენილი იქნა რკინის სადნობი ქურები. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, სამოსახლო ადგილებთან დიდი რაოდენობით წვავდნენ ნახშირს. გოგირდოვანი წყლებიდან, რომელიც დიდი რაოდენობით რკინის შემცველია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მახინჯაურის წყალი, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს სანატორიუმი. გოგირდშემცველი წყლები, ასევე, გვხვდება ქ. ქობულეთსა და ს. ჭახათში. რაც შეეხება ტოპონიმ „მახინჯაური“-ს ეტიოლოგიას, საფიქრებელია, აქ ყოფილიყო „საწიდაო ადგილი“, თუმცა უფრო სარწმუნოა ა. ახვლედიანის ვარაუდი, „მახინჯაურ“-ის საკუთარი სახელისაგან – ონომასტიკონიდან წარმომავლობა: „მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელის არსებობას ქართულ სახელთა ნომენკლატურაში გვიდასტურებს „ქართლის ცხოვრება“, ჟამთა აღმწერელი, ლაპარაკობს რა ვინმე ალათმურის შემოსევაზე (XIII ს. II ნახ.) „სამცხის კერძო“, ამბობს: „მოიწივნეს ქუენა არტაანს... და მუნ დახვდა მურვან გურკელელი, მახუნჯაგის ძე, წინა შეემთხვა ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს თათართა და კნინღა მოაკუდინეს“. მაშასადამე, სახელი „მახუნჯაგ“ ქართულ საკუთარ სახელთა ნომენკლატურისთვის დამახასიათებელი ყოფილა და იგი იხსენიება ისეთ საისტორიო წყაროში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“, – დასძენს ავტორი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე აზრისაა პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, რომელიც ამბობს „მახინჯაური“ ხალხური ეტიმოლოგიით წარმოსდგება „მახინჯისგან... ჩვენის ფიქრით, კი საკუთარ სახელისაგან „მახუნჯაგ“ (ახვლედიანი, 1961:82).

ტოპონიმი „მახუნჯურა“ ადგილის სახელია ქედის რ-ნის სოფელ დოლოგან-ში. ა. ახვლედიანის ცნობით, „მახუნჯურა“ ადგილის სახელწოდებად გვხვდება დღევანდელ გალის რ-ნში. მისივე ცნობით, ამავე სოფლიდან უნდა წარმოდგებო-დეს სოფელ „მახუნცეთის“ სახელწოდებაც. ოღონდ იქ „ურ“-ის ნაცვლად „ეთ“ სუფიქსი დაერთო და მივიღეთ: მახუნჯ-ეთ-ი, მახუნც-ეთ-ი.

ცნობილია, რომ ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი გენეტურად ანთროპონი-მებთან არის დაკავშირებული (თავის მხრივ ანთროპონიმთა ფუძეებშიც არაა იშვიათი ესა თუ ის ტოპონიმი). ძნელია იმის თქმა, თუ რა დროს შეერქვა მახინ-ჯაურს ეს სახელწოდება.

დღემდე სპეციალისტთა მიერ არაერთი ვარაუდი არის გამოთქმული ამ ტო-პონიმის ირგვლივ. ადგილობრივ გავრცელებული ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, იმ ადგილს ძველად მახინჯი-გიაური რქმევია: ოსმალთა ბატონობის დროს აქ ქრისტიან ხალხს იჭერდნენ, სახეზე ნაჭრილობევებით ამახინჯებდნენ. ამიტომაც ამ ადგილისთვის ხალხს მახინჯი-გიაური უწოდებია, საიდანაც მოგ-ვიანებით მახინჯაური წარმომდგარაო, მიიჩნევდა ი. სიხარულიძე (ბედოშვილი, 2002:251-252).

ქართული ტოპონიმიის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს კიდეც, გასაოცარია, რატომ ჰქვია ამ ლამაზ კურორტს ასეთი უცნაური, შეუფერებელი სახელი, მახინჯაურს ხომ მახინჯთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდესო (ჭუმბურიძე, 1982:207).

ლეჩხუმში ბევრი გვარი გვხვდება, რომელთაც არა აქვთ გადმოცემები მოსუ-ლობის შესახებ. ამ გვართა რიცხვს მიეკუთვნება ახვლედიანთა გვარიც. სოფელ აღვში (ლეჩხუმის რ-ნი) ცხოვრობდა თურმე ერთი მოსახლე – მამუკა ახვლედია-ნი, მას ციხეც ჰქონია, რომლის ნანგრევი ახლაც ჩანს აღვის ძირში. მამუკას აღვის ჭალაში მიწა-წყალი უხვად ჰქონია (ახვლედიანი, 87). ლეჩხუმში, კერძოდ, სოფელ ზოგიშის სამხრეთით, მთის წვერზე დგას ახვლედიანების ციხე (ბერძენიშვილი, 1983:56). ახვლედიანთა სვანურ წარმომავლობაზე გვარითაც შეიძლება ვიმ-სჯელოთ – არა მარტო მისი დაბოლოებით, არამედ სხვა ფაქტიდან გამომდინარე. ზეპირი გადმოცემებით, ახვლედიანების ციხეს ლეჩხუმში, რომლის მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი და „კახვილდაშ“-ი რქმევია. ჩვენ ზემოთ თქმულსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ამ გვარში დალექილ ქვასთან დაკავშირებულ ტოპონიმსაც დავინახავთ: კა-ხ (ვ) – ილდ–აშ-ი. „კა“–ქვა, ქვისა, კა (კაშ, კარალ–ფიქალი ქვა; კერია (გადატანითი მნიშვნელობით, რკინის თხელ ფილასაც უწო-დებენ (თოფურია, ქალდანი, 2000:340). „ილდ“ – სვანური კნინობითობის სუფიქ-სია ((თოფურია, ქალდანი, 2000:283), რომელიც კოლხური კულტურისთვის არ იყო უცხო (შდრ. ილდ-ამ-უშ-ი-„კოლხეთის სამეფოს სახელი „აშ“ – ნათესაობითი ბრუნვის ფორმატია – „ის“. კახვილდაში→“ქვისა ხარ“...

ძნელია იმის თქმა, თუ რა დროს შეერქვა მახინჯაურს ეს სახელწოდება, ყოველ შემთხვევაში, მისი ტოპონიმიკის, ონომასტიკონისა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი ნაშთის ზერელე შესწავლაც კი გვაფიქრებინებს, რომ იგი (სოფელი, დაბა) უძველესი წარმოშობისაა. ცნობილია, რომ ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი გენეტიკურად ანთროპონიმებთან არის დაკავშირებული (თავის მხრივ, ანთროპონიმთა ფუძეებშიც არაა იშვიათი ესა თუ ის ტოპონიმი). ტოპონიმი მახინჯაური ანთროპონიმული წარმოშობისააა და იგი საკუთარი სახელისგან მომდინარეობს. რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას, შესაძლოა, ეს ზედმეტსახელი შერქმეოდა პიროვნებას ძლიერი, მაგარი (რკინისებური) ხასიათის გამო (ახვლედიანი, 2012:21-22).

საქართველოში გვარებისგან ნაწარმოები შემდეგი გეოგრაფიული სახელები გვხვდება: ქვემო ქართლში – საბარათიანო, საორბელიანო, საყაფლანიშვილო, საციციანო, საჯავახიშვილო, საამილახვარო, სამაჩაბლო; იმერეთში – საჩიჯავაძო, საჩხეიძო, სანიჟარაძო, სამიქელაძო, საწულუკიძო, საჯაფარიძო, საწერეთლო, საყიფიანო, სალაშხიშვილო, საინასარიძო, საახვლედიანო და სხვა. მკვლევარი ი. სიხარულიძე წიგნში – „ხარიტონ ახვლედიანზე“ – წერდა, რატომ არ დაერქვა მახინჯაურს საახვლედიანო? (შდრ. იქვე სახალვაშო), ამ კითხვაზე პასუხი შემდეგში მდგომარეობს: მახინჯაური ზანური ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელია. ზემოთ ჩვენ გავაანალიზეთ მისი ზანურიდან მომდინარეობა (ხინჯ-რკინა) და აღვნიშნეთ, რომ შესაძლოა, ეს ტერიტორია ვინმე ძლიერი (რკინისებური) ხასიათის მქონე პიროვნების კუთვნილი ტერიტორია ყოფილიყო. ამ ჩვენს ნააზრევს მხარს უმაგრებს „ახვლედიანი“-ს ჩვენეული ეტიმოლოგიაც, რაც ქვასთან (გადატანითი მნიშვნელობით – რკინასთან) დაკავშირებულ ანთროპონიმს წარმოადგენს (კახვილდაშ–„ფიქალი ქვისა“) ახვლედიანების ამაყ, გაუტეხელ და ვაჟკაცურ ბუნებაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა ბევრი რამ. რაც შეეხება ტოპონიმ „მახინჯაური“–ს სახელდების მოტივაციას, შესაძლებელია, იგი საახვლედიანოს ზანური ვარიანტი იყოს.

**ჩხუტუნეთი** – სოფელი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). გადმოცემის მიხედვით, „მთა მოხეთქილა, წუუღია სახლები და ღელეში ჩუუტანია და დიერქვა ჩხუტუნეთი, დაჩხოტვილი ქვეყანა“ (ნოღაიდელი, 1960:3). „ჩხოტვა“– ხის ფოთლების გაცვლა, მოკრეფა. „ყაჭიზა ვჩხოტავთ ჟვერს“ (ბსკიდა №5, გვ. 111). „ჟვერს გავჩხოტდით“ (ბსკიდა, საქმე №12, გვ. 82) „ახლა საბღალავი საჩხოტია ჩაი“ ბსკიდა, საქმე №6, გვ. 160). „სულ გედემეღლიტა, ცავ, ხელი (ს) გული ჟოლი (ს) ჟვერის ჩხოტვაში“ (ნიჟარაძე). „ჩხოტვა“– ფოთლების ერთიანად გაცლა ხის ტოტებზე (ნიჟარაძე, 1971:48). „ჩხოტვა– ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება გურულსა და იმერულში (ჟღენტი, 1936: 255; ღლონტი, 1984:669). ს. ჟღენტის აზრით, ჩხოტვა

ზა-ნიზმია. მისივე თქმით, ლაზური „ოჩხოტალე“//ოცხოტალე“//ოცხოპუ–მეგრული: ოცხოტალე// ოჩხოტალე და გურული „ჩხოტვა“ ერთი და იგივე ფუძეებია. ფუძე „ცხოტ“ მეგრულშიც დასტურდება: „ჯას ცხოტუნს“–„ხეს ბღალავს“ (ჩიქობავა, 1938:386). აჭარულში, ისევე როგორც, გურულში, „ჩხოტვა“ ზანური წარმომავლობის ფორმად უნდა მივიჩნიოთ (თანდილავა, ნარაკიძე, 1986:106-107). „ჩქოტუა//ჩხოტუ-გვარია. „ჩხოტირია“ – კურდღლისტუჩა ადამიანი. „ფოლი გოჩხონტილი“ – მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ჩლიქები გაორმაგებული აქვს (მაყოფილი) (ყიფშიძე, 1994:367-368).

**ჩხუტუნია** – ქალის სახელადაც გვხვდება. შესაძლოა, ის ანთროპონიმული სახელიდან მომდინარე ტოპონიმი იყოს. პირველად გვქონდა ადამიანის მეტსახელი – ჩხუტუნია (კურდღლისტუჩა), შემდეგ ეტაპზე იგი გვარად გაფორმდა და ბოლოს მივიღეთ ტოპონიმი: „ჩხუტუნეთი“, რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას, იგი ვინმე ჩხუტუნიას კუთვნილი ტერიტორია (ადგილი) უნდა ყოფილიყო.

### მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ზანური გეოგრაფიული სახელები

საკვლევი ტერიტორია მდიდარია მცენარეული საფრით. მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები გაფორმებულია სხვადასხვა აფიქსით, არის შემთხვევები, როცა მცენარის სახელი პირდაპირ (მაწარმოებლის გარეშე) ჰქვია გეოგრაფიულ ობიექტს. მაგ.:

**ბილანცრო** – ფერდობი (სოფ.ზ. ჩხუტუნეთი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). მაჭახლის ხეობაში ბილანცრო ეწრის (გვიმრის) მსგავს მცენარეს ეწოდება. ქართულსა და მეგრულში „ბილანცრო“ არ დასტურდება. ლაზურში „ბილონცა“ გვიმრისმაგვარ მცენარეს ჰქვია. მაყაშვილი მას გვიმრად თარგმნის (მაყაშვილი, 1990:143; თანდილავა, ნარაკიძე, 1986:94).

**ოჭიკარტი** – საძოვარი (ს.ჩაისუბანი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). ამოსავალი ჩანს მცენარის სახელი ჭიკარტა. იგი დასტურდება ალ. მაყაშვილის ლექსიკონში (მაყაშვილი, 1991:95). „ო“ – რა თქმა უნდა, ზანური პრეფიქსია. ჭიკარტანა ღელე ( ქამადაძე, 1992:142; ახვლედიანი, 1998:91).

### ქვასა და ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებული ზანური გეოგრაფიული სახელები

**ოჯინჯი** – ჩაის ალანტაცია (დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), „ჯინჯ“–ძირია (ჭარაია, 1997:184). რაც შეეხება თავად „ოჯოჯო“-ს, იგი პ. ჭარაიასთან მითითებულია განმარტების გარეშე (ჭარაია, 1997:111). „ოჯიჯო“ დაფიქსირებულია სულხან-საბასთან: „ბადე, მეგრულში ქორთ „დასაცემელი“ (ორ-

ბელიანი, 1991:612).. წარმოებით ეს სიტყვა მართლაც მეგრული ჩანს: ო-ჯიჯ-ი, შდრ. ჯიჯ; ქართ ძირ-ის კანონზომიერი შესატყვისია, ე.ი. ძირს დასაგები, „საძირე“ ბადე (დანელია, 1991:62). შესაძლოა, „ნ“ ფუძეში განვითარებული იყოს. რაც შეეხება ტოპონიმ „ოჯინჯი“-ს ეტიოლოგიას, გადმოცემით ამ ადგილას ძველად მართლაც იჭერდნენ ფრინველს ბადით და დარჩა ეს სახელწოდებაც (ცნობა მოგვაწოდა მახინჯაურის მკვიდრმა ნაზი ახვლედიანმა).

## ნიადაგთან და სამეურნეო ტოპონიმიასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები

**ჯიხური** – ადგილია ზედა მახინჯაურში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ჯიხური – ხის კოშკი. ეს სიტყვა კოლხურია და ი. ყიფშიძემ მიუთითა მის კავშირზე მეგრ. ჯიხა-სთან (ყიფშიძე, 1914:415).

**ნაუჩვარი** – სათესი ადგილი (სოფ. კირნათი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), „ოჩე“ – большое поле, ср. ონა, ოჩე – село во сенакомь уъездь ყიფშიძე, 1994:295). ოჩე გვხვდება შუახევის რაიონშიც სოფელ ხაბელაშვილებში. ოჩე – დიდი ყანა, ხოდაბუნი – ასე განმარტავს მას პ. ჭარაია (ჭარაია, 1997:11). ოჩე–ახალგაკაფული, კარგმოსავლიანი ადგილი ყანა.

**ოჩე** – ყანა, ახალდამუშავებული უყი, ყამირი, კარგმოსავლიანი ადგილი. „საბატონო ოჩეში ანუ ყანაში მუშაობდა გაბრიელა“ (ჯაჯანიძე, 1997:118). ტოპონიმ „ნაუჩვარ“-ში ნა ევ+არ+ნა+ევ წინა ვითარების მაწარმოებელი აფიქსია, წინა ვითარება რომ გაძლიერებულიყო, „ნაოჩევ“ ფორმას დართვია „არ“ სუფიქსი და მივიღეთ: ნა-ოჩ-ევ-არ-ი ნაოჩვარი (ნაუჩვარი) (ძნელაძე, 1980:201-204). ტოპონიმი „ნაუჩვარი“ სიტყვასიტყვით იქნება – „ნაყანვარი“.

**ოროკი** – ჩაის პლანტაცია (სოფ. ევგენიძეები, ხელვაჩაურის რ-ნი) ტოპონიმი ოროკი დაფიქსირებულია, აგრეთვე, ამავე რაიონის სოფელ ხერთვისში. ამოსავალია როკი – ხმელი შტო, ხმელი ჯირკი. ასეა განმარტებული პ. ჭარაიასთან (ჭარაია, 1997:118). საბას განმარტებით, ოროკი არის მიწა „ბაქან ქაქანად მოვაკებული“. ოროკი – ტყეა ბახვის წყლის მარჯვენა ნაპირას. ოროკი – мощая земля, ოროკი – კვალდაკვალ შეყრილი მიწაა (მეგრელიძე, 1938: 79).

**ოჭვაბურა** – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. კირნათი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). „ჭაბუა“ მეგრულში ნიშნავს წებებას, „ჭაბუ“ – წებოს (ჩიქობავა, 1938:406). ლაზური „ჭაბუ“–წებო, „ოჭაბუ“–დაწებება. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, ამ ადგილას ყოფილიყო წებოვანი ნიადაგი, მიწა, რომელიც ფეხზე ეწებებოდა და შესაძლოა, ამ ადგილს აქედანაც მიეღო ეს სახელწოდება. ტოპონიმ „ოჭვაბურა“-ს ფუძეში „ვ“ ბგერა ჩართულია, ისევე როგორც ეს მომხდარა ტოპონიმ „საჩუქვარა“-ში (ნიჟარაძე, 1975:116).

## საცხოვრებელ ადგილთან და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები

**ნაჯარგვალევი** – სოფ. კიბე, ხელვაჩაურის რ-ნი. „ჯარგვალი“ გურიასა და აჭარაში მრგვალი მორებით აგებული სახლი, ქოხი, ფაცხაა. მეგრული „ჯა“ – ხე, ძელი (ჭარაია, 1997:182; ჩიქობავა, 1938:120). ზემო აჭარაში „ჯარგვალ“-ს ძელურსაც უწოდებენ. ხულოს რაიონის მკვიდრთა განმარტებით, „ჯარგვალი“ არის მრგვალი ხეებით აშენებული პატარა შენობა, სადაც წყალს შეიყვანენ, რომ ზამთარში წყალი არ გაიყინოს. აქ წყალს აადენენ, საქონელსაც აქ ალევიებენ წყალს. ამიტომ წყალს გაუკეთებენ ჯარგვალს“ (თანდილავა, ნარაკიძე, 1986:108). „ჯარგვალი“ – ამ კომპოზიტის მეორე ნაწილი „რგვალი“ (მრგვალი) საერთო ქართველურია.

**ოხვამე** – სოფელი (სიმონეთი, ხელვაჩაურის რ-ნი). „ხვამა“ – ლოცვა, „დოხვამა“ – დალოცვა „ოხვამე “– სალოცავი საგანი და ადგილი, საყდარი, ტაძარი (ყიფშიძე, 1994:401). მეგრულ-ჭანურში „ოხვამე“ – ტაძარს, საყდარს, ეკლესიას ნიშნავს, სალოცავი სახლი. „ხვამა“ – ლოცვა (ჭარაია, 1997:111), ჩიქობავა, 1938:152-153). რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას, შესაძლოა, ამ ადგილას ყოფილიყო საყდარი, ეკლესია (სალოცავი ადგილი). სიტყვასიტყვით იგი სალოცავ ადგილს უნდა ნიშნავდეს ( ჭინჭარაული, 1998:206-211).

## ზანიზმები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჰიდრონიმიაში

ტოპონიმიის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია – ჰიდრონიმია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ენის განვითარების ისტორიის დასადგენად.

ჰიდრონიმი – ჰიდროგრაფიული ობიექტის – დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის – მორევის, ჩანჩქერის, მოსაბრუნის, სათევზაო ადგილის, ტოტის, ფშანის, აგრეთვე, ზღვის, ტბის, წყაროს, ჭის, არხის, ჭაობის, ლენჭყის და სხვ. სახელია.

საკვლევი რეგიონის ჰიდრონიმიის თავისებურება ისაა, რომ არა გვაქვს მდინარეების, ტბებისა და ნაკადულების სახელწოდებების სპეციალური მაწარმოებლები.

**ბარცხანა** – მდინარე და დასახლებული უბანი. ბათუმში მეგრული „ბარცხელი“, „ბაძგი“ „ბარცხვინია“ – თაგვისარა, ბარცხინი: სვანური: „ბარცხილ“ (მაყაშვილი, 1991:147-154). „ბაძგი“–ჭყორი – ქართ. ირმისაკვნეტელა, ლეჩხ. ოკრ., აჭარ., ჭან. ბაძგარი, ბაძგარა, რაჭ., იმერ. ჭყორი ერწო-თან. ჩხერი, ვირის საკვნეტელა ; ხევს. ფშ. ზამთარა, ზამთარ-ზაფხულა, ჭკემარა; მეგრ. ბარცხელიბარცხიანი (მაყაშვილი, 1991:17). ბარცხი ქუცი (აფ. აქუც-ბაძგარა, კბენია, ჭყორი; ბაძგვი (ჭარაია,

1997:39). „ბარცხინია“ –падуб (дерево) შდრ.: კუცი//ბარცხინის (ყიფშიძე, 1994:263). რაც შეეხება სუფიქსს „ანა“, იგი მეგრული „ონა“-სგან მომდინარეობს (შდრ.: ჯაპანა ჯაპონა (თუთნარი), ბარცხანა←ბარცხონა). ონ-ა რთული სუფიქსია, სადაც ა- სუფიქსს მასუბსტანტივებელი-მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს. მაშასადამე, „ბარცხანა“ არის ბაძგნარი, ძეძვნარი. ჰიდრონიმ „ბარცან“-ის სახელდების მოტივაცია შემდეგში მდგომარეობს: ეს ტერიტორია და ფარული ყოფილა ბაძგით და დღესაც ეკალბარდიანია. აქაც მომხდარა კონვერსია. ბუჩქნარის სახელი გადაეცა იქვე ჩამდინარე წყალს.

**ონტოფოს ღელე** – ღელე უერთდება სიმონეთღელეს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). ო- ზანური მაწარმოებელია. „ტოფ“ ძირი ლაზურში უკავშირდება თევზის ქვირითობის პერიოდს: ტოფა – „ქვირითის ყრა“ – ო-ნ-ტოფ-ო – ადგილი, სადაც თევზი ქვირითს ყრის“. ონტოფო – სოფლის და მდინარის სახელწოდებაა აბაშის რაიონში (თოფურია, 1998:159 -162).

**კაპანდიბი** – სოფელია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი მკვიდრის – ლევან გორგოშაძისა და მისი მეუღლის – ნაზი აბაშიძის ზეპირი ინფორმაციით, აქ ადრე, კომუნისტების მოსვლამდე დუქნები, სასტუმრო, პურის საცხობი, სავაჭრო ცენტრი . . . ყოფილა. თურქეთიდან ნავებით მოჰქონდათ თურმე ყველაფერი: ზეთის ხილი, ყურძენი, სამშენებლო მასალები, სურსათი. მკვლევარი ა. ახვლედიანი საგაზეთო სტატიაში „შევარდენი სასირეყელზე“ მოგვითხრობს ერთ ნამდვილ ამბავს, წინაპართაგან გაგონილს, თუ როგორ ხვდებოდნენ სასირეყელზე მეფეს ძველ დროში და ასეთ ისტორიას გვიყვება: „ . . . პარმაღზე შემდგარი ალხამუში ორმოცდაათ ნაბიჯზე დაშორებულ ჯიხურს უყურებდა, წაბლის მსხვილი მორებისგან ნაშენი რომ იყო და სახურავის შეკეთება უნდოდა. კარგად იცოდა, შესაცვლელი იყო ყავრის სახურავი, მაგრამ ბორჩხიდან კრამიტს ელოდა, მენავეებს მოლაპარაკებოდა და ჭოროხის შესართავიდან ურმებით ამოზიდავდა“. აქვე მოვიყვანთ კაპანდიბის მკვიდრის – როსტომ თავდგირიძის მონათხრობს იმის თაობაზედ, თუ რით იყო ნაშენი მათი ძველი სახლი, სწორედ ბორჩხიდან ჩამოტანილი აგურით. ამ ადგილას (კაპანდიბში) შორი სავაჭრო გზიდან მოსულებს დაასვენებდნენ (მოასვენებდნენ), ცხენებს ნალებს შეუცვლიდნენ. აქ ადრე ბორანი ყოფილა, სადაც ნავები შემოდიოდნენ. თედო სახოკია მიუთითებს, თუ როგორ ათევდნენ ღამეს და აგრძელებდნენ გზას შორი გზიდან მოსულები. კაპანდიბი ბუნებრივი ნავმისადგომი ყოფილა. კაპანდიბში, როგორც ჩანს, ადგილობრივ მკვიდრთ ასე შემოჰქონდათ სამშენებლო მასალები თურქეთიდან. 1934 წლამდე კაპანდიბი სასოფლო საბჭო იყო, მერე შეცვალეს და ხელვაჩაურის რაიონის შემადგენლობაში შევიდა. ახლა ამ ტერიტორიაზე ნაპოვნია ოქროს ფირფიტები და ვერცხლის მუზარადი. 2012 წლის 12 ივნისს კირნათში, ე.

წ. „ინტერნატის“ ტერიტორიის მიმდებარედ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იპოვეს ნავი (დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის) კარგ მდგომარეობაში, რომელიც ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გადაიყვანეს. ამბობდნენ, ამ ნავით კირნათიდან კაპანდიბამდე გადაადგილდებოდნენ ხოლმე მენავეები (ინფორმატორი 18 წლის ბსუ-ს სტუდენტი მინდია ცინცაძე).

**კაპანი** – სულხან საბასთან ასეა განმარტებული: ქვა ღოჯი (საბა, 1991: 351). ღოჯი – დიდი კბილი პილოსა და მისთანა – ასეთ განმარტებას ვხვდებით საბასთან (საბა, 1993: 255). კაპანი –დამრეცი, ციცაბო ადგილი. „კაპანი“-სგან არაერთი ადგილისა თუ სოფლის სახელია ნაწარმოებია აჭარაში. ასე მაგალითად: კაპნის თავი – სოფელი აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში, კაპანდიბი – სოფელია ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოში (სიხარულიძე, 1958:145), კაპანი – სათესი ქედის რაიონი, სოფელი ასამბაძეები (სიხარულიძე, 1958: 60), კაპანი – სოფლის უბანი ქვემო მაჭახელში, კაპანი – სათესი საბრევეთში, ქვედა მარადიდი (სიხარულიძე, 1958:130-136), კაპანთი – სათესი სოფელ გორგაძეთში, ზედა ჩხუტუნეთი (სიხარულიძე, 1958:132), კაპანთხევი – სათესი სოფელ ფარტენაძეები, ქვემო მაჭახელი (სიხარულიძე, 1958 :130), კაპანოღროკაჲ (სიხარულიძე, 1958:208), კაპანტყე – სოფლის უბანი, სოფელი გუნდაური, მერისი(სიხარულიძე, 1958:62), კაპანჭალათი – სათესი გუნდაური, კაპნები (სიხარულიძე, 1958:62), კაპნები – ბაღი სოფელი ფურტიო, სხალთა (სიხარულიძე, 1958:98). რაც შეეხება „კაპანდიბი“-ს ეტიმოლოგიას, იგი რთული სიტყვა ჩანს, რომელიც შედგება „კაპანი“-ისა და „დიბი“-სგან. კომპოზიტის მეორე ნაწილი – „დიბი“, დიბაჲ შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია, როგორც თამბაქოს მცენარის ძირა ფოთლები; მისგან დაბალი ხარისხის თამბაქო გამოდის. ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა „დება“, რომელიც სულხან-საბასთან ასეა განმარტებული „დება“ – მდებარეობა(ჲ) არს ქონებადადების, ვითარ იგი სხეული იდვის, ანუ მიყრდნობით, ანუ ჯდომით, ანუ დგომით (საბა, 1991:213). სოფელი კაპანდიბი ორი ნაწილისგან შედგება: ერთია გზის ქვემოთა ნაწილი კაპანდიბისა და მეორე ფერდობზე შეფენილი, რაც შეეხება ტოპონიმ „კაპანდიბი“-ს ეტიმოლოგიას, ჩვენი ვარაუდით, იგი ერთგვარი მოსაბრუნებელი დანიშნულების ბოლო პუნქტია, მოსაბრუნი, მისაქციელი. ქართულ საისტორიო წყაროებში მისაქციელი მე-16 საუკუნიდან ჩნდება. სწორედ საფურცლე – მისაქციელზე გადიოდა ტიფლის მცხეთიდან შიდა ქართლისკენ (მუხრანი, ძალი, წილკანი) მიმავალი ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი გზა (ბერძენიშვილი, 60:103). ძველ საქართველოში ამგვარი მისაქციელები არაერთი ყოფილა. მისაქციელის ტიპის მიკროტოპონიმები ხშირია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და გურია-აჭარაში (ბედოშვილი, 2002:259). კაპანდიბში ჩვენი ინფორმატორის, ლევან გორგოშაძის საკარმიდამოში, თავად

ვიხილეთ მიწაში ჩაფლული უზარმაზარი ქვები, სავარაუდოდ, ეს ის ადგილებია, სადაც ბუნებრივი ნავმისადგომი უნდა ყოფილიყო. აქ დღესაც მთელს ზოლზეა მიწაში ჩაფლული დიდი ქვები. ამდენად, კაპანდიბის ეტიმოლოგია, შესაძლოა, ასე განიმარტოს: დიდი ქვებით შემოსაზღვრული, შემოფენილი მოსასვენებელი ადგილი, რომელიც დანიშნულების ბოლო პუნქტს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, „კაპანდიბი“ ბუნებრივ-გეოგრაფიული დანიშნულების ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ.

**სკურქუბა** – ღელეა თამარის დასახლებაში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე, მდინარე სკურქუბა//სკურიქუბა დაფიქსირებული აქვს თ. კუკულაძეს ბარცხანის დასახლებაში (კუკულაძე, 1981:52). ამ ჰიდრონიმის არსებობაზე თამარის დასახლებაში, დღევანდელი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე, მითითებდა ა. ახვლედიანიც. იმასთან დაკავშირებით, თუ სად მდებარეობს სკურქუბად წოდებული ჰიდროგრაფიული ობიექტი, ხელთ გვაქვს თამარის დასახლების შემოგარენის გეგმის ასლი, რომელიც ერთ-ერთ ჩინოვნიკს შეუკვეთია ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე, განსაზღვრული სამოსახლო მიწის ნაკვეთის შესყიდვის მიზნით. აღნიშნულ გეგმაზე მდინარე „სკურქუბა“ მდებარეობს სწორედ თამარის დასახლებაში რუს ჩინოვნიკს, ვინმე პატკანოვს, სურდა მოცემულ ტერიტორიაზე, თამარის დასახლებაში მიწის ნაკვეთის შესყიდვა, რაც ვერ მოუსწრია გასაბჭოების გამო. ცნობილია, რომ აჭარის ტერიტორიაზე ბევრი ობიექტის სახელწოდება უკავშირდება რუსი ჩინოვნიკების გვარებს. ასე მაგ.: სიბირიაკოვი, პოპოვი, გუბანოვი, სმირნოვი, ლიტვინოვი და სხვა. ამ ტოპონიმთა ქვეშ, ჯერ კიდევ ადვილი მისაკვლევია ძველი ქართული ტოპონიმები. გასაბჭოების შემდეგ ისინი რუსეთში გაიქცნენ და მათი სამოსახლო ადგილები შემდეგ გადაეცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ჩვენი ინფორმატორი, დაბა მახინჯაურში მცხოვრები 80 წლის ალი ახმედის-ძე ფაღავაა, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ტერიტორია. მთხრობელი იხსენებს: „6 წლის ვიყავი, აქ (საუბარია ბნქ-ს ტერიტორია) რომ ვცხოვრობდი, მარა მე ამ მდინარის სახელი არ ვიცოდი, იგი ვნახე გეგმაზე, რომელიც 2000-2001 წლებში მოვიძიეთ ქუთაისის სახელმწიფო არქივში“. გეგმის ასლზე ნათლად ჩანს მდინარე „სკურქუბა“ («Скуркуба»), რომელიც უერთდება შავ ზღვას, რაც შეეხება მდინარის სათავეს, იგი „სკურქუბა“ კომპოზიტური აგებულებისაა, შედგება ორი ნაწილისგან: „სკურ“-ისა და „ქუბა“-სგან, რომლებიც ზანურ ენობრივ ფენას განეკუთვნება. სქური-სკური ზანური სიტყვაა, რომელიც უეჭველია, არცთუ ისე შორეულ წარსულშიც კი ცოცხალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ჯერ ერთი, სამეგრელოში სამ ათეულზე მეტ გეოგრაფიულ სახელში ჩანს იგი; მეორეც, არაიშვიათად დასტურდება სწორედ ზანურის უწინ-

დელი გავრცელების არეალში – ქვ. იმერეთში, გურიაში, აჭარაში. „სკური“ იგივეა, რაც სქირი-შვილი, ანუ „ნაშობი“, „დაბადებული“, ე.ი. წყარო, რომელიც მიწიდან იბადება, იშობა: სქულა – „შობა“ კვერცხის დადება, ქოთომ უესქუ – ქათამმა კვერცხი დადო (ჭარაია, 1997:126, 127). სკურ//სქურ აღნიშნავს რუს, წყაროს პატარა მდინარეს. სკურ//სქურ ძირიანი ჰიდრონიმი უხვად გვხვდება სამეგრელოს ჰიდრონიმიაში: სკურდიდი – მდინარე (სოფ. ლემაძამე), სკურდილა – ღელე (სოფ. ობიექტი), სკურდღალი–ღელე (სოფ. გაჭედილი); სკურე – მდინარე (სოფ. ნოსირი), სკური (წყარო) (სოფ. აბასთუმანი (ზუგდიდის რ-ნი), სკურჩა – მდინარე (ჩხოროწყუს რ-ნი) ღელე (სოფ. თაია, ლესიჭინე, ხამისკური) და ა.შ. (ცხადაია, 1999:101). სკურდიდი დასტურდება მაჭახლის ხეობაში, გვაქვს სოფელიც და მდინარეც ამავე სოფელში (კახიძე, 1966:118).

ჰიდრონიმ „სკურქუბა“-ს მეორე ნაწილია „ქუბა“, რაც მეგრულში ნიშნავს ტანისამოსის ნაწილს//ქობა“-ს (ჭარაია, 1997:142), სვან. ქობა–არშია (თოფურია, 2000:784). ეს ჰიდრონიმი იმითაა გამორჩეული, რომ ამ პატარა მდინარეს ძალიან ფართო კალაპოტი აქვს, რაც შეეხება ჰიდრონიმ „სკურქუბა“-ს სახელდების მოტივაციას, შესაძლოა, ეს სახელი შერქმეოდა ფართო კალაპოტის გამო, რომელიც ამ პატარა მდინარეს ჰქონდა არშიასავით მოყოლებული, შემოვლებული, ანუ ამოქუბული იმისთვის, რომ მდინარის ნაპირი არ დანგრეულიყო, არ დაშლილიყო, ე.ი. სიმტკიცისთვის.

**ტიბაში** – ღელე (სოფ. სარფი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) „ტიბუ“, „ტებუ“, „ტუბე“ – ტფილი, თბილი (შდრ.: წყალტუბო) სიტ ბა) სითფო, ტიბაფა (ვოტიბუა–თბობა (ვათბობ) (ჭარაია, 1997:127), რაც შეეხება ჰიდრომ „ტიბაში“-ს ეტიმოლოგიას, ეს ღელე მზიან ადგილას მდებარეობდა.

ამრიგად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში მარტივი სახელები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც, რაც წარმოდგენილია გამოხატავს ადგილმდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას (მაგ.: ცარა, ჭონჭყო, ჭენჭეხი, ოჯინჯი, ოროკი, ოჭიკარტი). შედარებით მეტადაა წარმოდგენილი დანიშნულების „ო“ პრეფიქსი. სუფიქსური წარმოებიდან სჭარბობს – „ეთ“ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები (მაგ.: სინდიეთი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, გოშპარეთი...), გვხვდება – „ურ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც (მაგ.: ჯიხური, კვადაური, მახინჯაური, ხელვაჩაური, მახვილაური), გვხვდება, აგრეთვე, „თი“ და „იშ//ში“ – სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმებიც (მაგ.: ჭურიათი, კვარიათი, ქვაბიში, ღრემში, კერკეტაში, ტიბაში), გავრცელებულია ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. იგი კვლავ ქონების, თვისების, დანიშნულების, წინა ვითარების გამომხატველია (მაგ.: ოჭვაბურა, ოხვამე, ონტოფო, ნაუჩვარი, ნაჯარგვალევი). ასეთია ხელვაჩაურის რაიონის ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ახსნის ჩვენეული ცდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **ალავი** – მ. ალავიძე. ლეჩხუმური ლექსიკონი. კრებული „ქართველურ ენათა ლექსიკა“. თბილისი, 1938.

2. **ახვლედიანი** – ა. ახვლედიანი. მახინჯაურის ეტიმოლოგიისათვის. ჟ. „ლიტერატურული აჭარა“. ბათუმი, 1961.

3. **ახვლედიანი** – ნ. ახვლედიანი. ო–პრეფიქსიანი სახელები აჭარის ტოპონიმიაში. ქართველური ონომასტიკა. თბილისი, 1998.

4. **ახვლედიანი** – ნ. ახვლედიანი. ახვლედიანნი აჭარაში. თბილისი, 2012.

5. **ბაქრაძე** – დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. სანკტ-პეტერბურგი, 1878.

6. **ბედოშვილი** – გ. ბედოშვილი. ტოპონიმიკური ძიებანი. სალიტერატურო გაზეთი, №3 (43). თბილისი, 1998.

7. **ბერძენიშვილი** – ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I . თბილისი, 1964.

8. **ბსკიდა** – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი, №5, ბათუმი.

9. **დანელია** – კ. დანელია. ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, II. თბილისი, 1991.

10. **თანდილავა, ნარაკიძე** – ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე. ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა 5. ბათუმი, 1986.

11. **თოფურია, ქალდანი** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000.

12. **კახიძე** – ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974.

13. **კახიძე** – ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე. ჟ. მაცნე, №1. თბილისი, 1966.

14. **კუკულაძე** – თ. კუკულაძე. დეხვას ხეობის ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. ბათუმი, 1981.

15. **მაყაშვილი** – ალ. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1991.

16. **მეგრელიძე** – И.В. Мегрелидзе. Лазский и мегрельский слой в гурицской-С.Б. 1938.

17. **ნიჟარაძე** – შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, 1971.

18. **ორბელიანი** – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. თბილისი, 1991.

19. **ორბელიანი** – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II. თბილისი, 1993.

20. **ჟღენტი** – ს. ჟღენტი. მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა. თბილისი, 1953.

21. **ჟღენტი** – ს. ჟღენტი. გურული კილო (ლექსიკონითურთ). თბ., 1836.

22. **საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი** – საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 1987.

23. **სიხარულიძე** – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, 1958.

24. **ფენრიხი, სარჯველაძე** –ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1990.

25. **ფუტკარაძე** – მ. ფუტკარაძე. აჭარა (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება). ბათუმი, 2001.

26. **ქამადაძე** – მ. ქამადაძე. ზემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. VIII. ბათუმი, 1992.

27. **ღლონტი** – ალ. ღლონტი. ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

28. **Кипшидзе** -И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. Санкт-Петербургъ, 1914.

29. **ყიფშიძე** – ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. თბილისი, 1994.

30. **ჩიქობავა** –არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

31. **ცხადაია** – პ. ცხადაია.მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბილისი,1985.

32. **ცხადაია** – პ. ცხადაია. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. თბილისი, 1999.

33. **ჭარაია** – პ. ჭარაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1997.

34. **ჭინჭარაული** – ალ. ჭინჭარაული. კიდევ ერთი ბერძნული წარმომავლობის სიტყვა ქართულში. ჟ. ქართველური ონომასტიკა, I. თბილისი, 1998.

35. **ჯანაშია** – ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარეთი, იბერი, შრომები, ტ. III. თბილისი, 1959.

**ომარ მემიშიში**
*ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*
**Omar Memishishi**
*PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*

# სარფის მეტყველების ლინგვისტური ანალიზი

## LINGUISTIC ANALYSES OF SARP SPEECH

**აბსტრაქტი.** სარფის მეტყველებაში, როგორც სხვა ლაზურ კილოკავებსა და თქმებში, რეალიზებულია ხუთი ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ.** ისინი ერთმანეთს უპირის-პირდებიან ლოკალური რიგის, აწეულობისა და ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობის მიხედვით.

ხმოვანი პალატალური **ჲ** ქმნის დიფთონგს, ამის მიხედვით, მეტყველებაში გვაქვს: **ჲი, ჲე, ჲა, ჲუ, ჲო.** დაღმავალი დიფთონგი იშვიათია სარფის მეტყველებაშიც. აღმავალ დიფთონგიზაციაში მონაწილეობს **რ** ფონემაც: **რ>ჲ:** *,,ჲენ (< რენ ,,არის“).*

სარფის მეტყველება იმეორებს ლაზურის თანხმოვანთა სისტემას. სხვა კილოკავებისგან განსხვავებით, ფუძისეული თანხმოვნის მომდევნო **ყ** მთელს ლაზურში ვერ ძლებს, **ტყ, წყ, ჭყ** კომპლექსები **ტკ, წკ, ჭკ**-დ არის ცვლილი.

**რ** ბგერა იკარგება ინტერვოკალურ პოზიციაში. სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, ლაზურში გვაქვს ლაბიალური ფშვინვიერი სპირანტი **ჶ** ბერძნულიდან და თურქულიდან შემოსულ სიტყვებში.

ფონეტიკურ პროცესთაგან გვხვდება: ხმოვანთა და თანხმოვანთა ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი...

სარფულში, ისე როგორც სხვა ლაზურ კილოკავებსა და თქმებში, სახელთა გარდა, ზმნაც იბრუნვის. სარფის მეტყველებაში სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ყველა ბრუნვაში გამოიყენება **-ფე** და **-ეფე.**

ნაცვალსახელთა ჯგუფებიდან გამოიყოფა: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი და კითხვითი ნაცვალსახელები.

ლაზურში უფროობით ხარისხის საწარმოებლად არ გამოიყენება მორფოლოგიური აფიქსები. აქ ლექსიკური საშუალებით ხერხდება ხარისხის გადმოცემა. თანაბრობითის შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება შესადარებელ საგანზე დართული თანდებულები. თანაბრობითი ხარისხი იწარმოება მორფოლოგიური აფიქსებითაც.

სარფის თქმაში პირველი სუბიექტური პირის მორფემა -ვ- წარმოდგენილია ალომორფებით: ბ, ფ, პ, მ, 0. ობიექტური პირის ნიშნები პირველ და მეორე პირში წარმოდგენილია მ- და გ- მორფემით. დრო სამია და კილო ოთხი. სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობასა და დროზე. სრული ასპექტი იწარმოება ზმნისწინის საშუალებით. პრევერბები აგრეთვე აწარმოებენ მიმართებას (გეზს) და დროს. სარფულში მყოფადი გადმოიცემა როგორც პრევერბით ასევე, მეშველი ზმნით. სუპლეტურ ზმნათა უღლების სისტემა, ძირითადად, ქართულის მსგავსად, თავისებურ ზმნათა უღლების მოდელს გვიჩვენებს ლაზურში.

**საკვანძო სიტყვა: ქართული სალიტერატურო ენა, სარფი, ლინგვისტური ანალიზი.**

**Abstract.** In Sarpi speech, as in the other Laz language moods and sayings, five vowels are realized: a, e, i, o, u. They are opposed to each other in terms of local order, tune, and disagreement according to their labial or non-labial pronunciation.

Vocal and palate ɑ creates ascending diphthong: [ɑi, ɑe, ɑo, ɑu]. Descending diphthong is rare in speech. The ascending diphthongization also includes the [r]-phoneme: [r> ɑ (ren> „ɑen)].

Sarpi speech repeats the system of consonants of the Laz language, but, unlike other dialects, retains the sound [ყ],however, the sound [ყ] following the root consonant cannot stay in all Lazian dialects, the combinations [ʧ’q’, ʦ’q’, t’q’] are replaced with [ʧ’k’, ʦ’k’, t’k’] . The sound[r] is lost in the intervocal position. The speech at the same time retains the sound[f] in the words coming from the Greek and Turkish languages. In the speech of the young, [f] is replaced by [p$^{h}$].

Phonetic phenomena occur in speech: assimilation of vowels and consonants, dissimilation of sound development,pleophonicsounds, metathesis ...

In Sarp dialect a noun is modified with all seven cases with their case signs and case postpositions. The sign of case and number is also attached to the verb.The case forms of the verb are used with the participle function. For the plural noun, the [-ep$^{h}$] and [-ep$^{h}$e] morpheme are used.

From the pronoun groupthere ara personal, possessive, demonstrative, interrogative and interrogative-possessive pronouns.

Morphological affixes are not used to produce comparative degree in the Sarp version of the Laz language.The comparative degree is conveyed with the lexical peculiarities. A comparable subject contradicts the comparator one, and we have descriptive production. Morphological affixes are used to produce equal comparison.

Compound numeric names in speech are represented by conjunctions and non-conjunctional units.

The markers of the first subjective person pf the verb are v, b, $p^h$, m; and sighns od objective person are m, g. There are three tenses and four mood. The case of subject and object depends on the transitive ond intransitive verbs and verb tenses, Aspect is produced by preverbs. The preverbs also produce relation and tense. Thefuture tense is formed by preverbs as well as be auxiliary verbs. The passive voice has its own means of formation. Passives combine the functions of potential, and ability. Speech distinguishes subjective, objective, and neutralcategories of verbs. The verb is conjugated by the series which in their turn contain rows. The suppletive verb system shows a pattern of peculiar verb conjugation similar to Georgian. The paper deals with issues related to participle, verb affixes, conjunctions, particles, derived noun groups and attribute-attributed pairs.

**Key words: Georgian literary language, Sarp , Linguistic Analyses .**

**ფონოლოგია-ფონეტიკის საკითხები**

**ხმოვანთა სისტემა.** სარფის მეტყველებაში, როგორც სხვა ლაზურ კილოკავებსა და თქმებში, რეალიზებულია ხუთი ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ.** ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ლოკალური რიგის, აწეულობისა და ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობის მიხედვით. წინა რიგის ხმოვნებია **ი, ე**; უკანა რიგისა - **ა, ო, უ;** დაბალი აწეულობის ხმოვანია **ა**, საშუალო აწეულობისა - **ე, ო**; მაღალი აწეულობისა - **ი, უ**; ბაგისმიერი ხმოვნებია: **ო, უ**, დანარჩენი არაბაგისმიერი ხმოვნებია.

**დიფთონგი.** ხმოვანი და პალატალური **ჲ** ქმნის დიფთონგს, ამის მიხედვით, მეტყველებაში გვაქვს: **ჲი, ჲე, ჲა, ჲუ, ჲო.** დაღმავალი დიფთონგი ხოფურ-ჩხალურში იშვიათია, იშვიათია სარფის მეტყველებაშიც. **ნ. მარმა** ლაზურში, **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნების გარდა, გამოყო რთულებიც: **ჲა, ჲე, ჲო, ჲუ** (მარი, 1910:2). ამ ოთხ მიმდევრობას გულისხმობენ მკვლევრები, როცა ლაპარაკობენ აღმავალ დიფთონგებზე (ჩიქობავა, 1936:13, ჟღენტი,1953:48, ქუთელია, 1980:110, დანელია, 2006:50) **ჲი** დიფთონგის არსებობა ლაზურში დააფიქსირა **გ. კარტოზიამ** (კარტოზია,

2005:19). როგორც მკვლევარი აღნიშნავს, **ჲი** დიფთონგი დამახასიათებელია მხოლოდ ხოფურ-ჩხალურისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა სარფულშიც.

მაგალითად, **ეა>ჲა:** *გაჯინუ (<გეაჯინუ ) ,,დააწვა“, გაშქუ (<გეაშქუ) ,,ჩაყლაპა“, გათხოზუ ( <გეათხოზუ) ,,გაეკიდა“.*

***ეო>ჲო:*** *გოჭკუ ( <გეოჭკუ) ,,დაიწყო“, ოფშუ ( <ეოფშუ) ,,გაავსო“. გოლიბუ (<გეოლიბუ) ,,დაალბო“*

**ეუ>ჲუ:** *გუსტუ (გეუსტუ ,,დაუსხლტა“), გულუნ (<გეულუნ) ,,ჩამოდის“, ულუნ (<ეულუნ) ,,ადის“.*

**იე>ჲე:** *ეხტუ (<იეხტუ ,,ავიდა“), ეცხონტუ (<იეცხონტუ) ,,წამოხტა“, ეწოზდუ (<იეწოზდუ) ,,ასწია“.*

**ჲი** დიფთონგი დასტურდება **ჲე** პრევერბისა და **ი** პრეფიქსის (მაქცევრის ან ვნებითის მაწარმოებლის) ან ფუძის საწყისი **ი** ხმოვნის შესაყარზე (კარტოზია, 2005:19): *ისელუ ,,ადგა“, იფშუ ,,გაივსო“, იხირს ,,იპარავს“* და სხვ.

სარფულში აღმავალ დიფთონგიზაციაში მონაწილეობს **რ** ფონემაც: **რ>ჲ:** *,,ენ (< რენ ,,არის“) ,,ჰაელი (<ჰარელი) ,,დაწერილი“.*

**კონსონანტიზმი.** სარფის მეტყველება იმეორებს ლაზურის თანხმოვანთა სისტემას. სხვა კილოკავებისგან განსხვავებით, ხოფური ინარჩუნებს **ყ** ბგერას. ცხადია, სარფულშიც დაცულია აღნიშნული ფონემა: *ყვილი ,,ძვალი“, ყვალი ,,ყველი“, ყოროფა ,,სიყვარული“, უყოონ ,,ყავს“...*

ფუძისეული თანხმოვნის მომდევნო **ყ** მთელს ლაზურში ვერ ძლებს, **ტყ, წყ, ჭყ** კომპლექსები **ტკ, წკ, ჭკ**-დ არის ცვლილი. ნ. მარმა შენიშნა **ყ**-ს შემცველი კომპლექსების რამდენიმე შემთხვევა ხოფურში: ტყუბი ,,ტყუპი“, ჭყინტი ,,ჭყინტი“ სიმინდი“ (მარი, 1910:191). აღნიშნული კომპლექსები დასტურდება სარფულშიც: *ჭყიპინს ,,ჭყიპინებს“, ჭყვიაფს, ,,ჭყივის“, დიჭყიჯი ,,ჭინჭარი“, ტატყუფს ,,ტიტყნის“.*

ხოფურ-ჩხალურსა და სარფულში გამოვლენილი **ტყ, წყ, ჭყ** კომპლექსები მეორეულია და მათი გაჩენა ქართულისა და მეგრულის გავლენას უნდა მიეწეროს.

**რ** ბგერა იკარგება ინტერვოკალურ პოზიციაში: *გუი<გური ,,გული“, ბეე (<ბერე) ,,ბავშვი“, სქიი<სქირი ,,შვილი“.* იკარგება თანხმოვნების **- ღ, ხ, ფ**-ს წინ: *ოღაღალუ (<ოღარღალუ ,,ლაპარაკი,”) გუღული (<გურღული) ,,ღერღილი“, ხიხინს (<ხირხინს) ,,ხარხარებს“, კე**ფ**ი (<კერ**ფ**ი) ,,კანაფი“, კა**ფ**ი (<კარ**ფ**ი ,,ლურსმანი“).*

სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, ლაზურში გვაქვს ლაბიალური ფშვინვიერი სპირანტი **ფ** ბერძნულიდან და თურქულიდან შემოსულ სიტყვებში: *კარ**ფ**ი ,,ლურსმანი“, ო**ფ**რიდი ,,წარბი“, მუსა**ფ**ირი ,,სტუმარი“. ტუ**ფ**ელი ,,თოფი“,*

*ქიფიტი ,,ასანთი“* და სხვ. მოლენი (გამოღმა) სარფში მოზარდებისა და ახალგაზრდათა მეტყველებაში **ფ**-ს ენაცვლება ლაბიალური ხშული, რაც ქართულის გავლენის შედეგია: *ტუფელი>ტუფელი ,,თოფი“, კარფი<კარფი ,,ლურსმანი* და სხვ.

**ასიმილაცია** მეტ-ნაკლებად ლაზურის ყველა კილოკავს ახასიათებს. პრევერბისეულ ხმოვანთა ასიმილაცია ყველაზე ძლიერად ხოფურში შეინიშნება; ხოფურ-ჩხალურის გაგრძელებას ამ მხრივ სარფული მეტყველება წარმოადგენს. პრევერბისეული ხმოვანი თითქმის ყოველთვის ემსგავსება ზმნის ფუძისეულ ხმოვანს. პრევერბისეული ხმოვნის ფუძისეულთან შეხვედრისას ასიმილაცია რეგრესულია. ასიმილაცია სრულიცაა და ნაწილობრივიც: პირველ შემთხვევაში ორი ხმოვნიდან ერთი გვრჩება.

ხმოვანთა სრული ასიმილაციის ნიმუში: **ა+უ>უ:** *გოწუღუ (<გოწაუღუ) ,,გამოართვა“, მენდუღუ (<მენდაუღუ) ,,წაიღო“, გოწუყონუ (<გოწაუყონუ) ,,გამოართვა“, გოწუნჯღონუ (<გოწაუნჯღონუ) ,,გააყოლა“.* **ა+ი>ი:** *ელიკათუ (<ელაიკათუ) ,,წაიყოლია“ ,მენდიღუ (<მენდაიღუ) ,,წაიღო“.*

**ა+ო>ო:** *მენდოჩქუ (<მენდაოჩქუ) ,,გააგზავნა, მეშოხუნუ(<მეშაოხუნუ) ,,შიგ ჩასვა“.*

**ე+ი>ი**: *ქოგიდგუ (<ქოგეიდგუ) ,,დაიდგა“, გიქთუ (<გეიქთუ) ,,წაიქცა“, ქოგინწირუ (<ქოგეინწირუ) ,,დაინურა“.*

**ო+ი>ი:** *ქოდიქაჩუ (<ქოდოიქაჩუ) ,,დაიჭირა“, დიძღუ (<დოიძღუ), დიჩილუ (<დოიჩილი) ,,დაცოლდა“, ცოლი მოიყვანა; დიქიმოჯუ (<დოიქიმოჯუ) ,,გათხოვდა“.*

**ო+უ>უ:** *დუჯოხუ (<დოუჯოხუ ) ,,დაუძახა“, დუწუ (<დოუწუ) ,,უთხრა“, უხუშქუ (<ოხოუშქუ) ,,გაუშვა“, ქუჩქინ (<ქოუჩქინ) ,,იცის“.*

**ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია. ო+ი>უი**: *გუიქთუ (<გოიქთუ) ,,დაბრუნდა“,მუიზდუ (<მოიზდუ) ,,მოსწია“, მუიქთუ (<მოიქთუ) ,,გადაბრუნდა“, მუინჭერენ (<მოინჭერენ) ,,დამწიფებულა“, გუიტუ (<გოიტუ) დადიოდა.*

**ო+ა>ვა**: დვაღოდუ(<დოაღოდუ) ,,დაემართა“, დვაჭუ (<დოაჭუ) ,,დაეწვა“, ოკვაკიდეს (<ოკოაკიდეს) ,,წაეკიდნენ“.

**ე+უ>ჲუ:** *ჲულუნ (<ეულუნ) ,,ადის“, ქჲუხთუ (<ქოეუხთუ) ,,ამოუვიდა“.*

**ე+ა>ჲა:** *ქოგჲაკნუ (<ქოგეაკნუ) ,,მოკიდა“, გჲათხოზუ (<გეათხოზუ) ,,გაეკიდა“, გჲანთხუ (<გეანთხუ) დაეცა“.*

**ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია:** წინა მარცვლის **ო** მომდევნო მარცვლის **უ**-ს ემსგავსება: *ქაგუწუღუ (<ქაგოწუღუ) ,,გამოართვა“, გულულუ (<გოლაულუ) ,,გაუარა.“*

**პროგრესული ასიმილაცია:** საშუალო აწეულობის **ო** და **ე** ხმოვნები იმსგავსებენ მომდევნო ვიწრო **უ, ი** ხმოვნებს. **ოუ>ოო:** *უყოუნტუ>უყოონტუ ,,ჰყავდა“.*

**ოი>ოო:** *მილოონი<მილონი ,,რიკტაფელა“.*

**ეი>ეე:** *დეიკე>დეეკე ,,წუთი“*

**თანხმოვანთა ასიმილაცია:** რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია თანხმოვანთა ასიმილაციის ყველაზე გავრცელებული სახეა ლაზურში. დასტურდება ასიმილაციის სხვადასხვა სახეობა: ასიმილაციური გამჟღერება და დაყრუება, ასიმილაცია წარმოების რაგვარობისა და საწარმოთქმო ადგილის მიხედვით.

**ასიმილაციური გამჟღერება:** ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვიწურ-არქაბულს ახასიათებს თანხმოვანთა ასიმილაციის განსაკუთრებული სახე: სიტყვის ბოლოკიდური ყრუ **ს, თ, ქ,** მჟღერდება მომდევნო სიტყვის ( როგორც სრულმნიშვნელიანის, ისე დამხმარის - კავშირის, ნაწილაკის) თავკიდური მჟღერი თანხმოვნების გავლენით (ჩიქობავა,1939: XXV-XXVI**,** ჟღენტი,1953: 64-65). აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ასევე ახასიათებს ხოფურ-ჩხალურსაც და მის სარფულ თქმას.

**ს>ზ** გადასვლა დასტურდება მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებში, სუბიექტური მესამე პირის ნიშანში, მრავლობითი რიცხვის **-ეს** სუფიქსის თანხმოვნურ ელემენტში. მაგ: *ოხოიზ (<ოხოის) ,,სახლში“, კოჩიზ (<კოჩის) ,,კაცს“. კოჩიზ (<კოჩიშ) ,,კაცის“. ჭოფეზ (<ჭოფეს) ,,დაიჭირეს“, ტაზ (<ტას) ,,იყოს“.*

**თ>დ** ჩვეულებრივია ზმნის მრავლობითი რიცხვის სუფიქსში და **მოთ** ,,რატომ“ ზმნიზედის ბოლოკიდურ თანხმოვანში.

*ქომუყონიდჲა (<ქომუყონითჲა) ,,მოიყვანეთო“, მენდოვოჩქვიდჲა (<მენდოვოჩქვითჲა) ,,გავუშვითო“, მოდ (<მოთ) ,,რატომ“.*

**ქ>გ** გადასვლა ხდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისა და **აქ** ,,აქ“**, ექ** ,,იქ“ ზმნიზედების ბოლოკიდურ თანხმოვნებში: *კოჩიგ (<კოჩიქ) ,,კაცმა“, ბიჭიგ (<ბიჭიქ) ,,ბიჭმა“, მუგ (<მუქ ) ,,თვითონ“, აგ (<აქ) ,,აქ“, ეგ (<ექ) ,,იქ“ .*

ხოფურში გამჟღერებას განიცდიან სხვა ყრუ თანხმოვნებიც: **შ>ჟ:** მჟღერდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: *ბეეფეჟ (<ბეეფეშ) ,,ბავშვების“, მტვეიჟ (<მტვეიშ) ,,ნაცრის“.*

**ჩ>ჯ:** *ჰიჯ (<ჰიჩ) ,,სრულებით“.*

**ფ>ბ** ბოლოკიდური **ფ**-ს გამჟღერება ხოფურ-ჩხალურისათვისაა სპეციფიკური. ანალოგიური მდგომარეობაა სარფულშიც. **ფ**-ს გამჟღერება ხდება **-ოფ, -უფ, -ი, -ეფ** - თემისნიშნიან ზმნებში: *იქიბჲა (<იქიფჲა) ,,აკეთებო“, გეგიყონობჲა (<გეგიყონოფჲა) ,,ჩამოგიყვანო“, ვიჩინობჲა (<ვიჩინოფჲა) ,,ვიცნობო“* და მისთ.

**ასიმილაციური დაყრუების** დროს სუბიექტური პირველი პირის **ბ** და ობიექტური მეორე პირის ნიშანი **გ** ფუძისეული ყრუ თანხმოვნის წინ კარგავენ მჟღერობას. რეგრესული ასიმილაციის შედეგად **ბ>ფ,პ, გ>ქ,კ. ფ** და **ქ** ფშვინვიერთა წინ გვაქვს, **პ** და **კ** მკვეთრებთან: *მეფჩი (<მებჩი) ,,მივეცი“, მექჩი (<მეგჩი) ,,მოგეცი“.*

**დისიმილაცია.** ხოფურში იშვიათია უდისიმილაციო ფორმები. ანალოგიური ვითარებაა სარფის მეტყველებაშიც. ცნობილია, რომ სიტყვის ფუძეში ორი **რ** ვერ ძლებს და პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე მომდევნო **რ** იქცევა **ლ**-დ: *ორჭალი (<ორჭარი) ,,ორჭელი“, მორდელი (<მორდერი) ,,მოზრდილი“.*

საინტერესოა ერთი ფაქტიც, რომ თუ ფუძეში **რ** არის, თურმეობითი პირველის მაწარმოებელ **ერე**-ს წინ **-ელ** მიმდევრობა ჩაერთვის: *იმგარელერენ ,,უტირია“, ქანოჭკორელერენ ,,დაუკლავს“.* ს. ჟღენტის აზრით, **-ელ** ფონეტიკური ჩანართია (ჟღენტი 1953: 66).

მეტყველებაში ხდება რეგრესული დისიმილაციური გამკვეთრება: *პაპახი (<ფაფახი) ,,ქუდი“, იკზალუ (<იგზალუ) ,,წავიდა“, ვიტოჟურ (<ვით დო ჟურ) ,,თორმეტი“.*

**პროგრესული დისიმილაციური** გამკვეთრების ნიმუში:

**სქ>სკ:** *სკანი (<სქანი) ,,შენი“, მსკიბუ (<მსქიბუ) ,,წისქვილი“.*

**შქ>შკ:** შკა (<შქა) ,,წელი“, შკურინა (<შქურინა) ,,შიში“.

**სთ>სტ:** ვისტოლი (<ვისთოლი) ,,ვისროლე“, კოჩისტერი (<კოჩისთერი) ,,კაცივით“.

**ხთ>ხტ:** ქომოხტუ (<ქომოხთუ) ,,მოვიდა“...

სუბსტიტუციის ანუ ბგერათჩანაცვლების ნიმუშები:

**ნ<მ:** ანკათა (<ამკათა) ,,ასეთი“, ანბაი (ამბაი) ,,ამბავი“...

**ტ/კ:** ნოტანკუ/ნოკანკუ ,,დააკაკუნა“...

**ბგერათა დაკარგვის შემთხვევები:** იკარგება **გ** მომავალი დროის მეშველზმნიან ფორმებში: *ყვაინონ (<ყვაგინონ) ,,უნდა გააკეთო“,* სუბსტანციურ სინტაგმაში იკარგება ნათესაობითის **შ:** *წკართოლი (<წკარიშთოლი) ,,წყარო, წყლის თვალი“,* იკარგება **ღ:** *ნოსი (<ღნოსი) ,,ჭკუა.*

კომპოზიტში ორი კომპლექსი ვერ ძლებს და პირველი კომპონენტი მარტივდება: *წკამაფხა (<წკარმაფხა) ,,წყარო“* სარფის უბანში. სარფის მეტყველებას ნაკლებად ახასიათებს **ნ-**ს დაკარგვა, პარალელურად გვხვდება *მა/მან ,,მე“, ჩხომითე/ჩხომითენ ,,თევზით“.* იკარგება I სუბიექტური პირის მარკერი **-ვ**, როდესაც ის მოქცეულია პრევერბსა და ხმოვნით დაწყებულ ძირეულ მორფემას შორის, *მეულუ (<მევულუ) ,,მივდივარ“, გეოჭკი(<გევოჭკი) ,,დავიწყე“, მოულუ (<მოვულუ) ,,მივდივარ“.*

**ბგერის განვითარება. ნ** ბგერა ვითარდება სიტყვის თავში: *ნჩხოვრო (<ჩხოვრო) ,,ცხრა“, ნკილა (<კილა) ,,გასაღები“ ნდღა (<დღა) ,,დღე“, ანტამა ,,ატამი:, მთხა ,,თხა“*

**სრულხმოვნობა.** სარფული მეტყველებისთვის, როგორც კოლხური კილოებისთვის დამახასიათებელია სრულხმოვნობა: შდრ. **ხომული** ქართ. **ხმელი**, **ჭერელი**-ქართ. **ჭრელი.**

**მორფოლოგია**

**სახელის ბრუნება.** სარფულში, ისე როგორც სხვა ლაზურ კილოკავებსა და თქმებში, სახელთა გარდა ზმნაც იბრუნვის. ზმნის ბრუნვიანი ფორმები გამოიყენება მიმღეობების ფუნქციით. ასეთ შემთხვევაში ჩავარდნილია სახელი და ბრუნვის ნიშანი დაეთვის ზმნას. მაგ.: *ენა მოხთუში ოხორჯა ოხოის ვარ ტუ ,,მოსულის“ [კაცის] ცოლი სახლში არ იყო.“*

ზმნას დაერთვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, *მაგ.: ნა უღუნქთი იმგარს დო ნა ვარ უღუნქთი ,,მქონეც ტირის და არმქონეც“.*

ზმნას დაერთვის მრავლობითის ნიშანი **-ეფ**, მაგ.: *ნა მოფთითფეექთი გჲაის ქოდოფხედით ,,მოსულებმაც ჭამად დავჯექით.“*

სახელობითი ბრუნვის ნიშანი სარფის თქმაში **ა, ო, უ** ხმოვანფუძიანებთან ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი. ფუძისეულია ბოლოკიდური **ი**-ც, რომელიც წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია და ფუძესთანაა შეხორცებული. ლიტერატურაში სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული, აგრეთვე, ბოლოკიდური **ე.**

ნ.მარი **ი**-ს სახელობითის ქართულ დაბოლოებად თვლიდა, ძველ ლაზურ თუბალ-კაინურ მაწარმოებლად კი **-ე** ნიშანი მიაჩნდა, ზოგიერთ სახელში რომ დასტურდება: *ბერ-ე ,,შვილი“, ნოთ-ე ,,კვარი“, ვიწე ,,ვიწე“(ადგილის სახელწოდება), ოსურე ,,ქალიშვილი”* (მარი, 1910: 9-10).

ა. ჩიქობავა **ე**-ს ფუძისეულად თვლიდა ნასესხებ სიტყვებში: *დეკიკე ,,წუთი“, მეჯვე ,,ხილი“.* **ე** ფუძისეულად მიაჩნდა ნაწარმოებ სახელებშიც: *,,მამცუდალე, ,,მატყუარა“, ონჩამურე ,,საცეხველი“.* სახელობითის ოდინდელ, საკუთრივ მეგრულ-ლაზურ დაბოლოებად არის ჩათვლილი **-ე** პირველად ლაზურ სახელებში: *კუჩხე, ,,ფეხი“ ქოთუმე ,,ქათამი“* (ჩიქობავა, 1936:49; 1938:37).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მიმღეობა *ო-ჭკომა-ალ-ე ,,საჭმელი“* სახელობითის **-ე** დაბოლოებას შეიცავს (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:92).

ლიტერატურაში ლაზურში სახელობითის ერთ-ერთ ალომორფად **ე**-ს დაშვებას პრობლემატურად მიიჩნევენ.

თანხმოვან და ხმოვანფუძიან სახელებში მოთხრობითი წარმოდგენილია **ქ** ნიშნით, მიცემითი **ს**-თი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სარფულში **-შ(ი)** და **-შ** ალომორფებით არის წარმოდგენილი. მიმართულებითი ბრუნვის ნიშანია **-შა**, ხოლო დაშორებითისა **-შე**. მოქმედებითი წარმოდგენილია **-თენ/-თე** სუფიქსებით. ვითარებითი ბრუნვა ლაზურში არ დასტურდება, ნაშთის სახით თითოოროლა სიტყვაშია შემორჩენილი: *მოთ ,,რატომ“, ბეულოდ ,,ბავშვურად“, მჯვეშოთ ,,ძველად“.*

თანხმოვნიან სახელთა ბრუნება:

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი | კოჩ-ი ,,კაცი“ | მჩხურ-ი ,,ცხვარი“ |
| მოთხრობითი | კოჩ-ი-ქ | მჩხურ-ი-ქ |
| მიცემითი | კოჩ-ი-ს | მჩხურ-ი-ს |
| ნათესაობითი | კოჩ-ი-შ(ი) | მჩხურ-ი-შ(ი) |
| მიმართულებითი | კოჩ-ი-შა | მჩხურ-ი-შა |
| დაშორებითი | კოჩ-ი-შე(ნ) | მჩხურ-ი-თე(ნ) |
| მოქმედებითი | კოჩ-ი-თენ(ნ) | მჩხურ-ი-თე(ნ) |

ფუძეხმოვნიან სახელთა ბრუნება: ვაბრუნოთ: ბიგა ,,ჯოხი“ კუჩხე ,,ფეხი“ კატუ ,,კატა“ ჭინჭო ,,სიმინდის ბატიბუტი“:

| სახელობითი | ბიგა | კუჩხე | კატუ | ჭინჭო |
|---|---|---|---|---|
| მოთხრობითი | ბიგა-ქ | კუჩხე-ქ | კატუ-ქ | ჭინჭო-ქ |
| მიცემითი | ბიგა-ს | კუჩხე-ს | კატუ-ს | ჭინჭო-ს |
| ნათესაობითი | ბიგა-შ(ი) | კუჩხე-შ(ი) | კატუ-შ(ი) | ჭინჭო-შ(ი) |
| მიმართულებითი | ბიგა-შა | კუჩხე-შა | კატუ-შა | ჭინჭო-შა |
| დაშორებითი | ბიგა-შე(ნ) | კუჩხე-შე(ნ) | კატუ-შე(ნ) | ჭინჭო-შე(ნ) |
| მოქმედებითი | ბიგა-თე(ნ) | კუჩხე-თე(ნ) | კატუ-თე(ნ) | ჭინჭო-თე(ნ) |

**2.2.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება.** სარფის მეტყველებაში სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ყველა ბრუნვაში გამოიყენება **-ფე** და **-ეფე.**

**-ფე** დაერთვის **ა, ე, ო,** და **უ** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს: *ყონა-ფე ,,ყანები“, ბერე-ფე ,,ბავშვები“, ჯოხო-ფე ,,სახელები“, კატუ-ფე ,,კატები“...*

**-ეფე** კი – **ი** ხმოვნით დაბოლოებულებს ანუ თანხმოვანფუძიან ფუძეებს: *კოჩ-ეფე ,,კაცები“, ჩხომ-ეფე ,,თევზები, სქირ-ეფე ,,შვილები“...*

გ. კარტოზია სახელთა მრავლობითის სუფიქსად ლაზურში გამოყოფს **-ფე, -ეფე, -ლეფე და -ელეფე** ალომორფებს (კარტოზია, 2005:90).

**-ეფე/-ფე** ფორმების პარალელურად, **-ლეფე** მიმდევრობა დასტურდება **ა** ფუძიან სახელებთან: *და-ლ-ეფე ,,დები“, ჯუმა-ლ-ეფე ,,ძმები“, მოთა-ლ-ეფე ,,შვილი-შვილები“,* ზედსართავ სახელებთან: *მჭიფე-ლ-ეფე ,,წვრილები“, უჩა-ლ-ეფე ,,შავები“, გინძე-ლ-ეფე ,გრძელები“, მკულე-ლ-ეფე ,,მოკლეები“.*

**ელ-ეფე** მომდევრობის ნიმუშები: *მსქვა-ელ-ეფე ,,ლამაზები“, ხჩე-ელ-ეფე ,,თეთრები“, მჯვე-ელ-ეფე ,,ძველები“.*

ამ ფორმათა გვერდით სარფულში პარალელური **-ეფე** დაბოლოებიანი ფორმებიც იხმარება: *ჩქიმილეფექ/ჩქიმეფე ,,ჩემები“, ჭიტალეფე/ჭიტაფე ,,პატარები“, მკულელეფე/მკულეფე ,,მოკლეები“, მჩხუელეფე/მჩხუფე, ,,მსხვილები“* და სხვ.

ნ. მარის აზრით, **ლ** ამ ფორმებში ფუძის კუთვნილებაა. ფუძის ბოლოკიდური **ლ** მხოლობითში დაკარგულია, მრავლობითში კი დაცულია (მარი, 1910:14).

**-ა-**ფუძიანი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებთან **ლ** ბგერა გაჩნდება ლაზურში (ჩიქობავა, 1936:62; კარტოზია, 2005:85).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, ,,**ლ** ელემენტი (რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია **ჲ** ელემენტისგან მომდინარეობდეს) მეგრულ-ჭანურში შედარებით გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს ხმოვნებს შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად“(გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:149).

**თანდებულიანი ბრუნვები.** ლაზური და ანალოგიურად სარფული მეტყველებაც თანდებულების სიმცირით გამოირჩევა:

**-კალა** ნათესაობით ბრუნვას დაერთვის და ქართული **,,თან“** თანდებულის ბადალია. ნათესაობითის ნიშანი იკარგება თანდებულის დართვისას. მაგ.: *ჯუმა-კალა<ჯუმაშკალა ,,ძმასთან“, სქანიკალა ,,შენთან ერთად“, ოხოროკალა ,,სახლთან“.*

**-ნი** დაშორებით ბრუნვას დაერთვის და ქართული **,,-თვის“** თანდებულის შესატყვისია: *სქანიშენი ,,შენთვის“, მანძაგეიშენი ,,მეზობლისთვის“, ბერეშენი ,,ბავშვისთვის“.*

**-ქის ,,-მდის“** თანდებულს შეესატყვისება და დაერთვის მიმართულებით ბრუნვას: *ახჩამიშაქის ,,საღამომდე“, მოხთიმაშაქის ,,მოსვლამდე“.*

**-კელე,** ქართული **,,-კენ“,** დაერთვის ნათესაობითს: *ოხოიკელე <ოხოიშკულე ,,სახლისკენ“, ბიჭიკელე ,,ბიჭისკენ“, ჩქიმდეკელე ,,ჩემკენ“.*

**-სთერო** ბადალია **,,-ვით“** თანდებულის და დაერთვის ნათესაობით ბრუნვას: *კოჩისთერიბ,,კაცივით“, ბერესთერი ,,ბავშვივით“, ჩქიმისთერი ,,ჩემსავით“.*

**ნაცვალსახელი.** ნაცვალსახელთა ჯგუფებიდან სარფის მეტყველებაში, ისე როგორც სხვა ლაზურ კილოკავებში, გამოიყოფა: **პირის ნაცვალსახელები: მა** ,,მე“**, სი** ,,შენ“, მრ. რ. **ჩქინ** „ჩვენ“**, თქვან** „თქვენ“**;** მესამე პირის ნაცვალსახელი **მუქ** „მან“**,** „ის“**;** მრ. რ. **მუთეფე** „ისინი“.

**ჩვენებითი ნაცვალსახელი: ადა** ,,ეს“**, ია** ,,იგი“, მრ. რიცხ. **ანთეფე** ,,ესენი“**, ენთეფე** ,,ისინი“.

**კუთვნილებითი ნაცვალსახელი: *ჩქიმი*** *,,ჩემი“,* ***სქანი*** *,,შენი“.* მრ. რიცხ. ***ჩქინი*** *,,ჩვენი“,* ***თქვანი*** *,,თქვენი.“*

**კითხვითი ნაცვალსახელი**: ***მი*** *,,ვინ“,* ***მუ*** *,,რა“,* ***ნამუ*** *,,რომელი“, მრ. რ.* ***მიეფე*** *,,ვინები“,* ***მუეფე*** *,,რაები“,* ***ნამუფე*** *,,რომლები“.*

<u>ნაცვალსახელთა ბრუნების ნიმუშები:</u>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | მან ,,მე“ | სინ ,,შენ“ | ჩქინ ,,ჩვენ“ | თქვან ,,თქვენ“ |
| მოთხ. | მან | სინ | ჩქინ | თქვან |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიც. | მან | სინ | ჩქინ | თქვან |
| ნათ. | ჩქიმ | სქან | ჩქინ | თქვან |
| მიმართ. | ჩქიმდა | სქანდა | ჩქინდა | თქვანდა |
| დაშორ. | ჩქიმდენ | სქანდენ | ჩქინდენ | თქვანდენ |
| მოქმ. | _____ | _____ | _____ | _____ |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | მუქ ,,ის“ | მუთეფე ,,ისინი“ |
| მოთხ. | მუქ | მუთეფექ |
| მიც. | მუს | მუთუფეს |
| ნათ. | მუ-ში | მუთეფეში |
| მიმართ. | მუშა | მუთეფეშა |
| დაშორ. | მუშენ | მუთეფეშენ |
| მოქმ. | მუთუნ | მუთეფეთენ |

ვაბრუნოთ: აჲა ,, ამ, ეს, ამ“, ანთეფე ,,ესენი“, ია ,,იგი“, ენთეფე ,,ისინი“:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | აჲა | ანთეფე | ია | ენთეფე |
| მოთხ. | ამუქ | ანთეფექ | ემუქ | ენთეფექ |
| მიც. | ამუს | ანთეფეს | ემუს | ენთეფეს |
| ნათ. | ამუში | ანთეფეში | ემუში | ენთეფეში |
| მიმართ. | ამუშა | ანთეფეშა | ემუშა | ენთეფეშა |
| დაშორ. | ამუშენ | ანთეფეშენ | ემუშენ | ენთეფეშენ |
| მოქმ. | ამუთენ | ანთეფეთენ | ემუთენ | ენთეფეთენ |

ვაბრუნოთ: ჩქიმი ,,ჩემი“, სქანი ,,შენი“, ჩქინი ,,ჩვენი“, თქვანი ,,თქვენი“:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | ჩქიმი | სქანი | ჩქინი | თქვანი |
| მოთხ. | ჩქიმიქ | სქანიქ | ჩქინიქ | თქვანიქ |
| მიც. | ჩქიმის | სქანის | ჩქინის | თქვანის |
| ნათ. | ჩქიმიში | სქანიში | ჩქინიში | თქვანიში |
| მიმართ. | ჩქიმიშა | სქანიშა | ჩქინიშა | თქვანიშა |
| დაშორ. | ჩქიმიშენ | სქანიშენ | ჩქინიშენ | თქვანიშენ |
| მოქმ. | ჩქიმითენ | სქანითენ | ჩქინითენ | თქვანითენ |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | მი ,,ვინ“ | მიფე | მიეფე ,,ვინები, ვინ“ |
| მოთხ. | მიქ | მიფექ | მიეფექ |
| მიც. | მის | მიფეს | მიეფეს |
| ნათ. | მიში | მიფეში | მიეფეში |
| მიმართ. | მიშა | მიფეშა | მიეფეშა |
| დაშორ. | მიშენ | მიფეშენ | მიეფეშენ |
| მოქმ. | მითენ | მიფეთენ | მიეფეთენ |

**2.2.5. ზედსართავი სახელი.** ლაზურში (resp. სარფულში) **უფროობით ხარისხის** საწარმოებლად არ გამოიყენება მორფოლოგიური აფიქსები. აქ ლექსიკური საშუალებით ხერხდება ხარისხის გადმოცემა. შესადარებელი საგანი უპირისპირდება სადარებელს, გვაქვს აღწერითი წარმოება: *ამუშენ დიდი ,,ამაზე დიდი“, ამუშენ ჭიტა ,,ამაზე პატარა“, ამუშენ გინძე ,,ამაზე გრძელი“.*

უფროობით ხარისხს გამოხატავს გაგრძელებული ინტონაციით წარმოთქმული ზედსართავები: *დიიიდი ,,ძალიან დიდი“, გიიინძე ,,ძალიან გრძელი“, მკუუულე ,,ძალიან მოკლე“* და მისთ.

**თანაბრობითის** შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება შესადარებელ საგანზე დართული თანდებულები: **-კონაი, -სთერი** ,,ვით“: *ოხორიკონაი მჩხუ ქვა ,,სახლის სიდიდის ქვა“, კულანისთერი მსქვა ბიჭი ,,გოგოსავით ლამაზი ბიჭი“.*

თანაბრობითი ხარისხი იწარმოება მორფოლოგიური აფიქსებითაც: **მა-ან-ა:** *მაპეჯანა ,,მოსქელო“ , მამჩხვანა ,,მომსხო“, მოთითხაა ,,მოთხელო“.*

**-ონ** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები: *უჩონი ,,მოშავო“, ხჩეონი ,,მოთეთრო“, მჭითონი ,,მოწითალო“, საონი ,,მოყვითალო“.*

არსებითი სახელისგან ნაწარმოები **ქონების ზედსართავი სახელები** იწარმოება **-ონ** სუფიქსით: *თიოლონი ,,თავიანი“, ხეოლონი ,,ხელიანი“.*

**უქონლობას** გამოხატავს **უ-ელ:** *უკუჩხელი ,,უფეხო“, უთიელი ,,უთავო“.* **უ-ე:** *უკიბირე, ,,უკბილო“, უგნოსე ,,უჭკუო“.*

**2.2.6. რიცხვითი სახელი.** მეტყველებაში ფუძის შედგენილობის მიხედვით **რიცხვითი სახელები** სამგვარია: მარტივი, რთული და შედგენილი. **მარტივი** რიცხვითი სახელები ლაზურში (resp) სარფულში ცოტაა: *არ ,,ერთი“, ჟურ ,,ორი“, სუმ ,,სამი“, ოთხო ,,ოთხი“, ხუთ ,,ხუთი“, ანშ ,,ექვსი“, შქვით ,,შვიდი“, ოვროს/ორვო ,,რვა“, ნცხოვრო ,,ცხრა“, ვით ,,ათი“, ეჩ ,,ოცი“, ოშ ,,ასი“.*

**რთული** რიცხვითი სახელები ორი ან მეტი ფუძისგან შედგება. ესენია, მაგ.: ათის შემდეგ ოცამდე: *ვიტოარ ,,თერთმეტი“, ვიტოჟურ ,,თორმეტი“;* ოცის შემდეგ ასამდე: *ეჩდოოარ ,,ოცდაერთი“, ეჩდოვით ,,ოცდაათი“;* ასეულები: *ჟუროში ,,ორასი“, ოთხროში ,,ოთხასი“, შქვითოში ,,შვიდასი“.*

რთულფუძიან რიცხვით სახელთა ერთი ნაწილი მიღებულია **უკავშირო შეერთებით**, ესენია: ოცეულების გამომხატველი *სახელები: ჟურენეჩ ,,ორმოცი“, სუმენეჩ ,,სამოცი“, ოთხენეჩ ,,ოთხმოცი“*; ასეულობის გამომხატველი რთული რიცხვითი სახელები: *ჟუროში ,,ორასი“, ხუთოში ,,ხუთასი“.*

**რიგობითი** რიცხვითი სახელი იწარმოება **-მა-ა(ნ)** მაწარმოებლით: *მასუმა ,,მესამე“, მავითანი ,,მეათე“.*

**წილობითი** რიცხვითი სახელი სარფის თქმაში გამოიხატება სინტაქსური კონსტრუქციებით, აღწერითად: *სუმ ფაიშენ არ ფაი ,,სამი წილიდან ერთი წილი (ერთი მესამედი).*

**ნახევარს** აღნიშნავს გვერდი: არ დოგვერი ,,ერთ-ნახევარი".

### ზმნა

**ზმნის პირი და რიცხვი.** სარფის თქმაში **პირველი სუბიექტური პირის** მორფემა **ვ-** წარმოდგენილია ალომორფებით: **ბ, ფ, პ, მ, 0. ვ-** სუბიექტური პირველი პირის ნიშნად დაცულია ხმოვნების წინ: *ვ-იმხორ ,,ვჭამ", ვიბირ ,,ვმღერი", ვუწუმერ ,,ვეუბნები", ვუხვენუფ ,,ვუკეთებ", ვორე ,,ვარ", ვოჩქუმერ ,,ვაგზავნი", ვაქიტერ ,,ვეხვევი", ვამცქვერ ,,ვეტრაბახები".*

$S_1$-ის ნიშანი იკარგება ზმნისწინის მომდევნო და ხმოვნების წინა პოზიციაში: *დოიქიფ (<დოვიქიფ) ,,გავაკეთებ", ქოიმხორ (<ქოვიმხორ) ,,შევჭამ", დოუკიდუფ (<დოვუკიდუფ) ,,ავუშენებ", დოუჯოხი (<დოვუჯოხი) ,,დავუძახე", დოოხვენაფაფ (<დოვოხვენაფაფ) ,,გავაკეთებინებ", დოოხვი (<დოვოხვი) ,,დავმარხე", დოლოაქიტი (<დოლოვაქიტი) ,,გადავეხვიე".*

**ვ-**ს მჟღერთა წინ ენაცვლება **ბ-**: *ბგორუფ ,,ვეძებ", ბღაღალაფ ,,ვლაპარაკობ", ბდგირ ,,ვდგავარ".*

**პ-** ენაცვლება ყრუ მკვეთრების წინ: *პტიბუ ,,ვთბები", პყოროფ ,,ვყვარობ", პჭოფუფ ,,ვიჭერ".*

**ფ-** ენაცვლება ყრუ ფშვინვიერთა წინ: *ფხაჩქუფ ,,ვთოხნი", ფთორუფ ,,ვათრევ", ფხერ ,,ვზივარ".*

**მ-** ენაცვლება ცხვირისმიერთა წინ: *მნცირუფ ,,ვცრი", გომნწკი ,,გავაღე", მნახუფ ,,ვრეცხავ".*

მეგრულ-ლაზურში **მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ დასტურდება.**

**მესამე სუბიექტური** პირის მარკერებია **-ს, -ნ, -უ. -ს** გამოიყენება აწმყოში გარდამავალ ზმნებთან და ყველა ზმნის კავშირებითის ფორმებთან: *ჭარუფ-ს ,,წერს", კიდუფ-ს ,,აშენებს", ჭარუფტას ,,წერდეს", კიდუფტა-ს ,,აშენებდეს".*

**-ნ** ნახმარია გარდაუვალ ზმნებთან: *ხე-ნ ,,ზის", დგი-ნ ,,დგას", იჭარენ ,,იწერება", აჭარენ ,,ეწერება".*

**-უ** დასტურდება წყვეტილში ყველა ზმნასთან და უწყვეტელში: *დოჭარუ ,,დაწერა", დოხედუ ,,დაჯდა", ჭარუფტუ ,,წერდა", დოხედუტუ ,,ჯდებოდა".*

სუბიექტური პირი **მრავლობით რიცხვში** იგივეა, რაც მხოლობითში, ოღონდ **-თ** დაერთვის პირველ და მეორე პირში: *პჭარუფთ ,,ვწერთ", ჭარუფთ ,,წერთ", ვორეთ ,,ვართ", რეთ ,,ხართ".* **მესამე სუბიექტური** პირის ნიშნად სარ-

ფულში რეალიზებულია **-ან** და **-ეს:** *რენ-ან ,,არიან“, ხენან ,,სხედან“, დოხედეს ,,დასხდნენ“, ჭარეს ,,წერეს“, ჭარუფტეს ,,წერდნენ“.*

**ობიექტური პირის** ნიშნები პირველ და მეორე პირში წარმოდგენილია **მ-** და **გ-** მორფემით: *მკითხუფს ,,მკითხავს“, მიწუმერს ,,მეუბნება“, გკითხუფს ,,გკითხავს“, გიწუმერს ,,გეუბნება“, მოტიბინაფს ,,მათბობს“, გოტიბინაფს ,,გათბობს“.*

პირველი და მეორე ობიექტური პირის **მრავლობითობა** აღინიშნება სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნებით: *მოტიბინაფან ,,მათბობენ“, გოტიბინაფან ,,გათბობენ“, მიღუნან ,,გვაქვს“, გიღუნან ,,გაქვთ“, მკითხეს ,,გვკითხეს“, გკითხეს ,,გკითხეს“.*

**დრო და კილო.** დრო სამია: აწმყო, წარსული, მომავალი.

აწმყოს ფუძეს ემყარება პირველი სერიის მწკრივები. აწმყოს ფუძე რთულია, დაირთავს თემატურ სუფიქსებს. თემის ნიშნებია: **-უფ:** *ჭარუფს ,,წერს“, კვათუფს ,,ჭრის“; აფ: ორგაფს ,,რგავს“, ომცქვაფს ,,აქებს“*; **-ოფ:** *პყოროფ ,,მიყვარს“, ბძიროფ ,,ვხედავ“;* **-იფ:** *იქიფს ,,აკეთებს“, გედგიფს ,,დადგამს“.* **-ეფ:** *იჩალიშეფს ,,მუშაობს“;* **-მერ**: *ვუწუმერ ,,ვეუბნები“, მოვიმერ ,,მოვიტან“.* გამოღმა სარფის თქმაში რთული **-მერ** სუფიქსი ახალგაზრდათა მეტყველებაში შეცვლილია **-მეფ** სუფიქსით: *მოვიმეფ ,,მოვიტან“, ვუწუმეფ ,,ვეუბნები“.*

**წარსულ დროს** სპეციალური მაწარმოებელი არა აქვს: *დოჭარუ ,,დაწერა“, ქოდორგუ ,,დარგო“.*

**მომავალი დრო** სარფის თქმაში იწარმოება **ზმნისწინებით:** *დოჭარუფს ,,დაწერს“, დოკოდუფს ,,ააშენებს“* და **მეორე კავშირებითისგან ,,მინონ“** მეშველი ზმნით: *ჰჭარა-მინონ ,,ვწერო მინდა“, ჭარა-გინონ ,,წერა გინდა“, ჭარას-უნონ ,,წეროს უნდა“.*

**კილო** ოთხია: **თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი.**

**თხრობითი კილო:** *ჭარუფს ,,წერს“, კვათუფს ,,ჭრის“, იქიფს ,,აკეთებს“.*

**კავშირებით კილოს** აწარმოებს **-ა** სუფიქსი: *ჰჭარუფტა ,,ვწერდე“, კვათუფტა ,,ჭრიდე“, იქიფტა ,,აკეთებდე“ (I კავშ.); ჰჭარა ,,ვწერო“, ჰკვათა ,,ვჭრა“ (II კავშ.) ჰჭარელერეტა ,,დამეწერა“, ჰკვათერეტა ,,მომეჭრა“ (III კავშ).*

**პირობით კილოს** აწარმოებს **-კონ** (<ოკონ ,,უნდა“): *ჰჭარუპტიკონ ,,რომ დამეწერა, რომ მეწერა“; ჰკვათუფტიკონ ,,რომ დამეჭრა, რომ მეჭრა“.*

**ბრძანებით კილოს** საკუთარი წარმოება არა აქვს. დადებითი ბრძანებითი იყენებს თხრობით კილოს (წყვეტილს) მეორე პირისთვის: *დოჭარი! ,,დაწერე!“, კვათი! ,,მოჭერი!“,* მესამე პირისათვის გამოყენებულია II კავშირებითი: *დოჭარას! ,,დაწეროს!“, დოკვათას! ..მოჭრას!“*

**უარყოფით ბრძანებითს** დაერთვის ნაწილაკი **მო** (აწმყოსთან): *მო ჭარუფ ,,ნუ წერ“, მო კვათუფ ,,ნუ ჭრი“.*

**ვა** ნაწილაკი იხმარება კავშირებით მეორესთან: *ვა ჭარა ,,არ წერო“, ვა კვათა ,,არ მოჭრა“, ვა მოხთა ,,არ მოხვიდე“*

**ზმნის გარდამავლობა.** სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობასა და დროზე. სარფის მეტყველებაში გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ყველა მწკრივსა და სერიაში მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება – სახელობითში. მაგ.: *უსთაქ კიდუფს ოხორი ,,მოხელე (მოხელემ) აშენებს სახლს (სახლი), უსთაქ დოკიდუ ოხორი ,,მოხელემ ააშენა სახლი“, უსთაქ დოკიდერენ ოხორი ,,მოხელეს(მოხელემ) აუშენებია სახლი.“*

გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია, ირიბი ობიექტი მიცემითში: *კოჩი ღურუნ ,,კაცი კვდება“, კოჩი დოღურუ“ ,,კაცი მოკვდა“, კოჩი დოღურელერენ“ ,,კაცი მომკვდარა“.* ორპირიანი გარდაუვალი ზმნა: *ხელმწიფეს ბერე ვარ უყოონტერენ ,,ხელმწიფეს შვილი არ ჰყოლია“. ბერეს ბაბა უღურუნ ,,ბავშვს მამა უკვდება“, ბერეს ბაბა დუღურუ ,,ბავშვს მამა მოუკვდა“, ბერეს ბაბა დუღურელერენ ,,ბავშვს მამა მოკვდომია.“*

**ასპექტი და ზმნისწინი.** სრულ ასპექტს აწარმოებს ზმნისწინები. პრევერბები, აგრეთვე, აწარმოებს მიმართებასა (გეზს) და დროს. სარფულში მყოფადი გადმოიცემა როგორც პრევერბით *(დოჭარუფს ,,დაწერს),* ისე ,,**მინონ“** მეშველი ზმნით *(ჭარას-უნონ ,,წეროს უნდა, დაწერს).* მიმართულებას (გეზს) აღნიშნავს ზმნისწინი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან: *ეხთუ ,,ავიდა“, გეხთუ ,,ჩავიდა“, მენდხთუ ,,წავიდა“* და სხვა.

სრული ასპექტის გამომხატველად პრევერბები გამოყენებულია აორისტში *(დოჭარუ ,,დაწერა“),* კავშირებით მეორესა *(დოჭარას ,,დაწეროს“)* და მესამე სერიის მწკრივებში *(დოჭარელერენ ,,დაუწერია“).*

შედგენილობის მიხედვით ზმნისწინები ორგვარია – მარტივი და რთული. მარტივი პრევერბებია:

**ჲე-/ე-:** *ჲეხთუ/ეხთუ ,,ავიდა“, ჲეჭოფუ ,,იყიდა“;*

**მე-:** *მეპტკოჩი ,,გადავაგდე“, მევულურ ,,მივდივარ“.*

**მო-:** *მოხთუ ,,მოვიდა“,მომჩუ ,,მომცა“.*

**გე-:** *გეხედუ ,,დაჯდა“, გეხთუ ,,ჩამოვიდა“*

**გო-:** *გონწკუ ,,გახსნა, გააღო,“ გონთხუ ,,გაშალა“.*

**დო-:** *დოხედუ ,,დაჯდა“, დოჭუ ,,დაწვა“.*

**ო-:** *ოჭკომუ ,,შეჭამა“, ოფუთხუ ,,გაფრინდა“.*

რთული პრევერბები მიიღება მარტივ პრევერბებზე ნაწილაკების დართვით. ეს ნაწილაკებია: **კა, კო, წა/წო, შა, ლა/ლო, და, მა, მო, ჟო.**

**მე+კო-:** *მეკოვოჩქვი ,,გადავუშვი“, მეკოვონჭი ,,გადავწიე“.*

**ე+წა-:** *ეწავუდგი ,,შევუდგი“, ეწობზდი ,,ავწიე“.*

**ე+შა-:** *ეშაფთი ,,ავედი“, ეშაფუთხუ ,,ამოფრინდა“.*

**ე+ლა-:** *ელავულურ ,,ავდივარ“, ელახენ ,,მიმჯდარა“.*

**მე+კა-:** *მეკახთუ ,,გადავიდა“.*

**მე+შა-:** *მეშახენ ,,შიგ ზის“.*

**გო+შა-:** *გოშატკოჩუ ,,ჩააგდო“.*

**გო+წო-:** *გოწოკიდუ ,,ჩამოკიდა“.*

**გე+ჟა-:** *გეჟაბდგი ,,ზედ დავდგი“.*

**ო+ხო-:** *ოხოვოწონი ,,მივხდი, დავრწმუნდი“.*

**გვარი.** გვარი სამია ლაზურში და სარფის მეტყველებაშიც: მოქმედებითი (ყველა გარდამავალი ზმნა), ვნებითი და საშუალი (გარდაუვალი ზმნები). მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნებს მაწარმოებელი არა აქვს.

**ვნებითი გვარის** ზმნებს ლაზურში აფიქსები აწარმოებს, ასეა სარფულშიც. აწმყოში ეს აფიქსებია: **-უ** სუფიქსი, **ი-ე** აფიქსი, **ა-ე** აფიქსი.

**-უ:** *სქიდუ-ნ ,,რჩება, ცხოვრობს“, ხომ-უ-ნ ,,ხმება“, ტიბ-უ-ნ ,,თბება“.*

**ი-ე:** *ი-ჭარ-ე-ნ ,,იწერება“, ი-ქიმოჯ-ე-ნ ,,თხოვდება“, ი-შვ-ე-ნ ,,ისმევა“.*

**ა-ე:** *ა-შვ-ე-ნ ,,ესმევა“, ა-ჭკომ-ე-ნ ,,ეჭმევა“.*

**დონიანი ვნებითი** სარფულში რამდენსამე სიტყვაში დასტურდება: *გოჭკონდუნ ,,ავიწყდება“, მოღორდუნ ,,მოტყუვდება“, მოწოინდუნ ,,მოეწონება“.*

ერთპირიან **ი-ე** და ორპირიან **ა-ე** წარმოების ვნებითები ითავსებენ პოტენციალის, შესაძლებლობის კატეგორიას. **ი-ე** გამოხატავს განყენებულად აღებულ შესაძლებლობას (შეიძლება შეისვას, შეიჭამოს), მეორე **ა-ე** კი შესაძლებლობას გარკვეულ პირებთან მიმართებით (შეუძლია შესვას, შეუძლია შეჭამოს).

**საშუალი გვარის** ზმნების ნიმუში იქმნება: *რენ ,,არის“, ხენ ,,ზის“, მინონ ,,მინდა“, ჯოხონს ,,ჰქვია“.*

**ქცევა.** სარფის თქმაში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, გამოიყოფა ნეიტრალური (საარვისო), სასუბიექტო (სათავისო) და საობიექტო (სასხვისო) ქცევა.

**საარვისო ქცევას** ნიშანი არა აქვს: *ჭარუფს ,,წერს“, კიდუფს ,,აშენებს“, ხაჩქუფს ,,თოხნის“.*

სათავისო ქცევას **ი-** აწარმოებს: მაგ.: *იჭარუფს ,,იწერს“, იკიდუფს ,,იშენებს“, იბღაფს ,,იპარავს“, იკვათუფს ,,იჭრის“.*

არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: „სასუბიექტო ქცევის შესახებ სარფელები აცხადებდნენ: იგი აღნიშნავს, რომ ობიექტი სუბიექტის კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ არ აღნიშნავს იმას, რომ ობიექტი განკუთვნილია სუბიექტისთვისო: ,,ყველს იჭრის“ (ე.ი. ჭრის თავისთვის) ჭანურად არ ითქმისო: ,,ხე იკვათუმს“, კი-

თი იკვათუმს“, („ხელს იჭრის“, ,,თითს იჭრის“ ითქმის). ,,ხელი“, თითი“ სუბიექტისაა და ,,იკვათუმს“ ნიშნავს: ,,ჭრის თავისასო“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავის სხეულის ნაწილს და არა თავისთვის) (ჩიქობავა, 2008:120). იქვე არნ. ჩიქობავა დასძენს, რომ ქართულში, მეგრულშიც და სვანურშიც სასუბიექტო ქცევის ძირითადი და პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სწორედ ის, რაც ლაზურშია შემონახული.

**სასხვისო ქცევას** ორი მნიშვნელობა აქვს: მოქმედება ეხება ობიექტის საგანს ან ობიექტისთვის განკუთვნილ საგანს. სასხვისო ქცევის ნიშანია **ი-** და **უ-.**

**ი-:** *მიხვენუფს ,,მიკეთებს“, მიკიდუფს ,,მიშენებს“.*

**უ-:** *უხვენუფს ,,უკეთებს“, უკიდუფს ,,უშენებს“.*

**კაუზატივი.** შუალობითი კონტაქტის ფორმა, ანუ კაუზატივი გამოხატავს სუბიექტური პირის პირდაპირ ობიექტზე მოქმედებას სხვა პირის (ირიბი) მეშვეობით. კაუზატივის მაწარმოებელია **ო-**თავსართი **-აფ** ბოლოსართი, რომელიც დაერთვის წყვეტილის ფუძეს: *ოჭარაფუ ,,აწერინა“, ოკვათაფუ ,,აჭრევინა“, ოკიდაფუ ,,ააშენებინა“.*

აწმყოს კაუზატივი: *ოგიბაფაფს ,,ახარშვინებს“, ოჭარაფაფს ,,აწერინებს“, ოკვათაფაფს ,,აჭრევინებს“.*

**სერიები და მწკრივები.** პირველი სერიის ძირითადი მწკრივია **აწმყო.** აწმყოს ფუძეს, წყვეტილის ფუძესთან შედარებით, ართულებს თემატური სუფიქსები და სავრცობი. სარფულში ყველაზე გავრცელებული თემის ნიშანია **-უფ.** მაგ.: *ჭარუფს ,,წერს“, კიდუფს ,,აშენებს“, ხაჩქუფს ,,თოხნის“, იკითხუფს ,,კითხულობს“.*

**აწმყო:** პჭარუფ

ჭარუფ

ჭარუფს

პჭარუფთ

ჭარუფთ

ჭარუფან

აწმყოსგან იწარმოება: უწყვეტელი, კავშირებითი პირველი, პირობითი პირველი, ნაუწყვეტლარი თურმეობითი.

**უწყვეტელი.** უწყვეტელს აწარმოებს **-ტ** სუფიქსი. I და II პირის ორსავე რიცხვში ბოლოში დაერთვის უფუნქციო **-ი** (დანელია, 2006:148). სუბიექტური მესამე პირის ნიშანია **-უ** ( მხ. რ) და **-ეს** (მრ. რ).

პჭარუფტი მა ია ,,ვწერდი მე მას (იგი)“

ჭარუფტი სი ია ,,წერდი შენ მას (იგი)“

ჭარუფტუ ემუქ ია ,,წერდა ის (მან) მას (იგი)

პჭარუფტით ჩქინ ია ,,ვწერდით ჩვენ მას (იგი)“

ჭარუფტით თქვან ია ,,წერდით თქვენ მას (იგი)

ჭარუფტეს ენთეფექ ია ,,წერდნენ ისინი მას (იგი).

უწყვეტელისგან იწარმოება კავშირებითი პირველი, პირობითი პირველი, ნაუწყვეტლარი პირველი.

**კავშირებითი I:** კავშირებით პირველს აწარმოებს **-ა** სუფიქსი. **-ა** დაერთვის უწყვეტლის ფუძეს, უფუნქციო **ი**-ს გამოყენებით. **-ა** ქართული **ე**-ს კანონზომიერი შესატყვისია.

პჭარუფტა მან ია ,,ვწერდე მე მას (იგი)“

ჭარუფტა სინ ია ,,წერდე შენ მას (იგი)“

ჭარუფტას ემუქ ია ,,წერდეს ის (მან) მას (იგი)“

პჭარუფტათ ჩქინ ია ,,ვწერდეთ ჩვენ მას (იგი)“

ჭარუფტათ თქვან ია ,,წერდეთ თქვენ მას (იგი)“

ჭარუფტან ენთეფექ ია ,,წერდნენ ისინი (მათ) მას (იგი).

სუბიექტური მესამე პირის ნიშანია**-ს** (მხ.რ) და **-ან** (მრ.რ)

**პირობითი პირველი:** ეს მწკრივი იწარმოება უწყვეტლის ფუძისგან **-კონ**-ის დართვით პირის ნიშნების შემდეგ, ბოლოში.

პჭარუფტიკონ მან ია ,,რომ ვწერდე მე მას (იგი)“

ჭარუფტიკონ სინ ია ,,რომ წერდე შენ მას (იგი)“

ჭარუფტუკონ ემუქ ია ,,რომ წერდეს ის (იმან) მას (იგი)

პჭარუფტითკონ ჩქინ ია ,,რომ ვწერდეთ ჩვენ მას (იგი)“

ჭარუფტითკონ თქვან ია ,,რომ წერდეთ თქვენ მას (იგი)

ჭარუფტესკონ ენთეფექ ია ,,რომ წერდნენ ისინი (მათ) მას (იგი).

**ნაუწყვეტლარი თურმეობითი** იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე **-ერე**-ს დართვით.

პჭარუფტერე მან ია ,,ვწერდე თურმე მე მას (იგი)“

ჭარუფტერე სინ ია ,,წერდე თურმე შენ მას (იგი)“

ჭარუფტერენ ემუქ ია ,,წერდეს თურმე ის (მან) მას (იგი)

პჭარუფტერეთ ჩქინ ია ,,ვწერდეთ თურმე ჩვენ მას (იგი)“

ჭარუფტერეთ თქვან ია ,,წერდეთ თურმე თქვენ მას (იგი)

ჭარუფტერენან ენთეფექ ია ,,წერდნენ თურმე ისინი (მათ) მას (იგი).

სუბიექტური მესამე პირის ნიშანია **-ნ** (მხ.რ) და **-ან** (მრ. რ).

**II სერიის მწკრივები.** მეორე სერიის ფორმებისთვის მთავარი წყვეტილის მწკრივია, წყვეტილი საყრდენია დანარჩენი მწკრივების საწარმოებლად.

**წყვეტილი:** ამ მწკრივს აწარმოებს **-ი** სუფიქსი: *პჭარი ,,ვწერე“, მძირი ,,ვნახე“, პჭოფი ,,დავიჭირე“.*

სუბიექტური მესამე პირის ნიშანია **-უ** (მხ. რ) და **-ეს** (მრ. რ).

პჭარი მან ია ,,ვწერე მე ის“

ჭარი სინ ია ,,წერე შენ ის“

ჭარუ ემუქ ია ,,წერა მან ის“

პჭარით ჩქინ ია ,,ვწერეთ ჩვენ ის“

ჭარით თქვან ია ,,წერეთ თქვენ ის“

ჭარეს ენთეფექ ია ,,წერეს მათ ის“

წყვეტილს ეყრდნობა შემდეგი მწკრივები: კავშირებითი, პირობითი II, ნაწყვეტილარი კავშირებითი III.

კავშირებითი II-ისაგან იწარმოება: მყოფადი, პირობითი III.

კავშირებითი II იწარმოება წყვეტილისგან **-ა** სუფიქსით.

პჭარა მან ია ,,ვწერო მე ის”

პჭარა სინ ია ,,წერო შენ ის“

ჭარას ემუქ ია ,,წეროს მან ის“

პჭარათ ჩქინ ია ,,ვწეროთ ჩვენ ის“

ჭარათ თქვან ია ,,წეროთ თქვენ ის“

ჭარან ენთეფექ ია ,,წერონ მათ ის“.

**პირობითი მეორე** სარფის მეტყველებისთვის ნიშანდობლივი არ არის.

წყვეტილისგან იწარმოება თურმეობითი I, თურმეობითი II, კავშირებითი მესამე.

**მყოფადი** იწარმოება კავშირებითი II-საგან, დაერთვის მეშველი ზმნა ,,**მინონ“.**

პჭარა მინონ მან ია ,,ვწერო მინდა მე ის“

პჭარა გინონ სინ ია ,,წერო გინდა შენ ის“

ჭარას უნონ ემუქ ია ,,წეროს უნდა მას ის“

პჭარა მინონან ,,ვწერო გვინდა ჩვენ ის“

ჭარა გინონან ,,წერო გინდათ თქვენ ის“

ჭარას უნონან ,,წეროს უნდათ მათ ის“

**აწმყოსგან პრევერბით იწარმოება მყოფადი:**

დოპჭარუფ მან ია ,,დავწერ მე მას (ის)“

დოჭარუფ სინ ია ,,დაწერ შენ მას (ის)“

დოჭარუფს ემუქ ია ,,დაწერს ის (მან) მას (ის)“

დოპჭარუფთ ჩქინ ია ,,დავწერთ ჩვენ მას (ის)“

დოჭარუფთ თქვან ია ,,დაწერთ თქვენ მას (ის)“

დოჭარუფან ენთეფექ ია ,,დაწერენ ისინი მას (ის)“

**პიროზითი III.** ეს მწკრივი ეყრდნობა კავშირებით მეორეს, დაირთავს უწყვეტლის სავრცობ **ტ**-ს, აღნიშნული მწკრივი ფართო ხმარებისად არ არის სარფულში.

პჭარატი მან ია ,,დავწერდი მე მას (ის)“

ჭარატი სინ ია ,,დაწერდი შენ მას (ის)“

ჭარატუ ემუქ ია ,,დაწერდა ის (მან) მას(ის)“

პჭარატით ჩქინ ია ,,დავწერდით ჩვენ მას (ის)“

ჭარატით თქვენ ია ,,დაწერდით თქვენ მას (ის)“

ჭარატეს ენთეფექ ია ,,დაწერდინე ისისნი (იმათმა) მას (ის)“.

**III სერიის მწკრივები.** ლაზურში II სერიის მწკრივები წყვეტილს ეყრდნობა, მესამე სერიაში ხოფურსა და სარფულში გვაქვს **ნაწყვეტილარი თურმეობითი I, თურმეობითი II, კავშირებითი III.** ხოფურში და ასევე სარფულშიც იწარმოება **-ერე**-თი (I თურმეობითი), **-ერეტ** (II თურმეობითი), **-ერეტა** (III კავშირებითი).

პჭარელერე მან ია ,,მიწერია მე ის“

ჭარელერე სინ ია ,,გიწერია შენ ის“

ჭარელერენ ემუქ ია ,,უწერია მას (იმან) ის“

პჭარელერეთ ჩქინ ია ,,გვიწერია ჩვენ ის“

ჭარელერეთ თქვან ია ,,გიწერიათ თქვენ ის“

ჭარელერენან ენთეფექ ია ,,უწერიათ მათ (იმათ) იგი“.

**ნაწყვეტილარი თურმეობითი II**

პჭარელერეტი მან ია ,,მიწერია თურმე მე ის“

ჭარელერეტი სინ ია ,,გიწერია თურმე შენ ის“

ჭარელერეტუ ემუქ ია ,,უწერია თურმე მას (იმან) ის“

პჭარელერეტით ჩქინ ია ,,გვიწერია თურმე ჩვენ ის“

ჭარელერეტით თქვან ია ,,გიწერიათ თურმე თქვენ ის“

ჭარელერეტეს ენთეფექ ია ,,უწერიათ თურმე მათ (იმათ) ის“.

**ნაწყვეტილარი კავშირებითი III**

პჭარელერეტა მან ია ,,მეწერა თურმე მე ის“

ჭარელერეტა სინ ია ,,გეწერა თურმე შენ ის“

ჭარელერეტას ემუქ ია ,,ეწერა თურმე მას (იმან) ის“

პჭარელერეტათ ჩქინ ია ,,გვეწერა თურმე ჩვენ ის“

ჭარელერეტათ თქვენ ია ,,გეწერათ თურმე თქვენ ის“

ჭარელერეტან ენთეფექ ია ,,ეწერათ თურმე მათ (იმათ) ის“.

თუ წყვეტილის ფუძე **რ**-ს შეიცავს, თურმეობითის ფორმებში **-ერე**-ს წინ **-ელ** ჩაერთვის: *დოჰჭარი (წყვეტილი), დოჰჭარ-ელ-ერე (თურმეობითი).* ს. ჟღენტის მი-

ხედვით, -**ელ** ფონეტიკური ჩანართია დისიმილაციის ასაცილებლად (ჟღენტი, 1953:85).

სარფულში თურმეობითის ქართულისებური ინვერსიული წარმოებაც გვხვდება.

**თურმეობითი I:** მიჭარუნ ,,მიწერია“
გიჭარუნ ,,გიწერია“
უჭარუნ ,,უწერია“
მიჭარუნან ,,გვიწერია“
გიჭარუნან ,,გიწერიათ“
უჭარუნან ,,უწერიათ“.

**თურმეობითი II:**
მიჭარუტუ ,,მეწერა“
გიჭარუტუ ,,გეწერა“
უჭარუტუ ,,ეწერა“
მიჭარუტეს ,,გვეწერა“
გიჭარუტეს ,,გეწერათ“
უჭარუტეს ,,ეწერათ“

**კავშირებითი III:**
მიჭარუტას ,,მეწეროს“
გიჭარუტას ,,გეწეროს“
უჭარუტას ,,ეწეროს“
მიჭარუტან ,,გვეწეროს“
გიჭარუტან ,,გეწეროთ“
უჭარუტან ,,ეწეროთ“

**პირობითი III**
მიჭარუტუკონ ,,უნდა დამეწერა“
გიჭარუტუკონ ,,უნდა დაგეწერა“
უჭარუტუკონ ,,უნდა დაეწერა“
მიჭარუტეს კონ ,,უნდა დაგვეწერა“
გიჭარუტეს კონ ,,უნდა დაგეწერათ“
უჭარუტეს კონ ,,უნდა დაეწერათ“

ლაზურში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა უღვლილებას შორის სხვაობა მოშლილია. ასეა სარფულ მეტყველებაშიც. დროთა მესამე ჯგუფს გარდამავალი ზმნებიცა და გარდაუვალიც ერთნაირად აწარმოებენ. წარმოვადგენთ გარდაუვალ ზმნათა უღვლილების სქემას მთავარ დროებში, მესამე პირის ფორმებს მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში:

**აწმყო:** ტიბუნ ,,თბება“ ტიბუნან ,,თბებიან“

**უწყვეტელი:** ტიბუტუ ,,თბებოდა“ ტიბუტეს ,,თბებოდნენ“

**კავშირ. I**: ტიბუტას ,,თბებოდეს“ ტიბუტან ,,თბებოდნენ“

**წყვეტილი:** დოტიბუ ,,დათბა“ დოტიბეს ,,თბებოდნენ“

**კავშირ. II:** დოტიბას ,,დათბეს“ დოტიბან ,,დათბნენ“

**მყოფადი მეშველზმნიანი:**

დოტიბასინონ ,,დათბეს“ დოტიბასინონან ,,დათბნენ უნდა“

**პრევერბიანი მყოფადი:** დოტიბუნ ,,დათბება“ დოტიბუნან ,,დათბებიან“

**თურმ. I:** დოტიბერენ ,,დამთბარა“ დოტიბერენან ,,დამთბარან“

**თურმ. II:** დოტიბერეტუ ,,დამთბარიყო“ დიტიბერეტერენან ,,დამთბარან“

**2.2.7.9. სუპლეტური ზმნები.** სუპლეტური ზმნებისთვის ნიშანდობლივია ფუძეების შენაცვლება რიცხვში, მწკრივებში, გვარში, ვერსიაში, პირში. ლაზური უღლების თავისებურებებით ხასიათდება როგორც გარდაუვალი, ასევე გარდამავალი ზმნები (მემიშიში, 2011:45).

სარფის მეტყველებაში უღვლილების თავისებურებებით ხასიათდებიან შემდეგი ზმნები: **იქიფს** (იქმს, აკეთებს) ზმნა ამ ფუძეს იყენებს დროთა პირველი სერიის მწკრივებში, წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ დროებში ენაცვლება **ყუ** „ყო“. საობიექტო ქცევის გამოსახატავად კი იმავე სემანტიკის ფორმაში გვაქვს სხვა ფუძე: **უხვენუ** „გაუკეთა“.

თავისებურია მეშველი ზმნა **რენ** „არის“. მყოფადსა და მეორე სერიის დროებში სულ სხვა ფუძეს იყენებს **(ო)რენ**-არის, **იყვენ**-იქნება, **იყუ**-იყო.

მწკრივმონაცვლეა ზმნა **ულუნ** (მი/მო-დის), წყვეტილში ენაცვლება **ხთ** ძირეული მორფემა: **ულუნ** - მიდის, **მენდახთუ** -წავიდა; აგრეთვე, ენაცვლება **დ - ძირი: ულუნ** - მიდის, **იდუ** - წავიდა, ან კიდევ: **ულუნ** - მიდის, **იგზაულუ** - წავიდა, გაემგზავრა.

**აწმყო:** *ზოპონს - „ამბობს“,* **წყვეტილი:** *თქუ „თქვა“.*

**აწმყო:** *იმხორს „ჭამს“,* **წყვეტილი:** *ჭკომუ „ჭამა“.*

**რიცხვში შენაცვლება:** *მელაფს „ვარდება“, დიბღენ „ცვივა“.* ფუძემონაცვლეა მდგომარეობისა და მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: *გდოკიდაფს „ჰკიდებს“, „ფენს“ გდობუნ „ფენია“, ძინ „ძევს, დევს“, დოდუმერს „დადებს“, ოტკომერს „სტყორცნის“, ოტკოჩუ „სტყორცნა“.*

ლაზურში სუპლეტურ ზმნათა უღლების სისტემა, ძირითადად, ქართულის მსგავსად, თავისებურ ზმნათა უღლების მოდელს გვიჩვენებს.

**მასდარი.** სარფის მეტყველებაში მასდარს აწარმოებს **ო-უ** აფიქსი: *ოკვათუ „კვეთა, ჭრა“, ოჭარუ „წერა“, ოქიმოჯუ „მითხოვება“, ოხთიმუ „წასვლა“.*

ზმნისწინის დართვისას პრეფიქსი **ო-** არა გვაქვს და რჩება მარტო **-უ:** *მოშვა-ჯინუ „დასვენება“, მოხთიმუ „მოსვლა“, გოხთიმუ „სიარული“.*

**ო-უ** აფიქსი ქართული **სა-ა'ს** ტოლფარდია. შდრ.: ,,**სალმობა“** ტიპის ფორმები.

იშვიათად არის **ა-**თი ნაწარმოები საწყისებიც: *შქურინა „შიში“, ბირაფა „სიმ-ღერა“, თანაფა „თენება“.*

გვხვდება სხვა ტიპის მასდარიც: *მგარინი „ტირილი“, ჯოხინი „ძახილი“.*

**მიმღეობა. მოქმედებითი გვარის მიმღეობები** მეტყველებაში ნაკლებად რეა-ლიზდება. მაწარმოებლად გამოყენებულია **მ-ალ-ე:** *მაბირალე „მომღერალი“, მკი-დალე „მშენებელი“;* **მ-უ:** *მწილუ „მკრეფავი“, მჭომუ „მჭამელი“, მშუმუ „მსმელი“.*

ერთეულ შემთხვევებში დასტურდება **-ანჯ** სუფიქსიანი მიმღეობებიც: *მგარინაჯე „მტირალა“, მშუქურინაჯე „მშიშარა“, მხირაჯე „მპარავი“.*

**ვნებითი** და **საშუალი გვარის მიმღეობას** (წარსული დროისა) აწარმოებს **-ერ/-ელ** სუფიქსი: *ჭარელი „დაწერილი“, ტიბინერი „გამთბარი“, ძღერი „გამძღარი“, ჭომერი „შეჭმული“, ქიმოჯერი „გათხოვილი“.*

**მომავალი დროის მიმღეობა** ორნაირად იწარმოება: **1. ო-ალ//ო-ონ** აფიქსებით წარმოდგენილი ფორმები მეტწილად გასუბსტანტივებულია: *ოჭკომალე „საჭმე-ლი“, ოქოსალე „ცოცხი, საგველი“, ეჟარჩალე „დასაფენი“, ოღანწკილონი „საწკრია-ლებელი“, გელახუნონი „დასაჯდომი“.*

მეორე ტიპი მყოფადის მიმღეობისა იწარმოება საწყისის ნათესაობითის ფორმებით: *ონახუში „გასარეცხი“, ოწინუში „ასაწონი“, ოხთიმუში „წასასვლელი“, ოგიბუში „მოსასხამი“.*

მიმღეობის **უარყოფითი** ფორმები: *უგიბუ „მოუხარშავი“, უნჯირუ „უძინა-რი“, უძირაფუ „დაუნახავი“, უნახუ „გაურეცხავი“.*

**ზმნისართი.** ფორმისა და შინაარსის მიხედვით სარფულში გამოიყოფა ზმნი-ზედათა **ორი მორფოლოგიური ჯგუფი: პირველადი** და **წარმოქმნილი.** პირველი შედარებით მცირე რაოდენობითაა, მეორე უფრო მრავალრიცხოვანია და იწარ-მოება სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებითა და კომპოზიციით.

**ძირეული, პირველადი ზმნისართები** წარმოდგენილია ორი ძირითადი ჯგუფით:

**ა)** ზმნიზედებს საზიარო მასალა აქვთ თანდებულებთან და ზმნისწინებთან (მარტიროსოვი, 1946:155). მაგ.: *ჟილე, ჟინ „ზევით“;* **ჟი** ქართული **-ზე** ელემენტის შესატყვისია (ზმნიზედებში ,,ზედა“, ,,ზევით“, ზე-თანდებული). **დოლოხე** „შიგ-ნით“ გამოიყოფა **დოლო** ზმნისწინი, რომელიც მიმართულების გამომხატველია. **გალე, გალენდონ** „გარეთ, გარედან“ ზმნიზედებში გამოყოფენ **გ** ელემენტს ქართული **გ-**ს (გარეთ) შესატყვისს.

**ბ)** ბ. ფოჩხუა ზმნიზედებს აღნაგობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფს: ერთი ნასახელარი ზმნიზედები, რომლებიც სახელთა გაქვავებულ ფორმებს წარმოად-

გენენ. მეორე - ოდინდელი ზმნიზედები. ოდინდელთაგან იგი განარჩევდა ლოკატიურ და ხმოვანთავსართულ ზმნიზედებს (ფოჩხუა, 1958:80-84).

ხმოვანთავსართული ზმნიზედებია, რომლებშიც ძირეული მასალა ფორმდება დამაკონკრეტებელი **ა-, ე-** *თავსართით: აქ „აქ“, აქოლე „აქეთ“, ექოლე „იქით“, აშო „ასე, აქეთ“, ეშო „ისე იქით“.*

ლიტერატურაში მიუთითებენ ძირეულ **ქ-** და **შ-** მორფემებზე, ხოლო **ა-** პრეფიქსი პირველ პირთან სიახლოვეს გამოხატავს, **ე-** მესამე პირთან სიახლოვეს (მემიშიში, 2014:10).

ზმნიზედების წარმოქმნილი ფორმები შეიცავს ძირეულ მორფემებს (და მნიშვნელობის მცვლელ სიტყვამაწარმოებელ აფიქსებს: *წალე „ქვევით“, ჟილე „ზევით“;* **დო** წარმოებით: *წალენდო „ქვემოდან“, ჟინდოლენ „ზემოდან“.*

**ხ** თანხმოვნიანი ზმნიზედების ნიმუში: *წოხლე „წინ, წინათ“, დოლოხე „შიგნით“.*

ზმნიზედური ფუძეები წარმოდგენილია მიმართულებითი ბრუნვის ფორმებით: *სოშა „სადამდე“, თუდეშა „ძირამდე“.*

დაშორებითი ბრუნვა: *ჟინდოლენ „ზევიდან“, წოხლ,შენ „წინასწარ“.*

მიცემითი ბრუნვა: *ხოლოს ,,ახლოს“, გოწოს „შარშან“.*

კომპოზიციით ანუ ფუძის გაორკეცებით ძირითადად იწარმოება ადგილისა და დროის ზმნიზედები: *ჟინ-ჟინ „ზევით-ზევით“, ჟილე-ჟილე „ზევით-ზევით“, თუდე-თუდე „ქვევით-ქვევით“.*

ნაირფუძიანი შეერთებით მიღებული ზმნიზედების ნიმუში: *აქ-ექ „აქ-იქ“, „ჟილე-წალე“ „ზევით-ქვევით“, ანდღა-ჭუმენ „დღეს-ხვალ“, ანდღა ამდღა „დღეს, ამ დღეს“.*

**კავშირი.** მაერთებელი კავშირი **დო/ე-დო „და“** სარფულში აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას.

მაგ.: *ნანა დო ბაბა „დედა და მამა“, და დო ჯუმა „და და ძმა“, ბერე მოხთუ დო და მუშის უწუ „ბავშვი მოვიდა და თავის დას უთხრა“, გუიქთეს დო მუთეფში დულდა დოყვეს „დაბრუნდნენ და თავიანთი საქმე გააკეთეს“.*

**ნა/ე-ნა** ფართოდ გავრცელებული კავშირია ლაზურის კილოკავებში და გამოყენებულია ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში. მას ქართულში, ძირითადად, შეესატყვისება ,,რომ“ და ,,თუ“. აგრეთვე, **ნა** კავშირს შეუძლია გამოხატოს ,,როცა“, ,,როდესაც“, ,,რადგანაც“ კავშირების ფუნქცია. ანალოგიური მდგომარეობაა სარფის მეტყველებაშიც.

მაგ.: *მა ნამოფთი სუმ ნდღია მიკილუ „მე რომ მოვედი სამი დღე გავიდა“; მოხთუნა კაი, ვარ-ნა მუთუ ვა „თუ მოვიდა კარგი, თუ არა არაფერი“; ია ნა მოხთუ, მან ოხოროს ვარ ვორტი „ის როცა მოვიდა, მე სახლში არ ვიყავი“; ემუს მუთუ ნა*

*ვარ უჩქიტუ, ემუშენი ჯოღაბი ვარ ნაჩუ „რადგანაც იმან არაფერი იცოდა, პასუხი ვერ გასცა“.*

ხშირია თურქულიდან შემოსული **ქი** „რომ“ კავშირის ხმარების შემთხვევები.

მაგ.: *ბერექ ბაბას უწუ-ქი „შვილმა მამას უთხრა რომ“, ორდო ვიდა-ქი ვარ მაჲანას „ადრე წავიდე რომ არ დამაგვიანდეს“.*

თურქულიდან შემოსულია, აგრეთვე, **ჰამა/ამა** მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით. მაგ.: *კავე უჩა რენ, ჰამა აღა დო ბეგიქ შუფან „ყავა შავია, მაგრამ აღა და ბეგი სვამს (სვამენ)“; ბერექ დიდო გორუ, ამა მუში ცხენი ვარ აძირუ „ბავშვმა ბევრი ეძება, მაგრამ თავისი ცხენი ვერ იპოვა“.*

**ვანა** რთული მაპირისპირებელი კავშირია, მიღებულია **ვარნა**-საგან: *ვარ „არა“, ნა „თუ“ - თუ არა, ან, ანდა.* ქართულში **ვანა** გადმოიცემა ,,თორემ“ კავშირით.

მაგ.: *ქომოხთი ვანა პატი მაწონენ „მოდი თორემ მეწყინება“; მენდახთი ვანა დოგილუმჯუნ „წადი თუ არა დაგიღამდება“.*

მაპირისპირებელი კავშირია **ჲა/ჲადა**, **ჲა/ჲადა** „ან/ანდა , ,, ან/ანდა“.

*ჲა სი მოხთო, ჲა მან ქომოულუ „ან შენ მოდი ან მე მოვალ“; ჲადა მა ქომოგიმერ, ჲადა სი ქომურერ „ან მე მოგიტან, ანდა შენ მოიტან“.*

სარფულსა და ლაზურის კილოკავებში ,,რომ“, ,,როცა“ კავშირის მნიშვნელობით გამოდის ზმნაზე დართული ნათესაობითი ბრუნვის მარკერი **-ში.**

მაგ.: *ოხოროშა ნოლუტუში, არ ბიდი კოჩი ქონაგუ „სახლში რომ მიდიოდა, ერთი მოხუცი კაცი შეხვდა“; დაღიშენ მუიტუში, გზას არ დაბანჯი კოჩი ქონაგუ „ტყიდან რომ მოდიოდა, გზაში ერთი უცხო კაცი შეხვდა“.*

**ნაწილაკი.** სარფის მეტყველებაში **სხვათა სიტყვის** ნაწილაკებია: **-ა/-ჲა/-ია, -დერი/-დეი, -შო, -მა.**

**-ა/ჲა** გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს: *არ გჲარი ქოჰჭკომატია „ერთი საჭმელი მეჭამაო“; აჲა მუ რე-ჲა დო კითხეს „ეს რა არისო და ჰკითხეს“; აწი მა სო ვიდა-ჲა „ახლა მე სად წავიდეო“.*

ამავე მნიშვნელობით იხმარება თურქულიდან შეთვისებული **დერი/დეი:** *ხოჯაქ ხოლო მომოღერდი - ნაფან-დეი „ხოჯა კვლავ მოგვატყუებსო“.*

**-შო** ნაწილაკს იყენებენ, როცა მეორე პირს ეკისრება ნათქვამის გადაცემა. ქართულში მისი ბადალია – ,,-თქო“: *ბიჭეფეს ქოდუჯოხით, გჲარის ქოდოფხედათ-შო „ბიჭებს დაუძახეთ, საჭმელად დავჯდეთ-თქო“, ბაბასქანის უწვი-ქი, ბერე ვარ მოხთუშო დო ოგორუშა მენდახთი-შო „მამაშენს უთხარი, რომ ბავშვი არ მოვიდა-თქო და სამებნელად წადი-თქო“.*

**-მა** „მეთქი“ ნაწილაკი იხმარება, როცა მთქმელი საკუთარ ნათქვამს იმეორებს: *არ კაი შარვალი ქემიჭოფით-მა, ვუწვი „ერთი კარგი შარვალი მიყიდეთ-მეთქი,*

*ვუთხარი“. არ ბერეფე ქობძირა-მა დო ბერეფეშა მენდაფთი „ერთი ბავშვები ვნახო-მეთქი და ბავშვებთან წავედი“.*

**თ(ი)** „ც(ა)“ ნაწილაკის ძირითადი ფუნქციაა მიმართებითობის გამოხატვა: *მან-თი ქომოფთო „მეც მოვედი“; ემუქთი ოხოროშა ქომულუ „იმანაც სახლში მოიტანა“.*

**თ(ი)** იხმარება ,,მე“ ნაწილაკის ფუნქციითაც: *მითი ვარ მოხთუ „ვინმე (არავინ) არ მოსულა“.*

**-თხა** რთული ნაწილაკია და უდრის ქართული ,,ც(ა)ღა“-ს და დაერთვის კითხვით სიტყვას.

მაგ.: *მუთხანი გიწვამინონ „რაღაცას გეტყვი“; მითხანი ქომოხთუ „ვიღაცა მოვიდა“.*

კითხვითი ნაწილაკი **-ი** დაერთვის ზმნას. მას ფუნქციურად შეეფარდება მეგრულში -**ო** და ძველ ქართულში -**ა**. *მოხთუ-ი „მოვიდა?“, რენი „არსა?“.*

**-ი** ნაწილაკს შეუძლია გამოხატოს ,,თუ“ ნაწილაკის მნიშვნელობაც: *იღუ-ი „წაიღო? თუ წაიღო“.*

**ქო/ქე/ქა** „კი“ მტკიცებითი ნაწილაკია და გამოიყენება კითხვა-მიგების დროს. იგი, ძირითადად, სიტყვას დაერთვის თავში, ანდა შეიძლება იყოს ზმნისწინთან ერთადაც: *ქო-გედუ კი „დადო“, ქეშახთუ „ავიდა“ ქამოშახთუ „გამოვიდა“.*

**უკუთქმითი ნაწილაკებია: ვა(რ)** „არა“, „ვერა“, **მო** „ნუ“.

მაგ.: *მან ფარა ვარ მიღუნ „მე ფული არა მაქვს“; „ღომამჯი ვა მანჯირუ „ღამე არ დამეძინა“; მა წკაი ვა მომაღენ „მე წყალს ვერ მოვიტან“; მო გაშჯუინეტას „ნუ შეგეშინდება“; მო იმხორ „ნუ შეჭამ“.*

## წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

**ქონების სახელები. -ონ** სუფიქსი არსებით სახელთაგან აწარმოებს ზედსართავ სახელს, რომელიც აღნიშნავს რაიმეს ქონებას ან რაიმეს სიმრავლეს. **-ონ** სუფიქსი ქართული ,,-იან“, ,,-იერ“ სუფიქსის ეკვივალენტია. მაგ.: *დაჩხერონი დიშქა „ცეცხლიანი შეშა“ , ბინეხონი ნჯა „ვენახიანი ხე“, ცხენონი კოჩი „ცხენიანი კაცი“.*

მეტყველებაში დასტურდება **-ოლ-ონ** მიმდევრობაც: *ქვაოლონი „ქვიანი“, ჯუმოლონი „მარილიანი“, თომოლონი „თმიანი“.*

მრავლობით რიცხვში **-ონ** სუფიქსი მეტწილად ბაგისმიერის მეზობლად -**უნ** სუფიქსად წარმოგვიდგება და ქართული ,,ნალ/ნარ“ სუფიქსის შესატყვისია: *მშქერეფუნა „მშქერნალი“, ჭუბურეფუნა „წაბლნარი“, წიფურეფუნა „წიფლნარი“.*

**-ონ** სუფიქსი დაერთვის ადგილის ზმნიზედას და გამოხატავს სადაურობას: *აქ-აქონი „აქ-აქაური“, ექ-ექონი „იქ-იქაური“.*

**-ონ** სუფიქსი ოდნაობითი ხარისხის ფუძის აღმნიშვნელ ფორმებშიც დასტურდება: *უჩა-უჩონი „შავი-მოშავო“, მჭითა-მჭითონი „წითელი-მოწითალო“, ხჩე-ხჩეონი „თეთრი-მოთეთრო“.*

**უქონლობის სახელები.** ქონების სახელთა ანტონიმი - უქონლობის სახელები - აღნიშნავენ ძირეულის ფუძით აღნიშნული საგნის უქონლობას.

გამოყენებულია **უ-ელ, უ-ე.**

**უ-ელ:** *უნანელო „უდედო“, უნენელი „უენო“.*

**უ-ე:** *უღნოსე „უჭკუო“, უქიმოლე „უქმრო“, უდაჩხერე „უცეცხლო“.*

**დანიშნულების სახელები.**დანიშნულების სახელთა მაწარმოებლებია **ო-ე, ო-ალე**, ქართული ,,სა-ე“, ,,სა-ო“ კონფიქსების ფარდია.

**ო-ე:** *ოკვინჩე „საჩიტე“, ოწკარე „საწყლე“, ომქირე „საფქვილე“, ოწუდე „თარო“.*

**ო-ალე:** *ოქოთუმალე „საქათმე“, ოკიზალე „საკოვზე“, ოქოსალე „ცოცხი, საგველი“.*

**აბსტრაქტული სახელები.** აბსტრაქტულ ცნებათა სახელები, ძირითადად, ფორმდება ქართულიდან ნასესხები სუფიქსით: *უნჯირობა „უძილობა“, ქიმოლობა „ვაჟკაცობა“, ბერობა „ბავშვობა“, დიდინობა „დიდობა, უფროსობა“.*

**რიგობითი რიცხვითი სახელები.** რიგობით რიცხვით სახელებს რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეთაგან აწარმოებს **მა-ა, მა-ან** აფიქსები. მეტყველებაში მეტწილად რეალიზებულია მარტივი რიცხვითი სახელებისგან წარმოქმნილი რიგობითი რიცხვითი სახელები.

**მა-ა:** *მაჟურა „მეორე“, მახუთა „მეხუთე“, მავითა „მეათე“.*

**მა-ან:** *მასუმანი „მესამე“, მაოთხანი „მეოთხე“, მააწშანი „მეექვსე“.*

წილობითი რიცხვითი სახელების გამოსახატავად მეტყველება მიმართავს სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციას.

**კნინობითი სახელები.** გამოიყოფა რამდენიმე სუფიქსი:

**-წა:** *გაბაწა „თოჯინა“.*

**-ა:** *ჯუმალა „ძამიკო“, დალა „დაიკო“.*

**-ი:** *ნანაი „დედიკო“, ბაბაი „მამიკო“.*

**წარმომავლობის სახელები.** ძირითადი სუფიქსია **-ურ/-ულ:** *სარფული „სარფელი“, ჩხალური „ჩხალელი“, ხოფური „ხოფელი“.*

**გეოგრაფიული სახელები.** სარფის გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში გამოიყოფა შემდეგი სუფიქსები:

**ო-ე** ქართული ,,სა-ე“: *ოკანდალე „საკანდელე“, ოთხეე „სათხილე“, ობუბე „საღამურე“.*

**-ათ:** *მანდრათი*

**-ონ:** *სკინდონა „შინდიანი“, მწკოეფუნა „წყავნარი“, მთხერუფუნა „თხილნარი“.*

**-შ:** *კერკეტაში „კერკეტისა“, ჩებელეში; ტიბაში „ტბისა“.*

**წინავითარების სახელები.** მეტყველებაში წინავითარების საწარმოებლად გამოიყენება **ნო-**პრეფიქსი და **ნო-ენ** პრეფიქს-სუფიქსი.

**ნო:** *ნოჩილე „ნაცოლევი“, ნოქიმოჯე „ნაქმრევი“, ნოტალახე „ნატალახევი“.*

**ნო-** პრეფიქსი პროდუქტიულია წარსული დროის მიმღეობის ფორმებში: *ნოჭარე „ნაწერი“, ნოხვენე „ნაკვეთი“, ნოწილე „ნაკრები“, ნოჭკირე „ნაჭრევი“.*

**ნო- ენ:** *ნოკუჩხენი „ნაკვალევი“, ნომჭიმენი „ნაწვიმარი“, ნოპიჯენი „ნაპირევი“.*

**კომპოზიცია.** რედუპლიცირებული სახელები გამოხატავენ მრავლობითობას, კრებითობას, ინტენსივობას.

ზედსართავ სახელთა გაორკეცება მრავლობითობას *გამოხატავს: ტუცა-ტუცა „ცხელ-ცხელი“, დიდი-დიდი „დიდ-დიდი“, სუმ-სუმი „სამ-სამი“.*

მრავლობითობისა და ინტენსივობის გამომხატველია მასდარის გაორკეცება: *ოკითხუ-უკითხუთენ „კითხვა-კითხვითი“, გოხთიმუ-გოხთიმუთენ „სიარულსიარულით“, ოჭარუ-ოჭარუთენ „წერა-წერით“.*

არაიშვიათად სახელის გაორკეცების შედეგად ვიღებთ ზმნისართებს: *მზოლა-მზოლა „ზღვა-ზღვა“, დაღი-დაღი „ტყე-ტყე“, გ ზა-გ ზა „გ ზა-გ ზა“.*

კავშირიანი გაორკეცების ნიმუში: *გ ზადოგ ზა „გ ზადაგ ზა“, ჩხვადოჩქვა „სხვადასხვა“.*

ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცებული სიტყვები კრებითობას გამოხატავს. ზოგჯერ მეორე სეგმენტი მნიშვნელობის არმქონე სიტყვაა: *ჭიტა-ჭუტი „პატარა“,კოჩი-კვაჩი* (მემიშიში, 2013:22).

## მსაზღვრელ-საზღვრული

სარფულში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, გვაქვს ორი სახის განსაზღვრება: ატრიბუტული და მართული.

გამოხატვის თვალსაზრისით **ატრიბუტული განსაზღვრება** შეიძლება გადმოიცეს ზედსართავი სახელით: **ვითარებითი ზედსართავი სახელით:** *დიდი ოხორი „დიდი სახლი“,* **ხარისხის ფორმებით:** *მოგინძაა ფიცარი „მოგრძო ფიცარი“,* **უქონლობის სახელებით:** *უნანელი ბერე „უდედო ბავშვი“,* **ზმნისართებისაგან ნაწარმოები ზედსართავი:** *აქონი კოჩი „აქაური კაცი“,* **ფუძეგაორკეცებული ზედსართავებით:** *დიდი-დიდი ქვაეფე „დიდ-დიდი ქვები“,* **სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავებით:** *სარფული კოჩი „სარფელი კაცი“,* **ქონების აღმნიშვნელი ზედსართავებით:** *ფიმფილონი ბადი „წვერიანი მოხუცი“.*

**მსაზღვრელად გამოიყენება მიმღეობა:** *გიბერი ხორცი „მოხარშული ხორცი“, მენჯირონი თონი „მისაწოლი სკამი“, უგიბუ ბრინჯი „მოუხარშავი ბრინჯი“.*

**რიცხვითი სახელი მსაზღვრელად:** *ვით კოჩი „ათი კაცი“, მასუმა ნდღა „მესამე დღე“.*

**ნაცვალსახელით გამოხატული მსაზღვრელი:** *ადა ბიჭი „ეს ბიჭი“, მუში ოხორი „მისი სახლი“, მუ დულდა „რა საქმე“, მი კოჩი „ვინ კაცი“, მითი კოჩი „ვინმე კაცი“.*

**არსებითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი** განისაზღვრება ზომის, წონის მიხედვით და ჩვეულებრივ წინ უძღვის რიცხვითი სახელი რაოდენობის აღსანიშნავად: *არ მტკო კოჩი „ერთი მტკაველი კაცი“, არ სტიკანი წკარი „ერთი ჭიქა წყალი“, არ ხენწკელი უშქირი „ერთი კალათა ვაშლი“.*

მართული მსაზღვრული არსებითი სახელით ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა მეტყველების ნაწილებით რეალიზდება მეტყველებაში, მნიშვნელობის მიხედვით ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი აღნიშნავს კუთვნილებას, მასალას, დანიშნულებას, წარმომავლობას. მაგ.: *მანძაგერიშ ოხორი „მეზობლის სახლი“, კვინჩიშ მოთა „ჩიტის ბარტყი“.*

მსაზღვრული სახელი კარგავს ფორმანტისეულ თანხმოვანს: *წკარ თოლი <წკარიშ თოლი „წყარო, წყლის თვალი“, მთუთი ლუყუ<მთუთიშ ლუყუ „დათვის ფხალი“.*

ლაზურის კილოკავებში ატრიბუტული და მართული მსაზღვრელები წინ უძღვის სახელებს. ასეთი თანმიმდევრობა ნორმაა ლაზურისათვის, ნორმაა სარფის მეტყველებისათვისაც. იშვიათად, მაგრამ მაინც მეტყველებაში შეინიშნება პოსტპოზიციის ფაქტებიც, მეტადრე კუთვნილებით ნაცვალსახელიან შესიტყვებაში: *ჯუმა ჩქიმი „ძმა ჩემი“, ჯუმა სქანი „ძმა შენი“, ჯუმა ჩქინი „ძმა ჩვენი“, ჯუმა თქვანი „ძმა თქვენი“, ჯუმა მუში „ძმა მისი“, ოხორი ჩქინი „სახლი ჩვენი“* და მისთ. ან კიდევ: *ქვა მორგვალი „ქვა მრგვალი“, ქვა დიდი „ქვა დიდი“,* ადგილის სახელწოდებებია.

მეტყველებაში საზღვრულის წინ მდგომი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს, იქნება იგი თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი, რიცხვში არ ეთანხმება (მემიშიში, 1989:60).

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. **მარი** - Марр Н., Грамматика Чанского (Лазского) языка. С.Р. 1910
2. **ჩიქობავა** - არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936
3. **ჟღენტი** - ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრული ფონეტიკა. თბილისი, 1953.
4. **ქუთელია** - ნ. ქუთელია. ლაზურის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი, 1980

5. **დანელია** - კ. დანელია. კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. თბილისი, 2006

6. **კარტოზია** - გ. კარტოზია. ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 1942

7. **ჩიქობავა** - არნ. ჩიქობავა. პროფ. ი. ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა, ი. ყიფშიძე ჭანური ტექსტები. თბილისი, 1939.

8. **ჩიქობავა** - არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1939.

9. **გამყრელიძე, მაჭავარიანი** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965

10. **ჩიქობავა** - არნ. ჩიქობავა. შრომები, ტ. III. თბილისი, 2008

11. **მემიშიში** - ო. მემიშიში. სუპლეტური ზმნები ლაზურში, ინფორმაციის სტრუქტურება ლაზურში. 2011.

12. **მემიშიში** - ო. მემიშიში. განსაზღვრება ლაზურში. იკე-ს წელიწდეული. თბილისი, 1989

13. **მემიშიში** - ო. მემიშიში. წარმოქმნილი სახელები ლაზურში. ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, I. 2013.

14. **მემიშიში** - ო. მემიშიში. ზმნიზედა ლაზურსა და მეგრულში. ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, II. 2014

15. **სარფი** - სარფი, ავტორები: მ.ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფაღავა, ო. მემიშიში... 2015.

16. **ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა -** ჭ. ქირია, დ.ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა. ლაზურ-მეგრული გრამატიკა,I, მორფოლოგია. თბილისი, 2015

17. **ქირია** - ჭ. ქირია. მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები. თბილისი, 2014.

18. **ასათიანი** - ი. ასათიანი, წინდებული ზანურში. თბილისი, 2017.

**ნანული ნოღაიდელი**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,*
*დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის*
*კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი*
**Nanuli Noghaideli**
*Researcher, Departament of Folklore,*
*Dialektoligy and emigrant Literature Research,*
*Niko Berdsenischnili Yniversitete,*
*Batumi Shota Rustaveli State University*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა ლექსიკის დახასიათებისათვის

# ANALYZING THE VOCABULARY OF THE INHABITANTS OF KHELVACHAURI MUNICIPALITY

**აბსტრაქტი.** ნაშრომი დაწერილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებულ ლექსიკურ მასალებზე დაყრდნობით და მოიცავს სამეურნეო თუ სოციალური დარგების ლექსიკას. განხილულია ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი საერთოქართველური, ზანური და ძველქართული ლექსიკური ერთეულები, კუთხისთვის დამახასიათებელი სიტყვები და ხატოვანი გამოთქმები.მაგ.: ანაშხალი, ერინჯი, კობერი, ლორდი, კენჩო, წვერის ამოკიდება...

ნაშრომში განხილული ლექსიკური მასალა მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რაც ამ რეგიონში ფიქსირდება.

**საკვანძო სიტყვა: ლექსიკა, დიალექტი, ხელვაჩაური, ხატოვანი გამოთქმები.**

**Abstract.** The work is based on lexical materials obtained from dialectical expeditions in Khelvachauri municipality and includes vocabulary of economic and social fields.Some common Georgian, Zan, and ancient Georgian lexical units, the words and figurative expressions, which are typical for this region, are thoroughly considered. For Example: Anashkhali, erinji, koberi, lordi, kencho, etc.

The work discusses lexical material which is only a small part of the rich vocabulary found in this region.

**Key words: lexica, Dialect, Khelvachauri, figurative expressions.**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში და გამორჩეულია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და კლიმატური პირობებით. იგი აჭარის ა.რ.-ის ერთ-ერთი მთაგორიან-დაბლობიანი მხარეა. აქ ერთმანეთსაა შერწყმული ზღვისა და მთის კლიმატი, რაც, რელიეფთან ერთად, განაპირობებს მისი მეურნეობის მრვალფეროვნებას. აქ განვითარებულია მეურნეობის მრავალი დარგი: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვ.

ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ ადამიანი ძველთაგანვე, ნეოლითის ეპოქიდან სახლობდა ამ ტერიტორიაზე. ამჟამად მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტები, სამხრეთიდან - თურქეთის რესპუბლიკა, ხოლო დასავლეთიდან აკრავს ზღვა. მხარის მდებარეობამ, მუნიციპალიტეტის ისტიორულმა წარსულმა და აქ მოსახლეთა სამეურნეო საქმიანობამ განსაზღვრა კიდევაც მის მკვიდრთა მეტყველების თავისებურებები, ლექსიკური მრავალფეროვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კუთხის მოსახლეობას ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ლაზეთთან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხელვაჩაურის მხარის მკვიდრთა ლექსიკაზე.

ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ აქაურთა ლექსიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. საყურადღებოა, რომ ხელვაჩაურელთა ლექსიკაში ფიქსირდება როგორც უძველესი ხანის, ასევე, მხოლოდ ამ კუთხისთვის დამახასაიათებელი ლექსიკური ერთეულები; მათგან ბევრი ისეთი სიტყვა-ტერმინიც, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მთლიანად აჭარული დიალექტის ლექსიკური თავისებურებების დასადგენად. წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ინსტიტუტის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციების მიერ წლების განმავლობაში ჩაწერილ ლექსიკურ მასალებს. მასალები დარგობრივი ხასიათისაა და მოიცავს მუნიციპალიტეტის სამეურნეო თუ სოციალური ყოფის ამსახველ დარგებს: მესაქონლეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მეფრინველეობას, მეფუტკრეობას, რძის პროდუქტებისა და კერძების დამზადებას. მასალები, ძირითადად, ჩაწერილია ხელვაჩაურის მკვიდრთაგან. ყურადღებას ვაქცევდით მთხრობელთა წარმომავლობის საკითხს, რადგანაც აქ უკვე ბევრი ოჯახი მაღალმთიანი აჭარიდანაა ჩამოსახლებული. ამდენად, მათი ლექსიკა ნაკლებად საინტერესო იყო ნაშრომისთვის. თუმცა, ზემოაჭარული ლექსიკური მონაცემები გამოვიყენეთ შესადარებელ მასალად. ამან კი საშუალება მოგვცა, დაგვენახა ის განსხვავება და მსგავსება, რაც აჭარის ამ კუთხეთა მკვიდრების ლექსიკაში დასტურდება. ასეთ ლექსიკურ ერთეულთაგან შეიძლება დავა-

სახელოთ, მაგალითად, შემდეგი სიტყვა-ტერმინები: ბოსტნის კვალს ხელვაჩაურის რეგიონში *ანდლს* ეძახიან. ხულოში მას *ტახტას, ტუფეს* უწოდებენ, შუახევში კი - *ნაპირს*. ხელვაჩაურში მზეზე გახმობა *გაფიცხებაა,* შუახევსა და ხულოში კი - *გაციცხება.*

დაკაკლვა - პარკოსანი მცენარის პარკში მარცვლების გაჩენაა. შდრ. შუახევი, დახევსვა.

დაკიკილვა - კიკილის ლერწის, რქის გამოღებაა. შდრ. შუახევი, ხულო - დალერწვა.

დატყაპვა - პარკოსანი მცენარის პარკის მარცვლებით ავსება. შდრ. შუახევი, ხულო - დაბაზება.

ელდევანი - ხელთათმანი (შდრ. ხულო - თათმანი, შუახ. თათნები)

კალანჩხა - წვრილმანი ნივთების პატარა ნაქსოვი კალათა (შდრ. ხულო, შუახევი - საწრიმალო)

კერჩხი - ლობიოს ხმელი ჩენჩო. შდრ.ხულო - კუწეწი, ქუჩუბო, ფერჩხი. შუახევი - ჩურჩლები, ჩენჩო, კუწუწი.

კისერტიტველა - ყელშიშველი შინაური ფრინველი. შდრ.ხულო, შუახევი - კისერშლეპია.

კურტაკი - მატყლის გაწეწვისას დარჩენილი უვარგისი ნაწილი (შდრ. ხულო, შუახევი - კვირტლი)

ლანდი - ერთი ამოღება აბრეშუმის ძაფი (ხულო, შუახევი - შულო).

სამზევრი - ადგილი, რომელსაც მზე დაჰყურებს (ხულო, შუახევი - საციცხარი)

უსახელო - საყმაწვილო ავადმყოფობა (ხულო, შუახევი - სამარტვილო)

ფუჩეჩი - სიმინდის ტაროს გარეკანი (ხულო - ქუჩეჩი; შუახევი - ქუნჩალი)

ღჯა - სარი, ჭიგო (შუახევი - ხაშარი)

ცარა მიწა - მწირი, მოუსავლიანი მიწა (შუახევი - ხმელი ადგილი)

ცხინკაი - ფრინველის დაავადება (ხულო, შუახევი - წიწაქა) და სხვ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა ლექსიკა იმითაცაა საინტერესო, რომ აქ პირველად დაფიქსირდა სიტყვიერი ნიმუშები, რომლებიც მანამდე არ იყო ფიქსირებული. მაგ.: *ამოკბილვა* - მცენარის ნერგის ჩასარგავი პატარა ორმოს გაკეთება თოხის პირით. *ამოსუსუნება* - აბრეშუმის ჭიის შრიალ-შრიალით ამოსვლა დაფენილი თუთის ფოთლებიდან; *ბოყვი ფხალი* - ფართოფოთლებიანი, კარგად ალაღებული მხალი. *ბულულია* - პატარა სადღვებელი. *თეხია* - ჯამისმაგვარი თიხის პატარა ჭურჭელი, *ნამბული* - ნამით გაჟღენთილი, ნესტიანი მიწა; *კენჩხო* - მამლის დეზები; *კუწუწი* - თვალის ქუთუთოზე ჩირქოვანი გამონადენი; *ხუხვა*

- წიწილების ფრთებქვეშ შეყუჟვა; *ჰინჭვალი* - ახალგამოსული კიტრის ნაყოფი. *ჰიჩკა* - საზომი ერთეული, გოჯი და მრავალი სხვა.

ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვებამ მრავალფეროვანი არქაული ლექსიკა გამოავლინა. აქ ფიქსირდება როგორც საერთოქართველური ლექსიკური ერთეულები, ასევე, მრავალრიცხოვანი ზანური სუბსტრატის ნიმუშები. მაგ.: ანაშხალი, ერინჯი, ლორდი, ფათხი, ფარფა, ხაშარი და სხვ.

საერთოქართველური ლექსიკური ერთეულია *ანაშხალი* - ხის ახალმოყრილი ყლორტი, რტო, სალიტერატურო ქართულსა და მეგრულ-ლაზურში ეს სიტყვა არ გვაქვს. იგი არის სვანურში (ნ.ჩუხუა): აშხალ, არშხალ - ტოტი, შტო, რტო.

*სხაპი* - მახე, კაკანათი. *სხაპ* - ძირი გვაქვს სვანურსა და ზანურშიც. სვანურში იგი მოქნილის აღსანიშნავად იხმარება, ხოლო ზანურში *სხაპუნს* ნიშნავს – ცეკვავს; *ოსხაპუ* - ცეკვა. ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა *სხაპი* არ გვაქვს. აჭარულმა შემოინახა იგი კაკანათის მნიშვნელობით. იგივე ძირი გვაქვს სიტყვაში *სხაპარი,* რაც მოძრაობაშეზღუდულ, სახსრებდაავადებულ ადამიანს აღნიშნავს. აჭარულ დიალექტში მოძიებული და სვანურსა და ზანურში არსებული *სხაპ*-ის სემანტიკური დაკავშირება შესაძლებელია. სიტყვა *სხაპ-ი სხუეპ* ფორმით საერთოქართველურ ძირადაა მიჩნეული (ჩუხუა, 2000:03).

ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველებაში დასტურდება ტერმინი *ხაშარი.* საინტერესოდ გვეჩვენება აჭარული და სვანური *ხაშარის* შედარებაც. სვანურში *ხაშარი* ყინულის დიდ ნამსხვრევს აღნიშნავს. ძველ ქართულში იგი აღნიშნავდა ხარაჩოს, ბოძს. ახალ ქართულში *ხაშარი* სხვა დიალექტებშიცაა ცნობილი (ნ.ქეგლ). ხაშარს გურულში ეძახიან ძაფზე ასხმულ ხილს, ბოსტნეულს. გურულსა და იმერულში, ასევე, აღნიშნავს სიმინდის ქოჩორს. აჭარულში სიტყვა *ხაშარის* მნიშვნელობა ძველი ქართულისას უახლოვდება: *ხაშარი* ხვიარა მცენარისთვის შესაყენებელი გრძელი და მომსხო ჭიგოა, სარია: „ლობიაი ხაშარს შემიეხვევა და ლემსებს გამეიღებს“.

*ხოშორი* ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველებაში ისევე, როგორც აჭარის ზოგ სხვა რეგიონში, აღნიშნავს მსხვილს, სქელს, ტლანქს. იგი განმარტებულია საბასა და ნ.ჩუბინიშვილის ლექსიკონებშიც და „წვრილისა და მსხვილის საშუალოს ჰქვია“ (ნ.საბა, ჩუბინაშვილი). ტერმინი *ხოშორი* მიღებული უნდა იყოს სვანურ *ხოშას*-გან, რომელიც აღნიშნავს დიდს, ხოლო *ხოშოროგა* - უზარმაზარს (ნოღაიდელი, 2013:8)

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველებაში დადასტურებულ ტერმინზე *ერინჯი*. იგი აჭარის სხვა რეგიონებშიც დასტურდება და დედალ ხბოს, დეკეულს ეძახიან. „დედალი ხბო ერინჯია. ერთ წლამდე დეკეული ერინჯი ხობოა“ (სურავა, 1990:8). როგორც

სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ოთხფეხის, პირუტყვის და, საერთოდ, საქონლის მნიშვნელობით მეგრულში გამოიყენება *ორინჯ/ორჯ* ფუძე. ამავე ფუძეს, მეგრულის ბანმურ-მარტვილურ თქმაში, ძროხის მნიშვნელობა ჰქონია (ქერქაძე, 1974:70). მეგრულში გამოიყენება *ორინჯ/ორჯ* ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობა *მერენჯი,* რომელსაც ივ.ჯავახიშვილი უკავშირებს ქართულ *არსებას* და ვარაუდობს, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს *ორინჯისა* და *არსების* აღმნიშვნელი მიმღეობის *მარენჯის* ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება (ჯავახიშვილი, 1937:203). აკად. ვ.თოფურიას აზრით, მეგრულში საქონლის, პირუტყვის აღმნიშვნელი *ორინჯ/ორიჯ/ორჯ* ფუძე მყოფადის მიმღეობის *ორენჯის* (სამყოფელი, სამყოფი) სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს (თოფურია, 1937:142). *ორინჯი ერინჯ* ფორმით, საქონლის, დეკეულის მნიშვნელობით, გავრცელებული ყოფილა სომხურშიც (ქერქაძე, 1974:8). ივ.ჯავახიშვილის ცნობით, აკად. ნ.მარმა ჯერ კიდევ 1912 წელს აღნიშნა, რომ სომხურში მოძიებული სიტყვა *ერინჯი,* რომელიც საქონელსა და დეკეულსაც, ე.ი. საფურე ხბოს აღნიშნავს სომხურში, მეგრულ-ჭანურიდან ყოფილა ნასესხები (ჯავახიშვილი, 1937:200). ცხადია, ორინჯ ზანიზმია აჭარულში.

საინტერესოა სიტყვა *კობერი.* იგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (ისევე, როგორც მთელ აჭარულ დიალექტში) მარცვალგაცლილი სიმინდის ტაროს აღნიშნავს. სიტყვაში გამოიყოფა ძირი *კობ* მაწარმოებელი *-ერ*-ი. *კობ-* ძირი (ჩიქოვანი, .....ჩუხუა 2000-03). (ჭან. *კობ-ო//კომბო//კობალა,* მეგრ. *კობ-უ*) აღნიშნავს უმწიფარს. არნ.ჩიქობავა მიუთითებს, რომ „*კობ-* ძირის შესაბამისი ქართულში არ გვაქვსო“. აჭარულ დიალექტში ფიქსირებული სიტყვა *კობერი* ზანიზმი უნდა იყოს აჭარულში. *კობ-* ძირის გარდა, იგი ნაწარმოებია *-ერ* სუფიქსით, რომელიც ასევე უძველესი მაწარმოებელია (შდრ. *ღობერი* - ღობე; *ჭიშერი* - წნული ღობე).

ხელვაჩაურის რეგიონის მკვიდრთა მეტყველებაში დავაფიქსირეთ ტერმინი *ლორდი,* რაც ნორჩს, ქორფას აღნიშნავს. ზანურში დადასტურებულია სიტყვა *ნორდი* (ჩუხუა, 2000-03), რაც ხის გადანაჭერზე ამოსულ ნორჩ ღეროს ჰქვია. საბას განმარტებით, *ნორდი* ერთგვარი ყვავილია, სუმბული. მიღებულია მოსაზრება, რომ *ნორდის* აღნიშნული მნიშვნელობა სემანტიკური გადახრით განვითარებულია ყვავილისგან: ყვავილი→ნორჩი ღერო. აჭარული *ლორდი ნორდის* ფონეტიკური სახესხვაობაა (ნ→ლ).

*ფათხი* ხის ხმელი, პატარა ტოტებია, რომელსაც ხვიარა მცენარეს უკიდებენ სარზე, ჭიგოზე ან ახალამოსულ მწვანილს დასაცავად დააფარებენ, დაფათხავენ, დაფართხავენ: „ქინძი, ჭუჭულმა არ ამოჭამოსო, დავფათხე...“ „კრუხი გადიე-ფართხვა ჭუჭულებს“ (შდრ. ლაზ., *ფათხი* - „ფათხი ხის პატარა ტოტებია, რომელსაც კიტრს ჩამოუკიდებენ“ - ნარაკიძე, 1988:65). საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი,

სემანტიკური ცვლით, დავადასტურეთ ღორჯომის ხეობაშიც (ხულო, სოფ.აგარა). *ფათხს* აქ ცარიელ, გამშრალ, ტყავადქცეულ ცურს ეძახიან: „ძროხას ძე აღარ აქ, ცარიელი ფათხი დარჩა“. *ფათხი* ახალ ქართულ ენაში არ დასტურდება, საბას განმარტებით, კი, იგი ბადის საქსოვი ჩხირია.

ხელვაჩაურის მუნიციპალტეტის მკვიდრთა მეტყველებაში ტერმინი *ფარფა* აღნიშნავს კვირისთავს (”ხერტალს ფარფა აქ წამოდებული“). *ფარფა*, ლაზურშიც კვირისთავს აღნიშნავს. ასევე, უწოდებენ ასეთივე ფორმის ხის დიდ ბორბალსაც, რომელსაც შენების პროცესში სასიმინდის-ნალიის ბოძების თავებზე, ბოძსა და იატაკს შორის, პირით ქვემოთ ამაგრებენ ხოლმე. *ფარფა* ზანიზმია აჭარულ დიალექტში.

ხელვაჩაურელთა მეტყველებაში, როგორც აჭარის სხვა რეგიონების მკვიდრთა ლექსიკაში, დასტურდება ტერმინი *ღეჯა*. იგი მარცვლეულის უხეშფხიან პარკს აღნიშნავს („ნაადრევად რომ დავთესთ, ი ლობიაი ღეჯაი გამოდის“). *ღეჯა - ა* სუფიქსით გაფორმებული, ქონების აღმნიშვნელი სიტყვების რიგის ერთეულია. იგი მიღებულია სიტყვიდან *ღეჯი*, რაც ლაზურსა და მეგრულში ღორს აღნიშნავს. ქართული *ღორ-* და ლაზური *ღეჯ-* ერთმანეთის კანონზომიერი ფუძეებია. აჭარულ *ღეჯა* ტერმინში, როგორც საგნის თვისების გამომხატველ სიტყვაში სემანტიკური ცვლით, დაცულია ზანური *ღეჯ-* ძირი. გვაქვს მისგან ნაწარმოები ზმნურ ფორმებიც: აღეჯება, გადაღეჯება - ბახჩეულის გადამწიფება, ათესლება. ხშირად, გადატანით, ხანსრულ, გაუთხოვარ ქალზეც ამბობენ, აღეჯებულიაო: „რაღაის მაგის გათხოვაა, აღეჯებულია!“ (ნოღაიდელი, 2013:25).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველებაში დაცულია ძველი თუ საშუალო ქართულის მრავალფეროვანი ლექსიკა, მათგან შეგვიძლია დავასახელოთ მაგ.: *განურიება* (რონინი) - სიარული, ტარება. *გარგანი* - კომბალი, *კაპიწი* - ოვალური ფორმის ხის ჭურჭელი, *კორდი* - ბალახიანი ადგილი, *კოტვი* - ქათმის დაბუჩქული პატარა ბიბილო, *ლერწი* - მცენარის ყლორტი, *მაჭვა* - ჯილღის სახელური, *ტაკვეცი* - კეტი, *ყია* - ხორხი, ყელი, *ჩელტი* - ლასტი, *ჩუტე* - ფუყე, ცარიელი, *ჭაჭვი* - პეშვი და სხვ. მრავალი.

საინტერესოა ხელვაჩაურის რეგიონში დადასტურებული ნასესხობანიც. აქ, როგორც აჭარის სხვა რეგიონებში, ფიქსირდება, როგორც აღმოსავლური, ასევე, რუსული, ბერძნული და სხვ. ლექსიკა. მაგ.: *არაბა* - (თურქ.) ურემი, ეტლი, ვაგონი; *გაშლული* - (თურქ.) ყაბალახი, *გერექეთი* - (არაბ.) სიუხვე, დოვლათი, ბარაქა; *გიში* - (თურქ.) ხელთათმანი; *ზემჰერი* - (თურქ.) იანვარი; *ზენჯიელი* - (სპ.) ჯაჭვი; *ზიბილი* - (არაბ.) ჭუჭყი, სიბინძურე; *თენჯერი* - (თურქ.) პატარა ქვაბი; *თექი* - (თურქ.) კენტი; *იაშიკი* - (რუს.) ყუთი; *ლენჩიბერი* (სპ.) - გლეხი, მიწის მუშა; *ნაჩარი* - (სპ.) ცუდი, უვარგისი; *ორალი* - (თურქ.) ნამგალი; *რიადი* - (რუს.) რიგი, *სინორი* -

(ბერძ.) მიჯნა, საზღვარი, *ლზორი* - (რუს.) სახე, ორნამენტი, *ფედევრა* - (ბერძ.) ხის თხელი ფირფიტა და სხვ.

აღსანიშნავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამეურნეო თუ სოციალური დარგებისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმები, ფრაზეოლოგიზმები. მაგ.: *გამომცხვარი ყანა* - კარგად დმწიფებული ყანა; *წვერის ამოკიდება* - აბრეშუმის პარკის ხარშვისას პარკებიდან ძაფის წვეროების გამოჩენა წყალში. *ხერტლის ამოტოლება* - რამდენიმე თითისტარიდან ძაფის ერთდროულად, ერთ გორგლად ამოხვევა. *თვალების წათხრა* - აბრეშუმის ჭია, სანამ ზრდას დაასრულებს, რამდენჯერმე კანს გამოიცვლის და ბოლოს დაიწყებს თავისი თავის გარშემო თავის წრიულ მოძრაობას და აბრეშუმის პარკის ხვევას. თვითონ ჭია აბრეშუმის პარკის შიგნით მოექცევა, ამიტომ ამბობენ, „თვალები წაითხარაო“; *გამოალამე ჩვენზე* - ჩვენზე ზრუნვაში დაბერდი; *გაძვერიაი კაცი* -გაიძვერა, ფლიდი ადამიანი; *პირის წაწყობა* - საქსოვ დაზგაში დაქსელილი ძაფის გამართვა საქსოვად; *თავის გადაღება* - პრასის სათესლე ფუნჯზე აპკის გადაძრობა (შდრ. ხულო, ქუდის მოხდა); *თავში შესვლა* - პურის დათავთავიანება; *კბილების მიცემა*- წერაქვით წისქვილის ქვის დაკბილვა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული ლექსიკური მასალა მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რომელიც ამ რეგიონში ფიქსირდება. რადგანაც მათი სრული სახით განხილვა სტატიაში შეუძლებელია, დამატებით წარმოგიდგენთ მის მცირე ნაწილს განმარტებებით:

ალაზანაი - სიმინდის ჯიში.

ალთუნა - 1.ხარის სახელი 2. სიმინდის ჯიში (ნ.სურმ.).

ამოკეტება - შუაში, უადგილო ადგილას ამოსვლა.

არწივი - ძროხის დაავადება. ხალხის წარმოდგენით ძროხას მუცელში უჩნდება არწივი და ჩანასახს უჭამს. ასეთი ძროხა ხბოს ვერასოდეს გააჩენს (შდრ. ღორცელი).

აყოყორება (თავისა) - აწევა, აღერება თავისა.

ახფუნწყალი - ნაკელიანი წყალი, რომელსაც მიწის გასანოყიერებლად იყენებენ.

ბადია - დიდი, ქუსლიანი უმეტესად, ლითონის ჯამი.

ბასმა წინდა - ერთი ფერის ძაფით ნაქსოვი წინდა.

ბეჩაი - სიმინდის ჯიში. არის როგორც თეთრი, ისე ყვითელმარცვლიანი.

ბოგა სკა - მაღალ ადგილზე შემოდებული ფუტკრის გეჯა, სკა, რომელსაც ამაგრებენ ბოგაზე.

ბოგილი - ადგილი, სადაც ბოგა სკებია განლაგებული (ნ.სურმ., შდრ.ნიჟ.).

ბოლოყო (ბოლოყვა) - საადრეო სიმინდის სახეობა. აქვს ქარვისფერი მარცვლები (ნ.ნიჟ.).

ბორბოცი - გოგრის გული. „ბორბოც ვეტყვით ხაპი შიანა გულს“ (ნ.სურ., შდრ. ნიჟ.).

ბუდუდუაი - უგერგიო, მოუხერხებელი ადამიანი.

ბუჯგი - თხილისა და მისთ ბუდე, გარეთა საფარი.

გაკორკოტანება - გაწმენდის მიზნით მარცვლეულს კორკოტანაში - სპეციალურ საცერში გატარება.

გამოდულება - დასასვენებლად დატოვება.

გარეყანა - სახლს, ეზო-კარს დაშორებული ყანა.

გაროკვა - ხისა თუ ხის ტოტის როკებისგან გასუფთავება.

გარში -გარეთ (ძვ. ქეგლ).

გაფაფალებული - ნოყიერი, ფაფისმაგვარი.

გაფაქება - გაქრობა, დაღუპვა.

გაფხეკვა - ყანის პირველად გათოხნა, გამარგვლა.

გაღენკვა - მატყლის ხელით გაწეწვა.

გაცხავება - მარცვლეულის ცხავში, სპეციალურ დიდთვალება საცერში გატარება გასუფთავების მიზნით.

გაძება - საძოვარზე გაყვანა, წასხმა (საქონლისა).

გაწარბვა - კვალის გაყვანა, გაკვალვა (შდრ.ნიჟ.).

გაჭიბოშნვა - ჭიბოშნით - ხის სახეხი მსხვილკბილა ქლიბით დამუშავება.

გაჯეჯლება - ჯეჯილად ქცევა.

გორძღო - გოდრის მსგავსი დაწნული ჭურჭელი, ძარი (ნ.ნიჟ.).

გუგულა - წისქვილის ქვის შუაგულში ამოჭრილი ადგილი, რაშიც ხვიმრიდან (ნ.) ჩადის დასაფქვავი მარცვალი.

დათაფნვა - დაფარცხვა. „პირველ დახნას მოყვება პირველი დათაფნვა“ (ნ.სურმ.).

დალინგვა - მარცვლის ძალიან წვრილად, წმინდად დაფქვა.

დაპწკნა - მატყლის ხელით გაწეწვა.

დარე - ფერდი, ფერდობი, ყანის მიწით ამაღლებული კიდე, მიწის ღობე. „ყანას ქენერებში ამაღლებენ, დარეს უკეთებენ“ (ნ.სურმ., შდრ.ნიჟ.).

დაროხვა - მარცვლეულის მსხვილად დაფქვა, დაღერღვა. „წისქვილის როხი ფქვილი დუუფქვია, დუუროხავს“.

დასავსება - საქონლის დამაკება.

დაძვრა - დახურვა, დახვრეტა. „უკანა კარი დაძრული აქ სკას“ (ნ.სურმ.).

დაწაკატვა - წაკატით- წერაქვით ქვის დამუშავება. „წისქვილის ქვებს დავწაკატავთ წაკატით“.

დახუხვა - წიწილების ფრთებქვეშ შესმა (შდრ.ქეგლ, დახუხავს).

ერთი სოის - ერთი სახის.

ეჩეთინება- ეძნელება. „ზოგიერთს ეჩეთინება მარტო დამუშავება ყანის (თურქ. ჩეთინ - ცუდი, ძნელი).

ვარგიანი ხე - კარგი, დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელი ხე.

ვარელა - სადღვებელი.

თაგალი - გვირისტი, ქსოვის დამთავრებისას უკუღმა ამოქსოვილი ბოლო რიგი (ნ.საბა, შდრ. ნიჟ., თაგალი - დროებითი, საცდელი, სახელდახელოდ ნაკერი ნემსის შორი-შორ ამოგდებით; ლამბი, ლიანდაგი).

თართქალა - ჩვილი, ადვილად მტვრევადი.

თაფანი - ფარცხი, „თაფანი იქსოვება ორ მეტრამდე სიგრძისა“.

თელგან - ყველგან.

თემბელი - ზარმაცი, უვარგისი.

თუჯი - წისქვილის ნაწილი, რაზედაც ბორბლის ღერძი ბრუნავს.

იჯება - აკეთებს.

კაზმულა - ძროხის სახელი.

კაკუჩა - 1.კაუჭთავიანი ჯოხი. 2. პატარა კავი. 3. მარცვლეულის საცეხველის ნაწილი, რომლითაც ცეხვავენ.

კანტარი/კატარი - სიმინდის აყვავებული წვერო.

კაპანი - კლდე-ღორღიანი ფერდობი, ფრიალო დაღმართი (ნ.საბა; ქეგლ. ნიჟ.).

კაპიწი - ოვალური ფორმის ხის ჭურჭელი, რომელშიც, ჩვეულებრივ, რძის პროდუქტებს ინახავენ (შდრ. საბა; ნ.ნიჟ.).

კელემო - მცენარის (მაგ.კიტრის) ვენახის რქის მსგავსი, ნაზი ყლორტი (შდრ. ლერწი).

კოდანაჲ - „კოდანაჲ შუაზე გუუხეთქველი გამოღრუებული ხეა“.

კორკოტანა - სიმინდია მარცვლის წვრილთავიანი საცერი, რომელშიც მტვერი გავა და მარცვალი დარჩება (შდრ.ნ.ცქიტ.).

კორტოხაჲ – ქოჩორა ქათამი (შდრ.ნიჟ. კორტოხი - ქვაღორღიანი მაღლობი ადგილი, ბექი, გორაკი).

კოფარა - თიხის პატარა ჯამისმაგვარი ჭურჭელი (ნ.საბა).

კოჭობა - ყავრისგან დამზადებული ოვალური საწვრილმანო ყუთი (ნ.სურმ.).

კრიჭი - მოსაწველი კოლოფის პირის გვერდზე გაკეთებული ნახვრეტები, რომლებშიც მაგრდება კოლოფის სახელური (ნ.სურმ., შდრ.ნოღ., კრიჭა).

კუკუტი - საგნის ბოლოზე გაკეთებული ნასკვი, წვეტი... „ყდიდან, ფირფიტას რომ ვეღარ გუუყრიდით, ძაფს ამოვჭრიდით, მერე კუკუტებს გუუკეტებდით“.

კუწუწი - თვალის ქუთუთოებზე გაჩენილი წებოვანი სითხე.

ლაფერა - 1. ხის ბრტყელი კოვზი. 2. ალადან წყლის გადასაკეტად გამოყენებული ხის ნიჩაბი. 3. თაღში წყლის გადასაკეტად გამოყენებული ხის სახელურიანი ბრტყელი ნაჭერი.

ლომანა - ხარის სახელი.

მეგოდრე - 1. გოდრის მკეთებელი. „იმფო მეტად მეგოდრე ხალხია კირნათში“ (ნ.სურმ.). 2. ნადის დროს ყანიდან სიმინდის გოდრით გამომტანი პირი.

მეტი პატარა - ძალიან პატარა (ძვ.ნ.აბულ.).

მეტი უშველა - ძალიან კარგად გააკეთა, ძალიან ბევრი გააკეთა. ხელვაჩაურის რეგიონში ამ გამოთქმას ხშირად საპირისპირო მნიშვნელობაც ეძლევა. მაგ. „ზამთარმა მეტი უშველა ფხალს; სულ გააფუჭა!“

მიკუტკუტება - ნ.მიკურკურება.

მიმტკუცება - ერთმანეთზე მიკვრა „გაჭრილებს ერთმანეთს მიადგამენ, მიამტკუცებენ“.

მობდღალვა - ხელით მოგლეჯა (ბალახისა).

მოლემსვა - მცენარეზე (ლობიო....) წვრილი, ნემსისმაგვარი პარკების გამოღება.

მონაგვება - წველის დაწყების წინ ხბოს, თიკნის... მიშვება ძუძუსთან შემდგომში წველის გაადვილების მიზნით (ნ.ნიჟ., ჯ.ნოღ.; - მონაგება, მონაგვება; მომოცვება).

მორჩვი - მეორედ გათიბული ბალახი.

მოტლიყნა - ცუდად, ზერელედ მოზელა.

მოწაკატვა - წისქვილის ქვის წაკატით (ნ.) დამუშავება.

მოხიჭვა - მიწის ზედაპირზე წვრილი კენჭების, ხიჭის დაყრა „კალოზე ხიჭი დეიყრება სიმაგრისათვის. კალო მეიხიჭება“.

მოხუჭვა - რაიმეზე თავის მოკვრა (შდრ.შუახ., წაკოჭვა).

ნაგულაჲ - გაწეწვის შემდეგ დარჩენილი უხარისხო მატყლი (შდრ. ქეგლ; დიალ., ხულო - ალაგულა).

ნაკლისია - ნაკლებია.

ნაპურვალი - წისქვილი პურის დაფქვის შემდეგ.

ნარინჯაჲ - ძროხის სახელი.

ოთურა ცული - ვიწროპირიანი, დიდი და მძიმე ცული.

ოკობოკო - ოღროჩოღრო.

ორაღი - (თურქ. ორაკ) ნამგალი.

ორხელა - შალაშინი.

პარმაღი - 1. ზომის ერთეული (თურქ.პარმაკ), ერთი გოჯი (შდრ. ნიჟ.) ერთი ხელის დადება (ნ.სურმ.); 2. აივნის მოაჯირი.

პასალი - წვერწამახული ჯოხი, პალო. ნ.ჩივი.

პინა - საწყაო. ხის კასრი, რომელშიც ჩადის 18 ოყა.

პირადი - „პირველი ხბო რომ ყავს ძროხას, პირადს ვეტყვით“ (ნ.სურმ.).

პირჭიკლი - ნაქსოვის სახე.

პრახი - ცხელი ქარი, გვალვა. პრახის კვრა - ცხელი ქარის მიერ ყანის გამოხმობა.

ჟღვართუნი - მკვეთრი რხევა, ქანება, მოძრაობა.

სამბური - 1. დასაბმელი; 2. გამოცანა.

სამწვერაო, სამწვერო - ნ.კანტარი.

სანასრელაჲ - აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ფირფიტა (ნ.საბა, ქეგლ).

სანთელაჲ - ძროხის სახელი.

საფთხული - საფრთხობელა (შდრ. სარახუნა, 2).

საფიქრო - საფეიქრო (შდრ. ხულო, შუახ., საფრიოქო, საფრექო, საფიოქრო).

საფხლე - ბოსტანი, ბახჩა.

საყბეური - 1. საკისური, ქალის ყელსამკაული; 2. საქონლის კისერზე დამაგრებული საყელური, რომელზეც აბამენ თოკს ან ჯაჭვს.

საძველო - სათესლე მარცვალი.

საძიგველი - საცეხველი. „ბრინჯს საძიგველში დანაყავ“ (ნ.სურმ., შდრ. ქეგლ, საძეგველი).

სახილავი - სკის ნაწილი, რომელშიც იხილება თაფლი.

სისონა - ხარის სახელი.

სოღო - დიდი (ნ.საბა, ქეგლ).

სხრეკა - 1. გრეხა, კლაკნვა; 2. სირბილით გამოკიდება.

ტარა -ჯილღის ნაწილი. „ჯილღა უღელს უკავშირდება ტარა ბთ“.

ტკენჩი - ჭურჭლის საქსოვი ხის დრეკადი, სიგრძეზე აჭრილი კანი (ნ.ქეგლ, ტკეჩი).

ტკუჩაი - 1. სიმინდის ჯიში, მისგან ბატიბუტი კეთდება. 2. ბატიბუტი.

ტოღი - 1. სიმინდის ტარო; 2. სათესლედ აღერებული მცენარის (მაგ. ხახვის) ალარებული ღერო.

ტყაპაშაჲ ლობიო - ნ.ლობიოს ჯიშები; ფართოპარკიანი ლობიო (შდრ. ხულო - ლასტა პარკი).

უდუდებელი მიწა - დაუდებელი მიწა; მიწა რომელიც ჯერ ყანად არ გამოუყენებიათ.

უკბილო თაფლი - „უფუტოდ (ნ.ფუტი) გამორებული თაფლი (ნ.სურმ.).

უსახელო - ავადმყოფობა, საყმაწვილო (ნ.ყელმოსტრობილი. შდრ. შუახ. სამარტვილო).

ფათაფუთი - 1. ფუსფუსი; 2. უთავბოლო მოძრაობა. „ტაფა გახურდება, სიმინდი დეიწყებს ფათაფუთს და სკდომით თეთრად გედეიშლება, დეიტკუნცება“ (ნ.სურმ.).

ფალაყა - ფიჭიანი თაფლი. „სკიდან ...ფალაყას გამოჭრიან მოკალული დანით, ხვეწით...“ (ნ.სურმ.).

ფამფარი - ბიბილოსმაგვარი გამონაზარდი მამლის ყელზე.

ფოთე - 1. სრული, დუნე, მოშვებული. „ფოთე ნაქსვარი“. 2. ცარიელი ადგილი, ღიობი, დარჩენილი საგნებს შორის. „ფოთეს, ცარიელ ადგილს, ხის პატარა ნაჭრებით გამოავსებენ, რომ ქვა (წისქვილის) არ დაირყეს“ (ნ.სურმ.).

ფორუში - ფხვიერი. „კირკა თოხით... მიწა გაფორუშდება, მიერე წელიწადს უკვე ფორუშია, ხაზირი ყანაა (ნ.სურმ.).

ფოქვი - სორო, ბუნაგი. „ძვილა შიასწრო მელიამ ფოქვში“.

ფოხოხა პარკი - დიდი მსხვილი პარკი აბრეშუმის ჭიისა.

ფუნჯუღი - (თურქ. puncak) ფოჩი. პრასის ფუნჯუღი - პრასის აყვავებული, თესლებიანი თავი.

ქერეჭი - ქერქი.

ქოჩობა - მუჰაჯირობა. შდრ.გაქოჩება.

ღაბუჯაი - ღაბუაი.

ღარღვა, მუცლის ღარღვა - მუცლის გვრემა (ნ.ნიჟ. სურმ.).

ღორი ბალახი - გამძლე, სარეველა ბალახი. „ღორია ბალახი ყველგან ამეეკვეტება“ (ნ.სურმ.).

ღორცელი - საქონლის, ძროხის საშვილოს დაავადება. „თუ ძროხას ღორცელი აქვს, ხობოს ვერ მოიყვანს“.

ყარამანა - ხარის სახელი.

ყელმოსტრობილი - ავადმყოფობა, საყმაწვილო. ნ.უსახელო.

ყიყიდონი - ყელი. „ფუტკარი ნიკაპით წუწნის, ყიყიდონში გადააქ და ამცრევს“ (ნ.სურმ.).

ყურყუმეთი - 1. “ყურყუმეთი და ყიყიდონი ერთია“ (ნ.სურმ) 2. შავი, ბნელი, წყვდიადი (ნ.ნიჟ.).

შედერდება - დარდის გაზიარება.

შერეკილი დო - კარაქის შენადღვები წვენიდან, სითხიდან მიღებული დო (ნ.).

შვათწიფობა - ნახევრად დამწიფება.

შინათაი - სახლში, საშინაოდ.

შიშელი - (თურქ. sisek) ორი წლის ბატკანი, შიშაქი.

ჩაბუჯვრა - 1.ბუდეში თივის ჩაფენა; 2. საგულდაგულო შენახვა.

ჩამოქარვა - ბრინჯის ქარის საშუალებით განიავება.

ჩარხილი - წინდის ქსოვის სახე.

ჩაფა - ვიწროპირიანი თოხი (შდრ.კირკა. ნ.ნიჟ.).

ჩახამება - გამოფიტვა, შიმშილისგან ილაჯის გამოცლა (ნ.ქეგლ).

ჩვენზე მიხედვით - ჩვენთან შედარებით.

ჩიკრიკაი - პატარა ტანის, მკვირცხლი ადამიანი.

ჩინგნობა - ანცობა, მოუსვენრობა.

ჩხაკუდა - სიმინდის ჯიში.

ცანცარაჲ - ცქრიალა, ციმციმა (შდრ. ქეგლ).

ცინცქილი - ციმციმი.

ცხავი - დიდთვლებიანი, დიდი საცერი, რომლითაც სუფთავდება მარცვლეული.

ძირეული ბალახი - სარეველა ბალახები.

წაკატი - წალკატი, წერაქვის მსგავსი ქვის სათლელი იარაღი (ნ.ქეგლ).

წაკინდრვა - წაკიდება, წაჩხუბება.

წამიწუმ - წამდაუწუმ.

წენწო - მენწო - ხმელი ბალახი, ჩალის ღეროები, ბაღჩეულის ნარჩენები.

წვანილობა - მწვანილეული, მწვანილები.

წიაპი - წინდის ყელზე დატოვებული ძაფი წვივზე დასახვევად.

წინწინ - უწინ, პირველად (ნ.ქეგლ, ნიჟ.).

წირეხი - ღვლერჭი, ადვილად დასაგრეხი წნელი (ნ.ქეგლ).

წოვა - ნ.ნადუღი.

ჭაო - ფუტკრის კვერცხი. „ფუტკარი ჩინდება ჭაოდან“ (შდრ. შუახ., მირათის ხეობა - ჭიორი/ჭორი; სურმ.).

ჭარბადელო - საკვებად გამოყენებული ბალახი.

ჭენი - „საფთხულს ხელში ჭენს დუკავებ, ვითომ თოფია“ (ნ.სურმ.).

ჭეჭელი - (აქ) ნაქსოვის სახე, ორნამენტი.

ჭიახერხი - მეტად წვრილი ხერხი, რომლითაც შეიძლება ორნამენტის ამოხერხვა.

ჭინჭვალი -ახლად გამოსული კიტრი (შდრ. ნიჟ. შუახ., ჭიპი).

ჭინჭორაჲ - შავ-თეთრად ჭრელი ქათამი.

ჭიჭვი ფხალი - გადაჭრილი და გაზაფხულზე ამონაყარი მხალი.

ხამი ყანა - ჯერ დაუმუშავებელი მიწა ყანისთვის (ნ.ქეგლ).

ხარბეზი - კვალსა და კვალს შუა მოუხნავად დარჩენილი მიწის ზოლი (ნ.საბა, ქეგლ - ხარვეზი).

ხეფუტკარი - „ველურ ფუტკარს, ტყის ფუტკარს ხეფუტკარს ეძახიან“ (ნ.სურმ.).

ხვავი - სიმინდის ტაროების, ხორბლის და სხვ. გროვა.

ხვინკალი - სიმინდის მარცვალგაცლილი ტარო (ნ.კობერი).

ხიაპი - ნ.ცხინკაჲ.

ხიმონა - ორკაპა ხე, რომელიც სკის დასანაგრებლად გამოიყენება (შდრ. ნიჟ. ხიმა, ხიმანკი).

ხინჭი - წვნიანი კერძის საღეჭი ან შედედებული რძის საყველე ნაწილი.

ხმალაჲ - ჯილღის ნაწილი.

ხუმპალი - წვრილმარცვლებიანი სიმინდის ტარო „წვიტი ტოღი (ნ.) ხუმპალია“.

ჯანაბერა - პატარა, ჭრელი ჩიტი.

ჯარა - ხის გულამოთლილი ჭურჭელი (ნ.ქეგლ, საბა).

ჯიბა - როდინი.

ჯილღა - მიწის სახვენელი იარაღი (ნ.ნიჟ., შდრ. საბა).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **აბულაძე** - ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკა. თბილისი, 1973.
2. **თანდილავა, ნარაკიძე -** ზ. თანდილავა, ც.ნარაკიძე. ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V. ბათუმი, 1986.
3. **თოფურია, ქალდანი** - ბ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000.
4. **ნიჟარაძე** - შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა. ბათუმი, 1971.
5. **ნოღაიდელი** - ნ.ნოღაიდელი. საოჯახო ყოფის ამსახველი ლექსიკა ხულოს რაიონის მასალების მიხედვით. 1972 (ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი).
6. **ნოღაიდელი** - ნ. ნოღაიდელი. საოჯახო ყოფის ამსახველი ლექსიკა შუახევის რაიონის მასალების მიხედვით. 1973 (ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი).
7. **ნოღაიდელი** - ნ. ნოღაიდელი. ლექსიკური ძიებანი. ბათუმი, 2013.
8. **ორბელიანი** - სულხან საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.
9. **სურმავა** - ნ. სურმავა. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მასალები. 1973. (ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი)

10. **ქართული ენის** განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII. თბილისი, 1950.

11. **ჩუხუა** - მ. ჩუხუა. ქართულ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 2000-2003.

12. **ჯავახიშვილი** - ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი, 1937.

ნაილე მიქელაძე
*ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
Naile Mikeladze
*PhD in Philology, Principal Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University*
ფატი აბაშიძე
*ფილოლოგიის დოქტორი*
Pati Abashidze
*PhD in Philology*

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თქმულება-გადმოცემები (ზოგადი მიმოხილვა)

# KHELVACHAURI DISTRICT LEGENDS-NARRATIVES (GENERAL OVERVIEW)

**აბსტარქტი.** წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაცულ ფოლკლორულ მასალებზე.

ჩვენი თემა, ძირითადად, ემყარება საველე ექსპედიციის ნაშრომებს, საარქივო მასალებს და პუბლიკაციებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორში მრავალი მითი და თქმულება დასტურდება, რომლებიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ საგნის, ისტორიული მოვლენის, ხალხისა თუ გვარის გენეზისზე. მათ ხშირად ეტიმოლოგიური შინაარსი აქვთ. ისინი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ.

**უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ტოპონიმები და მათთან დაკავშირებული თქმულებები;** (რელიგიური ნაკადის კონტამინაციის შესანიშნავი მაგალითია ტოპონიმური გადმოცემები ე. წ. **„ზიარეთობის“ („წმინდა ადგილების“)** მონახულება. კერძოდ, „ინაწმინდა” და სხვა).

**II. ხის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები;** აჭარის ფოლკლორში საკრალურ მცენარეებად მოიაზრება: **ურთხელი, მადა, ვაზი//ყურძენი, თხილი, მსხალი** და სხვა მცენარეები.

***III. მითები სამყაროს შექმნის შესახებ (კოსმოგონიური მითები);*** აქ წარმოდგენილი (წარღვნასთან დაკავშირებული) მითები ზოგადქართულ სიტყვიერებას ეხმიანება და მასთან ძირეულ კავშირშია.

IV. **ქრისტიანობასთან დაკავშირებული მაკრო-ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;** აღსანიშნავია ტოპონიმ **ინაწმინდასთან** დაკავშირებული საკითხები. რამეთუ ინაწმინდაზე გადადიოდა შავშეთ-იმერხევ-ნიგალისკენ მიმავალი გზა, რითაც მოსახლეობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს უკავშირდებოდა და კვლევის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

**V. თამარ მეფესთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;** სადაც საუბარია თამარ მეფის უდიდეს საქმიანობაზე - აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, მის გამჭრიახობაზე, მორწმუნეობაზე, დამსახურებაზე, ძლევამოსილებასა და ეკლესიების მშენებლობაზე.

**VI. ოსმალეთის აგრესიასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;** ამ ქვეთავში საუბარია ოსმალური მმართველობის დრო და მასთან დაკავშირებული გადმოცემები. ოსმალთა ბატონობის დროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისთვის ბრძოლას ბევრი სიცოცხლე ემსხვერპლა, რაც შემონახულია ხალხის მეხსიერებასა და ისტორიებში.

**VII საწესჩვეულებო პოეზია (ნადირობა, გაშაირება, შელოცვები, ანდაზები, გამოცანები და ა.შ.).**

მსოფლიოს ნებისმიერ ხალხს საკუთარი წეს-ჩვეულებები აქვს. უძველესი დროიდანვე ხელვაჩაურის რაიონის მკვიდრთაც განსხვავებული ადათ-წესები ჰქონდათ. ეს წესები საუკუნებისა და ათასწლეულების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა მრავალ მათგანს ძირძველი რწმენა-წარმოდგენა, ვერც დროთა ცვლილებამ და ვერც რელიგიამ ვერ შეცვალა.

ამრიგად, აჭარაში, მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენით, ოსმალური ელემენტები ნაწილობრივ შეეზარდა ზოგადქართულ ტრადიციებს და დღეს ისინი კონტამინირებული თქმულებების სახით გვხვდება. როგორც გამოქვეყნებული, ისე არქივებში დაცული ფოლკლორული მასალები საშუალებას გვაძლევს, ზოგადად მაინც დავახასიათოთ ხელვაჩაურის რაიონში გავრცელებული სხვადასხვა ჟანრის ხალხური სიტყვიერება.

**საკვანძო სიტყვა: ფოლკლორი, თქმულება-გადმოცემები, ტოპონიმები.**

**Abstract.** The present paper deals with folk materials preserved in Khelvachauri district.

Our theme is mainly based on field expedition papers, archival material and publications.

The folklore of the Khelvachauri district evidences many myths and legends that tell about the genesis of a particular subject, historical event, people or genus. They often have etymological content. They can be divided into the following groups:

**I. Toponyms of ancient religious-cult origin and related sayings**; (The topomymic narratives are excellent examples of the contamination of religious streams about visiting the so-called "communion places"- Ziaretoba ("holy places"); in particular, “Inatsminda” and others.

**II. Beliefs related to the cult of the tree;** Such trees as **yew, vine//grapes, nut, pear** and others are considered as sacred plants in Adjarian folklore.

**III. Myths about the creation of the universe (cosmogony myths);** the myths represented here (in connection with the Flood) echo the general Georgian verbalism and are deeply rooted in it.

**IV. Macro-toponymic legends and narratives related to Christianity;** the matters connected to the toponym of **Inatsminda** should be particularly noted, as the road to Shavshet-Imkhrevi-Nigali was laid through Inatsminda, thus connecting the population to the historic Tao-Klarjeti church-monastery centers and is also significant in terms of research.

**V. Toponym legends and narratives connected to King Tamar,** which speaks about King Tamar's greatest activity – revival activity, her perspicacity, faithfulness, merit, power and church building.

**VI. Toponymic narratives related to Ottoman aggression;** this section deals with the time of Ottoman rule and related narratives. The struggle for national independence and Christianity during the Ottoman domination killed many lives, which are preserved in the memory and history of the people.

Thus, in Adjara, influenced by the Muslim religion, the Ottoman elements partially adapted to the general Georgian tradition and today they are contaminated in different legends or sayings. Folklore materials, both published and archived, allow us, at least, to give the general characteristics of the folk lore of various genres prevalent in Khelvachauri district.

**Key words: folklore, Legends-Narratives, Toponyms.**

აჭარის რეგიონში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა თავისი ზეპირსიტყვიერებით. დღემდე შეკრებილია და მეცნიერულად შესწავლილია შემდეგი ჟანრები: საისტორიო ეპოსი, პროზა, პოეზია. სხვადასხვა ჟანრის თქმულება-გადმოცემანი – ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები. ისინი ლიტერატურულად ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ფიქსირდებოდა. მათ კვლევას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც აჭარის ფოლკლორის, ასევე საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

ჩვენი თემა, ძირითადად, ემყარება საველე ექსპედიციის ნაშრომებს, საარქივო მასალებსა და პუბლიკაციებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორში მრავალი მითი და თქმულება დასტურდება, რომლებიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ საგნის, ისტორიული მოვლენის, ხალხისა თუ გვარის გენეზისზე. მათ ხშირად ეტიმოლოგიური შინაარსი აქვთ. ისინი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ.

მითოლოგიურ ელემენტებს არქაულ ჟანრში (ზღაპრებში, გადმოცემებში და ა. შ) ეძებნება ფესვები. ბუნებრივია, მათი სრულად წარმოდგენა და ანალიზი შეუძლებელია. ჩვენ აქ მხოლოდ ნაწილობრივ შევეცდებით ვისაუბროთ მათ მნიშვნელობასა და ღირებულებებზე.

ხელვაჩაურის რაიონის ფოლკლორში მრავალი მითი და თქმულება დასტურდება, რომლებიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ საგნის, ისტორიული მოვლენის, ხალხისა თუ გვარის გენეზისზე. მათ ხშირად ეტიმოლოგიური შინაარსი აქვთ. ისინი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ.

**I. უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ტოპონიმები და მათთან დაკავშირებული თქმულებები:**

ღვთაება-წმინდანთა ფუნქციების შეკვეცა-გაფართოება, მათი ურთიერთშენაცვლება თუ შერწყმა რელიგიურ სისტემებსა და მითოლოგიაში ფართოდ დასტურდება. „რელიგიურ იდეოლოგიურ გარდაქმნის პერიოდში ძველი სარწმუნოება ახალს ერევა, ძველი ღმერთების ფუნქციები ახალ ღმერთებზე ან წმინდანებზე გადმოდის, მაგრამ ძველი მოძღვრება და წარმოდგენა არსებითად უცვლელი რჩება“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №757 : 1).

თურქეთის საქართველოში ტრადიციებზე არაერთ მკვლევარს (ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, მ. ბერიძეს, რ. გუჯეჯიანინსა და სხვა) გაუმახვილებია ყურადღება. მ. ბერიძისა და რ. გუჯეჯიანის დაკვირვებით, „ტრადიციული ქართული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც შემონახული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე

არსებული, აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში, ტრადიციულ ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული“. ყოფაში ფიქსირებულია ზიარეთობის ტრადიციაც.

სხვადასხვა რელიგიური ნაკადის კონტამინაციის შესანიშნავი მაგალითია ტოპონიმური გადმოცემები ე. წ. **„ზიარეთობის“ („წმინდა ადგილების“)** მონახულების შესახებ.

კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ადგილის, ,,ინაწმინდას” გადაღმა იმერხევში, ბაძგირეთში არსებული ,,ზიარეთის” ისტორია. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მთქმელი იხსენებს: ,,ბაძგირეთზე მარჯვნივ ტყეა, იქა არის ,,ზიარეთი”. ,,ზიარეთზე” ორ-სამ წელიწად მარუნია ჩემმა დედამ. იქზე ერთი დიდი ქვა იყო, ქვაში, გეგონება, ცხენის ფეხი ეტყობოდა. ავად ვიყავი და დედას დავყავდი, იქ დამაწვენდნენ, მორჩებაო, იტყოდნენ. სამ-სამი ღამე ვრჩებოდით”. ,,ზიარეთზე წამიყვანეს, 7-8 წლისა ვიყავი. ცოტა ჭკუიდან ლენჩობა მქონდა. მაზინეს, მაზინეს, ვერ დამაზინეს. ვატყუილე რომ დავიძინე, ვერ დამაზინეს…ბაზგირეთლები თავიანთ ზიარეთში ორი გზით ადიოდნენ: ერთი ბილიკი საძგირელას ველიდან მარცხნივ მიემართება: ,,გაივლი გაკაფულაის და ჩახვალ ზიარეთში”, ხოლო მეორე ადგილი ,,ჯანჯირის მთიდან გაიარ, ნახევარ საათში იქ ხარ”, იქ ბევრი ძველი საფლავებია, ლამაზი ადგილია, ქვებია და ლამაზი კორდია”. ,,ზიარეთ ჯანჯირთან ახლოა. ვიარებოდით იქზე” (ბერიძე, გუჯეჯიანი, 2010:176).

იმავე საკითხებს ეხება მკვლევარი როინ მალაყმაძე თავის წიგნში ,,ლიგანის ხეობა ’’. წარმოდგენილ მასალებში წმ. გიორგის საფლავის’’ ნაცვლად ,,წმინდა ადგილად“ ,,გოგო მეზერის’’ საფლავი მოიაზრება. კერძოდ: ,,საყურადღებოა, მემხლიანობის პერიოდში წმინდა ადგილების მონახულებაც, რასაც თან სდევდა განკურნებისა და შვილიერების ვედრება. განსაკუთრებით საინტერესოა, უშვილო ქალების სვლა დევესქელის მთის საძოვრებიდან ,,გოგო მეზერის ’’, ანუ წმინდანის საფლავის მოსანახულებლად. აქ მყოფი ქალები რამდენიმე საათით იძინებდნენ და სიზმრის ავკარგიანობის მიხედვით მსჯელობდნენ მომავალზე. ადგილობრივი მოსახლეობა ,,გოგო მეზერს’’ შვილიერების ფუნქციას მიაწერდა (მალაყმაძე, 2008:143).

საგულისხმოა, თურქეთში, სოფელ ზემო ფორთაში (ზემო ხანძთა) პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩაწერილი ლეგენდა წმინდა გიორგის შესახებ. კერძოდ: ,,ფორთაში, კარჩხლის მთების გადმოღმა, არის ,,**სერთი ზიარეთი**’’ – ადგილი ,,წმინდა ადგილი’’. იმ მიდამოებში, ასევე ყოფილა ეკლესიის ნანგრევი. რაც შეეხება ,,წმინდა ადგილს’’ – ესაა ბაზილიკური ტიპის პატარა ოთხკუთხედი შენობა. ის ეზოში 2,20-მეტრიანი საფლავია. მათი გადმოცემით, ეს საფლავი წმინდა

გიორგისაა, რომელიც ამ მხარეში სასწაულებით გამოირჩეოდა. ,,ჩვენებურები'' ამ ადგილზე გასაკურნებლად, სურვილების შესასრულებლად ქვემო სოფლებიდან ამოდიოდნენ. მოსულები, სანამ ,,წმინდანის სასაფლაოზე'' დაიძინებდნენ, მანამდე აუცილებელი იყო თეთრი პერანგი ჩაეცვათ, ყოველგვარი სამკაულებისა და ნივთების გარეშე. ისინი საფლავზე დაწვებოდნენ და იძინებდნენ – ინვალიდები, ავადმყოფები, დავრდომილები, უშვილო დედაკაცები. სასაფლაოზე დაძინებულებს, მათი რწმენით, სიზმარში ვიღაც თეთრწვერა მოხუცი ეცხადებოდა და ურჩევდა, თუ როგორ განიკურნებოდნენ '' (ფუტკარაძე, 2012 ხელნაწერთა უფლებით. პირადი არქივი).

მსგავსი თქმულებები გვაფიქრებინებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენებურთა ცნობიერებაში დაცული მასალები. რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული გადმოცემები ღირებულია ზოგადქართული ფოლკლორის გააზრებისთვის, რამეთუ მათ ცნობიერებაში შემონახულ მასალებს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ეძებნება ფესვები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კუთხეში ყველაზე მეტად საზღვრის გაყოფის დროს, მაჭახლის ხეობა და სოფელი სარფი დაზარალდა. ხელშეკრულების საფუძველზე სოფელი შუაზე გაყვეს, რამაც დატოვა მოუშუშებული იარა. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი დღემდე ინარჩუნებენ წინაპრისეულ ტრადიციებს.

ცხადია, აჭარაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თქმულებები კონტამინირებული სახით გვხვდება.

**II. ხის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები:**

ღირებულია ამ რაიონში შემონახული ეთნო-ფოლკლორული ცნობები საკრალურ მცენარეებთან დაკავშირებით. ასევე მათი ყოფისთვის დამახასიათებელი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, აჭარის ფოლკლორში საკრალურ მცენარეებად მოიაზრება: **ურთხელი, მადა, ვაზი//ყურძენი, თხილი, მსხალი** და სხვა.

აჭარაში დაცულ უძველეს რწმენა-წარმოდგენათაგან ერთ-ერთი სახეშენარჩუნებული ყოფილა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მოსახლეობაში. 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, კახიძეების საკარმიდამო ნაკვეთში, ოდითგანვე საკრალურ ურთხელთან მოხუცები წინაპრისეულ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. როგორც იხსენებენ, მათ ნაკვეთში წლების განმავლობაში საკრალური **ურთხელის** ასწლოვანი ხე მდგარა. ამ ,,წმინდა'' ხესთან (როგორც თავად უწოდებდნენ) მოხუცები, დედაკაცები, ბავშვები იკრიბებოდნენ. იქ მისულებს ხან რა მიჰქონდათ, ხან – რა. განსა-

კუთრებით – ტკბილეული. ხესთან მისულები შემონახულ წესჩვეულებებს ასრულებდნენ. უხუცესთა ნაწილი ამ რიტუალის ისტორიას დღესაც იხსენებს, კერძოდ: ,,მაჭახლის ხეობის გამუსლიმანების შემდეგ უხუცესები წმიდა ხის ძირში წმინდა ქრისტიანულ წესებს აღასრულებდნენ. შეიკრიბებოდნენ ურთხელის ხესთან ხელდამშვენებულნი, ხეს ირგვლივ რამდენჯერმე შემოუვლიდნენ, რაღაც ტექსტს წაიკითხავდნენ, ტკბილეულს მიართმევდნენ (მას ისე ექცეოდნენ, როგორც ცოცხალ არსებას). ამ ხეს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქაურთა ცნობიერებაში, რომ მას კუნძად ქცევის მერეც კი არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება. ხალხის წმინდა ხის დარჩენილ ნაწილებს არ წვავდნენ (მიქელაძე, 2015:341).

ზოგადქართულ სიტყვიერებაში ურთხელის კულტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორში ამის ეტიმოლოგიას სხვადასხვაგვარად ხსნიან. **ფშავური** ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **,,უთხოვარი“** იშვიათი ჯიშის ხედ ითვლება. ამ ხის სახელის ახსნა, ხალხური მასალების მიხედვით, მომდინარეობს მისი სიძვირიდან, და რადგანაც ეს ძვირად ღირებული ხე გახლდათ, ამიტომაც იგი არ ,,ითხოვებოდა". სხვა გადმოცემის მიხედვით, რადგანაც ეს ხე ძალიან ძვირი იყო და იოლად არ იშოვებოდა, ამიტომ თამარ მეფე ამ ხის ჯიშს არავის აძლევდა და ამიტომ დაერქვა მას **უთხოვარი** (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988: 171). ზემო აჭარაში ამ ხესთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო მოსაზრებები. ,,მისი მასალად ან შეშად გამოყენება აკრძალულია. თუ პატივისცემას არ გამოხატავდნენ ამ ხის მიმართ, ოჯახს რაღაც უბედურება დაემართებაო”. ასე თვლიან დღესაც. ეს ხე ზემო აჭარაში მადის (მადა) სახელით მოიხსენიება (მიქელაძე, 2017: 33). მარეთის ხეობის სოფელ ქიძინიძეების მცხოვრები ხ. მუკუტაძისა და მ. კეკელიძის ნაამბობით, ამ ხის ნაყოფს, მათი წინაპრები, საკმივლის მოსამზადებლად იყენებდნენ. მადის მოჭრა ან მისი ტოტების დაწვა უდიდესი ცოდვაა (მთქ. ხ.მუკუტაძე, დაბ. სოფ ჯაბნიძეებში და მცხ, სოფ. ქინიძეებში, 85წ. ჩავ. 2017წ. რვეული №5).

შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ამ ხის ნაყოფს ქვემო აჭარაშიც იგივე დანიშნულება ჰქონდა, თუმცა დღეს მისი კვალი გამქრალია.

**III. მითები სამყაროს შექმნის შესახებ (კოსმოგონიური მითები);**

დიდი წარღვნის ლეგენდას მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი იცნობს. იგი გვხვდება როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომთა ფოლკლორში. როგორც ცნობილია, ამჟამად ცნობილ ვერსიებს შორის ყველაზე უძველესია შუმერული (ფრეზერი, 1931: 75). წარღვნის ლეგენდის თავისებურ ვერსიას წარმოადგენს გილგამეშის ეპოსის მეთერთმეტე ფირფიტა,

მეთერთმეტე დაფა. ამ ეპოსში დეტალურადაა წარმოდგენილი დიდი წარღვნის ამბავი (გილგამეში, 1963: 86). ბაბილონური ვერსიის მიხედვით, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. ხოლო იმ ფისს, რომლითაც ხომალდი იყო გამაგრებული, სომხები აგროვებენ და სამკითხაოდ იყენებენო (ფრეზერი 1931: 81).

მკვლევართა აზრით, წარღვნის ლეგენდის ვერსიებიდან ყველაზე უფრო ცნობილი ებრაული ანუ ბიბლიური ვერსიაა, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX ან X საუკუნეში (ფრეზერი, 1931:75). ბიბლიის მიხედვით, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე ჩერდება: ,,ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, მოექცა იგი მიწის ზემოთ... მეშვიდე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებს მიადგა კიდობანი... თანდათან იკლებდა წყალი მეათე თვემდე. მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთათა მწვერვალები. ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი, კიდობნისთვის რომ ჰქონდა დატანებული ’’ (ბიბლია, 1989:18).

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დიდი წარღვნის ლეგენდები მრავლად მოიპოვება, ამათგან საინტერესოა კირნათში ჩაწერილი მასალა, რომელიც დიდი წარღვნის შესახებაა: ,,უწინდელ დროში ნუღ(ნოე) ფეიღამბერი ყოფილა ძალიან მადლიანი, ლოცვის მეტს არაფერს არ აკეთებდა, ხალხის სამსახურში იყო ყოველთვის, თუმცა ერთი შვილი ურწმუნო ყოლია, რომელიც გამჩენელ ღმერთს დუუსჯია. სამყაროს დაქცევის დრო და საათი მარტო ამას სცოდნია. იმ დროს გემში ფეიღამბერს ყველა სულიერი შეუყვანია. ყველა სახის მცენარის თესლი შეუტანია და გამოდრის მერე ყურბანი შუუწირავს და ცხოვრებაც იმის მოდგმას გუუგძელებია (კახაბერიძე ლადო, დაბადებული სოფელ კირნათში, კობალთა, 69 წლის, ჩავიწერე 2011 წ. პირადი არქივი, დღიური №1).

დედამიწაზე ქვეყნის ,,დაქცევის”//წარღვნის ისტორიები შინაარსობრივად მსგავსია. მათი გადმოცემით – ,,ქვეყანა 7-ჯერ ეივსო და დეივსოო. მერვედ რომ დეივსება, დედამიწაზე არვინ აღარ დარჩება, ვერ გადარჩება” (მემედ ნაგერვაძე (გაუგონია დედისგან), ჩამწერი თამარ ნაგერვაძე 2006 წ. დაბადებული და მცხოვრები სოფელ სოფელ ჩხუტუნეთში, მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა. პირადი არქივი, დღიური №2). წარღვნასთან დაკავშირებული საკითხები, თემატიკისა და შინაარსიის მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც ბუნდოვანი და საკამათოა (ნ. მიქელაძე: დღიური №1).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხეობაში დაცული მითები ზოგადქართულ სიტყვიერებას ეხმიანება და მასთან ძირეულ კავშირშია.

**IV. ქრისტიანობასთან დაკავშირებული მაკრო-ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;**

აჭარა ერთ-ერთი ძირძველი ქრისტიანული კუთხეა საქართველოში. როგორც მკვლევარი ს. გოგიტიძე წერს: ,,აჭარის მრავალტანჯულ მიწაზე ფეხი დაუდგამს ჯერ კიდევ ქრისტიანული რელიგიის ხანაში იესო ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან რამდენიმეს: ანდრია პირველწოდებულს (სახარებაში პირველ მოციქულად ანდრიაა დასახელებული, ამიტომაც მას ,,პირველწოდებული '' ეწოდა), სიმონ მოშურნეს (ასე ეწოდება ,,საქმე მოციქულთაში '') იგივე კანანელს, მატათას (მათეოსი) და ფილიპეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამათგან ქრისტიანობის გავრცელებისათვის აჭარაში შრომა არ დაუშურებიათ ანდრიასა და მატათას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თვლის, რომ ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა ,,უფლის სიტყვის ქადაგებით განვლეს საქართველოში ჩვენი წელთააღრიცხვის პირველ საუკუნეში '' (გოგიტიძე, 1990: 78).

მაჭახლის ხეობაში ქრისტიანობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ინაწმინდა,** იგივე ნინოწმინდა, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეული ზედა მაჭახლის სოფელ ქვაბითავს ეკუთვნის. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც ასე მოიხსენიებს (გუნდარიძე, 2000: 28).

**ინაწმინდას** შესახებ გადმოცემა მეტად მწირია. მაჭახლის ხეობაში მხოლოდ ის იციან, რომ ინაწმინდას მიდამოებში არსებობდა ნანგრევები, სადაც მოხუცებულნი XX საუკუნის დამდეგამდე რაღაც რიტუალებს ასრულებდნენ (კახიძე, 2009: 335-336).

ინაწმინდაზე გადადიოდა შავშეთ-იმერხევ-ნიგალისკენ მიმავალი გზა, რითაც მოსახლეობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს უკავშირდებოდა. ინაწმინდასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე მოგზაურობის (XIX საუკუნის 90-იანი წლები) დროს ჩაწერილი გადმოცემის საფუძველზე, წერდა: ,,კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც **ნინოწმინდა** ეწოდება. ძველად აქ ეკლესია თუ მონასტერი ყოფილა, რომელსაც სახელად ნინოწმინდა რქმევია. გათათრების დროს ეს ეკლესიაც დაუქცევიათ... ხალხი დაუხოციათ. ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან '' (ჭიჭინაძე, 2008: 60).

ამავე გადმოცემის მიხედვით, წმინდა ნინოს სახელზე ეკლესია თამარ მეფის დროს აუშენებიათ. მასვე მიეწერება ხეობის უკიდურეს, შავშეთის მოსაზღვრე, სოფელ ეფრატში ეკლესიის აშენება, რომელიც ცნობილია მაჭახლის დედაეკლესიის სახელწოდებით (ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი).

ნ. კახიძის ვარაუდით, შესაძლებელია, ინაწმინდა ამ ადგილის თავდაპირველი სახელწოდებაა და სალაპარაკო ლექსიკაში შემდგომ ნინოწმინდის ფორმით დამკვიდრდა – **ინაწმინდა ნინოწმინდად იქცა**. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს მკვლევართა (ს. ჯანაშია, ვ. გოილაძე) მოსაზრება, რომლის მიხედვით, წმინდა ნინოს სახელი წინა აზიის უძველეს ხალხთა ქალღმერთის ,,ინას'' თუ ინანას '' სახელს უკავშირდება (კახიძე, 2009: 335-336). ამავე მოსაზრებას გამოთქვამს ე. ბერიძე, რომელიც აღნიშნავს: ,,საინტერესო სახელია ინაწმინდა, ნაეკლესიარი, ტყე (თოლგომი). შეიძლება ამ სახელის თავდაპირველი ფორმა იყო ნინოწმინდა (ბერიძე, 2009:117).

ამდენად, ეს და სხვა ქრისტიანული ტოპონიმები ეხმიანება მკვლევართა ნაშრომებს. ცხადია, ეს და სხვა კვლევები ადასტურებს, რომ ,,ინაწმინდა“ ,, ნინოწმინდა“ იქნებოდა.

**V. თამარ მეფესთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;**

ქართველ მეფეთა შორის ყველაზე მეტი გადმოცემა, თქმულება და ლექსი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში თამარ მეფეს უკავშირდება. ,,ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების არც ერთ ციკლს არა აქვს გავრცელების ისეთი დიდი არე, როგორც თამარ მეფეზე შექმნილ ნაწარმოებებს (სიხარულიძე, 1968: 189) ამასთან დაკავშირებით აზიზ ახვლედიანი აღნიშნავს: ,,..იმ დროისათვის, როდესაც აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა მას და მარად უქრობ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდათ თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტად გახადეს” (ახვლედიანი, 1960: 115).

,,ქართლის ცხოვრებაში” მემატიანე წერს: ,,იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღმრთის მოშიში, ტკბილი, სახიერ (და თავი ყოველთა კეთილთა ღმრთის – მოშიშება არს და სიმდაბლე), ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი” (ქართლის ცხოვრება, 1955: 368).

აჭარის აღწერისას (1874 წ.), ეთნოგრაფი და ისტორიკოსი გ. ყაზბეგი შენიშნავს: „აჭარაში ყველგან და ყველასაგან გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მოისმენთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყოო” (ყაზბეგი, 1995: 65).

ამ კუთხის ფოლკლორულ მასალებში შემონახულია გადმოცემები, სადაც საუბარია თამარ მეფის უდიდეს საქმიანობაზე - აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, მის გამჭრიახობაზე, მორწმუნეობაზე, დამსახურებაზე, ძლევამოსილებასა და ეკლესიების მშენებლობაზე.

აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიამ, თამარის სახელთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო მასალა ჩაიწერა, ავტორი ხაზს უსვამს თამარის პოპულარობას აჭარის სიტყვიერებაში და აღნიშნავს აქ ყველა ციხისა და ხიდის მშენებლობას თამარის სახელს უკავშირებენო.

1897 წელს აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიას თამარ მეფის ციკლის საისტორიო გადმოცემების მრავალი საინტერესო ვარიანტი ჩაუწერია. თქმულებათა სიმრავლეს იგი იმით ხსნიდა, რომ ,,თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, მიუკერძოებელი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ – წმინდანი და უბიწო (სახოკია, 1950: 50).

თ. შიოშვილი ნაშრომში ,,აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები" საფუძვლიანად განიხილავს ამ კუთხის თქმულება-გადმოცემებს, იგი წერს: ,,თამარისდროინდელად მიაჩნიათ აჭარაში უძველესი ხიდები, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით დღესაც აოცებს მნახველს. ხალხის გადმოცემით, ცხემლარას, ჩხუტუნეთს (მიწაში ჩაფლული) და სხვა მრავალი რამ აუშენებია თამარ მეფეს (შიოშვილი, 1976: 75-76). ცხემლარას ხიდს მაჭახლელები დღესაც ,,დედოფლის ხიდს" ეძახიან. ,,მაჭახელში მიმავალი თამარი ამ ხიდზე გაივლიდა ხოლმეო. ხიდს რომ მიადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირსო" (მემედ ნაგერვაძე - გაუგონია დედისაგან. ჩაიწერა თამარ ნაგერვაძემ 2006 წ. დაბადებული და მცხოვრები სოფელ ჩხუტუნეთში, მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა. პირადი არქივი, ნ. მიქელაძე: დღიური №2). და სხვა მრავალი.

ამგვარად, ტოპონიმები მრავალმხრივ აირეკლავენ ისტორიულ სინამდვილეს, რაშიც განხილული თქმულება-გადმოცემები გვარწმუნებენ. ამ კუთხის სიტყვიერება კი განსაკუთრებულია, რამეთუ სამრელიგიაგამოვლილი ტოპონიმები დღემდე სხვადასხვა ეპოქის ნიშნითაა აღბეჭდილი.

## VI. ოსმალეთის აგრესიასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები;

ოსმალური მმართველობის დროს აჭარლებს აიძულებდნენ, რომ მიეღოთ მუსლიმანობა, თუ არადა დასჯიდნენ. როგორც ცნობილია, მდინარეების – ჭოროხისა და აჭარისწყლის გასწვრივ ბევრგან თავსაკვეთი ადგილი იყო მოწყობილი. ისინი წამებულებს წყალში ყრიდნენ. როგორც წერდნენ, აჭარისწყლის მდინარეს, მათი გვამები ხის შავი კუნძებივით მიჰქონდა.

ისტორიულად, ,,აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ... ასეთ ადამიანთა რიცხვი ამ კუთხეში დიდი ყოფილა... ბოლოს მთავრობისგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთო, თუ არ, დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულები შეუკრებიათ და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა – მასზე გაუკეთებიათ თავსაკვეთი. აქ მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე – ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ (ჭიჭინაძე, 1911).

ოსმალოს აგრესიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტოპონიმური გადმოცემა ჰაგიოგრაფიულ შაბლონს იმეორებს. ცხადია, აქ ნაკლებად მოსალოდნელია ლიტერატურული გავლენა და გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საერთო თემატიკას. ამ გადმოცემების უსახელო გმირები ქრისტიანი მოწამეები არიან.

სოფელ **კირნათის** მოწამეებს შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჩხუტუნეთის მკვიდრ ქაზიმ კახიძის მონათხრობი, რომელიც მას ასი წლის დედისგან გაუგონია: ,,სოფელ კირნათში ოსმალები რომ შემოსულან, მათი პირველი მიზანი ხალხის გათათრება ყოფილა. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ამ კუთხეში ძირძველი რწმენა ჩაენაცვლებინათ სხვა სარწმუნოებით, ამ კუთხის ხალხი კი რწმენის განსაკუთრებული სიყვარულით ყოფილა გამორჩეული. ოსმალები მათთვის ვერაფერი მოუხერხებიათ. მათ ადგილობრივებისთვის ქონება, სიმდიდრე და პატივი შეუთავაზებიათ, მაგრამ აქაურებს ისინი უარით გაუსტუმრებიათ. გაწბილებულ ოსმალებს ასეთი ხერხისთვის მიუმართავთ. ერთ დღეს სოფელში, სადაც 50 კომლი ცხოვრობდა, გამოუცხადებიათ – ან გამუსლიმანდებით ან ადიდებულ ჭოროხში შეხვალთ და გადაცურავთო. თუ ვინმე ჭოროხს მშვიდობიანად გადაცურავდა, მის ოჯახს ხელშეუხებლობასა და ქრისტიანად დარჩენას ჰპირდებოდნენ, თუ არა და სიკვდილით დასჯიდნენ. გამაჰმადიანებულ ოჯახს კი ფუფუნებასა და ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლებას აღუთქვამდნენ. ამ სოფლის 50 კომლი არც კი დაფიქრებულა, ისე შესულა ადიდებულ ჭოროხში, ამათგან მხოლოდ ხუთი გადარჩენილა, ხოლო დანარჩენები ჭოროხის მსხვერპლად ქცეულან. ამ ადგილს მოსახლეობის ნაწილი ,,**წითელ ხიდს** ’’ ეძახის ’’ (მთქმელი ლადო კახაბერიძე, დაბადებული სოფელ კირნათში, კობალთა. 69 წლის. ჩავიწერე 2011 წლის ნოემბერში, რვეული №3) (ნ. მიქელაძე: 2013: 33).

იმავე ისტორიას ადასტურებს 1948 წელს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ ჩაწერილი საარქივო მასალები, სადაც მთქმელი იხსენებს

ოსმალოსდროინდელ ამბებს: ,,როდესაც თურქებმა აჭარა დაიპყრეს, ერთბაშად ვერ დაიმორჩილეს ბევრი წინააღმდეგობას უწევდა. მაშინდელ დროში აჭარაში ერთი ფაშა ყოფილა. ეს ფაშა სტამბოლში ფადიშაჰთან წასულა. ფადიშაჰს ამ ფაშისთვის უკითხავს:

– როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ აჭარა სრულად დავიმორჩილოთ და დავაწყნაროთო.

ფაშას უთქვამს:

– სანამ აჭარაში ზოგიერთ აღიებს, მოთავეებს თავს არ მოვჭრით, მანამდე არეულობას ბოლო არ მოეღება.

ფადიშაჰს ფაშას რჩევა გაუთვალისწინებია. მიუცია დამსჯელი ჯარი. ზღვით უმოგზაურიათ. გასულან ქობულეთში. იქ, ვისზედაც საჭიროდ ცნეს, იმათთვის თავი მოუჭრიათ, იქედან ქედაში გადასულან და ბევრი აღიებისა და მოთაავეებისთვის მოუჭრიათ თავი.

ქედიდან გადასულან ზემო მაჭახელაში, იქაც ისევე მოიქცნენ, როგორც აჭარის სხვადასხვა ნაწილში, მაღალი მაჭახლიდან დაძრულან ქვედა მაჭახელში... (მთქმ. კახაბერიძე მუსა, მცხ, სოფ კობალეთში, კირნათი, 50 წ. ჩაწ. შ. აბაშიძე. 1948 წ. საქმე № 395, 1948 :11).

ისტორიულად, ..გეოგრაფიული მდებარეობით ზედა მაჭახლის ხეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ისტორიული ჭოროხის მხარის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც დიდი როლს ასრულებდა მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში(მალაყმაძე..., 2019:26). ალბათ, ამ და სხვა მიზეზების გამო იყო, რომ მტერი განსაკუთრებულ ზომებს, ამ ხეობის მკვიდრთა მიმართ იჩენდა.

ყურადსაღებია სხვა გარემოებაც. საქმე ის არის, რომ მთქმელთა ნაწილი ამ ამბავს ,,წითელ ხიდის '' ეტიმოლოგიას არ უკავშირებს. მათი აზრით, სახელწოდება ,,წითელ ხიდი '' რუსეთის მმართველობის დროსაა გაჩენილი. ეს შესაძლოა, მართლაც ასე იყოს, რადგან ამავე გადმოცემას ეხება ზაქარია ჭიჭინაძე. მას ქედის რაიონის სოფელ მერისში მცხოვრები მოხუცისგან ჩაუწერია მტრის ძალადობის ამბავი, რაც ეხმიანება მოცემულ ისტორიას. კერძოდ: ,,ძალით გამაჰმადიანებული აჭარლები დროთა განმავლობაში მაინც ქრისტიანობდნენ, საიდუმლოდ ღორის ხორცსაც ჭამდნენ. ამ ამბით მოლები გადარეულან და უთქვამთ – სთქვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრისტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო. მოსახლეობისაგან სასტიკი უარი მიუღიათ, მოლას საპასუხოდ განუცხადებია – რაკი არ შეგიძლიათ, მაშ, შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის გადარჩება ქრისტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან.

ამაზე ბევრი შეშინებულა და განუცხადებიათ, რომ დღეიდან ნამდვილი მაჰმადიანები ვიქნებით და ყველა ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინაღმდეგი ყოფილა, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხჩვალან და ერთიც არ გასულა გაღმა. ამ დროს ქვედა მარადიდში 50 კომლი იყო ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანობის გულისათვის, რომ სოფელში ხუთი კომლიღა დარჩაო '' (ჭიჭინაძე, 1895: 84).

ტოპონიმი „წითელი ხიდი'' გვიანდელიც რომ იყოს, ერთი რამ ცხადია: მოწამეთა სისხლისღვრის ისტორია სახელით შესატყვის ადგილს დაუკავშირდა.

ყურადსაღებია ისიც, რომ ,,წითელი ხიდის '' გადმოცემა მრავალი მოტივით გვაგონებს ჯალალედინის მიერ ასი ათასი თბილისელი ქრისტიანი მოწამის მოსრვის ისტორიას.

ოსმალთა ბატონობის დროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისთვის ბრძოლას ბევრი სიცოცხლე ემსხვერპლა, რაც შემონახულია ხალხის მეხსიერებასა და ისტორიაში.

მსოფლიოს ნებისმიერ ხალხს საკუთარი წეს-ჩვეულებები აქვს. უძველესი დროიდანვე ხელვაჩაურის რაიონის მკვიდრთაც განსხვავებული ადათ-წესები ჰქონდათ. ეს წესები საუკუნებისა და ათასწლეულების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა მრავალ მათგანს ძირძველი რწმენა-წარმოდგენა, ვერც დროთა ცვლილებამ, სხვა რელიგიამ ვერ შეაცვლევინა.

ამრიგად, აჭარაში, მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენით, ოსმალური ელემენტები ნაწილობრივ შეეზარდა ზოგადქართულ ტრადიციებს და დღეს ისინი კონტამინირებული თქმულებების სახით გვხვდება. როგორც გამოქვეყნებული, ისე არქივებში დაცული ფოლკლორული მასალები საშუალებას გვაძლევს ზოგადად მაინც დავახასიათოთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გავრცელებული სხვადასვა ჟანრის ხალხური სიტყვიერება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **ასმხფ** - აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი საქმე № 395. ბათუმი.
2. **ახვლედიანი** - აზიზ ახვლედიანი. ,,აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება". ბათუმი, 1960.
3. **ბერიძე** - ეთერ ბერიძე. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. წიგნიდან ნიგალი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ტოპონიმიკური ასპექტები). თბილისი, 2009.
4. **ბერიძე, გუჯეჯიანი** - მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი. ზიარეთობის ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დიდაჭარობა.

5. **ბიბლია** – ბიბლია. თბილისი, 1989.

6. **გილგამეში** – გილგამეში. თბილისი, 1963.

7. **გოგიტიძე** – ს. გოგიტიძე. ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში. ლიტერატურული ჟურნალი ,,ჭოროხი", №4. 1990.

8. **გუნდარიძე-შაჰინი** – ჯ. გუნდარიძე-შაჰინი. ართვინის მაჭახლელთა ყოველმხრივი ცნობარი. სტამბული , 2000.

9. **კახიძე** - ნ.კახიძე. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები მაჭახლის ხეობაში. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დიდაჭაროზა". 2009.

10. **მალაყმაძე** – რ. მალაყმაძე. ლიგანის ხეობა(ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბილისი, 2008.

11. **მალაყმაძე...,** – მალაყმაძე რ., ჩელებაძე ნ., ფუტკარაძე ე., თანდილავა ი., ,,ზედა მაჭახელი, წიგნი პირველი, წიგნი დაიბეჭდა სხალთელი მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტი, (ისტორიულ-ეთნოლოგიური და დიალექტოლოგიური გამოკვლევა, გამ. ,,კოლორი", თბ., 2019.

12. **სახოკია** – სახოკია თედო, მოგზაურობანი", გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა", ბათუმი., 1985.

13. **საქართველოს სსრ მეცნიერებათა** აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდი, საქმე №227: 1978. G

14. **ფრეზერი, 1931** – Фрезер Джеймс. Библеиские сказания. 1931

15. **ფუტკარაძე** – ფუტკარაძე შუშანა, ,,ჩვენებურების ქართული", ტომი II, (გამოუქვეყნებელი), ხელნაწერთა უფლებით. (31. 08. 2012).

16. **ქართლის ცხოვრება** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი., 1955

17. **მიქელაძე** – მიქელაძე ნაილე, ,,ოსმალოს აგრესია და მასთან დაკავშირებული ტოპონიმები, ბსუ-ის სტუდენტური კონფერენცია, 2011.

18. **მიქელაძე** – ნ. მიქელაძე: დღიური №1.

19. **მიქელაძე** – ნ. მიქელაძე: დღიური №3.

20. **მიქელაძე** – ნ. მიქელაძე: დღიური №2.

21. **მიქელაძე** – მიქელაძე ნ. ,,ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულება - საარქივო სამმართველო, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია,) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტომი გამ. V, ,,უნივერსალი", თბილისი.

22. **მიქელაძე** – მიქელაძე ნ. ,,ხის კულტი აჭარის ფოლკლორში", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ჟურნალი ,,არხეიონი", X, თბილისი.

23. **სიხარულიძე** – სიხარულიძე ქსენია, საისტორიო სიტყვიერება – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტომი II , თბილისი.

24. **ფუტკარაძე** - ფუტკარაძე შუშანა, ხელნაწერთა უფლებით. პირადი არქივი. ’’

25. **შიოშვილი** - შიოშვილი თინა, ,,აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული მასალები, ჟურნალი ,,ჭოროხი“, № 2, ბათუმი..

26. **ყაზბეგი** - ყაზბეგი გიორგი. ,,სამი თვე თურქეთის საქართველოში” (ნაშრომი თარგმნეს შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ. სურმანიძემ და მ. ხარაზმა. ) ბათუმი., 1995.

27. **ჭიჭინაძე** - ჭიჭინაძე ზაქარია, აჭარის გათათრება, „ივერია“, №203, 206, 212, 218, 219. 1895 წ.

28. **ჭიჭინაძე** - ჭიჭინაძე ზაქარია, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობით IV, თბილისი, 1911.

29. **ჭიჭინაძე** - ჭიჭინაძე ზაქარია ,,მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში”, ტფ., 1913.

30. **ხაზარაძე, ცაგარეიშვილი** - ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები (ურთხელი), ჟ. „მნათობი“, 1988, №2.

**ციალა ნარაკიძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,*
*დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის*
*კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი*
**Tsiala Narakidze**
*Researcher, Departament of Folklore,*
*Dialektoligy and emigrant Literature Research,*
*Niko Berdsenischnili Yniversitete,*
*Batumi Shota Rustaveli State University*

# ლაზური ფოლკლორი
# (სარფის მასალების მიხედვით)

## LAZ FOLKLORE

**აბსტრაქტი.** ლაზური ზეპირსიტყვიერება ქართული ფოლკლორული საგანძურის ორგანული ნაწილია. მისი გავრცელების ძირითადი ტერიტორიაა ეთნოგრაფიული ლაზიკის ტერიტორია, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ლაზები და მათი მშობლიური ენა ლაზურია.

ლაზურ ენას არ გააჩნია დამწერლობა და ყველა ზეპირი ლიტერატურული ნაწარმოები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეიქმნა, ბუნებრივია, ფოლკლორს ეკუთვნის. ლაზთა ცხოვრებაში მომხდარი ყველა ისტორიული თუ სოციალური მოვლენა კარგად არის გამოხატული ლაზურ ფოლკლორში.

მიუხედავად ისტორიული უიღბლობისა, ლაზებმა შეინარჩუნეს ენა და კულტურა ხალხური ნაწარმოებების წყალობით.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის ფონდის მასალებში ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრია წარმოდგენილი: ხალხური პროზის ნიმუშები - ისტორიული ხასიათის ზღაპრები და ლეგენდები; ასევე, მდიდარი ხალხური პოეზია მრავალფეროვანი თემით - შრომითი პოეზია, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და საყოფაცხოვრებო პოეზია, სატრფიალო ლირიკა; ზეპირსიტყვიერების მცირე ზომის ნიმუშები - ანდაზები და გამოცანები.

ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოპოვების ადგილი, ძირითადად, სოფელი სარფია (ე.წ. „მოლენი სარფი“ - სარფის ეს მხარე).

**საკვანძო სიტყვა: ქართული ფოლკლორი, ლაზური, ხალხური პროზა, ხალხური პოეზია.**

**Abstract.** Laz oral folklore is an organic part of Georgian tribes' folklore treasure. The main area of its distribution is a territory of ethnographic Lazica, where Laz people compactly live and their native language is Laz.

Laz language does not have a script and all oral literary works, created during the centuries on this language material, naturally, belong to folklore.

All historical or social events happened in the life of Laz people are well expressed in Laz folklore.

Despite the historical bad luck,Laz peoplepreserved language and culturethanks to the folk works.

All genresof oral folklore are represented in theprotected materials of Niko Berdzenishvili Institute's Folklore Fund: samplesof folk prose– tales and legends of historical character; also rich folk poetry with a variety of topics – labour poetry, traditional customs and household related poetry, romantic lyrics; samples of oral folklore of small size – proverbs and riddles.

Place of obtaining thesamples of Laz oral folklore ismainly Sarpi village (so called "Moleni Sarpi" – this side ofSarpi).

**Key words: Georgian folklore, Laz Folklore, folk prose, folk prose.**

ლაზური ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ქართველ ტომთა ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია. მისი გავრცელების ძირითად არეს წარმოადგენს ეთნოგრაფიული ლაზეთი, სადაც ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ და მათი მშობლიური ენაც ლაზურია.

ლაზური ენა უმწერლებლოა და, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეთხზული ყოველი ზეპირი თხზულება ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებად რჩება.

ლაზური ფოლკლორი, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების ხალხური შემოქმედება, ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც კარგად ჩანს ლაზი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ისტორიული თუ სოციალური მოვლენა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აჭარის მრავალმხრივი ფოლკლორული შემოქმედების შესწავლასთან ერთად დაიწყო ლაზური ფოლკლორის შესწავლაც (1958 წლიდან), რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ აწ განსვენებული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ თანდილავა.

დღემდე შეკრებილი და გამოქვეყნებულია ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა მოპოვების ადგილი, ძირითადად, სოფელი სარფია (ეგრეთ წოდებული „მოლენი სარფი“ – „გამოღმა სარფი).

ლაზური ფოლკლორი, ტრადიციულად, წარმოდგენილია მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო ლექსები და შაირები, ზღაპრები, ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: ანდაზები და გამოცანები.

ლაზურ ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზიას, რომელიც სამი ციკლისგან შედგება: საძეობო-სააკვნო, საქორწილო და სამგლოვიარო...

ლაზურმა ფოლკლორმა დღემდე შემოინახა შვილის დაბადებასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ჩვეულება. შვილის დაბადება, ოჯახში ახალი წევრის გაჩენა ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში დიდ სიხარულთან და საზეიმო რიტუალთან იყო დაკავშირებული. ლაზები ვაჟიშვილის შემენას სოფელსა და თემს თოფების სროლით აცნობდნენ. რძლის მშობლები პირველ შვილიშვილს საჩუქრად აკვანს მოუტანდნენ და ძეობა სუფრით აღინიშნებოდა. მართალია, საძეობო ლექს-სიმღერები ლაზურში არ შემოგვენახა, მაგრამ სააკვნო ლექს-სიმღერები შემოუნახავს ლაზურ ზეპირსიტყვიერებას. ლაზი დედა „ნანას“ უმღერო-და შვილს და ჩვილი მას განსაკუთრებული მგრძნობიაროობით აღიქვამდა.

ჩვენ მიერ სოფელ სარფში ჩაწერილ ლექსში ბებია სიყვარულით უმღერის პატარა გოგონა შვილიშვილს „იავნანას“ („ჰანანი, ნანი, ნანი“).

ჰანანი, ნანი, ნანი, ჰანანი, ნანი, ნანი,
მან გინკან, სინ ინჯირი! მე გირწევ, შენ იძინე,
ისპილი ვარ გიჩქიტას ისპილი არ გეგონოს
მან ვორე, დიდი სქანი. მე ვარ დიდედა შენი.
ჰანანი, ნანი, ნანი, ჰანანი, ნანი, ნანი,
ონწელიში კამარა, აკვნისა სახელური,
მან გინკან, ვა იმგარა, მე გირწევ, შენ არ იტირო,
გოგიხთა გ̆ული ჩქიმი გენაცვალე, არ იტირო
ნაზლი ჩქიმი, ჭუჭუტა, ნაზლი ჩემო პატარავ,
მოკვანჭი ჭუტა-ჭუტა. მოიწი ნელა-ნელა
ნაზლი ჩქიმი კაი რენ, ჩემი ნაზლი კარგია,
ალთუნიში წკაი ე̆ენ, ოქროს წყალია წმინდა,
მილონი მომჩათნა მილიონიც რომ მაძლიოთ,
მითიშა ვარ მამეტენ. სხვა არავინ არ მინდა.

2016 წელს სოფელ სარფში ჩავიწერეთ სააკვნო სიმღერის ახალი ვარიანტი:

ჰანანი, ნანი, ნანი, ჰანანი, ნანი, ნანი,
გოგიხთას ნანა სქანი, გენაცვალოს, დედა შენი
გოგიხთას, გოგაჭაას, გენაცვალოს, შემოგევლოს,
ნანა დო ბაბასქანი. დედა და მამაშენი.
ონწელი კიჭი-კიჭი, აკვანი „კიჭი-კიჭი“,
მეშახენ ჭიტა ბიჭი, იქ წევს პატარა ბიჭი,
ონწელიში კამარა, აკვნისა სახელური
მან გინკან, ვარ იმგარა, მე გირწევ, არ იტირო.
ონწელი ვარ გიღუნი? აკვანი არა გაქვს?
ბაბასქანი Fუკარა, მამაშენი ღარიბი
ჰანანი, ნანი, ნანი, ჰანანი, ნანი, ნანი,
გოგიხთას ნანა სქანი. გენაცვალოს დედაშენი.
ჰანანი დო ჰანანი, ჰანანი და ჰანანი,
ვიდათ სქანი კურბანი, გავხდეთ შენი შესაწირავი,
მან ჟურ ნანა მიყორუნ, მე მყავს ორი დედა,
არ ჩქიმი დო არ სქანი. ერთი ჩემი და ერთიც შენი.

### საქორწილო ლექს-სიმღერები

ლაზურ „ჭანდას“ ანუ ქორწილს თავისი მტკიცე, ტრადიციული წეს-ჩვეულებები გააჩნია, რაც სათანადოდ აისახა ზეპირსიტყვიერებაშიც. ლაზური საქორწილო-საწესჩვეულებო ლექსების ნაწილი უშუალოდ ქორწილის ცერემონიალთან არის დაკავშირებული და მაყრულ ლექს-სიმღერებს განეკუთვნება.

საცოლედ დაგულვებულ გოგოს, ლაზური წეს-ჩვეულების თანახმად, ვაჟი ხშირად მანდილს „წაართმევს“, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ქალიშვილს სხვა ხელს ვეღარ დააკარებს, რადგან ის ამ ვაჟის „ხემენთხიმერი“ ანუ ხელწაკარებულია. ეს ჩვეულება ასახულია ხალხურ ლექსებშიც:

ანწი სუმ წანა იყვენ, სამი წელი სრულდება,
მენდილი სქანი მიღუნ, შენი მანდილი მე მაქვს,
ნოღედის დო ლიმანის ნოღედსა და ლიმანში
ოთხო ოხორი მიღუნ, შენთვის ოთხი სახლი მაქვს,
კულანი, გიჩქიტას-ნა, ქალიშვილო, რომ იცოდე,
გურის მეუფე მიღუნ!.. მე გულში რაები მაქვს.

(თანდილავა, 1972:119).

საცოლის დაკვლევა-შერჩევას ლაზურ ზეპირსიტყვიერებაშიც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სათანადო ყურადღება და გულისხმიერება ეთმობა. სარფში ჩვენ მიერ ფიქსირებული ერთი ლექსის თანახმად, საცოლე ბიჭები

გაფაციცებით შეჰყურებენ მომხიბვლელ ქალიშვილს და გულისფანცქალით ელიან, ვისზე შეაჩერებს არჩევანს:

ინჯუბალით მანი, მანი, შეეცადე ჩქარა, ჩქარა,
მის ანჭასენ ჰა კულანი ვის შეხვდება ეს გოგონა?
ნამუ რეთ ჰელე კაპეტი, ვინ არის, ნეტავ, მაგარი,
მიში რენ პია კისმეტი? ვისია ნეტავ ეს ბედი?

შთამომავლობას, გვარიშვილობას, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ლაზეთშიც დიდი ყურადღება ექცეოდა, რაც სათანადოდ აისახა კიდეც ზეპირ-სიტყვიერებაში:

პატი ვოე მო გიჩქიტას, ნუ გგონია ცუდი ვარ,
აღაში სოი მიღუნ. აღას წარმოშობა მაქვს.

ნიშნობა, ქორწინების როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, სათანადოდ წარმოჩნდა ლაზურ საქორწილო პოეზიაში:

ბოზო, ნიშანი სქანი, გოგო, შენი ნიშნობა,
მჟაჩხა დღას გუის მიღუნ, მზის დღისათვის გულში მაქვს,
ირი შეი მამეტენ, ყველაფერს გავიმეტებ,
ყოროფა სქანი მიღუნ. შენი სიყვარული მაქვს.

სარფში დავაფიქსირეთ გაბაასების ფორმის ერთ-ერთი საქორწილო შაირი, რომლითაც კარგად წარმოჩნდა ლაზეთში საცოლისთვის ნიშნად ქამრის მიტანის უძველესი ჩვეულება. ლექსის მიხედვით, გოგონა თანხმობის ნიშნად, ქამრის გაკეთებას სთხოვს ვაჟს:

ბიჭი: – ქალე, ბოზო, სი ხანუმი, მან ბეგი,
ვა გომდინუფ სქანიშენი ემეღი!
კულანი: – მან ქომიჩქინ ჯოხო სქანი ომერი,
დომიხვენი მჭიფე შქაში ქემეი!
ბიჭი: მან ქომიჩქინ, ჯოხო სქანი ხატიჯე,
ნჯიის ვორე, ბითუმ გძიროფ იზმოჯე
ბიჭი: – შენ ქალბატონი, მე ბატონი, გოგონა ქალო,
მე არ დავკარგავ შენზე ამაგს, უნდა გახარო!
გოგონა: – მე ვიცი შენი სახელია ომერი
გამიკეთე წვრილი წელის ქამარი!
ბიჭი: – მე ვიცი, ხატიჯეა შენი სახელი,
ძილის დროს მუდამ სიზმარში გნახულობ.

ნიშნობის შემდეგ, ოფიციალურ შეუღლებამდე, მომავალი პატარძალი და სასიძო „ფარულად“ ხვდებოდნენ. სასიძოს მიერ საპატარძლოს ოჯახში ჩუმი ვიზიტი ხუთშაბათს ხდებოდა, რაც, შესაბამისად, ხალხურ ლექსშიც აისახა:

„ამსეი უმქესეი დღეს არის ხუთშაბათი,
სიჯალეფეში სეი,
ბაშქა სეის ვა მეხთა
თის გექჩაფან ქესეი“.
სიძეების ღამეა,
სხვა საღამოს არ მოხვიდეთ,
თავში ჩაგარტყამენ უროს.

სასიძო დანიშნულის სახლში ხშირად სარკმლიდან შეიპარებოდა; დანიშნული თუ არ მოეწონებოდა, ფანჯრიდან გადმოხტებოდა. არც ეს მომენტი გამორჩენია სარფელი ლაზის მახვილ მზერას:

ფენჯეეშენ ამულუნ სარკმლიდან შედის
ბოზოს ნიშანი მუში, გოგოს დანიშნული,
სანდუღის ქოგელაძინ სკივრზე დევს
შექელემეფე მუში; მისი შაქარლამები
ჲარი ამახთაშკულე, სატრფო როცა შევა,
ვარ მოწონს ჲარი მუშის, არ მოეწონება დანიშნული,
ფენჯეეშენ ოცხონტუნ , ბიჭი სარკმლიდან გადმოხტება
ძიაში ჲარი მუში. როცა ნახავს მის დანიშნულს.

ლაზური მაყრული ლექს-სიმღერები, რომელიც ჩაწერილია სოფელ სარფში, წარმოაჩენს მაყართა ინტერესებს ორივე მხრიდან. სასიძოს სახლთან მიახლოებისას ქალის მაყრები ასრულებდნენ მაყრულ სიმღერას „თირამოლა“-ს.

2016 წელს ჩავიწერეთ ამ სიმღერის ახალი ვარიანტი სოფელ სარფში:

ულუნ მოლა, მულუნ მოლა, მიდის მოლა, მოდის მოლა,
თირა ნა რენ, თირამოლა თირა, რომ არის თირამოლა,
თამო-თამო ქოკოიბღათ, ნელ-ნელა შევგროვდეთ,
ჭანდა გიჭკენ თირამოლა. ქორწილი იწყება თირამოლა.
თირამოლა თირა-თირა, თირამოლა თირა-თირა
სერი იყვენ დო ქობძირათ, ღამდება და დავინახოთ,
იდას უსულა, მოხთას მოლა, წავიდეს ჩუმად, მოვიდეს მოლა,
სიჯა მოხთას თირამოლა...სიძე მოვიდეს თირამოლა...

მამამთილი რძალს სახლში შეიყვანს. შესვლისას სროლას ატეხენ ბიჭის მხრიდანაც და გოგოს მაყრებიც. კარებთან შეეგებებიან და დალოცავენ ნეფე-დედოფალს:

იკიბადათ დო იხჩინათ,
იმრიალათ დიმჭკუსთერი,
გეხვამერ ტათ ირიშენ

მურუცხი დო თუთასთერი
ხანში შეხვიდეთ, მოხუცდეთ,
იმრავლეთ ჭიანჭველივით,
ყველასგან დაილოცენით
ვარსკვლავი და მთვარესავითა

ლაზური საქორწილო ლირიკის მშვენიერი ნიმუშია „ზაფხული მოვიდა“ („ჲაზი ქომოხთუ“).

ლექსში დახატულია ამაყი ასული, რომელიც მართალია, სიყვარულის ალით იწვის, მაგრამ დარდსა და წუხილს არავის უმხელს, ამაყად მიდის და არაფრის ეშინია:

გუიქთუ, გულიწვედუ,
გზას გედგინ თი ჲეღეი!
მობრუნდა, შემოიხედა,
მიდის ამაყად როგორ!..

თავმდაბალი და ჭკვიანი გოგონა დედ-მამით ობოლია და ბებიაზე ზრუნავს; ბებიას ლოცვასაც კეთილი ნაყოფი გამოუღია და საუკეთესო საბედო რგებია; დედოფლობაც დაშვენდა და მთელი სოფლის ლოცვაც ერგო; ამგვარი ღირსეული გოგონა შეუვიდა დედამთილ-მამამთილს:

ნოღამისობა მუხთუ, მთელი ქჲოიქ გეხვამუ.
დედოფლობაც დაიმშვენა, მთელმა სოფელმაც დალოცა.
მთიი დო დამთეესთი მამამთილს და დედამთილს
მუფეი ნისა ანჭუ. როგორი რძალი შეხვდათ.

ამრიგად, ლაზური საქორწილო წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება კარგად გამოვლინდა ჩვენამდე მოღწეულ სარფულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

**საყოფაცხოვრებო პოეზია.** ლაზური საყოფაცხოვრებო პოეზია სრულყოფილად წარმოაჩენს ლაზთა ხასიათს, მათ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციულ ჯანსაღ იუმორს. როგორც ყველგან საქართველოში, სოფელ სარფში ოჯახი და ოჯახური ურთიერთობანი ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. ლაზისთვის სანიმუშოა ისეთი ოჯახი, სადაც ყველა წევრს თავისი ვალდებულებები გააჩნია და სადაც იდეალური ჰარმონია სუფევს. ეს კარგად ჩანს სარფის მკვიდრის ავტორ-მთქმელ იაშა ბაქრაძის მშვენიერ ლექსში „პოპულიქ მტკეცი ყაზუფს“ („პაპა წნელს თლის“).

პაპულიქ მტკეცი ყაზუფს პაპა წნელს თლის
კალათი ოშუშენი, კალათის მოსაქსოვად,
ნანდიქ ლუყუ კანკუფს ბებია ფხალს აკეთებს
ქორბაში ოძღუშენი; მუცლის გასაძღომად;

ბაბაქ დიშქა ჩითეენმამას შეშა დაუჭრია
კირაში ოგზუშენი;კერიის დასანთებად
ნანაქ კიცი ნოდვეენდედას კეცი მიუდგამს
მჭკიდიში ოჭუშენიმჭადის შესაწვავად;
ბეე ონწელის გეჯანს ბავშვი აკვანში წევს
ოხელუ ორდუშენი;გასახარ, გასაზრდელი;
მჟურა იშულუნ დო მზე ამოდის და ჩადის
გ̈ულუნ მთელიში ხელაშენი. ყველას გასახარად.

ოჯახის შექმნა ლაზებისთვის უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა; ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი მომენტისთვის განსაკუთრებით ემზადება ვაჟი, რომელიც ოჯახის მამა უნდა გახდეს. სწორედ ამ მოქალაქეობრივი მოვალეობის ღირსეულად შესრულებას ქადაგებს სარფში ჩაწერილი დიალოგური ლექსი „ოი, ნანა“ („ოი, დედა“...), ლექსის თანახმად, შვილი სთხოვს დედას, დააოჯახოს, დედა კი შეახსენებს, რომ დაოჯახება დიდი პასუხისმგებლობაა, უნდა შეძლოს ოჯახის რჩენა:

–ოი, ნანა, ჩქიმი ნანა,
მუ იყვენ დომოჩილანა!
–გოჩილაფ სქიი ჩქიმი,
გასქედინენი ვანა.
–თექშენ დომოჩილატი,
დოოსქედინაფ ნანა!
–ოი, დედა, ჩემო დედა!
დამასახლე რა იქნება!
–დაგასახლებ, შვილო, ჩემო,
თუკი შეძლებ ცოლის რჩენას.
–ნეტავ დამაქორწილებდე,
შევძლებ, დედა, ცოლის რჩენას!

ბოლო სიტყვები, რომლებიც ეკუთვნის დედას, მშვენივრად წარმოაჩენს საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ამ უძველესი ქართველური ტომის ბრძნადმეტყველებას.

–ოჩილუს ფარა უნონ,
ოჭკომუს მქვალა უნონ,
–კამა გოლაკიდეი
კირმა ქემერი უნონ.
–ცოლის თხოვნას ფული უნდა,
ჭამას-საკვების მარაგი,

ჩამოკიდებულ ხმალს კიდევ
სჭირდება ვერცხლის ქამარი.

სარფულ საოჯახო-საყოფიერო პოეზიაში აქტუალურია რძალ-დედამთილის ციკლის ნიმუშები. ერთ-ერთ საყოფაცხოვრებო შაირში დედამთილის სიკვდილია სანატრელი:

მზოღას ორთას ქაფშია,
დობიღურუ დამთერე.
შუა ზღვაშია ქაფშია,
მომიკვდა დედამთილი.

ხშირად ეს ნიმუშები გაბაასების ფორმას ატარებს და დიდაქტიკური სენტენციით მთავრდება:

–დამთეე ჩარბი კეტი
მაკაინაში კეტი.
–დამთეობას მეჭიშაში
–მაკარონის ჯოხს წააგავს
დედამთილი ტუჩებჩხირა.
–დედამთილობის დროისთვის
ნისათი იყვენ კეტი
რძალი ჯოხი ხდება ხშირად.

ლაზური საყოფაცხოვრებო პოეზიისთვის უცხო როდია ავი დედინაცვლის თემა. სარფში დაფიქსირებულ ერთ საყოფაცხოვრებო ლექსში დედინაცვლისგან შევიწროებული გერის განცდებია გადმოცემული:

„ნანაშანტეშის ხეს ვორე,
ვა ვარდი, ჭიტა ვორე,
გელაუძირ, ვარ ვხჭვე,
თხომუში დიშქა ვორე.
დედინაცვლის ხელში ვარ,
არ გავიზარდე, პატარა ვარ,
შემოდებული ვარ და არვიწვი,
თხმელის შეშა ვარ.

ამრიგად, სარფულ ფოლკლორულ შემოქმედებაში შემორჩენილ საყოფაცხოვრებო ლექსებს თავისი სოციალური დატვირთულობა გააჩნია და წარმოაჩენს ლაზთა ყოფა-ცხოვრების ცალკეულ სახასიათო დეტალებს.

**სამგლოვიარო პოეზია.** სამგლოვიარო წეს-ჩვეულებათა შორის ფოლკლორული თვალსაზრისით ლაზურში ყურადღებას იქცევს მიცვალებულთა დატი-

რება, რომელსაც სამგლოვიარო მელოდიასთან ერთად ხშირად სიტყვიერი მასალაც ახლავს. სამგლოვიარო თემაზე შექმნილი ლაზური სიტყვიერი მასალა საინტერესოა, როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც. მოტირალი თავის სიტყვებს პოეტურ ტრადიციაზე აგებს და ლექსის სახეს აძლევს.

სიტყვიერი მასალის წარმოსაჩენად გამოიყენება მოთქმით ტირილი და მოტირალის მიზანს წარმოადგენს მიცვალებულის სულთან „ლაპარაკი“. მიცვალებულის „სულთან საუბრის“ დროს ლაზი მოტირალი იხსენებს წინაპრებსაც. სწამს, რომ საიქიოს მყოფი ყოველი ახლობლის სული გლოვის დროს მიცვალებულის ოჯახში იმყოფება. ამიტომაც ასე მიმართავს ხუთი დაღუპული ქალიშვილის, გამწარებული დედა მკვდარ მაზლიშვილს:

ამ დუნჲას ვა იჩილი ჲუსუფი ჩქიმია,
ამ ქვეყნად არ დაქორწილდი ჩემო ჲუსუფ,
ემ დუნჲას იჩილი, რუიგოი ჲუსუფი ჩქიმია,
იმ ქვეყნად დაქორწილდი, ფერია ითხოვე ჩემო ჲუსუფ,
კულანეფე ჩქიმი გოწაგიდგითას, ჩემი გოგონები გვერდში ამოგიდგებიან,
სიჯალიკობა იქიფტაში ჲუსუფია ჩქიმი სიძეობისას, ჩემო ჲუსუფ...

ზოგიერთი ლაზური მოთქმის თანახმად, თავად მიცვალებულის სული ლაპარაკობს, ეხმიანება დედას თუ მეუღლეს, ამშვიდებს და ამხნევებს მათ. ამის დასტური ჩვენ მიერ 1983 წელს სოფელ სარფში ჩაწერილი მოთქმის ნიმუშში:

ბულის თუდე ხაჩქუფან ბლის ხის ქვემოთ ითხრება
გინძე მეზაე ჩქიმი გრძელი საფლავი ჩემი,
დოხედი დო იმგაი დაჯქექი და იტირე,
ზავალი ნანა ჩქიმი! საწყალო დედაჩემო!
... ...
გუი ვა იტკვაცინა, გული არ გაიხეთქო
ზავალი ნანა ჩქიმი! საწყალო დედაჩემო!
სევგული ნანა ჩქიმი, ჩემო დედა ძვირფასო,
სოთი მუთუ ვა დუწვა საყვედური არ უთხრა
კაი ქიმოლი ჩქიმის ჩემ კარგ მეუღლესა.

ლაზურში გვხვდება ისეთი სამგლოვიარო ლექსებიც, რომლებიც აგებულია ტრაგიკულ ამბავზე. ამის დასტურია ლაზური ლექსი „ობირუ კულანი ღურუტუში“ („სიმღერა მომაკვდავი ქალიშვილისა“). ლაზ ბიჭს ჰყვარებია ქალიშვილი, რომელიც ცოლად უნდა შეერთო ამ ბიჭის უფროს ძმას, ისმაილს, წინააღმდეგობის მიუხედავად, აიშე მაინც დაინიშნა ისმაილზე. უმცროსმა ძმამ სატრფო

სასიკვ-დილოდ დაჭრა. ლექსში მომაკვდავი პატარძლის პირით დაგმობილია დრომოჭმული ადათები, რომლებიც ადამიანთა ტრაგედიის მიზეზი ხდება:

ჩქარ გურის ვარ მემიჭვეს, სულაც არ შეიბრალეს,
აშო ჩქიმი გენჯლუღი, ჩემი ახალგაზრდობა,
დიცხირონი ანთერი, ხალათი სისხლიანი
ქომეჩით ნანა ჩქიმის, დედაჩემსაც მიეცით,
ირი დღას გემამგარას, რომ ყოველდღე იტიროს
აჲა გენჯლუღი ჩქიმი... ჩემი ახალგაზრდობა...

ამრიგად, ლაზურ (სარფულ) სამგლოვიარო პოეზიაში, გადმოცემულია ერთი მხრივ ჭირისუფლის უდიდესი წუხილი ახლობლის გარდაცვალების გამო, მეორე მხრივ კი ვეცნობით სარფელთა რწმენა-წარმოდგენებს სააქაო და საიქიო ცხოვრების თაობაზე.

**სატრფიალო პოეზია**. სატრფიალო ლექსები ლაზეთში იქმნებოდა, ძირითადად, კოლექტიური შრომის პროცესში. კოლექტიური შრომის საზეიმო განწყობილებას განსაკუთრებული ელფერი ეძლევა შესვენების პერიოდში. ამ დროს ადგილი ჰქონდა ქალ-ვაჟის გაშაირებას, სატრფიალო ლექს-სიმღერების ექსპრომტულ თქმას.

სარფელ სატრფიალო ლექსებში გადმოცემულია შეყვარებულთა გულისთქმა, ერთმანეთისადმი სწრაფვა და სიყვარულის განდობა.

გაზაფხული, როდესაც ნადები განახლდება, შეყვარებულთათვის სასურველი დროა, რადგანაც შრომის დროს საშუალება ეძლევათ, ერთმანეთის ნახვით დატკბნენ. 1982 წელს ჩვენ მიერ სოფელ სარფში ჩაწერილ სატრფიალო ლექსში „ჲაზი მულუნ („გაზაფხული მოდის“) სწორედ ამაზეა საუბარი: ბუნების განახლებასთან ერთად მიჯნურთა გულების განახლებაც იწყება:

იაზი მულუნ, ნოდეეაფე დივასენ, გაზაფხული მოდის, განახლდება ნადები,
ქომოხთინა გუი ჩქიმი დივასენ... თუკი მოხვალ, გული გამიახლდება.

სასიყვარულოდ აღერილი ლამაზი ვაჟკაცი შეჰხარის სატრფოს მშვენიერებას, ქება-დიდებას ასხამს და იმის თქმასაც უბედავს, რომ მის რჩეულს ბედნიერება მხოლოდ მასთან ელის და არა მშობლებთან:

ნანა-ბაბა სქანიშენ დედ-მამისაგან
მუთუ ხეირი ვარ გიღუნ. ხეირი არ გაქვს,
ბოზო მენდამაყონი, ქალიშვილო, წამომყევი,
სი ჩქიმდენ ხეირი გიღუნ. შენ ჩემგან გაქვს ხეირი
(ვანილიში, თანდილავა, 1964:15).

ერთ-ერთი სარფული ლექსის თანახმად, შეყვარებული ვაჟს მშობლები და თავად ქალიშვილი არ თანაუგრძნობენ, რის გამოც უიმედო მიჯნური მოსთქვამს და ტირის:

მემიუჯით, აწი გევოჭკარე მგარას
ნა ოგნასენ,მთელიქ ხოლო იმგარას.
ჲარი ჩქიმიქ ქოდომოხუნუ მგარას,
ორდო მოხთი ნაშური მიშინარე.
მომისმინეთ, ეხლა ვიწყებ ტირილს,
რომ გაიგონ, ყველამ ერთად იტიროს,
ჩემმა სატრფომ ასე დამსვა სატირლად
მალე მოდი, შენ გენაცვალე.

(კარტოზია, 1972:11).

1958 წელს ზურაბ თანდილავას მიერ ჩაწერილ ლექსში „დუნჲა დიეშილუ“ („ქვეყანა გამწვანდა“) გამოთქმულია შეყვარებული ლაზი ქალწულის სევდა-წუხილი იმის გამო, რომ სატრფო შორს იმყოფება; ამიტომაც გაზაფხულზე ამწვანებული ქვეყანა მისთვის გაუფერულდა და უფსკრულს დაემსგავსა:

დუნჲა დიეშილუ, ომოხთუ ჲაზი,
ნა გულუტი მუჭო ჲეშილი კაზი!
სტანიშკულე დომაღოდუ მარაზი,
სოშა ვიდა აშო ყალგელაქთერი?!
ქვეყანა გამწვანდა, მოვიდა გაზაფხული,
რომ დადიოდი, ვით მწვანე გედი!
შენს შემდეგ დამემართა ჭირი,
ასე მწუხარე საით წავიდე?!

ზღვაზე გემის გამოჩენა შეყვარებულ ლამაზ გოგონას იმედს უღვივებს, მისი ოცნებაა, სატრფოსთან სიყვარულის სიმი გააბას და, ერთგულებისა და სიყვარულის ნიშნად, ფორთოხლის ლებანს უგზავნის.

მიწვეს-ოტი მზოღას დუმანი ჲულუნ,
გოვინწკედი, ეშო, კარავი გჲულუნ.
მა ფთქვი-ოტი ბექი გჲული ქომულენ,
მეგშვენტი დო ვარ მოხთი გჲული ჩქიმი
გოვინკიდათ სევდალღუში თელი,
მეგინჯღონოფ ფორტუკალეში ფელი;
ვარ იძღინა,ქომეგინჯღონოფ მთელი,
ქომოხთი დო აქ ვორტათ, გჲული ჩქიმი!
მითხრეს, რომ ზღვიდან ბოლი ამოდის

გავიხედე და მოცურავს გემი.
ვიფიქრე, იქნებ მომგვაროს სატრფო,
გელოდე, მაგრამ არ მოხველ ვარდო!
მოდი, სიყვარულის გავაბათ სიმი,
გიგზავნი ფორთოხლის ლებანს.
თუ არ გეყოფა, მთელს გამოგიგზავნი,
მოდი, აქ ვიყოთ ერთად.

შეყვარებული ადამიანი, ლაზური სატრფიალო ლირიკის თანახმად, გულში დაჭრილია:

არ წკაი ქოგემიბით
შუშეს დოლოტალეი!
გუი იარალი მიღუნ
კურმუში მოტალეი

ერთი წყალი დამისხით
ჭიქაში დარჩენილი,
გული დაჭრილი მაქვს,
ტყვია-ჩარჩენილი.

სარფული ლირიკული გმირისთვის უმთავარო ღამეს პაემნებს ხიბლი არა აქვს; ამ შემთხვევაში სჭარბობს თავისუფლება.

ამ სერი თუთა ვარენ, ამ ღამით მთვარე არ არის,
თანი მურუცხი, თანი, ანათე ვარსკვლავო, ანათე,
იანიშ ოდაშენ კელე გვერდითა ოთახის მხარეს
ფენეი მემოთანი ფანარი მომანათე.
ამსერი თუთა ვარ ებეთუ, ამ ღამით მთვარე არ ამოვიდა,
ცას ორთას მენცახეი; აღარ ჩანს შუა ცაზე მიკრული;
ბოზო ისა ვინჯიათ, მოდი, გოგონი, ერთად ვიძინოთ,
ისა ოკონცახეი ასე ერთმანეთს ჩახუტებული.

ლაზი მიჯნური ეხვეწება სატრფოს, გამოვიდეს სახლიდან და გაჰყვეს მას:

ბალკონის მოთ გელადგირ აივანზე რატომ დგახარ
გემზული ხვალა-ხვალა? მარტოდმარტო მოწყენილი?
გეხთი მენდაგიყონა, ჩამო, ქვევით, წაგიყვანო,
მულუნა ჩქიმიკალა ჩემთან ერთად შენ ხომ ივლი.

მშვენივრად არის გადმოცემული ლაზი შეყვარებულების გულისთქმა ლექსში „ქალე-ბოზო“ („ქალო გოგო“...) ვაჟი უყურადღებობას საყვედურობს გოგონას და სთხოვს, ყურადღება მიაქციოს, ცოდვა არ დაიდოს:

ქალე-ბოზო, სონი რე?
დიდო ყოროფონი რე!
თი ებეღინეი გულუ,
ბარის მოთ ვა გოლოწკე?
ბარიქ დერდი დიდო ყუ,

ჩიხოტკა დიღოდინუ,
მციქა ნოსიშა მოხთი,
გიუნახი ვა გიჟიდვა!
ქალო-გოგო, სადაური ხარ?
ძალიან საყვარელი ხარ!

თავაწეული დადიხარ, თან ჭლექი შეეყარა;
სატრფოს რად არ უყურებ? ცოტა ჭკუაზე მოდი,
სატრფომ ბევრი იდარდა, ცოდო აღარ დაიდო.

ერთ-ერთი სატრფიალო ლექსითაც, ქალე, თოლი კარკალა“... („ქალო, თვალებციმციმა“) ვაჟი ცდილობს,რამენაირად მოინადიროს სატრფოს გული:

ქალე თოლიკარკალა,
მოხთი მუთხანი გიწვა;
ეგერე ვა მოხთინა,
დიდო ფიშმანი იყვა.
თვალებციმციმა ქალო,
მოდი, რაღაცა გითხრა,
და, თუ არ მოხვალ, მაშინ
ბევრჯერ ინანებ, მითქვამს...
(ნარაკიძე, 2015:16).

ჩვენ მიერ ფიქსირებულ ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ჩაწერილია სოფელ სარფში, ყელყელაობა და უსაგნო ამპარტავნობა ცალსახად დაგმობილია. ლექსის ლირიკული გმირი ამპარტავან გოგონას შეახსენებს, რომ ამქვეყნად ყველა იმედით ცხოვრობს, თუმცა მარტოოდენ რაიმეს ან ვინმეს იმედად ყოფნა არაფრის მომტანია; ადამიანი თავადაც უნდა გაიხარჯოს. ეს ღრმა ფილოსოფიური დასკვნა სრულიად ბუნებრივად ძევს მრავალსაუკუნოვან ლაზურ ზეპირპოეტურ შემოქმედებაში:

ეკო მოთ იმცქვე დო მოთ ინაზლებ, რად ტრაბახობ და რად ინაზები,
გუის დოლოხე მუეფე ნიღუნ? გულში რა გიდევს ნეტავ?
ეკო ბიჭეფეს კაპულა ნუქთი ამდენ ვაჟებს რომ ზურგი აქციე,
აჯაბ, სი მიში ომუდი გიღუნ? ვისი იმედით ბედავ?
ომუდითენ სქიდუნ ამ დუნიას მთელი, იმედით ცხოვრობს ამ ქვეყნად ყველა,
ჰამა ომუდით მთელის ვარ ნუშოლს, თუმცა იმედი ყველას არ შველის.
ხე გონკანინა მთელი ომუდი თუ გაირჯები, ხელს თუ გაანძრევ,
სი მეგოდგითუნ ნეკნას კაითენ. კარს მოგადგება იმედი შენი.
(ნარაკიძე, 2015:15).

ლექსში „ყოროფაქ კოჩი ოჯგინაფს“ („სიყვარული კაცს ამარცხებს“) ავტორის ბრძნული შეხედულებაა გამოთქმული მიჯნურობის თაობაზე:

ყოროფაქ კოჩი ოჯგინაფს, სიყვარული კაცს ამარცხებს,
მთინი რენ, შუიმშინე; მართალია, ძვირფასო;
ყოროფქ გუი დომიჭუ სიყვარულმა დამწვა გული
თის ნოსი ქაგამამიღუ, და გონება წამართვა.

გუი ჭვეიში ჭამი გულდამწვარის წამალი კი
სოთინა ვარ იძირენ... არსად მოიპოვება.

ამრიგად, ლაზური (სარფული) ხალხური სატრფიალო ლირიკა ერთი მშვენიერი ჰიმნია ყველაზე ლამაზი, ყველაზე ამაღლებული ადამიანური გრძნობისა-ქალ-ვაჟის სიყვარულისა.

შრომის პოეზიის წარმოშობა და განვითარება სამეურნეო მოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ლაზეთში მეურნეობის დარგებიდან აქ ძველთაგანვე განვითარებულია მიწათმოქმედება, ნაოსნობა და მეთევზეობა, ხელოსნობა, მესაქონლეობა და მონადირეობა. სამწუხაროდ, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მონადირეობისა და ხელოსნობის დარგებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალა მწირად შემოგვრჩა. სამაგიეროდ, კარგად არის წარმოდგენილი ყანური და სანაოსნო-სათევზაო შრომის ლექს-სიმღერები, რომლებიც მრავალფეროვანი თემატიკითა და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბანს ქმნიან ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში.

ნადური შრომა ლაზურში თითქმის ყოველგვარ მძიმე მუშაობასთან არის დაკავშირებული.

უძველეს შრომის სიმღერებს განეკუთვნება ლაზურში „ჰე-ამო“ და „ჰე-ანა“, რომელსაც ლაზები ყანაში ნადური შრომის დროს მღერიან.

„ჰეამოსთვის“ სასიმღეროდ დადგენილი პოეტური ტექსტი არ არსებობს. სასიმღერო სიტყვები სიმღერის პროცესში იქმნება იმპროვიზაციის სახით. ჰე, ჰე, ჰედამო, დამო, ჰემო, ჰედამო,

დობხაჩქათ, დო ვიგზალათ,
დადის ქეშოვოხაჩქათ;
მანი, მანი დალეფე,
სო ბძიროფთ ჰამ დღალეფე!..
ჰე, ჰე, ჰედამო, დამო, ჰემო, ჰედამო,
დავთესოთ და წავიდეთ,
მამიდას დავუთესოთ;
დებო, ჩქარა, ჩქარა ვთესოთ,
კვლავ სად ვნახავთ ამ დღეებს!...

სარფში ჩაწერილ ნადში სიმღერა შაირებში მსუბუქი იუმორით არის წარმოჩენილი მოშაირეთა ინტიმური ზრახვები:

ჩერთიღინა ვოხიაფთ, ბრინჯის გასანიავებელს
ჩქინ ვუწუმეთ დაბაი, ჩვენ ვეძახით დაბაის,
ქომომჩი ნანასქანი, მომათხოვე დედაშენი,

მან დოგაყვა ბაბაი! გავხდები შენი მამა!
ჰაიდე ვიდათ ყონაშ, მოდი წავიდეთ ყანაში
სინა გულუ ემ გზაშა;იმავ გზით, შენ რომ დადიხარ;
-კულანი ვარ მოღერდინა –დედ-მამისგანმალულად,
ნანა-ბაბაშ მტკობაშა! გოგოს შეცდენა არ გინდა.

ლაზეთში კოლექტიური შრომის დროს ხდებოდა შეყვარებულთა ხილვაც. ჩვენ მიერ სოფელ სარფში ჩაწერილი ერთი ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი, რომელიც ნადში მონაწილეობს, გულის ტკივილს გამოსთქვამს იმის გამო, რომ სატრფოს ვერ მოჰკრა თვალი:

ანდღანეი ნოდეის დღევანდელ ნადზე
ვა იყუ გუი ჩქიმი, არ გაკეთდა გული ჩემი,
გოინწკე გოიგოუფ, გავიხედავ და ვეძებ,
ვა ჲენ სევგული ჩქიმი... არ არის ჩემი სატრფო...

ქალთა ნადურის, იგივე თოხნურის, ნიმუში დავაფიქსირეთ სოფელ სარფში 1982 წელს.

ფხაჩქათ, ბოზოფე, ფხაჩქათ, ვთოხნოთ, გოგონებო, ვთოხნოთ,
ლაზუტი მაჩანან დიდო, სიმინდს მოისხამს ბლომად!
ინჭირი, ფურჩუმალე ჭინჭარიც, ბალახეულიც
თის გემაჩანან ნორე. თავზე საყარად მოვა.

ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში მეთევზეობა-ნაოსნობის ამსახველი ნაწარმოებები მეტწილად პოეზიის სახით არის წარმოდგენილი და ლაზური შრომის ლექს-სიმღერების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

მეთევზეობაზე შექმნილ ხალხურ პოეტურ ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს ისეთი ნიმუშები, რომლებშიც თევზი და მისი ნაწარმი ერთ-ერთ საარსებო წყაროდ არის მიჩნეული ადამიანისთვის. ამიტომაც ხშირი იყო ლაზთა გულისტკივილის ამსახველი ლექსები, როცა თევზის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. ლაზი მეთევზე მაშინ თვლის თავს ბედნიერად, როცა ბევრ თევზს დაიჭერს:

ამსერი თუთა ვა რენ,
თანი, მურუცხი, თანი;
ჩხომი დიდო მაჭოფუნა
ჭანდა მიღუნ ჭუმანი.
მთვარე არ მეგულება,
ვარსკვლავო, შენ ანათე;
თევზი თუ დავიჭირე,
მექნება წვეულება.

ჭუმანიშენ ახჩამიშა
Fელუკათენ მზოღას ვორე,
ეგერ ჩხომი მაჭოფუნა,
დიდო ხელებეი ვორე.
მე დილიდან საღამომდე
ნავით ზღვაზე ვიმყოფები,
თუკი თევზი დავიჭირე,
მე ძალიან მიხარია.

ან კიდევ:

ზღვა არის ლაზისთვის გამლილი ველი და თავის ბედსაც ზღვას უკავშირებს; ზღვაზე დაბადებული ლაზი უშიშარია:

დოვიბადი მზოღაშ ჟინ ზღვაზე დავბადებულვარ,
ექ ბღურა რე, ქომიჩქინ; ვიცი აქვე მოვკვდები;
შქურინა ჩქარ ვარ მიღუნ, მე გული მაგარი მაქვს,
გური კაპეტი მიღუნ, სულაც არ შევშინდები.

ნაოსნობასთან დაკავშირებული ლექსები, მეთევზეობასთან ერთად, ლაზური ზეპირსიტყვიერების უმნიშვნელოვანესი უბანია.

ნაოსნობა მეტად რთული საქმეა. ამიტომაც ყველა მეთევზე-მენავემ კარგად უნდა იცოდეს არა მარტო თევზის დასაჭერად მოხერხებული ადგილისა და ხელსაყრელი მომენტის შერჩევა, არამედ კარგად უნდა შეეძლოს ამინდის წინასწარი განსაზღვრაც, რომ არ გახდნენ ზღვის სტიქიის მსხვერპლნი.

მეთევზეობა-ნაოსნობის თემატიკის ლაზურ ფოლკლორულ შემოქმედებაში ყურადღებას იმსახურებს სიმღერა „ჰელესა“, რომელიც პოპულარულია მთელ ლაზეთში და იმღერება როგორც ზღვიდან ნავის, ღუზის და ბადის ამოთრევისას, ისე-ხმელეთზე ტვირთის გადატანისას და ქორწილშიც. მისი არქაული სახე უსიტყვოა.

როგორც ცნობილია, ლაზური მეურნეობის ტრადიციული სახეობა-მეთევზეობა და ხელოსნობა დაკავშირებული იყო სამუშაოდ სხვა მხარეში გამგზავრებასთან, რასაც ლაზები „კურბეთს“ (საშოვარს) უწოდებდნენ.

მოსაგებად საშოვარზე, ხშირად დასაქორწინებელი ვაჟები მიდიოდნენ, რათა გარკვეული თანხა დაეგროვებინათ. ამაზე მეტყველებს 1977 წელს ჩვენ მიერ სარფში ჩაწერილი ლექსი:

აწიშა მორგაფუს ვორტო, აქამდე მოსაგებად ვიყავი,
აწი ოჩილუს ვორე; ეხლა ქალის სათხოვნელად ვემზადები;
ჩილი ოგორუშენი საცოლის მოსაძებნად
სერ-დღალერი გზას ვორე დღე და ღამე გზაში ვარ

საშოვარზე წასული მეთევზე, რომელსაც მოგების სურვილთან ერთად აწუხებს და მძიმე ტვირთად აწევს ოჯახისგან შორს ყოფნა, სატრფოსგან დაშორება გულისტკივილით ამბობს:

ბითუმ კურბეთის ვორე მუდამ საშოვარზე ვარ
ედო ბჭოფუფ კიFალი... და ვიჭერ კეფალს,
ჲარი ბძირამინონი?! მეღირსება სატრფოს ნახვა?!
გოვონწკაფარე Fალი. უნდა ვაკითხვინო მკითხავს.

მენავეობა-ზღვაოსნობისა და მეთევზეობის თემატიკაზე შექმნილი ლაზური პოეზიის ნიმუშები შაირის სახითაც გვხვდება. მიჯნურის მოლოდინში მყოფი ქალი თავის მოტრფიალე სხვა ვაჟს პოეტურ კამათში ასე პასუხობს:

ჩხომი ოჭოფფუშენი
ჲარი დილილუ ფაში,
კოპჭა დო ბოღა-კისტი
მომიმერს არ-ჟურ დღაში.

სათევზაოდ წავიდა
ჩემი მიჯნური ფოთში,
ღილსა და ძვირფას მძივებს
მომიტანს ერთ-ორ დღეში.

ლაზური კაფიობის ეს სახე თავისთავად საინტერესო და კარგად წარმოაჩენს ლაზეთის ზღვისპირას (ამ შემთხვევაში – სარფელი ლაზების) მცხოვრებთა მეურნეობას, ეკონომიურ მხარეს, მთავარ საქმიანობას და რაც მთავარია, ლაზურ იუმორს. ერთ-ერთი ამგვარი შაირის ნიმუშის თანახმად, ზღვისპირას მცხოვრებ ლაზებს დელფინის მჭამელებად მოიხსენიებენ:

მზოღაპიჯიშ ლაზეფე
დეფინაში მჭკომუფე.
ზღვისპირეთის ლაზები –
დელფინის მჭამელები.

ხოლო ზღვიდან მოცილებული სოფლის მცხოვრები ლაზები ზღვისპირელ ლაზებს (კერძოდ, სარფელებს) ასე დასცინიან:

„სარფული ტამბალაღი
მთელი დელფინაშ ჲაღი.
სარფელი გასუქებული
დელფინის ზეთისაგან.

სამაგიეროდ სარფელიც პასუხობს:

მოხვეწაფნა ვარ მეგჩაფ არ კანდელიში ჲაღი, შემეხვეწო, არ მოგცემ ერთი კანდელისთვის... ცნობილია, რომ დელფინის ზეთს ხმარობდნენ ძველად ლამპებში ნავთის ნაცვლად.

მეთევზეობის თემატიკის ლაზური შაირები მშვენივრად გამოხატავენ, აგრეთვე, ლაზი მეთევზის გულისთქმას, სატრფოსადმი ლტოლვას და უნაზეს გრძნობებს. ჩვენ მიერ სარფში ჩაწერილი ერთი ლექსის თანახმად, თევზის დასაჭერად ზღვაზე მიმავალი ლაზი ჭაბუკი ოცნებობს, იხილოს სატრფო ყვავილებით ხელში:

ანდღა მზოღაშა მეულუთ,
სუჲკიში მოსაფეთენ;
სი დომიწვი მუნდეს მულუ
დოქაჩეი ფუქიითენ.

ბადით ზღვისკენ ვეშურებით
კამბულების დასაჭერად;
ყვავილებით ხელმორთული
შენ როდისღა მობრძანდები?

მეფუტკრეობა ლაზეთში ძველთაგანვე განვითარებული ყოფილა და თავისი მნიშვნელობა ბოლომდე არ დაუკარგავს. ამიტომაც მეფუტკრეობას ლაზურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაშიც უპოვია ასახვა.

მეფუტკრეობის თემატიკის ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც დღეს საბავშვო ფოლკლორის კუთვნილებაა. ხაზგასმულია ფუტკრის სიკეთეცა და, ამავე დროს, მისი „გაბრაზების“ შედეგიც–ნაკბენის სიმწარით:

| | |
|---|---|
| ბუტკუჯიქ თოფუი მჩაფს, | ფუტკარი მე თაფლს მაჭმევს, |
| დაულ-ზურნა გელაჩაფს: | იგი უკრავს დოლ-ზურნას; |
| ეგერ გუი მუჯთუ-ნა, | მაგრამ თუკი გაბრაზდა, |
| აღული ლემში გემჩაფს. | ნემს დამასობს შხამიანს. |

ამრიგად, სოფელ სარფში შემორჩენილია ტრადიციული სამეურნეო დარგები და ამ დარგებთან დაკავშირებული ფოლკლორული შემოქმედება, კერძოდ, ნადური ანუ ყანური და მეთევზეობა ნაოსნობის ლექს-სიმღერები.

**პატრიოტული ლირიკა.** ისტორიული ლაზეთი, ძირითადად, თურქეთის რესპუბლიკაშია მოქცეული, დღეისთვის მისი მხოლოდ სოფელი სარფის ნახევარი „ეკუთვნის“ საქართველოს. მიუხედავად ამისა, ლაზთა სამშობლოსადმი სიყვარული არ ჩამქრალა, არ მინავლებულა.

ლაზთა პატრიოტული გრძნობების ადრესატი, მთელ სამშობლოსთან ერთად, ბედის უკუღმართობის გამო ორად გაყოფილი მშობლიური სოფელიცაა.

1986 წელს პროფ. გ. კარტოზიას მიერ ჩაწერილ ლექსში ლაზი მთქმელი სიყვარულით უმღერის თავის სოფელს და უხარია, როცა ლაზის კერაზე ყოველთვის ღვივის ცეცხლი:

| | |
|---|---|
| ჟინ-სქანი ცა მურუცხითენ ჭკადერი, | ვარსკვლავებით მოჭედილი შენიცა, |
| თუთას თეთენ მზოღა რენ ოქროშფერი, | მთვარის შუქით ზღვაც არის ოქროსფერი, |
| სქანი მსქვანა იძირენ დღა დო სერი, | დღე-ღამე ჩანს ეგ სილამაზე შენი, |
| ღორმოთიშ დღას სი გძირი ხელებერი! | ჩემო სოფელო, უფლის წყალობით გნახო ყოველთვის გახარებული |

... ...

| | |
|---|---|
| მომანძინენ მა დღალეფე ემ ორას, | როცა ცეცხლს ვხედავ ლაზის კერაზე, |
| ნუძიტაში ლაზი კოჩიში კირას. | მიხანგრძლივდება სიცოცხლის დღენი. |

(კარტოზია, 1993:25).

სარფის მკვიდრი ავტორ-მთქმელის – იაშა ბაქრაძისგან 2014 წელს ლილე თანდილავას მიერ ჩაწერილი პატრიოტულ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსში – „შეიგნი ია ნდღალეფეს“ („გავიგე იმ დღეებში“) გამოთქმულია ღრმა გულისტკივილი იმის გამო, რომ დიდი ხნის წინ ერთმანეთს დაშორდნენ ახლობლები; ზო-

გიერთი ვერც კი მოესწრო გაღმა-გამოღმა სარფის მცხოვრებთა შორის გაწყვეტილი ნათესაურ-მეზობლური ურთიერთობის აღდგენის თვალსაზრისით უდიდეს მოვლენას – სარფის კარის გახსნას.

დანატრებული თავისიანების ნახვით გამოწვეულ სიხარულთან ერთად, ავტორ-მთქმელი ყველას უზიარებს იმ დიდი აღფრთოვანებას, რაც სარფის კარის გახსნით მიიღეს სოფლის ორივე მხარის მცხოვრებმა თვისტომებმა; გაიგეს როგორ თანადგომით უცხოვრიათ და უშრომიათ დღემდე:

შეიგნით ია ნდღალეფეს,
მუჭო სქიდუტეს ლაზეფე,
ბაზიქ ოხოი კიდუ დო
ბაზიქთი ჭოფუ ჩხომეფე;
არ მეგნაფუთენ სქიდუტეს,
ბირდემ ხაჩქუფტეს ყონაფე,
იბირტეს მელე-მოლე დო
აშოთენ ოჩქვეს დღალეფე

გავიგეთ იმ დღეებში,
როგორ ცხოვრობდნენ ლაზები,
ზოგმა ააგო სახლები და
ზოგმაც დაიჭირა თევზები.
ერთი შეგნებით ცხოვრობდნენ,
ერთად თოხნიდნენ ყანებს
იმღერდნენ აქეთ-იქით და
ასე გალიეს დღეები.

ლექსის ბოლო წარმოადგენს მოწოდებას (უფრო, ალბათ, გაღმა სარფელთადმი), რომ გაზარდონ ლაზები და არა თურქები:

აწი ხოლოთი, ვიძირათ
ჯუმალეფექ დო დალეფექ,
მოთა ბერეფე, ორდაფინა
თურქი ვარ, ორდით ლაზეფე.
ეხლა კვლავ შევხვდით, გიპოვეთ,
ჩვენმა დებმა და ძმებმა,
შვილებს თუ გაზრდით, დაზარდეთ
ლაზებად, არა–თურქებად!

(სარფი, 2015:421).

გაუხუნარი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა და მსახურებისა ლაზმა ხალხმა ანდაზურ სიბრძნეშიც ჩააქსოვა, რითაც მშვენივრად გამოხატა ლაზი კაცისთვის ესოდენ ძვირფასი და ღირებული პატრიოტული იდეალები. სამშობლოს სიყვარულის თემაზე შექმნილი ანდაზები უხვად გვხვდება ლაზურში:

1. დობადონა გამამჩამუ კოჩის კაპულა ნუქთაგინონ – სამშობლოს გამყიდველ კაცს ზურგი უნდა აქციო; 2. გოლა მაღლა ჲენ, თუთათი მაღალარენ, ღორმოთითი მაღალა რენ, მარა დობადონა ირი ხოლო რენ – მთა მაღალია, მთვარეც მაღალია, ღმერთიც მაღალია, მაგრამ სამშობლო ყველაფერია; 3.დობადონა გონდინინა, თი გონდინერი გიღუნ – სამშობლო თუ დაკარგე, თავიც დაკარგული გაქვს; 4. მემლექეთის თისნა მოგატუ ქვათი, კურბეთის კაობათენ გუიშინენ – სამ-

შობლოში თავზე მოხვედრილი ქვაც, სამშობლოს გარეთ, საშოვარზე მყოფთათვის კეთილი მოგონებაა; 5. ვათანი მყოოფუ კოჩის ჯოხო ვა გონდუნუნ – პატრიოტი კაცის სახელი არ იკარგება (ნარაკიძე, 2010:25).

**გამოცანა.** საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სარფში ჩაწერილ ლაზურ გამოცანებში დომინირებს: ადამიანი 1. არ კაალუღის ჟურ წიწილა გოლაჯანს – (ოFიდეფე ) – ერთ მაღლობზე ორი გველი წევს (წარბები); 2. ჟურ ჯუმალეფე მანძაგეეფე რენან, არ დულდა იქიფან, ჰამა ართიქართი ვა იჩინოფან – (თოლეფე) – ორი ძმები მეზობლები არიან, ერთ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობენ – (თვალები); 3. ნეთი მშუნს დო ნეთ მიჩქინ – (დობადუ დო ღუა) არც კი მახსოვს და არც კი ვიცი – (დაბადება და სიკვდილი);

**ცხოველები და ფრინველები** 1. ჰაივანი რენ, ქრა ვა უღუნ, ფუთხუნ, ჰამა მსვა ვა უღუნ – (ცხენი) – ცხოველია, რქა არა აქვს, ფრინავს, მაგრამ ფრთა არა აქვს (ცხენი); 2. წკაის ინჩვირს ჩხომი ვა რენ, ჩაი ჯუფს, ჰამა ფუჯი ვა რენ (ბიბი) – წყალში ცურავს, თევზი არ არის, ბალახს ძოვს, მაგრამ ძროხა არ არის (იხვი); 3. არ შეი რენ, შური გდუდგინ, ნდღალეი ჯანს, სეი გულუნ (ბურბუ) – ერთი რამ არის სულიერი, დღისით ძინავს, ღამე დადის (ღამურა)...

**ცა, ციური სხეულები, დედამიწა, ბუნებრივი მოვლენები** 1. ართეის ვა დასეღენ, მჟვანის ვა ანჯირენ, მასუმანი წკაითენ ვა იძღენ – (დიხა, ცა დო მზოღა) – ერთი ვეღარ დგება, მეორე ვეღარ იძინებს, მესამე წყლით ვეღარ ძღება, აბა თუ იტყვი ესენი რაა? (დედამიწა, ცა და ზღვა); 2. მენდრაშენ ჩუმელან, მუსაFიი მოხთაშკულე უნტკობუნან (მჭიმა) – შორიდან სტუმარს ელიან, როცა მოვა ემალებიან (წვიმა); 3. ყონა მიღუნ ალთუნითენ ჭკადეი (ცა დო მუუცხეფე) ყანა მაქვს ოქროთი მოჭედილი (ცა და ვარსკვლავები).

**საოჯახო იარაღები, ნივთები, სამეურნეო ნაგებობები** 1. ნდღალეი ლალუფს, სეი ჯანს (არგუნი) – დღისით ყეფს და ღამით ძინავს (ცული)2. თიმოკანკულეიქ დაღიკელე იწკენ (ბურჭული) – თავმოკაკული ტყისკენ იცქირება (წალდი)3. სერდღალერი იჩალიშეფს, ნე დღალეი ჯანს, ნე სეი (საათი) – დღე და ღამე მუშაობს, არც დღისით ძინავს, არც ღამით (საათი)...

**სასწავლო ნივთები** (1. უნენელი ჲენ, ჰამა ღაღალაფს (ქეთაბი) – უენოა, მაგრამ მაინც ლაპარაკობს (წიგნი); 2. საღიქ ღუელი ოღაღალაფაფს (კალემი) – ცოცხალი მკვდარს ალაპარაკებს (ფანქარი); 3. ლალი ვოე დო ბაშქას ვოგუაფ (ქეთაბი) – მუნჯი ვარ და სხვას ვასწავლი (წიგნი)...

**საკვები.** 1. წკაის დობადეის, წკაიშენ აშქურინენ (ჯუმე) – წყალში დაბადებულს წყლისა ეშინია (მარილი); 2. დოლოხე თასი, გალე ანტრასი (მარქვალი) – შიგნით თესლი, გარეთ ატლასი (კვერცხი); 3. არ შეი რენ იჭკომენ, შეერიში ჯოხო უღუნ (ვაშინგტონი)–ერთი რამეა, იჭმევა, ქალაქის სახელი ქვია (ვაშინგტონი)...

**ანდაზა**. ძალზედ ოსტატურად ჩაუქსოვია ანდაზებში ლაზ ხალხს ის, რასაც კი განუცდევინებია მისთვის სიხარული ან მწუხარება, სასოწარკვეთილება ან აღმაფრენა, იმედი ან უიმედობა. სარფელებმა თავისი აზრი და ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება მოგვცა მნიშვნელოვან თემებზე, ესენია:

**სიბეჯითე და სიზარმაცე**. 1. თემბელი კოჩიშენი ბითუს მჭიფს დო ბითუმ მთუფს – ზარმაცი კაცისთვის ყოველთვის წვიმს და ყოველთვის თოვს; 2. ართი-ქართიშა ოწკომოლუთენ, ოხორი მტვეის ქომამქუ – ერთმანეთისა ცქერითა სახლი აივსო ტვერითა; 3. მადულიექ თურჯაის ქურქი ქამოწკუდა – მშრომელმა (საქმიან-მა) ვაჭარს ქურქი გახადაო; 4. ქესქინობა ალთუნიში მანჩხა რენ – სიბეჯითე ოქროს ღარია...

**გაუტანლობა და შური**1. ფახილის კონქშიში მაქვალი მჩხუ გიაყვენ–შურიან მეზობელს მეზობლის კვერცხი მსხვილი გონიაო; 2. დაა მან დო ოკულე სინ-ჯერ მე და მერე შენ. 3. მანძაგეის მანძაგეიში ქოთუმე დევე გიაყუ – მეზობელს მეზობ-ლის ქათამი აქლემად მოეჩვენა...

**ბოროტება და სიკეთე**1. ბაშქას კუი უნთხოუ დო მუქ ქოდოლოლუ –სხვას ორმო გაუთხარა და თვითონ ჩავარდა; 2. ეილუღი ვა გონდუნუნ–სიკეთე არ დაი-კარგება;3. ეილუღი ყვი დო ქვაშ თუდე ეწადვი – სიკეთე ქენი და ქვის ქვეშ შემო-დე)...

ერთგულების, პატიოსნების, მეგობრობის საწინდარია ერთობის ძალა: 1. არ კაზუღითე ღობეი ვა იხვენენ – ერთი ბოძით ღობე არ გაკეთდება; 2. კოჩი კოჩიქ ოქაჩეფს, ღობეი კაზუღიქ–კაცს კაცი აკავებს, ღობეს–ბოძი; 4. კოჩი კოჩიში ჭამი რენ–კაცი კაცის წამალია...

სარფში ჩაწერილი ანდაზების უმტესობა დიდაქტიკურ-მორალისტური ფუნქციის მატარებელია. 1. დუშმანი დოსტი ვა იყვენ–მტერი მოყვარე არ გახდება; 2. დუშმანი დულაათენიჯგინენ – მტერი საქმით დამარცხდება; 3. მცუდელა კო-ჩიში მთინითი ვა იჯენენ – მატყუარა კაცის სიმართლეც არ დაიჯერება; 4. კარკალაქ ბითუმ წკაი ვა ზდიფს – კოკა ყოველთვის წყალს არ მოზიდავს; 5. კოჩიშა კაი ვარ გახვენენნა პატითი ვა ოღოდა – კაცს კარგს თუ ვერ გაუკეთებ, ცუდიც არ გაუკე-თო; 6. კოჩობა ვარ იჭოფენ – კაცობა არ იყიდება; 7. მთელიშეი ვარ ითქვენ – ყველა-ფერი არ ითქმის...

ჩვენ მიერ ფიქსირებულ ანდაზებში მკვეთრადაა გამოხატული ოჯახური ურ-თიერთობისთვის დამახასიათებელი მხარეები. შვილი მშობლის მიმართ ყოველ-თვის ვალშია და ამაგს ოდნავაც ვერ უნაზღაურებს. 1. ნანა-ბაბა ბეეშენი, ბეე თი მუში შენი – დედ-მამა შვილისთვის, შვილი თავისთვისო; 2. ბოზო ნანა-ბაბაშენი, ბიჭი თიმუშიშენი– გოგო დედ-მამისთვის, ბიჭი თავისთვის; 3. ბერე–ნანა-ბაბაში

დერდი – შვილი დედ-მამის სადარდებელი; 4.ბერექ დერდი ოკორგირთაფს–შვილი დარდს გაგინახევრებსო; 4. ბერე, ჩქიმი გეჯელუღი რენ, მოთა, ჩქიმი Fორკა რენ-შვილი, ჩემი პერანგია,. შვილიშვილი კი – ჩემი კაბაა...

სოციალური შინაარსის შემცველ, სარფში ჩაწერილ ანდაზებში იგრძნობა დიფერენციაცია, რომელიც არსებობდა მდიდარსა და ღარიბს შორის. 1. ზენგინიში ქესე გუინწკეტაშა, Fუკარას შური ქ̇უხთეფსია – სანამ მდიდრის ქისა გაიხსნებოდეს, ღარიბს სული ამოხდებაო. 2. ძღელი კოჩის მშქიონეითი ძღელი უჩქიტუ – მაძღარ კაცს მშირი კაციც მაძღარი ეგონა; 3. არის გუის ნაქთუ მშქორონითენ, მაჟვანის ძღალათენ – ერთს უჭმელობით გული წაუვიდა, მეორეს – ძღომით...

სიტყვის ძალაზე და მნიშვნელობაზეა აგებული ზოგიერთი ანდაზა ლაზურში. 1. ნენას ნენა მოყუფს დო იყვენ კაბღა – სიტყვას სიტყვა მოყვება და ხდება ჩხუბი. 2. ნენა მონკათი რენ დო ჩორჩითი – სიტყვა მძიმეცაა და მჩატეც; 3. ნენას მთელი შეი ვა ოთქვათაგინონ – ენას ყველაფერი არ უნდა ათქმევინო; 4. მთინი ნენა კოლო ჲენ – მართალი სიტყვა მწარეა. 5. ნენაქ მუ ვა ზოპონს – ენა რას არ იტყვის. 6. ნენაში ნოთქვამე ვა იმფულენ – ენის ნათქვამი არ დაიმალება; 7. ნენას ყვილი ვა უღუნ – ენას ძვალი არა აქვს. 8. თი ჩქიმიში სელამეთი ნენა – ჩქიმის უჯის ჲენჲა – ჩემი თავის სიმშვიდე ჩემი ენის წვერში არისო. 9. კაი კოჩიში ნენა გ̇არითი რენ დო წკარითია – კარგი კაცის სიტყვა საჭიმელიც არის და სასმელიც. 10. ნენა გუიში ნეკნა რენ – ენა-სიტყვა გულის კარია.

**ზღაპარი.** ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი მდიდარი და მრავალფეროვანია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურ ხალხურ ზღაპრებზე დაკვირვება და მათი შესწავლა საბჭოურ ეპოქაში, ძირითადად, ერთი სოფლის – სარფის ნიმუშებით (ისიც ნახევარი სოფლის) იყო შესაძლებელი.

სარფულ ხალხურ საზღაპრო ეპოსში მდიდრულადაა შემორჩენილი ზღაპრის ყველა სახეობა – ჯადოსნური ზღაპრები, საყოფიერო-ნოველისტური ზღაპარი, ცხოველთა ეპოსი. მათზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სოფელ სარფის მკვიდრთა საზღაპრო რეპერტუარში თავჩენილი წეს-ჩვეულებები, იდეალები, მათი გადმოცემა–გამოხატვის თავისებურებანი არა მარტო ამ სოფლის, ანდა კონკრეტულად ლაზეთის, დამახასიათებელია, არამედ ზოგადქართულია, საერთოქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნების ნაწილია, მას პარალელები ეძებნება საქართველოს ყველა კუთხეში.

ლაზურ საზღაპრო ეპოსშიც სიკეთე–ბოროტების პრობლემას უკავშირდება და სიკეთე იმარჯვებს.

ჯადოსნურ საზღაპრო ეპოსში შემორჩენილია ბედისწერისა და წინასწარმეტყველური სიზმრის რწმენა.

ლაზური ჯადოსნური ზღაპარი „კისმეტი“, რომელიც 1982 წელს ჩავიწერეთ სარფში აიშე მუხამედის ასული მემიშიშისგან, მოგვითხრობს: ხელმწიფის ახალშობილ გოგონას მათხოვარმა უწინასწარმეტყველა, ასაკიან კაცს მისთხოვდებაო. ხელმწიფის ცოლსაც გამუდმებით ესიზმრებოდა, რომ მისი ქალიშვილის ბედი მათი ასაკოვანი არაბი მსახურია და დარდისგან ლოგინად ჩავარდა. ერთმა ექიმმა წამალი მიასწავლა „მზის თვალი რომ ჩადის, იქ არის წამალიო. წამლის მოსატანად არაბი მოსამსახურე წავიდა; გზად შემხვედრმა მოხუცმა არაბი უკან დააბრუნა, თან უთხრა, „დაწერილი“ არ დაიშლებაო.

არაბმა წყაროსთან დაისვენა, ხელ-პირი დაიბანა და მთლიანად გათეთრდა. ხელმწიფესთან მისული არაბი ვერ იცნეს; მოხუცი მგზავრის დანაბარები რომ უთხრას, ასული მიათხოვეს.

სოფელ სარფში 1982 წელს ჩაწერილი ზღაპარი „იგბალი“ („იღბალი“) „ბედის-მწერლების“ ანუ ზოგადქართულ ფოლკლორში ცნობილ „წერამწერლებს“ წარმოგვიჩენს. ლაზთა რწმენა-წარმოდგენის თანახმად, ისინი ზღვის ფსკერზე მდებარე სახლში ბინადრობენ და ჩაქუჩის დარტყმით ახალდაბადებულთა ბედს ჭედავენ.

ორივე ზღაპრიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ბედისწერით დასაზღვრული აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ადამიანს არ ძალუძს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ლაზური ჯადოსნური ზღაპრები „ნანაშანტეში და ბოზო“ („დედინაცვალი და გოგო“), „ფადიმე კადუნი“ „ეთერიანის“ ვარიანტია.

ლაზური ჯადოსნური ზღაპარი „საკვირველება“ (ლაზ. ზღ., 1970:92-96) მოგვითხრობს მოღალატე ცოლის მიერ გაწბილებული კაცის ამბავს, რომელმაც შური იძია, ცოლი ძროხად, ხოლო მისი საყვარელი ხარად აქცია და მიწას ახვნევინებდა.

**საყოფიერო ნოველისტური ზღაპარი.** ლაზურ ხალხურ საყოფაცხოვრებო ნოველისტურ ზღაპრებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხალხური ეპოქის ეს უბანიც, ზეპირსიტყვიერ სხვა ჟანრებთან ერთად საერთო ქართველური ძირებით საზრდოობს.

ლაზური ნოველისტური ზღაპარი „ეშმაკი და ლაზი“ (ლაზ. ზღ., 1970:177) მოგვითხრობს ჭკვიანსა და მოხერხებულ ლაზზე, რომელმაც ორჯერ მოატყუა ეშმაკი და ათქმევინა: „მე ეშმაკი ვარ, მაგრამ ლაზი ჩემზე მოხერხებული ყოფილაო“.

ხალხური ნოველა „ოხორჯა დო ქიმოლი“, რომელიც ჩაწერილია სარფში, საოჯახო-საყოფიერო თემას ეხება და ცოლსა და ქმარს შორის საქმიანობის განაწილებას გვაცნობს; ამასთანავე ქადაგებს, რომ ოჯახში ჰარმონია უნდა სუფევდეს, ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს, კაცმა-კაცისა.

ძმობისა და მეგობრობის უძლიერესსა და უკეთილშობილეს იდეებს ლაზურმა საზღაპრო ეპოსმაც შეასხა ხოტბა-დიდება. სარფში მოპოვებული ნოველისტური ზღაპრები „ჟურ ჯუმა“ („ორი ძმა“) და „ჯუმა ჯუმაშენი“ („ძმა ძმისთვისაო“) დასტურია ამ ზოგადკაცობრიული, ჰუმანური გრძნობისა, რომელიც ყოველგვარი სათნოების სათავეა.

ზღაპარი „ძმა ძმისთვისო“, მოგვითხრობს ძმათა სიყვარულზე და ამავე დროს, ხსნის სათაურად გამოტანილი ხალხური ანდაზის სენტენციასაც: მას შემდეგ, რაც დედ-მამისგან დანატოვარი მთელი ქონება ამხანაგებს შეაჭამა, გადაწყვიტა მათი გამოცდა; ტანსაცმელი შემოიხია, თავ-პირი დაისისხლიანა და ამხანაგებს მიადგა:

„რა იქნება, კაცი შემომაკვდა და დამეხმარეთო“!

ყველამ საქმე მოიმიზეზა და არც ერთი ამხანაგი არ დაეხმარა.

ახლა უფროს ძმას მიადგა. გასისხლიანებული ძმა რომ დაინახა და ვითარება გაიგო, უთხრა:

– თოხსა და ბარს ავიღებ და წამოვალ; სანამ ვინმე გაიგებს, დავასაფლავოთო!

ზღაპრის დასასრულს მთქმელი ამბობს: – ხომ ხედავ, შვილო ჩემო, არასდროს ძმა ძმას არ დაკარგავს, „ძმა ძმისთვისაო–შავი დღისთვისაო“, იმიტომ ამბობენ.

ზღაპარი „არ ეშქიაში ამბაი“ ერთი ყაჩაღის ამბავი“), სიკეთე–ბოროტების ოდინდელ პრობლემას ეძღვნება. ერთ ყაჩაღს ოთხმოცდაცხრამეტი კაცი ჰყავდა მოკლული. ერთ საღამოს ღმერთს შეეხვეწა: – რა იქნება, დამასიზმრე, ეს ცოდვები როგორ მოვიხსნა! – მართლაც დაესიზმრა მოხუცი, რომელმაც უთხრა:

– ამა და ამ ადგილას დუქანი ააშენე, ტყე გაკაფე და ერთი ატმის ჩხირი ჩაარჭე მიწაში, ჩარგე. გამვლელ-გამომვლელს აჭამე. ის ტოტი რომ გაიზრდება და აყვავილდება, ცოდვაც მოხსნილი გექნებაო.

კაცი ასეც მოიქცა, მაგრამ ატმის ხე მაინც არ აყვავდა. ერთ დღეს მხედარი გამოჩნდა; ყაჩაღმა მიიპატიჟა სადილად. მაგრამ უარი მიიღო. ყაჩაღი გაბრაზდა და კაცი მოკლა. ცოდვების მონანიების მსურველი ყაჩაღი საგონებელში ჩავარდა: „მეასე კაცი მოვკალი, ერთი ცოდვაც მომემატაო!“.. ძლივს ჩაეძინა და სიზმარში კვლავ ის მოხუცი ნახა; მოხუცმა დაამშვიდა: „შენ კარგი საქმე გააკეთე, რომ მოკალი, იმ კაცს, შეყვარებული გოგო-ბიჭი უნდა დაეცილებინა, იმათი ქორწილის ჩაშლა უნდოდა, ცუდი კაცი მოკალი და ყველა ცოდვა მოიხსენიო“.

ფანჯრიდან გაიხედა ყაჩაღმა და დაინახა, რომ ატმის ხე აყვავილებულიყო. ძალიან გაუხარდა და ამის შემდეგ სულ სამადლო საქმეებს აკეთებდა.

**ზღაპრები ცხოველებზე.** ლაზური ცხოველთა ეპოსისთვის დამახასიათებელია ცხოველთა სამყაროში გადატანილი ამბები და თავგადასავლები, რაც იძლევა საშუალებას, ცხოველთა ურთიერთობებში წარმოჩენილი ნაკლი თუ ღირ-

სება ბავშვებისთვის იოლად აღსაქმელი და გასააზრებელი გახადოს, რის გამოც ამ არქაულ ნიმუშებს უაღრესად დიდი პედაგოგიურ აღმზრდელობითი ფუნქცია ენიჭება.

ზურაბ თანდილავას მიერ ჩაწერილი სარფული ზღაპარი „დათვი და შველი“ ზოგადქართული „საზღაპრო ეპოსში გავრცელებული ზღაპრის–„თხა და მგელი“ – საინტერესო ვარიანტია. ოღონდაც აქ დათვი ემტერება „შვლის ნუკრებს“. დედა აფრთხილებს შვილებს, კარი არავის გაუღონ“, ვიდრე მის ხმას არ გაიგონებენ. დათვი შეძლებს, შეაცდინოს ნუკრები, მაგრამ დედაშველი, თავისი მოხერხებულობის წყალობით ახერხებს დათვის დამარცხებას, რაც ბოროტების დამარცხებისა და სიკეთის გამარჯვების მაგალითია.

სოფელ სარფში ჩაწერილი ზღაპარი „ტურა და დათვი“ მოგვითხრობს ტურას გაიძვერობაზე, რომელმაც დათვი გააბრიყვა და სამი კასრი თაფლი ისე გამოჭამა, დათვი ვერაფერს მიხვდა.

ლაზური ხალხური ზღაპარი „ბუ და კაცი“, რომელიც ზ. თანდილავამ ჩაიწერა სოფელ სარფში, მოგვითხრობს, თუ როგორ გააბრიყვა გალიაში დატყვევებულმა ბუმ კაცი და როგორ მოიპოვა თავისუფლება.

ლაზურ ზღაპრებში წარმოჩენილია მისი შემოქმედი ხალხის სიბრძნე და ოპტიმიზმი, გაიდეალებულია ადამიანთა მაღალზნეობრივი თვისებები და დაგმობილია მანკიერება.

ხუთი საუკუნეა, რაც ლაზეთი უცხო ტომთა გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ, ლაზური მეტყველების მსგავსად, დაიცვა თვითმყოფადობა და დღემდე თითქმის წმინდად შემოინახა ლაზური ხალხური მრავალსაუკუნოვანი ნააზრევი და მისი ტრადიციები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **ბსკიფა** – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი №215.
2. **ვანილიში, თანდილავა** – მუხამედ ვანილიში; ალი თანდილავა. ლაზეთი, თბილისი, 1964.
3. **თანდილავა** – ზურაბ თანდილავა. ლაზური ზღაპრები, თბილისი, 1970.
4. **თანდილავა** – ზურაბ თანდილავა. ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი, 1972.
5. **კარტოზია** – გურამ კარტოზია. ლაზური ტექსტები, I-II ტ. თბილისი, 1973-1993.
6. **მემიშიში** – ომარ მემიშიში. ლაზური ანდაზები და იდიომები. ბათუმი, 2015.
7. **ნარაკიძე** – ციალა ნარაკიძე. ანდაზები ლაზურ ფოლკლორში. ბსუ შრომები ტ. IX, ბათუმი, 2010.
8. **ნარაკიძე** – ციალა ნარაკიძე. ლაზური ტექსტები. ბათუმი, 2015.
9. **სარფი** – მონოგრაფია „სარფი“. ბათუმი, 2015.
10. **ჯღარკავა** – მზია ჯღარკავა. ლაზური სიჯალიკობა და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები IV. ბათუმი 2005.

**ნუგზარ ჩხაიძე**
*ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,*
**Nugzar Chkhaidze**
*PhD in Philosophy, Senior Researcher,*
*Department of Ethnology and Sociological Research,*
*Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota*
*Rustaveli State University*

# ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი)

# ASSESSMENT OF THE EDUCATIONAL PROCESS BY BATUMI PUBLIC SCHOOLS TEACHER'S SOCIOLOGICAL ANALYSIS

**აბსტრაქტი - საქართველოში სასკოლო განათლების დღევანდელი მდგომარეობა ნაკლებმიმზიდველია, რადგან ამ სფეროში ბევრი პრობლემაა, რის გამოსავლენადაც ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებიცაა გაანალიზებული სტატიაში.** კვლევა მიზნად ისახავდა სასკოლო განათლების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სკოლების მოსწავლეთა შეხედულებების გამოვლენას და სოციოლოგიურ ანალიზს. სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სტატიაში მოცემულია დასკვნები უფროსკლასელ მოსწავლეთა თვალსაზრისის შესახებ შემდეგ საკითხებზე: ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებელთა კომპეტენციის დონე, პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, სახელმძღვანელოების ვარგისიანობა, სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხი, სკოლაში პროფილური სწავლების საჭიროება, სასკოლო გარემო და სკოლების ტექნიკური აღჭურვილობა, მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მანდატურების როლი, მშობლებისა და სკოლის ურთიერთობის საკითხები, მოსწავლეთა აღმსარებლობა და პოლიტიკური აქტივობა და სხვ. გამოკითხვამ

გამოავლინა ის პრობლემები, რაც ბათუმელი მოსწავლეების აზრით, დამახასიათებელია საგანმანათლებლო პროცესისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სოციოლოგიური გამოკითხვა, მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლის პრობლემები

**Abstract** - Current condition of school education in Georgia is rather unenviable. There are lots of problem in this sphere. This research deserves due consideration, as first of all, sociological inquiry of Batumi public schools teachers revealed the regional specificity of the teachers activity and their assessment of the teaching process, which would be very helpful for reformation of the educational system of Georgia.

Diversified specter of these problems related to teaching is enough thoroughly researched by the author. In the mentioned sociological research special attention was paid to the matter of teachers' gradation. Namely, it was found that in the city public schools there are few teachers having the teacher's higher statuses, i. e. Senior and Mentor. They are mainly staffed with the low status teachers-practitioners. As the author considers, such situation may prevent rise of the standard of school teaching.

**Key words:** Sociological survey, student, teacher, school problems

ნებისმიერი სახელმწიფოს სიძლიერე და პროგრესი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი მოქალაქეების განათლების დონით, რომლის საფუძველი. თავის მხრივ, არის სკოლა და სწავლების ხარისხი. ამ მხრივ ქვეყანაში არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში განათლების 15 მინისტრი გამოიცვალა (ე. ი. დაახლოებით ყოველ ორ წელიწადში ახალი მინისტრი ინიშნებოდა), რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ სფეროში ვითარება არადამაკმაყოფილებელია. ყოველი მათგანი მყისიერად, მოკლე ვადებში, გარკვეული სახის „ინოვაციური" საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელებას ცდილობდა, მაგრამ რაიმე ხელშესახები, წარმატებული შედეგი, საზოგადოებას ამ „ნაუცბათევი" რეფორმიდან არ მიუღია. როგორც წესი, ყოველი ახალი მინისტრი ძირეულად ცვლიდა მისი წინამორბედის მიერ დაწყებულ საქმეს და უფრო „პერსპექტიული" საგანმანათლებლო სიახლეების დანერგვას ცდილობდა. მათი აზრით, ეს „რეფორმები" მაღალი „ევროპული" დონის საგანმანათლებლო „აქსიომები" იყო, რომელთა დანერგვას სკოლებში სწრაფად უნდა აემაღლებინა სწავლების ხარისხი. რეალობაში ეს მისწრაფება ვერ განხორციელდა, რადგან მისი ძირითადი პოსტულატები ბრმად იყო გადმოღებული სხვადასხვა უცხოური „წყაროდან". მათ

ჰქონდათ ეკლექტური, არასისტემური სახე და არ ესადაგებოდა საქართველოში სასკოლო განათლების და პედაგოგთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების მოთხოვნებს, სპეციფიკას და შესაძლებლობებს.

ის, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ყველა განსახორციელებელი სასკოლო რეფორმა ფაქტობრივად „ჩავარდა“, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობა იმანაც, რომ მათ განსახორციელებლად დრო საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო რეფორმების შედეგების თვალსაჩინოდ დანახვისთვის, მინიმუმ 10-12 წელია საჭირო. ჩვენთან კი, მინისტრების ხშირი ცვლის გამო, მათ მიერ წამოწყებულ მორიგ, ახალი სახის „რეფორმებს“, განხორციელების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდათ.

ცხოვრებამ აჩვენა, რომ ყველა იმ საგანმანათლებლო „რეფორმის“ კრახი, რომლებიც უთავბოლოდ მიმდინარეობდა საქართველოში, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმის შედეგიცაა, რომ ასეთი „რეფორმები“ ხორციელდებოდა „ზემოდან“, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასთან არაადაპტირებული, ხშირად ბუნდოვანი შინაარსის „ინსტრუქციებით“ და არ ითვალისწინებდა ქართველ პედაგოგთა მრავალათასიანი საზოგადოების და განათლების სფეროში მომუშავე, ჩვენი თანამემამულე ექსპერტების აზრს.

იმ ხარვეზების უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენისათვის, რაც დღეს დამახასიათებელია ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ პედაგოგთა ისეთი სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, რომელიც ცხადად გვიჩვენებდა იმ სირთულეებს, რაც თან ახლავს სასწავლო პროცესის წარმართვას საჯარო სკოლებში. აღნიშნული კვლევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენ ვხედავთ იმაში, რომ ის ჩატარდა რეგიონულ ჭრილში, ქ. ბათუმის საჯარო სკოლებში (კვლევა აწარმოა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებამ).

დღეისთვის, საქართველოში, პედაგოგთა სოციოლოგიური გამოკითხვები, ძირითადად, წარმოებს ქ. თბილისში. ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ შემუშავდეს სრულფასოვანი სახელმწიფო სასკოლო-საგანმანათლებლო პოლიტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან ეს კვლევები არ წარმოაჩენს სრულად იმ პრობლემების მთელ სპექტრს, რომელთაც აწყდებიან მასწავლებლები რეგიონებში (ჩვენს შემთხვევაში ქ. ბათუმის სკოლებში). გამომდინარე აქედან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებამ, შეიძლება, გარკვეული როლი ითამაშოს საქართველოში განათლების სისტემის წარმატებულ რეფორმირებაში, რადგან სასკოლო სწავლების რეგიონული თავისებურებების გამოვლენა, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების ანალიზი,

იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გატარდეს სრულყოფილი, მაღალი სტანდარტის, საბოლოო შედეგზე გათვლილი, ეფექტიანი სასკოლო-საგანმანათლებლო პოლიტიკა.

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე (ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი) კვლევის ობიექტს, ანუ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქალაქის ცალკეული ქართული სკოლების (№ 1, 2, 4, 6, 13, 16, 17, 22) VII-XII კლასების მასწავლებლები. კვლევის საგანს კი წარმოადგენდა პედაგოგთა დამოკიდებულება სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესისადმი, მისი ცალკეული პრობლემური საკითხებისადმი.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის პრინციპით. რესპონდენტთა შერჩევა და ანკეტირება განხორციელდა სოციოლოგიური კვლევის სტანდარტების სრული დაცვით. გამომდინარე აქედან, სოციოლოგიური კვლევის შედეგები ვალიდურად შეიძლება იქნას მიჩნეული. სულ გამოკითხულ იქნა 300 პედაგოგი, რომლებმაც სოციოლოგიური გამოკითხვის ანონიმურობის დაცვის გარანტიების გათვალისწინებით თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე და საკმაოდ გულწრფელად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. სოციოლოგიური ანკეტის შინაარსის გაცნობის შემდეგ, მისი შევსება წარმოებდა ინდივიდუალურად, სხვისი გავლენისგან დაცულ გარემოში, რაც დადებითად აისახა გაცემული პასუხების სანდოობაზე (ჩვენ შეგნებულად ვთქვით უარი რესპონდენტთა ჯგუფურ გამოკითხვებზე აუდიტორიებში, რადგან არ იყო გამორიცხული, ანკეტირების პროცესში, მათზე გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა სკოლის ადმინისტრაციას).

სოციოლოგიური გამოკითხვის სრულფასოვნად ჩატარების მიზნით, ძირითადი კვლევის ჩატარებამდე ვაწარმოეთ საპილოტე კვლევა, რომელმაც საშუალება მოგვცა, დაგვეხვეწა ანკეტის შინაარსი და დაგვეტოვებინა მასში მხოლოდ ის შეკითხვები, რომლებიც აქტუალური იყო რესპონდენტებისთვის.

რაც შეეხება ჩატარებული კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, ისინი ქალაქის სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ვითარებაზე საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ინფორმაციას იძლევა.

ემპირიულ გამოკითხვაში მონაწილეთა სქესობრივი სტრუქტურა შემდეგნაირია: მათი 82% ქალია, ხოლო 18% – მამაკაცი (თითქმის იგივე პროპორციაა ქვეყნის მასშტაბითაც); რაც შეეხება მასწავლებელთა პედაგოგიურ სტაჟს, ის ასეთია: რესპონდენტთა 7,0% 5 წლამდე პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი აქვს, 7,1% – 6-10 წლამდე, 22, 3% – 11-20 წლამდე, 29,4% – 21-30 წლამდე, 22,4% – 31-40 წლამდე, ხოლო 11,8% 41 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საჯარო სკოლებში. როგორც ვხედავთ, გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესობას (74,1%) სკოლებში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ,

რამაც, თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა მათ მიერ გაცემული პასუხების ხარისხზე (ზერელედ გაცემული პასუხები იშვიათად გვხვდებოდა).

რაც შეეხება სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა პედაგოგიურ სტატუსს, ის ასეთია: მათი 47,9% პრაქტიკოსი მასწავლებელია, 51,1% – უფროსი მასწავლებელი, 1,0% კი წამყვანი მასწავლებელი. მენტორი მასწავლებლები გამოკითხვაში არ მონაწილეობდნენ.

დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა კვალიფიკაციისანი არიან მასწავლებლები. შეკითხვაზე – „შეესაბამება თუ არა თქვენი პედაგოგიური სტატუსი თქვენს კვალიფიკაციას?“ – რესპონდენტთა თვითშეფასება შემდეგნაირია – გამოკითხულთა 60,3%-ს მიაჩნია, რომ მინიჭებული პედაგოგიური სტატუსი შეესაბამება მათ კვალიფიკაციას. კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა 30,6% აზრით, მათი ცოდნის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სტატუსი, ხოლო რესპონდენტთა 9,1% ამ კითხვაზე არ აქვს რაიმე პასუხი. გაცემული პასუხებიდან ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მასწავლებელთა თითქმის ერთი მესამედი უკმაყოფილოა თავისი სტატუსით და ფიქრობს, რომ მათი ცოდნა და პედაგოგიური საქმიანობა, არასათანადოდ არის დაფასებული.

წინამდებარე შეკითხვას, გარკვეული სახით ავსებს პასუხები იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა პედაგოგების დაყოფა სხვადასხვა კატეგორიად. რესპონდენტთა პასუხები თითქმის თანაბრად გაიყო – მათი 49,5% ფიქრობს, რომ საჯარო სკოლებში პედაგოგების სტატუსების მიხედვით დაყოფა არ უნდა ხდებოდეს, ყველას უნდა ჰქონდეს ერთი სტატუსი – მასწავლებელი. გამოკითხულთა 50,5% აზრით კი, მასწავლებელთა სტატუსების მიხედვით დიფერენცირება აუცილებელია.

მხოლოდ მშრალი სტატისტიკით რომ არ შემოვიფარგლოთ, ქვემოთ მოვიტანთ გამოკითხულ მასწავლებელთა ზოგიერთ მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ისინი, ვინც მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფას ეწინააღმდეგებიან, ამ თვალსაზრისს შემდეგნაირად გამოხატავენ (პასუხებს გთავაზობთ ყოველგვარი კორექტირების გარეშე): „მასწავლებლის სტატუსს განაპირობებს მისი ყოველდღიური პედაგოგიური საქმიანობა სკოლაში და არა რაღაც მოგონილი კატეგორიები“; „მასწავლებლები დიფერენცირებულები უნდა იყვნენ, მაგრამ არა სტატუსების მიხედვით, არამედ მათი შრომის, კომპეტენტურობის და პასუხისმგებლობის მიხედვით. მიზანშეწონილია, ეს გააკეთოს სკოლამ, რადგან პედაგოგები, ძირითადად, საქმიანობენ სკოლაში და ამიტომ იქ თვალნათლივ ჩანს, თუ ვინ, როგორ უძღვება დაკისრებულ მოვალეობას“; „მასწავლებელთა სტატუსების მიხედვით დაყოფა სავალალო მდგომარეობაში აყენებს მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებლებს – მათ დირექციის მხრიდან გადამეტებული მოთხოვნები და ვალდებულებები ეკისრებათ“; „მასწავლებელთა დიფერენცირებას სტატუსების მიხედვით არ მივესალმები. მათი გამორჩევა სხვანაირადაც შეიძლება –

მაგ. რეალობაში არსებობენ წარმატებული და დაბალი დონის, ახალბედა და გამოცდილი, უხეში და მოწესრიგებული პედაგოგები, ამიტომ პედაგოგის საქმიანობის შეფასებისას სწორედ ამგვარ ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება და არა რაღაც გაურკვეველი სახის სტატუსებზე“; „პედაგოგებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება უნდა ხდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს მას მომზადებული თავის საგანში წლების მიხედვით“; „მასწავლებელთა სტატუსებად დაყოფა გარკვეულ პრობლემებს ქმნის – მაგ. მშობელს უნდა, რომ შვილს მისცეს მაღალი ხარისხის განათლება და ამიტომ აქვს უფლება უარი თქვას პრაქტიკოს მასწავლებელზე (რომლებიც სკოლებში უმრავლესობას წარმოადგენენ) და მოსთხოვოს სკოლის ადმინისტრაციას, რომ მის შვილს პედაგოგად მაღალი სტატუსის მატარებელი მენტორი ან უფროსი მასწავლებელი ჰყავდეს. სკოლების უმეტესობას ასეთი შესაძლებლობები არ აქვს, რამაც შეიძლება პრობლემები შექმნას სკოლისა და მშობლის ურთიერთობებში; მასწავლებლების სტატუსებად დაყოფა წარმოადგენს მათ ხელოვნურ დიფერენცირებას, რაც არ არის სწორი, რადგან დიპლომი ხომ ყველას ერთნაირი აქვს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს წარჩინებული სტუდენტი იყავი, თუ ჩამორჩენილი. აქედან გამომდინარე, დიპლომის, როგორც უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის, მნიშვნელობა კნინდება, რადგან, მაგ. „წითელი“ დიპლომის მქონე უმაღლესდამთავრებულს არავითარი უპირატესობა არ ენიჭება სკოლაში სამუშაოს დაწყების შემთხვევაში. ასეთმა ვითარებამ შეიძლება, მოტივაცია დაუკარგოს უმაღლეს სასწავლებელში მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე ორიენტირებულ სტუდენტებს. რაც შეეხება მასწავლებელთა ხელფასებს, ის უნდა იზრდებოდეს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით და, აგრეთვე, განსაკუთრებული წარმატების მიღწევის შემთხვევაში (მაგ. მაშინ, თუ რომელიმე პედაგოგის მოსწავლეები ხშირად იმარჯვებენ სხვადასხვა სახის კონკურსებში ან ოლიმპიადებში)“; „მასწავლებელთა კატეგორიებად (სტატუსების მიხედვით) დაყოფა ძალიან ხელოვნური სქემაა, რომელიც არ ასახავს პედაგოგთა ცოდნის რეალურ დონეს. მაგ. არის შემთხვევები, როდესაც ის პირები რომლებსაც უმაღლესში სწავლის დროს თითქმის ერთნაირი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ, სკოლაში მუშაობის დაწყების შემდეგ, მიუხედავად მათი ცოდნის თითქმის თანაბარი დონისა, სხვადასხვა კატეგორიაში აღმოჩნდნენ, რადგან ერთმა გაიარა სერტიფიცირება, მეორემ – ვერა. ჩემი აზრით, პედაგოგისთვის მთავარია, ჰქონდეს დიპლომი და მუშაობდეს სპეციალობის მიხედვით“; „მასწავლებელთა სტატუსურ კატეგორიებად დაყოფას არ ვემხრობი. არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ტარდებოდეს ტრენინგები და სხვადასხვა სახის გადამზადებები, მაგრამ არ უნდა იყოს გამოცდები და კრედიტქულები. ჩვენი განათლების სისტემა ჯერ კიდევ დაულაგებელია, დავიღალეთ ექსპერიმენტებით. უპრიანი იქნება, ჯერ ჩამოყალიბდეს თავად

განათლების სამინისტრო და მერე შემოიტანოს სიახლეები. ბოლოს და ბოლოს ადამიანურ, ნორმალურ ენაზე გაგვაგებინოს, თუ რა უნდა ჩვენგან, რას გვთხოვს“; „მასწავლებელთა კატეგორიებად (სტატუსების მიხედვით) დაყოფას უარყოფითად ვუყურებ, რადგან ასეთი დაყოფისას მხოლოდ ტრენინგებს, კრედიტქულებს და გამოცდების შედეგებს, ასევე, სხვა არასერიოზულ აქტივობებს აქცევენ ყურადღებას და არ ითვალისწინებენ მასწავლებლის პედაგოგიურ გამოცდილებას“.

ის პედაგოგები კი, რომლებიც ემხრობიან მასწავლებელთა სტატუსებად (კატეგორიებად) დაყოფას, თავიანთ შეხედულებებს ასეთი სახით გამოხატავენ: „ვემხრობი პედაგოგთა სტატუსურ დიფერენცირებას, რადგან ასეთი დაყოფა ჩვენი პროფესიული ზრდის სტიმულატორია. ასევე, მისი საშუალებით, შესაძლებელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება“; „მასწავლებლების სტატუსებად დაყოფა აუცილებელია, რადგან ეს პედაგოგს არ აძლევს მოდუნების საშუალებას“. „მაღალი სტატუსისთვის პრაქტიკულ ბრძოლაში ხდება ნამდვილი მასწავლებლის ფორმირება“; „ვემხრობი მასწავლებელთა დიფერენცირებას სტატუსების მიხედვით, რადგან ასეთ ვითარებაში, პედაგოგი გამუდმებით სიახლეების ძიებაშია და ცდილობს, უფრო მეტად აიმაღლოს კვალიფიკაცია“;

მოცემულ შეკითხვაზე რესპონდენტებმა გასცეს ისეთი პასუხებიც, რომლებიც არ იძლევიან მათი ცალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას. ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს: „ვფიქრობ, მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფა ცუდი არ არის, მაგრამ ამდენ საფეხურად არა – სტატუსებს შორის მკვეთრი ზღვრის დადგენა ძნელია“; „პედაგოგების სტატუსების მიხედვით დაყოფას არ ვემხრობი, მაგრამ რადგან სტატუსის ამაღლებას მოჰყვება ანაზღაურების ზრდა, ის ამ მოტივაციით კარგია“; „სტატუსის ზრდას რომ არ ახლდეს ხელფასის მომატება, არც ერთი პედაგოგი არ ეცდება კვალიფიკაციის ამაღლებას და მაღალი სტატუსის მოპოვებას“; „ვემხრობი მასწავლებელთა სტატუსებად დაყოფას, რადგან წარმატებული და ნაკლებკვალიფიციური მასწავლებლები ერთ ქვაბში „არ მოხარშონ“. სამწუხაროდ, სკოლები ვერ ან არ უქმნიან ნიჭიერ, უნარიან მასწავლებლებს პირობებს პროფესიული ზრდისთვის. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის ადმინისტრაცია იმის ნაცვლად, რომ ერთნაირად დაეხმაროს ყველა პედაგოგს მაღალი სტატუსის მოპოვებაში, იქცევა პირიქით – არათანაბარ პირობებში აყენებს მათ – ზოგიერთებს ლობირებს და ყველანაირად ხელს უწყობს სტატუსის ამაღლებაში, ზოგიერთებს კი ხელს უშლის და მრავალ ბარიერს უქმნის“; „პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ორი სტატუსი – პრაქტიკოსი და უფროსი. სხვა სტატუსები ზედმეტია“;

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ბოლო პერიოდში მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები, რომლებიც გამოიხატა მაგალითად იმაში, რომ საჯარო სკოლების XI და XII კლასებში გაუქმდა გამოსაშვები, ე.წ. „კატის“ გამოცდები.

ამავე დროს საკმაოდ იცვლება მასწავლებელთა სერტიფიცირების სტრუქტურაც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, პედაგოგებმა საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები, სადაც მრავალი საინტერესო აზრია გამოთქმული.

„კატის“ და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების ირგვლივ რესპონდენტთა თვალსაზრისების გაცნობამდე ვნახოთ, თუ როგორ დაჯგუფდა მათი პასუხები ამ თემატიკის ირგვლივ. კითხვაზე – „ზოგადად, როგორ ფიქრობთ, აუცილებელია თუ არა მასწავლებელთა ტესტირება?“ – გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირია: მათი 50,2% ტესტირების მიზანშეწონილობას უარყოფითად აფასებს. პედაგოგთა აზრით, ის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მათ კვალიფიკაციაზე; რესპონდენტთა 39,2%-ის აზრით, ტესტირებებმა (სასერტიფიკაციო გამოცდებმა) ხელი შეუწყვეს მათი პროფესიული დონის ამაღლებას; ხოლო გამოკითხულთა 10,6%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

კითხვაზე – „თუ როგორი გავლენა იქონია ტრენინგებმა მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე?“ – რესპონდენტთა პასუხები ასეთი სახისაა: გამოკითხულთა 14,4%-ის შეხედულებით ტრენინგები დროის ფუჭი კარგვაა. მათი აზრით, ტრენინგებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს პედაგოგთა ცოდნის დონეზე; 67,0% ფიქრობს, რომ ტრენინგებმა, გარკვეულწილად, აამაღლეს მათი კომპეტენციის დონე; 13,5%-ის შეხედულებით, ტრენინგების შემდეგ მათი პედაგოგიური დონე ძალიან ამაღლდა; რესპონდენტთა 5,1%-ს არ აქვს პასუხი ამ შეკითხვაზე.

კითხვაზე – „გამოცდები რომელ კლასებში უნდა ტარდებოდეს? – რესპონდენტებმა შემდეგნაირი პასუხები გასცეს: მათ აბსოლუტურ უმრავლესობას (83,6%) მიაჩნია, რომ გამოცდები აუცილებლად უნდა ტარდებოდეს XI და XII კლასებში და არ იქნებოდა ცუდი, თუ სხვა კლასებშიც ჩატარდება; 13,9%-ის აზრით, გამოცდები მხოლოდ XII კლასში უნდა ტარდებოდეს, ხოლო პედაგოგთა მხოლოდ 2,5% ფიქრობს, რომ გამოცდების ჩატარება სკოლებში საერთოდ არ არის საჭირო.

შეკითხვაზე – „თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა მიეცეს ატესტატი იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც XII კლასში ცალკეულ საგანში (საგნებში) ვერ ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდას (გამოცდებს)?“ – გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად დაჯგუფდა: მათი 22,3%-ის თვალსაზრისით, ატესტატი მოსწავლეთა გამოცდაზე (გამოცდებზე) „ჩაჭრის“ შემთხვევაშიც უნდა გაიცეს; 68,4% მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში ატესტატი არ უნდა გაიცეს და მოსწავლემ გარკვეულ ვადებში უნდა გადააბაროს გამოცდა (გამოცდები)“; რესპონდენტთა 9,3%-ს კი უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტთა მხრიდან გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები: „სკოლებში უნდა დაინერგოს დიფერენცირებული, პროფილური სწავლება. დღეს მოსწავლე, თუ მას არ აქვს ყველა საგნის ათვისების

უნარი და შესაბამისად, ცოდნა, რჩება ატესტატის გარეშე. ეს, ჩემი აზრით, დიდი უსამართლობაა“; „ვერაფრით ამიხსნია, ჰუმანიტარულ საგნებში მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს, რატომ არ უნდა მიეცეთ ატესტატი, თუკი მას არ აინტერესებს, არ ესმის ან ვერ იგებს სხვა საგნებს (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.)“; „თუ მოსწავლე მხოლოდ ერთ ან ორ საგანში ვერ აბარებს გამოცდას, მას მაინც უნდა მიეცეს ატესტატი, რადგან ნაკლებია იმის იმედი, რომ ერთი წლის შემდეგ ის უკეთ მოემზადება გამოცდებისთვის“; „თუ მოსწავლე XII კლასამდე მივიდა (თუ არ სწავლობდა არაფერს, აქამდე არ უნდა მიეღწია), მას აუცილებლად უნდა მიეცეს ატესტატი“; „ატესტატი ყველა მოსწავლეზე უნდა გაიცეს მრავალი მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობები სხვადასხვაა, ამიტომ სკოლებში შემოღებული უნდა იქნას პროფილური სწავლება და ადამიანი გამოცდებს უნდა აბარებდეს მხოლოდ იმ საგნებში, რომლებშიც ის ძლიერია, მაგ. ჰუმანიტარულ დისციპლინებში. ამ შემთხვევაში მას არ ექნება ჩასაბარებელი გამოცდები ფიზიკაში და ქიმიაში და, შესაბამისად, ასეთ მოსწავლეებს ვერც გამოცდებზე „ჩაჭრიან““; „თუკი მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებამდე მივიყვანეთ, მასზე ატესტატი მაინც უნდა გაიცეს, თუგინდ მან არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღოს საგამოცდო საგნებში“; „მოსწავლე, რომელიც 12 წლის განმავლობაში სწავლობს და 1-2 საგანში ვერ ჩააბარა გამოცდა, ატესტატი მასზე მაინც უნდა გაიცეს (მოსწავლის „ჩაჭრა“ აწყობს მხოლოდ საგანმანათლებლო მაფიას, რადგან ევროპას ეტყვიან, აი რა დებილი მოსწავლეები გვყავს და მათ გადასამზადებლად ფული გვინდაო)“; „ატესტატის გაცემა კავშირში არ უნდა იყოს გამოცდებთან. ეს ის დოკუმენტია, რომელიც მოზარდს აძლევს შანსს, სწავლა გააგრძელოს სკოლის შემდეგ მისი ნიჭისა და უნარის ფარგლებში. ამით ის თავს იგრძნობს საზოგადოების სრულფასოვან წევრად (არიან ადამიანები, რომლებსაც ასაკის მატებასთან ერთად ეწყებათ „დაღვინების“ პერიოდი და ხშირად მოგვიანებით იძენენ საკმაო ცოდნას რაღაც პროფესიაში და წარმატებებსაც აღწევენ. გამომდინარე აქედან, თუ მოზარდი სკოლაში ცუდად სწავლობს (ამას შეიძლება უამრავი მიზეზი ჰქონდეს), ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მთელი ცხოვრება უვიცი იქნება. ხშირად ცოდნა და წარმატებები ასაკის მატებასთან ერთად მოდის“. „მოსწავლეები გამოცდებს ზოგჯერ ვერ აბარებენ ემოციური დაძაბულობის, სტრესის და არა უცოდინრობის გამო, ამიტომ ატესტატის გაცემა სავალდებულოა“, „ატესტატი უნდა გაიცეს მოსწავლეებზე მაშინაც კი, როცა მან ვერ ჩააბარა გამოცდები, ოღონდ სხვადასხვა დონის“; „რადგან ატესტატის გარეშე სწავლის გაგრძელება შეუძლებელია, ისინი, ვისაც არ გააჩნიათ ეს საბუთი, ცხოვრებიდან სამუდამოდ გარიყული რჩებიან, მათ მომავალს არავითარი პერსპექტივა არ აქვს. ამიტომ, ადამიანებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ატესტატი ყველა სკოლადამთავრებულზე

უნდა გაიცეს. თუ გამოცდაზე ჩაჭრილი, მაგრამ „ატესტატიანი“ სკოლადამთავრებული სრულიად უვიცია, ის ისედაც ვერსად ვერ გააგრძელებს სწავლას, მაგრამ თუ რაღაც კონკრეტული სპეციალობის დაუფლების ნიჭი აქვს (ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, ზეინკალი და ა.შ.), მას მისი გამოვლენის შესაძლებლობა მხოლოდ ატესტატის ფლობის შემთხვევაში ეძლევა, რადგან ყველაზე დაბალი დონის პროფესიულ სასწავლებელში მოსახვედრადაც კი ატესტატია საჭირო. დღეისათვის საგანმანათლებლო აქცენტი პროფესიულ განათლებაზე კეთდება, რაც სწორია, იმიტომ, რომ შეიძლება ადამიანი ვერ დაეუფლოს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა აკადემიური მეცნიერებების მწვერვალებს, მაგრამ მას შეიძლება, წარმატებები ჰქონდეს პროფესიული საქმიანობის სხვა სფეროში, მაგ. კულინარიაში, სპორტში, საცირკო ხელოვნებაში და ა.შ.“ „12-წლიანი სწავლების შემდეგ, ატესტატი ყველა მოსწავლეზე უნდა გაიცეს, მაგრამ იმ ატესტატებს, რომლებიც გაიცა გამოცდაზე ჩაჭრის მიუხედავად, დაბალი სტატუსი უნდა ჰქონდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი სახის ატესტატით უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება შეუძლებელი იქნება. სწავლის გაგრძელება მხოლოდ პროფესიულ ან სხვა რომელიმე ტიპის სასწავლებელში იქნება შესაძლებელი“.

შეკითხვაზე – „მოსწავლეთა ნაწილი გამოსაშვები გამოცდების დროს ვერ ლახავს მინიმალურ საგამოცდო ბარიერს. რით ხსნით ამ ფაქტს?“ – რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულ პედაგოგთა 92,3%-ის აზრით, საგამოცდო ბარიერის გადაულახაობის მთავარი მიზეზი მოსწავლეთა გამოცდებისთვის მოუმზადებლობაა; 2,9% ფიქრობს, რომ ეს გამოწვეულია მაღალი საგამოცდო ბარიერით, ხოლო რესპონდენტთა 4,8%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ზოგიერთმა მასწავლებელმა ეს ვითარება შემდეგნაირი კომენტარებით განმარტა: „ძნელია, მოსწავლე ყველა საგანს ფლობდეს კარგად. არიან მოსწავლეები, რომლებიც ჰუმანიტარული საგნები მოსწონთ და ვერ სწავლობენ საბუნებისმეტყველო საგნებს. ადგილი აქვს საპირისპირო სიტუაციასაც – კარგად ეუფლებიან ზუსტ მეცნიერებებს, მაგრამ უჭირთ ჰუმანიტარული პროფილის საგნების ათვისება. გამომდინარე აქედან, სავსებით შესაძლებელია, მოსწავლემ რომელიმე კონკრეტულ საგანში ვერ ჩააბაროს გამოცდა“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ კლასებში მოსწავლეთა სიჭარბეა, რაც იწვევს იმას, რომ მასწავლებელი უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს თითოეულ მოსწავლემდე დაიყვანოს შესასწავლი მასალა“; „თუ 12 წელი მოსწავლეს დაბალი მოსწრება ჰქონდა, არის იმის დიდი შანსი, რომ მან გამოსაშვები გამოცდები ვერ ჩააბაროს“; „არ უსმენენ გაკვეთილზე მასწავლებელს“; „სასწავლო პროგრამა და საგამოცდო საკითხები, რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს“; „პროგრამები გადატვირთულია, მოსწავლეს უჭირს მისი ათვისება“; „წლის განმავლობაში არ

სწავლობენ არაფერს და მერე ერთბაშად უჭირთ ყველა მასალის ათვისება“; „მოსწავლეთა უმეტესობას არ აქვს სწავლის არავითარი სურვილი“; „ყველა საგამოცდო პრობლემას მოხსნის დიფერენცირებული (პროფილური) სწავლება“; „გამოცდებზე „ჩაჭრის“ ძირითადი მიზეზია ის, რომ მოსწავლეები წიგნებს აღარ კითხულობენ, ინტერნეტზე არიან გადართული“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ძირითადი მიზეზია მოსწავლის სიზარმაცე და უპასუხისმგებლობა, თუმცა არ გამოვრიცხავ პედაგოგის არაკვალიფიციურობასაც“; „მოსწავლეთა გამოცდებზე ჩაჭრის ძირითადი მიზეზი, ზოგჯერ არაპროგრამული შეკითხვების არსებობაა, ასევე – მათი ნერვიულობა“; „საგამოცდო ბარიერი დაბალია, გამოცდებზე ჩაჭრის ძირითადი მიზეზი მოსწავლის მოუმზადებლობაა“; „ის, რომ მოსწავლე ვერ აბარებს გამოცდას, მთავარი დამნაშავეები არიან ის მშობლები, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ შვილების განათლების საკითხს“;

შეკითხვაზე – „თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს სკოლებში დანერგილი 12-წლიანი სწავლების მიმართ?“ – რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირია: მათი 61,2% უარყოფითადაა განწყობილი მოსწავლეთა 12-წლიანი სწავლებისადმი; 25,1% კი დადებითად ეკიდება ამ ფაქტს; გამოკითხულთა 13,7%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იმის გამო, რომ შეკითხვა ნახევრად ღია იყო, რესპონდენტთა ნაწილმა ტექსტური სახით დააფიქსირა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი: „მეთორმეტე კლასი ვერ იძლევა იმ შედეგს, რაზეც გათვლილი იყო. მოსწავლეები, ფაქტობრივად, ვალდებულებებს იხდიან და ვერავითარ დამატებით განათლებას ვერ იძენენ“; „12-წლიანი სწავლება დაინერგა იმიტომ, რომ საზღვარგარეთ სწავლების გაგრძელებისათვის ითხოვენ 12-წლიანი სასწავლო კურსის ატესტატს. ისე, უმჯობესია 11-წლიანი სწავლების კურსი“; „სწავლა უნდა იყოს 10 ან 11-წლიანი. გასაუქმებელია აბიტური“; „XII კლასში მოსწავლეები, არავისთვის საიდუმლო არ არის, ძირითადად, აცდენენ გაკვეთილებს, შესაბამისად, არანაირ ცოდნას არ ღებულობენ. XI კლასი რომ იყოს დამამთავრებელი, იგივე მდგომარეობა გვექნება“; „XI-XII კლასები რომ არ იყოს, როგორც საბჭოთა პერიოდში, ბევრი ისწავლიდა პროფესიულ სასწავლებელში და რაღაც პროფესიას მაინც დაეუფლებოდა. ახლა კი ეს ორი წელი მოსწავლეებისთვის დროის ფუჭი კარგვაა და მეტი არაფერი“; „12-წლიანმა სწავლებამ ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია. XII კლასში ბავშვები ვერავითარ ახალ ცოდნას ვერ იძენენ“; „12-წლიანი სწავლების პერიოდში, სწავლასთან ერთად უნდა ეუფლებოდეს რაღაც პროფესიას“; „XII კლასი არის ბავშვების მოცდენა, რადგან ყველანი რეპეტიტორთან სიარულით არიან დაკავებულები და არა სკოლით“; „საჭიროა X-XII კლასები დაკონკრეტდნენ მიმართულებების მიხედვით – უნდა შეიქმნას ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მიმართულებები“;

„მთავარი ის კი არ არის, რომ 12-წლიანი სწავლებაა, მთავარია, რომ რაიმე ახალს იქ არ ასწავლიან“; „XII კლასელები დროს ძირითადად რეპეტიტორებთან მომზადებას ანდომებენ“; „XII კლასი არის დროის ტყუილუბრალოდ გაფანტვა, ამიტომ 12-წლიან სწავლებას აზრი არ აქვს“. „ღრმად ვარ დარწმუნებული, 12-წლიანი სწავლება დაკარგული დროა ახალგაზრდისთვის. 10-წლიანი სწავლება სავსებით საკმარისია. 12-წლიან სწავლებას, ალბათ, სხვა მიზანი ჰქონდა, რომელიც ვერ განხორციელდა“; „ჩემი, როგორც 35-წლიანი სტაჟის მქონე პედაგოგის, დამოკიდებულება 12-წლიანი სწავლებისადმი უარყოფითია; „მაღალ (XI- XII) კლასებში უნდა სწავლობდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება უნდა. დღეს კი საყოველთაო „უმაღლესობანიაა“.

ძალიან დიდია მასწავლებელთა დაინტერესება სასერტიფიკაციო გამოცდების პრობლემატიკით, რადგან ის განსაზღვრავს, ძირითადად, მათ პედაგოგიურ მომავალს და კარიერულ ზრდას. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი, ფართო ხასიათის ინფორმაციის მიღების მიზნით, ანკეტაში შევიტანეთ ღია კითხვა, რომელიც შემდეგნაირია – „როგორც ცნობილია, სკოლის მასწავლებელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ვერ ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდები, ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. რით ხსნით ამ ფაქტს?“

პედაგოგთა უმეტესობაში ამ შეკითხვამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ის მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობას შეეხებოდა. პასუხები კი შემდეგი შინაარსისაა: „მასწავლებელთა ცოდნა მოძველდა. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებას ითხოვს ევროპული სტანდარტების მიხედვით, მასწავლებელს კი თავის დროზე ეს არ უსწავლია, მერე კი არც განვითარების შესაძლებლობა ჰქონია და არც ასეთი აუცილებლობა იდგა დღის წესრიგში. ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ ბევრმა მასწავლებელმა არ იცის კომპიუტერთან მუშაობა (მათ შორის კარგმა პედაგოგებმაც), რაც, ხშირად, ხელს უშლის მათ, სათანადოდ მოემზადონ გამოცდებისთვის“; „მასწავლებლებმა ვერ ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდები? ეს იმით აიხსნება, რომ თვით გამოცდების საკითხებში, მის დაპროგრამებაში არის დიდი შეცდომები. ჩემი აზრით, მასწავლებელი უნდა შემოწმდეს გაკვეთილზე მისი მუშაობით და არა ფარატინა ფურცელზე რაღაც ნაჯღაბნით. ბევრია ისეთი მასწავლებელი, ვინც სერტიფიცირებულია, მაგრამ არ აქვს ცოდნის საკმაო დონე, არ იცის მუშაობა, არ ჰყავს კარგი მოსწავლეები. ამიტომ, სერთიფიცირებული და არასერტიფიცირებული მასწავლებლების მუშაობის ხარისხი გაკვეთილის ჩატარების პროცესში უნდა შემოწმდეს და არა გამოცდებზე“; „ბევრ მასწავლებელს აქვს დიდი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, რომლის საგამოცდო სტანდარტებში მოქცევა ხშირად უჭირს“; „უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი უფრო მაღალი დონის დოკუმენტია, ვიდრე ნებისმიერი სერთიფიკატი“; „ყველაფრის

თავი და თავი ის არის, რომ მოსწავლეთა უმეტესობის ცოდნის დონე იმდენად დაბალია, რომ მათ მაღალი ევროპული სტანდარტით სწავლა არ შეუძლიათ. ზოგიერთ მათგანს საგნის ელემენტარული ათვისების უნარი არ გააჩნია, ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, კლასში დატრენინგებული და სერტიფიცირებული მასწავლებელი შევა, თუ რიგითი პრაქტიკოსი მასწავლებელი"; „დარწმუნებული ვარ, ყველა პედაგოგი, თავისი პედაგოგიური გამოცდილებით აკმაყოფილებს სასკოლო მოთხოვნილებებს. პედაგოგი არ საჭიროებს გამოცდების ჩაბარებას. მას უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მინიჭებული აქვს პედაგოგის წოდება"; „პედაგოგთა გადამზადება საჭიროა, ოღონდ გამოცდების გარეშე. ამისთვის უნდა არსებობდეს სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ტრენინგები"; „მასწავლებლები ძალიან დატვირთული არიან, როგორც სამუშაოთი, ასევე საოჯახო საქმეებით და, ამიტომ, დრო არ რჩებათ, სათანადოდ მოემზადონ გამოცდებისათვის"; „გამოცდებს ვერ აბარებენ ის მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ ცოდნის სათანადო დონე და გამოცდების პერიოდში განიცდიან ემოციურ გადაძაბვას"; „მასწავლებლები გამოცდებს ვერ აბარებენ იმის გამო, რომ საგამოცდო მასალა დიდია და ისეთი საკითხებითაა გადატენილი, რაც არასოდეს არ დასჭირდება მასწავლებელს"; „სასერტიფიკაციო გამოცდები ვერ ჩავაბარე ოჯახური პირობების გამო, დიდი დრო მეხარჯება მცირეწლოვანი ბავშვების მოვლაზე. მატერიალური ხელმოკლეობის გამო იძულებული ვარ ვიმუშაო სხვა სამსახურში, ქმარს გაცილებული ვარ და ამიტომ სახლში დამხმარე არავინ მყავს"; „მე სასერტიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩავაბარე, მაგრამ ეჭვის ქვეშ დგება იმ მასწავლებელთა დიპლომი, რომლებიც გამოცდაზე ჩაიჭრნენ (როგორ გაიცა მათზე დიპლომი? მათ ხომ სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს?). გამომდინარე აქედან, ვსვამ შეკითხვას – მაშინ საერთოდ რა მნიშვნელობა ან დანიშნულება აქვს დიპლომს?"; „ვფიქრობ, გამოცდების ჩაუბარებლობის ძირითადი მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში, სტრესია. ასევე, საგამოცდო დროის სიმცირე აშვებინებს მასწავლებელს ისეთ შეცდომებს, რომლებსაც ჩვეულებრივ, მშვიდ გარემოში არ დაუშვებდა"; „ტესტები შეგნებულადაა გართულებული, რადგან უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტმა მასწავლებელმა ვერ გადალახოს კომპეტენციის ზღვარი. ამის ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ ბიუჯეტში ფული ცოტაა და ამით ზოგავენ თანხებს. ამდენად, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ საგანმანათლებლო მაფია ხელოვნურად აფერხებს მასწავლებელთა წინსვლას. ეს ჩანს იქიდანაც, რომ თითზე ჩამოსათვლელია მენტორი მასწავლებლები. გამოდის, რომ ჩვენს სკოლებში, ძირითადად, ჩამორჩენილი, არასერთიფიცირებული მასწავლებლები ასწავლიან და მათ როგორ უნდა აამაღლონ სკოლაში სწავლების ხარისხი?"; „ის მასწავლებლები, რომლებიც ვერ აბარებენ გამოცდებს, არ

ინდომებენ, ზარმაცობენ და ამიტომაც იღებენ ცუდ შეფასებას“; „ამ ფაქტის ახსნა მარტივად არ შემიძლია, მე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ: გამოცდების ჩაუბარებლობის მიზეზი მრავალნაირი შეიძლება იყოს – რთულად შედგენილი ტესტები, არასაკმარისი დრო, ფსიქოლოგიური დატვირთვა, საჭირო ტრენინგებზე არდასწრება, საგნობრივი კომპეტენციის შედარებით დაბალი დონე და ა.შ.“; „მასწავლებლები გამოცდებს ვერ აბარებენ იმის გამო, რომ ნაკლებს მუშაობენ საკუთარ თავზე“; „ბარიერი საკმაოდ მაღალია და კითხვებშიც ხშირად შეცდომებია;“ „გამოცდა ვერ ჩავაბარე იმიტომ, რომ ტესტები არ არის სწორად შედგენილი“; „მასწავლებელთა გამოცდებზე „ჩაჭრა“, განათლების სისტემაში წლების განმავლობაში მიმდინარე უთავბოლო და არათანმიმდევრული „რეფორმების“ შედეგია. არ მომხდარა მასწავლებლების სერიოზული გადამზადება, ტრენინგები არ იყო მორგებული მასწავლებელთა საჭიროებებს“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ძირითადი მიზეზებია: 1. ხანდაზმული ასაკი; 2. ნერვული სტრესი; 3. არაკომპეტენტურობა“; „აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია მასწავლებელთა მომზადების დაბალი დონით, რადგან სასერტიფიკაციო გამოცდაზე ნამდვილად არ არის ისეთი რთული ტესტები, რომ მინიმალური ზღვარი ვერ გადალახოს მასწავლებელმა“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ძირითადი მიზეზია ტესტების სირთულე და არაადეკვატურობა“; „არავალიდური, არაობიექტური და არაკომპეტენტური ტესტების ბრალია, რომ მასწავლებლები გამოცდებს ვერ აბარებენ“; „გამოცდების ჩაუბარებლობის მთავარი მიზეზია ის, რომ ტესტებში მრავლადაა რთული თეორიული საკითხები, რომლებშიც გარკვევა მასწავლებელთა უმეტესობას უჭირს. ეს საკითხები ბრმად არის გადმოღებული საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო პროგრამებიდან და ისინი არ არიან ადაპტირებული ქართულ საგანმანათლებლო სისტემის სპეციფიკასთან. ასე ერთბაშად, ქართული საგანმანათლებლო ფესვების ამოყრამ და მისი უცხოურით ჩანაცვლებამ, როგორც ვნახეთ, არავითარი რეალური, დადებითი შედეგი არ მოიტანა. საბჭოთა პერიოდიდან შედარებით, მოსწავლეთა ცოდნის დონე არ ამაღლებულა, რიგი მიმართულებით კი ადგილი აქვს სრულ ვარდნას“; „მასწავლებელთა უმეტესობა ასაკოვანია და, ამიტომ, უჭირთ გამოცდებისთვის მობილიზება“; „გამოცდაზე ჩავიჭერი, რომლის მთავარი მიზეზი ის არის, რომ იქ ისეთი საკითხები შემხვდა, რომლებიც ტრენინგებზე არ გამივლია. ამიტომ, ტრენინგებზე მხოლოდ ის საკითხები უნდა ისწავლებოდეს, რომლებიც შემდგომ გამოცდებზე იქნება დასმული“; „პედაგოგთა საკმაოდ დიდ ნაწილს უჭირს სიახლეებთან შეგუება. სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები მათთვის რთულად ასათვისებელია და, ამიტომაც, ვერ აბარებენ გამოცდებს“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ერთ-ერთი ფაქტორია მასწავლებელთა სქესი. პედაგოგთა უმეტესობა მანდილოსანია და სკოლაში

მოღვაწეობასთან ერთად, დიდ დროს უთმობს საოჯახო საქმეების მოგვარებას. ამიტომ, მათ საკმაო ნაწილს, დრო არ ყოფნის, რომ სათანადოდ მოემზადოს გამოცდებისთვის“; „გამოცდებზე იმის გამო ვერ მივიღე საჭირო ქულები, რომ საგამოცდო საკითხები არაკომპეტენტურად იყო შედგენილი. ეჭვი მაქვს, რომ ამ ტესტებს ისეთი ხალხი ადგენს, რომლებსაც სკოლაში საერთოდ არ უმუშავია“. „მასწავლებლის პროფესიული განვითარება სხვა რამაა, ვიდრე გამოცდის ჩაბარება“; „საგამოცდო ტესტები არასრულფასოვანია, რადგან მათში ისეთი საკითხებია შეტანილი, რომლებიც შეუსაბამოა სამასწავლებლო პრაქტიკასთან. ტესტებში უნდა შედიოდეს მხოლოდ ის საკითხები, რომლებსაც მასწავლებელი პედაგოგიური საქმიანობის დროს განიხილავს გაკვეთილზე. აბსტრაქტული თეორიები, რომლებიც დაცილებულია პრაქტიკისგან, არ გვჭირდება. ასეთი სიტუაცია ხელს გვიშლის გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში“; „გამოცდების ჩაუბარებლობის ძირითადი მიზეზებია: 1. მასწავლებელთა ნაწილს არ აქვს ცოდნის საკმაო დონე. 2. ზოგი პედაგოგი ვერ მოერგო დროს. 3. სასერტიფიკაციო გამოცდების დროს მასწავლებლების გარკვეული ჯგუფი ემოციურად იტვირთება, ამის გამო იბნევა და ვერ იძლევა დასმულ შეკითხვებზე სწორ პასუხებს. 4. პედაგოგებს არ აქვთ ასეთი ტიპის გამოცდების ჩაბარების გამოცდილება. 5. ბევრი პედაგოგი ვერ უმკლავდება დღევანდელ გამკაცრებულ მოთხოვნებს“; „გამოცდებზე მასწავლებელთა ჩაჭრის მთავარი ფაქტორი, მათი დაბალი მოტივაციაა“; „გამოცდების ჩაბარების გზაზე ხელოვნური ბარიერებია შექმნილი. ყველა მასწავლებელი წამყვანი ან მენტორი რომ გახდეს, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება“; „საგამოცდო ბარიერის გადალახვა ჭირს იმიტომ, რომ ტექსტებში კითხვები ბუნდოვნადაა დასმული, არ აქვს ცხადი და გარკვეული სახე. ამავე დროს, რთულია პროგრამული მასალა“; „გამოცდებზე დამსწრე დამკვირვებლები ზოგჯერ არაკორექტულად იქცევიან, რითაც მასწავლებლებს ხელს უშლიან გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში“; „სკოლებში უამრავი სამუშაოა, პედაგოგები გადატვირთული არიან და, ამიტომ, არ რჩებათ იმის დრო, რომ სათანადოდ მოემზადონ გამოცდებისთვის“; „გამოცდები ვერ ჩავაბარე იმის გამო, რომ ტესტებს ასწორებენ არაკომპეტენტური პირები. მაგ. ჩემს ნამუშევარში, 7 შეკითხვაში, სადაც სწორი პასუხი გავეცი, ქულა არ მქონდა. ეჭვი მაქვს, რომ ნაწერებს სტუდენტებს ასწორებინებენ“; „სასერტიფიკაციო გამოცდებზე, საკითხების გარკვეული ნაწილი სცილდება სასკოლო პროგრამის ჩარჩოებს, რის გამოც მასწავლებელმა, რომელიც საკმაოდ ძლიერია სასკოლო საკითხებში, შეიძლება პასუხი ვერ გასცეს არასასკოლო პროგრამიდან აღებულ საკითხებს“; „მასწავლებელი უნდა შეფასდეს ჩატარებული გაკვეთილის ხარისხით და ის არ უნდა ფიქრობდეს კრედიტების დაგროვებაზე“; „ტრენინგები არაფრის მომცემია, ხოლო ტესტირებები –

ზედმეტი თავსატეხი“; „სასურველია მასწავლებელთა ტესტირება გამომდინარეობდეს სასწავლო პროგრამიდან. ხშირად ის მას აცდენილია და სასკოლო სასწავლო საგანთან ზედაპირული შეხება აქვს“; „ყველაფერი ეს – ტრენინგები, კრედიტქულები, ტესტირებები – ზედმეტია. მასწავლებელს ამის გამო დრო არ რჩება იმისთვის, რომ სკოლაზე და მოსწავლეებზე იფიქროს“; „ხშირ შემთხვევაში ტესტირება მასწავლებელთა კარიერული ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია, რადგან რამდენიმე პასუხგაუცემელმა კითხვამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მასწავლებლის კარიერაზე“; „გამოცდა დიდ შედეგს არ იძლევა, რადგან დატრენინგებული მასწავლებლები, უმეტესწილად, ისევ ძველებურად ასწავლიან“; „გადაჭარბებულია საგამოცდო ტესტების რაოდენობა. სჯობს, იყოს ნაკლები რაოდენობის და თუნდაც – უფრო რთული“; „ხშირად, რა ტრენინგიც არის საჭირო მასწავლებლის წინსვლისთვის, ის არ ტარდება და ისინი იძულებული არიან დაესწრონ მათთვის არასაინტერესო და უსარგებლო ტრენინგებს და ეს კეთდება მხოლოდ იმისთვის, რომ კრედიტქულები აიღონ“; „გამოცდა არ განსაზღვრავს პედაგოგის ცოდნას, რადგან გამოცდას თან ახლავს ისეთი ემოციური განცდა, რომ ზოგიერთი პედაგოგი ვერ ახერხებს საკუთარი ცოდნის გამოვლენას, არადა, ისინი ძალიან გამოცდილი და კარგი პედაგოგები არიან“; „ტესტირება სრულად ვერ წარმოაჩენს პედაგოგის რეალურ შესაძლებლობას და კვალიფიკაციას“; „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდები და დამატებითი აქტივობები არ არის საჭირო მასწავლებელთა კარიერული წინსვლისთვის. ეს არის დროის ფუჭად დაკარგვა. თუ მასწავლებელი მუშაობს თავის თავზე, სურს, გაიზარდოს და იყოს სამაგალითო, ამას გამოცდების გარეშეც მოახერხებს“; „ტესტირება სრულად ვერ ასახავს ვერც მასწავლებელთა ცოდნის დონეს და ვერც მათ პროფესიონალიზმს. კრედიტქულები კი ხელოვნურად შექმნილი მძიმე ტვირთია მასწავლებლებისთვის“; „ტესტირებების, გამოცდების და სხვადასხვა აქტივობის დროს, მასწავლებლები დიდ დროს და ენერგიას ხარჯავენ უსარგებლოდ. ასეთი ვითარების გამო მათ დრო აღარ რჩებათ თავიანთი მთავარი საქმიანობისთვის – მასწავლებლობისთვის“; „გამოცდების ჩაბარებისას, დაძაბული ემოციური ფონის დროს, ზოგი მასწავლებელი ვერ ახერხებს თავისი ცოდნის სრულყოფილად წარმოჩენას“; „მასწავლებელი თავის თავზე ყოველდღიური მუშაობით, თვითონ უნდა იმაღლებდეს კვალიფიკაციას. ტრენინგებზე ყველაფრის შესწავლა შეუძლებელია. ჩემი დევიზია – თვითგანათლება, უპირველეს ყოვლისა“; „მასწავლებლებს არ სჭირდებათ ტრენინგები, ისინი ისედაც მუდმივ კვლევასა და ძიებაში არიან. კრედიტქულების დაგროვებაზე ფიქრი კი საშინლად ღლის და ანერვიულებს პედაგოგებს და ამიტომ მას ნაკლები დრო რჩება მოსწავლეებისთვის“; „მასწავლებელი გამოეკიდა კრედიტქულებს და დაავიწყდა მოსწავლე“. „სახელმწიფო

მასწავლებლებს, სხვადასხვა სახის სერტიფიცირებების დავალდებულებით, მასხრად იგდებს“. „ტესტირება ზედმეტი ტვირთია ჩვენთვის. მასწავლებელმა თავადაც კარგად იცის, პროფესიული დონის ამაღლება რომ სჭირდება სისტემატურად და მისთვის ამის შეხსენება საჭირო არაა“; „ტესტირება პროფესიულად ბევრს არაფერს აძლევს მასწავლებელს, სამაგიეროდ, იკარგება დრო, ირღვევა პედაგოგთა ფსიქოლოგიური წონასწორობა, გონება არაფრისმომცემი ინფორმაციით იტვირთება“; „თუ მასწავლებელს 20-30 წლის პედაგოგიური გამოცდილება აქვს, მას არ სჭირდება ასეთი დამამცირებელი გამოცდების ჩაბარება“; „უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სავსებით საკმარისია პედაგოგებისთვის“; „ტესტირებაზე უფრო მეტად, მასწავლებელი ვითარდება პრაქტიკული მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების ხარჯზე“; „კარიერული წინსვლისთვის საკმარისი კრედიტქულების მოპოვება უზომოდ ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვს, თანაც, ამ მიზნით გაწეული სამუშაო ნამდვილად განსხვავდება პედაგოგისთვის აუცილებელი იმ ყოველდღიური სამუშაოსგან, რომელიც ბავშვებთან ურთიერთობისას თითოეულმა მასწავლებელმა უნდა შეასრულოს. ჩემთვის ყოველდღიური, პედაგოგიური სამუშაოს ხარისხიანად შესრულება იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ სხვა დამატებითი საზრუნავისთვის მიჭირს დროის გამონახვა“; „მასწავლებელი ორიენტირებულია კრედიტქულების დაგროვებაზე, რასაც მიაქვს ძალიან დიდი დრო. მთავარი კი – მოსწავლეებში სწავლების ხარისხის ამაღლება – ყურადღების მიღმა რჩება“; „ტრენინგები კარგია, მაგრამ ის უნდა იყოს არა იძულებითი, არამედ ნებაყოფლობითი“; „უმჯობესია იყოს მხოლოდ ტრენინგები, ტესტირების გარეშე“; „მასწავლებლების კვალიფიკაცია უნდა შეფასდეს არა კრედიტქულების, ტრენინგების და ტესტირებების მიხედვით, არამედ იმით, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ამა თუ იმ მასწავლებლის მოსწავლეებმა (მაღალი აკადემიური შეფასება საგანში, სხვადასხვა სახის ოლიმპიადებზე და კონკურსებში გამარჯვება, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წარმატებით ჩაბარება და ა.შ.)“; „ტესტირებები გასაუქმებელია მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ის მასწავლებლები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდები, ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდიან კოლეგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობისას. მათი ავტორიტეტი ამ ფაქტის გამო საკმაოდ ეცემა და, არცთუ ისე იშვიათად, დაცინვის ობიექტებიც კი ხდებიან“; „ტრენინგები კარგი რამაა, მაგრამ ხშირად ტრენერებია უვარგისი. ამასთან ერთად, ტრენინგები ხანგრძლივი და დამღლელია. ტრენინგის დროს ათვისებულ სიახლეებს სკოლაში ვერ ვნერგავთ. იქ ნოვაციები არ აინტერესებთ, ის პრაქტიკაში არ ინერგება“; „არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგი აბარებს საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდებს, მაგრამ გაკვეთილს ვერ ატარებს შესაბამის დონეზე. ზოგმა პედაგოგმა ვერ

ან არ ჩააბარა გამოცდები, მაგრამ მისი მოსწავლეების ცოდნის დონე მაღალია. რაც შეეხება აქტივობებს, თუ მას მასწავლებელი შეასრულებს და მთელ დროს კრედიტქულების დაგროვებას მოანდომებს, მას მოსწავლისთვის დრო აღარ დარჩება“; „არიან მასწავლებლები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს პედაგოგიური ფაკულტეტები, დღესაც წარმატებული პედაგოგები არიან, შემოაქვთ სიახლეები სწავლებაში, მაგრამ იმის გამო, რომ არ არიან სერტიფიცირებულები, აქვთ დაბალი პედაგოგიური სტატუსი (პრაქტიკოსი მასწავლებელი), ეს ჩემი აზრით, მათი დისკრიმინაციაა“; „ტესტირება კარგია, მაგრამ „სქემის“ აქტივობები ბევრი დოკუმენტაციის შედგენას, დაბეჭდვას, ბაზაში ატვირთვას და ერთი სიტყვით, ელექტრონულ სისტემაში ბევრ სამუშაოს მოითხოვს, რაც მასწავლებლებს დროის დეფიციტს უქმნის“; „ტესტირების დროს ისეთი საკითხები გვხვდება, რომლებიც შეიძლება, არასდროს დასჭირდეს არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს. პრაქტიკოსი მასწავლებლის წოდების მიუხედავად, ჩემი მოსწავლეები აკადემიურად არაფრით არ განსხვავდებიან სერტიფიცირებული მასწავლებლის მოსწავლეებისგან“; „ყველაფერი ეს, მგონია, მოგონილია იმისთვის, რომ ტრენერები დაასაქმონ და მაღალი ხელფასები მისცენ. სავსებით შესაძლებელია სატრენინგო სახელმძღვანელოს შექმნა, ინტერნეტში შესაბამისი მასალის განთავსება ან დისტანციური სწავლების დანერგვა ონლაინ რეჟიმში (ასეთი სახით სწავლება დღეს მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაშია დანერგილი). ასეთი გზით მასწავლებელთა სწავლებაც ხარისხიანი იქნება (რადგან ამ პროცესს მაღალი კომპეტენციის სპეციალისტები წარმართავენ), ფულიც დაიზოგება და საქმეც გაკეთდება“; „მომხრე ვარ, რომ მასწავლებელთა კომპეტენციის დონე შეფასდეს მხოლოდ მისი მოსწავლეების ცოდნის დონით“; „ტესტირება ძალიან დამთრგუნველია იმ პედაგოგებისთვის, რომლებსაც სკოლაში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი აქვთ“; „ხშირი ტესტირების დროს მასწავლებელი ორიენტირებულია საკუთარ თავზე (ე.ი. მისთვის მთავარია, ჩააბაროს გამოცდა) და სკოლა და მოსწავლეები ნაკლებად ადარდებს“; „ტესტირებებს მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ აუმაღლებია, ძველად რომ იყო დახელოვნების ინსტიტუტი, იქ გაცილებით მეტ სიახლეს ვიგებდით“; „ტესტირება და კრედიტქულები საჭირო არაა მასწავლებლებისთვის, ხოლო ტრენინგები აუცილებელია, ის უნდა დარჩეს“; „ტრენინგები საჭიროა პედაგოგებისთვის, ხოლო გამოცდები და კრედიტქულები – არა. გამოცდები თრგუნავს მასწავლებელს, ამიტომ არაა საჭირო მათი ზედმეტი შემოწმება პედაგოგიური კომპეტენციის დასადასტურებლად. უნდა ენდონ იმ უმაღლეს სასწავლებლებს, ვინც ეს პედაგოგები გამოუშვა და თვითონ პედაგოგებს“; „მასწავლებლის პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია, მაგრამ მასაც ხომ საზღვარი აქვს (მაგ., როგორ შეიძლება მათემატიკაში ან ფიზიკაში რაღაც ახალი დანერგო, როცა

ისინი აქსიომატიური მეცნიერებებია და იქ ყველაფერი უკვე ნათქვამია). მასწავლებლისთვის მთავარი სხვადასხვა სულელური აქტივობები არ უნდა იყოს, მთავარი ბავშვია (მოსწავლე) მისი აღზრდა და ზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბება“. „ხანდაზმული პედაგოგებისთვის ტრენინგები ძალიან დამღლელია“; „ტესტირების არაფერი მწამს. არის ისეთი სერტიფიცირებული მასწავლებლებიც, რომლებიც გაკვეთილს ვერ ატარებენ სათანადო დონეზე“; „ტესტირებები, კრედიტქულები და ტრენინგები საჭირო არ არის – საგნის ცოდნა და პროფესიული უნარები შეიძლება შემოწმდეს გაკვეთილის ჩატარების პროცესში. ცოდნა მასწავლებლებს უკვე მიღებული აქვთ უმაღლეს სასწავლებლებში, თანაც საკმაოდ ხშირად იმ ლექტორებისგან, რომლებიც შემდგომ მათ ტრენინგებს უტარებდნენ“; „ტრენინგების დროს, მასწავლებელი უფრო მეტ დროს ხარჯავს ტესტებზე მუშაობაზე, ვიდრე საგაკვეთილო პროცესის მომზადებაზე“; „პედაგოგი ყალიბდება სკოლაში ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით და არა დადგმული, შოუსმაგვარი ღია გაკვეთილებით“; „მასწავლებელს სტატუსი უნდა ეძლეოდეს მხოლოდ სტაჟის მიხედვით“; „დამატებითი აქტივობები და კრედიტქულების დაგროვებისთვის ბრძოლა, სკოლის კოლექტივში იწვევს დაძაბულობას“; „მასწავლებლები აგროვებენ კრედიტებს და არა ცოდნას. ზოგ შემთხვევაში მასწავლებლის ცოდნის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ტრენერის“; „ტესტირებული მასწავლებლები ვერ ამაღლებენ განათლების საერთო დაბალ დონეს. ათასობით მათ მიერ „მომზადებული“ ბავშვი იჭრება გამოცდებზე“; „გავლილი მაქვს სხვადასხვა სახის ტრენინგი, საგნობრივი მოდულები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტყუილად დავკარგე დრო. ტესტირების აუცილებლობას ვერ ვხედავ“; „არ უნდა ხდებოდეს ტესტირების შედეგების საჯარო აფიშირება. რადგან ეს „ჩაჭრილ“ მასწავლებლებზე დამთრგუნველად მოქმედებს“; „ტრენინგი და გამოცდები არაფერს ნიშნავს, თუ მასწავლებელი ცოდნას პრაქტიკაში ვერ იყენებს. მაგ., არ აქვს მასალის გადმოცემის უნარი“; „სერტიფიცირება, ტრენინგები, კრედიტქულები ურიგო არაა, მაგრამ მას პედაგოგის სტატუსის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მთავარი მნიშვნელობა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს უნდა ენიჭებოდეს“; „ტესტირების ნაკლი ის არის, რომ მასწავლებელი სკოლაში მუშაობით ისედაც გადაღლილია, თანაც მრავალ მასწავლებელს (განსაკუთრებით ხანდაზმულებს) აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, ამას თან ერთვის ის გარემოება, რომ ემოციური ფონი გამოცდებზე ყოველთვის სახარბიელო არ არის და ესეც მოქმედებს გამოცდების შედეგებზე. ხშირად გამოცდებზე მყოფი დამკვირვებლების ქცევაც არ არის სახარბიელო. ჩამოთვლილი და კიდევ მრავალი ნეგატიური ფაქტორი მოქმედებს პედაგოგებზე, ისინი კომპლექსდებიან და ვერ ახერხებენ გამოცდის ჩაბარებას. ამის შედეგია ის, რომ ზოგჯერ საგნის კარგად მცოდნე

პედაგოგი ვერ იღებს მაღალ ქულებს“; „სერტიფიცირებას არავითარი შედეგი არ მოაქვს, ის მხოლოდ შოუა“; „მასწავლებელს გაკვეთილების ჩატარების შემდეგ, ამდენი წერა-კითხვა არ უნდა უწევდეს. ეს დროის უაზროდ დაკარგვაა. აუტანელია საათობით ტრენინგებზე ყოფნა მხოლოდ იმისთვის, რომ კრედიტქულა დააგროვო. მასწავლებელი ბუღალტერი არ არის. დავიღალე ამდენი წერისგან. ვერ გამიგია, რატომ უნდა განსაზღვროს ქაღალდების გროვამ ჩემი პროფესიონალიზმი“; „ერთია ტესტირება (აკადემიური დონე) და მეორე პედაგოგიური უნარი – სერტიფიცირება ყოველთვის არ განსაზღვრავს კარგ პედაგოგობას“; „ჩემი აზრით, მასწავლებელს არ სჭირდება გამოცდების ჩაბარება, მისთვის აუცილებელი მხოლოდ ტრენინგებია, ყოველგვარი კრედიტქულების გარეშე“; „გამოცდები ვერ განსაზღვრავენ მასწავლებლის კომპეტენციას. მასწავლებელთა ნაწილი აღიზარდა სხვა უნარ-ჩვევებზე და ძალიან რთულია, უცებ მოერგო ახალ უნარ-ჩვევებს. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდა მასწავლებლები უკეთ აბარებენ გამოცდებს“; „ბატონებო! ვარ მასწავლებელი 41-წლიანი პედაგოგიური სტაჟით. კომპეტენტური რომ არ ვიყო ჩემს საგანში, არავინ მოიყვანდა ჩემთან მოსწავლეს. ასე რომ, საზოგადოებამ შეაფასოს ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დონე და არა რაღაც უაზრო გამოცდებმა“; „გამოცდები არის ფსიქოლოგიური ტერორი“; „მასწავლებელს რაც სჭირდება მოსწავლეთა ეფექტიანი სწავლებისთვის, ის ამ საგამოცდო ტესტებში მოცემული არაა. ე.ი. ტესტების საკითხები დაცილებულია მასწავლებელთა რეალურ პედაგოგიურ პრაქტიკას“; „მე რეპეტიტორი ვარ და სკოლაში არსებულ ხელფასზე გაცილებით მეტი შემოსავალი მაქვს, სახლში მოსწავლეების მომზადების ხარჯზე. ამით ვიუმჯობესებ ჩემს მატერიალურ მდგომარეობას. სტატუსის მომატება არაფერში მჭირდება, რადგან ერთი მოსწავლის მომზადებიდან უფრო მეტ თანხას ვიღებ, ვიდრე სტატუსის მომატების შედეგად წამოგდებულ მათხოვრული მომატებული ხელფასიდან. ამიტომ ვრჩები პრაქტიკოს მასწავლებლად და სერტიფიცირებაზე არც კი ვფიქრობ“; „ვარ სერტიფიცირებული წარმატებული მასწავლებელი. პრაქტიკაში ტრენინგების დროს მიღებული ცოდნა არაფერში გამომადგა. გაკვეთილებს ვატარებ მოსწავლეთა მენტალობის და ერუდიციის შესაბამისად, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ძალიან დაბალია“; „გამოცდების ჩაბარების შემდეგ მომატებული ხელფასი იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ მიღირს ამისთვის უამრავი დრო დავხარჯო და ნერვები ვიშალო“; „ტესტირება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას არ ემსახურება, რადგან მასში ისეთი საკითხებია, რომლებიც მასწავლებლებმა ისედაც კარგად იციან ან ისეთი რთული და გაუგებარია, რომ მათი პრაქტიკაში, გაკვეთილზე გამოყენება ჩვენს პირობებში ძალიან ძნელია“; „მასწავლებელს არ სჭირდება არავითარი ტესტირება, რადგან მან ერთხელ უკვე აიღო დიპლომი და

წარმატებით მუშაობს სკოლაში. მასწავლებელთა გადამზადება საჭიროა, ოღონდ ყოველგვარი გამოცდების გარეშე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საგნის სწავლებაში შესულია ისეთი მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც ცვლის შესასწავლი თემის არსს“; „საგანში გამოცდა საჭიროა პედაგოგის ცოდნის დასადგენად, ზოგადი უნარების გამოცდა კი ზედმეტია. თუ მასწავლებელმა თავისი საგანი კარგად იცის, ეს მის უნარიანობაზე მეტყველებს“; „მასწავლებლებიც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და შეიძლება, რიგი ხელშემშლელი ფაქტორის გამო (მაგ. ცუდი საყოფაცხოვრებო და ოჯახური პირობები), ვერ ჩავაბაროთ გამოცდები. ამიტომ „ჯვარს არ უნდა გვაცვან“. „სკოლაში, როგორც წინათ იყო, უნდა არსებობდეს ერთი სტატუსი – „მასწავლებელი“ და მორჩა. ამით სკოლაში გაუმჯობესდება ფსიქოლოგიური კლიმატი და მოიხსნება გარკვეული დაძაბულობა პედკოლექტივში, რადგან აღარ იქნებიან სერტიფიცირებული, აღმატებული ტიტულის მქონე და წარუმატებელი, „უგვანო“ პედაგოგები. ასეთი თანასწორუფლებიანობა, სკოლის წარმატებული ფუნქციონირების საფუძველი იქნება“; „ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მასწავლებელს არ სცალია გამოცდებისთვის. ის საშოვარზეა გასული!!! განათლების სისტემის კრიზისი პედაგოგებზეც აისახება!!!“; „ტესტირება, რეფორმები სჭირდებათ ახალგაზრდებს. ძველი თაობის პედაგოგებს ის არაფერში სჭირდებათ, მათ ვერ „გადააკეთებთ“, ისინი არ „გამოსწორდებიან“, მათი უმრავლესობა მაინც მიდის სამუდამოდ სკოლებიდან“; „გამოცდილ პედაგოგს გამოცდა კი არა, არამედ ხელშეწყობა სჭირდება“; „თუ პედაგოგს უმაღლესი წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული, რად უნდა მას გადამზადება ან გამოცდები?... ისმის კითხვა, სად აქვთ ცოდნა მიღებული ამ ტრენერებს, შემთხვევით ჩემი სამოსანი თანაკურსელი, ძლივს რომ გადადიოდა კურსიდან კურსზე, ხომ არაა?“; „უხერხულია, როდესაც ხანდაზმული, 30-40 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგი პრაქტიკოსი მასწავლებელია, ხოლო 25 წლის ახალგაზრდა – უფროსი ან წამყვანი მასწავლებელი“; „გამოცდების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რატომ ტოვებს განათლების სამინისტრო ასეთ მასწავლებლებს სკოლაში და არ უშვებს სახლში? გამოცდაზე, ერთ საგანში ჩაჭრილ მოსწავლეს ხომ უატესტატოდ ტოვებენ? საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევაში, სკოლები პედაგოგების გარეშე დარჩებიან. მაშინ საკითხავია, რა საჭიროა საერთოდ ეს გამოცდები“; „პედაგოგის კომპეტენცია უნდა განისაზღვროს მხოლოდ დიპლომით. სხვა პარამეტრები ზედმეტია!“; „მასწავლებლის კომპეტენცია უნდა დგინდებოდეს, ძირითადად, ჩატარებული გაკვეთილების ხარისხით და ასევე მოსწავლეთა ცოდნის დონით აღნიშნულ საგანში“; „ის, ვინც ჩააბარა გამოცდა, გადალახა კომპეტენციის ზღვარი, ამის გამო შეიძლება კარგ მასწავლებლად ჩაითვალოს? – არა. შეიძლება ის პედაგოგი, ვინც ვერ გაიარა

ტესტირება, იქნებ, უკეთესად ასწავლიდეს მოსწავლეს? გამოცდების ჩაბარებას და კარგ მასწავლებელს შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ შეიძლება, ისინი იდენტური კატეგორიები არაა"; „პროფესიული უნარები „ახალი ხილია" ჩვენთვის. გამოცდის ვერჩაბარებას არ ვთვლი მასწავლებელთა „არაკომპეტენტურობად". პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენმა განათლების სისტემამ, მოულოდნელად, მყისიერად შემოიტანა სწავლების ახალი, განსხვავებული მეთოდები. იმაში, რომ მასწავლებელი გამოცდაზე ჩაიჭრა, ძირითადად, დამნაშავეა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც არ მიმდინარეობს სიახლეების დანერგვა"; „ის პედაგოგი, ვინც სერტიფიცირება გაიარა, ისეთივე გაკვეთილს ატარებს, როგორსაც ადრე ატარებდა. მისი გაკვეთილი არაფრით განსხვავდება გამოცდაზე „ჩაჭრილი" პედაგოგების გაკვეთილებისგან"; „პროფესიული უნარების ჩაბარებისას, ბევრი საკითხია ფსიქოლოგიიდან, რომლის ათვისება ძნელია"; „კომპეტენციის დასადასტურებლად საგამოცდო საკითხები საკმარისი არ არის"; „მასწავლებელი მუდმივად გამოცდებისთვის მზადებასა და კრედიტების დაგროვების მცდელობაშია, რის გამოც მოსწავლეები ყურადღების გარეშე რჩებიან"; „გამოცდების და კრედიტქულების სისტემა საერთოდ უნდა გაუქმდეს, მას პედაგოგისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს"; „გამოცდის ჩაბარება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის იქცევა მაღალი რანგის მასწავლებლად. პრაქტიკაში მასზე მეტი წარმატება შეიძლება ჰქონდეს არასერტიფიცირებულ პედაგოგს"; „ერთდროულად კრედიტქულების დაგროვება და ყოველდღიურად ხარისხიანი გაკვეთილების ჩატარება ძალიან ძნელი და დამღლელია. მასწავლებლები შრომატევად და დაუფასებელ სამუშაოს ვასრულებთ"; „გამოცდების ჩაბარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ მასწავლებლობას. შეიძლება, პედაგოგმა თეორიულად ყველაფერი კარგად იცოდეს და გამოცდებიც კარგად ჩააბაროს, მაგრამ, ამავე დროს, პრაქტიკულად გაკვეთილი ვერ ჩაატაროს მაღალ დონეზე, რადგან დასაშვებია, რომ მას არ ჰქონდეს გადმოცემის უნარი და ვერ ახერხებდეს საჭირო კონტაქტის დამყარებას მოსწავლეებთან. ყოფილა შემთხვევები, როცა მასწავლებელი მაღალი დონის ცოდნის მატარებელია, წარმატებით აბარებს ყველა სახის გამოცდას, მაგრამ პიროვნულად არ აქვს მაღალი ზნეობა, არ აქვს არავითარი ავტორიტეტი სკოლაში და საზოგადოებაშიც. ამავე დროს, სკოლაში მუშაობენ არასერტიფიცირებული მასწავლებლები, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, დადებით მაგალითს აძლევენ ახალგაზრდა თაობას"; „მასწავლებელი, რომელსაც სკოლაში მუშაობის 25 და მეტი წლის მუშაობის სტაჟი აქვს, ამ გამოცდით შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რადგან ეჭვის ქვეშ დგება მისი კომპეტენციის დონე. ამასთან ერთად, ამ სასერტიფიკაციო გამოცდებით ცხადდება, რომ სახელმწიფო არ ენდობა თავის უმაღლეს სასწავლებლებს იმაში, რომ ისინი სკოლებს კვალიფიციურ კადრებს უმზადებენ დ მათ

ცოდნას განმეორებით ამოწმებს“; „საგნის გამოცდას კიდევ არა უშავს, მაგრამ ეს პროფესიული უნარები არ შეიძლება ცოტათი გაამარტივონ? ძალიან ძნელი ასათვისებელია. ორჯერ გავედი გამოცდაზე, მაგრამ ვერ დავაგროვე სასურველი ქულები. მეტი აღარ მსურს გავიარო ეს უსიამოვნო წნეხი. თავს ძალიან დამცირებულად ვგრძნობ მოსწავლეთა წინაშე“; „ვერ გავიგე, გაკვეთილის ჩატარებაზე ვიფიქრო, თუ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაზე, ვერ გავიგე რა კავშირია კრედიტქულების დაგროვებასა და ტესტირებას შორის. თუ კრედიტქულების და სხვა სულელური აქტივობების გარეშე შემიძლია გამოცდის ჩაბარება, რა ჭირად მინდა ეს აბსურდული კრედიტქულები“; „ტრენინგები და უშუალოდ საგანი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არ არიან. როდესაც ტრენინგს ესწრები, სხვა სამყაროში გგონია თავი“; „გავიარე სხვადასხვა სახის ტრენინგი, რომლებშიც ვერაფერი ახალი ვერ მოვისმინე. ზოგი ტრენერი მოუმზადებელი, დაბნეული და არაპროფესიონალი იყო. გამოდის რომ, ტრენინგები მხოლოდ კრედიტქულების დაგროვებისთვისაა საჭირო“; „ტრენინგგავლილს გამოცდების ჩაბარება არ უნდა სჭირდებოდეს და ის უნდა ტარდებოდეს ნებაყოფლობით, მასწავლებელთა მოთხოვნით“; „ტრენინგები უშუალოდ სკოლებში უნდა ტარდებოდეს, მასწავლებლებისთვის მისაღებ დროს (მისი ხანგრძლივობაც დიდი არ უნდა იყოს)“; „ტრენინგები არ უნდა ტარდებოდეს არასამუშაო დღეებში“; „მასწავლებლის ხელფასი უნდა განისაზღვროს სკოლაში შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით და არა სერტიფიცირებით. რატომ უნდა იღებდეს არასერტიფიცირებელი მასწავლებელი ნაკლებ ხელფასს იმ სერტიფიცირებულ მასწავლებელთან შედარებით, რომელიც ნაკლებ დროს უთმობს მოსწავლეებთან მუშაობას“; „შრომატევად და არაფრისმომცემ კრედიტქულების დაგროვებას, პირდაპირ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება მირჩევნია“; „კრედიტქულების დაგროვება პედაგოგისთვის დამამცირებელი საქმიანობაა“; „კრედიტქულების ასაღებად გაკვეთილის „სპექტაკლი“ უნდა დადგა, ამას კი ძალიან დიდი დრო სჭირდება. ფოკუსირება ხდება გაკვეთილის წარმართვის ფორმალურ მხარეზე, მოსწავლე კი ისევ „თამაშგარეშე“ მდგომარეობაში რჩება“; „კრედიტქულების დაგროვება „ქაღალდშემოქმედებაა“, უამრავი დოკუმენტაციის შევსებაა საჭირო“; „ეს ეგრეთ წოდებული „სქემა“ სრული იდიოტიზმია!!! ის დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს!!!“;

სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ რესპონდენტთა პასუხების გაცნობის შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვედგინა, თუ გამოკითხულ მასწავლებელთაგან, რამდენი აპირებდა მომავალში, სასერთიფიკაციო გამოცდების გზით, პედაგოგიური სტატუსის ამაღლებას. მათი პასუხები შემდეგნაირია: გამოცდების ჩაბარებას აპირებს რესპონდენტთა 43,3%, არ აპირებს 47,1%, ხოლო ამის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია 9,6%-ს.

ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გაგვერკვია ის დამოკიდებულება, რომლებიც გააჩნიათ ქ. ბათუმის საჯარო სკოლების პედაგოგებს, საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარე ე.წ. საგანმანათლებლო რეფორმებისადმი. ამ საკითხის ირგვლივ მასწავლებელთა თვალსაზრისების გასაგებად მათ დავუსვით ღია კითხვა, რომლის შინაარსი ასეთია – „საქართველოში წლების განმავლობაში სხვადასხვა ხელისუფლება ახორციელებდა, არაერთგვაროვანი სახის სასკოლო რეფორმებს. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი თვალსაზრისი ამ რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ“.

ქვემოთ გავეცნობით რესპონდენტთა პასუხებს ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით: „ყველა მთავრობა გაიძახის, რომ მისი სასკოლო რეფორმა საუკეთესოა და ის მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. სამწუხაროდ, რეალობა სულ სხვაა – სკოლამ დაკარგა ავტორიტეტი“; „ყველა საგანმანათლებლო რეფორმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს, რეფორმები არ მომწონს, რადგან მას არაკვალიფიციური პირები (სახელისუფლებო ნომენკლატურა) ახორციელებს. მათ განათლების სისტემის და სკოლის შესახებ არაფერი არ იციან, არავითარი შეხება არ აქვთ სკოლასთან, მის პრობლემებთან. ისინი სულ სხვა „სამყაროდან“ არიან მოსულები“; „საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმა კი არაა საჭირო, რაც ძირეულ ცვლილებებს ნიშნავს, არამედ მთავარი ამოცანაა მასში აღმოჩენილი ცალკეული ხარვეზების დროული აღმოფხვრა. ჩვენთან რეფორმა ესმით, როგორც საგანმანათლებლო სისტემის კარდინარული, ძირფესვიანი შეცვლა და ძველის საერთოდ უარყოფა. ამ დროს სწავლების ძველი მეთოდები, ხშირ შემთხვევაში, უფრო ეფექტიანია“; „სააკაშვილის დროინდელ სკოლაში, ყველაზე უარყოფითი იყო ტრიმესტრული სწავლება – მოსწავლეს მე-3 სემესტრში აღარ ახსოვდა, რა ისწავლა პირველ სემესტრში. დადებითად მიმაჩნია საატესტაციო გამოცდების შემოღება – მოსწავლე უფრო მობილიზებული ხდება“; „ყოველ წელს სად გაგონილა რეფორმები? ვიცოდეთ მაინც, საიდან არის გადმოღებული ეს უსარგებლო და გაუთავებელი ე.წ. რეფორმები?“; „ამ, ვითომ „რეფორმებმა“ სახელმძღვანელოების ხარისხი გააუარესა – ისინი შინაარსობრივად დაბალი დონისაა, თანაც გადატვირთულია უამრავი მდარე ხარისხის ილუსტრაციით“; „არც ერთი რეფორმა, ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“; „რეფორმა აუცილებელია, მაგრამ ასეთმა მკვეთრმა, გამუდმებულმა ცვლილებებმა დააბნია სკოლაც და მასწავლებელიც“; „უარყოფითი საგანმანათლებლო სისტემაში იყო სააკაშვილის დროს, ინგლისურ ენაში ე.წ. „მოხალისე“ მასწავლებლების მოყვანა, რომელთაგან პედაგოგიური განათლება თითქმის არავის ჰქონდა. იცოდნენ მხოლოდ „ქუჩის ინგლისური“. ჩვენი პედაგოგები მათზე ათი თავით მაღლა დგანან“; „რეფორმების უარყოფით მხარედ

მიმაჩნია ის ფაქტორი, რომ გამოცდაზე „ჩაჭრილი“ მასწავლებელი სკოლაში „ჩამოქვეითებულთა“ კატეგორიაში გადადის და ხშირად მოსწავლეთა მხრიდან დაცინვის ობიექტი ხდება“; „რეფორმები ნაჩქარევი და მოუმზადებელი იყო. საჭიროა რეფორმის სკოლაზე მორგება და არა „რეფორმა რეფორმისთვის““; „რეფორმების დადებითი მხარეა სკოლების კომპიუტერიზაცია და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, უარყოფითი – მასწავლებლის როლი დაკნინება სასწავლო პროცესში“; „რეფორმებში დადებითია მოსწავლეებზე სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა, უარყოფითი – მოსწავლეებისთვის ზედმეტი უფლებების მიცემა“; „ყველა რეფორმის მთავარი უარყოფითი მხარეა ის, რომ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მრავალათასიანი პედაგოგთა კორპუსის აზრი რეფორმის წარმართვის თაობაზე“; „რეფორმები იმდენად სპონტანური იყო, რომ მასში ჩაღრმავების საშუალება არ მოგვცა“; „სხვადასხვა დროს განხორციელებული რეფორმების ძირითადი დებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ“; „არც ერთ რეფორმას არც ჩემთვის და არც ერთი მასწავლებლისთვის სიკეთე არ მოუტანია“; „ხელისუფლების ცვლას არ უნდა მოსდევდეს მორიგი სასკოლო „რეფორმა“. ცივილიზებულ ქვეყნებში საგანმანათლებლო ცვლილებები ხელისუფლების ცვლასთან არანაირ კავშირში არ არის. მაწუხებს ამ ე.წ. რეფორმების დროებითი ხასიათი. როგორ შეიძლება ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, წამდაუწუმ იცვლებოდეს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა. ვერ ვასწრებთ ერთ რეფორმაზე მორგებას, რომ იწყება ახალი. ეს აუტანელი რამაა პედაგოგებისთვის“; „დადებით მომენტად მიმაჩნია სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვა“; „ყველა რეფორმის მთავარ ნაკლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ვერა და ვერ მოხერხდა უმაღლესებში კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება. ამის დასტურია გამოცდებზე ჩაჭრილი უამრავი მასწავლებელი. ე.ი. გამოდის, რომ უნივერსიტეტები დიპლომიან, მაგრამ უვიც პედაგოგებს უშვებენ, რომლებსაც არავითარი ცოდნა არ აქვთ და შემდეგ სახელმწიფოს უწევს დამატებითი სახსრების დახარჯვა, რომ რაღაც ტრენინგების მეშვეობით ამ ვაიმასწავლებლების ცოდნის დონე „ასწიოს“ და გარკვეულ კონდიციამდე მიიყვანოს. ისმის კითხვა, რატომ არ ასწავლიან მომავალ მასწავლებლებს უმაღლეს სასწავლებლებში იმას, რასაც შემდეგ ტრენინგებზე გადიან? გამომდინარე აქედან, ჩემი აზრით, ყველა რეფორმის ძირითადი ნაკლია ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში არ არის უზრუნველყოფილი მაღალი დონის პედაგოგების მომზადება“; „რეფორმის ნაკლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ მინიმუმამდე შემცირდა სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკა. უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ ფაკულტეტებზე მომავალ მასწავლებლებს არაერთგვაროვანი პროგრამებით ამზადებენ, რომლებიც, ზოგჯერ, უცხოეთიდან მექანიკურად არის გადმოღებული და არ ესადაგება

ჩვენს საგანმანათლებლო სპეციფიკას“; „ყველაზე გამაღიზიანებელი სააკაშვილის დროინდელი „რეფორმები“ იყო. მაგ. ისეთი გაუგონარი სისულელე, როგორიც ე.წ. ლოტოტრონი იყო (ე.ი. სკოლის დირექტორების შემთხვევითობის პრინციპით დანიშვნა)“; „რეფორმები“ და „რეფორმატორები“ მალ-მალე იცვლებოდნენ – სანამ მიესადაგებოდი ერთ რეფორმას, ის არასაჭირო ხდებოდა და უნდა მორგებოდი სხვას, რომელიც ასევე იცვლებოდა მორიგი „რეფორმით“ და ასე უთავბოლოდ... დავიღალეთ!“; „ჩემს დროს გატარებული არც ერთი რეფორმა წარმატებული არ ყოფილა. ამ „რეფორმების“ მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს რეფორმები. არაფერი კარგი მასწავლებლებისთვის მას არ მოუტანია. ერთადერთ დადებით მომენტად ვთვლი მანდატურის სამსახურის შემოღებას“; „ამ რეფორმებმა ყველაფერი მოშალეს სკოლებში, განსაკუთრებით მოსწავლეთა დისციპლინა. მათი თავაშვებულობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება“; „ყველა რეფორმა ჩავარდა. მასზე დილეტანტები მუშაობდნენ. რეფორმებზე მხოლოდ განათლების დარგის სპეციალისტებმა უნდა იმუშაონ, თანაც ისეთებმა, რომლებსაც მაღალი თეორიული ცოდნის გარდა, აქვთ მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება“; „არც ერთ რეფორმას არ უზრუნია მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებაზე. პირიქით, ისინი ყველა ე.წ. რეფორმაში მოიაზრებიან მხოლოდ „საცდელ ობიექტებად“; „რეფორმები საჭიროა, მაგრამ ისინი უნდა იყოს დასაბუთებული და სრულყოფილი, რადგანაც ეს ვერ ხერხდება, ამიტომ ხდება მისი ხშირი ცვლა“; „ყველა რეფორმა უვარგისი იყო, რადგან მათი განხორციელების პროცესში უამრავი ნაკლი გამომჟღავნდა. სინამდვილეში ეს რეფორმები კი არ იყო, არამედ პირიქით – დეფორმები“; „რეფორმებმა გამოიწვია დაპირისპირება პედაგოგებს შორის, რადგან გამოცდების შედეგად ბევრ პედაგოგს სტატუსი ჩამოუქვეითდა (ზოგმა ამის გამო სამუშაოც კი დაკარგა)“; „რა რეფორმაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა განათლების მინისტრებად სააკაშვილის დროს პროკურორები და ციხეების უფროსები იყვნენ (ნ. გვარამია და დ. შაშკინი). როგორ უნდა ყოფილიყვნენ ისინი განათლების სისტემის ხელმძღვანელებად, როდესაც მათ მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ამ სფეროზე, მის სპეციფიკაზე“; „ამ ე.წ. რეფორმების შედეგია მოსწავლეთა დისციპლინის და აკადემიური მოსწრების ძალიან დაბალი დონე“; „რეფორმების დაწყების დღიდან მიმდინარეობს დავა, არის თუ არა ეს რეფორმები სიკეთის მომტანი ქართული სკოლისთვის? ჩემი აზრით – არა. საქმე იმაშია, რომ ამ რეფორმების ძირითადი პოსტულატები აღებულია სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რომლებიც, ძირითადად, არ მიესადაგება ჩვენს სინამდვილეს. ეს პროგრამები არ ითვალისწინებენ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის სპეციფიკას, ამასთან ერთად, მის შედგენაში არ მონაწილეობდნენ ამ დარგში

მომუშავე, ეროვნული ორიენტაციის მქონე სპეციალისტები. მათ გარეშე კი მივიღეთ არასრულყოფილი, რაღაც ზოგადი და არა ქართველ მოსწავლეებზე გათვლილი პროგრამები, რომლებმაც ჩვენთან ვერ „იმუშავეს“; „ეს „რეფორმები“ საბიუჯეტო სახსრების უაზროდ გაფლანგვაა. მათ არავითარი შედეგი არ მოუტანიათ. დღევანდელი ჩვენი სწავლების სისტემა, ძალიან ჩამორჩება საბჭოთა პერიოდის სასწავლო პროცესს“; „რეფორმებმა მხოლოდ გაუგებრობა მოიტანა. იმდენად ხშირად იცვლება მისი პირობები, რომ მასწავლებლებს ამ ე.წ. რეფორმების თავისა და ბოლოს გარჩევა გვიჭირს“; „რეფორმის განხორციელებას წლები სჭირდება, სააკაშვილმა კი მოინდომა ხელის ერთი მოსმით, მყისიერად განეხორციელებინა ის. მაგალითად, თავი რომ მოეწონებინა თავისი უცხოელი პატრონებისთვის, თუ როგორ სწრაფად აღწევს ის დასახულ მიზნებს, მან განათლების სფეროში განახორციელა „საოცარი“, მსოფლიოსთვის „გამაოგნებელი“ რამ – ჩამოიყვანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ე.წ. „მოხალისე“, ინგლისურენოვანი ფსევდომასწავლებლები, რომელთაგან ენის სპეციალისტი თითქმის არც ერთი არ ყოფილა და მათი მეშვეობით შეეცადა უმოკლეს დროში, 1-2 წელიწადში, საქართველოს სკოლებში მოსწავლეები ინგლისურად „აეჭიკჭიკებინა“, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ეს „გენიალური პროექტი“ ჩაიშალა, არავითარი შედეგი მას არ მოჰყოლია – ინგლისური იმაზე მეტი, რასაც ჩვენი პედაგოგები ბავშვებს ასწავლიან, მათ მოსწავლეებისთვის არ აუხსნიათ. სანაცვლოდ კი წყალს იქნა გატანებული მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები“; „მე გამოცდილი, დიდი პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელი ვარ. არავითარი „რეფორმა“ მე არ მჭირდება, ისედაც ძალიან კარგად ვიცი, როგორ ვასწავლო ჩემი საგანი, ამ საქმეს ვემსახურები მთელი ჩემი ცხოვრება“; „ასეთი, მუდმივად ახალი „რეფორმების“ გატარება, მასწავლებელს მუშაობის სტიმულს უკარგავს. ის თავის მომავალს შიშით უყურებს, იმიტომ რომ, არ იცის, დარჩება თუ არა სამსახურში კიდევ ერთი „წარმატებული რეფორმის“ შემდეგ“; „რეფორმის ყველაზე უარყოფითი შედეგად მივიჩნევ მასწავლებელთა დახარისხებას სტატუსების მიხედვით“; „არც ერთი ე.წ. რეფორმა არ იყო სკოლის ინტერესებს მორგებული. ამიტომ ის მალე „იშიფრებოდა“ როგორც უვარგისი და ხდებოდა მისი ჩანაცვლება მორიგი „ნოვაციური“ ხასიათის „რეფორმით“; ამ ე.წ. სასკოლო რეფორმებმა მასწავლებელი და მოსწავლე „საცდელ ვირთხებად“ აქცია, სკოლა კი – საექსპერიმენტო ლაბორატორიად“; „ჩემი აზრით, არა მარტო ჩვენ, არამედ თვითონ „რეფორმატორებსაც“ არაფერი გაეგებათ თავიანთი „რეფორმების“. როგორც გაუხარდებათ ისე „ჭრიან და კერავენ“ ყველაფერს. დღეს რაღაცას დანერგავენ საგანმანათლებლო სისტემაში, ხვალ კი თავიანთ გადაწყვეტილებას ცვლიან უფრო „პროგრესული“ სიახლით. ჩვენ კი, პედაგოგებს, ამ „რეფორმების“ კრიტიკის უფლება არ გვაქვს. მასწავლებლებს მხოლოდ იმის

„უფლება“ დაგვიტოვეს, რომ მათ „ფეხის ხმას“ ავყვეთ, დანარჩენს არავინ არაფერს არ გვეკითხება“; „არც ერთი საგანმანათლებლო „რეფორმა“ არ იყო წარმატებული. მისი ხშირი ცვლა ამას ადასტურებს. ერთი „რეფორმა“ არ იყო დამთავრებული, იწყებოდა შემდეგი. ყოველი მორიგი მინისტრი, როგორც უნდოდა, ისე „ნერგავდა“ წინაზე უკეთეს „ნოუ-ჰაუს“. მოკლედ, ხელისუფლება მასწავლებლებს დაგვცინის“; „არ შეიძლება განათლების სისტემის რეფორმა ხორციელდებოდეს მხოლოდ „ზემოდან“, ხელისუფლების მხრიდან. მისი ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც განათლების დარგში მომუშავე სპეციალისტების, ასევე საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების წინადადებები და რეკომენდაციები“; „რეფორმის უარყოფითი მხარეა 12-წლიანი სწავლების შემოღება და გრიფირებული სახელმძღვანელოების სიმრავლე“; „რა საკვირველია, ნებისმიერი საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრში მოსწავლე უნდა მოიაზრებოდეს და მათ საკეთილდღეოდ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, სასკოლო რეფორმებმა მოსწავლეებს საკმაოდ ბევრი დაუმსახურებელი პრივილეგიები და უფლებები მიანიჭა, რამაც ხელი შეუწყო მათ გათავხედებას პედაგოგებთან დამოკიდებულებაში და, საბოლოოდ, მივიღეთ „საცოდავი და შეშინებული“ მასწავლებელი“; „რეფორმის მოთხოვნა, ტრენინგებისა და გამოცდების ჩატარების თაობაზე ჩემთვის მისაღებია, მაგრამ სხვა დამატებითი აქტივობები: გარე დაკვირვება, კვლევა (მასწავლებელი ისედაც მუდმივ კვლევასა და ძიებაშია), ვიდეოგაკვეთილების ჩატარება და ა.შ., აშკარად ზედმეტია. მათზე დიდი დრო იხარჯება, რის გამოც მასწავლებელი იძულებულია, ყურადღება მიაკლოს მოსწავლეების სწავლასა და აღზრდას“; „რეფორმის დადებით მხარედ ვთვლი სკოლის შენობების, სასკოლო ოთახების კეთილმოწყობას, მისი ახალი ინვენტარით შევსებას, კომპიუტერიზაციას“; „რეფორმის უარყოფითი მხარეა ერთ საგანში სხვადასხვა სახელმძღვანელოს არსებობა. საბჭოთა პერიოდში საგანში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო იყო და მის საფუძველზე უამრავი დიდი ქართველი მეცნიერი აღიზარდა. ახლა სკოლებში უამრავი ავტორის წიგნია და როცა ბავშვი სხვა სკოლაში გადადის, იქ ხვდება განსხვავებული პროგრამული მასალა. ამის გამო უჭირთ მოსწავლეებსაც და პედაგოგებსაც. ამასთან ერთად, რეფორმის უარყოფითი მხარეა ის, რომ პირველ კლასში, როცა ბავშვმა ქართული ანბანი არ იცის, აწყებინებენ ინგლისურის შესწავლას. ეს სრული მარაზმია“; „რეფორმებს დადებითზე მეტი უარყოფითი მხარე აქვს. მთავარი ნაკლი კი ის არის, რომ არ არსებობს განათლების ერთიანი გრძელვადიანი კონცეფცია. ის ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, წარამარა იცვლება. ასე, განათლების კუთხით შორს ვერ წავალთ, მუდამ ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის ვიქნებით“;

საგანმანათლებლო რეფორმებთან დაკავშირებული თემატიკის უფრო სრულად წარმოსაჩენად, რესპონდენტებს დავუსვით შემდეგი სახის შეკითხვა – „საქართველოს განათლების სისტემა სხვადასხვა, ზოგჯერ გაურკვეველი ხასიათის ექსპერიმენტების ასპარეზად ხომ არ იქცა?“ – ამ ნახევრად ღია ტიპის შეკითხვაზე (ამ შემთხვევაში სტანდარტიზებული პასუხების გარდა, რესპონდენტმა ტექსტურად შეიძლება დააფიქსიროს განსხვავებული აზრი) გამოკითხულებმა შემდეგნაირად უპასუხეს: მათი 45,3% საქართველოში სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ექსპერიმენტების ჩატარებას უარყოფითად აფასებს, 24,5% კი ფიქრობს, რომ რეფორმის ფარგლებში საქართველოს სკოლებში ჩატარებული ექსპერიმენტები დადებითად აისახა საგანმანათლებლო პროცესზე; რესპონდენტთა 25,2%-ს არ აქვს პასუხი ამ შეკითხვაზე, ხოლო 5,0% უფრო გაშლილი, ფართო სახით წარმოაჩენს თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს: „ეს რეფორმები კი არა, ექსპერიმენტებია, თანაც წარუმატებელი, რადგან არ იციან, თუ მისი განხორციელება რა შედეგს მოუტანს განათლების სისტემას. ჩვენთან განხორციელებული ექსპერიმენტები, რომლებსაც ხელისუფლება რეფორმად ასაღებს, „გვირაბის ბოლოს შუქს ვერ დაგვანახებს“; „განათლების სისტემა არ უნდა იყოს ექსპერიმენტების ასპარეზი. აქ უნდა ინერგებოდეს მხოლოდ დიდი ხნის განმავლობაში აპრობირებული, წარმატებული პროექტები“; „მასწავლებლებს და მოსწავლეებს უფრო ხშირად უტარებენ ექსპერიმენტებს, ვიდრე ცხოველებს“; „რატომ გვიკვირს ექსპერიმენტების ჩატარება სკოლებში, როცა მთელი ქვეყანა აქციეს საექსპერიმენტო ბაზად“; „ზოგადად, სიახლეები და ექსპერიმენტები კარგია, მაგრამ გააჩნია ექსპერიმენტს. თუ ექსპერიმენტი დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე, მაშინ მე მისი მომხრე ვარ, ხოლო თუ არაფერს არ ცვლის, მაშინ რა საჭიროა მისი ჩატარება“; „საგანმანათლებლო სივრცეში, ყოველ ახალ მთავრობას ახალი ექსპერიმენტების ჩატარება მოდად ექცა. განათლების ყოველი ახალი მინისტრი, თავის საქმიანობას თავისი „ექსკლუზიური“ ექსპერიმენტის ჩატარებით იწყებს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, სრული ფიასკოთი მთავრდება“; „ყველაზე უარყოფითად, საქართველოს სკოლებში, მათ შორის ქ. ბათუმის საჯარო სკოლებში, უცხოეთიდან მოწვეულ, ინგლისური ენის ე.წ. „მასწავლებლების“ შემოყვანის ექსპერიმენტს ვაფასებ. მე თვითონ ამ საგანს ვასწავლი. გულმოდგინედ ვაკვირდებოდი მათ და დავრწმუნდი იმაში, რომ მათ კარგად მხოლოდ ყოფითი, „ქუჩის“ ინგლისური იცოდნენ, ხოლო ინგლისურ ლიტერატურაში და გრამატიკაში ნაკლებად ერკვეოდნენ. არც ერთ მათგანს არ გასჩენია ქმედითი სურვილი ან მისწრაფება, რეალურად დახმარებოდა ჩვენს ბავშვებს ენის ათვისებაში. ეს ექსპერიმენტი სინამდვილეში სპექტაკლი იყო, რომელიც სააკაშვილმა მხოლოდ იმიტომ დადგა, რომ თავი მოეწონებინა თავისი

უცხოელი „პატრონებისთვის“. ამ მასკარადს კი ბიუჯეტის ანუ ხალხის ფული შეეწირა, შედეგი კი ნულს უდრის“; „უცხოეთიდან ჩამოყვანილი, ინგლისური ენის ამ „მოხალისე“ მასწავლებელთა უმეტესობა საერთოდ არ იყო მასწავლებელი (არ ჰქონდათ შესაბამისი სერტიფიკატი). ისინი ინგლისურად მოსაუბრე, სხვადასხვა ეროვნების და სხვადასხვა სპეციალობის პირები იყვნენ. მათი ცოდნის დონე აშკარად ჩამოუვარდებოდა ჩვენი მასწავლებლების ცოდნის დონეს. ეს „ექსპერიმენტი“ სააკაშვილს არ ჩაუტარებია ინგლისურ ენაში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. ეს ქმედება იყო ევროპასთან და ამერიკასთან დაახლოების „საჩვენებელი აქტი“ და არა საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმებისთვის მიმართული ღონისძიება“; „საქართველოს განათლების სისტემამ დაკარგა დამოუკიდებლობა, ის გადაიქცა არასამთავრობო ორგანიზაციების გაურკვეველი ხასიათის ექსპერიმენტების სფეროდ. ამის ნათელი მაგალითია, ინგლისური ენის „მოხალისე“ მასწავლებლების შემოყვანა საქართველოს სკოლებში. არავითარი შედეგი მათ „მასწავლებლობას“ არ მოჰყოლია, თანხები კი მათ შენახვაზე და გართობაზე ბლომად დაიხარჯა (ეს ფული ჯობდა ხელმოკლე მასწავლებლებისთვის მიეცათ დახმარების სახით)“; „დიახ, ექსპერიმენტების ასპარეზად იქცა განათლების სისტემა, რამაც ძალიან დააზარალა ქვეყანა. შედეგად რა მივიღეთ? – უწიგნური ერი. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ სახელმწიფოდ ვერასოდეს შევდგებით და ვეღარც ეროვნულ იდენტობას შევინარჩუნებთ... განათლებული ერი თუ გადაარჩენს ქვეყანას“; „განათლების სისტემაში უნდა ტარდებოდეს არა ექსპერიმენტი, არამედ უნდა ინერგებოდეს ისეთი სახის ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდები, რომელიც წინ წასწევს სწავლების პროცესს და აამაღლებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს. განათლების სისტემაში დანერგილ ყველა სიახლეს არ შეიძლება რეფორმა ეწოდოს. ამის მაგალითად გამოდგება დაწყებითი კლასის სასწავლო პროგრამიდან ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ ამოღება და მისი ჩანაცვლება მდარე ხარისხის სახელმძღვანელოებით (მაგ. ვიღაც როდონაიას წიგნით). ამას მე უკანგადადგმულ ნაბიჯად მივიჩნევ“; „საქართველოში სხვადასხვა სახის სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარებას, სჯობს წარჩინებული მასწავლებლები ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით, საზღვარგარეთ მივავლინოთ“.

როგორც ცნობილია, სკოლებში არცთუ ისე სახარბიელო დონეზეა მოსწავლეთა დისციპლინა. ამ საკითხის ირგვლივ მასწავლებლებს დავუსვით შეკითხვა იმის თაობაზე, თუ „როგორ შეაფასებდნენ ისინი მოსწავლეთა დისციპლინის დონეს თავიანთ სკოლაში?“ მათი პასუხები შემდეგნაირია: რესპონდენტთა მხოლოდ 2,3% ფიქრობს, რომ მოსწავლეთა დისციპლინა საკმაოდ მაღალ დონეზეა;

გამოკითხულთა 54,2%-ის აზრით, მოსწავლეთა მხრიდან ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს, მაგრამ მთლიანად ის საკმაოდ მაღალ დონეზეა; 43,5%-ის შეხედულებით კი, დისციპლინა სკოლებში დაბალ დონეზეა. ამ შეკითხვასთან თემატურ კავშირშია შემდეგი შეკითხვაც – „მოსწავლეებს გადამეტებული უფლებები ხომ არ აქვთ მინიჭებული?“ – რესპონდენტთა 81,0%-ის აზრით, მოსწავლეებს გადამატებული უფლებები მისცეს; 13,9% კი ფიქრობს, რომ – არა. გამოკითხულთა 5,1%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებელთა ნაწილმა დამატებითი ინფორმაცია მოგვცა, რომელიც საკმაოდ კრიტიკული ხასიათისაა: „დისციპლინა სკოლაში საერთოდ მოშლილია. ბავშვებს არ აქვთ პედაგოგების არც რიდი და არც შიში. უდისციპლინო ბავშვების მოთოკვის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. მშობლების უმეტესობა არ აგებს პასუხს შვილის ქცევაზე“; „რადგან სკოლაში დისციპლინა საკმაოდ დაბალია, მხოლოდ სკოლა, მშობლების ჩართულობის გარეშე, ვერ შეძლებს წესრიგის დამყარებას“; „დისციპლინის მხრივ სკოლაში კატასტროფული მდგომარეობაა“; „დისციპლინის დაბალი დონე გამოიწვია, მოსწავლეებისთვის გადამეტებული უფლებების მინიჭებამ“; „სკოლაში საჭიროა ფსიქოლოგი, რათა მან უკვე დაწყებით კლასებში, იმთავითვე „აღმოაჩინოს“ გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვები“. „დისციპლინის დონე დაბალია იმიტომ, რომ მასწავლებლებს არ გვაქვს უფლება, მოსწავლეს შენიშვნა მივცეთ“; „დისციპლინა სკოლაში მოსწავლეებს შორის არადამაკმაყოფილებელია, რაც ძირითადად ადმინისტრაციის ბრალია“; „სკოლაში დისციპლინა დაბალია. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ მათ იციან თავიანთი უფლებები, მაგრამ არ იციან მოვალეობები. მოსწავლეებს გათავისებული აქვთ, რომ რაც არ უნდა „იცუღლუტონ“, მათ საქციელს ყოველთვის გაამართლებენ და მასწავლებელს გაამტყუნებენ“; „მოსწავლეები აშავებენ იმ დოზით, რა დოზითაც ამის საშუალებას მათ აძლევს სკოლის ადმინისტრაცია“; „მოსწავლეებს, სააკაშვილის დროს, ამ ფსევდორეფორმატორებმა ყველაფრის უფლება მისცეს. მათთან გასამკლავებლად დიდი შრომა გვიწევს“.

რაც შეეხება მოსწავლეთა გაზრდილ უფლებებს, ამის თაობაზე რესპონდენტებს შემდეგი შეხედულებები აქვთ: „მოსწავლეთა გაზრდილმა უფლებებმა სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინა საკმაოდ შეასუსტა“; „მოსწავლეებს განუსაზღვრელი უფლებები მისცეს, რამაც ბევრი მათგანი გაათავხედა“; „ზედმეტი უფლებები მიეცათ არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მშობლებსაც“; „უფლებებზე კი არ არის საქმე, არამედ მოსწავლის ზნეობრივ სახეზე. ბევრი მათგანი, უბრალოდ, გაუზრდელი და თავხედია. უფლებები რა შუაშია? გაუზრდელ ადამიანს გინდ მიეცი უფლებები, გინდ არა, ის მაინც თავისას გააკეთებს“; „მოსწავლეთათვის

გადამეტებული უფლებების მიცემა, გადაიზარდა მასწავლებელთა დაუფასებლობაში“; „მასწავლებლის უფლებების დაკნინებას მოჰყვა მოსწავლეთა უფლებების ზრდა“; „მოსწავლეთა გადამეტებული უფლებები, მათი სწავლის დონეზე აისახა – ის დაბალია. მოსწავლე უფლებებით მანიპულირებს და გვეუბნება: ჩემი უფლებაა, როგორ ვისწავლი – კარგად თუ ცუდად, ეს სხვისი საქმე არ არისო“; „უფლებები რომ იციან მოსწავლეებმა, კარგი იქნება მოვალეობებიც იცოდნენ“; „მოსწავლეთა უფლებების გაფეტიშება არასამთავრობო ორგანიზაციების დამსახურებაა. მათ მიერ მიმდინარეობს მოსწავლეთა ზომბირება, ისინი უფლებების თაობაზე საკუთარ „ლიბერალური“ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე თვალსაზრისს ახვევენ თავზე მოსწავლეებს. მოსწავლის უფლებებზე ამ არასწორი ხედვის ფორმირებას ხელს უწყობს საგნები: „სამოქალაქო განათლება“, და „მე და საზოგადოება“. დამნაშავეა განათლების სამინისტროც, რომელიც უცხოური, ანტიქართული დირექტივების და ინსტრუქციების ტყვეობაშია“; „დროა, განათლების სამინისტრომ ჩამოაჭრას მოსწავლეებს გადამატებული უფლებები“; „მოსწავლეებს სინამდვილეში ამდენი უფლება არ აქვთ მინიჭებული. ეს მათ თვითონ მიიწერეს მშობლების წაქეზებით“; „დისციპლინას არღვევს არა ყველა მოსწავლე, არამედ მათი, ასოციალური ქმედებებისკენ მიდრეკილი ნაწილი. მათ თავი რაღაც ელიტურ კასტად წარმოუდგენიათ. ისინი სისტემატურად აცდენენ გაკვეთილებს, ბილწსიტყვაობენ, უხეშად ექცევიან როგორც მასწავლებლებს, ასევე თანაკლასელებს. თუ მათ მიმართ რაიმე სახის სანქციები არ გატარდა, შეიძლება სიტუაცია დისციპლინის მხრივ უფრო გაუარესდეს“; „სკოლაში წესრიგს არღვევენ ე.წ. მომველბიჭო ყოჩები, ვითომ მოსწავლეები, სინამდვილეში კი – კრიმინალები. ცუდია ის, რომ ისინი თავიანთი ნეგატიური გავლენის ქვეშ აქცევენ მოსწავლეთა საკმაოდ დიდ ნაწილს“; „მოსწავლე, ფაქტობრივად, თვითმმართველია და თვითდინებაზეა მიშვებული. მშობელთა უმეტესობა შვილებს, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებს“; „ვიდრე პედაგოგი უუფლებო და დაუცველია, სკოლაში დისციპლინა არ დამყარდება“; „თუ გვინდა წესრიგი სკოლაში, უნდა მივყვეთ ხალხურ სიბრძნეს – „ნუ გენაღვლების სწავლაზე, ყრმის წკეპლით ცემის კივილი...“

უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გახშირდა ძალადობის ფაქტები სკოლებში. ამ საკითხთან პედაგოგების დამოკიდებულების გასარკვევად, ჩვენ მათ დავუსვით შემდეგი შეკითხვა – „ბოლო დროს სკოლებში გაიზარდა ძალადობის შემთხვევები მოსწავლეთა შორის (არის მათი მკვლელობის ფაქტებიც). თქვენ როგორ ფიქრობთ, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, რა ზომები უნდა იქნას გატარებული?“ – რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირია: გამოკითხულთა 26,2%-ის აზრით, სკოლებში უნდა გაიზარდოს მანდატურების უფლებამოსილება; 12,3% ფიქრობს, რომ სკოლებში მანდატურებთან ერთად წესრიგს პოლიციელებიც და

დაცვის თანამშრომლები უნდა იცავდნენ; 36,2% სკოლაში დისციპლინის დაცვის მიზნით მშობლების ჩართვის მომხრეა; 7,7%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო კვლევაში მონაწილეთა 17,6%-მა განსხვავებული, უფრო ფართო კომენტარი გააკეთა ამ საკითხის ირგვლივ.

ქვემოთ გთავაზობთ მათ ზოგიერთ მოსაზრებას: „ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელია. ჩემი აზრით, კომპლექსური მუშაობაა საჭირო ბავშვებთან – მათთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ფსიქოლოგებს, სამართალდამცველებს, პოლიციას, სასულიერო პირებს და ა.შ.“; „სკოლაში ძალადობის მთავარი მიზეზია ის, რომ აქ ოჯახებიდან მოდიან ცუდად აღზრდილი ბავშვები, რომლებსაც ელემენტარული ზრდილობა და კულტურა არ გააჩნიათ. მათ არ იციან სხვასთან ნორმალური ურთიერთობა და არც სხვისი აზრის გათვალისწინების სურვილი აქვთ“; „თუ სკოლაში სწავლება საინტერესო იქნება, ბავშვებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ ცუღლუტობისთვის“; „ძალადობის დონის შესამცირებლად, სკოლაში ბავშვებთან ფსიქოლოგები უნდა მუშაობდნენ“; „სკოლაში მოსწავლეთა ძალადობაზე და დისციპლინაზე პასუხისმგებლობა მშობლებმაც უნდა გაიზიარონ. მარტო სკოლა ვერაფერს გახდება“; „დღევანდელ დღეს, მოსწავლეთა ქცევაზე, დიდ გავლენას ახდენს ტელევიზია და ინტერნეტი, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ძალადობის სცენებს. საჭიროა, ასეთი შინაარსის გადაცემები აიკრძალოს“; „სკოლებში უნდა ტარდებოდეს გაკვეთილები ძალადობის წინააღმდეგ“; „სკოლაში ძალადობას ერთობლივად უნდა ებრძოდნენ სკოლის დირექცია, პედაგოგები, მანდატურები და მშობლები. სხვანაირად ეს პრობლემა არ გადაიჭრება“. „ამ საქმეში ფსიქოლოგების ჩართვის გარეშე, არაფერი არ გამოვა“; „შეუშვან სკოლებში სასულიერო პირები და შესაძლებელი გახდება სკოლებში სიმშვიდის დამყარება“; „სახელმწიფომ და პედკოლექტივმა, სკოლებში ძალადობის შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, უნდა გაატარონ პრევენციული ღონისძიებები. ის მოსწავლეები, რომლებიც უხეშად არღვევენ წესრიგს და გამოირჩევიან აგრესიულობით, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიმართ, უნდა ჩამოაცილონ საჯარო სკოლებს. სწავლას საბოლოოდ რომ არ მოწყდნენ, მათთვის უნდა შეიქმნას საბჭოთა პერიოდში არსებული, ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სპეციალიზებული, დახურული ტიპის მსგავსი სასწავლებლები“; „სკოლებში მოსწავლეთა ძალადობა იმის შედეგია, რომ მოსწავლეებს მისცეს გადამეტებული უფლებები ვალდებულებების გარეშე. ამის შედეგია უდისციპლინობაც და მკვლელობებიც. ამას კი კიდევ ზედ ერთვის უწიგნურობა და უმეცრება“; „თუ არ შეიზღუდა მოსწავლეთა ზღვარგადასული უფლებები და მნიშვნელოვნად არ გაიზარდა მასწავლებელთა უფლებები, ძალადობა სკოლებში გაგრძელდება“; „მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას, მანდატურებს და მშობლებს არ აქვთ სათანადო გავლენა იმ

მოსწავლეებზე, რომლებიც მიდრეკილი არიან ძალადობისკენ. მოსწავლეთა მხრიდან ძალადობის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი არის ის ცუდი სოციალური გარემო (ხშირად ამ გარემოში მთავარ ფიგურებია კრიმინალური მენტალიტეტის მატარებელი ადამიანები), რომელთანაც ინტენსიურად ურთიერთობს წესრიგის მუდმივად დამრღვევი ესა თუ ის მოსწავლე. ასევე, ნეგატიურად მოქმედებს ასეთ მოსწავლეებზე მათი ოჯახების ცხოვრების ძალიან დაბალი დონე, რაც, ძირითადად, მშობლების უმუშევრობითაა გამოწვეული“; „სკოლებში, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, საჭიროა, შეიცვალოს არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული „რბილი“ კანონმდებლობა. ამისთვის აუცილებელია, არასრულწლოვან მოძალადეებს სასამართლომ საკმაოდ მკაცრად მოთხოვოს პასუხი თავიანთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, ძირითადად, შრომა-გასწორების კოლონიებში ან საპატიმრო ადგილებში მათი განწესების გზით“; „სკოლებში მოსწავლეთა ძალადობის შემცირებას ხელი შეეწყობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლებში მოსწავლეებთან სასაუბროდ ხშირად მივლენ საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები, რომლებიც, თავიანთი უშუალო საუბრებით, მოსწავლეთა ზნეობასა და საქციელზე მოახდენენ პოზიტიურ გავლენას“; „სკოლაში მოსწავლეთა ძალადობის პრობლემას მხოლოდ დასჯით ვერ მოვაგვარებთ. ვითარების გამოსწორება შეიძლება მოსწავლეებთან ყოველდღიური აქტიური მუშაობით, რომელშიც პედაგოგებთან ერთად ჩართული იქნებიან ქალაქის ავტორიტეტული პირები, ფსიქოლოგები, სამღვდელოება, მეცნიერები, შრომის ვეტერანები და ა.შ.“; „მოსწავლეთა ძალადობის ყველაზე დიდი მიზეზი არის მათთვის ზედმეტი უფლებების მინიჭება. გაოგნებული ვარ, სკოლაში მოსული ბავშვი, ნაცვლად იმისა, რომ სწავლაზე იფიქროს, მხოლოდ საკუთარ უფლებებზე საუბრობს“; „მოსწავლეთა ძალადობის მიზეზი ჩვენ, უფროსი თაობა ვართ. ჯერ ჩვენ უნდა „გავიზარდოთ“ სულიერად, რასაც, რასაკვირველია, მოსწავლეთა ქცევაზე ექნება დადებითი გავლენა. სკოლა ბავშვებისთვის ციხედ არ უნდა აღიქმებოდეს, ის ბავშვისთვის მეორე ოჯახად უნდა იქცეს. უნდა დავაბრუნოთ სკოლებში ღმერთი, რადგან ღმერთი სიყვარულია და თუ ასე ვიმოქმედებთ, სკოლებში მოსწავლეთა დანაშაულიც შემცირდება“; „ჩემი აზრით, მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევაზე უმთავრესს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დაბალი დონე და მაღალი უმუშევრობა, რაც ძალიან ნეგატიურად აისახება სკოლაზე და მოსწავლეთა ქცევაზე“; „ბავშვი, უმთავრესად, ოჯახში იზრდება და დროა, ყველამ გაიგოს, რომ გაუზრდელ მშობლებს, ძირითადად, მათი მსგავსი შვილები ჰყავთ“; „სკოლებში უნდა შეიქმნას ფსიქოლოგის სამსახური, რომელმაც უნდა გამოავლინოს არამყარი ფსიქიკის მქონე მოსწავლეები და იმუშაოს მათთან

დანაშაულის პრევენციის კუთხით“; „მოსწავლეთა შორის ძალადობის მთავარი ფაქტორია ის, რომ მათ „ზემოდან“ მისცეს ჭარბი უფლებები (ამასაც ევროპასთან დაახლოების აუცილებლობით ხსნიან), რასაც ბევრი მოსწავლე ბოროტად იყენებს“; „თუ მოსწავლის სამართლებრივი თვითშეგნება დაბალია, მის ქცევაზე გავლენას ვერც მასწავლებელი, ვერც მშობელი, ვერც მანდატური და ვერც ვერავინ ვერ მოახდენს. ასეთებს ციხე და კოლონიაც ვერ გამოასწორებს. მათ ძალადობისკენ მიდრეკილება გენებში აქვთ მოცემული“; „ძალადობას სკოლებში ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მასწავლებლებს ყოველგვარი უფლებები ჩამოგვართვეს. მოსწავლეზე არანაირი შენიშვნის მიცემის უფლებაც კი არ გაგვაჩნია. სამწუხაროდ, მოდის ძალიან აგრესიული ახალი თაობა“; „სკოლებში ძალადობის შემცირების მთავარ მიმართულებად მიმაჩნია, მოსწავლის ნებისმიერ გადაცდომაზე უმკაცრესი სანქციების დაწესება. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება კრიმინალური აზროვნების მოსწავლეების „მორჯულება“. სხვა, „რბილი“ ღონისძიებების გატარებამ მათ წინააღმდეგ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო“; „სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი შედეგის მოტანა შეუძლია მშობელთა სავალდებულო მორიგეობას სკოლებში“; „მოსწავლე სწავლისთვის, ცოდნის მისაღებად რომ მოდიოდეს სკოლაში, მას „მაიმუნობისთვის“ დრო აღარ დარჩება“;“ „სკოლა, ოჯახი, ეკლესია – მხოლოდ ამათი ერთობლივი საქმიანობა იხსნის მომავალ თაობას, მხოლოდ ისინი შეძლებენ, წინ აღუდგნენ ძალადობას მოზარდებში“.

სკოლაში დისციპლინის მდგომარეობა მჭიდროდ უკავშირდება იქ მანდატურთა ინსტიტუტის ფუნქციონირებას. მანდატურთა საქმიანობის შეფასების მიზნით, რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, თუ „როგორ აფასებენ ისინი მანდატურების საქმიანობას სკოლაში?“ მათი პასუხები შემდეგნაირია: მათ საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 80,0%, უარყოფითად 10,2%; ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი უჭირს 9,8%-ს. როგორც წინა შეკითხვებზე, აქაც მასწავლებლებმა სტანდარტული პასუხების შემდეგ, უფრო დეტალურად, ღიად გაგვანდეს თავიანთი შეხედულებები მანდატურის ინსტიტუტის შესახებ. ქვემოთ მოგვყავს მათი ზოგიერთი შეხედულება: „გააჩნია მანდატურებსაც. პედაგოგებმა ზუსტად არც კი ვიცით მათი უფლება-მოვალეობები“; „ერთი პერიოდი მანდატურებს გაზრდილი უფლებები ჰქონდათ სკოლაში, ახლა კი საერთოდ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს“; „სკოლაში მანდატურების არსებობა, მხოლოდ უმნიშვნელოდ ეხმარება სკოლას შინაგანაწესისა და დისციპლინის დამყარებაში“; „მანდატურები სკოლებში უნდა იყვნენ, მაგრამ არა მასწავლებლების შესამოწმებლად, არამედ მოძალადეებისგან მათი და მოსწავლეების დასაცავად“; „მანდატურების საქმიანობას უარყოფითად ვაფასებ. მანდატურების უმეტესობას არ აქვს ფიზი-

კური მომზადების მაღალი დონე (თანაც მათი საკმაო დიდი ნაწილი ქალია) და არც საბრძოლო ხელოვნებისა გაეგებათ რაიმე. სხვანაირად მოსწავლეს და მასწავლებელს მოძალადისგან ვერ დაიცავ. მათ არ იციან უსაფრთხოების ელემენტარული წესები. მანდატურების უმეტესობა აზრზე არ არის, თუ რას წარმოადგენს სკოლა, ბავშვის ფსიქოლოგია და ა.შ. ჩემი აზრით, მანდატურების ადგილი სკოლაში არ არის“; „საჭიროა მანდატურის უფლება-მოვალეობები მყარად ჩამოყალიბდეს. მისი წარამარა ცვლა პრობლემებს ქმნის“; „მანდატურები არც არაფერს აშავებენ და არც არაფერს აკეთებენ. ისინი სკოლისთვის ზედმეტი „ბარგია“; „მანდატურები სკოლებში უფრო მასწავლებლების გასაკონტროლებლად არიან, ვიდრე მოსწავლეებში დისციპლინის დასამყარებლად“; „სკოლებში მანდატურების არსებობა, ციხეებში ზედამხედველების სამუშაოს ჰგავს“; „მანდატურის ინსტიტუტი სკოლაში ვერაფერს შეცვლის დისციპლინის დამყარების საქმეში. უბრალოდ, გროვდება ქაღალდზე გაფორმებული ოქმები“; „არ იყო სკოლებში მანდატურები, მაგრამ სკოლის დირექცია კარგად უძღვებოდა აღმზრდელობით საქმიანობას მოსწავლეებში და დისციპლინაც საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. არ მგონია, მანდატურმა შეცვალოს კლასის დამრიგებელი, სკოლის ორგანიზატორი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში და მშობელი. მოსწავლის აღზრდაზე და ყოფაქცევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სკოლა და არა მანდატური“; „სააკაშვილის დროს მანდატურები მასწავლებელთა დამსჯელებად მოავლინეს სკოლებში. ახლა ვითარება შეცვლილია და ისინი მოსწავლეებზე გადაერთვნენ“; „მოსწავლეებს მანდატურების არ ეშინიათ და ამიტომ საკმაოდ ურჩობენ“; „მანდატურების სკოლაში შემოსვლა, არ აღმოჩნდა საკმაო შედეგის მომტანი მოსწავლეთა ქცევის დარეგულირების მხრივ“; „მანდატურებს უნდა გაეზარდოთ უფლებები. მოსწავლე დასჯას თუ იმსახურებს, სკოლის დირექცია და მანდატურები არ უნდა იყვნენ ამ მხრივ შეზღუდულები“; „მანდატურების სკოლაში შესვლის შემდეგ, მოსწავლეების უსაფრთხოება უფრო მეტად არის დაცული“; „მანდატური თვითკმარი ფიგურა არ უნდა იყოს. მისი მთავარი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს მასწავლებლებისთვის დახმარების აღმოჩენაში, კლასში დისციპლინის დამყარების საქმეში“; „სინამდვილეში, მანდატურის უფლებები საკმაოდ შეზღუდულია. მათაც, როგორც მასწავლებლებს, არ აქვთ ნებართვა, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ წესრიგის დამრღვევ მოსწავლეებს. კარგი იქნება, თუ სკოლის თითოეულ სართულს 2 მანდატური მაინც გააკონტროლებს (დღეს მათი ნაკლებობაა). სკოლებში დისციპლინის უკეთ დამყარების მიზნით, უნდა გაიზარდოს მამაკაცი მანდატურების რიცხვი. ქალებს უჭირთ უხეშ მოსწავლეებთან გამკლავება“.

სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების 10-ქულიანი სისტემა მოსწონს რესპონდენტთა 96,2%-ს, არ მოსწონს 3,8%-ს.

კითხვაზე – „ხომ არ აქვს ადგილი, მშობელთა მხრიდან, თქვენზე ზეწოლას, მათი შვილისთვის, თქვენს საგანში, აკადემიური შეფასების (ქულების) მომატებასთან დაკავშირებით?“. გამოკითხულ პედაგოგთა 87,3%-მა განაცხადა, რომ ასეთ ქმედებას მშობელთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ხოლო 12,7% ამბობს, რომ ასეთი სახის ქმედებას ადგილი ჰქონდა.

კითხვაზე – „როგორ აფასებთ მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის ექსტერიტორიულ პრინციპს, ანუ ჩარიცხვას საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების გარეშე?“ – რესპონდენტთა 44,2% ძალიან უარყოფითად აფასებს ამ ფაქტს. მათი აზრით, ამა თუ იმ სკოლაში ბავშვები უნდა ირიცხებოდნენ მხოლოდ მათი ბინადრობის ადგილის მიხედვით, ანუ იმის გათვალისწინებით, ცხოვრობს თუ არა მოსწავლე სკოლასთან ახლოს. გამოკითხულ პედაგოგთა 42,5%-ს მიაჩნია, რომ სკოლაში ჩარიცხვისას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ სად ცხოვრობს ბავშვი, 9,3%-ს კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მასწავლებელთა 4,0%-მა ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები შემდეგი სახით დააფიქსირა: „ბავშვი უნდა ჩაირიცხოს მხოლოდ ახლომდებარე სკოლაში“; „ბავშვი მხოლოდ სახლთან ახლომდებარე სკოლაში უნდა ჩაირიცხოს, რადგან დაწყებითი კლასის ბავშვებს დიდ მანძილზე უწევთ გადაადგილება, რაც სახიფათოა“; „ძალიან დიდი სისულელეა ეს პრინციპი. ვერ გამიგია, სკოლასთან ახლოს მცხოვრები ბავშვი, რატომ უნდა მიდიოდეს სასწავლებლად შორ მანძილზე, სხვა სკოლაში. რომელ გიჟს მოუვიდა ეს აზრი თავში?“; „სკოლებში, პირველ რიგში, ყოველგვარი ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე უნდა ჩაირიცხონ ტერიტორიულად სკოლასთან ახლოს მცხოვრები ბავშვები, დანარჩენები კი – მხოლოდ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში“; „სკოლების პრესტიჟის არათანაბარი დონე არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ მშობლების უმეტესობა ცდილობს, მიუხედავად ამ სკოლებიდან საკმაოდ დაცილებულ ადგილებში ცხოვრებისა, „მოახვედროს“ თავისი ბავშვი ასეთ სკოლაში“; „ექსტერიტორიული პრინციპით ბავშვები სკოლაში მხოლოდ მაშინ უნდა მიიღონ, თუ რომელიმე კლასი სრულად არ დაკომპლექტდა“; „სკოლიდან დაცილებული ადგილებიდან ამა თუ იმ სკოლაში ბავშვები უნდა ჩაირიცხონ მხოლოდ სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე. რეკომენდაციები უნდა გაეწიოთ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომელთაც სახლიდან დაცილებულ სკოლაში სწავლის მეტი არგუმენტი ექნებათ (მაგ. მშობლები მუშაობენ აღნიშნულ სკოლაში, ან მათ სკოლასთან ახლოს აქვთ სამსახური, ჰყავთ ავტომობილი და ა.შ.). ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ბავშვის და-ძმა მშობლებისთვის სასურველ სკოლაში სწავლობს, მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული“; „პრესტიჟული“ სკოლები მოგონილია მშობლების მიერ, თორემ კარგი და ცუდი მასწავლებელი ნებისმიერ სკოლაშია“; „მყავს მეგობარი, რომელიც სკოლის წინ ცხოვრობს და იქ

ვერ დაარეგისტრირა ბავშვი, როცა ამ სკოლაში სოფლებიდან ჩამოსული ბავშვები სწავლობენ“; „როცა ყველა სკოლაში სწავლება იქნება მაღალ აკადემიურ დონეზე, აღარ წამოიჭრება ე.წ. პრესტიჟული სკოლების პრობლემა“; „ბათუმში სკოლებში ჩარიცხვისას უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს ქალაქელებს უბნების მიხედვით, შემდეგ კი – ყველა დანარჩენს“; „სკოლაში ჩარიცხვის ასეთი წესის ბრალია, რომ ზოგი სკოლა „გადატენილია“ მოსწავლეებით, კლასში ადგილები არ ყოფნით, ზოგიერთ სკოლაში კი ნახევრად ცარიელი კლასებია“.

შეკითხვაზე – „როგორ ფიქრობთ, სკოლაში მუშაობის რითმი დაძაბულია (იღლებით თუ არა საქმიანობისას)?“ – რესპონდენტებმა ასეთნაირად უპასუხეს: მათი 30,8% ფიქრობს, რომ სკოლაში მუშაობა ძალიან დამღლელია; მასწავლებელთა 42,0% აცხადებს, რომ სკოლაში, ბავშვებთან მუშაობისას, საკმაოდ იღლებიან; პედაგოგთა 20,1%-ს სკოლაში მუშაობა არ ღლის და სამსახურში თავს კარგად გრძნობენ; 1,8% თვლის, რომ სკოლაში სამუშაო „დატვირთვა“ ძალიან დაბალია, ხოლო გამოკითხულთა 5,3%-მა შემდეგი მოსაზრებები გამოთქვა: „ორცვლიანი სკოლა დანაშაულია. ყველა სკოლა უნდა იყოს ერთ ცვლაში, რომ სრულყოფილი სასწავლო პროცესი წარიმართოს“; „სკოლაში სამუშაო „დატვირთვა“ მაღალია, ხელფასი კი – დაბალი“; „მოსწავლეებთან მუშაობა ძალიან მღლის, რადგან დიდ ენერგიას მოითხოვს“; „სკოლაში ბავშვებთან მუშაობით არ ვიღლები, მაგრამ საშინლად ვიქანცები იმ დოკუმენტაციის წერისას, რომლის მომზადებაც გვიწევს წლის განმავლობაში“; „მასწავლებლის შრომა დამღლელია, მაგრამ სასიამოვნო“; „დამღლელია, რადგან კლასებში ნორმაზე მეტი მოსწავლეა და იძულებული ხარ თითოეულს გასწვდე“; „ადმინისტრაცია ბევრ ისეთ საქმეს მაკეთებინებს, რომელიც ჩემს მოვალეობაში არ შედის და ამიტომაც ვიღლები“; „დამღლელია, რადგან კლასში მოსწავლეთა რაოდენობა დიდია, თუმცა მათთან მუშაობა მსიამოვნებს“; „სკოლაში ძალიან ბევრი სამუშაოა, სახლშიც უამრავი საქმეა გასაკეთებელი, ამიტომ საკუთარი თავისთვის დრო აღარ მრჩება“; „უნდა შემცირდეს საათობრივი განაკვეთი 12 საათამდე ან გაიზარდოს ხელფასი, თორემ ასეთი მუშაობა ჩემთვის აუტანელი ხდება“; „თუ მოწოდებით პედაგოგი ხარ, მოსწავლეებისთვის ბოლომდე იხარჯები, რასაკვირველია, დაიღლები, მაგრამ კმაყოფილი იქნები!“; „ძალიან ვიღლები, მაგრამ მაინც მიყვარს ჩემი პროფესია“; „სკოლაში მუშაობა არ იქნება დამღლელი, თუ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც კარგად ეცოდინებათ თავიანთი უფლება-მოვალეობები“;

შეკითხვაზე – „ზოგადად დაცულად თუ გრძნობთ თავს სამსახურში?“ – რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირია: მათი 42,5% თავს დაცულად გრძნობს, რადგან სამსახურიდან გათავისუფლება ან სხვა რაიმე სახის „სანქციები“ არ ემუქრება; 41,0% თავს ნაწილობრივ დაცულად გრძნობს, რადგან არ აქვს იმის

სრული გარანტია, რომ სამსახურს არ დაკარგავს; 6,8% თავს დაცულად საერთოდ ვერ გრძნობს, რადგან აქვთ იმის დიდი შიში, რომ რაიმე საბაბით სკოლიდან შეიძლება გაათავისუფლონ; 4,5% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო გამოკითხულ პედაგოგთა 5,2% შემდეგნაირი მოსაზრებები აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით: „თუ ცოდნა გაქვს, ვერავინ შეგეხება“; „კანონი კი არა, რაიმე დებულებაც არაა, რომელიც მასწავლებელს დაიცავს (სასამართლოები, როგორც წესი, ოფიციოზს უჭერენ მხარს). მხოლოდ პროფკავშირების დახმარების იმედი გვაქვს“; „ყოველთვის მაქვს არასტაბილურობის შეგრძნება“; „ძირითადად, დაუცველი ვარ ადმინისტრაციის ფსიქოლოგიური შემოტევებისგან“; „ძალიან შეიზღუდა პედაგოგის უფლებები. მოსწავლის უსაფუძვლო, ცრუ ბრალდების საფუძველზეც კი შეიძლება აამოქმედონ დამსჯელი მექანიზმი“; „დღევანდელ საქართველოში თავს დაცულად მასწავლებელი კი არა, ვერავინ ვერ გრძნობს“; „იმდენი სიახლე შემოდის სკოლაში, რომ მისი ერთი პუნქტის შეუსრულებლობაც კი, შეიძლება მასწავლებლის სკოლიდან გაძევების საფუძველი გახდეს“; „ყველაზე დაუცველები, ჩვენ, პენსიონერი მასწავლებლები, ვართ. ხანდაზმულობის საბაბით, შეიძლება, ნებისმიერ დროს კინწის კვრით გაგვაგდონ სკოლიდან“; „პედაგოგები დაუცველები ვართ. ჩვენ თითქმის ყველა უფლება ჩამოგვართვეს, ხოლო მოვალეობები გაგვიათმაგეს“; „მეშინია, სკოლიდან რომ გამიშვან 180-ლარიან პენსიაზე, როგორ უნდა ვიარსებო“; „მაქვს იმის გარკვეული შიში, რომ ვიღაცისგან მართულმა მოსწავლემ პროვოკაცია არ მომიწყოს და რაღაც შეთითხნილი ბრალდებით სამსახური არ დავკარგო (იყო შემთხვევა, როცა ბათუმის ერთ-ერთ სკოლაში, სპორტის მასწავლებელი, მოსწავლის მიერ მოწყობილი პროვოკაციის გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს)“;

შეკითხვაზე – „როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის გადატვირთული სასწავლო პროგრამები?“ – პასუხები ასეთია: რესპონდენტთა 11,3%-ს მიაჩნია, რომ სასკოლო სასწავლო პროგრამები ძალიან გადატვირთულია; 44,1%-ის აზრით, პროგრამები საკმაოდ გადატვირთულია; 3,1%-ის თვალსაზრისით, პროგრამები არ არის გადატვირთული და მათ მიმართ პრეტენზიები არ აქვთ; გამოკითხულ მასწავლებელთა 5,1% ფიქრობს, რომ შეიძლება სასწავლო პროგრამების კიდევ უფრო მეტად გამრავალფეროვნება; 2,8%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო რესპონდენტთა 5,7%-ს ამ საკითხის ირგვლივ შემდეგნაირი შეხედულებები აქვს: „პროგრამები გადატვირთული არ არის, მაგრამ სერიოზულადაა გადასახედი. საჭიროა, სასწავლო მასალა უფრო საინტერესოდ იყოს წარმოდგენილი“; „იმდენად გადატვირთული არ არის, რამდენად უინტერესოა. არ იგრძნობა საგნის გარკვეულ თემებს შორის კავშირი“; „ძალიან გადატვირთულია არასაჭირო ინფორმაციით X კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელო“; „გადატვირთულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ თემატური მასალა გაცილებით მეტია, ვიდრე საათობრივი

დატვირთვა“; „პროგრამა გადატვირთულია ისეთი საკითხებით, რომელიც მოსწავლეს სწავლის ინტერესს უკლავს“; „პროგრამები გადატვირთული არაა. შეიძლება მოსწავლისთვის მეტი მასალის მიცემა“; „ძალიან გადატვირთულია არასაჭირო თემებით V-VI კლასების ისტორია და გეოგრაფია“; „სასწავლო პროგრამები გადატვირთულია. თუ კარგი სახელმძღვანელოები გვექნება, პროგრამებიც დაიხვეწება“; „გადატვირთული არაა, მაგრამ 2 საათი კვირაში საკმარისი არ არის ჩემს საგანში მოსწავლის მიერ მასალის სრულყოფილად ასათვისებლად“; „პროგრამა გადატვირთული არ არის, მაგრამ აუცილებელია ზოგიერთი საკითხის ამოღება სახელმძღვანელოდან და მისი უფრო მნიშვნელოვანი თემებით ჩანაცვლება“; „პროგრამა გადატვირთულია იმის ხარჯზე, რომ სხვადასხვა კლასში ერთი და იგივე საკითხი მეორდება (ხშირად სავარჯიშოებიც კი იდენტურია), ამავდროულად, მასში ყურადღება არ მახვილდება ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე“; „პროგრამა იმდენად გადატვირთულია, რომ ბავშვებს სწავლის სურვილი ეკარგებათ“; „პროგრამები გადატვირთული არ არის, მაგრამ საათები მათ ასათვისებლად არათანაბრადაა გადანაწილებული (მაგ. მათემატიკაში, განტოლება არ შეიძლება მხოლოდ ორი საათის განმავლობაში გახდეს გასაგები)“.

წინამდებარე კითხვასთან თავისი შინაარსით ახლოს დგას შეკითხვა, რომლის შინაარსი შემდეგნაირადაა ფორმულირებული – „როგორ შეაფასებდით სასკოლო სახელმძღვანელოების დონეს თქვენს საგანში?“ – რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირია: მათ 2,4%-ს მიაჩნია, რომ სახელმძღვანელოები მაღალი დონისაა. 47,1%-ის აზრით სახელმძღვანელოები დამაკმაყოფილებელი დონისაა; 38,5% ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოები დაბალი დონისაა; 4,2%-ს მიაჩნია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ძალიან დაბალი დონისაა; 2,8%-ს უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ხოლო 5,0% ამ შეკითხვის პასუხის ღია ვარიანტში საკუთარ მოსაზრებებს შემდეგნაირად აყალიბებს: „სასურველია ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის გაკვეთილები გაიყოს. ბავშვები დააბნია წიგნებში მიმობნეულმა გრამატიკის საკითხებმა“; „სასკოლო სახელმძღვანელოები საერთოდ არ შეესაბამება საგნის სწავლების მოთხოვნებს. საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები გაცილებით უკეთესი იყო. ახლანდელი სახელმძღვანელოებიდან მოსწავლეები ვერ ღებულობენ იმ ცოდნას, რაც მათ ესაჭიროებათ. დაწყებითი კლასების წიგნები თითქმის მთლიანად შესაცვლელია. გაუგებარია, რა ასაკის ბავშვებისთვისაა ის დაწერილი“; „სახელმძღვანელოები უინტერესოა მოსწავლეებისთვის, სრულიად არაადეკვატური და პროგრამულად შეუსაბამოა აუცილებელ მოთხოვნებთან. საჭიროა მათი დროული შეცვლა“; „სახელმძღვანელოებში საკითხების ნაწილი რთულად გასაგებია, მასალის ასათვისებლად მოსწავლეს დიდი დრო ეხარჯება“; „სახელმძღვანელოები, ხშირ შემთხვევაში, შინაარსობრივად მოსწავლის ასაკისთ-

ვის სრულიად შეუსაბამოა. ისინი გადატვირთულია არასაჭირო, დეტალური, უსარგებლო ინფორმაციით. ზოგიერთი სახელმძღვანელოს ენა იმდენად რთულია, რომ ბავშვს სწავლის ინტერესს უკლავს“; „მოსწავლეთა უმეტესობა წიგნს დასცილდა. უმაღლესში ჩასაბარებლად, აქცენტი კეთდება ზოგად უნარებზე, რომელიც საგანიც არაა და არც სკოლაში ისწავლება. ჩემი აზრით, უმაღლესში ჩასაბარებლად სხვა ცოდნაა საჭირო“; „წიგნებში (სახელმძღვანელოებში) არსებული ხარვეზების „გამოსწორებას“ სხვა წყაროებით ვახერხებ“; „სახელმძღვანელოებში ნებისმიერი საკითხის ტექსტი მცირეა, ხოლო კითხვები და ტესტები – მრავალი. ამიტომ მოსწავლეს უჭირს თემის სრულფასოვნად ათვისება“; „სახელმძღვანელოებზე გრიფის მინიჭება ნაცნობობით ხდება. წიგნის ხარისხზე დასკვნა, დამოუკიდებელმა, კომპეტენტურმა კომისიამ უნდა დადოს. მაგ., დაწყებით კლასებში სწავლება მხოლოდ ი. გოგებაშვილის „დედა ენით“ უნდა წარმოებდეს. მას ვერც ერთი სახელმძღვანელო ვერ ჯობნის, ისინი, მასთან შედარებით, მდარე ხარისხისაა“; „სახელმძღვანელოები დაბალი დონისაა, რადგან მათი ავტორები არ ითვალისწინებენ საქართველოს მრავალათასიანი პედაგოგიური საზოგადოების აზრს. ვიდრე სახელმძღვანელოდ იქცევა, წიგნმა აპრობაცია უნდა გაიაროს პედაგოგებთან და მხოლოდ მათი მხრიდან დადებითი შეფასების შემდეგ, ის შეიძლება, დაშვებული იქნას სკოლებში სახელმძღვანელოდ“; „დაუშვებელია სკოლებში ერთ საგანში სხვადასხვა სახელმძღვანელო არსებობდეს. ნებისმიერ საგანში სწავლება ქვეყნის მასშტაბით უნდა იყოს სტანდარტული, რაც გულისხმობს იმას, რომ განათლების სამინისტრომ, სახელმძღვანელოების კონკურსში უნდა შეარჩიოს საუკეთესო სახელმძღვანელო და დაავალდებულოს ყველა სკოლა, მხოლოდ ამ წიგნით ისარგებლონ. როგორ შეიძლება ერთი საგნის სწავლება სხვადასხვა სკოლაში განსხვავებული სახელმძღვანელოებით. ერთ საგანში განსხვავებული სახელმძღვანელოების პრობლემებს უქმნის მოსწავლეებს, როგორც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების დროს, ასევე სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, რადგან ეს სახელმძღვანელოები შინაარსობრივად, ზოგჯერ საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან“; „მათემატიკაში სახელმძღვანელოების დონე დაბალია. ამიტომ ხშირად მიწევს დამატებითი წიგნების მოძიება“; „პრობლემას ქმნის სახელმძღვანელოების ხშირი ცვლა და მათი სიმრავლე. ნებისმიერ საგანში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ერთი, კლასიკური დონის სახელმძღვანელოთი, რომლითაც სარგებლობა სტაბილურად შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში“; „ზოგიერთ სახელმძღვანელოში საკითხების ნაწილი საერთოდ ამოსაღებია. ის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხებით უნდა ჩანაცვლდეს“; „სახელმძღვანელოების თემები არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების დონეს. ისინი მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისთვის

საკმაოდ რთული და გაუგებარია, ამიტომ, მათ უჭირთ პროგრამის სრულფასოვნად ათვისება“; „ზოგი სახელმძღვანელო, საერთოდ არაა სახელმძღვანელო. ისინი უფრო მაკულატურას განეკუთვნებიან“; „ცალკეულ საგნებში ძალიან ბევრი ხელოვნურად გართულებული თემაა. ბავშვებს უჭირთ მისი გააზრება. განსაკუთრებით დაბალი დონისაა მათემატიკის სახელმძღვანელოები“; „არ გვჭირდება ახალი, მოსწავლისთვის ხელოვნურად გართულებული და ძნელად აღსაქმელი ტექსტებით გაჯერებული სახელმძღვანელოები. გვირჩევნია, მოსწავლეებს ვასწავლოთ ძველი, აპრობირებული სახელმძღვანელოებით, რომლებზეც თაობები (მათ შორის დიდი მეცნიერები ი. ვეკუა, თ. გამყრელიძე, ზ. კაკაბაძე, რ. მეტრეველი, გ. დვალი და მრავალი სხვა) გაიზარდნენ. მე ვერ ვიხსენებ ვერც ერთ პიროვნებას, რომელსაც „რეფორმირებული“ სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის მიეღწიოს მეცნიერების რომელიმე დარგში“.

შეკითხვაზე – „თვლით თუ არა, მასწავლებლის პროფესიას პრესტიჟულად?“ – რესპონდენტებმა შემდეგნაირი პასუხი გასცეს: მათი 20,8%-ის თვალსაზრისით, მასწავლებლის პროფესია პრესტიჟულია; გამოკითხულთა 48,6% ფიქრობს, რომ მასწავლებლის პროფესია ადრე უფრო პრესტიჟული იყო, ხოლო 30,6% მასწავლებლის პროფესიას ნაკლებპრესტიჟულად თვლის“.

დღეს საზოგადოებაში ფართოდ განიხილება რეპეტიტორობის საკითხი. ჩვენ დავინტერესდით ამ პრობლემისადმი მასწავლებელთა დამოკიდებულებით და ვითარებაში გასარკვევად, მათ შემდეგი სახის კითხვა დავუსვით: – „როგორ ფიქრობთ, ზოგადად, სკოლა აძლევს თუ არა იმ დონის ცოდნას მოსწავლეს, რომ მან რეპეტიტორების გარეშე, დამოუკიდებლად ჩააბაროს გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში?“ – რესპონდენტთა 57,8%-ის აზრით, სკოლაში მიღებული ცოდნა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მოსწავლემ ჩააბაროს მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში“; გამოკითხულთა 28,6% ფიქრობს, რომ რეპეტიტორების ინსტიტუტი საჭიროა, რადგან სკოლაში მიღებული ცოდნა, უმეტეს შემთხვევაში, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლემ ჩააბაროს მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში; პედაგოგთა 6,2%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 7,4% ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირ განმარტებებს აკეთებს: „რეპეტიტორი სჭირდება უცოდინარ მოსწავლეს“; „სამწუხაროდ, მშობელთა უმეტესობა თვლის, რომ მოსწავლე უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად საჭირო ცოდნას მხოლოდ რეპეტიტორთან მომზადების შედეგად მიიღებს. ამ აზრს ბევრი მოსწავლეც ეთანხმება. ეს აზრი მცდარია, თუ დაგვიჯერებენ, საკმარის ცოდნასაც მიიღებენ“. „თუ მოსწავლე მოტივირებულია და ძალიან უნდა უმაღლესში ჩაბარება, ის სკოლაშიც სწავლის პერიოდში შეიძენს ამისთვის საკმა-

რის ცოდნას“; „რეპეტიტორებთან ცოდნის გაღრმავება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა იმ მოსწავლეს სჭირდება, ვისაც უმაღლესში სწავლა აქვს გადაწყვეტილი. რეპეტიტორებთან გაცილებით მეტი მოსწავლე ივლიდა, ამის მატერიალური შესაძლებლობა რომ ჰქონდეს“; „რეპეტიტორობა მოდაშია“; „გადატვირთულ კლასებში მოსწავლე ვერ იღებს საკმარის ცოდნას, ამიტომ უმაღლესში ჩასაბარებლად მას აუცილებლად სჭირდება რეპეტიტორთან მომზადება“; „სკოლა რომ სათანადო დონეზე „ამუშავდეს“, რეპეტიტორები „გაქრებიან“ საგანმანათლებლო სივრციდან“; „ის, რომ მოსწავლე უმაღლესში რეპეტიტორთან მომზადების გარეშე ვერ აბარებს გამოცდებს, დამნაშავეა არა სკოლა, არამედ „რეფორმირებული“ საგანმანათლებლო სისტემა“; „რეპეტიტორების დახმარების გარეშე, მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება გაუძნელდება, რადგან მისაღებ გამოცდებზე ხშირად ისეთ საკითხებზეა პასუხი გასაცემი, რომლებიც სასკოლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული“; „რეპეტიტორობა ყოველთვის იყო და იქნება. ის არის ყველა ქვეყანაში, იყო სსრკ-შიც. საქმე იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში, სკოლა მოსწავლეს ვერ აძლევს უმაღლესში „მოსახვედრად“ საჭირო ცოდნას“; „ამდენმა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრილმა „ოროსანმა“ პედაგოგმა, რა ცოდნა უნდა მისცეს მოსწავლეს? გამომდინარე აქედან, რეპეტიტორებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია“; „რეპეტიტორებზე მოთხოვნა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სკოლებში ასწავლიან ერთს, უმაღლესში, მისაღებ გამოცდებზე ითხოვენ მეორეს“; „კლასში, სადაც 35 ბავშვი სწავლობს, შეუძლებელია იმ დონის ცოდნის მიღება, რომ მოსწავლემ, რეპეტიტორის გარეშე შეძლოს გამოცდების ჩაბარება უმაღლეს სასწავლებელში“.

შეკითხვაზე – „კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ხელფასის ოდენობით?“ – რესპონდენტების 74,7%-მა განაცხადა, რომ მათ დაბალი ხელფასი აქვთ; 11,6% ფიქრობს, რომ მათი ხელფასი შეესაბამება მათ მიერ გაწეულ შრომას; 4,9%-ის შეხედულებით, მათ მაღალი ხელფასი აქვთ, ხოლო გამოკითხულთა 2,3%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა; რესპონდენტთა 6,5%-მა ამ კითხვის ღია ვარიანტში შემდეგი სახის პასუხები დააფიქსირა: „დღეს მასწავლებელთა ხელფასი დაბალია, ინფლაცია და ფასების ზრდა – მაღალი. პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ იმ ოდენობის ხელფასი, რომ მათ არა მხოლოდ თავის რჩენა შეძლონ, არამედ დარჩეთ გარკვეული თანხა სხვა საჭიროებებისთვის. სხვანაირად ღირსეული მასწავლებელი არ გვეყოლება“; „საჯარო სექტორში დასაქმებულების ხელფასებთან შედარებით, პედაგოგის ხელფასი მიზერულია. ამ დროს ჩვენ ქვეყნისთვის გაცილებით მეტ სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ, ვიდრე ისინი“; „ევროპელი პედაგოგების ხელფასებთან შედარებით, ჩვენი ხელფასები სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. რითი ეთანაბრება ხელისუფლება ევროპას? არაფრით. მისგან კარგი ცხოვრების თაო-

ბაზე მხოლოდ დაპირებებს ვისმენთ“; „ჩვენი ხელფასები არ შეესაბამება ჩვენს მიერ გაწეულ შრომას“; „ქვეყნის სირცხვილია მასწავლებელთა ასეთი დაბალი ხელფასები. ამით ხელისუფლება ჩვენ მწარედ დაგვცინის“; „მასწავლებელთა შრომა სათანადოდ არ ფასდება სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად ხელფასებიც დაბალია“; „ასეთი დაბალი ხელფასებით მასხრად გვიგდებენ“; „ჩვენ მიერ, მოსწავლეთა აღზრდაზე და სწავლაზე გაწეული კოლოსალური შრომა, ცოტა მეტად უნდა ნაზღაურდებოდეს“.

სასკოლო ვაუჩერებთან დაკავშირებით, რესპონდენტებს შემდეგი სახის კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა – „ემხრობით თუ არა, სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ პრინციპს?“ – რესპონდენტთა პასუხები კი შემდეგნაირია: გამოკითხულთა აბსოლუტური უმეტესობა (85,7%) მხარს უჭერს ვაუჩერებით დაფინანსებას, ხოლო 14,3% – არა. უკმაყოფილო მასწავლებლებმა თავიანთი უკმაყოფილების მიზეზი შემდეგნაირად განმარტეს: „არ ვემხრობი სკოლების ვაუჩერულ დაფინანსებას, რადგან არსებობენ მცირეკონტინგენტიანი სკოლები, რომლებსაც ნორმალური ფუნქციონირებისთვის არ ყოფნით სამინისტროს მიერ გამოყოფილი ვაუჩერები. კარგი იქნება, თუ სკოლა სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავა“; „მასწავლებლის ხელფასი არ უნდა იყოს განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობით“; „რას ხმარდება ვაუჩერი სკოლაში, ღმერთმა უწყის. ჩვენ ამის თაობაზე დირექცია ანგარიშს არ გვაბარებს“; „სკოლებს შორის ვაუჩერებისთვის ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობს“; „ყველა სკოლას თავისი საჭიროებები აქვს (მაგ. სკოლა სარემონტოა, იქ შშმ პირები სწავლობენ და ა.შ.), ამიტომ ვაუჩერის ოდენობა, მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობაზე არ უნდა იყოს მიბმული“; „სკოლა ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს იმ თანხით, რაც მის ნორმალურ ფუნქციონირებას სჭირდება“; „სკოლის ბიუჯეტი მოსწავლეთა რაოდენობით არ უნდა განისაზღვრებოდეს“; „სკოლების საბიუჯეტო დაფინანსება სამინისტროს გაათავისუფლებს ზედმეტი თავის ტკივილისგან“; „დაფინანსების ვაუჩერული სისტემა ძალიან ბუნდოვანია და ამიტომ ბევრ ხვრელს ტოვებს კორუფციისთვის“; „ვაუჩერის გამო სკოლა მიჯაჭვულია მოსწავლეთა რაოდენობაზე, რაც ხელს უშლის ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვას“; „დაფინანსების ვაუჩერული მეთოდი სურვილს უღვივებს სკოლის ხელმძღვანელობას, გაზარდოს მოსწავლეთა რაოდენობა, რაც ავტომატურად ქვემოთ სწევს განათლების ხარისხს“; „ვაუჩერები ირიბად, უარყოფითად ზემოქმედებენ სწავლების ხარისხზე. საქმე იმაშია, რომ რაც ვაუჩერული დაფინანსება იქნა შემოღებული, სკოლებმა დაიწყეს ფინანსების დაზოგვა. მაგ., გარკვეულ საგნებში კლასები იყოფოდა ჯგუფებად. მომჭირნეობის მიზნით, ახლა ასეთი დაყოფა იშვიათია, რის გამოც ჭარბკონტინგენტიან კლასებში, სწავლების მაღალ შედეგებზე გასვლა გაძნელდა“; „ვაუჩერების გამო, სკოლის დირექცია

უფრო მეტად მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდაზე ან შენარჩუნებაზე ფიქრობს, ვიდრე სწავლის ხარისხის გაზრდაზე“.

შეკითხვაზე – „საკმაოდ დიდი ხანია, არის იმის მცდელობა, რომ ქართულ სკოლებში დაინერგოს მოსწავლეთა სექსუალური განათლების სწავლება. რა აზრის ბრძანდებით ამის თაობაზე?“ – გამოკითხულ პედაგოგთა 11,2% ფიქრობს, რომ ეს დაუშვებელია; 67,8%-ის აზრით, სქესობრივი პრობლემატიკის სწავლება სკოლებში დასაშვებია, მაგრამ გარკვეული დოზით და ისიც სასწავლო საგნის – ბიოლოგიის ფარგლებში; რესპონდენტთა 12,1% კი მხარს უჭერს სკოლებში სქესობრივი განათლების სწავლების დანერგვას; 4,6%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო რესპონდენტთა 4,3% შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით, ამგვარია: „სექსუალური განათლება 18-19 წლის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც გაკვეთილებზე სხედან, აუცილებელია“; „მოსწავლეთა უმეტესობა სწავლით თავს არ იკლავს და ეს საქმე მაინც შეითვისონ კარგად, ეს ერის გამრავლებას წაადგება სასიკეთოდ“; „მოსწავლეების უმეტესობამ, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, უჩვენოდაც ყველაფერი კარგად იცის და ამიტომ ამ საგნის სწავლება სკოლებში არ მგონია, რომ აუცილებელი იყოს“; „ჩემი აზრით, ბიოლოგიის სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი მასალაა ამ საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ კი, ამ მიმართულებით ბავშვი მშობლებმა უნდა აღზარდონ“; „ვფიქრობ, რომ სკოლაში სექსუალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს ამ საკითხისადმი, რაც, ჩემი აზრით, არ არის კარგი“; „სექსუალური აღზრდის სწავლება საჭიროა, ოღონდ, ამ სფეროს სპეციალისტების და არა რიგითი მასწავლებლის მიერ და მხოლოდ მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის“; „ქართულ სკოლებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაინერგოს მოსწავლეთა სექსუალური აღზრდის სწავლება“; „სიტყვა სექსუალური ვულგარულად ჟღერს. საგანს ისეთი სახელი უნდა მოეძებნოს, რომ საზოგადოების აღშფოთება არ გამოიწვიოს“; „საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით მშობლები) წინააღმდეგია ამ საგნის სკოლაში სწავლებისა. თუ მაინც დაუშვა განათლების სამინისტრომ სექსუალური სწავლება სკოლაში, მას წინ უნდა უსწრებდეს ფსიქოლოგთა კვლევა იმის თაობაზე, თუ როგორი კუთხით უნდა ისწავლებოდეს ეს საგანი, რა კონკრეტული თემატიკა უნდა განიხილებოდეს მასში და ა.შ. ისმის კითხვა – ვინ უნდა ასწავლოს ეს საგანი – გვყავს კი ამდენი კვალიფიციური სპეციალისტი (სექსოლოგი) ამ სფეროში? ამ კითხვაზე ჯერჯერობით პასუხი არ არსებობს“; „სკოლებში ამ თემატიკის სწავლება, არ უნდა შედიოდეს საგნობრივ ბადეში. სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უნდათ ამ საკითხებში გარკვევა. სწავლება ისეთი მოსწავლეებისთვის, ვინც გამოხატავს ინტერესს ამ

სფეროსადმი, უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ ფაკულტატური სახით, ისიც მშობლების წერილობით დადასტურებული თანხმობის შემთხვევაში“; „არაა აუცილებელი სქესობრივი საკითხების გაკვეთილებზე შესწავლა. საკმარისია, ამ საკითხის ირგვლივ ხარისხიანი ბუკლეტები დაურიგდეს მოსწავლეებს და ისინი იქიდანაც დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშეც გაიგებენ ყველაფერს“; „მიმაჩნია, რომ სქესობრივი განათლება მოსწავლეებს მხოლოდ მაღალ კლასებში უნდა მიეწოდებოდეს. დაბალ კლასებში ამ თემატიკის სწავლება, ბავშვების გარყვნის ტოლფასია და ასეთი რამ განათლების სამინისტრომ არ უნდა დაუშვას“; „ვფიქრობთ, რომ ქართველი ხალხი ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ სქესთან დაკავშირებული საკითხები ისწავლებოდეს სკოლებში. ასეთი რამ მიუღებელია ქართული ცნობიერებისთვის“.

შეკითხვაზე – „როგორ ფიქრობთ, ქართული საგანმანათლებლო სისტემა, უნდა ეფუძნებოდეს თუ არა ეროვნულ ფასეულობებს“ – რესპონდენტთა 8,3%-მა განაცხადა, რომ „ჩვენს სკოლებში სწავლება მხოლოდ ეროვნულ ფასეულობებს უნდა ეფუძნებოდეს“; გამოკითხული პედაგოგების აბსოლუტური უმეტესობის (82,3%) აზრით, ქართული საგანმანათლებლო სისტემა მეტწილად ეროვნულ ფასეულობებს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ, ამავე დროს, უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც არსებობს მსოფლიო პედაგოგიურ პრაქტიკაში“; 7,3% ფიქრობს, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემა, ძირითადად, საერთაშორისო, უპირატესად, ევროპული განათლების სისტემისმაგვარი უნდა იყოს; რესპონდენტთა 2,1%-მა კი ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი სახის მოსაზრებები გამოთქვა: „კარგია მსოფლიო მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ქართული პირველ ადგილზე უნდა იყოს“; „ეროვნულ ფასეულობებში, პირველ რიგში, უნდა იგულისხმებოდეს ქართული მართლმადიდებლობა, მისი ისტორია, მისი როლი ქართველი ერისა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში“; „ქართული საგანმანათლებლო სისტემა ევროპული დონის რომ გახდეს, ამისთვის ევროპიდან მიღებული ინსტრუქციების უსიტყვოდ გადმოღება და შესრულება საკმარისი არ არის. საჭიროა, ევროპული დონის სკოლები, სწავლისთვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკა, ინვენტარი და, რაც მთავარია, მასწავლებლის მძიმე შრომის ანაზღაურების გათანაბრება ევროპულ სტანდარტებთან. ამის გარეშე ყველა ე.წ. ევროპული რეფორმა წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. მასწავლებელს სკოლაში მუშაობის სტიმული უნდა ჰქონდეს. ახლა მასწავლებლები სკოლაში თავისი ოჯახის სარჩენი, მიზერული, სამარცხვინო ხელფასისთვის დადიან“; „ყველაფერი ევროპული გამოვიყენოთ, მაგრამ არ უნდა მოხდეს ევროპული განათლების პრინციპების მექანიკური გადმოღება, არამედ საჭიროა მათი მისადაგება ჩვენი ეროვნული სპეციფიკისადმი“; „საუკეთესო შედეგებს

მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც, განათლების სფეროში დავეყრდნობით ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს და, ამავე დროს, სამასწავლებლო პრაქტიკაში გამოვიყენებთ მსოფლიო (და არა მარტო ევროპული) პედაგოგიკის მიღწევებს. მაგ. ფსიქოლოგიაში საყოველთაოდაა აღიარებული დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია, როგორც ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა მეცნიერებაში. ასევე, უამრავი მიმდევარი ჰყავს ქართული პედაგოგიკის კორიფეს, უამრავი ნოვაციის ავტორს, შალვა ამონაშვილს. ხომ შეიძლება ამ ორი გამოჩენილი სპეციალისტის ნააზრევი, რომელიც მსოფლიომ აღიარა, ისწავლებოდეს საქართველოს სკოლებში. ასეთი გზით, ჩვენ საუკეთესო შედეგებზე გავალთ განათლების სფეროში“; „მთელი საგანმანათლებლო სისტემა ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებზე უნდა იყოს დაფუძნებული და მორგებული. სხვა შემთხვევაში სკოლებს მანქურთები დაამთავრებენ და არა ნამდვილი ქართველი მამულიშვილები“.

კითხვაზე – „განვითარებულ ქვეყნების უმეტესობაში სკოლებში სწავლება მიმდინარეობს მათ სახელმწიფო ენაზე, ამ ქვეყნების განათლების სამინისტროების მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებით. ჩვენთან კი ეროვნულ უმცირესობებს (სომხები, აზერბაიჯანელები და ა.შ.) საშუალება აქვთ, ისწავლონ ისეთ სკოლებში, სადაც სწავლება მათ მშობლიურ ენაზე მიდის. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?“ – რესპონდენტთა 35,7% თვლის, რომ არაქართულ სკოლებში სწავლება უმჯობესია მიმდინარეობდეს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენებზე (სომხურად, აზერბაიჯანულ და ა.შ. ენებზე)“; გამოკითხულ პედაგოგთა 46,9%-ს მიაჩნია, რომ იმ არაქართულ სკოლებშიც კი, სადაც რომელიმე არაქართული ეთნოსის წარმომადგენლები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ სახელმწიფო (ქართულ) ენაზე“; 6,3%-ის შეხედულებით, იმ სკოლებში, რომლებიც, ძირითადად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით არიან დაკომპლექტებულნი, სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ეროვნული უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანულად, სომხურად და ა.შ,) მათზე მისადაგებული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამით; 5,4%-ს ამ შეკითხვაზე პასუხი არა აქვს, ხოლო რესპონდენტთა 5,7%-მა ამ კითხვაზე შემდეგნაირი პასუხები დააფიქსირეს: „არაქართულ სკოლებში სწავლება უნდა მიდიოდეს იმ ხალხის ენაზე, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს ასეთ სკოლაში, მაგრამ, ამასთან ერთად, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ასეთ სკოლებში გაღრმავებულად უნდა ისწავლებოდეს და ბარდებოდეს გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე, საქართველოს ისტორიაში“; „მიუხედავად იმისა, რა ენაზე მიდის სწავლება სკოლაში, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს“; „არაქართულ სკოლებში, გაძლიერებით უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია“; „საქართველოს ყველა

მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, თუ პატივს სცემს ქვეყანას, რომელშიც ცხოვრობს და ყველა სიკეთით სარგებლობს, სასწავლებლად უნდა ირჩევდეს ქართულენოვან სკოლას“; „იმ სკოლებში, სადაც ბავშვები ძირითადად არაქართველებია, საგნების სწავლება უნდა მიდიოდეს ქართულ ენაზე. ეროვნულ უმცირესობათა ენაზე უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ჩვენთან მცხოვრები, ამა თუ იმ ეთნოსის წარმომავლობის ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა. ამასთან ერთად, გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს ქართული ლიტერატურა და ქართული ენის გრამატიკა“; „არაქართულ სკოლებში სწავლებისას, უნდა გავითვალისწინოთ იმ სახელმწიფოების ინტერესები, რომელთა ენაზეც მიდის სწავლება“; „არაქართული კონტინგენტით დაკომპლექტებულ სკოლებში სწავლება უნდა მიდიოდეს შესაბამისი ეთნოსის ენაზე, მაგრამ, ამავე დროს, მკაცრად უნდა მოხდეს ამ სკოლების მასწავლებელთა შერჩევა, რათა ადგილი არ ჰქონდეს მათი მხრიდან ანტიქართულ პროპაგანდას“; „სწავლება ყველგან, ყველა სკოლაში სახელმწიფო ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. ეროვნული უმცირესობების ენაზე უნდა წარმოებდეს მხოლოდ მათი მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხერხდება მათი სრული ინტეგრირება ქართულ სახელმწიფოში“; „არაქართული სკოლები არ უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან“; „არაქართულ სკოლებში ქართული ენის, როგორც ქვეყნის სახელმწიფო ენის შესწავლას, გაცილებით მეტი საათი უნდა დაეთმოს, ვიდრე ერთად აღებული სხვა ენების (მათი მშობლიური, ასევე უცხო ენების) შესწავლას“; „საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი თავზე გვაზის. იმას მაინც მივაღწიოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ენაზე გვესაუბრონ“; „ქართული ენა არაქართულ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ინტენსიურად და მაღალ დონეზე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მიყრუებულ სოფლებშიც კი. ქართულის პედაგოგებს ასეთ სკოლებში მომატებული ხელფასი უნდა ეძლეოდეთ“; „მხოლოდ სხვა ერების ინტერესების გათვალისწინებამ და საკუთარის იგნორირებამ დაღუპა ერიც, ქვეყანაც და სკოლაც“;

კითხვაზე – „თქვენი შეხედულებით უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლებში რელიგია რაღაც ფორმით (რელიგიათმცოდნეობა, რელიგიის ისტორია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია და ა.შ.)?“ – რესპონდენტთა 10,2% ფიქრობს, რომ „სკოლებში რელიგიური პროფილის საგნები არ უნდა ისწავლებოდეს“; 10,7%-ის აზრით, „სკოლებში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“; გამოკითხულთა 62,9% თვალსაზრისით, „სკოლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასთან ერთად, უნდა ისწავლებოდეს სხვა ძირითადი რელიგიების ისტორიაც“; 7,5%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო რესპონდენტთა 8,7% თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირი ინტერპრეტირებით

გამოხატავს: „რელიგიასთან დაკავშირებული საგნები საჯარო სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან ისტორიის სახელმძღვანელოებში საკმაოდ არის ყურადღება გამახვილებული რელიგიურ საკითხებზე“; „სკოლა სეკულარული უნდა იყოს. რელიგიური თემატიკა უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ისტორიის ფარგლებში“; „სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ყველა რელიგიის ისტორია, რადგან ასეთი მიდგომით ჩვენ გამოვრიცხავთ დისკრიმინაციას“; „ცალკე საგნად რელიგიის საფუძვლების სწავლებას არ მივესალმები. რელიგიური საკითხები უნდა გაშუქდეს ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიის გაკვეთილებზე“; “რელიგიებზე საუბრისას გარკვეული ბალანსი უნდა დავიცვათ, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლას უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს, ვიდრე სხვა რელიგიებს“; „სკოლაში რელიგიური სწავლება არ უნდა იყოს. ვისაც სურვილი აქვს რაიმე გაიგოს რელიგიის შესახებ, მივიდეს ეკლესიაში ან მეჩეთში და იქ მღვდელი და ხოჯა ყველაფერს აუხსნიან“.

რელიგიურ თემატიკას ეხება ღია კითხვა, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული – „აჭარაში, მათ შორის ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, საკმაოდ ბევრია ისლამური მედრესე-პანსიონები (სასწავლებლები) და, აგრეთვე, ფუნქციონირებს თურქეთის მხრიდან დაფინანსებული, ე.წ. საერო პროფილის სკოლები. აღსანიშნავია, რომ მათ არ გააჩნიათ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული, შესაბამისი ლიცენზია. როგორია თქვენი შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?“. ქვემოთ მოგვყავს რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებები ამ საკითხის ირგვლივ: „მედრესე-პანსიონებისთვის მთავარია თურქეთის პოლიტიკური ინტერესების გატარება საქართველოში, დანარჩენი მათთვის მეორეხარისხოვანია“; „საქართველოში რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. მაგრამ უცხოეთიდან მართულმა გარკვეულმა ძალებმა, ისლამურ სარწმუნოებას, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური მიმართულება მისცეს და ასეთ პოლიტიზებულ ისლამს იყენებენ სახელმწიფოს ერთიანობისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ“; „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთოდ უნდა აიკრძალოს თურქეთიდან ან სხვა მუსულმანური ქვეყნებიდან, აგრეთვე, იქ მოქმედი სხვადასხვა რელიგიური თუ არარელიგიური ფონდებიდან ისლამური მიმართულების სასწავლებლების დაფინანსება. განათლების სამინისტრომ კი მათზე ლიცენზია არ უნდა გასცეს“; „თუ ლიცენზია გაცემული არ იქნა განათლების სამინისტროს მიერ, როგორ გაიხსნა და მუშაობს მედრესე-პანსიონები? ჩვენთან ულიცენზიოდ მცირე ზომის სახელოსნოსაც ვერ გახსნი. საუკუნეების წინ, თურქებმა ისლამი აჭარაში ძალადობით, ხალხის ხოცვა-ჟლეტის ფასად დაამკვიდრეს. ახლა კი სამარცხვინო ფაქტთან გვაქვს საქმე – XXI საუკუნეში ზოგიერთი ვაიქართველი საკუთარი ნებით მუსულმანდება, რაშიც ლომის წილი

მედრესე-პანსიონებსაც მიუძღვით“; „ულიცენზიო რელიგიური სასწავლებლების არსებობა კანონსაწინააღმდეგოა და ამიტომ მათი ფუნქციონირება დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს“; „მედრესე-პანსიონებში გამოზრდილი ახალგაზრდები, წლების შემდეგ, საქართველოს მტრად მოეკიდებიან, რადგან ასეთ სასწავლებლებში ანტიქართული, ანტიქრისტიანული სული ტრიალებს. გამომდინარე ასეთი ვითარებიდან, მედრესე-პანსიონების საქმიანობა უნდა აიკრძალოს“; „ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხის აზრი საერთოდ არ აინტერესებს. ჩაატარონ რეფერენდუმი ან პლებისციტი ისლამურ სასწავლო დაწესებულებებთან დაკავშირებით და ნახავენ, რა შედეგსაც მიიღებენ“; „ყოვლად დაუშვებელია მსგავსი ტიპის სასწავლებლების არსებობა საქართველოში. ეს ის ნაღმია, რომელიც ოდესღაც აფეთქდება და საქართველოს უამრავ პრობლემას შეუქმნის“; „ჩემთვის გაუგებარია, რატომ ენიჭება ჩვენს ქვეყანაში პრივილეგია ყოველგვარ ანტიქართულს“; „ამდენი უნებართვო მედრესე-პანსიონის არსებობა იმის შედეგია, რომ ბევრი მოღალატე ფულზე ყიდის ეროვნულ ინტერესებს და აჭარაში ისლამის პროპაგანდის დანერგვაზე მუშაობს. ეს ერისა და ქვეყნის სირცხვილია“; „საქართველოში, ქრისტიანულ ქვეყანაში, არავითარი არალიცენზირებული და თუგინდ ლიცენზირებული ისლამური მედრესე-პანსიონები არ უნდა არსებობდეს“; „საერთოდ არ მიმაჩნია საჯაროდ ჩვენთან არც მედრესე-პანსიონების და არც თურქეთიდან დაფინანსებული ვითომ „საერო“ პროფილის სასწავლებლების არსებობა“; „მედრესე-პანსიონების და მსგავსი ტიპის სასწავლებლების არსებობა თურქეთის მზაკვრულ მიზნებს ემსახურება. ეს სახელმწიფო, ამ გზით, ცდილობს თავისი ექსპანსიონისტური, ანტიქართული მიზნების განხორციელებას“; „ჩემთვის მიუღებელია არა მარტო ისლამური მიმართულების მედრესე-პანსიონების არსებობა, არამედ ე.წ. „საერო“, თურქეთიდან დაფინანსებული სკოლა-ლიცეუმების საქმიანობაც, რადგან ესენიც, მედრესე-პანსიონების მსგავსად, თურქული იდეოლოგიის ჩვენი მოსახლეობისთვის თავზე მოხვევას ცდილობენ, ოღონდ შენიღბულად. ერთი გაგვაგებინოს ვინმემ, თურქეთში თუ შეიძლება გაიხსნას რაიმე სახის ქართული სასწავლებელი – გინდ საერო, გინდ სასულიერო? გასარკვევია და გასაკონტროლებელი, რა კატეგორიის ხალხი ასწავლის და რას ასწავლიან ამ მედრესე-პანსიონებში“; „ეს სასწავლებლები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნისთვის“; „მოვუწოდებ საჯარო სკოლების ყველა მასწავლებელს, ხმა ამოიღონ და ერთიანი ძალისხმევით გააპროტესტონ ასეთი ტიპის სასწავლებლების არსებობა აჭარაში“; „სამწუხაროდ, სახელმწიფო ხელს არ უშლის ამ მედრესე-პანსიონების გახსნას და არსებობას. ხელისუფლების ფარული დახმარების გარეშე, ისინი ერთი დღითაც ვერ შესძლებდნენ საქმიანობის წარმართვას“; „ისლამური მიმართულების სასწავლებლებში, ჩვენი კუთხის ახალგაზრდების მისვლა, ძირითადად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების

ბრალია. ბევრი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შვილებს ასეთი ტიპის სასწავლებელში აგზავნის. ამ სასწავლებლების ძირითადი მისია მოსწავლეებისთვის არა იმდენად კვალიფიციური ცოდნის მიცემაში, არამედ თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილი საქართველოს მოქალაქეების აღზრდაში მდგომარეობს. თურქეთი ამისთვის საკმაო თანხას ხარჯავს. გამოვდივარ რა ერის ინტერესებიდან, ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის მედრესე-პანსიონების საქმიანობა აჭარაში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები“; „პატივი უნდა ვცეთ სხვა რელიგიურ მრწამსს, მაგრამ ჩვენთან მედრესე-პანსიონების გახსნა დანაშაულის ტოლფასია. იქ ნასწავლი ბავშვი აღარაა ქართული ცნობიერების მატარებელი. ის საქართველოს მომავალში არაფერში წაადგება“; „მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ისლამის სახელით გვჟლეტდნენ. აჭარაში მედრესე-პანსიონების არსებობა, თურქეთის ინტერვენციის ტოლფასია“; „მას, ვინც მიდრეკილია ისლამისკენ, სწავლას არავინ არ უშლის. ასეთ პირებს უფლება აქვთ, ნებისმიერ თეოლოგიურ სასწავლებელში ისწავლონ, ოღონდ საქართველოს ფარგლებს გარეთ“; საქართველოში არც მუსულმანური და არც ინდუისტური თუ ბუდისტური სასწავლებლები არ უნდა არსებობდეს“; „მიუხედავად საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულებისა, აჭარაში წლიდან წლამდე იზრდება ისლამური ტიპის სასწავლებლების რიცხვი. ეს, ძირითადად, ხელისუფლების ბრალია, რომელიც ფარულად უწყობს ხელს ამ მედრესე-პანსიონების გახსნას (აბა, რითი უნდა აიხსნას ამდენი მედრესე-პანსიონის არსებობა, რომელთა საქმიანობაზე სახელმწიფო თვალს ხუჭავს?)“; „ბავშვების მედრესე-პანსიონებში მიბარების საკითხში მათი მშობლებია დამნაშავე. ისინი ამით ცდილობენ, ფაქტობრივად, არაქართველებად აღზარდონ შვილები“; „თურქეთმა ისლამური ორიენტაციის სასწავლებლების გახსნის გზით, გააგრძელა აჭარაში თავისი აგრესიული, დამპყრობლური პოლიტიკა, ოღონდ, ამჟამად იდეოლოგიის საშუალებით. ამ ახალი თურქული ექსპანსიის ძირითადი მეთოდი ასეთია: თუ ადრე ეს სახელმწიფო ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ჩვენი კუთხის გადაგვარება-გადაჯიშებას, ახლა კულტურულ-რელიგიურ-საგანმანათლებლო ხაფანგს გვიგებს“; „მედრესე-პანსიონები სარგებლობენ ჩვენი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობით, იზიდავენ ახალგაზრდებს უფასო სწავლებით და კვებით, ზოგ შემთხვევაში ტანსაცმლითაც. სირცხვილია, ქართველი ბავშვი თურქების გამოსაკვები რომ გახდება და ყველაფერი ეს კეთდება ჩვენი ახალგაზრდების მუსულმანურ რწმენაზე გადასვლის სანაცვლოდ“; „ასეთი ტიპის სასწავლებლების არსებობა, მძიმე შედეგებამდე მიიყვანს ქვეყანას და ხალხს. მედრესე-პანსიონში პატრიოტი ვერ აღიზრდება. ვითარების გამოსწორების მიზნით, სახელმწიფომ მკვეთრად უნდა ასწიოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, რათა ლუკმა-პურისთვის ადამიან-

მა არ გაყიდოს თავისი ქვეყანა და რჯული“; „თუ არ იქნებიან მშიერი ბავშვები, მაშინ არც არავინ იფიქრებს შვილების მედრესე-პანსიონებში განწესებაზე“; „ასეთ სასწავლებლებში განათლებას აქვს ანტიქართული ხასიათი და ის მოსწავლეებს უცვლის ეროვნულ მენტალიტეტს. იქ ანტიქართულ და ანტიქრისტიანულ შეხედულებებს ქადაგებენ და ამით ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს!“; „მედრესე-პანსიონები ხელს უწყობენ აჭარის მოსახლეობის ისლამიზაციას, რაც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაძლიერდა (დამოუკიდებლობის პერიოდში აჭარაში უფრო მეტი მეჩეთი და ჯამე გაიხსნა, ვიდრე თურქეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის დროს). ისლამის მომძლავრება ხელს უშლის ეროვნულ ტრადიციებზე ახალგაზრდების აღზრდას, რაც, პერსპექტივაში, ნეგატიური შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის“; „თურქეთის ინტერესი ჩვენთან ისლამური სწავლების გააქტიურების მიზნით გასაგებია: აჭარაში მაჰმადიანური მრწამსის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის ხარჯზე მას სურს, მყარი საყრდენი შეიქმნას საქართველოს წინააღმდეგ, თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელების გზაზე. ამ საქმეში თურქებს „ნოყიერ ნიადაგს“ ახვედრებს ჩვენი ხელისუფლება, რომელიც არ ცდილობს, შეაჩეროს მოზღვავებული ისლამიზაციის პროცესი, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მედრესე-პანსიონები წარმოადგენს“; „მედრესე-პანსიონები უნდა დაიხუროს. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია არა მარტო განათლების სფეროსთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ასეთ სასწავლებლებში ხორციელდება ძალადობა ქართულ ცნობიერებაზე, რაც განაპირობებს ზოგიერთ ქართველში ეროვნული თვითშეგნების დეფიციტს“; „მედრესე-პანსიონების გახსნა აჭარაში ერის ღალატი და სახელმწიფო დანაშაულია“; „ჩვენი ტოლერანტობა იდიოტიზმში გადაიზარდა. როგორ შეიძლება ჩვენთან მედრესე-პანსიონების გახსნა, იქ ხომ საქართველოს სიყვარულს არ ასწავლიან, იქ საქართველოს სადიდებელი „სადღეგრძელო“ არ წარმოითქმება, იქ მხოლოდ საქართველოს და ქართველების სიძულვილს უნერგავენ ბავშვებს თავებში“; „ასეთი სასწავლებლების წინააღმდეგ, სასამართლოში საქმე უნდა აღიძრას, რადგან ისინი ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე საქმიანობენ“; „ეჭვი მაქვს, რომ ასეთი ულიცენზიო სასწავლებლების არსებობას ჩვენთან ხელისუფლებიდან ვიღაც უწყობს ხელს. მთავრობა სირაქლემას პოზაშია – ერთი მხრივ, ვითომ ეროვნულ ინტერესებს იცავს და არ აძლევს ასეთი ტიპის სასწავლებლებს ლიცენზიას, მეორე მხრივ კი, ხელს არ უშლის იქ ულიცენზიოდ მიმდინარე სწავლების პროცესს“; „ვინც მედრესე-პანსიონებს ლობირებს, მათთვის მთავარია, სწავლება შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. ლიცენზირების საკითხი მათთვის მეორეხარისხოვანია“;. „მე, როგორც პედაგოგს, უფრო მეტი პროტესტის გრძნობა მაქვს რუსული სკოლებისადმი, ვიდრე ისლამური მედრესე-პანსიონების მიმართ“; „თუ ულიცენზიოდ, სადმე, ჯიხურს ჩადგამ, იმავე წუთში

დაგაჯარიმებენ, პროკურატურამ შეიძლება საქმეც კი აღძრას. მედრესე-პანსიონებს კი საქმიანობის ნებართვას არავინ სთხოვს, რასაც უნდა იმას აკეთებენ“; „მედრესე-პანსიონების არსებობა ცუდად აისახება ჩვენი ერის მომავალზე. იქ „ნასწავლი“ ახალგაზრდა ვერ იქნება ნამდვილი ქართველი პატრიოტი, რადგან ისლამი ანტიქართული და ანტიქრისტიანული იდეოლოგიაა. საქართველო გაბრწყინდება მხოლოდ მაშინ, როცა უკლებლივ ყველა ქართველი გაიზრდება ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ სამ პრინციპზე –მამული, ენა, სარწმუნოება“;

ანკეტაში ბოლო შეკითხვას ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდა, რომლის არსი შემდგომში მდგომარეობდა: ჩვენ გვაინტერესებდა, ჰიპოთეტურად რას გააკეთებდა, რა საკითხებს მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას ესა თუ ის პედაგოგი, განათლების მინისტრად მუშაობის შემთხვევაში. კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული –„პირობითად, თქვენ რომ საქართველოს განათლების მინისტრი გახდეთ, რა რეფორმებს გაატარებდით სკოლებში საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით?“ ქვემოთ მოყვანილია, ჩვენი აზრით, ის საყურადღებო წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებლებმა გამოთქვეს: „არ შეიძლება ქართველი პედაგოგები და მოსწავლეები ე.წ. „ბოლონიის პროცესიდან“ აღებული, ხშირად ქართული მენტალობისთვის მიუღებელი დირექტივების ტყვეობაში ვიყოთ. თანაც, როგორც რეალობამ დაგვანახა, ამ ე.წ. „ევროპულ რეფორმებს“ არაფერი სასიკეთო არ მოუტანია სწავლების დონის ამაღლების კუთხით. მსოფლიო (და არა მარტო ევროპული) საგანმანათლებლო პრაქტიკიდან ავიღებდი მხოლოდ ისეთ აპრობირებულ რეკომენდაციებს, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა რეალურ შედეგს მოუტანდა განათლების სისტემას, რომლებიც მოწონებული იქნება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ და მოერგება სწავლების ქართულ ეროვნულ სპეციფიკას“; „შევაჩერებდი საქართველოში ექსპერიმენტების სახით წარმოებულ, უცხოეთიდან თავსმოხვეულ, ყველა ამ ვაირეფორმას“; „ნებისმიერ რეფორმას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მხოლოდ პედაგოგთა მრავალათასიანი არმიის წინადადებების და რეკომენდაციების საფუძველზე გავატარებდი“; „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ამ უაზრო სერტიფიცირების ნაცვლად, პედაგოგებს გაცვლითი პროგრამების საშუალებით, გავაგზავნიდი განათლების მხრივ რომელიმე მოწინავე ქვეყანაში, სადაც ისინი რეალურად აიმაღლებდნენ თავიანთ კვალიფიკაციას“; „მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, წარმატებულ მასწავლებლებს და მოსწავლეებს დავუწესებდი სხვადასხვა შეღავათს: გავცემდი მათზე ფულად პრემიებს, წავახალისებდი სხვადასხვა სახის საჩუქრებით, სიგელებითა თუ ჯილდოებით. საზაფხულო არდადეგების პერიოდში მივცემდი საშუალებას, უფასოდ

დაესვენათ საქართველოს კურორტებზე და ა.შ.“; „მე რომ მინისტრი ვიყო, სკოლაში დავაბრუნებდი ბევრ ძველ, აპრობირებულ სახელმძღვანელოს, რომლებზეც თაობები გაიზარდნენ და მაღალი დონის განათლებაც მიიღეს“; „მეტ ყურადღებას მივაქცევდი, სკოლებში ეროვნული ფასეულობების დანერგვას“; „სკოლებში დავამონტაჟებდი თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს. დღეს, საგანმანათლებლო სფეროში სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელია მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე. როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა მაღალ დონეზე, როდესაც მას, თვალსაჩინოების ნიმუშად, მასწავლებელი დიდი ხნის წინ გამოშვებულ, ადამიანის სხეულის ნახევრად დაშლილ მაკეტს სთავაზობს და არა კომპიუტერიზებულ საჩვენებელ მასალას. აუცილებელია ყველა საკლასო ოთახში იყოს მაღალი დონის, თანამედროვე პროექტორი“; „დავუბრუნდებოდი სასწავლო პროცესს მეოთხედების მიხედვით. მაგ. დაბალი კლასების მოსწავლეებისთვის, სემესტრული სწავლება ზედმეტად დამღლელია“; „სკოლებში, ყველა კლასში მოსწავლეებს უნდა ეცვათ ფორმა“; „სკოლებში ავკრძალავდი მობილური ტელეფონების გამოყენებას“; „უპირველეს ყოვლისა, სწავლების დაწყებითი საფეხურის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები უნდა დაიყონ ჰუმანიტარული და ტექნიკური მიმართულების კონტინგენტებად, რაც მომავალში ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სწავლების ხარისხის ამაღლებას და, მეორე მხრივ, მათ პროფესიონალიზაციას. მაგ. ქართული ლიტერატურისადმი მიდრეკილ ბავშვს, საერთოდ არაფერში სჭირდება ფიზიკის ან ქიმიის ცოდნა“; „5-დღიანი სწავლება საკმარისი არაა, ამ ვადებში ვერ ვეტევით, საჭიროა ექვსდღიანი სამუშაო კვირა. სკოლებში ავკრძალავდი მეშვიდე გაკვეთილს, ეს დანაშაულია“; „სკოლებში შემოვიღებდი მოსწავლეთა ერთჯერად უფასო კვებას, ბევრი ბავშვი ღარიბი და ღატაკი ოჯახიდანაა და მათთვის ხარისხიანი კვება სასიცოცხლო აუცილებლობაა. ერთი ვაშლის ჭამით, როგორც ეს უდღეურ მინისტრ ჯეჯელავას ეგონა, ბავშვი ვერ დანაყრდება“; „ახალ სახელმძღვანელოებს მხოლოდ მაშინ დავუშვებდი სკოლებში, თუ მას ვიზირება ექნება არა მხოლოდ „ექსპერტთა“ მცირე ჯგუფის მხრიდან, არამედ მოქმედ პედაგოგთა უმრავლესობის მხრიდანაც“; „სკოლიდან გავუშვებდი ყველა პენსიონერ მასწავლებელს“; „სკოლაში მუშაობის დაწყებისას უპირატესობას მივანიჭებდი მამაკაც მასწავლებლებს. არ შეიძლება, რომ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალი იყოს“; „განათლების მინისტრი არ უნდა ინიშნებოდეს „ზემოდან“. ის პედაგოგებმა უნდა აირჩიონ კენჭისყრის გზით“; „დაწყებით კლასებში გავაუქმებდი უცხო ენების სწავლებას. ბავშვმა სათანადოდ მშობლიური ენა არ იცის და რატომ ვაიძულებთ მას უცხო ენის სწავლას. უცხო ენების შესწავლა უნდა დაიწყოს მეხუთე კლასიდან“; „გავზრდიდი ქართულში საათების რაოდენობას. ქართული ენის გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს ცალკე საგნად და არა

როგორც ქართული ლიტერატურის დანამატი“; „შევქმნიდი მცირე მასშტაბების სკოლის მუზეუმებს, სადაც იმ სკოლადამთავრებულების შესახებ იქნება მოთხრობილი, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში“; „ყველა სკოლასთან ჩამოვაყალიბებდი მშობელთა კომიტეტებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ სკოლებს წესრიგის დამყარებაში და სწავლების პროცესის უკეთ წარმართვაში“; „განათლების სამინისტრომ უნდა შექმნას სპეციალური საფინანსო ფონდი, საიდანაც პედაგოგებზე გაიცემა შიდა უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხი. ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული უგუნური რეგულირების შემდეგ, კრედიტის აღება, დაბალი ხელფასის გამო, მასწავლებლებისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა“; „სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა, უნდა გახდეს საუნივერსიტეტო სისტემის ანალოგიური ე.ი. 100-ქულიანი“; „სკოლებიდან გასაყრელია არაეროვნულად მოაზროვნე პედაგოგები“; „მასწავლებლებს დავავალებდი, შეესწავლათ თავიანთი მოსწავლეების მატერიალური მდგომარეობა. ამის საფუძველზე გამოვლენილ ხელმოკლე ოჯახებს დავუწესებდი რაიმე სახის სოციალურ დახმარებას“; „საქართველოს ისტორია ცალკე საგნად უნდა ისწავლებოდეს და არა ისტორიის ზოგადი კურსის ფარგლებში. ასეთი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება“; „სკოლიდან გავუშვებდი წინა ხელისუფლების (სააკაშვილის რეჟიმის) აპოლოგეტ პედაგოგებს, რომლებიც მათ ყველა დანაშაულს ამართლებენ მოსწავლეებთან“; „პირველ კლასში მაქსიმუმ 4 გაკვეთილი უნდა იყოს“; „სკოლებში სწავლა უნდა დაიწყოს 1 სექტემბერს და დამთავრდეს მაისის ბოლოს. სწავლების ახლანდელი ვადები უაზრობაა“; „უცხო ენის სწავლება არ უნდა იყოს სავალდებულო. ის უნდა იყოს ფაკულტატური. უცხო ენების ათვისება ძალიან ძნელია, ბავშვების უმეტესობას უჭირს მისი ათვისება“; „მასწავლებლის სრული განაკვეთი უნდა შემცირდეს და ის კვირაში არ უნდა იყოს 10 საათზე მეტი“; „პედაგოგების ხელფასს მინიმუმ 1000-1500 ლარს გავხდიდი“; „სკოლის დირექტორის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს. მას მხოლოდ სკოლის პედკოლექტივი უნდა ირჩევდეს“; „სწავლებაში დავნერგავდი მსოფლიოში ყველაზე წარმატებული, ფინური სკოლის გამოცდილებას“; „სკოლებში შემოვიღებდი საგანს – საქართველოს კულტურის ისტორია“; „სკოლაში დავაბრუნებდი აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობას“; „მინისტრი რომ ვიყო, სისტემატურად შევხვდებოდი პედაგოგებს სხვადასხვა რეგიონიდან და გავიგებდი მათ გულის წუხილს“; „საახალწლოდ პედაგოგებზე გავცემდი მეცამეტე ხელფასს, გამორჩეულ, წარმატებულ მასწავლებლებს დამატებით მივცემდი ფულად პრემიას“; „სკოლებში უნდა ისწავლებოდეს საგანი „ეთიკა“. ეს ხელს შეუწყობს ზნეობრივი ნორმების დანერგვას მოსწავლეებში“; „სკოლის

მთავარი ამოცანა მამულიშვილის, პატრიოტის აღზრდა უნდა იყოს და არა მხოლოდ მცოდნე პიროვნების, რომელსაც შეიძლება მაღალი დონის განათლება კი აქვს მიღებული, მაგრამ არ გააჩნია ეროვნული სული, ამ საკითხის მოსაგვარებლად შემოვიღებდი საგანს – „პატრიოტული აღზრდა“; „სახელმძღვანელოებს „დავათხელებდი“. მათი სიმძიმის გამო, მოსწავლეთა ნაწილს ოსტეოქონდროზი ტანჯავს“.

აღნიშნული კვლევის ზოგიერთ საკითხთან თანხვედრაშია ის პრობლემა, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კონკრეტული სოციოლოგიური კვლევების ლაბორატორიამ 2007 წელს (ლაბორატორიის ხელმძღვანელი ნ. ჩხაიძე) შეისწავლა. კვლევაში, ძირითადად, ჩართული იყვნენ ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები. გამოკითხულ იქნა ქ. ბათუმის სკოლების 150 პედაგოგი. კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა დამოკიდებულება განათლების სისტემაში იმ დროს მიმდინარე რეფორმებისადმი. რესპონდენტების პასუხები კლასიფიცირებული იქნა ერთგანზომილებიანი ანალიზის საფუძველზე (იმ კვლევაში პროცენტები დამრგვალებული სახითაა წარმოდგენილი). 11 წლის წინანდელი, თითქმის იდენტური, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბის კვლევის შედეგების შედარება ახლანდელი კვლევის რეზულტატებთან, გარკვეულწილად გვიჩვენებს, თუ რა პრობლემები არსებობდა მაშინ სკოლისა და პედაგოგების წინაშე და რა პრობლემები არსებობს დღეს.

იმის გასარკვევად, თუ რა სახის რეფორმებს ანიჭებენ პრიორიტეტს მასწავლებლები, მათ დავუსვით შემდეგი სახის კითხვა – „თქვენი ნება რომ იყოს, უპირველეს ყოვლისა, რა სახის რეფორმებს გაატარებდით სკოლაში“. რანჟირების შედეგად პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: პედაგოგთა 16% განამტკიცებდა სკოლაში დისციპლინას და გააძლიერებდა კონტროლს ბავშვების ყოფაქცევაზე; 10% მომხრეა, რომ კლასებში შემცირდეს მოსწავლეთა რაოდენობა და ისინი უფრო კომპაქტურები გახდნენ; 8% გაზრდიდა მოთხოვნებს მშობლებისადმი, რათა მათ მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთი შვილების სწავლასა და აღზრდას; საკმაოდ მწვავედ დგას მობილური ტელეფონების პრობლემა. გამოკითხულ მასწავლებელთა 8% მოითხოვს, რომ სკოლაში აიკრძალოს მოსწავლეთა მიერ მობილური ტელეფონების გამოყენება; 6%-ის აზრით, სკოლაში ადმინისტრაციამ, ხელი უნდა შეუწყოს პედაგოგის როლისა და ავტორიტეტის ზრდას; ასევე, რესპონდენტთა 6%-ს მიაჩნია, რომ ყველა ჯგუფს უნდა ჰქონდეს საკუთარი საკლასო ოთახი; გამოკითხულ მასწავლებელთა 6%-ს „აწუხებს“ მოსწავლეთა არასათანადო ჩაცმულობა; 4% უკმაყოფილოა იმით, რომ სკოლაში ცოტაა მამაკაცი პედაგოგი; რესპონდენტთა მცირე ნაწილის განცხადებით (2%), მათი ნება რომ იყოს,

სკოლაში შემდეგი სახის რეფორმებს გაატარებდნენ: წარმატებული მოსწავლეებისგან კონკრეტულ საგნებში, შექმნიდნენ გაძლიერებული სწავლების ჯგუფებს; მოაწესრიგებდნენ სხვადასხვა ცვლაში მოსწავლეთა სწავლების საკითხს; შემოიღებდნენ სასწავლო დისციპლინად ფსიქოლოგიას; დაამკვიდრებდნენ დიფერენცირებულ სწავლებას; დააწესებდნენ სტიპენდიებს წარჩინებული მოსწავლეებისთვის.

შემდეგი შეკითხვა ეხებოდა საკითხს, თუ რას მიიჩნევენ ყველაზე წარმატებულად განათლების რეფორმაში. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: რესპონდენტთა თანაბარმა რაოდენობამ (16%) ჩათვალა, რომ ყველაზე დიდ წარმატებად, შეიძლება მიჩნეული იქნას ახლებური, თანამედროვე მიდგომა სწავლების პროცესისადმი და სკოლების კომპიუტერიზაცია. შემდეგ, კლებადობის სკალით, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 10% ფიქრობს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ აამაღლა მოსწავლეთა ცოდნის დონე და მოსწავლეები სკოლისკენ შემოაბრუნა; გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა (8%) წარმატებად თვლის იმას, რომ შეიზღუდა სკოლის დირექტორის უფლებები და, ამავე დროს, გაიზარდა მასწავლებელთა დამოუკიდებლობის ხარისხი; 4% მხარდამჭერი ჰყავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა – ა) მოსწავლეთა ქულებით შეფასების ახალი სისტემა; ბ) ვაუჩერული დაფინანსება; გ) ტრიმესტრული სწავლება; დ) ახალი სახელმძღვანელოები; ე) სკოლების რემონტი. პედაგოგთა 2% რეფორმის მიღწევად მიიჩნევს სასწავლო პროგრამების გაიოლებას და სკოლებში დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებას.

რაც შეეხება რეფორმის ყველაზე წარუმატებელ მხარეებს, ასეთად მიჩნეული იქნა: მოსწავლეთა დისციპლინის მკვეთრი გაუარესება (20%); შეუსაბამობა კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასა და პედაგოგთა შრომის ანაზღაურებას შორის (16%) (აქ ძირითადად იგულისხმება ისეთი გარემოებები, როცა მაგ. 20 მოსწავლით დაკომპლექტებული კლასის მასწავლებლებს იგივე ანაზღაურება აქვთ, როგორც იმ მასწავლებლებს, რომლებსაც კლასში 40 და მეტი მოსწავლე უზით); გამოკითხულ პედაგოგთა ერთნაირი რაოდენობა (8%) უარყოფითად აფასებს რეფორმის შემდეგ კომპონენტებს – ა) პორტფოლიოების შემოღებას; ბ) ტრიმესტრულ სწავლებას; გ) ფასების მკვეთრ ზრდას სახელმძღვანელოებზე; დ) სახელმძღვანელოების ხარისხობრივი დონის დაქვეითებას; რესპონდენტთა 6% უკმაყოფილოა სახელმძღვანელოების (განსაკუთრებით დაბალ კლასებში) ქაოტური ცვლით; გამოკითხულთა იგივე რაოდენობას არ მოსწონს მოსწავლეთა შეფასების ახალი, 10-ქულიანი სისტემა, ხოლო 4% უკმაყოფილოა 12-წლიანი სწავლების შემოღებით.

ის, თუ როგორი ფორმით უნდა დაინიშნოს დირექტორი სკოლაში, რესპონდენტთა აზრი შემდეგია: მათი 80% ფიქრობს, რომ დირექტორს უნდა ირჩევდეს

მხოლოდ პედკოლექტივი სრული შემადგენლობით; 12% თვლის, რომ სკოლის დირექტორი უნდა ინიშნებოდეს განათლების სამინისტროს მიერ; მასწავლებელთა 8% დირექტორის სამინისტროს მიერ დანიშვნის მომხრეა, ოღონდ შემდეგი ნიუანსის გათვალისწინებით – დირექტორად მხოლოდ ის პირი უნდა დაინიშნოს, რომელსაც რეკომენდაციას პედკოლექტივი გაუწევს. ამავე დროს, ახალ დირექტორს უნდა მიეცეს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადა და თუ მან ვერ გაამართლა პედკოლექტივის ნდობა, ის უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

შეკითხვაზე – „თუ რა იწვევს ყველაზე დიდ უკმაყოფილებას მოსწავლეთა ქცევაში?“ – პასუხები შემდეგნაირია: რესპონდენტთა 66% თვლის, რომ მოსწავლეები უპატივცემულობას იჩენენ მასწავლებელთა მიმართ (კონკრეტულად კი მოსწავლეთა ქცევა შემდეგი ტერმინებით გამოხატეს – უკულტუროები, უზრდელები, თავხედები, უპასუხისმგებლოები, აგრესიულები, ცუღლუტები, ხამები და ა. შ.); გამოკითხულთა 18% მიიჩნევს, რომ მოსწავლეები გაკვეთილზე ყურადღებას არ იჩენენ საგნისადმი, არ აქვთ სწავლის არავითარი სურვილი, არიან ძალიან ინდეფერენტულები; მასწავლებელთა 6% უკმაყოფილოა იმით, რომ მშობლები არ ინტერესდებიან მათი შვილების სწავლის დონითა და ქცევით, იგნორირებას უკეთებენ მასწავლებლებს, არ ეკონტაქტებიან მათ; რესპონდენტთა თანაბარი რაოდენობა (4%) უკმაყოფილოა მოსწავლეთა მხრიდან გაკვეთილების ხშირი გაცდენით და მათი ვულგარული ჩაცმულობით, ხოლო პედაგოგთა 2% ფიქრობს, რომ მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში არა სწავლისთვის, არამედ გართობის მიზნით დადის.

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) უკმაყოფილოა მასწავლებელთა ტესტირების შემოღებით. ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ ტესტირება ზოგადი ხასიათისაა და არა საგნობრივი. რესპონდენტთა ამ ნაწილის აზრით, ტესტირების ძირითადი მიზანია არა მასწავლებელთა რეალური ცოდნის დადგენა, არამედ არასასურველი (ძირითადად ასაკოვანი) მასწავლებლების სკოლიდან განდევნა. მათი აზრით, საქმისადმი ასეთი მიდგომა კარგ შედეგს არ მოიტანს, რადგან ახალგაზრდა პედაგოგებს არ აქვთ ასაკოვან მასწავლებელთა დონის ცოდნა და მათი სკოლიდან წასვლა სწავლების ხარისხს მკვეთრად დასწევს ქვემოთ.

პედაგოგთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი 36% მყარად არ არის დარწმუნებული იმაში, რომ სამსახურიდან არ გაუშვებენ; 32%-ს მუდმივად აქვს სამსახურიდან დათხოვნის შიში. რესპონდენტთა 28% ფიქრობს, რომ მათ სამსახური უვადოდ აქვთ გარანტირებული და სკოლიდან არავინ გაათავისუფლებს; გამოკითხულთა 4% კი საერთოდ არ დაფიქრებულა ამ საკითხზე.

მკვეთრი პოზიცია აქვთ პედაგოგებს 12-წლიანი სწავლებისადმი. მათი 86% უარყოფითად არის განწყობილი ამ სიახლისადმი. 12% მხარს უჭერს 12-წლიანი სწავლების შემოღებას, ხოლო რესპონდენტთა 2%-ს არ აქვს ამ საკითხის ირგვლივ საკუთარი აზრი.

ასევე, გამოკვეთილი პოზიცია აქვთ მასწავლებლებს ხელფასებთან დაკავშირებით. მათი უმეტესობა (66%) უკმაყოფილოა ხელფასის ოდენობით; 30% უფრო მეტად უკმაყოფილოა, ვიდრე კმაყოფილი თავისი ხელფასით. გამოკითხულ პედაგოგთა მხოლოდ 4% არის კმაყოფილი ანაზღაურებით.

რაც შეეხება მასწავლებელთა ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას, კვლევამ აჩვენა, რომ ის, ძირითადად, არასახარბიელოა. რესპონდენტთა 68% მიიჩნევს, რომ მათი ოჯახები, შეიძლება, არ იქნეს მიჩნეული ღარიბ ან ღატაკ ოჯახებად, მაგრამ სახელფასო თანხა მათ ოჯახებს მხოლოდ მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყოფნით. გამოკითხულ პედაგოგების 14% თავიანთ ოჯახებს ღარიბ ოჯახებად მიიჩნევენ. რესპონდენტთა 16% თავის ოჯახს საშუალო შემოსავლების მქონეთა კატეგორიას მიაკუთვნებს და მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ მათი ოჯახის შემოსავლები, საკმაოდ კარგი ცხოვრების საშუალებას იძლევა. შეძლებულად, მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახის წევრად, არც ერთი გამოკითხული პედაგოგი არ მიიჩნევს თავს. ამ შეკითხვაზე, რესპონდენტთა პასუხებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ ქ. ბათუმის სკოლების მასწავლებელთა უმეტესობის მატერიალური მდგომარეობა 2007 წლისთვის საკმაოდ მძიმე იყო.

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა სოციოლოგიურმა კვლევამ, მიუხედავათ მისი მცირე მასშტაბისა, შეძლო, გამოეკვეთა იმ მწვავე პრობლემების ნუსხა, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში აწუხებდათ პედაგოგებს.

ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა სოციოლოგიური გამოკითხვის პასუხების გაცნობასთან ერთად, უფრო სრული სურათი რომ შექმნილიყო მთლიანად სასკოლო განათლების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვეშუქებინა ამ საკითხისადმი მედიაში და სოციალურ ქსელებში ექსპერტთა მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებები და საკუთარი თვალსაზრისი დაგვეფიქსირებინა განათლების სისტემაში არსებული საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ.

დღეს საქართველოში ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. ეს საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს. სიტუაციას ვერ აუმჯობესებს კერძო სკოლების არსებობაც, რადგან ისინი ნაკლებად ცვლიან ზოგად სურათს, თუნდაც ასეთი ტიპის სასწავლებლებში, სწავლის ხელმისაწვდომო-

ბის და მათი საერთო საგანმანათლებლო კონტექსტიდან გარკვეული ამოვარდნის გამო.

სწავლების დონის ამაღლება, უმეტესწილად, დამოკიდებულია მასწავლებელთა კომპეტენციაზე. პედაგოგების შესაძლებლობების განსაზღვრის და ამაღლების მიზნით 2010 წლიდან ამოქმედებულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა (შემდგომში „სქემა“). მასწავლებელთა სტატუსური წინსვლისთვის ან არსებულის შენარჩუნებისთვის (მასწავლებლები შემდეგნაირად არიან დაყოფილნი: 1. პრაქტიკოსი მასწავლებელი; 2. უფროსი მასწავლებელი; 3. წამყვანი მასწავლებელი, 4. მენტორი, მასწავლებელი), საჭიროა გარკვეული სავალდებულო და დამატებითი აქტივობის განხორციელება (ტრენინგი, გარე და შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, კონსულტაცია, პრაქტიკის კვლევა, კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიის გამოქვეყნება, სამოდელო გაკვეთილის ჩატარება და ა.შ.). ეს აქტივობები ფასდება კრედიტქულებით. მათი დადგენილი ოდენობით დაგროვების შემთხვევაში, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, ჩააბარონ საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდები და გახდნენ სერტიფიცირებული მასწავლებლები. მთლიანად საქართველოში, მათ შორის ქ. ბათუმის საჯარო სკოლებში, მასწავლებელთა უმეტესობას პრაქტიკოსი მასწავლებლები შეადგენენ (ჩვენ ნაკლებად გამოვიყენებთ აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებულ სტატისტიკას, რადგან ისინი სრული სახით წარმოდგენილია შესაბამის საიტებზე და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამ გზით მოიძიონ მათთვის საინტერესო კონკრეტული სტატისტიკური მასალა), რომელთა დიდ ნაწილს არ აქვს სურვილი, ჩაერთოს „სქემაში“, აიმაღლოს პედაგოგიური სტატუსი და გახდეს სერტიფიცირებული მასწავლებელი, რაც ამ პროცესისადმი მათ უარყოფით დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

თავის დროზე, როდესაც მასწავლებელთა სერტიფიცირება იქნა შემოღებული, ძირითადი გათვლა კეთდებოდა იმაზე, რომ ამ ღონისძიებას პოზიტიური როლი უნდა ეთამაშა ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში, რომლის უმთავრესი შედეგი უნდა ყოფილიყო ჩვენი განათლების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში, ყურადღება გამახვილებულია მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე, რომლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს პედაგოგთა მიერ გარკვეული რაოდენობის კრედიტქულების დაგროვება. ჩვენი აზრით, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების ამ მეთოდმა რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია. კრედიტქულების დაგროვების პრაქტიკა არაფრის მომცემია განათლების სისტემისთვის, რადგან მან ვერ უზრუნველყო სწავლების ხარისხის რაიმე ხელშესახები გაუმჯობესება სკოლებში და, რეალურად, ვერ აამაღლა პედა-

გოგთა დიდი ნაწილის კომპეტენციის დონე (ამას ადასტურებს სასერტიფიკაციო გამოცდებზე „ჩაჭრილ“ მასწავლებელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა).

ჩვენი აზრით, კრედიტქულების დაგროვების პრაქტიკა არაპროდუქტულია, რადგან მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ძალიან დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს. ასეთი ვითარების გამო, პედაგოგები ვერ უთმობდნენ საკმაო ყურადღებას მოსწავლეებს, რაც ნეგატიურად აისახებოდა მათი ცოდნის დონეზე. მიგვაჩნია, რომ სკოლებში მასწავლებელთა არსებული სტატუსური დიფერენცირება ხელოვნური ხასიათისაა და რაიმე პოზიტიური შედეგი მას არ მოაქვს საქართველოს განათლების სისტემისთვის. მასწავლებელთა ასეთი დაყოფა ნეგატიურია მრავალი მიზეზის გამო, მათ შორის იმითაც, რომ ის ზუსტად ვერ განსაზღვრავს პედაგოგთა ცოდნის რეალურ დონეს.

მიგვაჩნია, რომ საჯარო სკოლებში მასწავლებელთა ასეთი ხელოვნური დიფერენცირება უნდა გაუქმდეს და მათი საქმიანობა უნდა შეფასდეს უმთავრესად სამუშაო სტაჟის, პედაგოგიური გამოცდილებისა და დამსახურების მიხედვით. დრო მასწავლებელთა შეფასების ერთ-ერთი უტყუარი კრიტერიუმი უნდა იყოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ მაგ. 40 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე პიროვნება, რომლის საქმიანობის მიმართ, ამ ხნის განმავლობაში არავითარი სახის პრეტენზია არ გამოთქმულა არც სკოლის ადმინისტრაციის, არც კოლეგების და არც მოსწავლეების მხრიდან, პროფესიულად არშემდგარ მასწავლებლად მივიჩნიოთ.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მ. სააკაშვილის გუნდის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მასწავლებელთა არსებული სასერტიფიკაციო მოდელის ყოველგვარი აპრობაციის გარეშე, ძალადობრივი გზით, ქაოტურად დანერგვამ ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა, რადგან მასწავლებელთა პროფესიულ კომპეტენციას რეალური ზრდა არ განუცდია. „რეფორმატორების“ მიერ გატარებული საგანმანათლებლო „სპეცოპერაციის“ ნამდვილი მიზანი, სკოლებში სწავლების დონის ამაღლება კი არა, არამედ გარკვეული ფინანსური დივიდენდების მიღება იყო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ გამოცდებზე „ჩაჭრილ“ მასწავლებელთა დიდი ოდენობის დემონსტრირებით, საზღვარგარეთ არსებულ, ჩვენი ქვეყნის „განვითარებისთვის“ „მზრუნველ“ დონორ ორგანიზაციებს, თვალნათლივ „უდასტურებდნენ“, ქართველი მასწავლებლების „დაბალ ინტელექტუალურ“ დონეს და მისი „ამაღლების“ სანაცვლოდ საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას იღებდნენ. რეალობაში, ამ ძვირ პროექტებს (ამას ემატებოდა მნიშვნელოვანი თანხები ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდანაც), მცირედითაც კი არ წაუწევიათ წინ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა. პირიქით, მან გარკვეული სახით დეგრადაციაც კი განიცადა. კარგი იქნება, თუ გაუქმდება სასერტიფიკაციო

გამოცდები და ის რაიმე ახალი, მასწავლებელთა უმრავლესობისთვის მისაღები, პოზიტიური საგანმანათლებლო მოდელით ჩანაცვლდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო უშედეგო, ნაკლებადეფექტიანი, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების ნაცვლად, უახლოეს პერიოდში შემოგვთავაზებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ყოველმხრივ დახვეწილ, აპრობირებულ და პედაგოგებისთვის მისაღებ პროგრამას.

როგორც ცნობილია, 2010 წლიდან შემოღებულ მასწავლებელთა სერტიფიცირებას, პედაგოგთა ნაწილი ძალიან უარყოფითად შეხვდა. ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ ქართულ მედიაში დაფიქსირებულ, ამ საკითხით დაინტერესებული ცალკეული პირების მოსაზრებებს. მაგ., გაზეთმა „განათლების სამყარომ“ (№2, 2010 წ.) გამოაქვეყნა ზოგიერთი პედაგოგის ის გამონათქვამი, სადაც ფიქსირდება მათი დამოკიდებულება სერტიფიცირებისადმი: მანანა კვერნაძე, პედაგოგი, ქუთაისი – „ეს გამოცდები ბევრ მასწავლებელს დიპლომს დააკარგვინებს. იძულებული გაგვხადეს, ამ გამოცდებში მონაწილეობა მიგვეღო. ასე მგონია, ჩვენ, პედაგოგები, ფარა ვართ, რომელსაც ხელისუფლება იქით მიერეკება, საითაც სურს“; ახალციხის მეექვსე საჯარო სკოლის მასწავლებელი მაია მექვაბიშვილი: – „როდესაც სკოლიდან გავდივარ, მარტო იმაზე ვფიქრობ, როგორ მოვაგვარო ჩემი ეკონომიკური პრობლემები., ნამდვილად არ მაქვს განწყობა, რომ დავჯდე და ვიმეცადინო“; ანა ბრეგვაძე (თბილისი, მათემატიკის მასწავლებელი) – „სერტიფიცირებაში ბევრი რამ არ მომწონს, უამრავი რამ არის დასახვეწი. დებულების შემუშავება მასწავლებლებისა და ექსპერტების გარეშე მოხდა, საკითხავი მასალა არ არის მითითებული, არ არსებობს ლიტერატურა გამოცდისათვის და რაც მთავარია, გასაჩივრების უფლებაც არ გვაქვს“; ლია გვილავა (ქუთაისის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი) – „... არის ისეთი საკითხები, რომლებიც პედაგოგებს უმაღლეს სასწავლებელში არ გაუვლიათ. ტრენერებიც, რომლებიც გვიტარებენ ტრენინგებს, თავად არ არიან მზად და ბევრი რამ მათთვისაც უცხოა“.

ძალიან მკაცრი დამოკიდებულება აქვს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისადმი განათლების ექსპერტს, მანანა ნიკოლაიშვილს. ის ამბობს (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, №27, 2012 წ.), რომ „ეს არის აბსოლუტური უკანონობა, რითაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელყოფილია დიპლომის სტატუსი, ანუ გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ყველას გაუუქმა დიპლომი... გარდა ამისა, ამგვარი გამოცდები არის კორუმპირებული და მოძველებული მეთოდი მსოფლიოში, რომელიც უკვე არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის განათლების სისტემაში არ გამოიყენება. აქედან გამომდინარე, როცა საუბარია ამ გამოცდების შედეგიანობაზე, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ფული, რომელიც აღნიშნულ პროგრამას ხმარდება, ფაქტობრივად, წყალში

იყრება... რაც შეეხება ამ უკანონო, დამანგრეველ, ღირსებაშემლახველი გამოცდების შინაარსობრივ მხარეს, ტესტები, რომლებიც მანამდე იყო უხარისხო და, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად გაუგებარი, კიდევ უფრო გაართულეს, უფრო მეტი არაპროგრამული მასალა შეიტანეს მასში და, ფაქტობრივად, შექმნეს ისეთი გარემო, რომ პედაგოგი, რომელიც გადის გამოცდაზე, ფსიქოლოგიურად უკვე დათრგუნულია...“

განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით, ცალსახად უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს და იქვე აცხადებს, რომ „... არსად, არც ერთ ქვეყანაში, მოქმედ, კვალიფიკაციამინიჭებულ და გამოცდილ მასწავლებელს არავინ არქმევს მაძიებელს... ეს გამოცდები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს... ტესტები არასათანადოდ და საშინლად არაპროფესიონალურადაა შედგენილი. ეს ტესტები არის დანაშაულებრივი და ამ ქვეყანას რომ პატრონი ჰყავდეს, ასეთი ტესტების შედგენის გამო, ვინმე მაინც უნდა დასჯილიყო... დასასჯელია, ვინც ტესტის შინაარსი შეადგინა და დაამტკიცა... ხომ არ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი აზრია? თვითონაც აღიარეს, რომ შარშანდელი ტესტები უვარგისი იყო. ამ დროს წელსაც იგივე ტესტებია და პროფესიულ უნარებში კიდევ უფრო გაუკუღმართებული. აბსოლუტურად არანორმირებული ტესტებია, რომლებიც ტესტოლოგიის არანაირ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს... შარშანდელ სასერტიფიკაციო გამოცდებზე საუკეთესო მასწავლებლები „ჩაჩეხეს“ და ქულები დააკლეს. წელს უარესი იქნება და როგორც შარშან გაატარეს მხოლოდ თავიანთი მასწავლებლები, წელსაც იგივეს გაიმეორებენ... იცით, შარშან რატომ ჩაჭრეს ის მასწავლებლები? იმიტომ, რომ ბიუჯეტში ფული არ იყო... შედეგების გამოცხადებასაც იმიტომ წელავენ, რომ კონკურსგავლილ მასწავლებელს ფული დროულად არ გადაუხადონ. სხვათა შორის, დირექტორებს დაავალეს, სერტიფიცირებული მასწავლებლისთვის დანამატი სკოლის ბიუჯეტიდან გადაეხადათ. საიდან უნდა გადაეხადათ დირექტორებს ეს ფული? უმეტესობა მაშინაც „მინუსებში“ იყო და ახლა საერთოდ ყველა „მინუსში“ ზის. რატომ? – იმიტომ, რომ დაფინანსების ახალმა ვაუჩერულმა სისტემამ არ გაამართლა და ამაზე თვითონაც საუბრობენ კულუარულად. აი, ასე „ღირსეულად“ ატარებს ხელისუფლება სასერტიფიკაციო გამოცდებს. რომელ მაძიებლობაზეა საუბარი? რა უნდა ეძებოს სასიკვდილოდ გამეტებულმა მასწავლებელმა ამ ქვეყანაში? მინიმალურ საარსებო კალათას სამჯერ რომ ჩამორჩება მისი ხელფასი, ეს უნდა ეძებოს? აი, ეს არის რეალობა და არა ის ზღაპრები, სააკაშვილი რომ დროგამოშვებით გვიყვება (გაზ. „ალია“, № 52, 2011 წ.).

განათლების ექსპერტი მ. ნიკოლაიშვილი „სქემის“ სხვა ნაკლოვანებებზეც ამახვილებს ყურადღებას (გაზ. „ქრონიკა პლიუსი“ №28, 2015 წ.) – მისი აზრით,

„სქემა“ არის „გაუმართავი, რთული, ძვირი, არაობიექტური, გაუმჭირვალე და მოუხერხებელი. რაც მთავარია, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე თითოეული მასწავლებლისთვის... მთავრობის მიერ მოწოდებული „სქემა“ მასწავლებელს მოტივაციას უკლავს. ეს რომ ასეა, ადასტურებს ბოლო დღეებში თვით ხელისუფლების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ცნობა, რომ დარეგისტრირებული მასწავლებლების 33% გამოცდაზე არ გავიდა... ოთხ ნაწილად რომ დაყვეს მასწავლებლები, ესეც მიუღებელია... სერტიფიცირებული მასწავლებლები ამ პროცესს პროგრესულად არ აღიქვამენ და არანაირი მოტივაცია არ გააჩნიათ, რომ მთავრობის მიერ მოწოდებულ „სქემაში“ ჩაერთონ. არაერთი მასწავლებელი მიკავშირდება სხვადასხვა რეგიონიდან და მეუბნება, რომ „სქემის“ საფუძველზე შემოთავაზებული აქტივობების ჩამონათვალი საკმაოდ ძვირი ჯდება... სხვადასხვა აქტივობა მასწავლებელმა თავისივე ჯიბის ხარჯზე უნდა გააკეთოს“. იმავე სტატიაში მ. ნიკოლაიშვილი ავითარებს იმ აზრს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო ვექტორი გარედან იმართება, მიუხედავად იმისა, რომელი ხელისუფლებაა ქვეყნის სათავეში. „საერთაშორისო ორგანიზაციები – აღნიშნავს ექსპერტი – იძლევიან რჩევებს, რეკომენდაციებს და დირექტივებს. ვნახე ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის „იუნისეფის“ რჩევები, რომლითაც საქართველოს მთავრობას უთითებენ, რომ მასწავლებელთა ეს კორპუსი გაუშვან. საერთოდ, სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები ქართველებს ურჩევდნენ, მანამდე საქართველოში 100 ათასი მასწავლებელი იყო. მათი რჩევებით არის, რომ სადღეისოდ 61-62 ათასი პედაგოგია შემორჩენილი. ნახეთ, რამხელა კლებაა. „იუნისეფის“ დასკვნასა და რეკომენდაციებში წერია, რომ საქართველოში 28 ათასი მასწავლებელი უნდა დარჩეს... ანუ ათი ათასობით მასწავლებელი ამათ უნდა გარეკონ... მერე პედაგოგთა ახალ კორპუსს რომ აიყვან, 28 ათასი უნდა გყავდეს. რატომ მაინდამაინც ამდენი? იმიტომ, რომ 800 ლარამდე გადაუხადო მასწავლებელს... თუ შტატებს გაანახევრებ, ამით ანაზღაურებაც გაიზრდება“.

მ. ნიკოლაიშვილი არ იწონებს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის „წონის“ გაუფასურებას, რომლის თაობაზეც იქვე ამბობს: „... არ შეიძლება, დიპლომის სტატუსი იყოს ხელყოფილი. ატესტაცია, კვალიფიკაციის ამაღლება ანუ პროფესიული განვითარება არ იძლევა საფუძველს, რომ დიპლომი გააუქმო და მას ადამიანის წლების განმავლობაში დაგროვილი ინტელექტუალური ნაშრომები ზედ მიაყოლო... ადამიანთა ინტელექტუალური ნაშრომი ძალაში უნდა დარჩეს... ნულიდან ნუ აწყებინებენ ღვაწლმოსილ ხალხს მუშაობას. 40-50 წლის მოქმედ მასწავლებელს მაძიებელს ნუ უწოდებენ. ეს სამარცხვინოა“;

იმავე პუბლიკაციაში მ. ნიკოლაიშვილი ეხება საკითხს იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაშია დღეს მასწავლებელთა კორპუსი და რამდენად პასუხობს მათი

დონე თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით მისი ხედვა შემდეგნაირია: „გვყავს კარგი, ასევე საშუალო დონის მასწავლებლები და ისეთი ხალხი, რომლებიც მართლა ექვემდებარებიან სკოლიდან გაშვებას... რასაკვირველია, ყოველთვის, ყველა დროში იყო სკოლიდან გასაშვები მასწავლებელი, მაგრამ რამდენი ტესტჩაბარებული, სერტიფიცირებული პედაგოგი გაკვეთილს ვერ ატარებს. წინა ხელისუფლების შემოღებული სასერტიფიკაციო გამოცდები ძალაში უნდა დაეტოვებინათ? ... არაკომპეტენტურმა და არაპროფესიონალმა ხალხმა ვითომ გადაამზადა მასწავლებლები ... მასწავლებელთა გადამზადებაზე კვალიფიციურმა პროფესურამ უნდა იზრუნოს... ისეთმა კი არა, სააკაშვილის რეფორმებით რომ შეუშვეს ლექციებზე და ბავშვებს ხარისხიან ლექცია-სემინარებს რომ ვერ უკითხავენ. უმეტესობა ასეა, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა. ამიტომ, უნდა მოიძებნოს კვალიფიციური პროფესურა. უპირველესად, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრი უნდა გაიხსნას და ეს ხალხი იქ გადამზადდეს...“

მ. ნიკოლაიშვილის აზრით, სასერტიფიკაციო გამოცდები გამიზნულად რთულდება – „იქ ისეთი საკითხებია ჩადებული, რომ ვერანაირი სპეციალისტი იმას ასპროცენტიანად ვერ დაწერს, ისეთი საკითხებია გარეული, რომ უმაღლესი ქულა ვერ აიღოს მასწავლებელმა“ (გაზ. „ალია“, №36, 2015 წ.).

„სქემის“ ერთ-ერთ ნაკლოვანებად მ. ნიკოლაიშვილი თვლის მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარს, „რომელმაც ხალხი სულ გააგიჟა...“ (გაზ. „ალია“, №15, 2016 წ.). იმავე პუბლიკაციაში მ. ნიკოლაიშვილის აზრით, ეს „სქემა“ არის სულ მთლიანად გადასაგდები, ეს სქემა არ მუშაობს... რა აზრი აქვს ამ სისულელის („სქემის“) ტრიალს და ამით პედაგოგების დატვირთვას? არაეფექტურია ეს „სქემა“, ძვირიც გვიჯდება და არის მოუქნელი და არაობიექტური...“ „სქემის“ შემდეგ, დიდ ნაკლად მიჩნეულია ის გარემოება, რომ „ახალდამთავრებულ სტუდენტს, რომელიც 60-კრედიტიან პროგრამას გაივლის, აძლევენ უფროსი მასწავლებლის სტატუსს, ხოლო მოქმედ მასწავლებელს, რომელიც ათეული წლის განმავლობაში მუშაობს, აძლევენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს: „ეს სქემა არის ხანშიშესული პედაგოგების გასაყრელად. აი, მარტო ამ მზაკვრული გეგმის შესასრულებლად არ უნდათ საბჭოთა პერიოდში დაბადებული და განათლებამიღებული პედაგოგები...“ შემდეგ, მ. ნიკოლაიშვილი აღნიშნულ სტატიაში „სქემის“ მიმართ შემდეგნაირ პრეტენზიებს გამოთქვამს: „... რატომ არ დგება ტესტების კრებულები და რატომ არ არის მითითებული სწორი პასუხები? ან კომისიის თავმჯდომარე არაპროფესიონალი დირექტორი რატომ უნდა იყოს, რომელსაც მოთხოვნებში არც კი უწერია, რომ პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონდეს და მერე ამათ უნდა ატარებინონ პედაგოგებს ვიდეოგაკვეთილები და სამსახიობო კურსებზე ვინც

ივლის, კარგად იმსახიობებს და დადგამს სპექტაკლებს, ის წავა წინ. ცვლილებები კი არა, სულ გადააგდონ ეს უვარგისი „სქემა“. ეს არ არის პედაგოგებზე ზრუნვა, ან რომელ ზრუნვაზეა საუბარი, როცა სამარცხვინოდ ქვეყანაში პედაგოგების ლანძღვა მიდის – 6 ათასი პედაგოგი გავიდა გამოცდაზე და გამოაცხადეს, რომ თითქოს სრულიად ქვეყნის მასწავლებელთა 83%-მა ვერ გადალახა ბარიერი და ჩაიჭრა. ეს მოხდა გამიზნულად. ამათი მიზანია, გაყარონ ძველი პედაგოგები, რომლებშიც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ეროვნული მუხტი და შემოყარონ ახალგაზრდები, ახალი იდეოლოგიით. აბა, ეროვნული მუხტის გატარებაში მათ გრანტს არავინ არ მისცემს და რაში აწყობთ“.

საინტერესოდ მიგვაჩნია, სერთიფიცირებასთან დაკავშირებით ბათუმელი პედაგოგების აზრი, რომელიც გაზ. „ბათუმელებშია“ (№7, 2011 წ.) გადმოცემული ჟურნალისტ ემზარ დიასამიძის სტატიაში „დისკუსია მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე“. ორი ცნობილი ბათუმელი პედაგოგი, ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგნაირ მოსაზრებებს გვთავაზობს: დავით ტუღუში – „მასწავლებელთა სერტიფიცირება აუცილებელია, მაგრამ ამისთვის მხოლოდ ტესტირების ჩატარება არასწორად მიმაჩნია. მხოლოდ ტესტებს უკვე ამერიკაც აღარ იყენებს... ტესტირებამ და ტექნიკურობამ სტუდენტის აზროვნება იმ დონეზე შეზღუდა, რომ დინამიურ პროცესს ვეღარ აფასებენ“; თამთა კვარაცხელია – „თავის სპეციალობაში ტესტებს 80 პროცენტი უპრობლემოდ გასცემს პასუხს. ძნელი პედაგოგიური უნარ-ჩვევებია. ასე მგონია, ამ ტესტების მოთხოვნებს ჩვენი მასწავლებლები ვერ უპასუხებენ... აღმოვაჩინე, რომ რასაც ტესტი ითხოვს, ჩვენს უნივერსიტეტში (ბათუმის) არ ასწავლიან... ერთ-ერთი ტესტი მოითხოვს ასეთ ცოდნას: „ავლენს სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას. მაგ. კონსტრუქტივიზმი (პიაჟე, ბრუნერი); ბიჰევიორიზმი (სკინერი); განწყობის თეორია (დ.უზნაძე)“. ეს ავტორები ჩვენი პედაგოგებისთვის აბსოლუტურად უცხონი არიან, უზნაძეც კი არ გვისწავლია კარგად. ამას სპეციალური განათლების პროგრამა დასჭირდება... ვინ უნდა გადაამზადოს მასწავლებელი, როცა ამ პროგრამის მცოდნე ტრენერებიც კი არ გვყავს? მესმის, რომ არასამთავროები არიან ჩართულნი და წავა ვაუჩერებზე ნადირობა“.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმის საჯარო სკოლების პედაგოგთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე, გვიჩვენა ის ხარვეზები, რომლებიც დამახასიათებელია დღევანდელი ქართული სკოლისთვის. ჩვენი აზრით, შესაბამისი უწყებების მიერ ბათუმელი პედაგოგების რეკომენდაციათა გათვალისწინებამ, გარკვეული თვალსაზრისით, ხელი უნდა შეუწყოს სწავლების ხარისხის ამაღლებას საჯარო სკოლებში.

**ანა ბაგრატიონი**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი*
**Anna Bagrationi**
*Master student of Shota Rustaveli state university*

# ხალხური მედიცინის ისტორიიდან აჭარაში

## FROM THE HISTORY OF FOLK MEDICINE IN ADJARA

**აბსტრაქტი** - ნაშრომი ეხება აჭარაში ხალხური მედიცინის ისტორიის წარმოჩენასა და მის მნიშვნელობას ზოგადად, ხალხური მედიცინის შესწავლის საქმეში. წერილობითი წყაროების, ეთნოლოგიური მონაცემების, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე შესწავლილია ქართული ტრადიციული სამედიცინო ყოფის ცალკეული საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია აჭარაში გავრცელებულ დაავადებებსა და მკურნალობის მეთოდებზე, წარმოდგენილია საგვარეულოები, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებულები და აგრეთვე, გაანალიზებულია მაგიის მნიშვნელობა ხალხურ მედიცინაში კვლევის პრაქტიკული ნაწილი ეხება დღევანდელ აჭარაში შემონახული მკურნალობის მეთოდების ანალიზსა და მნიშვნელობას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტრადიციული სამედიცინო ცოდნა და მკურნალობის მეთოდები აჭარაში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და გააჩნია თავისი განვითარების ეტაპები, მისი ისტორია იწყება წარმართული პერიოდიდან და დღემდე მოდის, სწორედ ამის გამო მას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საველე მუშაობის საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხალხური მკურნალობის მეთოდები დღემდე არის შემორჩენილი რეგიონში, თუმცა ის მრავალფეროვანი სამკურნალო საშუალებები, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ, მივიწყებულია და მხოლოდ ერთეულებთანაა შემონახული.

ხალხური მედიცინის საფუძვლიანი შესწავლა და მისი მიღწევების გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის ერის მდიდარი ისტორიული წარსულისა და კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

**საკვანძო სიტყვები:** ხალხური მედიცინა, დაავადებები, მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო მაგია

**Abstract** - Article deals with the history of folk medicine and its importance in studying of folk medicine in Adjara.

Individual issues of Georgian traditional medicine are studied on the basis of written and empirical sources, special attention is paid to the diseases spread in Adjara and the treatment methods, also there are presented families who used to make the remedies. As well as, there is analyzed the importance of magic in folk medicine In the paper. The practical part of the research concerns the analysis and importance of the treatment methods preserved in Adjara up to today.

The research revealed that traditional medical knowledge and methods of treatment originated from ancient times in Adjara and has its development stages, Its history starts from the pagan period and still exists, due to which he was granted the status of intangible cultural heritage.

Based on empirical work, we found out that folk treatment methods still exist in the region. However, variety of traditional medicines are forgotten and are preserved only by individuals.

A complete study of folk medicine and its achievements is vitally important. Since it is one of the richest historical past and culture of the nation.

**Key words:** Folk medicine, diseases, treatment methods, healing magic

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნია. საქართველოში მედიცინა ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე იყო განვითარებული და ჩვენს ქვეყანაში მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოყალიბდა. ქართველი ერის ისტორიული განვითარების სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული ტრადიციული მედიცინის ისტორიის გარეშე.

ქართული ტრადიციული სამკურნალო მეთოდების სიმრავლეს საქართველოში ხელს უწყობდა მდიდარი ფლორა, ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად ამ მხრივ, აჭარას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ხალხური მედიცინის ტრადიციები აჭარაში წარმართული პერიოდიდან არსებობდა, რასაც ადასტურებს ციური სხეულების სამკურნალო ძალის რწმენა. აჭარაში ავადობის პერიოდიზაცია და მკურნალობის მეთოდები ხშირად მთვარის მაგიურ ძალას უკავშირდებოდა. მთვარე აჭარაში მცხოვრებთათვის საორიენტა-

ციო იყო, თუ როდის იყო მკურნალობისთვის ხელსაყრელი პერიოდი. ასევე, მთვარე ითვლებოდა გარკვეული ტკივილების გამომწვევიად. მაგალითად, სწამდათ, რომ მთვარის შუქით შეიძლებოდა ბავშვის "დაქელვა" (დასუსტება). ბავშვის სისუსტეს ხშირად მთვარეს მიაწერდნენ, სისუსტის გამოვლინებები იყო: ბავშვის უმადობა და კუჭ-ნაწლავის მოქმედების არევა (მინდაძე, 2013:36).

საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, თავისი ისტორიით, აჭარა სპეციფიკური მხარეა და გასაკვირიც არ არის, რომ წერილობითი წყაროები ნაკლებადაა შემორჩენილი, ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ გაანადგურა მრავალი წერილობითი წყარო, ამასთანავე, განადგურდა უამრავი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომელთა როლი ხალხურ მკურნალობაში განუზომელი იყო. ამავე დროს, ყველაზე რთული ადგილობრივებისთვის აღმოჩნდა კულტურული ასიმილაცია. ოსმალები ნერგავდნენ და ავრცელებდნენ საკუთარ წეს-ჩვეულებებს, რომელიც სამედიცინო პრაქტიკასაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული როლი შეასრულა ხალხურ სამედიცინო კულტურაში, აჭარის მოსახლეობამ დღემდე შემოინახა წინაპართა წესები და ტრადიციები მკურნალობისას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხალხური სამედიცინო კულტურის შესახებ წერილობითი ცნობები საკმაოდ მწირია, თუმცა გასულ საუკუნეში აღმოჩენილი მასალებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება აჭარაში ხალხური მედიცინის განვითარების შესახებ. მიუხედავად წერილობითი წყაროების სიმცირისა, ძველი პერიოდის მედიცინის შესახებ ცნობებს, ძირითადად, არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვეცნობით, მაგ: ციხისძირის სამაროვანში აღმოჩნდა მინის კოლბი, რომელსაც ახ. წ. IV საუკუნით ათარიღებენ იგი ერთ-ერთი უძველესი ექსპონატია საქართველოში აღმოჩენილი. მკვლევრები მის სამკურნალო დანიშნულებაზე მიუთითებენ.

IX საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფართოდ გაიშალა სამონასტრო ცხოვრება. ტაო-კლარჯეთში არსებულ სავანეებში განვითარებული იყო სამკურნალო საქმე, რაზეც ცნობებს გიორგი მერჩულის თხზულება - "ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" გვაწვდის. გრიგოლ ხანძთელი თავის მოწაფეებთან ერთად საექიმო საქმიანობას ეწეოდა. ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი სახის დაავადებები: ეპილეფსია, დამბლადაცემული, ამნეზია, ქირურგიული დაავადებები და სხვ. (მერჩულე, 1954:318-319).

გარდა ტაო-კლარჯეთის მონასტრებისა, სამკურნალო საქმიანობას ეწეოდა, ასევე, სხალთის, გვარას, სამების, ხინოს და სხვა საეკლესიო ცენტრები.

აჭარა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მცენარეული რესურსებით კარგ პირობებს ქმნიდა დაავადებათა მკურნალობისათვის, თუმცა მისი მდება-

რეობა ამავე დროს საფუძველი იყო სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებისათვის. აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობთან, რომელიც მალარიის გავრცელების ზონა იყო. როგორც ეთნოლოგი თედო სახოკია გადმოგვცემს, ზოგიერთ სოფელში, შუახევსა და ხიჭაურში, რომლებიც მეტად ჩავარდნილ ადგილებში მდებარეობენ, კლდეები აკრავთ ირგვლივ და ჰაერის მოძრაობაც შენელებულია, გავრცელებულია ჩიყვის დაავადება. ზამთრობით ხშირია ფილტვის ანთება არა მარტო ზემოთ დასახელებულ სოფლებში, არამედ თითქმის მთელ ზემო აჭარაში, თუკი არ იმკურნალა ავადმყოფმა, იგი ფატალურად სრულდება, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებულია ადამიანის იმუნიტეტზე (სახოკია, 1985:246). ვახუშტი ბაგრატიონი ჩიყვის გამომწვევად ჭის წყალს მიიჩნევს, რომელიც ინტენსიურად გამოიყენებოდა სასმელად, უმარილო წყალი კი ჩიყვის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია (მინდაძე, 2013:56).

საინტერესოდ საუბრობს მალარიის შესახებ მკვლევარი ნუნუ მინდაძე. მისი თქმით, მალარიას, რომელიც გასულ საუკუნემდეც იყო გავრცელებული, ხელს უწყობდა ჭაობები, მისი ორთქლი და ცუდი სანიტარიული მდგომარეობა. მალარიას, ასევე, ცხროსაც ეძახიან. ეს ტერმინი შემორჩენილია აჭარულ დიალექტში. მალარიისგან დასაცავად ზაფხულობით მთაში მიემგზავრებოდნენ, ამიტომაც აგებდნენ მთებში სახლებს, ძირითადად ხისგან ბოძებზე აგებდნენ, ასევე კვების რაციონში წიწაკისა და ნივრის გამოყენებაც მალარიის პრევენციას ემსახურებოდა (მინდაძე, 2013:67).

საინტერესო ცნობები არის დაცული მცირე კარაბადინში. შემონახულია ინფორმაცია ქართული მკურნალობის მეთოდების შესახებ აჭარაში. მაგალითად, თავის ტკივილის მოხსნისთვის გამოიყენებოდა ჭინჭრის ნახარში ძმარში ან ღვინოში, რომელსაც შუბლზე კომპრესის სახით იკეთებდნენ. ცხვირიდან სისხლის შესაჩერებლად ჯაოზის (ნიგოზი, კაკალი, აზიაში გავრცელებული ხე) ქინძის და ძმრის საფენს შუბლზე და მაჯებზე აკრავდნენ, ასევე, ჭინჭარსაც იდებდნენ ნესტოში, რათა სისხლდენა შეეჩერებინათ. თვალის დაბნელებისთვის აუდუღარ გალესილ თაფლს იწვეთებდნენ თვალში (სურმანიძე, 1974:31), საინტერესოა, რომ ქინძს გააჩნია სამკურნალო თვისებები, იგი შეიცავს ეთერზეთებს, ვიტამინებს, რომელიც ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას (ვარშანიძე, 2013:171). ხმის ჩახლეჩვისას გალაყებული კვერცხის ნაჭუჭს, ლაჟვარდს, აბრეშუმის ჭიას ნაყავდნენ და სვამდნენ, დღემდე გამოიყენება, ასევე, კვერცხის გულის უმად გადაყლაპვა ხმის აღდგენისთვის (სურმანიძე, 1974:38).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთ-ერთ უძველეს სამკურნალო საშუალებას ღვინო წარმოადგენდა. ღვინო გამოიყენებოდა უმადობის, სისუსტის

მკურნალობისას. მას ჰქონდა როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო დანიშნულება (ბურდული, 2010:142).

აჭარაში გავრცელებულ დაავადებებზე ცნობები გვხვდება აბდულ მიქელაძის წერილებში. იგი მოიხსენიებს შემდეგ გადამდებ დაავადებებს: გრიპს, ქუნთრუშას, დიფტერიას, ქოლერას, შავ ჭირს, რომლებსაც ხშირად ეწირებოდნენ ადამიანები უექიმობის, საავადმყოფოების არარსებობის გამო და ა.შ. აბდულ მიქელაძის წერილში ვკითხულობთ: "ერთი კვირაა, რაც გაჩნდა რაღაც გადამდები დაავადება, ეს ავადმყოფობა ნამეტურ ყმაწვილებს დაერია..... თუ სასიკვდილო არის 7 დღეზე კვდება". მოსახლეობას აწუხებდა გრიპის ეპიდემიაც, რომლის მასიურ გავრცელებას ხელს უწყობს, როგორც უექიმობა, უწამლობა, ასევე – სიღარიბე“ (მიქელაძე, 1991:20-21).

მკურნალობა, ძირითადად, კომპლექსური ხასიათის იყო და ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებსაც იყენებდნენ. ხალხური მკურნალობის წესებში დიდი ადგილი უჭირავს შელოცვებს. შელოცვები სიტყვის მაგიური ძალის, ადამიანებზე, საგნებსა და მოვლენებზე სიტყვის მეშვეობით ზემოქმედების შესაძლებლობის რწმენას ეფუძნება. აჭარაში მრავალი სახის სამკურნალო შელოცვაა დაფიქსირებული. მაგიური შელოცვების მეშვეობით მკურნალობდნენ აჭარაში „მატაურას“ (ქუნთრუშა), „წმინდანს“//“გოჟოს“ (რაქიტი), შაკიკს, სურდოს, „ყიყვს“ (ჩიყვი), „საყვითლოს“ (ბოტკინი) და სხვ.

ავ სულებს აჭარაში ეძახდნენ უჟმურს, რომელიც ძილის დროს ადამიანს სულს უხუთავდა. იგი უმეტესად ბავშვებს ემართებოდათ. უჟმური აჰყვაო, ხშირად გაიგონებდით იმ ბავშვზე, რომელიც ჭირვეულობდა, უღონოდ იყო, სიცხე ჰქონდა. მას შეიძლება კრუნჩხვა ან ბნედა ჰქონოდა. უჟმური აჰყვებოდათ ხშირად სიბნელეში გარეთ სიარულისას. თუკი ჩვილბავშვიან ოჯახში ღამით მამაკაცი ესტუმრებოდათ, ბავშვი მოუსვენარი ხდებოდა და ტირილს იწყებდა (მინდაძე, 2013:127). ხალხური წარმოდგენით უჟმურის მოქმედების დრო საღამო, მზის ჩასვლის შემდგომი პერიოდი იყო. განსაკუთრებით სჭარბობდა ნესტიან ადგილებში. უჟმური რომ ბავშვს აყვებოდა, მას შელოცვით მკურნალობდნენ. უჟმურისაგან ჩვილი ბავშვის დასაცავად აკვანზე ალიყულს ჰკიდებდნენ.

დიდაჭარაში ასე მკურნალობდნენ შაკიკს:

„მზე ამოდიოდა, შაკიკი მიდიოდა, ოჰ, შვილო, ოჰ, ძირო, რას ტირი, რას ჩივი! ჩეირბინე, ამეიტანე სამყურაი ბალახი, გედეისვი, გადმეისვი, აჰა, ღმერთი ერთია, მომრჩენალი ღმერთია!“ (ხაჭაპურიძე, შავიანიძე, 2011:307).

შელოცვასთან ერთად მიმართავდნენ სხვადასხვა საწესო ქმედებას ე.წ. მაგიური საგნებით (შავტარიანი დანა, ნახშირი, მაკრატელი, კვირისტავი და სხვ.),

იცოდნენ ნაცრის, ქარვის წყალში გალესვა. ახალშობილის „თვალის წაკვრისაგან“ დასაცავად აკვანზე სათვალო მძივს, სათვალიას, ჩანჩხურას შეუბამდნენ და სხვ. დავაადებათა მკურნალობისას იყენებდნენ თაფლს, თოფის წამალს, ალოეს, თაფლისა და შავი ღვინის ნაზავს და ა.შ (კაშია, ხაჭაპურიძე, 2009).

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ინფექციური დაავადებების ე.წ. ბატონების მკურნალობის წესები. ბატონებს მოსახადსაც ეძახდნენ აჭარაში. აქ ბატონები ადამიანის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და იტყოდნენ “ბატონები გვესტუმრაო”, „ბატონები მობრძანდაო”. ბატონებიანს უფრთხილდებოდნენ და განსაკუთრებულად ემსახურებოდნენ. ერიდებოდნენ მათ “გაბრაზებას”, რომ გართულება არ მოჰყოლოდა.

აჭარის სოფლებში დაავადებებს მკურნალობდნენ ხალხური მკურნალები, რომლებსაც ჰქონდათ მკურნალობის გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა. ძალზე ხშირი იყო სამკურნალო ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტები, რამაც საფუძველი ჩაუყარა საოჯახო-საგვარეულო მედიცინის ჩამოყალიბების ტენდენციებს. აჭარაში ცნობილი იყო მკურნალთა საგვარეულოები: ხაბაზები, თურმანიძეები, გორგილაძეები, მიქელაძეები, გეგიძეები, დუაძეები, კახაძეები, ლეონიძეები.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ბებიაქალის ინსტიტუტი. ბებიაქალს აქ ებეს//ნენეს ეძახდნენ. ებე არა მხოლოდ ამშობიარებდა ქალს, არამედ შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში უვლიდა მელოგინესა და ახალშობილს. აჭარის ყველა სოფელს ჰყავდა თავისი ებე და ეს ძალზე საპატიო საქმიანობად ითვლებოდა.

ამრიგად, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ:

1. ხალხურ მედიცინას აჭარაში უხსოვარი დროიდან ჩაეყარა საფუძველი, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფიული მასალები. მასალების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკურნალობის მეთოდები და წესები ეპოქის შესაბამისად იყო განვითარებული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა დაავადების არსებობამ გამოიწვია ის, რომ აუცილებელი გახდა მკურნალობის ნორმების დანერგვა. „სახლის პირობებში“ მკურნალობა იყო ერთადერთი საშუალება არსებობისთვის. თუმცა ბევრი დაავადება არ ექვემდებარებოდა ხალხური მედიცინით მკურნალობის წესებს, რის გამოც ხშირი იყო სიკვდილიანობა. მკურნალობისას იყენებდნენ სამკურნალო მცენარეებს, ნატუროპათიულ საშუალებებს, ორგანულ ნივთიერებებს, თაფლსა და მის პროდუქტებს, მინერალურ წყლებს და სხვ.

2. აჭარის გეოგრაფიული გარემო საფუძველი იყო სხვადასხვა დაავადების გავრცელებისთვის. XX საუკუნეში აჭარაში გავრცელებული ყოფილა გადამდები

დაავადებები, რაც, გარდა ბუნებრივი ფაქტორებისა, გამოწვეული იყო, ასევე, ცუდი სანიტარიული მდგომარეობის, ექიმების არარსებობის გამო. განსაკუთრებით, მაღალმთიან აჭარაში, სადაც არ არსებობდა პირობები დაავადებათა პრევენციისთვის.

3. აჭარის მდიდარი ფლორა განაპირობებდა სამკურნალო ტრადიციების, მკურნალობის მეთოდებისა და საშუალებების მრავალფეროვნებას, სწორედ მდიდარი ფლორის წყალობით დღემდე არის შემორჩენილი მკურნალობის მეთოდები და ხერხები, რაც დადასტურდა გამოკითხვების საფუძველზე.

4. ხალხური ტრადიციული მკურნალობის მეთოდებს კვლავ იყენებს აჭარის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი. თუმცა, აშკარაა ხალხური მედიცინის ტრადიციების მივიწყების ტენდენციები, ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბურდული მ., ქართული ტრადიციული სამედიცინო კულტურა, გამომც. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, 2010

2. ვარშანიძე ნ., აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება, გამომც, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013

3. კაშია რ., ხაჭაპურიძე რ., „ტრადიციული მედიცინის საკითხები (სამკურნალო შელოცვები)“, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2009

4. მერჩულე გ., „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რედ., პ. ინგოროყვა, თბ., 1954

5. მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013

6. მიქელაძე ა., წერილები აჭარიდან, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 1991

7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აჭარა, ტომი II, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009

8. სახოკია თ., მოგზაურობანი - გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“ თბ., 1985

9. სურმანიძე რ., მცირე კარაბადინი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974

10. ხაჭაპურიძე, შავიანიძე, „დაავადებები და მათი მკურნალობის ხალხური საშუალებები (ზემო აჭარის მასალების მიხედვით)“, ქართველური მემკვიდრეობა, XV, 2011

**ინგა ზოიძე**
*ფილოლოგიის დოქტორი*
**Inga Zoidze**
*PhD in Philology*

# აღორძინების ხანის მწერლობა, მისი ძირითადი მიმართულება და დანიშნულება

# REVIVAL PERIOD LITERATURE, ITS MAIN DIRECTION AND APPOINTMENT

**აბსტრაქტი.** ნაშრომში განხილულია აღორძინების ხანის ქართული მწერლობის პერიოდებად დაყოფის საკითხები და თეორიის მართებულობა, მისი უარყოფითი და დადებითი მხრეები. ყურადღება გამახვილებულია ასევე, იმ სამსჯელო საკითხებზე, რომელიც ეხება საერო და სასულიერო მწერლობას შორის მიჯნებს. წამოწეულია ის პრობლემატური თეორია, რომლის მიხედვითაც შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი, ისევე როგორც სოციუმის ყველა წევრი, თავს ორიგინალური მთლიანობის ნაწილად მიიჩნევს. გაანალიზებულია რეალიზმის გაგების თავისებურებანი ქართულ ლიტერატურაში. კერძოდ, აღორძინების ხანის მწერლობაში, რომელთაც გააერთიანეს სულიერი და მატერიალური ღირებულებანი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის როლი აღორძინების მწერლობის ზღურბლზე, რომლის ამოსავალიც მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. აქედან გამომდინარე, სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატანილიაXVI-XVIII საუკუნეების საქართველოს, როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელმაც ახალი პოლიტიკური იმპულსები გაუხსნა ქრისტიანულ მწერლობასა და მის როლს ქართულ ლიტერატურაში და შემდგომში ღრმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო, როგორც ქვეყნის ერთიანობისთვის, მისი გამოფიზლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთმა სიმბოლომ. მიმოხილულია ის მიმართულებანი მწერლობაში, რომლის ჩამოყალიბების მიზეზებიც არსებულმა პოლიტიკურმა თუ სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია. მაგალითად, ქება, იგვ-არაკი, გაბაასება და სხვა

დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ თითოეული საკითხი, მიმართულება თუ პრობლემა, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში, ხალხის პირქუში ბედის აღმწერია. ქართულმა მწერლობამ ყველა ეპოქაში აჩვენა ის ისტორიული გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა სირთულეებით გაიარა და ამ მხრივ გამონაკლისი არც აღორძინების ხანის მწერლობა ყოფილა. ქართულმა

ლიტერატურამ აჩვენა გზა ხსნისა ,რომელიც ქრისტიანულ იდეოლოგიაში, კერძოდ , "მზის ღმერთში" ამოიკითხა.

**საკვანძო სიტყვები:** გაბაასება, აღორძინება, ტრადიციონალიზმი, პოსტტრადიციონალიზმი, რეალიზმი.

**Abstract.** The work deals with issues of division of the period of Georgian revival period and the theory of correctnes with negative and positive sides.Also, there are issues that is connected to the boundaries of secular and spiritual writing.there is a problematic theory according to the medieval interpretation, the creator as well as all members of the community consider themselves part of the original integrity.The peculiarities of comprehension of realism in Georgian literature are analyzed. In particular, they have combined spiritual and material values in the period of revival.Especially important is the role of human on the threshold of the revival of the writings which was in the difficult political situation.

Therefore, the main focus of the article is to consider Georgia as a social and political situation in the XVI-XVIII century, which has created new political impulses for Christian writing and its role in Georgian literature and subsequently deeply embedded into political unity as one of the symbols of the struggle for the country's unityThere has been reviewed directions in literature that cause to be established and the reason was being led to the political and socio-economic situation.For example: praise, usu plu fable, engaging in conversation and other.

In conclusion, each issue, direction or problem, which has established a place in Georgian literature,describes flowning fate of the people.The Georgian literature has shown the historic way in all epochs thatGeorgian people have passed through difficulties and there is no exception in the period of revivalism.The Georgian literature has shown a way of salvation which is shown in the Christian ideology, in particular in "God of the Sun".

**Key words: having a dialogue, traditionalism, posttraditionalism, realism.**

ქართული მწერლობა სამ პერიოდადაა დაყოფილი, ქართველ მეცნიერთა შორის ეს დაყოფა გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და უამრავ კითხვას ბადებს. მწერლობის ამ მეთოდით დაყოფა მართებული და მიზანშეწონილია თუ არა ძველ მწერლობაში სასულიერო და საერო ხასიათის ნაკადთა ერთმანეთისგან გამოყოფა? ხომ არ უნდა დავუბრუნოთ სასულიერო მწერლობას მისი ფუნქციური დატვირთვის გამომხატველი ტერმინი - საეკლესიო || სამღვდელო? სადავოდ იქცა

ქართული მწერლობის ცალკეულ პერიოდთა მიჯნებისა და მათი სახელდების საკითხიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კლასიფიკაცია ეფუძნება ლიტერატურის შინაარსობრივ-ფორმალურ დონეებს. ამ კლასიფიკაციის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: წინარეფლექსური ტრადიციონალიზმი, რეფლექსური ტრადიციონალიზმი და პოსტტრადიციონალიზმი. აქვე საყურადღებოა, რომ ახლისგან განსხვავებით, ძველი მწერლობისთვის დამახასიათებელია მსოფლმხედველობითი სიმწყობრე და მთლიანობა.

ამ წანამძღვრებზე დაფუძნებული კონცეფცია ადამიანისა, ავტორისა და მკითხველის მსოფლშეგრძნებათა და ესთეტიკური ხედვის სრული თანხვედრა, ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთომიმართების სპეციფიკა, რეალიზმის თავისებური გაგება.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ძველი მწერლობა თავისი ტრანსფორმაციით ქმნის საფუძველს ახალი ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრებისთვის. აქვე საინტერესოა, როგორია ავტორის, შემოქმედის დატვირთვა შუასაუკუნეების კულტურაში და რა დატვირთვა ექნება მას ახალ დროში. შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი, ისე როგორც სოციუმის ყველა წევრი, თავს ორიგინალური მთლიანობის ნაწილად მიიჩნევს. შუასაუკუნეების კულტურას მსჭვალავს თვალსაზრისი, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი და ერთპიროვნული ავტორი ღმერთია, სხვები ღვთაებრივი შემოქმედების ამხსნელები, კომენტატორები არიან.

განსხვავებულია რეალიზმის გაგებაც ძველ ქართულ მწერლობაში. აქ რეალიზმი ზეგრძნობადი სინამდვილეა. შემოქმედის აღქმაში ერთიანდება სულიერი და მატერიალური ერთიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწერლობის დაყოფას ასეთ პერიოდებად, თავად ლიტერატურის განვითარების ეტაპები გვკარნახობს და კორნელი კეკელიძის მიერ დაყოფა ამ პერიოდებად, ზოგადადარ მოითხოვს შესწორებას, გარდა იმისა, რომ მეტ კონკრეტიკას თუ არ დავამატებთ.

მესამე პეროიდში დამწერლობისა ლიტერატურის ზღურბლზე დგას ადამიანი, რომელიც მწერალი შეიძლება სრულიადაც არ გამხდარიყო, თუ ბედს მისთვის უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი არ წარემართა, ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური იარაღის, ხმლის, გაცვლა ბატის ფრთის კალამზე ადვილი არ უნდა ყოფილიყო მისთვის. სამწუხაროდ, ასეთი ბედი ერგო თეიმურაზ მეორესაც, სხვა მეფე-პოეტების მსგავსად. ამოსავალი კი სწორედ მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა გახლავთ, რომელიც წილად ერგო მეფეს და ეს მძიმე იტორიული ეპოქა აისახა ქართული მწერლობის მესამე პერიოდზე.

როგორი იყო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება ჩვენი ქვეყნის დამწერლობის მესამე პერიოდში. ქართული დამწერლობის ეს პერიოდი იწყება მე-16 საუკუნეში და გრძელდება მე-18 საუკუნის დასასრულამდე.

ამ პერიოდის საზოგადოებაში სოციალური აზრი იგივე რჩება, როგორც წინა პერიოდებში. ფეოდალური ხაზი ორი მიმართულებით აისახება, ესაა საერო და სასულიერო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად თავისი პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკის დინამიურობა არასტაბილური იყო, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ამ პერიოდში ვითარდება აღებ-მიცემობა, სოფლის მეურნეობა, რაც გნსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იჩენს თავს. ცნობილია, რომ ევროპის კაპიტალს აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ეკონომიკური ურთიერთობები, განსაკუთრებულად ძლიერია ამ პერიოდში ვაჭართა წრე. ხოლო, რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, საქართველო ამ პერიოდში დაყოფილია სამ სამეფოდ: ქართლი, კახეთი და იმერეთი. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ხშირი გახლდათ შიდა არეულობა, ქიშპობა, ძმათა შორის შუღლი, რომელსაც ართულებდა დაპირისპირება ეკლესიასთან, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენდა. მთელ ამ მოუსვენარ და მგზნებარე კონტექსტში ჟამიდან ჟამს თავს წამოყოფდა ხოლმე ბნელეთის ძალების ნებაყოფლობითი მსახურება, როდესაც ძალაუფლებისა და ქონებისათვის სულის ხსნაზეც ამბობდნენ უარს. რადიკალური რელიგიური დაძაბულობა იმ ეპოქისა და გეოგრაფიული გარემოს ბუნებრივი მდგომარეობა იყო და ღვთის სასუფევლისკენ სვლის ექსტატური ფორმების მრავალსახეობას აღძრავდა, სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი ასეთი ვითარება ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, ამიტომაც წინა პლანზე წამოიწია ეროვნული მთლიანობის მისწრაფება. აღნიშნულმა ვითარებამ განსაზღვრა ეროვნული მოტივების შემოტანა ქართულ მწერლობაში, რომელთაც ზედმიწევნით ზუსტად აღწერეს ქართული ჭირ-ვარამი. ეს მოტივები სწორედ ჩვენი ქვეყნის ბედის გამომხატველია. ჩნდება ახალი ლიტერატურული მიმართულებანი. ფეოდალურ-რაინდული ფანტასტიკის გვერდით, ამ დროს თავს იჩენს ახალი რეალისტური მიმართულება, ფანტასტიკის ნაცვლად ლიტერატურა თხოულობს ახალ, მართლის თქმის პრინციპს, რომელიც თანამედროვეთა პირით გმობს ნაჭორ ამბებს, რომელნიც ხარჯავდნენ დროს ისეთი ამბების აღწერაზე, რომელიც არც იყო და არც მომხდარა (არჩილი, თეიმურაზ მეორე), სამეფისკარო არისტოკრატიის ხელით საფუძველი ეყრება ახალ კულტურას და რომელიც ეპოქის სულისკვეთებით იყო გამოწვეული. ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა უკიდურესად ამცირებდა პოეტური ფანტაზიის განვრცობის მასშტაბს.

ამ პოეტიკური კანონების შედეგად ლიტერატურამ მიიღო დიდაქტიკური, მკვეთრად ლოგიკური, რაციონალური ხასიათი, ხოლო სალიტერატურო ჟანრები მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისგან სტატუსის, ენობრივი მოდელისა და მკითხველის ნიშნით ახალ ეტაპთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება ახალი ჟანრები, ასეთებია:

ა) საისტორიო ეპოსი

ბ) იგავ-არაკული ჟანრი

გ) მოგზაურობა, მემუარები

დ) სატირა

ე) ქება

ვ) გაბაასება.

**ქებაში** ჩვეულებრივ შემოდის ისეთი თხზულებების წერა, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ იმ საგნის ქებას, ან შესხმას. შეიძლება ის საზოგადოდ ხოტბითი პოეზიის განვითარების გამოძახილი იყოს. განსაკუთრებით გავრცელებულია „ანბანთქება," „ხილთაქება", „სასახლისქება". არანაკლებ საინტერესოა გაბაასება, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ალეგორიული ფიგურები, მაგალითად: სიცოცხლე, სიკვდილი, წუთისოფელი, გაჭირვება, სიღარიბე. ასეთი ჟანრის ჩამოყალიბება გამოწვეულია ეპოქაში გაბატონებული დიდაქტიკურ-მორალური ტენდენციით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ცხოვრების გარდაქმნა ამა თუ იმ მიმართულებით.

**საისტორიო ეპოსი** განსაკუთრებული უნუგეშობით გამოირჩეოდა, რაზეც ამ დროის მწერლები ცრემლსა ღვრიან ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალ-პოლიტიკური ვითარების გამო. ისინი მისტირიან წარსულს და წყევლა-კრულვას უგზავნიან იმ პირებს, ვისი ხელიც ურევია ამ საქმეში. პოეტები აღიარებენ, რომ პოლიტიკური თუ სხვა არასასიამოვნო ვითარების გამძაფრების წყარო არანაკლები დამნაშავე მლიქვნელი ადამიანებია.

ამ დასკვნამდე პოეტები მიიყვანა მისმა თანამედროვე ცხოვრებამ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ,,ავისენის" წყალობით შუღლის, მტრობისა და გაუტანლობის ასპარეზად იყო გადაქცეული. თუკი რაიმეთი გვაოცებს ჩვენი XVI-XVIII საუკუნეები, ეს არის ის დრამატული მოქნილობა, რომლითაც ჩვენი მოღვაწეები ცდილობდნენ თავსდამტყდარი ისტორიული გარემოებებიდან თავის დაღწევას და კულტურის სხეულში ცოცხალი წერტილების მოძებნასა და გაღვივებას. ამ ვითარებაში მხოლოდ ერთეულებს ესმოდათ კარგად, რომ მთელი ყურადღების მიმართვა ძველ და უკვე ისტორიულ საზრისს მოკლებულ სახეთა, სიმბოლოთა თუ პარადიგმათა შენარჩუნებაზე შეუძლებელია, სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა საისტორიო ეპოსი.

შუა საუკუნეების ყველა სხვა სახესთან ერთად პოპულარული იყო **იგავ-არაკული** ჟანრი და რომლის ფუძემდებლად სულხან-საბა ორბელიანი გვევლინება**. იგავ-არაკული** ჟანრის ნაწარმოებებს არ გააჩნიათ მკითველისთვის განსაკუთრებული სიამოვნების მინიჭების ფუნქცია, რადგან მათში უფრო მეტი სიბრძნე და დამრიგებლობაა ჩაქსოვილი, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში. იგავ-არაკები ყველა

კულტურულ ქვეყანაში იყო გავრცელებული, მაგალითად: ძველ აღმოსავლეთში ,,ძველ საბერძნეთში (ეზოპე), აღორძინების ხანის საფრანგეთში (ლაფონტე), იგავ-არაკული ჟანრი საქართველოში სათავეს იღებს აღმოსავლეთში სახელგანთქმული იგავ-არაკთა კრებულის „ქილილა და დამანას“ გადმოთარგმნით, რომელსაც საკმაოდ დიდი ზა გაუვლია, სანამ ქართველთა ყურადღებას მიიპყრობდა; ინდოეთი არაბეთი, ირანი – აი ის გზა, რომელიც გამოიარა ამ ნაწარმოებმა, სანამ ქართულ-მხატვრულ ლიტერატურაში იპოვიდა სათანადო ადგილს, მის ქართულად გადმოღებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვახტანგ მეექვსეს, საქართველოში გამოჩნდა ასეთი მეიგავე, რომელმაც შექმნა ბრწყინვალე კრებული იგავ-არაკებისა, რაშიც ნათლად იჩენს თავს ავტორის განმანათლებლური იდეები. ის ქადაგებს აღზრდის დემოკრატიულ პრინციპებს და აკრიტიკებს მანკიერებას, ზნეობრივ და სულიერ დაცემულობას. იგავ-არაკი სიბრნის გადმოცემის საშუალებაა, რომელიც განსხვავდება სხვა ჟანრებისგან. მასში, ძირითადად, არის მისწრაფება სოციალური ყოფისა და პრობლემის აღწერისკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები არსებული რეალობის ასახვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. მაგალითად, **სატირა**, რათა ერთხელ კიდე მოეხდინათ ზემოქმედება თანამემამულეთა გადაგვარებული ეროვნული სულისკვეთების გამოფხიზლებაზე. ისინი არ იშურებდნენ რჩევა-დარიგების პარალელურად გაექილიკებინათ,დაეცინათ მათი მანკიერი ბუნება და ამით გაეხსენებინათ ის წმინდა ადამიანური ბუნება, რომელიც ოდესმე არსებობდა მათ წინაპრებში, ისინი ცდილობდნენ ამ გზით განეკურნათ თანამემამულეთა „მანკიერი სული“.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ქილიკითა და ჭკუის სწავლებით არ შემოიფარგლება ქართული ლიტერარურის ეს პერიოდი. აქ არანაკლები პოპულარობით გამოირჩევა **ქება**, რომელიც გამოძახილი უნდა ყოფილიყო ხოტბითი პოეზიის განვითარებისა. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება „ანბანთქება“, “ხილთა ქება“ და „სასახლის ქება“. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უპირატესობა ენიჭება პოეზიას. თვით ისტორიული პროზაული ნაწარმოებებიც კი ილექსებოდა.

ამრიგად, თითოეული მიმართულება, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში დაიმკვიდრა ადგილი, ქართველი ხალხის პირქუში ბედის აღმწერია. ეს არის ის გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა სისხლითა და ოფლით მორწყო „თუ ქართველი ხალხი ცოდვილი და უბედურია, ეს იმიტომ, რომ მთელი კაცობრიობაა ცოდვილი და უბედური. საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ მთელს მსოფლიოს ხსნასთან ერთად, ხოლო კაცობრიობის ხსნის საწინდარს წარმოადგენს სინათლის ღმერთის ,,.. მზეთა-მზის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე“ (ქიქოძე, 1963:59). ვფიქრობთ, ეს გამარჯვება საბოლოოდ დაკავშირებულია ქვეყ-

ნის ხსნის იდეასთან, ამ იდეას ემსახურებოდა თეიმურზ მეორის შემოქმედებაში ახალი სტილი - **გაბაასება,** აღორძინების ხანის მწერლები გაბაასებას თვითმიზნური გატაცებით კი არ მიმართავდნენ, გაბაასების ამ ხერხით (არჩილი, თეიმურაზ II) ცდილობდნენ თავიანთი ეპოქის აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. ცხადია, რომ ძველი ქართული მწერლობა, კერძოდ, აღორძინების ხანის მწერალი, არ იყო ვიწრო დოგმატურ სალტეებში მოქცეული, რომ ადამიანური მორალი მას ფართო ჰუმანისტური თვალსაზრისით ჰქონდა გაგებული. და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ ზუსტად გადმოსცა ქართველი ხალხის პირქუში ბედი, ყველა ეპოქის ის ისტორიული გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიარა. ტრადიციის გამგრძელებელია აღორძინების ხანის მწერლობა, რომელმაც ქართულ საზოგადოებას აჩვენა გზა ხსნისა და რომ ამ გზას აღორძინების ხანის მწერლობას სამართლიანად „განმანათლებლობის ეპოქას“ უწოდებენ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. **აფრიდონიძე** - თამარ აფრიდონიძე, მართლმადიდებლობა და ქართული ეროვნული ცნობიერება. თბილისი,2006.
2. **ბარამიძე** - ალექსანდრე ბარამიძე, რეალისტური ნაკადის შესახებ XVII-XVIII სს. ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, ტ. IX, 1955.
3. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები** - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილის, 1973. ინტერნეტ-მისამართი:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevebi_Tomi_IV_1973_Nacili_I.pdf.

4. **ქიქოძე** - გერონტი ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში. ბათუმი, 1952.
5. **ქიქოძე** - გერონტი ქიქოძე, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები. თბ., 1963.
6. **ძველი ქართული** ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946.
7. **ძველი ქართული** საერო ისტორიის სამი პერიოდი. თბ., 2018.03. ინტერნეტ-მისამართი:

https://intermedia.ge/სტატია/96147-ძველი-ქართული-საერო-ლიტერატურის-ისტორიის-სამი-პერიოდი/85/ (წანახია 30.06.2010)

8. **ხარაბაძე** - ელენე ხარაბაძე , მეგზური. თბილისი, 1980.

**ცისნამი ბერიძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*
**Tsisnami Beridze**
*PhD Student, Batumi Shota Rustaveli State University*

# დანდალოს ხეობის ლექსიკა

# VOCABULARY OF DANDALO GORGE

**აბსტრაქტი.** ქართული ენის დიალექტთა შორის აჭარულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ისტორიულად გარკვეული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. ამიტომ მისი ენათმეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. აჭარული დიალექტი საინტერესო სურათს იძლევა, როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური კუთხით, ისე ლექსიკურადაც. აჭარული დიალექტის ლექსიკური ფონდი ამოუწურავია.

ვფიქრობთ, ზემო აჭარულის ლექსიკის სრულყოფილად შესასწავლად საჭიროა ტექსტების ჩაწერა ლოკალურად, ხეობების მიხედვით. საკვლევად ავიღეთ ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ხეობის – დანდალოს მეტყველების ლექსიკური მხარე.

ჩაწერილმა ტექსტებმა ცხადყო, რომ დანდალოს ხეობაში გამოიყოფა საინტერესო და სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: არქაული ფორმები (აბედი, აბანო, ასტამი, გარგანი...), საკუთრივ დიალექტიზმები (ახორთლაღება, ბაზი, გორხოლო...), უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული სიტყვები (სპარსიზმები, თურქიზმები, არაბიზმები...) და ზანიზმები (ბადიში, ბიგალი, ბურდღა, გოროხი...).

სტატიაში, „დანდალოს ხეობის ლექსიკა“, თავმოყრილია ყველა ლექსიკური ერთეული, რომელიც გამოვლინდა ხეობაში ტექსტების ჩაწერის დროს, თითოეულ ლექსიკურ ერთეულს ახლავს თავისი განმარტება, რომელიც გადამოწმებულია სხვადასხვა ქართულ ლექსიკონში.

**საკვანძო სიტყვა: დიალექტი, ლექსიკა, არქაული ფორმები, საკუთრივ დიალექტიზმები.**

**Abstract.** Adjarian has of the most important roles among the Georgian language dialects. Historically, it has played a certain role in the development of Georgian literary

language. That is why its linguistical studying is important and relevant. Adjarian dialect gives an interesting view as phonetically, morphologically , syntactically , lexically as well. The lexical fund of Adjarian dialect is endless.

We think to study the lexical fund of Upper Adjarian perfectly, it is important to write down the texts locally, according to valleys. For our research we decided to study Dandalo lexical style - one of the valleys of Keda municipality.

Recorded texts showed that there are some specific and interesting lexical units in Dandalo valley such as archaic forms (“Abedi”, “Abano”, “Astami”, “Gargani”…), dialect expressions (“Akhortlagheba”, “Bazi”, “Gorkholo”…), The words established under the influence of a foreign language (Persians, Turkisms, Arabisms…) and Zanizms (“Badishi” ”Bigali”, “Burdgha”, “gorokhi”…).

The article “vocabulary of Dandalo Gorge” brings together all the lexical units that were identified during the writing of texts in the gorge, each lexical unit is accompanied by its own definition, which is checked in various Georgian dictionaries.

**Key words: dialects, Vocabulary, archaic forms, dialect expressions.**

ქართული ენის დიალექტთა შორის აჭარულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ისტორიულად გარკვეული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო აჭარა დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო სალიტერატურო ენას, მიუხედავად ამისა, ზემო აჭარულმა შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა, ძირითადი ლექსიკური ფონდი.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აჭარულში დადასტურებულია ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება. ასევე, შეიმჩნევა ზანური სუბსტრატის კვალი. აჭარული დიალექტის ხანგრძლივად უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცევამ მასში წარმოაჩინა უცხოენოვანი ლექსიკური მასალაც.

მართალია, არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა აჭარული კილოს ლექსიკურ თავისებურებათა შესწავლის საკითხს, მაგრამ ამოუწურავია ზემო აჭარულის სიტყვიერება.

ვფიქრობთ, ზემო აჭარულის ლექსიკური ფონდის სრულყოფილად შესასწავლად საჭიროა ტექსტების ჩაწერა ლოკალურად, ხეობების მიხედვით. საკვლევად ავიღეთ ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ხეობის, დანდალოს მეტყველების ლექსიკური მხარე.

ჩაწერილმა ტექსტებმა საშუალება მოგვცა, დანდალოს ხეობაში გამოგვეყო ლექსიკური ერთეულები: არქაული ფორმები, საკუთრივ დიალექტიზმები, უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული სიტყვები და ზანიზმები.

**არქაული ფორმები:** აჭარული კილოს ლექსიკურ ფონდში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი და საშუალო პერიოდის ქართული ენის ლექსიკა. ამ მხრივ არც დანდალოს მეტყველებაა გამონაკლისი:

**აბანო** - სააბაზანო: იმხელა თრალი იყო, რომ სანამ აბანოში ცივი წყლით არ დეიბანა, ვერ გამოკეთდა. შდრ.აბულაძე: დასაბანელი სახლი; საბა - სახლი დასაბანელი;

**აბედი -** წინწკალს აბედაით ვანთობდით: შდრ.: საბა - ეს არის ნივთი მსწრაფლ ცეცხლის შემწყნარებელი.

**ალაგი** - ადგილი: წინე, დამაჟდუმლე, ამხელა ალაგი ტყვილაი ხომ არაა: შდრ.: აბულაძე - ბილიკი, გზა; საბა - დასადგომი ანუ დასადებელი.

**აპოხტი** - ხმელი ხორცი: ქათმებს დავასუქებდით და მერე აპოხტებ ვაკეთებდით. შდრ.აბულაძე - ხმელი ხორცი; საბა - ყოველთა ხორცთა ხმელთა სახელია.

**ასტამი** - რკინის ნიჩაბი: მაგ ასტამზე დაყარე ნაკვერცხალი და ახორში შეიტაი, რომ ჰაერი გათბეს. შდრ.საბა: ცომის მოსაფხეკი.

**ბაგა** - ბოსელის ნაწილი: ძროხას ხობო ბაგაში ჩეეგდო. შდრ.:აბულაძე - ბოსელი, გომი; საბა- პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი.

**ბულული** - მომოკოჭებდა თივას თოკვით, კიღამის ნახევარ ბულულს. შდრ. საბა: ბული-ბული ღერღეტის ხადილი.

**გარგანი -** ჯოხი: გარგანი უნდა მაგას, მეტი არფერი. საბა: „არგანი არს კვერთხის უსხოსი, საბრჯენელათ და დასაყრდენი კაცთა უძლურთათვის.

**გროვა** - გუნდი: ჩიტების გროვა წასულა საძებნელათ. შდრ. საბა: გროვა მართო ფრინველთა.

**დაგვაჯება -** მიბაძვა:ერთმანებს ეგვაჯებოდენ გენილები და აფერს არ აკეთებდენ.

შდრ.: ჩუბ.: „კეთილი შური, რათა არ უდარეს უქმნეს იქმნეს სხვათაგან“.

**დრამი -** პატარა, ნამცეცა: ერთი დრამია და რამდენს ბედავს. შდრ.ნიჟ.: პაწაწა, ბეწო; საბა: ექვსის დანგის წონა.

**ელელეცი** - ნიშანი: მარცხენა ფხარზე ქონდა ელელეცი.შდრ.საბა: ტყირპია, ელენთა.

**კანული -** დასაწყისი: ი რომ კანუღი გაღებულია, რაც გინდა, ის დარგე მერე. შდრ.საბა: ქართ. კანოხი - გაზაფხულ პირველ ხარის შებმას უწოდებენ მესხნი.

**კუტი** - პატარა: კუტი ლამბაი ანთული იყო. შდრ.საბა: საპყარი.

**მძივი** - მძივები ქონდა ასხმული. შდრ.აბულ: საბეჭდავი; საბა: ეს არის მრგვალად ქმნილი ილიკრო, გინა ქვა, გინა ჭიქა გახვრეტილი, მკერდზე ასაცმელი; აბულ: საბეჭდავი.

**ნამსხმანი** - ადამიანის სხეული: მთელი ნამსხმანი მეწვის. შდრ. აბულ.:იოგი; ნიჟ.:ადამიანის სხეული, ტანი.

**ნაფუზარი** - ამ ჩვენი ნაფუზრის ხნულები. შდრ.საბა: ნაფუძარი, ნასახლარი.

**ნაფოტი** - ნაჯახით ჩამონაფოტა. შდრ.საბა: ხეთ ანათალი, ანახეთქი.

**ნაჯახი** - ნენიკამ მეიტანა ნაჯახი და თავი წააგდებია. შდრ. საბა: მცირე ცული, ხელცული.

**ფათრობა** - მკითხაობა: იტყვიან ფათერმა ვინცხას ყისმეთი დუუკოჭაო. შდრ. საბა: ბებლი.

**ქერეჭი** - ომიანობი დროს ჩვენ წიფლიქერეჭის ჭამა არ მოგვწევია. შდრ.საბა: ქერეჭანი.

**ღაღადი** - ბიბინი: მოსავალმა იწყოს ღაღადი. შდრ.აბულ: ხმის ყოფა, ყვირილი, ძახება.

სპორადულად გამოვლინდა ისეთი არქაული ერთეულები, რომელიც დანდალოს მეტყველებაში და საერთოდ აჭარულ დიალექტში განსხვავებული შინაარსის მატარებელია. მაგ: **კუტი** - საბას განმარტებით საპყარი, ხოლო დანდალოს მეტყველებაში პატარას ნიშნავს: ერთი კუტი ლამბაი გვქონდა. ამავე რიგისაა **ღაღადი.** აბულაძის განმარტებით ნიშნავს ყვირილს, ძახებას, აქაურთა მეტყველებაში კი - ბიბინს.

გამოვლინდა ისეთი **არქაული ფორმებიც,** რომელთა შესწავლა დაგვეხმარება ფუძეენის კუთვნილი არქეტიპის აღდგენაში. ამ მიმართებით საერთოქართველურ ფუძეთა გვერდით გამოყოფენ აჭარული დიალექტის ლექსიკაში არსებულ ლექსემებს [ნოღაიდელი, 2013:4]. ასეთი ლექსიკური ერთეულები დანდალოს მეტყველებაშიც გვხვდება. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთს.

**ახუპვა -** ხელში აყვანა: ეიხუპებდა ბაღანას და სოფელ-სოფელ დადიოდა. შდრ.ნოღ.: ხელში აყვანა, დანაოჭება. სვან. თავს უყრის, ანაოჭებს.

**გვარდა** - ხის ჭურჭელი: გვარდაში ინახავენ ჩვენი მემთევრები ყველ და კარაქ. შდრ.ნოღ.: - ოვალური ფორმის მოგრძო ხის ჭურჭელი (შდრ.მეგ.გორდა - ირიბი. გითოგორდა რენია - გამოზნექილია). ძველ ქართულ ფუძეს **მგუარდლ** დაცული აქვს **გუარდ** ძირის უძველესი სახე [ნოღაიდელი, 2013:15].

**დასკუჯული** - დაკუტებული, მოკლე: სკოლაში დასკუჯვილ კაბებს არ ჯობია, შარვალი ჩეიცვან. შდრ.ნოღ.: ტანდაბალი ადამიანი, დაკუტებული. იტყვიან კაბაზეც. სვანურთან მიმართებით აჭარულს ახასიათებს სემანტიკური გადახრა. შდრ სვან. ასგუჯინე - წაასვენებს, წააბრძანებს.

**მატყლი** - ვახტუნდა ნადს გავაკეთებდით და მატყლ ვართევდით ახალი გენილები. როგორც ნოღაიდელი აღნიშნავს, საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურ დონეზე დადასტურებულად ითვლება ტერმინი **მატყლი**

(მატყლ) და მისი კავშირი სიტყვაში -ტყავ. ი. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართულ ბურტყლსა და მეგრულ ბურდღაზე, პარარელს ავლებს მატყლ - თან და ასკვნის, რომ ძირი **რტყ** მფრინველის ნაზი შემოსილობის სახელადაც კია გამოყენებული. მა- ქართულში ფორმანტია, ბ-ც უძველეს ხანაში ფორმანტი ყოფილა. ქართულში -რტყ ძირისგან არაერთი სიტყვაა ნაწარმოები: სარტყელი, შემორტყმა და სხვა., რომელიც შემორტყმას აღნიშნავს. ამიტომ -რ- ძირითად ბგერადაა მიჩნეული, -რტყ - ძირად, -ლი კი ბოლოსართად. თავდაპირველად, მთლიანად ეს სიტყვა შემოვლებულის, გარემორტყმულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მატყლიც ამავე ძირის სიტყვაა, მაგრამ ან მისი ფორმანტი დროთა განმავლობაში შეცვლილი უნდა იყოს ან იგი პირველთან შედარებით მერმენდელ წარმოებად უნდა ვიგულისხმოთ“ [ნოღაიდელი, 2013:9].

ნოღაიდელის აზრით, ქართული **რტყ** ძირის ეკვივალენტი მეგრული რდღ ძირიანი სიტყვა ბურდღა ახლაც აქტიურად იხმარება ქართული ენის დასავლურ კილოებში და იგი ზანიზმადაა მიჩნეული ამ დიალექტებში (გურულში, იმერულში), მაგრამ **რტყ** ძირის სხვა ფუძეც მოგვეპოვება: **ლარტყა,** რაც სვანურისთვის დამახასიათებელი ფორმაა და გვხვდება, როგორც აჭარული დიალექტის ლექსიკაში, ისე სხვა დასავლურ კილოებში. სვანური ლა- შეესაბამება ქართულ სათავსართს. **ლარტყა** კი არის წვრილი, გრძელი, თხელი ძელი (საბა), რომელიც ძირითადად, ხის შენობის აგებისას მასზე გარეშემორტყმისთვის ან შენობის რომელიმე ნაწილის დაფარვისთვის იხმარება [ნოღაიდელი, 2013:9].

**ნამშხალი** - ახლად ამოყრილი ყლორტი: ეტყობა კარგათ ვერ გავმარგლე ნამშხალი. შდრ.:ნოღ. ახლად ამოყრილი ყლორტი, რტო. სვან.აშხალ, არშხალ - ტოტი, რტო.

**პარტყალი** - უთავბოლო ლაპარაკი. რამდენს პარტყალებს, გოგოს ამდენი პარტყალი ჰა გაგონილა. შდრ.ნოღ.: - აჭარულში ლაქლაქს, უთავბოლო ლაპარაკს და ასევე ბავშვის ტიკტიკს აღნიშნავს. პარტყალი დასტურდება გურულშიც.

**ფუთხო** - შდრ.:წვრილი გამონაყარი კანზე. საბას განმარტებით „ფუთხი ფინთი სიქაჩლეა“, სვანურში ფუთხი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება, საქონლის მჭლე ხორცისთვის დამახასიათებელი ბუშტუკები, ქონში დაბუდებული მავნე უჯრედი. აჭარულ მეტყველებაში ფუთხო წვრილი გამონაყარია კანზე.

**ფუშკურა** - ფშნადი ყველი; წინწინ ახალციხიდან ფუშკურა ყველებ ვზიდევდით. შდრ. ნოღ: ფშნადი ყველი. სვან. ფურშუკუ - თხელი ფაფა, ხეფუშკუინ - იფშვნება.

**ხაშარი** - სარი: ცა უხაშროთ დააყენე. შდრ.ნოღ.: საინტერესოა სვანურისა და აჭარულის ხაშარის შედარებაც. სვანურში ხაშარი ყინულის დიდ ნამსხვრევს

აღნიშნავს, ძველ ქართულში იგი აღნიშნავდა ხარაჩოს, აჭარულში კი აღნიშნავს სარს მხვიარა ფოთლებისთვის [ნოღაიდელი, 2013:8].

საინტერესოა თავად სიტყვა **დანდალოს** ეტიმოლოგიაც. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით დანდალი არის: „ლაგამი თუ პირის მახე, კიბისა და ურმის სახიდარი“. შუქრი ნიჟარაძე კი განმარტავს: „ დანდალო (სოფელი ქვემო აჭარაში) ამ ტოპონიმში ფუძედ სავარაუდებელია დანდალი. ეს სიტყვა კი აჭარულ ლექსიკაში აღარ გვხვდება“ [ნიჟარაძე,1971:55]. შევნიშნავთ, დანდალოს მეტყველებაში სიტყვა დანდალი ისევ გამოიყენება: მთელი დღე დანდალებს და ისევ ისეა ყველაფერი. საინტერესოდ მიგვაჩნია ხალხური ეტიმოლოგია დანდალოსი. ინფორმატორის, ფატყუმე სურგულაძის ცნობით: „დანდალოში მცოცავი მიწებია, ამ პრობლემის გამო ბევრი გადაასახლეს, სოფელს დანდალოც ამიტომ დეერქვა“.

## ზანიზმები დანდალოს მეტყველებაში

დანდალოს ლექსიკაში შეიმჩნევა ზანური ელემენტებიც. როგორც შ.ნიჟარაძე აღნიშნავს:“ აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბტრატის კვალი. ეს ბუნებრივიცაა, გურულის მსგავსად, აჭარული შეჭრილია შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ზანთა უწყვეტი მოსახლეობა იყო“ [ნიჟარაძე, 1971:48]. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთ ზანიზმს დანდალოს მეტყველებიდან:

**ბადიში** - შვილიშვილი: ბევრი ბადიში დავაგროვე. შდრ.ნიჟ:შვილიშვილი.

**ბიგალი** - სამუშაო იარაღი. სამი, ოთხი ბიგლიდან ვერცეთს ვერ ვხედავ. შდრ.ნიჟ.: ორ ან სამთითა თივის ასაღები ჯოხი.

**ბურდღა** - ფრინველის ბუმბული: ადრე ბურდღის ბალიშები იყო. შდრ.ნიჟ.: ბუმბული

**გოროხი** - მიწის ბელტი: შარშან, ტრაქტორმა დიდვანი გოროხები დააყენა. შდრ.საბა:მიწა გასატყორცი.

**კალაში** - თბილი ქარი: წუხელ კალაში ქარი ქროდა. შდრ.ნიჟ.: შემოდგომის თბილი, მშრალი ქარი.

**კეში** - მაგარი, მყარი: ძალიან კეში ტყავია და ფეხები მატკინა. შდრ.ნიჟ.: მოუქნელი, მოუხეშავი.

**კუჩხე** - კუთხე: კერე-კუჩხეს ვპატრონობ. შდრ.ნიჟ.: ეზო, კარ-მიდამო

**ოჭივარა** - შვიდი თვის ბაღანა ოჭივარაშინა ფიფინებდეს. შდრ. ნიჟ.: ჭოჭინა

**ჩორჩხი** - ცოცხის სახეობა: ჭალა ჩორჩხით გავწმინდე. შდრ.ნიჟ.: მცენარის ტოტებისაგან შეკრული ცოცხი.

**უზაპუნებს** - მაგრად ურტყამს: წვიმა ზრუგში მიზაპუნებდა. შდრ.ნიჟ.: მაგრად ცემს.

**ხეჭებო** - თხილის ან კვერცხის კანი: დანაყილი კვერცხის ხეჭებო წამალი ყოფილა. შდრ.ნიჟ.: ნიგვზის, კვერცხის, თხილის მაგარი საფარი.

**ჯირეკი** - დაბალი, გადაჭრილი ხე: ჩავაგდებდით ერთ დიდ ჯირეკ. შდრ.ნიჟ.: სქელი, ტანდაბალი.

დანდალოს ერთ სოფელში, მოსიაშვილებში, არის პატარა დასახლება **ჭყანი-ში.** ამ ტოპონიმის სახელიც ზანურიდან მომდინარეობს: „ზანური ელემენტები აჭარის ტოპონიმიკაში საკმაოდ ხელშესახებადაა დაფენილი. ზანური წარმოშობის ტოპონიმთა ანალიზით დგინდება, რომ ზანური გეოგრაფიული სახელების ერთი ჯგუფი ზანური აფიქსებითაა ნაწარმოები….. **იშ - ჭყანიში,** ჩხუში, კინკიში, კომპიში, ქვაბიში, ჯინიში“ [ნიჟარაძე, 1972: 57].

### პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ სალექსიკონო მასალასთან

დანდალოს მეტყველებაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გვხვდება შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“.

**ანაგებად** - ანაგები-აგებულებას ნიშნავს, თუმცა დანდალოს მეტყველებაში სხვა გაგება აქვს, ნიშნავს - საერთოდ: **ანაგებად** არ დარდობს. შდრ.ვეფხ.: „ მაგაცა ქცევით ტურფიტა, **ანაგებითა** ნაგითა“.სტრ.935,3.

**გეყურება** - გესმის: ქვა **ეყურებოდეს** გუშინ ბაღანა წეიქცა გზაზე. შდრ.: ვეფხ. “აწ **იყურებდით** მსმენელნო, გესმენ ფიცხელი ომია“. სტრ.1411,4

**დაბურვა** - ჩაცმა, დახურვა: ჩაცმულ-**დაბურვილი** ყავს ბაღნები. შდრ. ვეფხ.: „რომე ჩაცმა- დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე“. სტრ. 1659,2

**დრამი** - პაწაწა, ერთი ბეწო: ერთი **დრამია** და რამდენს ბედავს. შდრ.: ვეფხ. “ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა **დრამასა“.** სტრ.544,3 [ფუტკარაძე, 2016:93]

**კაზმვა** - მომზადება: გემრიელი ფხალობიო **შევკაზმე.** შდრ.: ვეფხ. „ **შეეკაზმა,** მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს“. სტრ. 73.1

**კაპანი** - კლდოვანი ადგილი, ხევხუვი: **კაპნი** ბოლოს დიგინახე, წელზე გერტყა ქამარი.

შდრ. საბა: ქვა-ღოჯი, აბულაძე: ვიწრო ადგილი ან გზა, ვეფხ. „ ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, **კაპანია“.** სტრ. 402,4 .

**მჭელი** - მუჭა თივა ან ჩალა: ცოტა **მჭელს** ვყრიდი და ისე ვკონავდი. შდრ. ვეფხ.: “ისვრიან და იზახიან, მხეცსა ჭრიან, ვითა **მჭელსა“.** სტრ 977,4

**ნობათი** - რიგი, ჯერი რეისი, თუმცა დანდალოს მეტყველებაში ამ სიტყვას სულ სხვა დატვირთვა აქვს. ნიშნავს სოფლის პროდუქტს ( რძე, ყველი, კარაქი და ა.შ): სოფლის **ნობათი** ჩამოგიტანე. შდრ.ვეფხ.: „დღისით და ღამით მოყმენი **ნობათსა** არ დასცდებიან“. სტრ.1300.3

**სოლე-** ჩუმად: **სოლე** და ერთი აჭარას მაყურებიე. შდრ.: ვეფხ. **„სულე** რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“. სტრ.133,1

**ფრეწა** - დახევა, დაქუცმაცება: ადრე ძაფი ჰა იყო, ურბას **ვფრეწდით** და პამიდორს ისე ვაკრავდით. შდრ. ვეფხ.: აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ სტრ.1416,2.

**წინწკალი** - ნაპერწკალი: **წინწკალს** აბედაით ვანთობდით. შდრ. ვეფხ.: „მისთა ნაკვესთა **წინწალი** დამეცეს ხანგრძლად მწველია“ სტრ.339,4

**ხასი** - სუფთა, ნამდვილი: ჰადმე **ხასი** კვარი არი? შდრ.ვეფხ.:“ მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა **ხასისა“.** სტრ.20,1 [ფუტკარაძე, 2016:99,100].

## საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები

ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები მდიდარია ლექსიკური დიალექტიზმებით. ბუნებრივია, დანდალოს მეტყველებაშიც გვხვდება **ლექსიკური დიალექტიზმები.** ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტების საფუძველზე საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ზოგიერთ ლექსიკურ დიალექტიზმებს:

**ახორთლაღება** - მოჩვენება: არ მინდა, იმდუნიას არ მიმიღონ და ავხორთლაღდე. შდრ.ნიჟ.: ხორთლაღად ადგომა, მიცვალებულის ადგომა.

**ამძოხებული** - ამყრალებული: წრევანდეი ჩვენი ოხტური ამძოხებულა. შდრ. ნიჟ.: ამშმორებული, ამყრალებული; ღლონტი: აშმორებული, ამყრალებული (ზ.აჭ).

**ბაზი** - მწერი: გუშინ ბაზებმა დაკბინეს და სასტრაფო დაჭირდა კაცს. შდრ. ნიჟ.: შხამიანი დიდი მწერი.

**გამოსული** - გაზაფხულის დადგომა: გამოსულში სანამ თაფლი გამუა, ჩვენნა ვაჭამოთ საჭმელი. შდრ.ნიჟ.: გაზაფხულის დამდეგი, გაზაფხულის პირი.

**გორხოლო** - მაგარი, მკუხე: გორხოლო ყველი იყო, მარა ხაწაპურში კაი იყო. შდრ.ნიჟ.: უმწიფარი, მკუხე ვაშლი, მსხალი და სხვა.

**დაძლევა** - იმ ცხელ ჭიპას დავძლიძავდი. შდრ.ნიჟ.: დაფლეთა, დაძიძგვნა.

**ვაჟინჟღილებდი** - ვაბრწყინვებდი: ვერ გუუძლო, რომ კისერში ვაჟინჟღილებდი. შდრ. ნიჟ.: ნაპერწკლის ქნევა.

**ლელევინი** - არეულობა, გაქრა: ახლანდელ ქორწილებს რა უნდა, ადრე სახლკარი ლელევინი ხდებოდა. შდრ.ნიჟ.: გაქრა, გაქუსლა.

**მეიჭუჭკებოდენ** - მოგროვდებოდნენ: მემრენ მეიჭუჭკებოდენ კაცები ერთ ოჯახში.

შდრ. მოგროვება, მოგროვილი.

**მოკურკუშვა** - ვურიოთნა, რომ არ მეიკურკუშოს. შდრ.ნიჟ.: ხვარში, ფელამუშში გაყოლილი საფანლის გუნდა.

**პრატი** - გოგო: ორმა პრატმა დაფაცურდენ. შდრ.ნიჟ.: ქალიშვილი, გოგო.

**სარძიე** - სამზარეულო: ახლა რომ კუხნაა იმას სარძიე ქვია. შდრ. ნიჟ. იაილის უკანა მხარეს გამოყოფილი სათავსო.

**ტაკოზი** - სახლის განივი კოჭები: ტაკოზზე ლურსმანინა მიაჭედო. შდრ.ნიჟ.: სახლის ნაწილი, განივი კოჭები, ომლითაც სახურავს ამაგრებენ.

**ტალიკი** - თეფში: დედამთილმა პირველაი ტალიკი გამატეხია. შდრ. ღლონტი: თეფში.

**ფუშრუკა** - მაგარი ყველი: ფუშრუკა ყველებ ვყიდულობდით. შდრ.ნიჟ.: მაგარი გამომშრალი ყველი.

**წინწინ** - უწუნ, ადრე: წინწინ ზამთარში ღაზლი წინდებს ვიცვამდით. შდრ. ნიჟ.: უწინ.

**წოწოლა** - მაღალი: წოწოლა მთისთვინ შუუფარებია თავი. შდრ.ნიჟ.: ჭარხლის ფოთლის შეჭამადი.

**ჭიპა** - ახლად ამოღებული ყველი: იმ ცხელ ჭიპას დავძლიძავდით. შდრ.ნიჟ.: მეტსახელია კაცისა.

## უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები

აჭარული დიალექტი ისტორიულად განიცდიდა უცხო ენათა გავლენას, რაც აისახა ლექსიკაზეც. გვხვდება თურქულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან შემოსული და დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები, აქა- იქ შევხვდებით ბერძნულსა და იტალიურსაც, ეს მოვლენა ჩანს დანდალოს მეტყველებაშიც.

## საკუთრივ თურქული ლექსიკური ერთეულები

სამასწლოვანი ბატონობის შედეგად დანდალოს მეტყველებაში დამკვიდრდა **თურქული** ენიდან შემოსულ ლექსიკური ერთეულები:

**აბლა** - ბიცოლა: აბლამ უთხრა ემიას, ჰაიდე წევდეთ ნენიას შდრ.: ნიჟარაძე: ბიცოლა.

**ანაი** - დედა: ჩემ ანას ნენიკას ვუძახდით. შდრ.: ნიჟარაძე: დედა.

**არჩი** - მზარეული: მე ახალობაში არჩი ვიყავ. შდრ.: ნიჟარაძე: მზარეული

**ბასხუნი** - იტყვიან, როცა ბავშვი ფეხზე ვერ დგება: მეშინიოდა რამეიდან ბასხუნი არ დამჩენოდა. შდრ.: ნიჟ.: ჩხრეკა, ერთგვარი ავადმყოფობა ბავშვის.

**ბაქლავა** - კაკლიანი ან თხილიანი ნამცხვარი: ბაქლავას ასე ვაკეთებდითი. შდრ.ნიჟ.:- კაკლიანი ნამცხვარი.

**ბაირამი** - მუსლიმანური დღესასწაული: ბაირამი დღეს ვაკეთებთ ჰალვას. შდრ.ნიჟ.: მუსლიმანური რელიგიური დღესასწაული.

**ბეთმეზი** - ხილის წვენისგან დამზადებული ტკბილი წვენი: ბეთმეზ ვადუღებდით. შდრ.ნიჟ.: ხილის წვენისგან დამზადებული წვენი, ტაფლივით ტკბილი.

**ბილევი** - სალესავი ქვა: ჯიბეში მაქ ბილევი, შენთვის ვიწვი, ვილევი. შდრ. ნიჟ.: სალესავი ქვა.

**ბიში** - ღუმელზე გამომცხვარი გაბრტყელებული ცომი: დავჭრათ სობაზე გამომცხვარი ბიში.შდრ.ნიჟ.: ნამცხვარი, ღვეზელი, გამომცხვარი და გაპრტყელებული ცომის გუნდა.

**ბორეგი** - კაკლიანი ნამცხვარი. შდრ.ნიჟ.: პურის თხელ ფენებში გახვეული შაქრიანი ნიგოზი; საბა - ფახლავა.

**ბურმა** - იგივე ბორეგი: შდრ.ნიჟ.: ერთგვარი ნამცხვარი ფაჭლავასავით; ნოღაიდელი: სპირალისებურად დახვეული ნამცხვარი.

**ბორანი -** შეჭამადი: დღლიზებდა იაღში კოვზს და გააკეთებდა ბორან**.** შდრ. ნიჟ.: ყველნარევი ერბო-კვერცხი.

**გენილი** - რძალი: იმფერი გენილი დავდექ, ხეს და ქვას ვასკდებოდი. შდრ. ნიჟ.: - რძალი, პატარძალი.

**გერჩექ -** მართლა: გერჩექ ებბედი არ ყოფილან. შდრ.ნიჟ.: მართლა

**დელი** - გადარეული: გავდელდი, ავწიე დიდი სქელი წიგნი და თავში ვთხლიშე.

**დუნია** - ქვეყანა: ღმერთმა სასახელოდ გამცხოვრა ამ დუნიაზე.შდრ.ნიჟარაძე: ქვეყანა

**ეფეიჯა** - საკმაოდ: ეფეიჯა წვალება მაიც გამევიარეთ. შდრ.ნიჟ.: საკმაოდ, ბლომად.

**ეში** - ტოლი: ყველა ოჯახში ეში-ტოლი ბაღნები ვიყავით. შდრ.ნიჟ.: ტოლი, კბილა, ამხანაგი, მეგობარი.

**იაღი** - კარაქი: ამეიღებდა იაღ და ააშიშხინებდა; შდრ.ნიჟ.: ერბო, ცხიმი.

**იასლოღი** - მუსლიმანური მარხვის საუზმე: დილას კარქათ იასლოღს ვჭამთ. შდრ.ნიჟარაძე - შუაღამის პურისჭამა მარხვის დროს.

**იოხა -** ცომის გასაბრტყელებელი ჯოხი: ჩქარ-ჩქარა გამყავდა ცომი იუხაზე. შდრ.ნიჟ.: ცომის გასაბრტყელებელი გამოთლილი ჯოხი.

**მაზღალა** - ხვრელი: ერთი პაწაი მაზღალა, ყოლინფერი შით შედის. შდრ.ნიჟ.: ჭუჭრუტანა, ხვრელი.

**მაშა** - ნაკვერჩხლის საჩიჩქნი ჯოხი: ჩააგდებდა კინას, რომელიც კინის მაშებით ეკავა. შდრ.ნიჟ.: ბოლოებ მოღუნული ორტოტა რკინის ჯოხი; საბა: ცეცქა.

**ოდა** - ოთახი: სარძიე იყო მთავარი ოდა. შდრ. ნიჟ.: ოთახი; საბა: „თურქთა ენაა, სენაკსა ქვიან“.

**ოფე** - პატარა ხელოვნური ორმო: ძველათ კარტოფილ ოფიებში ვგავდით. შდრ.ნიჟ: კარტოფილის, კიტრის, ლობიოს და მისთ. ჩასათესად.

**სარმა** - იგივე ტოლმა: ახლა ამ საჭმელს ტოლმას უძახიან. შდრ.ნიჟ.: ბრინჯით ან სხვა სანელებლებით შეზავებული მხლის ან ვაზის ფოთლებში შეხვეული ხორცი.

**საჯი** - კეცზე დასახური თხელი ფირფიტა: საჯი ვერ მეიგონაო. შდრ.ნიჟ.: საჯიაღი - რკინის სამფეხა.

**სობა** - ღუმელი: დავჭრათ სობაზე გამომცხვარი ბიში. შდრ.ნიჟ.: ღუმელი.

**ტაია** - დედის ძმა: ხისიმები ვართ, ჩემი ტაია იყო. შდრ.ნიჟ.: დედით ბიძა.

**უსტა** - ხელოსანი: მამაჩემი სულ სამი ხელობის უსტა იყო. შდრ.ნიჟ.: ოსტატი, ხელოსანი

**ქუმა** - ჩურჩხელა: თამაშობდენ ქათამზე, თაფლიან ქუმაზე. შდრ.ნიჟ.: ჩურჩხელა.

**ყათმირი** - კაკლის ან შაქრის გულიანი ნამცხვარი: ამას ყეთმირი ქვია მიერენაირათ და ბორეგსაც უძახიან. შდრ.ნიჟ.: ოთხკუთხა ფურცლოვანი ქადა.

**ყურშუმი** - თოფის ტყვია: ღმერთმა ყურშუმივით დაგამგვალა. შდრ.ნიჟ.: თოფის სასროლი ჭურვი, ტყვია.

**ყათი** - ფენა: ოთხი ყათი ფორკა მაცვია. შდრ. ნიჟარაძე: პირი, ყათი.

**ყურაღი** - სიცხე: ყურაღი იყო და წყალი არ იყო, რომ მოგვერწყა. შდრ.ნიჟ: გვალვა.

**ყაიმაღი** - სეფერატორში გამოხდილი რძე: გავადნობთ ყაიმაღ, ჩავაყრით ჭადი ფქვილ. შდრ.ნიჟ.: რძის ნაღები.

**ყოლხიზარი** - ხერხი: შიშას ყოლხიზარით ვხევდით. შდრ.ნიჟ: გაბმული მშვილდიანი ხერხი.

**ყოლსამა** - ცეკვის სახეობა: დედეს ნაცეკვი ყოლსამა მახსოვს. შდრ.ნიჟ.: (თურ+არაბ) ცეკვა - განდაგანა

**ჩურუგა** - ივლისის თვე: ერთჯერ ბაღანა დავბანე, კვირა დღე იყო ჩურუგასი. შდრ.ნიჟ.: ივლისის მეტსახელი.

**ჩადრი:** თავზე ჩადრი დამახურეს. შდრ.ნიჟ.: კარავი, ფარდული; საბა: კარავი, ჩადრი.

**ჩევრე** - ცხვირსახოცი: გუურეცხელი ჩევრე სახში არნა შეიტანო. შდრ.ნიჟ.: შემოქარგული ცხვირსახოცი, ქალის თავსაბურავი.

**ხეფენგი** - სახლის ერთ-ერთი ოთახის კარი, ზემოდან ქვემოთ ჩასასვლელი: ავაღე ხეფენგი კარი და ბაყა-ბაყა წეველ კიბიებზე. შდრ.ნიჟ.: საცხოვრებელი სახლის ნაწილი, მეორე სართულიდან პირველზე ან ბოსელში ჩასასვლელი.

### თურქული ენიდან შემოსული არაბული ლექსიკური ერთეულები:

**ადეთი** - წესი: ქორწილების დეიწყო, მარა ერთი ადეთი ყოფილა. შდრ.ნიჟ.: ადათი, ჩვეულება

**აჯაფ** - ნეტავ; აჯაფ გავცვითონა თუ. შდრ.ნიჟ : ნეტავ.

**აღდი** - ქორწინების მუსლიმანური ტრადიცია:თან მოლას აღდიც გავაჭრევიოთ. შდრ.ნიჟ.: საქორწინო პირობის დადება.

**ბერექეთი** - ხვავი, ბარაქა: ახალ წელზე რამის წაღება არ შეიძლება, ბერექეთი აღარ იქნება სახშიო. შდრ.ნიჟ.: ბარაქა, დოვლათი, სიუხვე.

**ებბედი** - არასდროს: გერჩექ ებბედი არ ყოფილან. შდრ.ნიჟ.: მუდამ, ყოველთვის.

**ევლია** _ ანგელოზი: ევლიებმა დაგლოცონ. შდრ.ნიჟ.: მუსლიმანური, დიდი ღვთისმოსავი.

**ვახტუნდა** - ადრე, უწინ: ახალციხიდან ვახტუნდა ფუშრუკა ყველებ ვყიდულობდით.

**ვახტი** - დრო: ვახტი, საათი არ ათავებულა. შდრ.ნიჟ.: დრო, ჟამი.

**ვესიეთი** -ანდერძი: მე რომ ცოცხალი არ ვიყო, ვესიეთ გიტევ. შდრ.ნიჟ.: ანდერძი.

**ზათინ** - ნამდვილად: ზათინ ადრე ქალები ატარებდნენ ჩერჩეფს. შდრ.ნიჟ.: წარსული, უწინ, ისედაც, ნამდვილად.

**თესპა** - კრიალოსანი: ხელში მუდამ ქარვის თესპა ეკავა. შდრ.ნიჟ.: კრიალოსანი.

**ინსანი** - ადამიანი; მთელი დღის ნამარხი წყალში ჩეგეყრება ინსანს. შდრ.ნიჟ.: ადამიანი, კაცი.

**იფთარი** - მარხვის შემდგომი ვახშმობა. შდრ.ნიჟ.: ვაკეთებთ იფთარს, პირი გახსნიხან ვამბობთ სიტყვებს.

**მუბაარექი** - ღმერთი: მუბაარექმა ის ქვეყანა განატრა. შდრ.ნიჟ.: დალოცვილი, კურთხეული. **რიზღი** - წილი; მაშინ ადგება დუნიაზე რიზღი. შდრ.ნიჟ.: წილი, ულუფა, საზრდო.

**მელაიქი** - ანგელოზი: სად იმ ქრივის საყვარლობა და სად იმ მელაიქების ცოლობაო. შდრ. ნიჟ.:ანგელოზი.

**რაჰათი** - მოსვენება: ზამთარი რაჰათია. შდრ.ნიჟ: მოსვენება, დასვენება, სიმშვიდე.

**სუფრა** - მაგიდა: ღარიბის სუფრაზე გაძეხო. შდრ.ნიჟ.: დაბალი, მრგვალი მაგიდა.

**სამა** - ცეკვა: დედეს ნაცეკვი ყოლ სამა მახსოვს. შდრ.ნიჟ.: ცეკვა.

**საბრი** - მოთმინება: ღმერთმა საბრი მიცეს მათ ოჯახებს. შდრ.ნიჟ.: მოთმენა, გაძლება, ატანა.

**ყისმეთი** - ბედი, იღბალი: ვისი ყისმეთია ჩემი გოგო. შდრ.ნიჟ.: ბედი, იღბალი.

**ყულე** - ციხე: ძველათ ყულეს უძახდენ. შდრ.ნიჟ.: ციხე, კოშკი.

**ყათლანი** - გუდრონი: ღმერთმა იმ დუნიის ყათლანში გადუღოს. შდრ.ნიჟ.: კუპრი, გუდრონი.

**ყანაეთი** - უყანაეთობამ ზღვა დააშრო. შდრ.ნიჟ.: ფასი, ღირებულება, დაფასება.

**შერბეთი** - ტკბილი წყალი: შერბეთ ჩავასხამთ ერთჯერად პარკებში. შდრ. ნიჟ.: ტკბილი სასმელი.

**ჰექია** - ზღაპარი: ნუღარ მიყვები ჰექიებს, შენი მოსატყვილებელი კბილი დიდი ხანია, გამოვიცვალე. შდრ.ნიჟ.: ზღაპარი.

## თურქული ენიდან შემოსული სპარსული ლექსიკური ერთეულები

**ახორი** - ბოსელი: პირველ სართულზე ახორი იყო, მიერეზე ჩვენ ვცხოვრობდით. შდრ.ნიჟ.: ბოსელი; საბა - ბაგას ქვიან.

**ბახჩა** - მიწის ნაკვეთი: მე და ანაი ვმუშაობდით ბაღჩაში. შდრ.ნიჟ.: სახლის ახლოს მდებარე მიწა.

**ერიშტა** - წვრილად დაჭრილი ბიში: წმინდათ დაჭრილ ბიშს შერბეთ მუასხამდით. შდრ.ნიჟ.: ნამცხვარი.

**ჰავანი** - თამბაქოს საჭრელი ხელსაწყო: ოღონდ ამას ჰავანზე არ ვჭრით. შდრ.ნიჟ.:თამბაქოს საჭრელი ხელსაწყო, დანა-დაზგა.

**ქილარი** - დღე ქილარი გამუალაგე. შდრ.ნიჟ.: კედელში დატანებული პატარა უკარო თარო.

**ჩერჩეფი** - პირბადე; გზაზე ჩერჩეფში გახვევლი ქალი მიდის. შდრ.ნიჟ.: მუსლიმანი ქალების წამოსასხამი, სახის დასაფარი ჩადრი, პირბადე.

**ლალი** - მუნჯი: ერთი ყრუ, ერთი ლალი. შდრ.ნიჟ. მუნჟი.

**ჰამან** - მაშინვე: ჰამან ბიჭი რომ მყოლოდა დასაქორწილებელი, ერთ ვითხოვდი. შდრ.ნიჟ.: თითქმის, დაახლოებით.

**ჰამანქი** - თითქმის: იმის გემო ჰამანქი პირში მაქ. შდრ.ნიჟ.: თითქმის, დაახლოებით.

## იტალიური ლექსიკური ერთეული

საანალიზო ტექსტში გამოვლინდა რამდენიმე სიტყვა, რომელიც **იტალიურია:**

**ისკელე** - ძველებური ხის გასახერხი მოწყობილობა: ისკელედან უსტა გადმუარდა. შდრ.ნიჟ. სახელდახელოდ დადგმული დაზგა სამშენებლო ხე-ტყის სახერხი მოწყობილობისთვის ან მშენებლობისას ზედ დასადგომად.

**ფიშტო** - თოფი: ბაბუს ერთი ფიშტოი ქონდა და იმით ქონდა დიდი გული. შდრ.ნიჟ.: დამბაჩა.

დაფიქსირდა ერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც **ფრანგულ-იტალიურია.**

**ურბა** - ტანსაცმელი: იმდენი ურუბა მაქ შიფანერკაში, აჯაფ გავცვითონა თუ. შდრ. ნიჟ.: ტანსაცმელი.

## ბერძნული ლექსიკური ერთეულები

გამოვლინდა რამდენიმე **ბერძნული** ლექსიკური ერთეულიც:

**ბარუთი** - თოფის წამალი: თოფს ვამზადებ, შაშვებზენა ვინადირო, მარა ბარუთი არ მაქ. შდრ.ნიჟ.: თოფის წამალი, დენთი.

**ვარიოზი** - დიდი ურო. ვარიოზი დაარტყი, ვარიოზი! შდრ.ნიჟ.: დიდი რკინის ურო.

**კორიზა** - მწერის სახეობა: მახსოვს, ჩემ ბაღნობას, ხის კედელზე კორიზაები ღოღავდენ. შდრ.ნიჟ.: ბაღლინჯო.

**კორკოტი** - ხორბლის შეჭამადი: შდრ.ნიჟარაძე; დაროშვილი ხორბლის შეჭამადი; საბა: დანაყილი ხვარბალი.

**ლოდოსი** - თბილი ამინდი. დღეს დალოდოსა ცოტა, გამოდარების პირი უჩანს. შდრ.ნიჟ.: თბილი, მოღრუბლული, დახურული ამინდი, რომელიც აჩქარებს თოვლის დნობა.

**სინორი** - თხლად დაჭრილი მაგარი ცომი. შდრ.ნიჟ.: თხლად დაჭრილი პურის ცომი.

ამრიგად, ზემო აჭარული საინტერესოა ლექსიკის კუთხით, ამ მხრივ დანდალოს ხეობის მეტყველებაც საინტერესო სურათს გვიჩვენებს. ვფიქრობთ, ზემო აჭარულის ლექსიკის თავისებურებების სრულყოფილად შესწავლა, მისი ლოკალურად შეგროვების, დახარისხებისა და ანალიზის საშუალებით შეიძლება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბულაძე- აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.
2. ნიჟარაძე- ნიჟარაძე შ. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. ბათუმი, 1961.
3. ნიჟარაძე- ნიჟარაძე შ.ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი 1971.
4. ნოღაიდელი- ნოღაიდელი ნ. ლექსიკური ძიებანი. ბათუმი, 2013.
5. ორბელიანი- ორბელიანი ს.ს. სიტყვის კონა. თბილისი, 1949.
6. რუსთაველი- რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“. თბ., 1998.
7. ფუტკარაძე- ფუტკარაძე ე. ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“. კრებ.: რუსთაველი და „ოქროს ხანა“, საქართველო. ბათუმი, 2016.
8. ჩუბინაშვილი- ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი. თბ., 1961.

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **გუნა სამნიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**